

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
А К А Д Е М И Я Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р  
А С А D É M I E D E S S C I E N C E S D E L A R S S D E G É O R G I E

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის


მ თ ა მ ბ ე

И З В Е С Т И Я

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ  
им. акад. Н. Я. МАРРА

P-10546

XIII



თბილისი  
1 9 4 2

ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GÉORGIE

---

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

XIII

---

ÉDITION DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GÉORGIE

Tbilissi

1942

დაიბეჭდა საქართველოს ხარ მენიერებათა აკადემიის  
პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი პრფ. ნ. ბერძენიშვილი

1. გიორგი წერეთელი. არმაზის ბილინგვა . . . . .	1
2. <u>ლ. მუსხელიშვილი</u> . სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი . . . . .	85
3. კ. კეკელიძე. ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში . . . . .	107
4. ქრ. შარაშიძე. იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“ . . . . .	121
5. ვ. ფუთუჩიძე. არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ . . . . .	139
6. კ. ვრიგოლია. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა . . . . .	145
7. ვ. გაბაშვილი. დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით . . . . .	159
8. ს. ჯიქია. ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში . . . . .	207
9. ირ. სურგულაძე. „ძეგლიერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის . . . . .	219
10. სერგი ჯიქია. ხონტჭრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი . . . . .	233
11. სიმონ ჯანაშია. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის . . . . .	243
12. М. Иващенко. Отчет об археологической разведке в сел. Махарадзе Сягареджинского района (январь, 1938 г.) . . . . .	259
13. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის . . . . .	263
14. ვახტანგ ბერძეძე. <u>ლევან მუსხელიშვილი</u> . . . . .	283

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

15. ნ. ბერძენიშვილი. Н. Б. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819—1820 гг. . . . .	285
--	-----

	Стр.
1. Г. Церетели. Армазская билингва . . . . .	1
2. <b>Л. Мусхелишвили</b> . Надписи Самшвилдского сиона и дата его построения . . . . .	85
3. К. Кекелидзе. Культурно-просветительные очаги грузинских женщин в средневековом Ближнем Востоке. . . . .	107
4. Хр. Шарашидзе. Хроника Иесе Осес-дзе . . . . .	121
5. Вл. Пугуридзе. Сведения арабского историка XII в. о Тбилиси . . . . .	139
6. К. Григолия. Надписи на иконе св. Георгия из Илори . . . . .	145
7. В. Габашвили. Придворные чины по «Дастурламали» . . . . .	159
8. С. Джикия. Сведения о жизнедеятельности Моурави (Г. Саакадзе) в Турции . . . . .	207
9. И. Сургуладзе. «Дзегли Эриставта» (фамильная летопись Ксанских эриставов) и его значение для вопроса о происхождении государства в Грузии . . . . .	219
10. С. Джикия. Фирман турецкого султана к моурави (Г. Саакадзе). . . . .	233
11. С. Джанашиа. К вопросу о древнейших культурно-политических центрах восточно-грузинского государства. . . . .	243
12. М. Иващенко. Отчет об археологической разведке в сел. Малхазовке Сагареджинского района (январь, 1938 г.) . . . . .	259
13. К первой годовщине кончины акад. И. А. Джавахишвили. . . . .	263
14. Вахтанг Беридзе. <b>Л. Мусхелишвили</b> (некролог). . . . .	283
Критика и библиография	
15. Н. Бердзенишвили. Н. Б. Махарадзе, «Восстание в Имеретии 1819—1820 гг.» . . . . .	285

## SOMMAIRE

1. G. Tséréthéli. La bilingue d'Armasi . . . . .	1
2. <u>L. Mouskhelichvili</u> . Inscriptions du Sion de Samchvilde et la date de sa construction . . . . .	85
3. K. Kékélidzé. Les foyers culturels des femmes géorgiennes dans le Proche-Orient médiéval . . . . .	107
4. Chr. Charachidzé. La chronique d'Isséy Osses-dzé . . . . .	121
5. Vl. Phoutouridzé. Connaissances d'un historien arabe du XII-me siècle sur Thbilissi . . . . .	139
6. K. Grigolia. Inscriptions sur l'icone de Saint Georges d'Ilori . . . . .	145
7. V. Gabachvili. Les rangs de la cour d'après «Dastourlamali» . . . . .	159
8. S. Djikia. Renseignements sur la vie et l'activité du Moouravi (G. Saakadzé) en Turquie . . . . .	207
9. I. Sourgouladzé. «Dzegli Eristhavtha» (Annales de famille des eristhavis de Ksani) et son importance pour la question de l'origine en Géorgie . . . . .	219
10. S. Djikia. Un firmane du Sultan de Turquie au Moouravi (G. Saakadzé) . . . . .	233
11. S. Djanachia. A propos des plus anciens centres culturels politiques de l'Etat géorgien de l'Est . . . . .	243
12. M. Ivachtchenko. Compte rendu sur une recherche archéologique à Mal-khazovka, village du rayon Sagaredjo (Janvier 1928). . . . .	259
13. A propos du premier anniversaire du décès de l'académicien I. A. Djavakhchvili . . . . .	263
14. V. Bérizdé. <u>L. V. Mouskhelichvili</u> (Nécrologe) . . . . .	283

### Critique et bibliographie

15. N. Berdzénichvili. N. B. Makharadzé, «L'insurrection en Iméretie de 1819 — 1820» . . . . .	285
--	-----

ხელმოწ. დასაბეჭდ. უკ. ფ. 5.3.43  
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 18<sup>3/4</sup>,  
ანაწყ. ზომა 8×12; ქალ. ხ. 82×110  
შეკვეთის № 203; ტირაჟი 700 ც.  
შე 1529

საქართვე. სსრ მეცნ. აკადემიის გამომც.  
სტამბა, თბილისი, ა. წერეთლის ქ. № 7.

არმაზის ბილინგვა \*

საზოგადოების დიდი ნაწილისათვის უკვე ცნობილია, რომ რამდენიმე წელიწადია რაც მცხეთის მიდამოებში მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც პირველ ხანებში აკად. ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ გათხრების დროს, 1940 წლის შემოდგომაზე, უკვე აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, არმაზის მიდამოებში, № 4 სამარხში, სადგურ მცხეთის ჩრდილო-დასავლეთით ორ კილომეტრზე აღმოჩენილ იქნა ორი წარწერიანი ქვა. ერთი მათგანი (შემდეგში „წარწერა № 1“) ნაწერი არამეული ასოებით და თოთხმეტი სტრიქონისაგან შედგება. მეორეზე, არამეულის გარდა, ბერძნული ტექსტიც არის მოთავსებული, ისე რომ იგი ბილინგვას (ორენოვან წარწერას) წარმოადგენს. ძველთა პირვანდელი ადგილსაყოფელი გამოკვეთული არ არის. როგორც ჩანს, მერმინდელ ეპოქაში, როდესაც მათზე მოთავსებულმა წარწერებმა დაკარგეს მნიშვნელობა და ისინი თავიანთ პირვანდელ დანიშნულებას ვეღარ ასრულებდნენ, ქვები სამარხის უბრალო საშენ მასალად (ქვაყუთის ასაგებად) გამოუყენებიათ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა ეპოქის ორივე ეს ძეგლი ერთად მოუთავსებიათ. ცხადია, რომ მათი დაწერის თარიღი გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე სამარხი, რომელშიაც ისინი აღმოჩნდნენ და ეს გარემოება, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წარწერათა დათარიღების დროს<sup>1</sup>.

წარწერების ამოშიფრვა (განსაკუთრებით № 1 წარწერისა) არც თუ ისე ადვილი საქმე გამოდგა, მაგრამ ვინაიდან ამ ძეგლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართველი ერის ისტორიისა და, კერძოდ, კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლისათვის, გადავწყვიტეთ შორეული მომავლისათვის არ გადაგვედო მათი გამოქვეყნება და უკვე ახლავე ვაგვეზიარებინა მკითხველებისათვის დასკვნები, რომლებიც მივიღეთ ჩვენ ამ ძეგლებზე წინასწარი მუშაობის შედეგად. ამასთანავე ვიტოვებთ უფლებას მომავალში კიდევ დაუბრუნდეთ ამ ძეგლებს და უფრო დაწვრილებით შევხებით მათ პალეოგრაფიულსა და ენობრივ თავისებურებებს.

\* სპეციალური მოხსენება წარწერის შესახებ წაკითხულია ავტორის მიერ სსრ კავშირში მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1940 წლის 7 დეკემბერს; დაწვრილებითი მოხსენება არმაზის ორივე წარწერის შესახებ წაკითხულია მის მიერვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ სესიაზე, 1941 წლის 1 მარტს.

<sup>1</sup> წარწერათა თარიღის შესახებ იხ. ქვევით, გვ. 13—14.



წინამდებარე შრომის მიზანია გამოქვეყნება ერთ-ერთი ამ წარწერისა, ბილინგვისა, რომლის ამოშიფრვა საგრძნობლად ადვილდება ბერძნული ტექსტის წყალობით. აქვე ესარგებლობ შემთხვევით მადლობა გამოეუცხადო აკადემიკოსებს პ. კოკოვცოვსა და გ. ახვლედიანს, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ამ წარწერებისადმი და რომლებმაც დიდად დამაჯალეს მუშაობის დროს ხელის შეწყობით. მადლობა ეკუთვნის აგრეთვე ჩემს ლენინგრადელ კოლეგას ა. ბორისოვს, რომელმაც ჩემთვის საჭირო ზოგიერთი ლიტერატურით სარგებლობის საშუალება მომცა.

არმაზის ბილინგვა წარმოადგენს ბაზალტის ქვის სტელას, რომელსაც ზედა ნაწილი მომრგვალებული აქვს. ქვის სიმაღლე 192 სანტიმეტრს აღწევს. სიგანე 64—66 სანტიმეტრია. ქვის ქვედა, მარჯვენა, კუთხე მომტერყულია. ბერძნულ ტექსტს<sup>1</sup> უჭირავს სტელის ზედა ნაწილი 31×62 სანტიმეტრის მოცულობისა და 10 სტრიქონისაგან შედგება. მის ქვემოთ 63×61,5 სანტიმეტრის სივრცეზე მოთავსებულია არამეული ასოებით პარალელური ტექსტი, რომელიც თერთმეტი სტრიქონისაგან შედგება. ბილინგვა, № 1 წარწერისაგან განსხვავებით, ძალიან კარგად არის შენახული. მხოლოდ მეცხრე სტრიქონის უკანასკნელი ასოებია ოდნავ დაზიანებული, მაგრამ ტექსტის ეს ადგილიც ადვილად იკითხება (ნ. ფოტოგრაფიები, გადაღებული ი. ქავთარაძისა და ი. პახომოვის მიერ: 1. ბილინგვის საერთო სურათი; 2. ბილინგვის არამეული დამწერლობა).

## I. ამოშიფრვა და დათარგმნება

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მე წარწერებს ვნახავდი, იმ პირებისაგან, რომლებიც ძეგლების აღმოჩენას დაესწრნენ, მოაღწია ჩემამდე ცნობამ, რომ ბილინგვის ბერძნულ ტექსტში მოხსენებულია საკუთარი სახელები ქსეფარნუგ მეფისა, ზევან და პუბლიკიოს აგრიპა პიტიაზშებისა, იოდმანგან ეპიტროპისა და დედაკაცის საკუთარი სახელი სერაფიტი. ცოტა ხნის შემდეგ მე საშუალება მომეცა მესარგებლა წარწერის ფოტოგრაფიით მცირე დროის განმავლობაში. მე მოვასწარი მხოლოდ პარალელური ტექსტის პირის გადმოღება და მთელი წინასწარი მუშაობა წარწერის ამოსაშიფრავად ჩვატარე ჩემ მიერ ხელით შესრულებული პირის მიხედვით.

ფოტოგრაფიის უკვე პირველ დანახვისთანავე აშკარა იყო ჩემთვის დამწერლობის არამეული ხასიათი. პირველ ყოვლისა ყურადღება მიიქცია **Π, Ψ, Ξ** ასოებმა, რომლებიც სათანადო არამეული ნიშნების ძალიან ძველ სახეს ამჟღავნებდნენ. პირველი სიტყვა, რომელიც მე წავიკითხე, იყო **ΠΝΨ** και შ-ნ-თ, «წელი», მოთავსებული წარწერის უკანასკნელ სტრიქონში. შემდეგ მოხერხდა ამოკითხვა **Ἰουλιανῆς** ბ-რ-თ-ე, «ასული» სიტყვისა, რომელსაც პირველ სტრიქონში მეორე ადგილი უჭირავს მარცხნიდან. ამის შემდეგ ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ მის წინ მოთავსებულია დედაკაცის საკუთარი სახელი სერაფიტი, ხოლო შემდეგ—მამამისის, ზევანის, სახელი. ამგვარად ამოცნობილ იქნა ასოების დიდი ნაწილი. ერთგვარ დაბრკოლებას წავაწყდი მხოლოდ **ο, ι, η, ρ** ნიშნების ამოშიფრვისას. ზოგიერთი მათგანი იმდენად განსხვავდება დღემდის ცნობილი სათანადო არამეული ასოებისაგან, რომ მათი ფონეტიკური ღირებულების გარკვევა მხოლოდ შედარების საშუალებით ძნელი მოსახერხებელი იყო. **ο**-ს საკითხი შედარებით ადვილად გადაწყდა. წარწერაში ეს ნიშანი სამეზის გვხვდება, აქედან ორჯერ ერთსა და იმავე (**ο**) **ορ** (**ορ**) (**οβ**) **ορβ** (**ο**)

<sup>1</sup> უკვე გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილისა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი II, № 1—2, თბილისი, 1941, გვ. 171—175) და აკად. ა. შანიძის მიერ (იქვე, გვ. 184—186).

ტერმინში, რომელიც ბერძნული ტექსტის  $\xi\alpha\iota\tau\epsilon\iota\sigma$ -ის შესატყვისის წარმოადგენს. საჭირო იყო ამ ორი სიტყვის ეტიმოლოგიისა და ზუსტი მნიშვნელობის გამოკვლევა, რომელიც ნიშნის ფონეტიკური ღირებულება გაგვევს. აკად. გ. ახვლედიანთან საუბრის დროს მე მომივიდა აზრად, რომ  $(\text{r})\text{brn trb}(\text{r})$  სიტყვა შესაძლებელია იგივე ყოფილიყო, რაც არამეული  $\text{brn trb}$  «ეზო», ცნობილი სემიტური ძირიდან rbs, რომელიც ასურულ-ბაბილონურში ნიშნავს «(საქონლის) დაბანაკებას», არაბულში ربي «წოლას, მკერდზე დაყრდნობას» (ცხოველზე ითქმის), აქედან ربي «სანახები», «უბანი», ასურულ-ბაბილონურ tarbasu «ეზო», არამეული ნასესხები სიტყვა  $\text{brn}$ ; «ეზო» და სხ. შემდეგმა კვლევა-ძიებამ წაყვებით დადასტურა ჩვენი მოსაზრება. გამოირკვა, რომ ბერძნული  $\xi\alpha\iota\tau\epsilon\iota\sigma$  რომელიც რამდენჯერმე გვხვდება ბიბლიურ წიგნებში, ქართულად ჩვეულებრივ გადმოიციემა ტერმინით ეზო და ს. მოძღვარი. ეს უკანასკნელი კი წარწერაში დამოწმებული  $\text{brn trb}$  სიტყვის ზუსტ შესატყვისის წარმოადგენს<sup>1</sup>. ამგვარად გადაჭრილ იქნა რ ნიშნის ღირებულების საკითხიც. ახლა, როდესაც მისი მნიშვნელობა გარკვეულია, შესაძლებელი ხდება დავინახოთ მასში მსგავსება ზოგიერთ ფინიკურ და არამეულ ასოსთან<sup>2</sup>, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავით მის მნიშვნელობაში, ვიდრე არ გაირკვეოდა შინაარსი და ეტიმოლოგია ხსენებული ტერმინისა, რომელშიაც ეს ასო გვხვდება.

ერთგვარი დაბრკოლება გამოიწვია აგრეთვე H ნიშანმა, რომელიც ბილინგვაში სამჯერ არის ნახმარი. მისი ხმარება  $\text{brn}$  სიტყვაში ექვს არ იწვევდა, რომ იგი სემიტური ყაანის მეტად თავისებურსა და ორიგინალურ სახეს წარმოადგენს, მაგრამ საჭირო იყო აგვეხსნა მისი ხმარება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა  $\text{brn}$  და, განსაკუთრებით,  $\text{brn}$ , რომლის ძირითადი მნიშვნელობაა «ჰავდა, ემსგავსებოდა, მსგავსი იყო». ქვემოთ მოცემულია ცდა ხსენებულ სიტყვებში მისი ხმარების ახსნისა, მაგრამ დამოუკიდებლად ამისა, მისი ფონეტიკური ღირებულების საკითხი ამჟამად უკვე ექვს არ იწვევს.

დასასრულ, საჭირო იყო გავერკვია, ხომ არ წარმოადგენენ H და H ნიშნები ერთი და იმავე ასოს ვარიანტებს, რომლებიც განურჩევლად იხმარებიან როგორც H-ს, ისე H-ს აღსანიშნავად, თუ ისინი სხვადასხვა ბუკვის გადმოსაცემად არიან გამოყენებული ტექსტში. იმ სიტყვების ერთმანეთთან შედარება, რომლებშიაც ეს ასოები გვხვდება, გვაფიქრებინებს, რომ მათ სხვადასხვა ფონეტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. ასე, მაგ., ბილინგვაში H-თი გვაქვს სიტყვები  $\text{brn}$ ,  $\text{brn}$ ,  $\text{brn}$ ,  $\text{brn}$ , ე. ი. შემთხვევები, როდესაც საჭიროა ეტიმოლოგიური H, ან როდესაც H ნახმარია ბოლოკიდური ხმოვნის აღსანიშნავად, როგორც mater lectionis. მეორე მხრით H გვხვდება სიტყვებში  $\text{brn}$ ,  $\text{brn}$ ,  $\text{brn}$ , ან არამეულ H-ს ( $\text{brn}$ ,  $\text{brn}$  სიტყვებში). მათი ფუნქციების გარჩევა სისტემატურად არის გატარებული როგორც ბილინგვაში, ისე № I წარწერაში და აგრეთვე ამ ორმოციოდე წლის წინათ ბორში (დასავლეთი საქართველო<sup>3</sup>) ნაპოვნი ვერცხლის პინაკის ერთ წარწერაში, რომელიც იმავე ასოებით არის ნაწერი, როგორც არმაზის ძეგლები. საყურადღებოა, რომ ეს ორი ნიშანი № I წარწერაში უფრო მეტად ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე ბილინგვაში. სახელდობრ, იქ მარჯვენა განაპირა კბილი ზოგჯერ ისე მოკლდება, რომ თითქმის შეუჩინველი ხდება, მარჯვენა ზედა რკალიდან მხოლოდ კვალი და რჩება მარჯვნივ გადახრილი შტრიხის სახით, რომელიც შუა კბილის ზედა გაგრძელებას წარმოადგენს.

ამგვარად, არმაზის ასოების მნიშვნელობა ჩვენ შემდგენიარად წარმოგვიდგინა.

1 იხ. ქვ., გვ. 22—23,  
 2 შდრ. ქვ., გვ. 11—12.  
 3 შორაპნის მახლობლად.

არმაზის ბილინგვის დამწერლობა	ტ რ ა ნ ს კ რ ი ფ ე ლ ი ა			
	ებრაული	არაბული	ლათინური	ქართული <sup>1</sup>
⋈ ⋈ ⋈ ⋈	א	א	a	ა
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ב	ب	b	ბ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ג	ج	g	გ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ד	د	d	დ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ה	ه	h	ჰ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ו	و	w	ვ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ז	ز	z	ზ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ח	ح	h	ჰ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ט	ط	t	ტ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	י	ي	y	ე
⋈ ⋈ ⋈ ⋈	כ	ك	k	ქ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ל	ل	l	ლ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	מ	م	m	მ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	נ	ن	n	ნ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ס	س	s	ს
⋈ ⋈ ⋈ ⋈	פ	ف	f	ფ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	צ	س	s	ს
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ק	ق	q	კ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ר	ر	r	რ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ש	ش	š	შ
⋈ ⋈ ⋈ ⋈	ת	ت	t	თ

რიცხვითი ნიშნები: א—1; י>—20.

<sup>1</sup> სემიტური ბგერების ქართული ასოებით გადმოცემისას ჩვენ ვიყენებთ სის-ტემას, რომელიც გატარებულია ჩვენს შრომებში და რომლის მიხედვითაც ჰამზა აღინიშნება აპოსტროფით ('), ხოლო ყანი—ყ ნიშნით.

ამ ტაბულის უკვე ერთი შეხედვისთანავე აშკარა არის ბილინგვის დამწერლობის თავისებურება. რა თქმა უნდა, ეკვი არაა, რომ მას არამეული ხასიათი აქვს. უეჭველია ისიც, რომ იგი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ფალაურთან და, ნაწილობრივ, ფარსულთან<sup>1</sup>, მაგრამ მისი დუქტუსი იმდენად თავისებურია, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს გამოვყაროთ იგი როგორც სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელი შტო და მეცნიერებაში დღემდის ცნობილ ტერმინებს „პალმირული დამწერლობა“, „ნაბატეური დამწერლობა“ და სხვ., მივუმატოთ კიდევ ერთი ახალი სახელწოდება, „არმაზული<sup>2</sup> დამწერლობა“<sup>3</sup>.

არმაზული დამწერლობის თავისებურებას ნათლად ამტკიცებს ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი. ამ ორმოციოდე წლის წინათ ე. თაყაიშვილისა, ი. სმირნოვისა და სხ. მიერ გამოქვეყნებული იყო ბორში (შორაპნის მახლობლად) ნაპოვნი ვერცხლის პინაკი, რომელზედაც არმაზული ასოებით მოთავსებულია წარწერა. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მთელი რიგი სახელგანთქმული მეცნიერები ცდილობდნენ ამ წარწერის წაკითხვას, მისი ამოცნობა აქამდის ვერაფერს შეძლო და მხოლოდ ახლა, არმაზის ძეგლებზე წყალობით ხერხდება სრულებით ადვილად წაკითხვა და თარგმნა ამ წარწერისა, რომლის შინაარსი დღემდის სრულებით გაურკვეველი იყო<sup>4</sup>.

ბილინგვის ტექსტი ნაწერია გაბედული ხელით დახელოვნებული კალიგრაფის მიერ, რომელსაც ადგილის უქონლობა არ ზღუდავს. ზედა სტრიქონები თითქმის საცესებით პარალელურად მიიმართება და დაშორებულია ერთმანეთისაგან 3—3,5 სანტიმეტრით. მხოლოდ ქვედა სტრიქონებს მიუღია ოდნავ ირიბი მიმართულება ქვევიდან ზევით და მარჯვნიდან მარცხნივსაკენ. ცალკე სიტყვები დაშორებულია ერთმანეთისაგან 1,5—6 სანტიმეტრით. მანძილი ასოებს შორის ხანდახან ოთხ სანტიმეტრს აღწევს. ზოგიერთი ნოშნის სიგრძეა 7 სანტიმეტრი, ხოლო ყველაზე მოკლე ასოსი—2 სანტიმეტრი. **ⵓ** და **ⵓ** ასოები გაჭიმულია განზე, ზოგჯერ 6—7 სანტიმეტრის მანძილზე. შტრიხები გამოყვანილია მსხვილად, თითქმის უცვლელი სისქით. დუქტუსი დახვეწილია და მოხდენილი, ზოგჯერ მას ეტყობა ერთგვარი სწრაფვა ხელთხვისაკენ.

მეტისმეტად საყურადღებოა ძირითადი ხაზების მიმართულება. როგორც ცნობილია, ჩვენი დამწერლობის ძირითადი ვერტიკალური ხაზებისათვის დამახასიათებელია მიმართულება /, რადგანაც ჩვენ მარცხნიდან მარჯვნივთა ვწერთ, მაშინ როდესაც ფინიკიურსა და არამეულში იმავე ხაზებს საწინააღმდეგო მიმართულება ახასიათებს: \, რადგან ტექსტი მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა<sup>5</sup>. ვერტიკალურ ხაზებს მიჰყვება ჰორიზონტალურები,

<sup>1</sup> ტერმინით ფარსული, پارسی‌نویسی, Parsic. აღინიშნება საშუალო სპარსულის ერთ-ერთი შტო, ე. წ. სასანურ-ფალაური და არა თანამედროვე სალიტერატურო სპარსული ენა, როგორც ამას ზოგიერთი არასპეციალისტი ჩადის ყოველდღიური საუბრის დროს.

<sup>2</sup> ამ დამწერლობით ნაწერი ძეგლები არმაზის გარეშეც გვხვდება (მაგ. ბორში, შორაპნის ახლოს, დასავლეთ საქართველოში), მაგრამ ვინაიდან არმაზი ძველი ივერიის კულტურის ცენტრს წარმოადგენს, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია არმაზის ძეგლების საშუალებით აღმოჩენილი თავისებური ქართულ-არამეული დამწერლობაც არმაზის სახელით აღინიშნოს. ასეთ პრეცედენტებს მეცნიერებანი ხშირად აქვს ადგილი. შდრ., მაგ., გამოთქმა „სამხრეთ-არაბული დამწერლობა“, „სამხრეთ-არაბული წარწერები“ და სხვ., თუმცა, როგორც ცნობილია, ეს ე. წ. „სამხრეთ-არაბული“ წარწერები ჩრდილოეთ არაბეთშიაც გვხვდება.

<sup>3</sup> ამ დამწერლობის აღსანიშნავად შეიძლება გვეხმარა აგრეთვე ტერმინები ქართულ-არამეულიანი ევრიული-არამეული. პირველი მათგანი თუმც, მოსახერხებელია, მაგრამ შეიძლება არასწორ წარმოდგენას ქმნიდეს არმაზის დამწერლობაზე. მეორის შესახებ კი იგივე ითქმის, რაც ტერმინზე „არმაზული დამწერლობა“.

<sup>4</sup> ზოგიერთ მეცნიერს წარწერა ლათინური ეგონა და ცდილობდა ლათინური პალეოგრაფიის საფუძველზე ამოეკითხა იგი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ცდა უნაყოფოდ დამთავრდა.

<sup>5</sup> იხ. M. Lidzbarski, Handbuch der nordsemitischen Epigraphik, Weimar, 1898, I, p. 178 (შემდეგ შემოკლებით: NE).

რომლებიც მდგომარეობიდან: — გადადიან ასეთ მდგომარეობაში: /, ისე რომ უძველესი შრიფტის სქემა ო შემდეგში იღებს სახეს: ^ 1. მხოლოდ ის ხაზები, რომლებსაც უძველეს ძეგლებშივე ჰქონდათ ეს მიმართულება: / (ა, ბ, დ, ე და ვ ასოები), შემდეგშიაც ინარჩუნებენ ამ მდგომარეობას 1. არმაზის ბილინგვის ნიშანთა ძირითადი ხაზების მიმართულება განსხვავდება მერმინდელი ფინიკიურისა და არამეულისაგან და ჩვენი დამწერლობის მსგავსად დახასიათდება მარჯვნივსავე დახრით /. ეს შეეხება არა მარტო იმ ასოებს, რომლებსაც უძველეს ძეგლებშივე ჰქონდათ ასეთი სახე (ა, ბ, ე, ვ), არამედ სხვა ნიშნებსაც, გამონაკლის წარმოდგენს ბ, რომელიც უძველეს დამწერლობაშივე მარჯვნივ იყო დახრილი / და რომელიც სემიტური დამწერლობის მერმინდელ ძეგლთა დიდ ნაწილშიაც ინარჩუნებს ამ მდგომარეობას, მაშინ როდესაც არმაზის ბილინგვაში, სირიულისა (ესტრანგელო) და, ნაწილობრივ, პალმირულის მსგავსად, იგი მარცხნივსავე გადახრით დახასიათდება. მაგრამ სირიულისაგან განსხვავებით არმაზული ბ-ს ბუნი პირდაპირი კი არ არის, არამედ გაღუნულია, ისე რომ იგი მეტად გაჭიმულ რკალსა ქმნის. შესაბამისად, ჰორიზონტალურ ხაზებს ჩვენ ბილინგვაში ახასიათებს მიმართულება \, ისე რომ პირველადელი სქემა ო, რომელიც სემიტურ დამწერლობათა დიდ ნაწილში ღებულობს სახეს ^, ბილინგვაში ამგვარად არის წარმოდგენილი >, ეს კი ისეთი დამწერლობებისათვის არის დამახასიათებელი, რომლებშიც ტექსტი მარცხნიდან მარჯვნივ იწერება. ამასთან დაკავშირებით იხადება კითხვა: ხომ არ იყო ჩვენი წარწერის ამომჰყელი მიჩვეული წერას ისეთ ენაზე, რომელშიც ტექსტი მარცხნიდან მარჯვნივ მიიმართებოდა (ქართულზე, ბერძნულზე)? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ შევძლებდით იმ შემთხვევაში, რომ ვიცოდეთ, თუ რომელი წრიდან იყო იგი გამოსული.

ჩვენი წარწერისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ერთი საყურადღებო მოვლენა. უკვე ძველ ფინიკიურში, როგორც ცნობილია, იმ ასოებში, რომლების დაწერა არ შეიძლებოდა ერთი შტრიხით, მეორეული ხაზები გამოეყოფოდნენ ხოლმე ძირითად ნაწილებსა და გადაგვარდებოდნენ წერტილებად 1. შემდეგში, „სწრაფვამ, რაც შეიძლება იშვიათად აეღოთ წერის დროს ხელი საწერი მასალის (ქვის) ზედაპირიდან, შექმნა ყველა ანბანში საწერ ნიშანთა ლიგატურები“ 2. უკვე ფინიკიურში, რომელიც ადრე გამოვიდა ხმარებიდან, თავს იჩენს ერთგვარი დანართი ძირითადი ხაზების მიმართ. სახელდობრ, მარჯვნივ მიმავალ შტრიხებზე დაბოლოებული ასოები, რომლების ბოლოები საჭიროდ ხდიდნენ ხელის აღებას, რომ ნიშნები მომდევნო ასოს არ შეერთდებოდნენ, იხრებიან ამ ბოლოებთან მარცხნივ, ძირისაკენ და ამგვარად ჯ იძლევა ႁ-ს, ႁ — ႁ-ს, ႁ — ႁ 2 და სხ. ჩვენ წარწერასაც ახასიათებს ძლიერი სწრაფვა ძირს დახრისაკენ ჰორიზონტალური ხაზებისა, რომლებიც ასოების ძირითადი ნაწილებისაგან მიიმართებიან მარცხნიდან მარჯვნივსავე. ამ დახრის დროს ხშირად თავს იჩენს სიმრგვალე, ისე რომ ზოგჯერ ჩნდება რკალი წრფხაზის ორი მესამედის ზომისა (მაგალითად ႁ: ႁႁ 10; ႁ: ႁ 6, 8; ႁ მრავალ შემთხვევაში და სხ.). ხანდახან გადახრის ადგილას წარმოიქმნება კუთხე მახვილი გარეგანი კბილით (ႁ: ႁႁ 1; ႁ: ႁႁ 1; ႁ: ႁႁ 1; ႁ: ႁႁ 4; ႁ: ႁႁ 11). ძირს დაშვებული ხაზები ზოგჯერ სტრიქონს აღწევენ. ზოგიერთ ასოსათვის (ა, ბ) დამახასიათებელია საწინააღმდეგო მიმართულება: ვერტიკალური ბუნი მომრგვალებული გადახრა ზევით, მარჯვნივსავე.

ბუნები დაკლაკნილია, ზოგჯერ მარცხნივთა გადახრილი (ა, ბ, დ), ხან მარჯვნივ (ე, ვ, ႁ). სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა შტრიხები ვერაღებულად გადაწოლილი.

მეტად საყურადღებოა ႁ, რომლისაც რამდენიმე ვარიანტი გვხვდება: 1. მარცხენა ბუნი უერთდება შუათანას ცოტა უფრო ქვევით, ვიდრე მარჯვენა (ႁႁ 1; ႁႁ 4); 2. მარჯვენა ბუნი უფრო ქვევით არის ძირითადთან შეერთებული, ვიდრე მარჯვენა

1 NE, I, p. 178.

2 იქვე, I, გვ. 179.

(**𐎠𐎡𐎢** 3; **𐎠𐎡𐎢** 6); 3. ორივე ბუნი ერთდებდა ერთ წერტილში (**𐎠𐎡𐎢** 4; **𐎠𐎡** 8), ჩვეულებრივ შუათანა ვერტიკალური ბუნის ბოლოში, ხოლო უფრო იშვიათად, მის, თითქმის, შუა ნაწილში (**𐎠𐎡𐎢** 4). შუათანა ბუნი დაკლაკნილია (**𐎠𐎡** 7), ხშირად მას წვერი მარჯვნივ აქვს გადახედილი (**𐎠𐎡𐎢** 3; **𐎠𐎡𐎢** 6; **𐎠𐎡** 8), ზოგჯერ შედარებით სწორია და ოდნავ არის მარცხნისაკენ დახრილი (**𐎠𐎡** 1; **𐎠𐎡𐎢** 4). მარცხენა ბუნი უმეტეს შემთხვევაში სწორია, გაჭიმული და ძლიერ დახრილი მარცხნივ. ზოგჯერ (მაგ., **𐎠𐎡** 10) ის გაგრძელებულია შუათანა რკალისებრ ბუნთან შეერთების წერტილის ოქით, ხოლო შემდეგ იხრება ძირს, ვერტიკალურად, მარჯვენა ბუნთან შეერთების ადგილის ცოტა ზევით. მარჯვენა ბუნი, დამწერლობის საერთო ხასიათის მიხედვით, ჩვეულებრივ ბოლოვდება ძირისაკენ მომრგვალებულად დახრილი ხაზით, ისე რომ რკალსა ქმნის.

ბორის ვერცხლის პინაკის ხსენებულ წარწერაში ცოტა სხვა ტიპის **𐎠** გვხვდება, მაგრამ მის შესახებ მსჯელობას ჩვენ გადავდებთ ამ ძეგლის ახალი გამოცემისათვის.

ბილინგვის ალფის პარალელები ჩემთვის უცნობია სემიტური დამწერლობის ძეგლთა შორის. ერთგვარი მოჩვენებითი მსგავსება შეიძლება შემჩნეულ იქნეს ჩ. წელთაღრიცხვის 188 წლის ერთს პალმირულ წარწერაში<sup>1</sup>. მაგრამ ამ წარწერის ალფის ახასიათებს მარცხენა ბუნის (წინააღმდეგ ბილინგვის მარჯვენა ბუნისა) ძლიერი დახრა ძირისაკენ (ისე, რომ იგი მარყუჟის<sup>2</sup> სახეს იღებს) და პირდაპირი შუათანა ბუნი, რომელიც ხან მარცხნივ არის დახრილი (6: **𐎠𐎠𐎠𐎠**; 6: **𐎠𐎠𐎠**; 8: **𐎠𐎠𐎠**), როგორც ჩვენი ალფის შესატყვისი ხაზი, ხან მარჯვნივ (2: **𐎠𐎠**; 3: **𐎠𐎠**). გარდა ამისა შუათანა ბუნის წვერი ჩვენი ალფის მსგავსად ამ წარწერაში ზოგჯერ მარჯვნივ არის გადახედილი. ამ წარწერის ალფის საერთო სახე ბილინგვის **𐎠**-ის შებრუნებულს, სარკვეში ასახულ ნიშანს წარმოადგენს (შდრ., მაგ., ბილინგვის **𐎠** **𐎠𐎡𐎢** 4 სიტყვაში და პალმირული წარწერის შესატყვისი ნიშანი სიტყვაში **𐎠𐎠𐎡𐎢** 2).

ჩვენი წარწერის ალფი ძალიან მცირედა ჰგავს სათანადო ფალაურ ნიშანს, რომელიც პალმირული დამწერლობის ყაფნს მოგვაგონებს და რომელიც შეიძლება მისგანვე წარმოდგებოდეს. საფიქრებელია, ამიტომ, რომ არმაზულ და ფალაურ **𐎠**-ს შორის უშუალო გენეტიური კავშირი არც კი არსებობდეს.

მეტად დამახასიათებელია **𐎡**-ს<sup>3</sup> ფორმა, რომელიც ფარსული დამწერლობის სათანადო ნიშანს მოგვაგონებს<sup>4</sup>. მაგრამ ჩვენი წარწერის **𐎡** გაცილებით უფრო არქაულ სახეს ამჟღავნებს, ვიდრე ამ ასოს ფარსული ფორმა. სტრიქონსზედა მოკლე ბუნი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ფარსულსა და ნაბატეურში. მისი მიმართულებაც ამჟღავნებს ერთგვარ არქაულობას: თითქმის ჰორიზონტალური მდგომარეობა და უწინშენელო გადახრა მარჯვნივ. მოკლე ბუნის ჰორიზონტალში გადასვლის ადგილას ჩნდება კუთხე. სტრიქონსქვედა გრძელი ბუნი ნაკლებ ჰორიზონტალურია, ვიდრე ფარსულში და ქმნის ძალიან გაჭიმულ რკალს (სიგრძით 5. დან 7,5 სანტიმეტრამდე), რომელიც მარჯვნიდან მარცხნივ მიიმართება.

**𐎢**-ს<sup>5</sup> აქვს ფორმა, მსგავსი შედარებით გვიანდელი არამეული და აგრეთვე ახალპუნური ანბანების სათანადო ნიშნისა, რომელშიაც მარცხენა ბუნი ცოტა ქვევით არის ჩა-

<sup>1</sup> იხ. Th. Nöldeke, Palmyrenische Inschrift, ZA, IX, p. 264—267; G. Hoffmann, **𐎠𐎡𐎢** in Palmyra, ibid., p. 329—338; NE, II, табл. XL7.

<sup>2</sup> «Schleife».

<sup>3</sup> გვხვდება 15-ჯერ.

<sup>4</sup> შდრ., მაგ., სასანური დამწერლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, შაბურ I-ს წარწერა ქაბე-ი ზარდუშთ-ზე (ზორთასტრიული ქაბა). M. Sprengling, Zur Parsik-Inschrift an der 'Kaaba des Zoroaster', ZDMG, B. 91, № 3, 1937 (ფოტოგრაფია); 5. აგრეთვე მისივე წერილი A New Pahlavi Inscription. American Journal of Semitic Languages and Literatures, vol. liii, 1937, გვ. 126—144. წარწერის კარგი ფოტოგრაფიები გამოქვეყნებულია M. Sprengling-ის მიერ AJSL-ის 1940 წლის უკანასკნელ ნომერში. წარწერის შესახებ იხ. აგრეთვე W. B. Henning, The Great Inscription of Šapur I. Bulletin of the School of Oriental Studies, vol. IX, part 4, 1939.

<sup>5</sup> გვხვდება ოთხჯერ.

წელი<sup>1</sup>, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეერთებია მარჯვენა ბუნის წვერს, როგორც ეს მოხდა სირიულსა<sup>2</sup> და ფარსულში<sup>3</sup>; როდესაც იგი ერთი შტრიხით იწერება, ხელის აულეზლად. გარდა ამისა, ძირისაკენ ოდნავ ჩაზნექილი მარჯვენა ბუნი მარცხნით არის გადაწეული, ისე რომ იგი თითქმის ჰორიზონტალურ მდგომარეობას აღწევს, ხოლო მარცხენა ბუნი მარჯვენისაკენ არის მოხრილი და მცირე რკალსა ქმნის. ერთ შემთხვევაში (№121 8) მოხრის ადგილას ჩნდება მახვილი კუთხე, რომლის წაწვეტილი გარეთი კბილი მარცხნისაკენ არის მიმართული.

ფარსულ დამწერლობას უახლოვებს ჩვენ წარწერას დალეთი<sup>4</sup>, რომელიც ზიგზაგის მსგავს ხაზს წარმოადგენს  $\zeta$  და შეადგენს ერთი ზომის ორ კუთხეს, მიმართულს მარცხნით და ერთს შინაგან კუთხეს, მარჯვენა მხრისაკენ შებრუნებულს. ასოს ქვედა ბუნი არ არის გაგრძელებული, როგორც ფარსულში, არამედ მას სხვა ბუნთა თანაბარი სიგრძე აქვს. ზედა ბუნების შეერთების ადგილში ჩნდება კუთხე და არა მომრგვალებული ხაზი, როგორც ფარსულ დალეთ-ში. არმაზული დალეთის ერთგვარ ანალოგიას ვხვდებით არამეულისა და ფინიკიური დამწერლობის 20-ს აღმნიშვნელ რიცხვით ნიშანში<sup>5</sup>. ჩვენი დალეთი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს უძველეს სასანურ წარწერებს და, საფიქრებელია, რომ თავისი განვითარებითაც იგი ხსენებული საშუალო სპარსული ნიშნის პროტოტიპს წარმოადგენს.

მ<sup>6</sup> და მ<sup>7</sup> ნიშნები შესაძლებელია გენეტურად ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული და ერთი და იმავე ასოს ვარიანტებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ჩვენ წარწერაში ისინი, როგორც ჩანს, სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად არიან გამოყენებული (მ = მ; მ = მ). საერთო სახე ასოსი, რომელიც ქართულის ო-სა ჰგავს, ძალიან მოგვაგონებს სირიულ წარწერათა (ესტრანგელო)<sup>8</sup> მ-ს მოხაზულობას. მაგრამ განაპირა ბუნები ჯერ კიდევ არ დაახლოვებიან შუათანას, როგორც ეს სირიულში<sup>9</sup> მოხდა. მათი შუათანა ბუნებთან შეერთების ადგილები მომრგვალებულია და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში (№117 2; №17 7) ჩნდება ამ ადგილებში კუთხე. მ განსხვავდება მ-საგან პატარა ირიბი შტრიხით, რომელიც მარცხენა ბუნის ზედა გაგრძელებას წარმოადგენს და იმასთან ერთად მარცხნით მიმართულ ბლაგვ კუთხესა ქმნის.

ი და კ ასოები, ნაწილობრივ ჰ-ც, შეადგენენ ერთმანეთის ძალიან მსგავს ნიშანთა ჯგუფს<sup>10</sup>. ი<sup>11</sup> წარმოადგენს დაკლაკნილ ბუნს, რომელსაც წვერი ოდნავ მარცხნივა აქვს გადახრილი, ხოლო ბოლო მარჯვენისაკენ. მე მგონია შეცდომა არ იქნება, თუ ამ ასოში ერთგვარ ნათესაობას დავინახავთ პალმირულ და ფარსულ ვავთან. არმაზის ნიშნის მარცხნით მოხრილი წვერი ფარსულში რკალის სახეს ღებულობს, ხოლო ასოს მარჯვნივ მოქცეული ბოლო ჰორიზონტალური ხდება, რის შედეგად ნიშანი ჩვენს რიცხვით ნიშანს 2-ს ემსგავსება. კ<sup>12</sup> განსხვავდება ვავისაგან მხოლოდ სიგრძით. ბუნი, რომლის წვერი

<sup>1</sup> NE, I, p. 182; იგივე სახე აქვს ასოს ებრაულ კვადრატულ შრიფტში, *ibid.*, I, 192.

<sup>2</sup> NE, I, p. 194.

<sup>3</sup> შტა. შაბურ I-ის წარწერა, M. Sprengling, *op. cit.*, იქვე ფოტოგრაფიები.

<sup>4</sup> გვხვდება ხუთჯერ.

<sup>5</sup> იხ. NE, II, ტაბულა XLVI.

<sup>6</sup> გვხვდება ექვსჯერ.

<sup>7</sup> ბილინგვაში ეს ნიშანი შეიღწერ არის ნახმარი.

<sup>8</sup> E. J. Euting-ის ტაბულა Th. Nöldeke-თან, *Kurzgefasste syrische Grammatik*, Leipzig, 1898; აგრეთვე Lidzbarski, *op. cit.*, I, p. 194; აგრეთვე Ed. Sachau, *Edessenische Inschriften*, ZDMG, XXXVI, 142—167, ტაბულა I, 4, 8, აგრეთვე 153, 154, 162; Lidzbarski, *op. cit.*, II, ტაბულა XLIII, 9.

<sup>9</sup> NE, I, p. 194.

<sup>10</sup> № 1 წარწერაში ეს ასოები ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელია.

<sup>11</sup> წარწერაში იმარტება ცამეტჯერ.

<sup>12</sup> გვხვდება თოთხმეტჯერ.

მარცხნივ არის მოკცეული, ნაკლებ დაკლავნილია, ვიდრე ვავთან. ბოლო,  $\gamma$ -სთან შედარებით, უფრო ნაკლებ არის მარჯვნივ მოხრილი. კორპუსი ზოგჯერ სწორია, პირდაპირი და მარჯვნივ არაა გაღუნული (იხილეთ 3; იხილეთ 11). ასოს ბოლოები წაწვეტილია. ნიშნის საერთო ჰაბიტუსი თავისებურია და მისი ზუსტი ასლი მე არ შემხვედრია, თუმცა ერთგვარი ნათესაობა შეიძლება დავინახოთ ებრაული (კვადრატული) დამწერლობის ზოგიერთი ძეგლის სათანადო (ბოლოკიდურ) ნიშანთან.

ქათ-ი<sup>1</sup> აგებულია მარტივი სქემის მიხედვით და შედგება ორი ხაზისაგან, რომელთაგან ერთი ჰორიზონტალურია და ერთი ვერტიკალური. ჰორიზონტალურ ხაზს აქვს მიმართულება: \ და დახასიათდება მარცხენა ბოლოს ზევითკენ ოდნავ შესამჩნევი გადახრით. ვერტიკალური ხაზი ბევრად უფრო გრძელია, ვიდრე ფალაურში. იგი მარცხნით არის ჩაზნექილი და არა მარჯვენა მხრისაკენ, როგორც ეს ფალაურს ახასიათებს. ასოს საერთო ჰაბიტუსი ძალიან მოგვაგონებს ებრაული კვადრატული შრიფტის შერმინდელ ნიმუშთა ბოლოკიდურ  $\daleth$ -ს.

ქათ-თან ახლოს დგას რემ-ი<sup>2</sup>, რომელიც იმავე სქემის მიხედვით არის აგებული და შედგენილია აგრეთვე ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებისაგან. ვერტიკალური ბუნი ოდნავ მარჯვნივსაა არის მოხრილი. ქათისაგან ასო განსხვავდება სიდიდით ვერტიკალური ბუნისა, რომლის სიგრძეა 2—2,5 სანტიმეტრი, მაშინ როდესაც იმავე ბუნის სიგრძე  $\daleth$ -სთან 3,5—4,5 სანტიმეტრს აღწევს. ასოს საერთო სახე ძალიან მოგვაგონებს პალმირულსა და ებრაული კვადრატული შრიფტის  $\daleth$ -ს. № 1 წარწერაში ეს ასოები ძალიან მკიდრედ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისე როგორც  $\gamma$  და  $\daleth$ -საგან.

ძალიან საყურადღებოა ზაან-ი<sup>3</sup>. პალმირულსა და ნაბატეურის პირდაპირ ბუნის ნაცვლად არმაზულ ასოს ზედა ნაწილი ძალიან აქვს ძირს მომრგვალებულად დახრილი მარჯვენა მხრისაკენ (იხილეთ 6, his; 8). კორპუსი ცოტა მარჯვნივ არის გადაწოლილი. ბუნი მარჯვნივ არის მოკეცილი და მიმართება ძირს ჩამოშვებული რკალისებრი ზედა ხაზის შესახვედრად. ერთ შემთხვევაში (დასაწყისი იუ მეექვსე სტრიქონისა) ვერტიკალური ბუნის ბოლო მარცხნით არის მოხრილი, რაც ამ ასოს სასაწერი დამწერლობის ზაანს უახლოვებს.

$\daleth$  ასოს<sup>4</sup> ისევე პალმირული დამწერლობისაკენ მიეყვართ. ბუნი საკმაოდ გრძელია, ზომიერად მოხრილი მარჯვნივ, ზედა ნაწილი პირდაპირი, ყოველგვარი კავის<sup>5</sup> გარეშე წინააღმდეგ ზოგიერთი პალმირული წარწერისა<sup>6</sup>. მუცელი მიაგავს მომრგვალებულ წრეს, რომელიც ვერტიკალურ ხაზს ვერ აღწევს.

დოდ-სა<sup>8</sup> აქვს ფორმა ვერტიკალურად აღმართული რკალისა, რომელიც მარცხნით არის შებრუნებული. ასოს სიდიდე იცვლება დიდ (3 სმ) ზომისა (ნახ. იხილეთ 1;  $\daleth$  1;  $\daleth$  1;  $\daleth$  2 და სხ.) და მცირეს (1,8 სმ) შორის. რკალი ხან ძალიან ვაკეობულია (იხილეთ 3;  $\daleth$  6;  $\daleth$  8;  $\daleth$  11), ცალკე შემთხვევებში კი ( $\daleth$  1;  $\daleth$  6) ნახევარწრეს შეადგენს. ზოგჯერ ვერტიკალური ბუნის შუაში კეთდება ოდნავ შესამჩნევი კუთხე, რომლის გარეთა მახვილი კბილი მარჯვნივ არის მიმართული ( $\daleth$  11). ეს ასო განსაკუთრებულ თავისებურებას არ წარმოადგენს და საშუალო სპარსულსა და არამეული (პალმირული) დამწერლობის მრავალ ძეგლში მას საკმაოდ მოეპოვება პარალელური.

<sup>1</sup> ნახმარია შეიდჯერ.

<sup>2</sup> გვხვდება ჩვიდმეტჯერ.

<sup>3</sup> ცხრაჯერ არის ნახმარი.

<sup>4</sup> გვხვდება ოთხჯერ.

<sup>5</sup> შდრ., მაგ. NE, II, ტაბ. XXXIX 2, 3; XL, 12 და მრავალი სხვა.

<sup>6</sup> «Häkchen».

<sup>7</sup> იხ., მაგ., პალმირული ტარიფი.

<sup>8</sup> იხმარება 29-ჯერ, ე. ი. უფრო ხშირად, ვიდრე რომელიმე სხვა ასო.



საინტერესოა ფორმა ლამედ-ისა<sup>1</sup>, რომლის ძირითად ბუნს, როგორც ცნობილია, სემიტური ეპიგრაფიკის მრავალ ძეგლში პირვანდელი მდგომარეობა აქვს შენახული: /. მხოლოდ სირიულსა და ზოგიერთ პალმიურულ წარწერაში<sup>2</sup> მიიღო მან საწინააღმდეგო მიმართულება \, მსგავსად ჩვენი წარწერისა. ამასთანავე ბუნი ლებულობს სახეს ძალიან გაჭიმული რკალისა (4,5—7 სანტიმეტრამდის), რომელიც მარცხნისაკენ არის გადაწოლილი, ისე რომ ზოგჯერ იგი ჰორიზონტალს უახლოვდება (ח'ק 2; ח'ב 3). დიდი ბუნის მოკლე ბუნთან გადაბმის ადგილი მომრგვალებულია (ח'ק 2; ח'ב 7), ხან კი—კუთხოვანი (ח'ב 7; א' 8). მოკლე ბუნის მიმართულებაა: /, ზოგჯერ იგი ძლიერ იხრება მარცხნივ და ჰორიზონტალურ მდგომარეობას (ח'ב 7) აღწევს.

მემ-ი<sup>3</sup> სათანადო ფალაურ (ქალდეურ-ფალაურ) ასოს მოგვაგონებს. ბუნების მიმართულება არ არღვევს ძირითად სქემას, რომელიც ჩვენი წარწერისათვის არის დამახასიათებელი. მარცხენა ვერტიკალური ბუნი პირდაპირია (א'ב'ר' 3; ע'ב' 10; ח'ב' 10; ח'ק'א' 11), ხოლო ზოგჯერ, ჰორიზონტალურ ბუნთან გადაბმის ადგილას, ოდნავ მარჯვნივ ჩაზნექილი (ח'ב 3, 5, 7; א' 7; ר'ב' 8). მარჯვენა ბუნი ხანდახან სწორია და მას მარცხენა ბუნის ქვედა ნაწილის თანაბარი სიგრძე აქვს. ძირისაკენ ოდნავ ჩაზნექილი ჰორიზონტალური ბუნი მარცხნივ ზომიერად არის გამოშვებული (א'ב'ר' 3; ח'ב' 7; א' 7; ע'ב' 10; ח'ק'א' 11), როგორც ფალაურში, თუმცა ზოგჯერ მისი სიგრძე საკმაოდ დიდ ზომას აღწევს (ח'ב' 3, 7). საერთოდ ჩვენი წარწერის 12 მცირედ განსხვავდება ფალაური დამწერლობის სათანადო ნიშნისაგან.

მემ-ს, თავისი მოხაზულობით, ძალიან უახლოვდება კ, რომელიც ბილინგვაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება (ח'ק 2) და რომელიც ნაკლებ განსხვავდება ფალაურის სათანადო ნიშნისაგან. მისი ანალოგიები შეიძლება პალმიურულშიაც მოიხსნოს<sup>4</sup>. ჰორიზონტალური ხაზი ცოტა ჩაზნექილია. ვერტიკალურ ბუნთან მისი შეერთების ადგილიდან მარცხნივ გამოშვებულია საკმაოდ გრძელი ირიბი შტრიხი. ვერტიკალური შტრიხების სიგრძე დაახლოებით თანაბარია და ორივე ცოტა მარცხნივ არის მოხრილი. ასოს მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე აქვს და მიუხედავად 12-სთან მსგავსებისა, მისი გამორჩევა ამ უკანასკნელისაგან თავისუფლად შეიძლება, რაც არ ითქმის № 1 წარწერის შესახებ, სადაც ეს ასოები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

სამეხ-ი<sup>5</sup> საშუალო სპარსულთან ამქლავნებს ერთგვარ შორეულ მსგავსებას, მაგრამ მას ამავე დროს მეტად საინტერესო თავისებურებანი ახასიათებს. მარცხენა ბუნი ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე მარჯვენა და სტრიქონსზედა მარცხნით მოქნილ მოკლე შტრიხთან ერთად იგი პატარა რკალსა ქმნის. ჰორიზონტალური ბუნის ვერტიკალურ ხაზთან გადაბმის ადგილი მომრგვალებულია. მარჯვენა ვერტიკალური ბუნი ქართული ს ასოს მსგავსად ძლიერ არის მოხრილი მარჯვნივ და არა მარცხნით, როგორც ეს სემიტური ეპიგრაფიკის თითქმის ყველა ძეგლისათვის არის დამახასიათებელი. № 1 წარწერაში ეს ასო საგრძნობლად განსხვავდება ბილინგვის სამეხისაგან და სპარსულს უახლოვდება.

ყ-ს<sup>6</sup> მეტად თავისებური სახე აქვს. მისი წარმოშობა ჩვენ ამგვარად წარმოგვიდგენია. არამეული და ფინიკიური დამწერლობის უძველეს ძეგლებში ცანნი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს წრეს O, რომელიც შემდეგ თანდათან იხსნება და, კუთხოვანებისაკენ სწრაფის შედეგად, პირვანდელი რკალისებრი ხაზისაგან U ვლებულობთ კუთხეს, რო-

<sup>1</sup> გვხვდება ცბრაჯერ.

<sup>2</sup> NE, II, ტაბ. XLII, 10; XLV; Nöldeke, ibid., იბ. ტაბულა.

<sup>3</sup> თერთმეტჯერ გვხვდება.

<sup>4</sup> NE, ტაბულა XL, 6 (სტრიქონი 5: ח'ב).

<sup>5</sup> გვხვდება ხუთჯერ.

<sup>6</sup> სამჯერ გვხვდება.

მელიც ზევით ღიაა V<sup>1</sup>. უფრო ახალგაზრდა არამეულ დამწერლობებში ამ კუთხეს (V) მარჯვენა ბუნი უგრძელდება<sup>2</sup>. ასეა, მაგალითად, ნაბატეურში, პალმიურულში და, აგრეთვე, ებრაულ კვადრატულ შრიფტში:  $\gamma$ . წინააღმდეგ ამისა, არმაზულ ყაენს მარცხენა ბუნი გაჭრძელდება<sup>3</sup>:  $\gamma$  (V<sup>1</sup> 10). გარდა ამისა, იმავე მიზეზების წყალობით, რომლების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი<sup>4</sup>, მარჯვენა ბუნი მარცხნით იხრება, ძირისაკენ, ისე რომ თითქმის პორიზონტალს აღწევს. მოხრის ადგილი მომრგვალებულია (V<sup>1</sup> 10), ზოგჯერ კი ქმნის კუთხეს, რომლის წვეტიანი გარეგანი კბილი ზევით არის აშვერილი (X<sup>1</sup> 1; X<sup>2</sup> 4). აღსანიშნავია, რომ № 1 წარწერაში ამ ბუნს ბოლო ჯერ კიდევ არა აქვს მოხრილი, რის გამო ასო უფრო მეტად უახლოვდება არქაულ ტიპს (Y).

ძალიან თავისებური ფორმისაა ფე<sup>5</sup>. ამ ასოს ანალოგიები ჩემთვის უცნობია, წარწერაში ეს ნიშანი ერთი შტრიხით კი არ იწერება, როგორც ჩვეულებრივად არამეულში, არამედ ორით. ამ ასოსათვის დამახასიათებელი რკალისებრი ზედა ხაზი არ გადადის ვერტიკალურში, არამედ გაკიშულია ძირს, მარჯვენისაკენ, ვერტიკალურ ბუნთან შეერთების წერტილის იქით. მარცხნით ჩაზნექილი ვერტიკალური ბუნი რკალთან შეერთებულა შუაზე ქვემოთ  $\Gamma$ . № 1 წარწერაში ასოს სხვა ფორმა აქვს. მისი ზედა ნაწილი წარმოადგენს ძალიან მოღუნულ მთლიან რკალს, რომლის შუა ნაწილიდან ვერტიკალური ბუნი არის დაშვებული  $\Gamma$ . ამგვარად, ასო ძალიან მოგვაგონებს ბერძნულ  $\Phi$ -სა და ქართულ მთავრულ  $\Phi$ -ს. როგორც ცნობილია, ხსენებულ ბერძნულ ასოს სემიტურ დამწერლობაში აქამდის პარალელები არ მოეპოვებოდა, რის გამო მას უკავშირებდნენ ფინიკიურ  $\Phi$ -ს, რომელსაც მსგავსი მოხაზულობა აქვს<sup>6</sup>. არმაზის ძეგლებში ჩვენ ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც სემიტურ დამწერლობაში ეს ასო იმგვარ სახეს ატარებს, როგორც ბერძნულსა და ქართულში და, შესაძლებელია, ეს გარემოება არ იყოს მნიშვნელობას მოკლებული ამ ასოების ისტორიის შესწავლისათვის, თუ, რა თქმა უნდა, არ ვითქვამთ, რომ ქართულ-არამეული ფორმა ასოს ბერძნულის ან ქართულის გავლენის შედეგია<sup>7</sup>.

ძალიან ძველი სახე აქვს წადეს<sup>8</sup>. აქაც თავს იჩენს ერთგვარი დანართი ძირს დახრილი შტრიხის სახით, რომელიც უკვე ფინიკიურში ჩნდება<sup>9</sup>. ამის წყალობით ასო ემსგავსება  $\alpha$ -ს, რომლისაგანაც მხოლოდ მარცხენა ბუნის სიგრძით განსხვავდება. ნიშნის საერთო სახე თითქმის იდენტურია ერთი მხრით საშუალო ფინიკიური  $\alpha$ -სი, ხოლო მეორე მხრით ქართული ნუსხური  $\alpha$ -სი<sup>10</sup>. ფინიკიურისაგან ასო იმით განსხვავდება, რომ მას არა აქვს სტრიქონსზედა მოკლე შტრიხი, ამასთანავე, ვერტიკალური ხაზების ერთმანეთთან გადაბმის ადგილები მომრგვალებულია.

<sup>1</sup> NE, I, p. 188.

<sup>2</sup> NE, I, p. 191.

<sup>3</sup> შდრ. ზევით, ძირითად ხაზთა მიმართულებას შესახებ, გვ. 6.

<sup>4</sup> შდრ. ზევით, გვ. 6; აგრეთვე NE, I, p. 179.

<sup>5</sup> წარწერაში შეიძლება არის ნახშირი.

<sup>6</sup> შდრ., მაგ., W. Larfeld, Griechische Epigraphik, München, 1914 p. 236 ff; ივ. ჯავახიშვილი, ქართულ დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფილისი, 1926, გვ. 218—219.

<sup>7</sup> შდრ. ზევით, ძირითად ხაზთა მიმართულებას შესახებ, გვ. 6.

<sup>8</sup> გვხვდება მხოლოდ სამჯერ.

<sup>9</sup> ნ., მაგალითად, 96 წლის (ჩვენ ერამდის) ცნობილი წარწერა პირიდან, NE, II, ტაბ. VIII, 6; I, p. 425, №№ 968—974.

<sup>10</sup> საყურადღებოა, რომ სემიტური ბგერა, რომელიც ხსენებული ასოთა აღნიშვნა, ქართულსა და სომხურში მკვეთრი აფრიკატით გადმოიცემა და ნუსხა ზუცჳრად ამგვარად იწერება:  $\Gamma$ , შდრ., მაგალ., სომხ.  $\text{Մևկկկխայ} = \text{აქრჯ}$ ;  $\text{խարքბხან} = \text{ქჯრჯ}$ ;  $\text{ბჳალოქ} = \text{ოიჯჯ}$ , ებრ.  $\text{ויהבב}$ ;  $\text{ויהב} = \text{ოიჯ}$ .

უ<sup>1</sup> ამქვლენებს მსგავსებას სათანადო არამეულ ნიშანთან და მისგან დამოკიდებულ ფალაურ ასოსთან. ამ ასოშიაც თავს იჩენს ვერტიკალური ბუნიდან გამომდინარე ჰორიზონტალური ხაზის დანართი ძირს მოხრილი შტრიხის სახით<sup>2</sup>. მარცხენა ბუნი, ჰორიზონტალურ ხაზებთან შედარებით, მსხვილია. მას ირიბი მიმართულება აქვს და ბოლოვდება სტრიქონსქვედა პატარა შტრიხით. ირიბია ( / ) აგრეთვე მისგან მარცხნიდან მარჯვნივსაკენ მიმავალი ჰორიზონტალური ბუნები. საერთოდ, ასოს მკვეთრად ჩამოყალიბებული და მოხდენილი სახე აქვს.

რ-ს<sup>3</sup> ბილინგვაში უფრო არქაული სახე აქვს, ვიდრე ფალაურში ან მერმინდელ სემიტურ (პალმირულსა, ნაბატეურსა ანდა ებრაულ კვადრატულ) ანბანში და ძალიან ახლოს დგას არამეულისა (მაგ., ეგვიპტის არამეული პაპირუსებისა) და საშუალო ფინიკიურის თავ-ის ძველ ტიპთან. მარცხენა ბუნი ბევრად უფრო გრძელია, ვიდრე მარჯვენა (6—7 სანტიმეტრს აღწევს) და ოდნავ მოხრილია მარცხნით. ჰორიზონტალური ხაზი ცოტა ძირს არის დახრილი: \. ჰორიზონტალური ბუნი მომრგვალებულად არის გადაბმული ვერტიკალურთან, რომელიც თითქმის სტრიქონის ხაზს აღწევს (იჩიჰ 3; იჩაჰ 11). ზოგჯერ მარჯვენა მოკლე ბუნი პირდაპირი ხაზით მიმართულია მარცხენა ვერტიკალური ხაზისაკენ. ასეთ შემთხვევაში ვერტიკალური ხაზის ჰორიზონტალურთან გადაბმის ადგილას მახვილი კუთხე ჩნდება (იჩიჰ 1; იჩიჰ 4; ყიჰ 5, 6).

შემთხვევით ჩვენს პატარა წარწერაში არამეული დამწერლობის ყველა ასო აღმოჩნდა. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს არმაზის დამწერლობის შესახებ მთლიანი წარმოდგენა ვიქონიოთ. გარდა ამისა, ბილინგვაში გვხვდება ორი რიცხვითი ნიშანი: 20 და 1, რომლებშიაც აგრეთვე თავს იჩენს ერთგვარი თავისებურება. ერთეულის აღმნიშვნელი ნიშანი არ არის უბრალო ვერტიკალური ხაზი, როგორც ეს თითქმის ყველა სემიტურ ძველშია, აგრეთვე ფარსულში, არამედ ძალიან მოგვავსებს არმაზისავე დამწერლობის ო ასოს. ბუნი, როგორც ო-ს, მარჯვნივთა აქვს მოხრილი და, იგი მარჯვენა მხრისაკენ მიმართულ რკალს წარმოადგენს. ზედა ნაწილი ძირისაკენ არის მარჯვნივ დახრილი.

მეტად საყურადღებოა 20 ნიშნის მოხაზულობა. იგი წარმოადგენს ერთმანეთის თავზე მოთავსებულ ორ ღია სამკუთხედს, რომლების კუთხეები მარცხნით არის მიმართული.

**ბიქსურ** = **ბიქს**; **ბიქ** = **ბიქს**, ებრ. **בִּיכְס**, არაბ. **بيكس**; **ხაბკაიხ** = **ხაბკ**; სომხ. **ԽԻԿԱԿ** ქართ. წინწილა, არამ. **חֲכַץ** და სხ.

დამახასიათებელია, რომ თვით სახელწოდება **ჰ** ასოსი ქართულად გამოითქმის ამგვარად: **ჴ** ა დ ე. ასე, მაგ., ქართული ფსალმუნის ერთ-ერთ უძველეს ტექსტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის № 38 ხელნაწერში, რომელიც 974 წლით არის დათარიღებული, ასეთ ფრაზას ვხვდებით: „**ჴ** ა დ მ რ ჩ ო ბ ლ ა რ ს და მ ე [მ] და ნ უ ნ (ხელნაწერშია მ ე დ ა ნ უ ნ) და ა ფ შ და წ ა დ ე ე. ი. „ასობეი ქ (ქაფ). მ (მემ), ნ (ნუნ), ფ (აფს, ებრ. ფე) და წ (წადე) ორნაირი არისო“. მართლაც, როგორც ცნობილია, ამ ასოებს ორი სხვადასხვა მოხაზულობა აქვს, იმისდა მიხედვით, თუ სად იხმარება ეს ნიშნები, სიტყვის ბოლოს, თუ სხვაგან. ზოგიერთი ასოს სახელწოდების დამახინჯება (მ ე დ ა ნ უ ნ, ნაცვლად მ ე მ და ნ უ ნ-ისა, აფშ, ნაცვლად ფ შ-ის და სხვ.), რასაც ტექსტში ვხვდებით, მოწმობს, რომ გადამწერს უკვე აღარ ესმის ფრაზის მნიშვნელობა და რომ ტექსტი უფრო ძველ ეპოქას ეკუთვნის, ვიდრე ხელნაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი, ყველა ინიშნის მიხედვით, ბერძნულიდან არის ნათარგმნი, **ჰ** ასოს სახელწოდება ბერძნული ფორმით კი არ არის გადმოცემული, არამედ იმ ფორმით, რომელიც ძველ გამოთქმას ასახავს, როდესაც სემიტური (ებრაულ-არამეული) **ჰ** სისტემატურად გადმოდიოდა ქართული **ჴ** ბგერით. ასეთ შეხვედრას, პალეოგრაფიულსა და ფონეტიკურს, ქართულ **რ**-სა და არმაზულ **რ**-ს შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული დამწერლობის ისტორიისათვის, მით უმეტეს, რომ ეს შეხვედრა, უფრო სწორად, ნათესაობა, სხვა შემთხვევებშიაც იჩენს თავს (მაგალითად, ფ, ს ასობებში). ეს საკმაოდ თვალსაჩინო იქნება ყველასათვის, ვინც ამ დამწერლობის ისტორიას გაითვალისწინებს და მოერიდება აჩქარებულს უარყოფით დასკვნებს ქართული ასოების არმაზულთან უბრალო გარეგნული მსგავსების ან არმსგავსების საფუძველზე.

<sup>1</sup> გვხვდება ზუთჯერ.  
<sup>2</sup> ნ. ზევით, გვ. 6.  
<sup>3</sup> გვხვდება ცხრაჯერ.

ნიშანი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ იგი ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულს ათეულის მნიშვნელობა აქვს ( $20 = 10 + 10$ ). ეს ნიშნები წარმოდგება უბრალო ჰოროზონტალური ხაზებისაგან, რომლებსაც შემდეგში, ზემოთ ხსენებული მიზეზების ძალით<sup>1</sup>, უჩნდებათ დამატებითი ხაზი მარჯვენა მხრისაკენ ძირს დახრილი შტრიხის სახით<sup>2</sup>. ამგვარად იქმნება ფინიკურსა, არამეულსა და პალმირულში ცნობილი ნიშნები 10-სათვის: -. არამეულში<sup>3</sup> გვხვდება ბილინგვის ციფრის სახესხეობით იდენტური ნიშანი. შემდეგ, რიცხვი 20 აღინიშნება > ნიშნის განმეორებით, მაგრამ ჩვეულებრივ ეს ნიშნები ერთმანეთს უერთდებიან და ლებულობენ სახეს ზიგზაგისებრ ხაზისა, რომელსაც მარცხნისაკენ მიშვებული ორი კუთხე აქვს და ერთი შინაგანი კუთხე, რომელიც მარჯვენა მხრისაკენ არის მიმართული<sup>4</sup>, ისე რომ ნიშანი არმაზის დაღეთის იდენტური ხდება. პალმირულში<sup>5</sup>, ხოლო შემდეგ სპარსულში მოსახვევ ხაზთა მომრგვალებულობის გამო ასო ჩვენი სამის სახეს ლებულობს 3. წინააღმდეგ ამისა, არმაზის რიცხვით ნიშანში (20) ეს კუთხეები არ არის შეერთებული და ფინიკურისა და არამეულის კ-საგან განსხვავებით მას აქვს ასეთი სახე: 7, უფრო არქაული, ვიდრე სემიტური ეპიგრაფიკის ბევრს უძველეს ძეგლში. ისე, რომ წარწერა ამ მხრივაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

არმაზის დამწერლობის ამ მოკლე დახასიათების დასასრულს უნდა აღინიშნოს რიგი თავისებურებანი, რომლებსაც ბილინგვა ამჟღავნებს ჩვენთვის ცნობილი სემიტური დამწერლობის ძეგლებთან შედარებით. ზოგიერთი ნიშანი მას ფალაურს უკავშირებს. ზოგიც ფარსულსა და პალმირულს. ზოგჯერ იძულებული ვართ პარალელურ ძველ არამეულსა და ფინიკურშიაც კი ვეძებოთ, მაგრამ დამწერლობის საერთო სახე იმდენად თავისებურია, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს გამოვყოთ იგი როგორც სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელი შტო, რომელსაც ჩვენ არმაზულს ვუწოდებთ. ამ მხრივ წარწერა ალბათ ახალ ფურცელს გადაშლის სემიტური ეპიგრაფიკის ისტორიაში. მოხდენილი ხაზები, ხაზთა გადახმის ადგილების მომრგვალება, ასოთა მტკიცედ გამოკვეთილი სახეები, რაც სრულყოფის საზღვრებს აღწევს, მოწმობს დიდ ოსტატობას მწერლისა, რომელმაც წარწერა გამოკვეთა. ჩვენ არ ვიცით ეკუთვნოდა იგი ბერძნულ-არამეულსა თუ რომელიმე სხვა წრეს, მაგრამ მისი მტკიცე და გაბედული ხელი გვიჩვენებს. რომ მას კარგი კალიგრაფიული სკოლა ჰქონდა გავლილი.

ზოგიერთი არმაზული ნიშანი გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს ქართულ ასოებთან. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ისევ არ დაისვას ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი. ამ საკითხის განხილვა სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქართულ ასოებში, რომლებიც გაცილებით უფრო გვიანდელ ძეგლებშია ფიქსირებული, ვიდრე არმაზის წარწერაა, ზოგჯერ უფრო მეტი არქაულობა იჩენს თავს. ვიდრე არმაზის სათანადო ნიშნებში. ქართული ნუსხური ყ გაცილებით უფრო ძველია თავისი მოხაზულობით, ვიდრე არმაზის წარწერის სათანადო ნიშანი (2), ამიტომ სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ქართული დამწერლობა არმაზის ასოების მერმინდელ განვითარებას წარმოადგენს. უფრო საფიქრებელია, რომ ერთიცა და მეორეც ერთი საერთო წყაროსაგან, ფინიკურისა და ძველი არამეუ-

<sup>1</sup> ნ. ზევიტ, გვ. 6.

<sup>2</sup> NE, I, p. 198.

<sup>3</sup> NE, II, ტაბ. XLVI.

<sup>4</sup> ასე ფინიკურში, აგრეთვე არამეულში, იხ. NE, II, ტაბულა XLVI.

<sup>5</sup> NE, I, გვ. 200.

ლისაგან წარმოდგება, როგორც ამას ჯერ კიდევ განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჰფიქრობდა<sup>1</sup>. შესაძლებელია ქართულსაცა და არმაზულსაც საფუძვლად დაედო ძველი არამეული დამწერლობის თავისებური შტო, რომელთანაც ხშირად არმაზული უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართული, ზოგჯერ კი პირიქით.

ბილინგვის დათარიღებისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, არმაზის ერთენოვანი წარწერა მოვიშველიოთ.

ჩვენ არა გვაქვს განზრახული აქ ამ წარწერის სრული პალეოგრაფიული ანალიზი წარმოვადგინოთ<sup>2</sup>. აღენიშნავენ მხოლოდ, რომ ზოგჯერ იგი გაცილებით უფრო მეტ არქაულობას ამჟღავნებს, ვიდრე ბილინგვა<sup>3</sup>. ასე, მაგალითად, ზოგიერთ ასოს (ბ, ყ, ო და სხ.) აქ გაცილებით უფრო არქაული სახე აქვს, ვიდრე ორენოვან ეპიტაფიაში. დამწერლობა, საერთოდ, უფრო ნაკლებ მკაფიოა, ზოგიერთი ასო (რ, ჰ, ი და კ; ლ, დ და უ) ხშირად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან. ხშირია მერყეობა, როგორც ცალკე ასოების დაწერილობაში, ისე ორთოგრაფიაში. დამწერლობის დუქტუსი, საერთოდ, ძალიან ძველია, უფრო ძველი, ვიდრე პალმირულისა და ნაბატეურის<sup>4</sup>. მაგრამ ძველში ისეთ ფონეტიკურ განვითარებათა კვალი არის შენახული<sup>5</sup>, რომ არ შეიძლება იგი პირველ საუკუნეზე (ჩვენი წელთაღრიცხვით) უფრო ადრინდელ ხანაში მოვათავსოთ. უფრო საფიქრებელია, რომ ის ძველი I ან II საუკუნის ეკუთვნის, მხოლოდ, თუ წარწერაში მოხსენებული „მიჰრიდატ მეფე ძე ფარსმან მეფისა დიდისა“ იგივე პირია, რაც მცხეთაში 1867 წელს ნაპოვნს ვესპასიანეს ბერძნულ წარწერაში<sup>6</sup> მოხსენებული „მიჰრიდატ ძე ფარსმანისა“<sup>7</sup>, მაშინ წარწერა შეიძლება დათარიღდეს ცოტად თუ ბევრად მეტი სიზუსტით, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევრით (I საუკუნის ოთხმოციანი წლების მახლობელი ხანით, რომელსაც ვესპასიანის ხსენებული წარწერა ეკუთვნის).

იმ წარწერასთან შედარებით ბილინგვის დამწერლობა უფრო ახალგაზრდაა. მკაფიოობისა და სიმკვეთრის გვერდით თავს იჩენს სწრაფვა ხელთხულობისა და დამატებითი ელემენტების შემოტანისაკენ. ცალკე სიტყვების ფორმებიც უფრო ახალგაზრდაა. ასე, მაგალითად, № 1 წარწერის არქაული ფორმის ნაცვლად **შრიდ** **πιტქ**, ბილინგვაში ვხვდებით ამ სიტყვის **ლ** ასოთი დაწერილობას: **შრილ**, ხტქ, როგორც ეს მიღებულია სასანური ეპოქის წარწერებში და აგრეთვე სომხურში, ისე როგორც მერმინდელ ბერძნულ ძეგლებში. ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბილინგვა ერთენოვან წარწერაზე უფრო ახალგაზრდაა და თუ ეს უკანასკნელი I საუკუნის ბოლოს ეკუთვნის, ორენოვანი ეპიტაფია უნდა მივაკუთვნოთ II საუკუნის ბოლოს, ან უფრო სწორად, II საუკუნის ნახევარს<sup>8</sup>.

არმაზის წარწერები, ამგვარად, ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ მონუმენტალური სასანური დამწერლობის უძველეს ძეგლებს და ამიტომაც, საფიქრებელია, დიდ როლს შეასრულებენ საშუალო სპარსული დამწერლობის ისტორიის შესწავლის საქმეში.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1926, გვ. 223 შმდ.

<sup>2</sup> წარწერის დაწერილობითი პალეოგრაფიული ანალიზი მოცემული იქნება მის გამოქვეყნებისას.

<sup>3</sup> მათ ჩვენ ცალკე შევხვებით.

<sup>4</sup> იხ. А. Амيرانашвили, Греческие надписи Музея Грузии. საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, თბილისი, 1928, გვ. 191—196 (იქვეა ლიტერატურა ნაჩვენები); აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1928, გვ. 158—159; А. Амيرانашвили, Иберния и римская экспансия в Азии. Вестник Древней истории, 4 (5), მოსკოვი, 1938, გვ. 161 შმდ.; Neilson C. Debevoise, A Political History of Parthia, Chicago, 1938, p. 201 და შნშნ. 60 (იქვე ლიტერატურა).

<sup>5</sup> არის საფუძვლები, რომლებიც ვაფიქრებინებს, რომ ეს პირები მართლაც ერთი და იგივეა.

<sup>6</sup> ნ. ქვევით, წარწერის მოქმედი პირების შესახებ.



## ბ. ებრაული

1	אנה סערפיט ברהי זי	1
2	זיוח קליל בטחש זי פרסמן	2
3	מלך אנהת זי יודמנגן ונציה	3
4	זוכביר ארוסת עבירא רב	4
5	הרבין זי חסיפרנוג מלך ברי	5
6	זי אגריף רב הרבין זי	6
7	פרסמן מלך חבל חבלך מא	7
8	זי פרנוש לא גמיר והבין	8
9	טב וזשפיר יהוה היך זי בר	9
10	אינש לא רמע יהוה מן	10
11	טבות ומאיהין בשנת 21	11

## გ. ლათინური

1	'nh s'ipyt brty zy	1
2	zywh klyl bthš zy prsmn	2
3	mlk 'ntt zy ywdmngn wnsyħ	3
4	wkbyr 'rwst 'byd' rb	4
5	trbš zy ħsyprawg mlk bry	5
6	zy 'gryp rb trbš zy	6
7	prsmn mlk ħbl ħblyk m'	7
8	zy prnwš l' gmyr whkyn	8
9	ħb wšpyr yħwh ħyk zy br	9
10	'ynš l' dm' yħwh mu	10
11	ħbwt wmy'tyn bšnt 21.	11

## თ ა რ ბ მ ა ნ ი

- 1 მე (ვარ) სერაფიტი, ასული
- 2 ზევახისა, მცირისა პიტიახზისა თარსმან
- 3 მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა <sup>1</sup>—ძღვევამოსილისა
- 4 და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოჲს
- 5 მოძღურისა ხსეთარნუგ მეფისა—ძისა <sup>2</sup>
- 6 აგრიფა ეზოჲს მოძღურისა
- 7 თარსმან მეფისა. ვაება ვაებისა <sup>3</sup>. ის
- 8 რაც [=ის ვინც] <sup>4</sup> იყო **פ'ר'נ'ו**  
არა დასრულებული [ე. ი. ახალგაზრდა?] <sup>5</sup> და იმდენად
- 9 კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არა-
- 10 ვინ იყო [მისი] მსგავსი
- 11 სილამაზით <sup>6</sup>. და გარდაიცვალა 21 წლისა.

<sup>1</sup> ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში მოთავსებულია **י'א**, «და» კავშირი, რომლის შესახებ იხ. ქვევით, გვ. 21—22. <sup>2</sup> ეხება იოდმანგანს. <sup>3</sup> იხ. ქვევით, გვ. 23.

<sup>4</sup> იხ. ქვევით, გვ. 23—24.

<sup>5</sup> იხ. ქვევით, გვ. 24.

<sup>6</sup> იხ. ქვევით, გვ. 26.





ასუანის ტექსტებში<sup>1</sup> და სხ. იგივე ფორმა<sup>2</sup> გამოყენებულია იდეოგრამად წიგნურ ფალაურში, ისე როგორც ფარსულ წარწერებში (𐎠𐎡) (იკითხება A.Δ. az<sup>3</sup>).

— **ԲԻՐԵՍ** s'rpyt ს ს რ ფ ბ, დედაკაცის საკუთარი სახელი სერაფიტი, შესაძლებელია ეგვიპტური წარმოშობისა. შეესატყვისება ბერძნულს ΧΡΑΠΕΙΤΙC. აღსანიშნავია, რომ ბერძნული Η ჩვენ წარწერაში **Է** -ს საშუალებით არის გადმოცემული. შდრ. ამას **עמר** სიტყვის დაწერილობა ცაანით ე-ს აღსანიშნავად, მიმღობის ფორმაში **עמר**, **עמר** ზმნისაგან, რომლის მნიშვნელობაა «მსგავსი იყო, ჰგავდა».

— **ԻՐԲ** brty ბ რ თ, «ასული», საერთო სემიტური სიტყვის (არაბ. **بنت**, ებრ. **בת**, ფინიკ. **בת**, აქადური bintu, სირ. **ܒܝܬܐ** st. cstr. **ܒܝܬܐ**, მეპრი bart) არამეული ფორმა **ԻՐԲ**, st. cstr. **ԻՐԲ**, პირველი პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით. სიტყვა გამოყენებულია იდეოგრამად წიგნურ ფალაურში მესამე პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით: brth (გამოითქმოდა, როგორც ჩანს, duyt<sup>4</sup>). წარწერებში მე იგი არ შემხვედრია, მაგრამ საფიქრებელია, რომ იხმარებოდა ფალაურშიაც **ԻՐԲ** ფორმით (პირველი პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით) და ფარსულშიაც, მესამე პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით **իրბ**, როგორც ეს ჰუზვარიშის ფარსული სისტემისათვის არის დამახასიათებელი და როგორც ეს წიგნურ ფალაურში გვაქვს<sup>5</sup> (**𐎠𐎢**).

— **Ի** zy ზ ა, გავრცელებული სემიტური ნაწილაკის (არამ. **י**, ეთიოპ. **za**, ბიბლიის არამეული **י**, ებრაული **י**, არაბ. **ذ** და სხ.)<sup>6</sup> არამეული ფორმა, რომელიც გამოყენებულია *idāfet*-ის მიმართებითი კონსტრუქციის აღსანიშნავად. ამ ფორმით გვხვდება მხოლოდ ასირული და აქემენური ეპოქის უძველეს ძეგლებში<sup>6</sup> და უკვე ბიბლიური წიგნების ყველაზე ადრინდელ ნაწილებში წარმოდგენილია **י-ს** სახით. **י** ნაწილაკი გამოყენებულია ჰუზვარიშის ფარსული სისტემისათვისაც, აგრეთვე წიგნურ ფალაურში (იკითხებოდა, ალბათ, **i**, ახალი სპარსული **i**, სოლდიური **i**, ძველი სპარსული **hya**, **tya**).<sup>7</sup> ფალაურში იგი არ მოიპოვება (გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, რასაც Herzfeld-ი „ფარსიციზმებად“ მიიჩნევს).

2 ს ტ რ ი ქ ო ნ ი. — **𐎠𐎢𐎡** zywx ზ ა ე ხ, მამაკაცის საკუთარი სახელი ზევახ-ი, შეესატყვისება ბერძნული ტექსტის ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სიტყვას *Ζηοαχχασ*, სახელობითი *Ζηοαχχης*, *Ζεαχχης*, როგორც ეს არმაზში ნაპოვნი ერთ-ერთი გემის წარწერიდან<sup>8</sup>

<sup>1</sup> იხ. Staerk 076,3 შდრ. Herzfeld-თან, Paikuli, p. 138.

<sup>2</sup> იგი რამდენჯერმე გვხვდება არმაზის ერთენოვან წარწერაში.

<sup>3</sup> Herzfeld, Paikuli, s. v.

<sup>4</sup> შდრ. სანსკრიტული **दुहितृ** duhitr, ავესტური **duxtar**, ახალი სპარსული **دخت**, **دختر**, სომხური **դուստր**, ძველი სომხური ნასესხები **դուსტო**, როგორც საკუთარ სახელთა შემადგენელი ელემენტი (**Մուրադի-դուստո**, **Սահակուդուստո**, **Դուրանուդուստო**, **Ջարմանուդուստო**, **Ջուսանուդուստო**, **Շահանուդուստო**, **Ուրմուդուստო**, **Մարուդուստო**, **Վարդուդուստო**, **Վուրդուդուստო** და სხ. **Հ. Աճաբեան**, **Հայերեն արամայական դուստր**, II, 595—596, იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-ფიდურული. აკად. 5. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მონაბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 168), ქართული დ უ ხ ტ ი, აგრეთვე საკუთარ სახელებში (ბაკურდუხტი, საპკადუხტი, გულანდუხტი და სხ. იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, **სს. ნაშ.**, გვ. 167—168).

<sup>5</sup> იხ. Brockelmann, Grundriss, I, pp. 324—326; Gesenius-Buhl, Hebräisches und aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, 16. Aufl., p. 193.

<sup>6</sup> M. Lidzbarski, Altaram. Urkunden aus Assur. Wiss. Ver. d. Deutsch. Or. Ges., 1921, 38; NE, I, p. 267; Ephemera, I, 67, 2, 3; 322, 323, A<sub>3</sub>; II, 415; Herzfeld, Paikuli, s. v.

<sup>7</sup> K. Marti, Kurzgefasste Grammatik der biblisch-aramäischen Sprache, PLO, XVIII, Berlin, 1911, p. 23—24. შდრ. აგრეთვე თალმუდის არამეული **י, י**. M. Margolis, Lehrbuch der aramäischen Sprache des babylonischen Talmuds, CLS, III, München, 1910, p. 94; სირიული **ܝ**, Th. Nöldeke, Kurzgefasste syrische Grammatik, Leipzig, 1898, p. 47; აგრეთვე მანდეურში, Th. Nöldeke, Mandäische Grammatik, Halle, 1875, p. 92, ff. და მრავალ სემიტურ დიალექტში.

<sup>8</sup> შდრ. ს. ყახხიშვილი, *ibid.*, გვ. 169—170.

წანს. ეტიმოლოგია გაურკვეველია. შესაძლებელია ჩვენი წარწერის **ΠΥ** ადგილობრივი ფორმაა ბიბლიური საკუთარი სახელის **ΠΥ** Zebaj-ისა<sup>1</sup>, რომელიც მადაიმის მეფეს აღნიშნავს (მსაჯულთა წიგნი, მ<sub>24</sub>; ფსალმუნი მ<sub>31</sub>; ქართულ თარგმანშია: ზებე). მეორე მხრით ძველი თანაისის ერთ წარწერაში გვხვდება ზევაკ სახელი, ნათესაობით ბრუნვაში **Zevaxa** (მამა **Naxaxaxax**-ისა)<sup>2</sup>, რომელსაც F. Justi<sup>3</sup> უკავშირებს ავესტურ სიტყვას **zava** «ძლიერი, ღონიერი» და რომელსაც, შესაძლებელია, რაიმე კავშირი ჰქონდეს წარწერაში დამოწმებულ სახელთან.

სწორი არაა ვიფიქროთ, რომ ზევახ უცხოური გადმოცემაა ჯევახ || ჯავახ საკუთარი სახელისა. ამ შემთხვევაში არამეულში გვექნებოდა **ΠΥΣ**, რადგანაც უცხო აფრიკატები, როგორც სისინა, ისე შიშინა, სემიტურ დამწერლობაში ყოველთვის **šādē**-ს (**š**) საშუალებით არის გადმოცემული. ეს საკმაოდ ცნობილი წესია და სპეციალურად ამაზე არ შეეჩერდები. საკმარისია დავასახელო ი. ვილენჩიკის წერილი **Welchen Wert hatte š im Ursemitischen?**, **OLZ**, XXXIII, 1930, pp. 89—98. ფალაურშიაც, როგორც ცნობილია, აფრიკატების გადმოსაცემად **šādē** არის გამოყენებული. უფრო საფიქრებელია მეორე შესაძლებლობა, რომ **ΠΥ** პროტოტებს წარმოადგენს შერმინდელი ქართული ჯავახ-ისათვის<sup>4</sup>, მაგრამ ამ დებულების დარწმუნებით მტკიცებისათვისაც ურყევი საბუთები არ მოიპოვება.

— **ხუჟ** **kyj** კლ აღ, ნახმარია ტექსტში ზევახ პიტიახშის მიმართ და შეესატყვისება ბერძნული ტექსტის გამოთქმას: **τὸν ἄναρχον ἀναρχῆα**. წარწერის ბერძნული ნაწილის გამოცემის ავტორი პროფ. ს. ყაუხიშვილი ამ სიტყვებს თარგმნის ამგვარად: „ახლანდელის პიტიახშისა“. აკად. ა. შანიძე, რომელმაც აგრეთვე გამოსცა წარწერა, ბერძნული ტექსტისათვის იძლევა თარგმანს „ახლისა პიტიახშისა“ (რუსულად **нового питахша**), არამეულისათვის „ახალგაზრდა პიტიახშისა“ (რუსულად **молодого питахша**). როგორც ცნობილია, ბერძნული **ἀναρχος** წარმოადგენს შედარებით ხარისხს **ἀναρχος** სიტყვისაგან, რომლის მნიშვნელობაა «ახალი», «ნორჩი», «ახალგაზრდა», «მცირეწლოვანი», «გამოუცდელი» და სხ. შედარებით ხარისხში **ἀναρχος** პირველყოვლისა «უმცროსსა», «მცირესსა» ნიშნავს, თუმცა მას შეიძლება «ახლანდელის» მნიშვნელობაც ჰქონდეს. არამეული **ხუჟ** არის სახელი. ნაწარმოები სემიტური ძირისაგან **חַי** (არაბ. **حَي**), რაც ნიშნავს «მსუბუქი იყო, მცირეობისა», «მცირე». აქედან **חַי** (**status emphat.** **חַי**) «მცირეობისა», «პატარა», «მცირე» და, როგორც ელათივი<sup>5</sup>, «უმცროსი». ბერძნული **ἀναρχος** და არამეული **ხუჟ** ერთმანეთს ხვდება მნიშვნელობაში «მცირე» ანუ «უმცროსი». სხვა შემთხვევებში ეს სიტყვები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. გარდა ამისა, არამეული სიტყვის არც ერთი მნიშვნელობა, გარდა ხსენებულისა («მცირე», «უმცროსი»), კონტექსტს არ შეეფერება, რადგან პიტიახშის მიმართ არ შეიძლება ნახმარი იყოს ტერმინი «მსუბუქი» ან «მცირეობისა». აქედან ცხადია, რომ წარწერაში **ლპარაკია** მხოლოდ **მცირე** ან **უმცროსი**

<sup>1</sup> თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ **ΠΥ**, უ-ით, ნაცვლად **Π**-ისა (**ΠΥ**), შესაძლებელია ასახავდეს ბელადქეფათ-ის სპირანტულ გამოთქმას, რომელიც თავს იჩენს ისეთ ნახესებ სიტყვებში, როგორიცაა სომხ. **Հսխի—Ա՛հիւ** (Hübschmann, Arm. Grammatik, I, 1897, p. 313) **բւ—բաւ—Ա՛հիւ** (ibid., p. 320); **հաւի—հիւ** (ibid., p. 308—309); **խաւ—არիւ** (ibid., p. 305) და სხ.

<sup>2</sup> B. Latyshev, *Inscriptiones antiquae orae septentrionalis Ponti Euxini graecae et latinae*, II, p. 268, 269, № 447, 11.

<sup>3</sup> *Iranisches Namenbuch*, Marburg, 1859, p. 385, აგრეთვე გვ. 226.

<sup>4</sup> ამ შემთხვევაში **ჟ**, ნაცვლად **ხ**-ისი, უნდა აიხსნას როგორც შედეგი აფრიკატიზაციისა, რომელიც საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ქართულში, შდრ. თ. გონიაშვილი, *К истории одного звука в грузинском*. ენიკი-ს მოამბე, II, თბილისი, 1937, გვ. 111—134; გ. აბულედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1938, გვ. 128—136.

<sup>5</sup> დადებითი ფორმების ხმარება ელათივის მნიშვნელობით ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც სემიტურ ენებში, აგრეთვე ქართულში.



დარსაჲს<sup>1</sup>, სირიული *ܣܘܪܝܐ, ܣܘܪܝܐ, ܣܘܪܝܐ*<sup>2</sup>, არაბ. *سوري*<sup>3</sup>. № 1 წარწერაში ეს სიტყვა უფრო ძველი ფორმით გვხვდება: *ܣܘܪܝܐ* (სტრიქონები 2 და 5), რომელიც იდენტურია ქართული პიტიახშისა. ბორის წარწერაში იგი წარმოდგენილია ყველა ხმოვნის აღნიშვნით: *ܣܘܪܝܐ* ბ ძ ტ ა ხ შ (= ბ ი ტ ი ა ხ შ). სიტყვის ეტიმოლოგიისა და მნიშვნელობის შესახებ, როგორც პოლიტიკური ტერმინისა, იხ. ქვევით.

— *ܘܠܘܪܐ* Prsmn ფ რ ს მ ნ, სპარსული წარმოშობის<sup>4</sup> საკუთარ სახელი, ქართ. ფარსმანი<sup>5</sup>, სომხური *Փարսման*<sup>6</sup>, ბერძნული *Φαρσαμανης, Φαρσαμανης*<sup>7</sup>, სირიული *ܘܠܘܪܐ*<sup>8</sup>. ეს სიტყვა არმაზის ერთენოვან წარწერაშიაც გვხვდება.

3 სტრიქონი—*ܘܠܘܪܐ* mlk მ ლ ქ, საერთო სემიტური სიტყვა (აქადური *maliku*, ფინიკიური *ܘܠܘܪܐ*, არაბული *ملك*, ებრაული *מלך*), არამეული *ܘܠܘܪܐ*, st. absol და stat. const. *ܘܠܘܪܐ* «მეფე». გამოყენებულია საშუალო სპარსულშიაც ჰეტეროგრაშიად «მეფისათვის» (წიკითხვ *šāh*, ძველი სპარსული *𐎧𐎱𐎠𐎺𐎠*, სოლიდური *χšāvan*, ახალი სპარსული *شاه*).

— *ܘܠܘܪܐ* 'utt 'ნ თ, «ცოლი», არამეული ფორმა საერთო სემიტური სიტყვისა (არამეული *ܘܠܘܪܐ* «დედალი», «დედაკაცი», ებრაული *רוחל*, მრავლ. რიკხვი *רוחל*<sup>9</sup>, სამხრეთ-არამეული *ܘܠܘܪܐ*, ბალმირული *ܘܠܘܪܐ*, ნაბატეური *ܘܠܘܪܐ*, სუფიქსით *ܘܠܘܪܐ*, აქადური *ulšatu*, ფინიკიური *ܘܠܘܪܐ*, ძველი არამეული *ܘܠܘܪܐ*, ეგვიპტის არამეული *ܘܠܘܪܐ*, სირიული *ܘܠܘܪܐ*<sup>10</sup>) status constructus-ში. იგივე სიტყვა *ܘܠܘܪܐ*-ს სახით გამოყენებულია ფალაურ წარწერებში ჰეტეროგრაშიად «ცოლისათვის» (წიკითხვ *zan*, ახ. სპარსული *zan*, ავესტური *janay-jānay*<sup>11</sup>. — *ܘܠܘܪܐ* ywdmagn ე ღ ღ მ გ გ, n. pr. შამაკაცისა, ბერძნ. *Ἰωδαμαγανος* (ნათესაობით ბრუნეაში).

— *ܘܠܘܪܐ* wnsyh ვ ნ ს ა ღ ღ. — ალბათ საერთო სემიტური კოპულატიური ნაწილაკი «და», რომელიც საშუალო სპარსულშიაც გვხვდება და რომელსაც J. Marquart-ი და Herzfeld-ი<sup>12</sup> განიხილავენ როგორც იდეოგრამას სპარსული კავშირისათვის (ძველი *𐎠𐎺*, ხმოვნის წინ *𐎠𐎺*<sup>12</sup>, ძველი სპარსული *uta*, სოლიდური *'at*, ახალი სპარსული *u*)<sup>12</sup>. გაუგებარია, მხოლოდ, მისი დანიშნულება წარწერაში. ის, რაც ამ სიტყვას მისდევს, ეპითეტია იოდმანგანის მიმართ და მათ შორის «და» კავშირის მოთავსება უადვილოა, თუ ჩვენ. რა თქმა უნდა. სწორად გვესმის ამ ნაწილაკის მომდევნო სიტყვები. შესაძლებელია ნაწილაკის აქ ხმარება წარწერის ამომკვეთის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგი იყოს. მაგრამ ასეთი მოსაზრება ყოველთვის არის *ultimum refugium*.

<sup>1</sup> იხ. მგ. *Փարսմանի Բազմաբանայկ Պատմութիւն Հայոց*, სბგი. 1883, გვ. 18 შმდ.; *Ազգայնագիտ. Պատմութիւն Հայոց*, თბილისი, 1909, 795, გვ. 414, 873; გვ. 459; *Հազարայ Փարսիայէկ Պատմութիւն Հայոց*, თბილისი, 1904, გვ. 63; *Մովսիսի Մարտագիտ. Պատմութիւն Հայոց*, თბილისი, 1910, გვ. 70 (გვ. 71: *Բազմաբանութիւն*), 146 და მრავალი სხვა.

<sup>2</sup> შდრ. Hübschmann, op. cit., pp. 119—120; *Հ. Աճաբան, Բառարան*, I, გვ. 1044; C. Brockelmann, *Lexicon Syriacum*, Halle, 1928, p. 40 a, 564. a. მგ., ზაქარია რიტორთან, იხ. ქვ., გვ. 42.

<sup>3</sup> ასეა ავთანგელოსის არაბულ ვერსიაში. იხ. Ե. Թ. Թ. Կրեշչენი *армян, грузин, абхазов и аланскъ свѣтъ* Григорием, გვ. 114.

<sup>4</sup> იხ. Hübschmann, *Arm. Gr.*, I, p. 90.

<sup>5</sup> ასე, მგ., მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეში («და მეფობდა იმიერ ფარსმან და ამიერ კახა», გვ. 9; «და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ ფარსმან ავან», გვ. 10), აგრეთვე *ლეონტი მროველთან*, *ibid.*, გვ. 37—38 შმდ. და მრავალ სხვა ავტორთან.

<sup>6</sup> მგ. მოსე ხორენელი *ibid.*, p. 173; ლ. წარბელი, *ibid.*, p. 86; შდრ. Hübschmann, p. 90.

<sup>7</sup> შდრ. F. Justi, op. cit., p. 91, სადაც ჩამოთვლილია მრავალი შემთხვევა ამ სიტყვის ხმარებისა.

<sup>8</sup> ე. წ. «იგუშ სტილიტთან», W. Wright, *The Chronicle of Joshua the Stilit, composed in Syria A. D. 507...* Cambridge, §§ 56, 87, 88, 90, 92, 97; Н. Пигулевская, *Месопотамия на рубеже V—VI вв. н. э. Сирийская хроника Иешу Стилита как исторический источник*, М—Л., 1940, გვ. 152, 165—166, 167, 169.

<sup>9</sup> შდრ. გვიანდელი ნასესხები ქართული სიტყვა ნა შ ა, «საყვარლის» მნიშვნელობით.

<sup>10</sup> Gesenius - Bulh, *HAW*, p. 70.

<sup>11</sup> Nyberg, *ibid.*, II, p. 257—258; Bartholomae, *Altiranisches Wörterbuch*, Strassburg, 1904, p. 605.

<sup>12</sup> Paikuli, p. 167.



მნიშვნელობით *διδάσκαλος*, «მასწავლებელი», «მოძღუარი» (შდრ. ოთხთავის ქართული ტექსტი), «учитель», *qasqasik* და სხ. სიტყვა **אָר, אַר** (წაიკითხე *vazurk*, ახალი სპარსული *كِر*) სპარსულშიაც გვხვდება იდეოგრამად «დიდის» მნიშვნელობით. ბილინგვაში სიტყვას «მეთაურის», «მოძღურის» მნიშვნელობა აქვს და მომდევნო სიტყვასთან ერთად იგი ივერიის სამეფოს გარკვეულ პოლიტიკურ ინსტიტუტს აღნიშნავს.

5 ს ტ რ ი ქ ო ნ ი.—**ქარჩ** *trbš* თ რ ბ ს, არამეული **ܩܚܐ** «ეზო» (ასურულ-ბაბილონური *tarbaš* «ეზო», ზმნა *rabāš* «დაბანაკდა». შდრ. არამეული **עבר** «დაბანაკდა», არაბული *ربض* «იწვია, მკერდს ეყრდნობოდა [ცხოველი]», *ربض* «საცხოვრებელი», «უბანი»). ტერმინი **ქარჩ** **არ** ზუსტი შესატყვისია ქართული *ეზო* და *მოძღუარ* სიტყვისა, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება ბიბლიის ქართულ ტექსტებში<sup>1</sup> ბერძნული *ἐπισκοπος, οὐνοσκόπος, ἀντιπρεβυტέρης*-ისა და სომხური *գուստոսոպետ, հագարապետ, խոռապետ*-ის<sup>2</sup> (*axorapat*-ისაგან) აღსანიშნავად. **ქარჩ** **არ**-ის ხმარება ბილინგვაში ქართული *ეზო* და *მოძღუარ* ტერმინის სიძველეს ჰმოწმობს.

— **ԱՅՐՈՒԻԻ** *isyriawg* ხ ს ე ფ რ ნ გ, გრეციზირებული ფორმა (*s-თი*, ნაცვლად *g-სი*) მამაკაცის სპარსული საკუთარი სახელისა ქ შე ე ფ ა რ ნ უ გ.

**იუ** *bry* ბ რ ა, «ძე», არამეული შესატყვისის საერთო სემიტური სიტყვისა<sup>3</sup> (ასურულ-ბაბილონური *bin*, ფინიკიური **ב**, ებრაული **ב**, არაბული **بن**, მეჰრი *ħabir*, დასინა *bir* და სხ.) *status constructus*-ის ფორმაში. სიტყვა გამოყენებულია იდეოგრამად *ფალაურსა* (უკვე აგრომანის ეტრატში) (**ארא**, წაიკითხე *puhr*) და *ფარსულში* (**არ**, მესამე პირის სუფიქსით), ისე როგორც *წიგნურ ფალაურში* (**אפ**, წაიკითხე *pus*, შდრ. ახალი სპარს **پس**, ძველი სპარსული *paça*, ძველი ირ. *pašra*, სასკრიტული **पु**)<sup>4</sup>.

6 ს ტ რ ი ქ ო ნ ი.—**ფურკ** *ʿfury* ' გ რ დ ფ. რომაული სავაგარეულო სახელი აგრიპპა.

7 ს ტ რ ი ქ ო ნ ი.—**חבלי חב** *hbl hblyk* ჰ ბ ლ ჰ ბ ლ ე ქ, არამეული «ვაჟ!». განსაკუთრებით ხშირია პალმირულ წარწერებში<sup>5</sup>. ბილინგვაში სიტყვა განმეორებულია ორჯერ, მეორე შემთხვევაში **უ** სუფიქსით, რომელიც შეიძლება ახსნილ იქნეს როგორც სპარსული დაბოლოება ან კიდევ როგორც მეორე პირის არამეული ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი.

— **אז** *m' z'*, სემიტური ნაცვალსახელი «რა», ბიბლიის არამეული **רז, אז**<sup>6</sup> (ებრა 6, 8), თალმუდის არამეული **רז, אז, אז**<sup>7</sup>, ებრაული **רז**<sup>8</sup>, ფინიკიური **ז**<sup>9</sup>, არაბული **ز** და **ا**. შდრ. სემიტურ მრავალ ენაში<sup>10</sup>. მომდევნო

8 ს ტ რ ი ქ ო ნ შ ი მ ო თ ა ვ ს ბ ე უ ლ **זי** *zy* ზ ე (**זי** **אז**) ნაწილაკთან ერთად აწარმოებს მიმართებით ნაცვალსახელს «ის, რაც» (შდრ. ბიბლიის არამეული **זר** **רז** «*das, was*»<sup>11</sup>).

<sup>1</sup> შდრ. ა. შანიძე (რომელმაც აგრეთვე ამოიკნო წარწერის ეს ტერმინი ჩემგან დამოუკიდებლად), *მოამბე*, ტ. II, № 1—2, გვ. 182, სადაც ჩამოთვლილია შემთხვევები ამ სიტყვის ხმარებისა ძველ ქართულში.

<sup>2</sup> ამ სიტყვის ეტიმოლოგია გაურკვეველად ითვლება (შდრ. Hübschmann, p. 160. შემდეგ ჰ. აპოიანი, *op. cit.*, III, pp. 591—592 და უკანასკნელ დროს ა. შანიძე, *op. cit.*, 182), მაგრამ აშკარად ძნელად თუ შეიძლება ეკვის შეტანა იმაში, რომ ეს ტერმინი წარმოდგება *axorapat*-ისაგან. ამ საკითხს ჩვენ სხვაგან შევხებით უფრო დეტალურად.

<sup>3</sup> C. Brockelmann, *Grundriss I*, 332; G. Bergsträsser. *Einführung in die semitischen Sprachen*, München, 1928, p. 182. **أر**, 1929—1948, *تاريخ اللغات السامية*, إسرائيل ولفسون.

<sup>4</sup> Cm. Herzfeld, Paikuli, s. v.; Nyberg, II, p. 188.

<sup>5</sup> NE, pp. 147, 270.

<sup>6</sup> K. Marti, *Kurzgefasste Grammatik der biblisch-aramäischen Sprache*, Berlin, 1911, p. 24.

<sup>7</sup> M. Margolis, *Lehrbuch der aramäischen Sprache des Babylonischen Talmuds*, München, 1910, p. 18.

<sup>8</sup> W. Gesenius, *Hebr. Gram.*, Leipzig, 1909, p. 118—119; 464—465.

<sup>9</sup> Z. S. Harris, *op. cit.*, p. 116.

<sup>10</sup> C. Brockelmann, *Grundriss I*, p. 326—327; G. Bergsträsser, *op. cit.*, pp. 9, 40, 65 ff.

<sup>11</sup> K. Marti, *op. cit.*, p. 24.

თალმუდის არამეული **דאס**, **דא** **וואס** «dasjenige, welches, was, that which, what»<sup>1</sup>, ნაბატეური **דאס**<sup>2</sup>, ებრაული **דא**—**וואס** («das, was»<sup>3</sup>) მნიშვნელობით «ის, ვინცა», «რომელიც», თუმცა, როგორც ცნობილია, პიროვნების მიმართ არამეულში **דא** ნაწილაკი იხმარება და არა **וואס**, რომელიც მხოლოდ ნიეთთა აღსანიშნავად არის გამოყენებული. სპარსულში გამოთქმა **დ** **וואს** მე არ შემეხვედრია. ჩვეულებრივ **דא** იხმარება, როგორც წიგნურ ფალაურში, ისე წარწერებში (სახელდობრ ფალაურ წარწერებში). პაიკულის ფარსულ ვერსიაში ეს ნაწილაკი მხოლოდ ერთხელ გვხვდება<sup>4</sup> და ალბათ გამოითქმოდა **ד** **וואს**, **ד** **וואს**, შდრ. ახალი სპარსული **د**. თუ **د** **وואს** გამოთქმა (ან **د** **وואს**, როგორც ჩვენ წარწერაშია) სპარსულშიაც იხმარებოდა, საფიქრებელია, რომ იგიც იკითხებოდა **د** **وואს**, **د** **وואს**, რომელიც სპარსული-სათვის არა მარტო კითხვითი ნაცვალსახელია, არამედ მიმართებით ნაცვალსახელიდაც არის გამოყენებული მნიშვნელობით «das, was», «was»<sup>5</sup>.

— **ד** **וואს** **וואს** ფრანგულში, ეს სიტყვა ჩემთვის უცნობია. საფიქრებელია, რომ იგი სპარსული წარმოშობისაა, რადგან არამეულ ნიადაგზე მისი იდენტიფიკაცია არ ხერხდება. შეიძლება იგი კომპოზიტს წარმოადგენდეს **ד** **וואს** და **וואს** სიტყვებისაგან: **ד** **וואს**, მნიშვნელობით «მქონებელი ბრწყინვალე ინტელექტისა», ან დაკავშირებული იყოს სპარსულ **د** **وואს** სიტყვასთან, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება სასანურ გემებზე<sup>7</sup> და რომლის ეტიმოლოგია გაურკვეველია. A. Mordtmann-ის მიერ ნავარაუდები მნიშვნელობა «der Majestät ähnlich»<sup>8</sup> ჩვენი კონტექსტისათვის შეუფერებელია. შეიძლება **د** **وואს**, **د** **וואს** ტერმინის ავესტურ მნიშვნელობას «Urtypus»<sup>9</sup> რაიმე კავშირი ჰქონდეს ჩვენ სიტყვასთან. მაგრამ მაშინ გაუგებარია **د** **וואს** გაჩენა. ყოველ შემთხვევაში სიტყვა მომდევნო **د** **וואს** **וואს** **וואს**-თან ერთად ბერძნული **δ** **וואს**-ს შესატყვისადაა გამოყენებული და მგონი აგრეთვე «ახალგაზრდას» უნდა ნიშნავდეს.

— **ד** **וואს** **וואს**, მეტად გავრცელებული სემიტური უარყოფითი ნაწილაკი «არა», «არა», ჩვეულებრივი არამეულისათვისაც, იხმარება იდეოგრაფიულ სპარსულშიაც (**د**), წაიკითხე **د**, შდრ. ფარს. **د**, სოლდიური **د**, **د**, ძველი ირანული \***د**, ავესტის **د**, ახალი სპარს. **د**, **د**<sup>10</sup>.

— **د** **وואს** **وואს** **وואს** გმარ, მიმდებობის ფორმა ებრაულ-არამეული ზმნისაგან **ד** (ებრ., არამ. **ד**), სირიული **د**, არაბული **د**, საბაურ **د**, ეთიოპური **د**, ასურულ-ბაბილონური **د** და სხ.)<sup>11</sup>, რომლის მნიშვნელობაა «დაასრულა, დაამთავრა», აგრეთვე «vollentwickelt sein»<sup>12</sup>. წარწერაში სიტყვა, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არის ნახმარი და წინამავალ **د** **وואს**-სთან ერთად ბერძნულ **δ** **וואს**-ს («ახალგაზრდა») უნდა შეესატყვისებოდეს (ბერძნული ტექსტის 8 სტრიქონი). სპარსულში ეს სიტყვა მე არ შემეხვედრია.

— **ד** **וואს** **וואს** **וואს** **וואს** **וואს**, არამეული **ד** **וואს**, **ד** **וואს** «ასე», სირიული **د**, **د** «ასე», ებრაული **ד**, ძველი არამეული **ד**. სპარსულში გვხვდება **د**-ის სახით (ალბათ იკითხებოდა **د**)<sup>13</sup>.

<sup>1</sup> M. Margolis, op. cit., p. 129\*.

<sup>2</sup> Lidzbarski, Handbuch, I, p. 306.

<sup>3</sup> W. Gesenius, ibid., p. 465.

<sup>4</sup> Herzfeld, Paikuli, ლექსიკონი, s. v. **ד**.

<sup>5</sup> Ibid., s. v.

<sup>6</sup> Nyberg, op. cit., II, 44.

<sup>7</sup> A. Mordtmann, Studien über geschnittene Steine mit Pehlevi-Inschriften, ZDMG, XVIII, 1864, p. 8-ff.

<sup>8</sup> A. Mordtmann, ibid., p. 9.

<sup>9</sup> A. Mordtmann, ibid., p. 9.

<sup>10</sup> E. Herzfeld, Paikuli, s. v.; H. Nyberg, Hilfsbuch, II, p. 156; Bartholomae, 1072.

<sup>11</sup> J. Levy, Chaldäisches Wörterbuch über die Targumim, Leipzig, 1867, I, p. 145; Gesenius-Buhl, ibid., p. 144; Brockelmann, Lexicon Syriacum, Halle, 1928, p. 121.

<sup>12</sup> G. Dalman, Aramäisch-neuhebräisches Wörterbuch zu Targum, Talmud und Midrasch, Frankfurt a. M., 1901, p. 77.

<sup>13</sup> Herzfeld, op. cit., s. v.; Nyberg, op. cit., II, p. 164.

9 სტრიქონი.—**ܠܢ**, ܬܒ ܬܒ, არამეული ზედსართავი «კეთილი», «კარგი» (ასურულ-ბაბილონური 𐎠𐎺𐎠, «კეთილი იყო», 𐎠𐎺𐎠 «კეთილი», «კარგი», ბიბლიის არამეული **ܠܢ** «კეთილი იყო», **ܠܢ** «კარგი», «კეთილი», თალმუდის არამეული **ܠܢ**, **ܠܢ**, ზედსართავი **ܠܢ**, st. emph. **ܠܠܢ**, მდებრ. **ܠܠܢ** «კეთილი, კარგი», სირიული **ܠܠܢ**, ზედსართავი **ܠܠܢ**; ებრაული **לֵן**, ზედსართავი **לֵן**<sup>1</sup>, **לֵן** «კეთილი», «კარგი», არაბული **ط** «კეთილი იყო, კარგი, სასიამოვნო», **طيب** «კარგი, კეთილი, მშვენიერი», **طوبى** «სიკეთე, ბედნიერება, ნეტარება» და სხ.). გამოყენებულია ჰეტეროგრაშიდ სპარსულ წარწერებშიაც (წაიკითხე 116)<sup>2</sup>.

— **ܦܦܦ** *špyr* შფძრ, არამეული **ܦܦܦ**, **ܦܦܦ** «ლამაზია» (ებრაული **פפפ**, «ბრწყინვდა», სირიული **ܦܦܦ**, არაბული **ف**)<sup>3</sup>, ხშირად გვხვდება სპარსულ წარწერებშიაც (წაიკითხე 151, ძველი სპარსული 𐎱𐎠𐎺, სოლდიური 𐎱𐎠, ახალი სპარსული 𐎱𐎠), ისე როგორც წიგნურ ფალაურში. შედარე აგრეთვე სომხური ნასესხები სიტყვა **զպար**<sup>4</sup> «კოსმეტიკა» და ზნა **զպարիկ** «წაცხება [ფერუმბარლისა]»<sup>5</sup>. ყურადღებას იქცევს მამრობითი სქესის სიტყვები **ܦܦܦ** ზედსართავი სახელებისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სერაფიტს ეკუთვნიან. იგივე ეხება ამ სიტყვების მომდევნო ზნას

— **ܦܦܦ** *yhww* 𐎱𐎠𐎺𐎠, III პირი პერფექტის მამრ. სქესისა არამეული სიტყვისაგან **ܦܦܦ**? **ܦܦܦ** «იყო» (სირიული ܦܦܦ), რომელიც გამოყენებულია სპარსულშიაც, როგორც წარწერებში, ისე წიგნურ ფალაურში (**yhwwa** = būtan).

— **ܦܦܦ** *hyk zy* 𐎱𐎠𐎺 𐎠𐎺, ძველი ფორმა უფრო გვიანდელი არამეული გამოთქმისა **ܦܦܦ**, **ܦܦܦ**<sup>6</sup> «როგორც», ბიბლიის არამ. **ܦܦܦ** (დანეელ. 2,43), სირიული : **ܦܦܦ** «როგორც», ჩვენ წარწერაში მნიშვნელობით «ისე რომ», «რომ».

10 სტრიქონი.—**ܦܦܦ** 𐎱𐎠𐎺 'ანშ, «კაცი», არამეული ფორმა საერთო სემიტურბ სიტყვისა (ასურულ-ბაბილონური 𐎱𐎠𐎺 «ახლხი»; ფინიკიური **𐤱**, ებრაული **אִישׁ** არამეული **ܦܦܦ**, **ܦܦܦ**, **ܦܦܦ**; «Mann, jeman»<sup>7</sup>, ნაბატეური **ܦܦܦ**<sup>8</sup>, ბიბლიის არამეული **ܦܦܦ**<sup>9</sup>, თალმუდის არამეული **ܦܦܦ**, **ܦܦܦ**, **ܦܦܦ**<sup>10</sup>, არაბული **س**, **س**, **س**, სამხრეთ-არაბული **س** და სემიტურ მრავალ ენაში), რომელიც **ܦܦܦ**-ის სახით გამოყენებულია სპარსულ წარწერებშიაც, ისე როგორც წიგნურ ფალაურში (წაიკითხე 116, ახალი სპარსული **س** «ფინმე»). მომდევნო **ܦܦܦ** სიტყვასთან ერთად აწარმოებს განუსაზღვრელ ნაცვალსახელს **ܦܦܦ** **ܦܦܦ** «კაცის შვილი», «ფინმე», არამეული **ܦܦܦ**, **ܦܦܦ**, **ܦܦܦ**, თალმუდის არამეული **ܦܦܦ** **ܦܦܦ**<sup>11</sup>, ებრ. **ܦܦܦ** **ܦܦܦ** «კაცისშვილი» და შემდეგ «არავინ». შდრ. ქართული-«კაცისშვილი», მნიშვნელობით «ფინმე», «არავინ».

<sup>1</sup> აქედან ქართული გვიანდელი ნასესხები სიტყვა ტოვე (დასავლურ დიალექტებში, ქუთაისში, საჩხერეში) «კარგი», ზნა მოტოვე და «ფივიდა, მობრძანდა» (ირონიულად).

<sup>2</sup> Herzfeld, *ibid.*, p. 197.

<sup>3</sup> Gesenius-Buhl, p. 859; C. Brockelmann, *Lexicon Syriacum*, p. 797.

<sup>4</sup> Herzfeld, *op. cit.*; Nyberg, *op. cit.*, II, p. 238.

<sup>5</sup> Hübschmann, *Arm. Gram.*, p. 314.

<sup>6</sup> ასე, ეხევილთან, თავი 23, 40; Hübschmann, p. 314.

<sup>7</sup> Marti, *op. cit.*, § 65 a, p. 58.

<sup>8</sup> Marti, *op. cit.*, p. 86.

<sup>9</sup> Lidzbarski, *op. cit.*, I, p. 222; Gesenius-Buhl, *ibid.*, p. 32, 53; Brockelmann, *Gr.*, I, p. 351.

<sup>10</sup> Lidzbarski, *ibid.*, p. 222; C. Brockelmann, *Gr.*, I, p. 143.

<sup>11</sup> Marti, *op. cit.*, p. 59\*; Brockelmann, *Gr.*, I, p. 185.

<sup>12</sup> Margolis, *op. cit.*, p. 89\*.



— **עזר** *dm'* დმც, ალბათ მიმღეობის ფორმა არამეული ზმნისაგან **עזר** «მსგავსი იყო», «ჰგავდა, ემსგავსებოდა», თალმუდის არამეული **עזר**, ბიბლიის არამეული **עזר**, სირიული **עזר** «მსგავსი იყო». **ע** სიტყვის ბოლოს შეიძლება გამოყენებული იყოს ე-ს<sup>1</sup> აღსანიშნავად, როგორც ეს მანდეურში არის მიღებული<sup>2</sup>.

— **עז** *mn* მნ, გავრცელებული საერთო სემიტური (გარდა ასურულ-ბაბილონური-სა) ნაწილაკი «გან»<sup>3</sup>, იხმარება შედარებითი გამოთქმის საწარმოებლად. გამოყენებულია იდეოგრამად სპარსულშიაც (ფარს. *až*, ფალ. *hač*, ძველი სპარსული *hača*, სოლდიური *čan*, ახალი სპარსული *č* «გან»)<sup>4</sup>.

11 სტრიქონი.—**עז** *tbwt* ტბვთ, განყენებული სახელი იმავე ძირისაგან, რომლისაგანაცაა **עז** (ძველი არამეული **עז** «Güte, Gunst»)<sup>5</sup>, წარწერაში ეს სიტყვა შეესატყვისება ბერძნულ *εξιλας*-ს, რომელსაც ჩვეულებრივ «ხორციელი სილამაზის» მნიშვნელობა აქვს (მაგალითად ჰომეროსთან), მაგრამ რომელიც გამოყენებულია აგრეთვე «სულიერი შვენების» აღსანიშნავად<sup>6</sup>. არამეულ **עז**-ს სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ახასიათებს, მაგრამ მთელი წინადადება ისეა აგებული («არავინ იყო მისი მსგავსი»), რომ ტექსტში ალბათ ხორციელი სილამაზეა მხედველობაში მიღებული, თუმცა შეუძლებელი არაა, რომ სიტყვები *εξιλας* და **עז** ორივე «სიკეთის» მნიშვნელობით იყოს ნახმარი.

— **עז** *mytyin* მ'თფენ, არამეული სიტყვა საერთო სემიტური ძირისაგან **עז** «სიკვდილი», «გარდაცვალება», გამოყენებულია სპარსულშიაც (**עז**, *mytwin*, წაიკითხე *murtan*, ახალი სპარსული *مردن*, ძველი ირანული *mar*)<sup>7</sup>. ცოტა უცნაურია ფორმა, რომლითაც ეს სიტყვა არის წარწერაში წარმოდგენილი: მიმღეობა მრავლობითი რიცხვისა ან, როგორც ეს თავაზიანად მიგვითითა აკადემიკოსმა **ע** კოკოცოვმა, მიმღეობისა და I პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის საშუალებით ნაწარმოები ზმნის ფორმა, ნაცვლად **עז**-ის?<sup>8</sup>

— **עז** *andar* ანდარ, ხშირად ხმარებული მრავალგვარი მნიშვნელობის მქონე არამეული ნაწილაკი, ჩვეულებრივი სემიტური სხვა ენებისათვისაც<sup>9</sup>, გამოყენებულია ჰეტეროგრამად სპარსულ ტექსტებშიაც, აგრეთვე წიგნურ ფალაურში (წაიკითხე *andar*, ავესტის *antarā*, ახალი სპარსული *انداز*)<sup>10</sup>.

— **עז** *šnt* შნთ, *status cstr.*-ის ფორმა არამეული სიტყვისაგან **עז** «წელი» (ებრაული **עז**, ეგვიპტის არამეული *st. emph.* **עז**, *st. cstr.* **עז**, სირიული, **עז**, **עז** ასურულ-ბაბილონური *šattu*, არაბული *سنة*), იხმარება სპარსულ (საშუალო სპარსულ) წარწერებშიაც, აგრეთვე წიგნურ ფალაურში (წაიკითხე *šāl*, ავესტის *sarad*, *saradā*<sup>11</sup>, სომხური ნასესხები სიტყვა *հասարակ*<sup>12</sup> «ახალი წელი»). გამოთქმა **עז** ცოტა უცნაურია. არამეულის თვალსაზრისით მოსალოდნელი იყო **עז** **עז**, კონსტრუქცია, რომელიც დამახასიათებელია სემიტურ ენათა დიდი ნაწილისათვის ხნოვანების აღსანიშნავად.

<sup>1</sup> იხ. ზევით, გვ. 18.

<sup>2</sup> შდრ. Th. Nöldeke, *Mandäische Grammatik*, Halle, 1875, p. 3 ff. შეესაძლებელია ცაანი წარწერაში ე-ს აღნიშნავდეს საერთოდ, მაგრამ ეტიმოლოგიური **ע**, როგორც ეს **ע** სიტყვიდან ჩანს, თავის ადგილზეა შენახული.

<sup>3</sup> Brockelmann, Gr., II, § 251/2.

<sup>4</sup> Herzfeld, Paikuli, s. v.; Nyberg, *ibid.*, II, 90—91.

<sup>5</sup> Dalman, *op. cit.*, p. 156.

<sup>6</sup> შდრ. ძველი ქართული «კეთილი» (ორივე მნიშვნელობით).

<sup>7</sup> Nyberg, *ibid.*, II, p. 153; Bartholomae, *op. cit.*, 1142.

<sup>8</sup> Brockelmann, Gr., II, § 237.

<sup>9</sup> Herzfeld, *ibid.*, p. 150; Nyberg, *ibid.*, II, p. 10.

<sup>10</sup> Herzfeld, *ibid.*, s. v.; Nyberg, *ibid.*, II, 200—201; Bartholomae, *ibid.*, 1566—1567.

<sup>11</sup> Hübschmann, p. 202.

III. წარწერის ენა

ბილინგვის პარალელური ტექსტის ენის გარკვევა მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული. არასპეციალისტებს ეს უცნაურად მოეჩვენებათ. ჩვენ ვთარგმნით წარწერას, თითქოს გვესმის მისი შინაარსი, გვესმის ცალკეულ სიტყვათა და ფორმათა მნიშვნელობა, ხოლო ენის გარკვევა გვიძნელდება. მაგრამ აღმოსავლური ეპიგრაფიკის პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის და ამიტომ ეს გარემოება არაჩვეულებრივ რამედ არ უნდა გვეჩვენოს, მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს თავისებური ენობრივი და პალეოგრაფიული ტრადიციის მქონე წარწერებთან, რომლებსაც სრულებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ დღემდის ცნობილ ამგვარ ძეგლთა შორის. ამიტომ ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ ახლავე გამოვიტანოთ დაუსაბუთებელი დასკვნები, რომ წარწერის ენა არის არამეული ან რომელიმე საშუალო სპარსული (ფალაური, ფარსული) დიალექტი. შესაძლებელია მას შემდეგ, რაც მთლიანად ამოშიფრული იქნება № 1 წარწერა ან ახალი ძეგლები აღმოჩნდება, მოხერხდეს დამტკიცება იმისა, რომ ბილინგვის პარალელური ტექსტი ფალაურზე ან რომელიმე სხვა (არამეულ?) ენაზეა შესრულებული, მაგრამ ამჟამად ჩვენ უმჯობესად მიგვაჩნია დავკმაყოფილდეთ მითითებით ცალკეულ მოვლენებზე, რომლებიც მხარს უჭერენ ან ეწინააღმდეგებიან ამა თუ იმ მოსაზრებას წარწერის ენის შესახებ.

წარწერის არამეული<sup>1</sup> ტექსტი სულ ორმოცდათვრამეტი სიტყვისა და ორი რიცხვითი ნიშნისაგან (21) შედგება საკუთარი სახელების ჩათვლით. ამ რიცხვიდან შეიძინა—საკუთარი სახელია<sup>2</sup>, მათ შორის ერთი (ןבדפ p-r-s-m-n) ორჯერ არის გამეორებული. დანარჩენი ორმოცდათვრამეტი სიტყვიდან 23—თითოჯერ არის ნახმარი: חנא 'n-h (1); יורב b-r-t-y (1); להל k-l-y-l (2); שחב b-t-h-š (2); חנה 'n-t-t (3); חצנ n-s-y-h (3); רכב k-b-y-r (4); תוסח 'r-w-s-t (4); רחב 'b-y-d' (4); מ m- (7); שופ p-r-m-w-š (8); רמ g-m-y-r (8); חכ h-k-y-n (8); ב b (9); רפ š-p-y-r (9); רח h-y-k (9); שני 'y-n-š (10); עמ d-m- (10); מ m-n<sup>3</sup> (10); חב t-b-w-t<sup>3</sup> (11); יתיא m-<sup>2</sup>-y-t-y-n (11); ב ნაწილაკი (11); სიტყვა חנז š-n-t (11). ექვსი სიტყვა გვხვდება ორ-ორჯერ: ר r-b (4, 6); רב r-b-š (5, 6); ר b-r-y (5, 1 პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით) და ר (9, st. cstr., უნაცვალსახელოდ); רב h-b-l (6, bis, უ დაბოლოებით მეორე შემთხვევაში); ל l- (8, 10); רח y-h-w-h (9, 10). רח m-l-k სიტყვა სამჯერ არის ნახმარი. კავშირი ו w ხუთჯერ (3, 4, 8, 9, 11) და ו ნაწილაკი—რვაჯერ (1, 2, 3, 5, 6, bis, 8, 9). თუ განმეორებულ სიტყვებს არ ჩავთვლით, სულ ტექსტში, საკუთარი სახელების გარდა, 32 სიტყვაა ნაწილაკებთან ერთად. ყველა ამ სიტყვიდან სამი—შეიძლება ცოტა თუ მეტი უეჭველობით სპარსულს მივაკუთვნოთ. დანარჩენი 29 სიტყვა სემიტური (არამეული) წარმოშობისაა. განმეორებული სიტყვების ჩათვლით, მათი ხმარების 51 შემთხვევიდან 48 არამეულზე მოდის და მხოლოდ სამი შეიძლება სპარსულს მივაკუთვნოთ. არამეულ სიტყვებში გვხვდება: ზნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მიმღობა, კავშირი, უარყოფითი ნაწილაკი, პიროვნების ნაცვალსახელი, მიმართებითი ნაცვალსახელი; ე. ი. მეტყველების, თითქმის, ყველა ნაწილი. გარდა ამისა გვაქვს არამეული ენისათვის დამახასიათებელი შესიტყვებანი (status constructus) და სხ. ყველაფერი ეს, თითქოს, საკმაო საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ პარალელური ტექსტის ენა არამეულია, მაგრამ, სამწუხაროდ საკითხი ასე მარტივად არ წყდება და სოლექციზმები, რომლებიც ტექსტში გვხვდება,

<sup>1</sup> ჩვენ ვხმარობთ ამ გამოთქმას, შედეგოლობაში გვაქვს რა დამწერლობა წარწერისა, ამ ტერმინის ხმარებით ჩვენ არ გვინდა წინასწარ გადაეწყვიტოთ წარწერის ენის საკითხი.

<sup>2</sup> ზოგიერთი, როგორც ჩანს, სპარსულია (ןבדפ p-r-s-m-n, ונרפוח h-s-y-p-r-n-g), ზოგიც რომაული (רמ g-r-y-p). ხოლო ნაწილი უცნობი წარმოშობისა.

<sup>3</sup> იგივე ძირია, რაც רח t-b სიტყვაში.

საშუალებას არ გვაძლევს დარწმუნებით ვამტყიცოთ წარწერის ენის არამეულობა. ასე, მაგალითად, ატრიბუტის მოთავსება საზღვრულის წინ (**שׁוֹרֵב לְרֵשׁ**) უცნაურია სემიტური გრამატიკის თვალსაზრისით. ვარდა ამისა, ბევრ შემთხვევაში ცალკეული სიტყვები მოცემულია არა stat. emphaticus-ის ფორმით, როგორც ეს არამეულ ტექსტში იყო მოსალოდნელი, არამედ ისეთი ფორმით, რომლის გამართლება შეუძლებელია, როგორც მაგ. **כֹּהן אֲבִיר**. ყურადღებას იქცევს აგრეთვე st. constr.-ის ფორმები **וַיִּנְחַל** ნაწილაკის წინ (**וַיִּנְחַל וַיִּתְּנָה**) და სხ. ყველაფერი ეს, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ სწორად გვესმის ტექსტი, ძალუწებურად ჰბადებს კითხვას: იყო თუ არა დაწერილი არამეული ტექსტი განკუთვნილი ისე წასაკითხად, როგორც იგი ეწერა, თუ მის ქვეშ იგულისხმებოდა რომელიმე სხვა ენა? ამგვარი კითხვა ბუნებრივად წამოიჭრება ისეთ გამოთქმათა ანალიზის დროს, როგორიცაა **לְשׁוֹנוֹ הַיְהוּדִי וַיִּתְּנָה לְרֵשׁ אֲבִיר** (I), რომელსაც ჩვენ ვთარგმნით: „ძღვეამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეხოვს მოძღურისა (ხსენარნუგ მეფისა)“. სიტყვით „ძღვეამოსილისა“ გადმოცემულია არამეული **רֵשׁ**, რომელიც ენებითი გვარის მიმღეობის ფორმა უნდა იყოს **רֵשׁ** ზმნისაგან, ნახმარი მოქმედებითი გვარის მიმღეობის მნიშვნელობით. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აიხსნას, თუ ხსენებული სიტყვა გამოყენებულია ტექსტში როგორც იდეოგრამა ისეთი ენისათვის, რომელიც ამ შემთხვევაში მაინც, ქართულის მსგავსად<sup>1</sup> ენებითის მიმღეობის ფორმას ხმარობს მოქმედების მნიშვნელობით. შესაძლებელია, რასაკვირველია, რომ ჩვენ აქ საკმე გვეკონდეს **רֵשׁ** სიტყვის პლეონასტურ დაწერილობასთან **רֵשׁ**-ის ნაცვლად. მაშინ მოხერხდებოდა სიტყვისათვის დამაკმაყოფილებელი ახსნა მოგვეძებნა თეთი არამეულის ნიადაგზე. მაგრამ ეს ვერ გაფანტავს ჩვენს ეჭვებს ენის შესახებ, ვინაიდან ტექსტში სხვა მოვლენებიც მოიპოვება, რომლებს ახსნა არამეულის საფუძველზე ძნელად თუ მოხერხდება. ასე, მაგ.: ცნობილია, რომ არამეულში და სხვა სემიტურ ენებშიაც მტკიცედ არის გატარებული სქესის მიხედვით განსხვავება და მამრობითი სქესის ფორმა შეუძლებელია ქალის მიმართ იყოს ნახმარი. ბილინგვაში კი **רֵשׁ** ზმნა (პირველ შემთხვევაში<sup>2</sup>) მესამე პირის მამრობითი სქესის ფორმითაა გამოყენებული, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალის მიმართ არის ნახმარი. იგივე ეხება **רֵשׁ** ზმნაზედსართავ სახელებს, რომლებიც აგრეთვე მამრობითი სქესის ფორმებშია მოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სერაფიტს ეკუთვნიან. დასასრულ, სრულებით გაუგებარია **רֵשׁ**, მრავლობითი რიცხვი მიმღეობისა **רֵשׁ** ზმნისაგან? ამ ფორმის ხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამართლებული, თუ მას იდეოგრამად მივიჩნევთ. არაა, რა თქმა უნდა, გამორიცხული, რომ **רֵשׁ** იყოს ზმნის ფორმა, ნაწარმოები მიმღეობისა და პირველი პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, გვექნება არასწორი დაწერილობა (**רֵשׁ**, ნაცვლად **רֵשׁ**-სი). ხოლო მეორე მხრით, არაბუნებრივი მოთხრობა ტექსტისა: დასაწყისი პირველ პირში; გაგრძელება მესამეში და დასასრული ისევ პირველში.

ყველაფერი ეს ახსნას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არა ვაკებს უფლება ვამტყიცოთ წარწერის ენის არამეული ხასიათი.

თუ წარწერას ენა არამეული არ არის, მაშინ მასში გამოყენებული არამეული სიტყვები განხილულ უნდა იქნეს როგორც ჰეტეროგრამები რომელიმე სხვა ენისათვის, პირველ ყოვლისა საშუალო სპარსულისათვის<sup>3</sup>, რადგან იმ ეპოქისათვის, რომელსაც წარწერა

<sup>1</sup> შდრ. ქართ. „გამარჯვებულნი“, რომელიც რუსულად ასე გადაითარგმნება: победитель, თუმცა მას ფორმა ენებითის მიმღეობისა აქვს.

<sup>2</sup> მეორე შემთხვევაში იგი შემამსმენელია **רֵשׁ**-ის მიმართ და მამრობითი სქესის ფორმა აქ კანონზომიერად არის ნახმარი.

<sup>3</sup> საბედობრად ფალაურისათვის, მისთვის დამახასიათებელი | პირის სუფიქსით ისეთ, მაგ., სიტყვებში, როგორიცაა **רֵשׁ**, და სხ. საყურადღებოა, რომ № 1 წარწერაში იმავე შემთხვევაში III პირის სუფიქსია ნახმარი, როგორც ეს ჰუნენრიის ფაზსულ სისტემას ახასიათებს.





მთლიან არამეულ ტექსტში და სხ. უნებლიედ ბადებს კითხვას: ხომ არ არის ჩვენი ბილინგვა იმავე ენაზე ნაწერი, როგორც ზემოთ ხსენებული კაბადოკიური წარწერები? შესაძლებელია ყველა ამ ძეგლში ასახული იყოს ენობრივი ვითარება იმ ეპოქისა, როდესაც საშუალო სპარსული სალიტერატურო ენა იქმნებოდა და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის, რომელსაც ჩვენი წარწერები ეკუთვნის, მან მოასწრო საკმაოდ განვითარებულყოფილი და ჩამოყალიბებულიყო როგორც სამწერლობო ენა ჯერ პართიისა, შემდეგ კი სასანიანთ სპარსეთისა, ჩვენ ძეგლებში კიდევ შეინახა კვალი ამ ენის განვითარების უფრო ძველი საფეხურისა, მისი ჩამოყალიბების ხანისა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც № 1 წარწერა იქნება მთლიანად ამოშიფრული, ან კიდევ ახალი ძეგლები აღმოჩნდება არმაზის იმ არქეოლოგიური გათხრების დროს, რომლებიც კიდევ გრძელდება. ჯერჯერობით კი, ჩვენ ამ ძეგლებსაც, არმაზის ორიგინალური დამწერლობის ანალოგიით, „არმაზულ წარწერებს“ ვუწოდებთ.

#### IV. ტექსტის კომპოზიციის

კომპოზიციის თვალსაზრისით წარწერა არ წარმოადგენს არაჩვეულებრივ რამეს და სემიტური ეპიგრაფიკის მრავალ ძეგლში, ისე როგორც ბერძნულ-რომაულ ეპიტაფიებში შესაძლებელია მოიძებნოს პარალელები ტექსტში ხმარებული გამოთქმებისათვის. პირველი პირის ნაცვალსახელის საშუალებით ნაჩვენებია თუ ვის ეკუთვნის საფლავი: **רַבִּי רַחֵם** „მე—ასეთი და ასეთი“. წარწერის ასეთი დასაწყისი, I პირში, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სემიტურ ეპიგრაფიკაში, მაგრამ ეს უმთავრესად დამახასიათებელია საალმშენებლო და საისტორიო შინაარსის ტექსტებისათვის, თუმცა ეპიტაფიებშიც გვხვდება<sup>1</sup>. მიცვალბულის სახელის შემდეგ ნაჩვენებია სახელი და მდგომარეობა მისი მამისა, აგრეთვე ქმრისა და მამამთილისა, რაც არცთუ ძალიან იშვიათია საფლავის ქვების წარწერებში<sup>2</sup>. დაწვრილებითი გენეალოგია ბოლოვდება მწუხარების ტრადიციული შეძახილით **לַחַי** (ჩვენ წარწერაში ორჯერ, მეორედ **וְ** სუფიქსით) „ვამ!“<sup>3</sup>, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება პალმირულ წარწერებში<sup>4</sup>. ასე, მაგ., თითქმის ყოველ პალმირულ ეპიტაფიში მოიპოვება ამგვარი შეძახილი: **לַחַי וְרַחֵם וְרַחֵם אֲרַחֵם** „უბადნე, ძე მარტოს, ვამ!“<sup>5</sup> **לַחַי וְרַחֵם וְרַחֵם אֲרַחֵם** „მარტოს, ძე მარტოს, ვამ!“<sup>6</sup> და სხ.<sup>7</sup> მწუხარების შეძახილს, რომელი ხანის ძეგლების მიხედვით, მისდევს ე. წ. შესხმა, (ქება, *Lobspruch*)<sup>8</sup> მიცვალბულისა, რომ „ის იყო ახალგაზრდა და არაიენ იყო მისი მსგავსი სილამაზით“ (ან, შეიძლება, „სიკეთით“). დასასრულ ნაჩვენებია მიცვალბულის ხნოვანება („გარდაიცვალა 21 წლისა“), როგორც ეს რომაული ეპოქის ლათინურ-ბერძნული, ებრაული და ახალბუნური წარწერებისათვის არის დამახასიათებელი<sup>9</sup>. აღსანიშნავია, რომ ბილინგვის ბერძნულ ტექსტში, პარალელური ტექსტისაგან გან-

<sup>1</sup> NE, I, p. 139.

<sup>2</sup> Ibid., p. 138.

<sup>3</sup> Ibid., p. 143, 147, 270.

<sup>4</sup> Ephemeris, II, p. 318.

<sup>5</sup> Ibid., p. 319.

<sup>6</sup> Ibid., p. 319.

<sup>7</sup> ნ., მაგალითად, დიდი რაოდენობა წარწერებისა Eph. I, pp. 75, 76, 77, 78 (№ 192, ორჯერ), 83, 85, 340, 341, 342, 343, 347, 348, 349; II, pp. 78, 79, 288, 307 (ერთსა და იმავე წარწერაში ორჯერ), 308, 312, 316, 317, 318, 319 და მრავ. სხ.

<sup>8</sup> NE, I, 140—141; Larfeld, *ibid.*, p. 450.

<sup>9</sup> NE, I, p. 140; Ephemeris II, pp. 64, 65, 66, 67, 90, 91, 188, sq.; Larfeld, *ibid.*, p. 449.

სხვაგვებით, მიცვალბულის ხნოვანება წინ არის წამოწეული და ქება სულ ბოლოს არის მოთავსებული. მაგრამ, ბერძნული ტექსტის კომპოზიციური აღნაგობა არამეულისაგან მარტო ამით არ განისაზღვრება. ასე, მაგალითად, ბერძნულში არ არის საფლავის კუთვნილება აღნიშნული რაიმე სპეციალური საშუალებით და წარწერა პირდაპირ იწყება CHPAINEITIC; გარდა ამისა, იქ არ არის გამოხატული მწუხარება, რომელიც პარალელურ ტექსტში საგანგებოდ არის გახაზული ზღ-ის გაორკეცებით. თვით ტექსტი წარწერის ბერძნული ნაწილისა ცოტა უფრო მოკლეა, ვიდრე პარალელური ტექსტი. ბერძნული ტექსტი ამგვარად არის შედგენილი: 1. მიცვალბულის სახელი, ყოველგვარი მითითების გარეშე, რომ საფლავი მას ეკუთვნის; 2. მისი მამის, ქმრისა და მამამთილის<sup>1</sup> სახელები და მათი თანამდებობანი; 3. მიცვალბულის ხნოვანება; 4. შესხმა. პარალელურ ტექსტში გვაქვს: 1. მითითება | პირის ნაცვალსახელის საშუალებით, თუ ვის ეკუთვნის საფლავი; 2. მიცვალბულის სახელი; 3. მიცვალბულის მამის, ქმრისა და მამამთილის სახელები მათი მდგომარეობის აღნიშვნით; 4. მწუხარების შეძახილი; 5. შესხმა; 6. ხნოვანება მიცვალბულისა.

ამგვარად, ბილინგვის ორივე ტექსტი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, არ წარმოადგენს ერთმანეთის ზუსტ გამეორებას; არამედ ამჟღავნებს ზოგიერთ ტექსტუალურ განსხვავებას. მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება კომპოზიციის მხრივ. ეს განსხვავებანი, თუნდაც უმნიშვნელონი, მოწმობენ, რომ სტელის ორივე ტექსტი დაკავშირებულია ერთმანეთთან ახლოსმდგომ, მაგრამ რამდენადმე თავისებურ ეპიგრაფიკულ ტრადიციებთან.

ნათქვამიდან ცხადია, რომ წარწერის ტექსტი წარმოადგენს სავსებით განვითარებულს, თითქმის სრულყოფილ ფორმას ეპიგრაფიებისა იმ უძველეს და პრიმიტიულ წარწერებთან შედარებით, როდესაც კმაყოფილდებოდნენ მიცვალბულის მარტო სახელის მოხსენიებით. მხოლოდ შედარებით გვიანდელ ეპოქაში, კულტურული და ეპიგრაფიკული ტრადიციების განვითარებასთან ერთად ჩნდება საფლავის ქვებზე უფრო დაწვრილებითი ცნობები მიცვალბულის შესახებ, აგრეთვე მწუხარების გამოხატულება და სხ. რაც შეეხება შესხმასა და ხნოვანებას, ეს უკვე დამახასიათებელია; უმთავრესად, რომაული ეპოქის ბერძნულ-ლათინური, ებრაული და ახალბუნური წარწერებისათვის. ბილინგვის სახით ჩვენ ამგვარი წარწერის ნიმუში გვაქვს. სურათის მთლიანობისათვის გვაკლია მხოლოდ გარდაცვალების თარიღი და მიცვალბულის დედის სახელი, რომელიც ხშირად არის ხოლმე ეპიგრაფიებში მოცემული.

## V. მოქმედი პირები

საკუთარმა სახელებმა ჩვენ გაგვიწიეს უმთავრესი დახმარება წარწერის ამოშიფრვისას. ასეთივე მნიშვნელობა აქვთ მათ იმ ისტორიული სურათის გასათვალისწინებლად. რომელთანაც ძველი არის დაკავშირებული. დასასრულ, წარწერაში მოხსენებული პირების დაწვრილებითი ტიტულატურა საშუალებას იძლევა მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები გავკეთდეს ძველი ივერიის პოლიტიკური ცხოვრებისა და სახელმწიფო წყობილების შესახებ I—II საუკუნეებში.


წარწერის მთავარი პირი სერაფიტია. ჩვენ ვგებულობთ, რომ ის არის ასული ფარსმან მეფის უმცროსი პიტიაზის ზევახისა და მეფულე ხსეთარნუგ<sup>2</sup> მეფის ეზოას მოძღუ-

<sup>1</sup> სერაფიტის მამამთილის სახელი ბერძნულში უფრო ვრცლად არის მოცემული, ვიდრე პარალელურ ტექსტში.

<sup>2</sup> ბერძნულ ტექსტში არ არის ნაჩვენები, თუ ვისი პიტიაზები იყვნენ ზევახი და აგრიპა; სამაგიეროდ პარალელურ ტექსტში ხსეთარნუგ მეფის ტიტული არაა ისე დაწვრილებით მოცემული, როგორც ბერძნულში („ივერიის დიდი მეფე ხსეთარნუგი“).

<sup>3</sup> სიტყვა მოგვყავს იმ ფორმით, როგორც ეს წარწერაშია წარმოდგენილი.

რის იოდმანგანისა ძისა პუბლიკიოს აგრიპასი, იმავე ფარსმანის ეზოას მოძღუროსა. ანგე-  
რად, ცოლქმარი სერაფიტი და იოდმანგანი, ხსეფარნუგ მეფის თანამე-  
დროვენი, შეადგენენ ერთ თაობას. მათი მშობლები, სერაფიტის მ-  
მა ზევას უმცროსი პიტიახში და იოდმანგანის მამა აგრიპა ეზოას  
მოძღუარი, ფარსმან მეფის თანამედროვენი არიან და მასთან ერთად  
წინა თაობას ეკუთვნიან. წარწერაში მოხსენებულ პირთა ერთმანეთთან ურთი  
ერთობა ჩვენ ამგვარად წარმოგვიდგენია.



ამ სქემიდან ჩანს, რომ ორჯერ მოხსენებული ფარსმან მეფე არის ერთი და იგივე პირი,  
რომელიც წინ უძღოდა ხსეფარნუგ მეფეს ივერიის ტახტზე. ამიტომ არა გვაქვს საფუძველი  
ფარსმანი და ხსეფარნუგი ერთმანეთის თანამედროვეებად მივიჩნიოთ და აქედან გამოვიტა-  
ნოთ დასკვნები ორმეფობის შესახებ ივერიაში იმ დროისათვის, რომელსაც წარწერა  
ეკუთვნის.

ძალიან მნიშვნელოვანია ფარსმან მეფის მოხსენიება წარწერაში. იმ ეპოქისათვის  
ჩვენთვის ცნობილია (ქართული<sup>2</sup> და ზერძული<sup>3</sup> წყაროებით) ფარსმან მეფე, რომელსაც  
ურთიერთობა ჰქონდა რომის იმპერატორ ადრიანესთან (117—138) და ანტონინუსთან  
(138—161) და რომელმაც, როგორც შესანიშნავმა სახელმწიფო მოღვაწემ, შესალო სა-  
გებლობა გამოეტანა ივერიის სამეფოსათვის პართიისა და რომის წინააღმდეგობიდან<sup>4</sup>.  
მან იმგზავრა კიდევ სტუმრად რომს, თავისი მხლებლებით, კეისართან. დიონ კასიოსის  
სიტყვით „როდესაც ფარსმან ივერიელი მეუღლით მივიდა რომს, [ადრიანემ] გააღიდა  
მისი სამფლობელო, ნება დართო მას მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში, მისი ცხენო-  
სანი ქანდაკება დადგა მარსის მოედანზე და ნახა სამხედრო ვარჯიშობა თვით [ფარს-  
მანისა], მისი შვილისა და ივერთა სხვა წარჩინებულთა“<sup>5</sup>. შესაძლებელია, რომ ჩვენი  
წარწერის ფარსმანი იგივეა<sup>6</sup>, რაც დიონ კასიოსის ზემოთ ხსენებული „ფარსმან ივერიელი“.  
თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემდა დავვეზუსტებინა ბი-  
ლინგვის თარიღი. ფარსმან მეფე, როგორც ცნობილია, თანამედროვე იყო ანტონინე იმ-  
პერატორისა, რომელიც 138—161 წლებში მეფობდა, ისე რომ ფარსმანის მეფობა მეორე  
საუკუნის ნახევარამდე აღწევს. მეორე მხრით, წარწერიდან ჩანს, რომ სერაფიტი და  
იოდმანგანი ფარსმანის მომდევნო მეფის ხსეფარნუგის თანამედროვენი არიან, მაშასადამე

<sup>1</sup> ორი ხაზით დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთი თაობის ბაღში. ისარი უჩვენებს მომდევნო თაობის პირებს.

<sup>2</sup> მაგ., ქართლის მოქცევის შატავანში და აგრეთვე ლეონტი მროველთან.

<sup>3</sup> დიონ კასიოსი ვ. ლატიშევთან, *Известия древних писателей, греческих и латинских о Скифии и Кавказе*, ტ. I, 1893—1900, გვ. 622.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1928, გვ. 159; ს. ჯანაშია, საქართველოს ძველი ისტორიული ძეგლები, ვაზ. „კომუნისტი“, 1. VI, 1941, № 127/6132, შემოკლებით „პრადა“-შპ 29. V, 1941.

<sup>5</sup> ვ. ლატიშევი, იქვე, გვ. 622.

<sup>6</sup> შტრ. ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 2.

3. ენიმეის მოამბე, ტ. XIII.



წარწერა უნდა მივაკუთვნოთ II საუკუნის მეორე ნახევრის ახლო ხანას ან იმავე საუკუნის მესამე მეოთხედის ბოლოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარწერიდან ჩანს, რომ ფარსმანის მომდევნო მეფე ივერიის ტახტზე იყო ხსენებული<sup>1</sup>, რომელიც ატარებდა ტიტულს „დიდი მეფე“, როგორც ეს ბილინგვის ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ. ჩვენ არ ვიცით, ფარსმანის შვილი იყო ის, თუ ივერიის ტახტი მან უფროსობით დაიმკვიდრა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ფარსმანის შემდეგ ივერიის სამეფოს სწორედ ის განაგებდა. მისი სახელი არ გვხვდება საქართველოს I და II საუკუნის მეფეთა სიებში, მაგრამ გამოირიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ის იმალებოდეს მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეში ან ლეონტი მროველის თხზულებაში დამახინჯებული ფორმით შემონახულ რომელიმე სახელწოდებაში.

პირველად ამოტივტივდა აგრეთვე ეზოჲს მოძღუარ (ბერძნული ტექსტით პიტიახშ) პუპლიკიოს აგრიპას სახელი. რაიმე სხვა ცნობა ამ პიროვნების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. რაც შეეხება სერაფიტის მამის, ზევახის სახელს, იგი რამდენჯერმე გვხვდება არმაზში მოპოვებულ ნივთთა წარწერებზე: № 1 წარწერაში, აგრეთვე ბერძნულ წარწერაში, რომელიც მოთავსებულია ასპაურუკ პიტიახშის სამარხში მოპოვებული ოქროს ქამრის აბზინდში დამაგრებულ გემაზე: *Καπαχ. Ζεβαχης ζοις* (sic) *μην* „ქარპაკ. ზევახ, ჩემი სიცოცხლე“.

მაგრამ № 1 წარწერის ზევახი არ შეიძლება გაეაიგივოთ ბილინგვის ზევახთან, რადგან მათ შორის, როგორც ვფიქრობთ ±ერთი საუკუნის ქრონოლოგიური განსხვავებაა. სამაგიეროდ, გემის წარწერაში მოხსენებული ზევახი შეუძლებელი არაა, იდენტური იყოს სერაფიტის მამისა<sup>2</sup>. ქართულ საისტორიო წყაროებში ეს სახელი მე არ შემხვედრია.

წარწერიდან პირველად ვგებულობთ აგრეთვე ხსენებულ მეფის ეზოჲს მოძღურის იოდანანანის შესახებ. რაიმე სხვა ცნობები მასზე ჩვენ არ მოგვეპოვება. საერთოდ, წარწერაში მოხსენებულ პირთა დიდი ნაწილი დღემდის სრულებით უცნობია. ეს გასაგებია. არმაზის აღმოჩენების საშუალებით პირველად ეფინება შუქი ქართველი ერის ისტორიის ისეთ ეპოქას, რომლის შესახებ დღემდის არამც თუ დეტალები არ ვიცოდით, არამედ თითქმის არაერთი ცნობები არ მოგვეპოვებოდა. ამიტომ საკვირველი არაა, რომ მოკლებული ვართ საშუალებას წარწერებში მოხსენებული სახელები სხვა წყაროებიდან ცნობილ პირებს დაეუკავშიროთ. მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს ძეგლები. ისინი თვალწინ გვიშლიან სურათს ქართველი ხალხის ცხოვრებისა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის ეპოქაში, რომლის შესახებ აქამდის არც თუ საცხებით ნათელი წარმოდგენა გვქონდა.

## VI. ტექსტის კომენტარი

ახლა, როდესაც წარწერა ამოშიფრული და გადათარგმნილია, მისი კომენტირება გაცილებით გაადვილებულია, თუმცა, წარწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალის გამორკვევისას ისმის რიგი საკითხები, რომლების გადასაჭრელად ახალი მასალების მოპოვება იქნება საჭირო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ ამოშიფრული ტექსტის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადად აღდგენილ იქნეს ისტორიული სურათი, რომელთანაც წარწერები დაკავშირებული.

ძალიან მნიშვნელოვანია მრავალრიცხოვან პიტიახშთა მოხსენიება არმაზის წარწერებში. ასე, მაგალითად, წარწერაში ინტალია-გემაზე მოხსენებულია *Ἀπαχαραχης*<sup>3</sup> *παραχης*<sup>4</sup> „ასპაურუკ პიტიახში“. არმაზში მოპოვებული ვერცხლის ერთი პინაკის წარწერაში იხსენიება ბერსუმა პიტიახშის სახელი (დედანში მიცემით ბრუნვაში *Βερσισμα παραχης*)<sup>5</sup>.

<sup>1</sup> სახელის ეტიმოლოგიისათვის იხ. Justi, გვ. 94.

<sup>2</sup> სახელი *ΚΑΡΧΑ* გვხვდება № 1 წარწერაშიაც (13 სტრიქონში).

<sup>3</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ხს. ნაშრომი, გვ. 169 შმდ.

<sup>4</sup> შტრ. აკად. ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 2.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 171.

პიტიახშოთა სახელები გვხვდება არმაზის ორივე არამეულ წარწერაში, აგრეთვე ბილინგვის ბერძნულ ტექსტში; გარდა ამისა, ბორის (შორაპნიდან) წარწერაში დასახელებულია „ბუზ მიპრ კეიილი პიტიახში“<sup>1</sup> და სხ. ამ ცნობებში ახალი ჩვენთვის ის არის, რომ ხშირად ეს პირები ივერიის მეფეთა პიტიახშებად იწოდებიან. ასეა ბილინგვაში (ზევახი, ფარსმან მეფის მცირე ანუ უმცროსი პიტიახში), აგრეთვე № I წარწერაში (ვიწმე შ-რ-გ-ს მოხსენებულია მიპრდატ მეფის პიტიახშად), იგივეა ბილინგვის ბერძნულ ტექსტში (პიტიახში პუპლიკიოს აგრიპა, მამა იოდმანგანისა) და სხ.

უკანასკნელ დრომდის ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი, რომ პიტიახშატი წმინდა სპარსული ინსტიტუტია, რომელიც გაცილებით გვიან ჩნდება საქართველოში, სახელდობრ, IV საუკუნის დასასრულს<sup>2</sup> ან V საუკუნის დამდეგს, როდესაც ივერიის სამეფო სასაზღვრო სპარსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა და რომ პიტიახშებს სპარსეთის მეფეები ნიშნავდნენ საქართველოში, ვითარცა მმართველებს მათი სავაჭრო ტერიტორიისა<sup>1</sup>. ჩვენი წარწერების წყალობით ირკვევა, რომ ასეთი ინსტიტუტი საქართველოშიც არსებობდა და რომ ივერიის მეფეებს თვით ჰყავდათ მოხელეები, რომლებსაც პიტიახშები ეწოდებოდათ. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი დასკვნა, რომლის გამოტანის საშუალებას გვაძლევს ბილინგვის შესწავლა. მაგრამ წარწერაში ზევახი მოხსენებულია არა უბრალოდ პიტიახშად, არამედ „მცირე“ ან „უმცროს“ პიტიახშად. ზემოთ ჩვენ საკმაოდ ნათლად დავინახეთ, ლინგვისტურ მოსაზრებათა საფუძველზე, რომ ბილინგვის ორივე ტექსტში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა მხოლოდ «მცირე» ან «უმცროსი» შეიძლება იყოს. ეს დებულება შეიძლება დამტკიცდეს ისტორიული მოსაზრებებითაც. ჯერ ერთი, თუ იმ დროს, როდესაც ბილინგვა იწერებოდა, ზევახი მართლა პიტიახშის ფუნქციებს ასრულებდა, საჭირო არ იყო სპეციალური აღნიშვნა, რომ ის «ახლანდელი» ან «ახალი» პიტიახშია. ეს, რამდენადაც მე ვიცი, არც თუ ისე ხშირად ხდება ხოლმე. მეორე, ზევახი მოხსენებულია წარწერაში პიტიახშად ფარსმან მეფისა, რომელთან ერთად (და აგრეთვე აგრიპასთან) ის წინა თაობას ეკუთვნის. წარწერის შედგენის დროს კი ივერიის ტახტს ფარსმანის მომდევნო მეფე ხსენარსებუი განაგებს<sup>2</sup>. ამით აიხსნება, რომ ბილინგვის ბერძნულ ტექსტში ფარსმანი (რომლის პიტიახშიც ზევახი იყო) სრულებით არ არის მოხსენებული, მაშინ როდესაც ხსენარსებულის სახელი საგანგებოდ არის ხაზგასმული, მისი ტიტულის მითითებით: „იბერთა დიდი მეფე“. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ ხსენარსებულის დროს «ახლანდელი» ან «ახალი» პიტიახში მისი წინამორბედი მეფის მოხელისათვის ეწოდებინათ. ადვილად შესაძლებელია, რომ წარწერის შედგენის მომენტში ზევახი არც კი ყოფილიყო ცოცხალი; ყოველ შემთხვევაში, ფარსმანის «ახლანდელი» ან «ახალი» პიტიახში ის ვეღარ იქნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წარწერის შედგენის მომენტში, როგორც ჩანს, თვით ფარსმანი აღარ არსებობდა. იგივე ითქმის არამეული ზუჟუ Kalyl-ისათვის წარმოდგენილი თარგმანის შესახებ: «ახალგაზრდა პიტიახში» (რუსულად „нового питиахша“). წარწერიდან ჩანს, რომ ზევახს მოუყვდა ოცდაერთი წლის ქალი, რომლის მამა იმ დროისათვის ძალიან ახალგაზრდა, ალბათ, ვეღარ იქნებოდა (თუ კი ზაერთოდ ის ცოცხალიც იყო). გარდა ამისა, საეჭვოა, რომ წარწერის ამომკვეთმა არ იცოდა თუ რომელ პიტიახშზე იყო საუბარი, რა იყო მისი ტიტული და რომ ერთსა და იმავე პირს, ისიც მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეს, ხან «ახალ» პიტიახშს უწოდებდა, ხან კიდევ «ახალგაზრდას» («ახალი» და «ახალგაზრდა» რეალურად ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული ცნებებია: შეიძლებოდა ახალი, ახლად დანიშნუ-

<sup>1</sup> იხ. საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე, თბილისი, 1942, გვ. 65—66.

<sup>2</sup> იხ. ზევით, გვ. 32—33.

ლი მოხელე, ძალიანაც მოხუცებული ყოფილიყო). ბილინგვის ორივე ტექსტის დეტალურმა შესწავლამ დამარწმუნა, რომ მწერალი საკმაო ოსტატობით არჩევს ბერძნულ და არამეულ შესატყვისობებს და ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ მას არ ესმოდა ბერძნული ტექსტის მნიშვნელობა და ამიტომ შეცდომით თარგმნიდა მას არამეულზე ან პირიქით.

ამ ტერმინების შინაარსის გაგებაზე დამოკიდებულია მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული დასკვნები, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გვესმის ეს სიტყვები. თუ ჩვენ დავეთანხმებით ხსენებული სიტყვებისათვის წარმოდგენილ თარგმანებს, მაშინ ზევას «ახლანდელ» ან «ახალ» პიტიახშთან ერთად «ახლანდელად» უნდა მივიჩნიოთ თვით ფარსმან მეფეც, რომლის მოხელეც ზევახი იყო. მაგრამ «ახლანდელია» აგრეთვე ხსეფარნუგიც, იოდმანგანისა და სერაფიტის თანამედროვე მეფე. წარწერაში ერთდროულად ორი მეფის მოხსენიება კი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ორმეფობით I და II საუკ. ივერიაში, რის შესახებ მართლაც მოგვითხრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანე. მაგრამ ასეთი დასკვნისათვის ჩვენი წარწერა არავითარ საბუთს არ იძლევა და როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიული მოსაზრებანი უეჭველს ჰყოფენ, რომ წარწერაში არ შეიძლება სხვა რამეზე იყოს საუბარი, თუ არ «მცირე» ან, რაც იგივეა, «უმცროს» პიტიახშზე.

აქამდის ჩვენ «მცირე» ან «უმცროს» პიტიახშთა შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვებოდა, მაგრამ თვით წარწერა არის ასეთი ინსტიტუტის არსებობის ავტორიტეტული საბუთი და არა გვაქვს უფლება მას არ დავუჯეროთ. უმცროს პიტიახშთა ინსტიტუტი კი «უფროს» ან, ძველი ტერმინოლოგიით, «დიდ» პიტიახშთა არსებობასაც გულისხმობს. არმაზის წარწერებში ასეთი ტიტულატურა არ გვხვდება, მაგრამ მისი არსებობაც უნდა ვივარაუდოთ, ვინაიდან იგი დამოწმებულია ივერიის მეზობელ ქვეყანაში, სომხეთში. ცნობები ამის შესახებ შენახული აქვს სომეხ ისტორიკოსს ავათანგელოსს, რომელიც გადმოგვცემს, რომ თრდატ მეფემ „შეკრიბნა მთავარი ნახარართა და განმგებელნი ქვეყანათა. პირველ, იშხანი ანგლ-ტუნისა, მეორედ, იშხანი აღძნიქისა, რომელი იგი არს პიტიახში დიდი“<sup>1</sup>. იმავე თხზულების არაბულ ვერსიაშიაც შენახულია ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ აღძნიქის მმართველი მართლაც „დიდი პიტიახშის“ ტიტულს ატარებდა: „და მეფე თრდატმა, როდესაც მიაღწია ქალაქსა ვალარსაბატსა, ბრძანა, რომ წარმდგარიყვნენ მწერალნი სამეფოჲსა მისისა და უბრძანა მათ მიეწერათ წერილები მისი სამეფოს ყველა მცხოვრებისათვის, რათა მოსულიყვნენ მთავარი და არხონნი, ერისთავნი და მმართველნი წინაშე მეფისა, ქალაქსა ვალარსაბატსა—წერილები აფხაზთა მეფისა, ქართველთა მეფისა და წერილი ალანთა მეფის მიმართ და აუხსნა მათ მან წერილებში ყოველი, რაცა გარდახდა მათ და უთხრა: „ამისათვის ჯერ არს თქვენდა, რათა მოხვიდეთ ჩემდა სასწრაფოდ“. და როდესაც მიაღწიეს წერილებმა, მივიდა მასთან სამი მეფე: მეფე აფხაზთა, მეფე ქართველთა და მეფე ალანთა და მათთან ერთად კრებული მმართველთა, პირველ, მმართველი გიბსისა, მეორე, მმართველი არტანუჯისა<sup>2</sup>, რომელსა ეწოდების ბრსაკსი (პიტიახში) დიდი“<sup>3</sup>. მეორე სომეხი ისტორიკოსი ფაუსტოს ბიზანტიელი აღძნი-

<sup>1</sup> «*Պատմութիւն զԳեորգիոսի Նախորդարայն և զԿաստակոյն իշխութեանն. ստովին՝ իշխանն Մագիստան, երկուրդ՝ իշխանն Ապինտայ, որ է քուսայն մեծ...*» *Ազգայնագիտ. Պատմագիտ. Հոսից, Տիպիս*, 1909, 795, გვ. 414. *Սժր. აგრეთვე* Marquart, Erānsāhr, p. 166.

<sup>2</sup> არტანუჯი ტექსტში მერმინდელი დამახინჯებაა ნაცვლად *ارزن*-ისა. *Սժր. ბერძნ.* Ἀρζανუჯί, *სომხ. Արձն, Արձն* სიტყვის პარალელური ფორმა (*Սժր. მ. ხორენელი, გვ. 111*), რომელიც ძველ ეპოქაში აღძნიქის პროვინციის აღსანიშნავად იხმარებოდა (*Սժր. Marquart, Erānsāhr, გვ. 14 14; 25*).

<sup>3</sup> Н. Я. Марр. Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием, гв. 112—114: *والملك ترضاظ لما بلغ الى مدينه ولرصباط امر ان يحضروا كتاب ملكه وامرهم ان يكتبوا كتبى جميع اهل مملكته ليحضروا القواد والاراكه والريسا والسلاطين الى الملك فى مدينه ولرصباط:*

ქის პიტიახშს დიდ იშხანს უწოდებს: „მაშინ განუღდა სომეხთა მეფეს ერთი მისი შონათაგანი, აღძნიქის დიდი იშხანი, პიტიახშად სახელდებული, რომელიც იყო ერთი ოთხთაგანი, მთავართაგანი უბირატესთაგანი მეფის სასახლისა“<sup>1</sup>. მოყვანილი ფაქტები ექვს არ ტოვებენ, რომ საქმე ეხება სწორედ დიდი პიტიახშის ინსტიტუტს და არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების საპატიო სახელწოდებას.

ის ფაქტი, რომ სომეხურში დადასტურებულია ტერმინი „დიდი პიტიახში“, ხოლო სერაფიტის მამა, როგორც გამოირკვა, „მცირე პიტიახშის“ ტიტულს ატარებდა, მოწმობს რომ „ჩვეულებრივი“ პიტიახშების გარდა ძველ ივერიაში არსებობდა ინსტიტუტი მცირე და დიდი პიტიახშებისა.

დაგვიჩენია ვუპასუხოთ კითხვას: რა ფუნქციებს ასრულებდა პიტიახშო და რაში მდგომარეობდა მისი ხელისუფლება. ამ საკითხის გამოსარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ პიტიახშის დანიშნულება სომეხთა და სპარსეთში, ვინაიდან საფუძვრებელია, რომ იმ ეპოქაში, როდესაც ეს ტერმინი შემოდიოდა ჩვენში, მას დაახლოებით მაინც იგივე მნიშვნელობა ექნებოდა, რაც ივერიის მეზობელ ქვეყნებში, საიდანაც ეს სიტყვა უნდა იყოს წარმომდგარი. სასანურ იმპერიაში, რომელმაც ეს სიტყვა (და მის მიერ აღნიშნული ინსტიტუტი) არშაკიანთ სახელმწიფოსაგან მიიღო მემკვიდრეობით, პიტიახშები ანიშნებოდნენ ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყნებში, სომეხთა და ასურეთში<sup>2</sup>. პიტიახშს შალალი ადგილი ექირა იმპერიის სახელმწიფო იერარქიაში და თავისი რანგით ის თვით „დიდ ვაზირზე“ (ჰაზარობატზე) უფრო მაღლა იდგა და მხოლოდ ჰარგუპატს უთმობდა პირველობას<sup>3</sup>.

სომეხეთში პიტიახში ეწოდებოდა ზოგიერთი სანაპირო მხარის მმართველს. აგათანგელოსის სიტყვით დიდებულთ შორის, რომლებიც თან ახლდნენ თრდატს კესართან მისი მოგზაურობის დროს, გარდა გრიგოლ არქიეპისკოპოსისა, მისი შვილის არისტაკ ეპისკოპოსისა და კიდევ ერთი ეპისკოპოსის ალბინისა, იყვნენ მისი სასახლის ოთხნი უბირატესნი (ყაზიქსე), პიტიახშებად (იქიჯაქსე) წოდებულნი: პირველი—საჰმანაკალი (Markhäter) ნორ შირაკანის მხრით; მეორე—ასორესტანის მხრით; მესამე—არვესტანის მხრით, მეოთხე—მასქითქის-მხრით<sup>4</sup>. ეს მმართველნი, როგორც ჯერ კიდევ Marquart-მა აღნიშნა<sup>5</sup>. განაგებდნენ არა ხსენებულ მხარეებს, არამედ მათ მოსახლერე ან მათ მახლობლად მდებარე ქვეყნებს.

აკად. ს. ჯანაშიამ პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სპარსულ პიტიახშს ქართულში ერისთავი უნდა შეესატყვისებოდეს<sup>6</sup>. ეს დებულება ამჟამად შეიძლება შემდეგი მოსაზრებებით შემაგრდეს.

كتب [إلى ملك] إبخازن [إلى ملك] جرجان وكتب إلى ملك الألائين وفسر لهم في الكتب كل ما جاز عليهم وقال لذلك بسرعة ينبغي أن تاتوني فكما وصات الكتب أتوا الثلثة ملوك ملك إبخازن وملك جرجان وملك الألائين ومعه جماعه من المسلمين الأول مسلط الجيبس والثاني مساط ارطنج اسمه بيثس الكبير

<sup>1</sup> *გოჩიალ ქიანთასკალ თაყთაიანისაჲს კარგაქან ჯაიყი ძქ 'ქ ბაიაქეჲ ზიირი მხე ქუქსანს სკუანსაჲს, ერ ასთიანთსოჲს კუქერ რესაქანს, ირ სქ ძქ 'ქ ჯიქეჲ, ყაანსქეჲ ცარბიქეჲ თანაქანს არდიანს: ჭაღათათიქს ჩაღათათიქსეჲ ოსთიანქანს ჯაიყი, СПб., 1883, გვ. 18; Marquart, Erānšahr, p. 168. შდრ. აგრეთვე მ. ბორენელი, ibid., p. 261. „დიდი იშხანი ბაკური, რომელიც აღძნიქის ბღვშად იწოდებოდა“. (ქუქსანს ჩაღათათიქს, სქ რესაქანს სკუანსაჲს კუქიქსეჲ).*

<sup>2</sup> შდრ. Marquart, Erānšahr, pp. 23—25; 165 ff., Herzfeld, Paikull, s. v.

<sup>3</sup> Herzfeld, ibid.

<sup>4</sup> აგათანგელოსი, 873, გვ. 459—460; Marquart, Erānšahr, p. 165.

<sup>5</sup> Erānšahr, p. 166.

<sup>6</sup> საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე, თბილისი, 1940, გვ. 66; აგრეთვე ხსენებული ნაშრომი, გაზ. „აღმუნიტი“, გვ. 2.

სომხურ საისტორიო წყაროებში პიტიახშებს ეწოდებოდათ *სარმანასკადე, ლიქნასკადე, ლიდასკადე*<sup>1</sup>, რადგანაც ისინი მხარეთა მმართველნი იყვნენ. ხოლო ვინაიდან საქართველოში მხარეთა მმართველები ერისთავებად ან ერისმთავრებად<sup>2</sup> იწოდებოდნენ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს ქართული ტერმინები და მათ მიერ აღნიშნული ინსტიტუტები წარმოადგენენ სომხური *ხდაჯ-ისა* და სპარსული *ხტჯ-ის* შესატყვისს.

ჩვენს საისტორიო წყაროებში შენახულია ერთი საინტერესო მოწმობა, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ლეონტი მროველი, როგორც ცნობილია, აღნიშნავს ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების აღწერილობაში, რომ ფარნავაზ მეფემ „განაწესნა ერისთავნი ოვანი და სპასპეტი (ერთი)“<sup>3</sup>, აგრეთვე სპასლართა და ათასისთავთა ინსტიტუტი. ყოველივე ეს, ლეონტის სიტყვით, დააწესა ფარნავაზმა „მომსგავსებულად სამეფუთოსა სპარსთასა“<sup>4</sup>. ლეონტი მროველი ხელმძღვანელობს იმ დებულებით, რომ მის მიერ ჩამოთვლილი ინსტიტუტები სპარსულია და ამიტომ მათ აღსანიშნავად ის სპარსულ ტერმინებს ხმარობს, ზოგჯერ პირდაპირ სესხულობს მათ, ხოლო ზოგჯერ ქართულად თარგმნის. ასე, ლეონტის მოთხრობაში ჩვენ გვაქვს სპარსული ტერმინები: სპასპეტი (ფაღ. *spāspāt*, ახალი სპარსული *سپهسپا*, სომხური *սպասպետ*) სპასალარი (სომხური *սպասար*, ფაზენდური *spāhsālar*, ახალი სპარსული *سپهسالار*). მეორე მხრით — ათასისთავი, რომელიც სპარსული *hazaropat*-ის ან სომხური *հարապատ*-ის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. დარჩა მხოლოდ ერისთავი, რომელიც აგრეთვე თარგმანია *ხტჯ-ისი*, რადგან ეს სიტყვა, რომელსაც ავტორი სპარსული ინსტიტუტის აღმნიშვნელ ტერმინად განიხილავს, არ შეიძლება ნახმარი იყოს ხსენებულ ადგილას სპარსული რომელიმე სხვა გამოთქმის აღსანიშნავად, თუ არ *ხტჯ-ისი*. მეორე ადგილას ლეონტი პირდაპირ ხმარობს ერისთავ სიტყვას სპარსული პიტიახშის აღსანიშნავად: „მაშინ გამოვიდეს სპარსნი და გამოიტანეს თანა მირდატ და დაიპყრეს ქართლი და მისცეს მირდატს ნაწილი მისი, ხოლო ნაწილი ფარსმანისი თვთ დაიჭირეს და დაუტევეს ერისთავი არმაზისი“<sup>5</sup>. მასვე მოეპოვება ასეთი გამოთქმა: „და დაიპყრეს ქართლი მირდატ და ერისთავმან სპარსთამან“<sup>6</sup>. იმავე მნიშვნელობით (პიტიახშის აღსანიშნავად) ხმარობს ერისთავ ტერმინს ჯუანშერის სახელით ცნობილი მეორე ქართველი ისტორიკოსი. ასე, მაგალითად, შუშანიკის წამების ცნობილ გმირს, ვარსკენ ქართლისა პიტიახშს ის ერისთავს უწოდებს: „ხოლო ამას, ვარსკენს“, ეუფლა ეშმაკი და განიჭრახა მიქცევა ცეცხლის მსახურებად. წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა, დაუტევა სჯული ქრისტესი და იქმნა ცეცხლის მსახურ. ხოლო სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა. ვითარ მოვიდა და ცნა ცოლმან მისმან შუშანიკ ქმრისა“<sup>7</sup> მისისაგან დატევება სჯული ქრისტესი, არღარა ერჩდა იგი ცოლად და დაივიწყა სიყუარული ქმრისა“<sup>8</sup> თვისისა და ყოვლითა გულითა შეუდგა იგი-

<sup>1</sup> ასე აქვს, მაგალითად, ავთანგელოსს (გვ. 413) და მრავალ სხვა ავტორს, შდრ. ჯ. *Մանասյան-Մխարաբյանի Յն Հայաստանի, Երեւան, 1934*, გვ. 34 შმდ. ამ წიგნით სარგებლობის საშუალება მე მომცა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

<sup>2</sup> ერისთავები ეწოდებოდათ მხარეთა მმართველებს უძველეს დროს, თუ ერისმთავრები საქმის ვითარებას არა ცვლის.

<sup>3</sup> გვ. 20.

<sup>4</sup> გვ. 21.

<sup>5</sup> შდრ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბილისი, 1928, გვ. 135.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>8</sup> დედანშია ვაქსნეს.

<sup>9</sup> დედანშია ქრმისა.

ქრისტესა აღსრულებად მცნებათა მისთა. მაშინ ვარსკენ<sup>1</sup> შეუდგა მრავალღონედ. პირველ ლიქნითა და ვედრებითა და ნიჭის მიცემითა, შემდგომად შეაგდო სატანჯუელსა დიდსა, რომლისა სიგრძისაგან არა დაეწერენ ლუაწლნი წმიდისა უშუანიკისანი. და მოკლა იგი ქმარმან მისმან ვარსკენ<sup>1</sup> ერისთავმან<sup>2</sup>. ჯუანშერს იქვე მოთხრობილი აქვს, რომ სპარსთა მეფემ «წარგზავნა რანს და მოვაკანს სხუა ერისთავი, რომელსა ერქუა და. რელ (დარიელ?)»<sup>3</sup>. პატიახშის<sup>4</sup> აღსანიშნავად ერისთავ ტერმინის ხმარების შემთხვევები ჯუანშერს სხვაც მოეპოვება. ყველა ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ მოსახრებებს «პატიახშისა» და «ერისთავის» შესატყვისობის შესახებ არ ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის შემდეგი სიტყვები: «მაშინ მეფემან სპარსთამან, მწუხარებითა შეპყრობილმან, მოუწოდა მთავართა სოფლებისათა, პატიახშთა და ერისთავთა სოფლებისათა»<sup>5</sup>. ლეონტის მიერ ამ აღვილას ნახმარი ორივე სიტყვა, ერთი სპარსული და მეორეც ქართული, გაგებულ უნდა იქნეს როგორც ერთი და იმავე შნა-არსის მქონე სინონიმური პარალელები<sup>6</sup>, რომლების მნიშვნელობასაც ლეონტი იქვე განმარტავს ქართული სხვა სიტყვებით: «(მოუწოდა) მთავართა სოფლებისათა». ლეონტის მიერ აქ ნახმარი ტერმინი სოფელი ზუსტი შესატყვისია სომხური *աշխարհ*-ისა (სპ. *χῆσθη-სი*), ხოლო მთავარი, ნაწარმოები თავ-ისაგან, როგორც პოლიტიკური ტერმინი შეესატყვისება სომხურ *պիս*-ს (რთულ სიტყვებში) ფალაურ *pat*-სა და სხ. ჯერ კიდევ განსვენებულმა ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა სრულებით სამართლიანად, რომ ლეონტი მროველის მიერ ნახმარი ერისთავნი სოფლებისანი «აქ სპარსული სამოხელეო ტერმინის ქართულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს»<sup>7</sup>. პატიახშის აღსანიშნავად სომხურში ხმარებული ზემოთ ჩამოთვლილი გამოთქმები: *կილასაკ*, *კიღმასაკ*, *ყასლი-კაკ* და სხ. იმავე მნიშვნელობის მატარებელნი არიან (*კიღმს*, *კიყს*, *ყასლი* «ადგილი», «მხარე», «ქვეყანა» და *კაკ*, რომელიც ამ შემთხვევაში სომხური *պსი* სიტყვის მაგივრობას სწევს, შდრ. *ყასლიაკ* და *ყასლიაქს*)<sup>8</sup>.

ეს ორმაგი შესატყვისობა ქართული და სომხური წყაროებისა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ეტიმოლოგია პატიახშ სიტყვისა. მასში ახლა მეტი უეჭველობით შეიძლება დავინახოთ არმენიზებული ფორმა სპარსული ტერმინისა, რომელიც შედგება სიტყვებისაგან *pat* [შდრ. ქართული პატიახში, სომხ. *պსი*<sup>9</sup> «თავი» (რომლის შესატყვისია ქართული თავ-ი ერისთავ სიტყვაში)] და *χῆσahi* > სომხ. *აჭარხ* [შდრ. ფალაური *χῆσai* (წაიკითხე *χῆσai*), ახალი სპარსული *šahr*, ძველი სპარსული *χῆσαça*, ძველი ირანული *χῆσahra*] იდაფეთის; ნაწილაკით მათ შორის. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ქართული და სომხური წყაროები საშუალებას გვაძლევენ უფრო მეტი საფუძვლიანობით დავადგინოთ ამ სიტყვის მნიშვნელობა, რომლის შესახებ ამდენი ეტიმოლოგია არსებობს<sup>10</sup>. ლეონტი

<sup>1</sup> დედანშია ვაკსენ.  
<sup>2</sup> მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 182.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 189.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 44.  
<sup>5</sup> ქართულში ხშირია შემთხვევები ორი ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვის, ერთის ქართულისა და მეორის უცხოის, ერთად ხმარება, როგორც სინონიმური პარალელებისა. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს კავშირიან სინონიმურ პარალელებთან. შდრ. შ. ძიძიგური, სინონიმური პარალელების ცნებისათვის ქართულში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების II სესიის მოხსენებები, თბილისი, 1941, გვ. 18—19.  
<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I გვ. 187.  
<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 187.  
<sup>8</sup> შდრ. ამას გამოთქმა *აქსარჩასაკ*, რომელიც აგრეთვე გვხვდება სომხურში, მაგ. მოსე ხორენელთან, 83-70.  
<sup>9</sup> შდრ. *Πησαχῆς* ერთ-ერთი ბერძნული წარწერისა, Langlois, II, 167, Th. Nöldeke-სთან, ZDMG, XXXIII, გვ. 159, შმშვ. 2.  
<sup>10</sup> ისინი ჩამოთვლილი აქვს Herzfeld-ს, Paikuli, s. v.

მროველისა და ჯუანშერის ტექსტების ყურადღებით შესწავლისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი თვით კი არ თარგმნიან სპარსულ *ხუჯა*-ს ქართული *ერისთავი*თ, არამედ ხმარობენ ძველ ქართულ შესატყვისს, რომლის მნიშვნელობა მათ დროს ჯერ კიდევ შენახული იყო. ასეთი დასკვნის საშუალებას, სხვათა შორის, იძლევა ანალოგია მეორე ქართული ტერმინისა *ეზოხას მოძღუარი*, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. მართალია, ძველ ქართულ სიტყვას «*ერი*» ჩვეულებრივ ხალხის მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ, შეიარაღებული ხალხისა<sup>1</sup> და ამ მხრივ იგი არაბული *ჟჳ-ის* ეკვივალენტს წარმოადგენს, მაგრამ კომპოზიტი «*თავ*» სიტყვასთან ის ერთგვარად ქვეყანასთან არის დაკავშირებული, თუ გაეხსენებთ ისეთ გამოთქმებს, როგორცაა „ქართლის ერისთავი“, „რაჭის ერისთავი“ და სხ. მაშასადამე, ქართული ტერმინი *ერისთავი*, რომელიც ქვეყნის ან პროვინციის მმართველს აღნიშნავს, სიტყვასიტყვით გადმოითარგმნება: „შეიარაღებული ხალხის მეთაური“, მაგრამ იგულისხმება ხალხი იმ პროვინციისა, რომელსაც *ერისთავი* განაგებდა. ამიტომ, მიუხედავად სემასიოლოგიური განსხვავებისა, რომელიც ქართულ *ერ-სა* და სომხურ *աշխարհ*-ს შორის არსებობს, ხსენებულ გამოთქმებში ისინი, როგორც სოციალური ტერმინები, ბოლოს და ბოლოს ერთსა და იმავე ცნებებს აღნიშნავენ.

ფსევდო მოსე ხორენელისა და სხვა სომეხ ავტორთა მიერ შემონახული ცნობების ანალიზის შედეგად Marquart-მა გამოიტანა დასკვნა, რომ უძველეს ეპოქაში სომხეთში რამდენიმე (ოთხი) პიტიახში იყო<sup>2</sup>. ნ. აღონცის აზრით<sup>3</sup> შეხედულება ბდემშებზე, როგორც ოთხი სანაპირო პროვინციის მმართველებზე, წარმოიშვა შემდგომი და გამოწვეულია წყობილებით სასანიანთ დროინდელი სპარსეთისა, რომელიც ოთხ მხარედ იყოფოდა<sup>4</sup>. მაგრამ ახლა უკვე ძნელია ეკვის შეტანა იმაში, რომ უკვე აღრინდელ ეპოქაში სომხეთში რამდენიმე პიტიახში (თუ მაინცდამაინც ოთხი არა) არსებობდა. ისეთი გამოთქმები, როგორცაა „დიდი პიტიახში“, ან „მეორე პიტიახში“<sup>5</sup>, რომელიც აგრეთვე გვხვდება, ამ დებულების საუკეთესო დამადასტურებელია. საფიქრებელია, რომ რამდენადაც პიტიახშები პროვინციათა მმართველნი იყვნენ, იმისდა მიხედვით, თუ რამდენ პროვინციად იყოფოდა სამეფო, პიტიახშთა რაოდენობა. სხვადასხვა უნდა ყოფილიყო.

იგივე მდგომარეობა ირკვევა საქართველოშიაც. პირველ ყოვლისა დადგენილია, რომ პიტიახშები სხვადასხვა რანგისანი იყვნენ: დიდი პიტიახში, მცირე პიტიახში და, დასასრულს, უბრალოდ პიტიახში. არმაზსა და საქართველოს სხვა კულტურულ ცენტრებში მოპოვებულ ნივთთა წარწერებზე მრავლად გვხვდება პიტიახშთა სახელები, რაც ერთგვარ არაპირდაპირ მოწმობას წარმოადგენს იმისას, რომ ივერიის მეფეთა კარზე არა ერთი პიტიახში იმყოფებოდა. გარდა ამისა, მერმინდელი ეპოქისათვის ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ საქართველოს სხვადასხვა პროვინციას სხვადასხვა ერისთავი განაგებდა. უფრო ძველი ეპოქისათვის ჩვენ მოგვეპოვება უკვე ხსენებული ცნობა ლეონტი მროველისა, რომ ფარნავაზ მეფემ განაწესდა „ერისთავნი რვანი“. დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ შეხედავთ ცნობას, რომ ერისთავთა ინსტიტუტი სწორედ ფარნავაზმა დააარსა და არა სხვა ეინემ, ამ ცნობიდან აშკარაა, რომ ივერიაშიაც, უკვე აღრინდელ ხანაში, რამდენიმე ერისთავი იყო, თუ მაინცდამაინც არა რვა, როგორც ამას ლეონტი მროველი იტყობინება. ეს დასტურდება ჩვენი წარწერებითაც და ყველა იმ საბუთით, რომლებიც ზემოთ იყო მოტანილი.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1928, გვ. 144—146; ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბილისი, 1937, გვ. 3 შმდ.

<sup>2</sup> Erānshahr, p. 168; შტრ. იგივე Hübschmann-თან, p. 119.

<sup>3</sup> Армения в эпоху Юстиниана, ТРАГФ, წიგნი XI, 1908, გვ. 283.

<sup>4</sup> ნ. აღონცი, იქვე, გვ. 283 შმდ.

<sup>5</sup> ასეა ავათანგელოსთან: ძქა ანოღანხაი ყეხიჯს, გვ. 414; Marquart, Erānshahr, p. 166 ff.

მაგრამ იბადება კითხვა: როგორ შეეუთანხმოთ ჩვენი ეს დებულებანი ისეთ მერმინდელ გამოთქმებს, როგორცაა „პიტიახში ქართლისაჲ“, ან აშუშას ბეკდის ბერძნული წარწერა,  $\text{ACIOTCAC III TIA\Xi HC IBHP\omega\N KAPXH\Delta\omega\N}$ <sup>1</sup>, როდესაც მთელი ივერიისათვის ერთი პიტიახში იგულისხმება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. მერმინდელ ეპოქაში, დაახლოებით V საუკუნის დასაწყისში, როდესაც ივერიის სამეფო სპარსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა, პიტიახში (ახლა უკვე ერთი, მთელი პროვინციისათვის) სასანიანთ იმპერიის საჭეთმპყრობელის მიერ ინიშნება ვითარცა მმართველი სავასლო ტერიტორიისა ან თანამმართველი ქართველი მეფეებისა. სწორედ ეს მდგომარეობაა ასახული მერმინდელ მრავალრიცხოვან ცნობებში „ქართლის პიტიახშთა“ შესახებ. ალბათ ამავე ეპოქაში იპოვებს გაბატონებულ მდგომარეობას ქართულ მწერლობაში უცხოური წარმოშობის სიტყვა პიტიახში, რადგან ამგვარად უწოდებდნენ თავიანთ თავს თვით მატარებელნი ამ ტიტულისა, უმეტეს შემთხვევაში სპარსელნი.

საფიქრებელია, რომ უძველეს ეპოქაში პიტიახშის აღსანიშნავად უცხო წარმოშობის სიტყვის გარდა იხმარებოდა ქართული ტერმინები „ერისთავი“ ან „ერისმთავარი“, რომლებიც სპარსული პიტიახშის შესატყვისის წარმოადგენდნენ. უცხო ტერმინი კი, პიტიახში, იმ დროს, რომელსაც არმაზის ძეგლები ეკუთვნის, როგორც ეს ჩვენი წარწერებიდან ჩანს, გამოყენებული იყო სათანადო ცნების აღსანიშნავად ბერძნულს ან სხვა უცხოენოვან ტექსტებში.

სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ პიტიახში ის მეორე პირია მეფის შემდეგ, რომელიც მართლმსაჯულებისა და ომის საქმეს განაგებდა და რომლის შესახებ სტრაბონი<sup>2</sup> მოგვითხრობს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, რომ პიტიახში სომხეთშიაც და საქართველოშიაც რამდენიმე იყო და ყველას მათ არ შეეძლოთ ერთდროულად (მეფის შემდეგ) მეორე ადგილი სჭეროდათ. ამის მტკიცება არ შეიძლება თვით დიდი პიტიახშის შესახებაც. სომხეთში დიდი პიტიახში აღძიქის იშხანი იყო, მაგრამ არა უმაღლესი (მეფის შემდეგ) ხელისუფლების მქონე პირი სამეფოში. მეორე მხრით, არშაკის ეპოქაში ანგლ-ტუნის იშხანს, რომელიც საჭურისთუხუცესი (inardpet) იყო, პირველი ადგილი ეჭირა ქვეყნის წარჩინებულთა შორის<sup>3</sup>. სომხური წყაროების ცნობები პიტიახშთა, როგორც უპირატესთა (*გახსენეს*) შესახებ, ისე უნდა გავიგოთ, რომ სამეფო სასახლეში ისინი პირველ ადგილსა და პირველ ბალიშზე ისხდნენ<sup>4</sup>. როგორც მარკვარტმა გამოარკვია<sup>5</sup>, იმავე მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული *χαμπαρνήσις* ავთანეგლოსის ბერძნული ტექსტისა (ლათინური *comitatensis*).

სასანიანთ სპარსეთშიაც პიტიახშის რანგი ჰაზაროპატზე მაღლა იდგა, მაგრამ იმპერიის „დიდი ვაზირი“ სწორედ ეს უქანასკნელი იყო. მეფის შემდეგ მეორე პირი სტრაბონისა, როგორც ცნობილია, მართლმსაჯულებისა და ომის საქმეებს განაგებდა<sup>6</sup>, მაგრამ პიტიახშის შესახებ, იმ ეპოქისათვის, რომელსაც წარწერა ეხება, ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა, რომლის მიხედვითაც ჩანდეს, რომ სამეფოს შეიარაღებულ ხალხს ომის დროს სწორედ ის ხელმძღვანელობდა. სომხეთისათვის არსებობს ავთანეგლოსის ცნობა იმის შესახებ, რომ ქვეყნის მთავარსარდალი იყო სპარაპეტუთაუნის იშხანი, რომელიც სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად თან ახლდა გრიგოლს მისი კანისარაშვი მოგზაურობის დროს<sup>7</sup>. ბილინგვიდან კი ვგებულობთ, რომ ომის საქმეებს იმ დროს, რომელ-

<sup>1</sup> Marquart, *Ērānšahr*, p. 169; Herzfeld, Paikuli.

<sup>2</sup> ლათინური, იქვე, გვ. 140.

<sup>3</sup> ფაუსტოსი, გვ. 59; Marquart, p. 166.

<sup>4</sup> *Ērānšahr*, p. 179.

<sup>5</sup> *Ērānšahr*, p. 179.

<sup>6</sup> ლათინური, იქვე, გვ. 140.

<sup>7</sup> *ქართლის საყარაყანოქსიანი, ვასილიყარ ზაკიე აჯიარქანი*, ავთანეგლოსი, 795, p. 414.





«უფალნი», ახალი ქართულით «ბატონები». მაგრამ ამ მრავლობითი ფორმის გამოყენება მამაკაცის სახელის ზევანის მიმართ, მოწმობს, რომ მრავლობითი აქ ნახმარია ვითარცა plur. maiestaticus, ხოლო თვით სიტყვა წარმოადგენს ტექნიკურ ტერმინს, რომელიც გარკვეულ სოციალურ ან პოლიტიკურ ინსტიტუტს აღნიშნავს. საშუალო სპარსულ წარწერებში ხშირად გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმა **𐭠𐭣** სიტყვისაგან: **𐭠𐭣𐭠**, რომელიც იხმარება იდეოგრაფიად სპარსული *vazurkân*-ისათვის (სიტყვისაგან *vazurk* «დიდი», ახალი სპარსული **زرگر** და **زبان** დაბოლოება მრავლობითი რიცხვისა). ეს ტერმინი კი სპარსულში აღნიშნავდა ირანის წარჩინებულთა ერთ-ერთ უმაღლეს კლასს, რომელიც უფრო მაღლა იდგა ვიდრე *āzān* და მხოლოდ *vispuhrān*-ს<sup>1</sup> უთმობდა პირველობას. სპარსული *āzān* იგივეა, რაც *اساق* (სომხ. *թ-ան*) და მთლიანად შეესატყვისება ქართულ აზნაურს (სიტყვისიტყვიით ნიშნავს თავისუფალს) როგორც სემასიოლოგიურად, ისე ვითარცა სოციალური ტერმინი. მაგრამ მარკოზის სახარების 6 თავის 21 მუხლში, როგორც ეს ჯერ კიდევ განსვენებულმა ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, ქართული აზნაურის<sup>2</sup> შესატყვისად სომხურში *մեծամեծք* ტერმინი გვაქვს. ამ ადგილას, ცხადია, იგულისხმება არა უბრალო აზნაური, არამედ დიდი აზნაური<sup>3</sup>, ხოლო დიდი აზნაურის აღმნიშვნელი ასეთი ტერმინი, აზნაურნი დიდ-დიდნი, მართლაც დამოწმებულია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლში, შუშანიკის წამებაში<sup>4</sup>. გამოთქმა აზნაურნი დიდ-დიდნი უფრო ზუსტად შეესატყვისება სომხურ *մեծամեծք*-ს, რომელიც ხშირად გვხვდება წყაროებში საზოგადოების მაღალი ფენის აღსანიშნავად და რომელიც სპარსული *vazurgān*-ის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს, მსგავსად ადრინდელ არაბულ წყაროებში დამოწმებული **عظماء** ტერმინისა, რომელიც აგრეთვე სპარსული *vazurgān*-ის არაბული პირდაპირი თარგმანია. მაგრამ სპარსული *vazurgān*-ი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარწერებში **𐭠𐭣𐭠** ან **𐭠𐭣𐭠** იდეოგრაფების საშუალებით არის გადმოცემული, ჩვენ წარწერაში დამოწმებული **𐭠𐭣𐭠** სიტყვა კი ნაწარმოებია იმავე ძირისაგან და ძალიან ახლოს დგას მასთან როგორც სემასიოლოგიურად, ისე ფორმის მხრივ (არამეულის მრავლობითი რიცხვის **𐭠** დაბოლოებას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სპარსულ **𐭠𐭣**-ს, ხოლო ფუძის ორივე ფორმა: 1. **𐭠𐭣**, როგორც ზედსართავი, «დიდი», ხოლო შემდეგ, «მეთაური», «მოძღუარი») და 2. **𐭠𐭣𐭠**, «უფალი», «ბატონი», ერთი და იმავე **𐭠** ძირისაგან არის ნაწარმოები) და როგორც სოციალური ტერმინების ისინი, როგორც ჩანს, მონათესავე ინსტიტუტებს აღნიშნავენ. მერმინდელ წყაროებში შენახული ცნობების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია კიდევ გამოვარკვიოთ ამ ტერმინის მნიშვნელობა. ქართული წყაროებიდან კარგად არის ცნობილი, რომ პიტიახშებს, რომლებიც დიდი აზნაურების წრეებიდან ინიშნებოდნენ, უფალი ეწოდებოდა. ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: «V საუკუნეში დიდ აზნაურს მრავალრიცხოვანი ამაღალ აზნაურნი, საკუთარი მსაურნი და მონებიცა ჰყავს. იგი უფალია, მისი მეუღლე დედოფალი»<sup>5</sup>. ემყარება რა შუშანიკის წამების ავტორს, განსვენებული მეცნიერი აღნიშნავს, რომ იაკობ ხუცესის სიტყვიით «ქართლისა პიტიახში »უფალი« იყო და ასევე უწოდებენ მას ყველა ხელქვეშეთნი, მათ შორის სამღვდლო პირნიც»<sup>6</sup>. აქ მხედველობაშია მიღებული ერთი მღვდლის სიტყვები, რომლითაც მიჰმართა მან ვარსკენ ქართლისა პიტიახშს: »უფა-

<sup>1</sup> შეესატყვისება ქართულ სეფეწულებს. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბილისი, 1928, გვ. 194. იქვეა ლიტერატურა ნაჩვენები.

<sup>2</sup> ასეა, მაგალითად, ათონ-ტბეთის ოთხთავში, ბენეშევიჩის გამოცემა, მარჯ. VI, 21.

<sup>3</sup> დამახასიათებელია, რომ აღიშნის ოთხთავში ამ ადგილას აზნაურის ნაცვლად მთავარი აზნაური.

<sup>4</sup> მარტვობა შუშანიკის, ი. აბულაძის გამოცემა, XVII, 6, გვ. 42.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 193.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 193.

ლო, რადსა ეგრე იქმ და იტყუ ეგრეთ ბოროტსა“<sup>1</sup>. იმავე თხზულების სხვა ადგილას ჩვენ ისევ ვხედავთ ამ ტერმინს, რომლითაც მიმართავს ვარსკენ პიტიახშს ციხისა მცველი: „უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცხლით“<sup>2</sup>. სიტყვა უფალი (= თანამედროვე ქართულ ბატონს), პიტიახშთ მიმართ ხმარებული ეპითეტი, ზუსტი შესატყვისია წარწერაში დამოწმებული *ქუიუ* ტერმინისა, რომელიც შ-რ-გ-ს პიტიახშის მამის, ზევახის, მიმართ არის ნახმარი. ცხადია, რომ მას აქაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც შუშანიკის წამებაში და ორსავე შემთხვევაში გამოყენებულია იგი ვითარცა ტექნიკური ტერმინი გარკვეული სოციალური ინსტიტუტის აღსანიშნავად.

ამ ტერმინის დადგენას წარწერაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს I და II საუკუნეების ივერიის სოციალური ცხოვრების საერთო სურათის გამოსარკვევად. ახლა ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს გავიმეოროთ ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებისათვის აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვები, რომლებიც მას V საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების დასახასიათებლად მოჰყავს: თუ დიდნი აზნაურნი უფალნი იყვნენ, მაშ მათ ჰყავდათ თავიანთი მონები, თავიანთი მსახურნი, თავიანთი აზნაურები, ამაღა.

ყველაფერი ეს ახალი საბუთია დებულებისათვის, რომელიც ჩვენი წარწერების აღმოჩენამდის დიდი ხნით ადრე იყო წარმოდგენილი, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოში არსებობდა კლასობრივი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები<sup>3</sup>. განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი, იმასთან დაკავშირებით, რომ ფარსმანის ამაღაში მყოფ ივერიელ წარჩინებულთა აღსანიშნავად დიონ კასიოსი ხმარობს *αυται*<sup>4</sup> ტერმინს, რომელიც მარკოზის სახარების 6:21 თავში ქართულ აზნაურსა და სომხურ *მხბამხბ-ღ*-ს შესატყვისება, აღნიშნავს: „დიონ კასიოსის ზემომოყვანილ ცნობაშიც იბერიის პირველთა შესახებ ხომ აზნაურნი არ იგულისხმებიანო“<sup>5</sup>. ვფიქრობთ, რომ ჩვენ ძეგლებში შენახული ტერმინები საშუალებას გვაძლევს დადებითად ვუპასუხოთ ამ კითხვაზე.

წარწერაში მოხსენებულია ხსენებულ მეფის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოვს მოძღუარი იოდმანგანი.

ცხადია, რომ ასეთი გამოთქმა მხედართმთავარს ან, ძველ ქართულ ძეგლებში გავრცელებული სპარსული ტერმინი რომ ვინმართ, სპასპეტს შეეფერება. მაგრამ გასარკვევია, როგორ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მხედართმთავრად ეზოვს მოძღუარი (ეპიტროპი) გვევლინება? მე მგონია ამჟამად შეიძლება ამ საკითხის შესახებ გარკვეული მოსაზრებები გამოითქვას.

ქართულ ეზოვს მოძღუარს, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება ბიბლიაში, სომხურში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრ შემთხვევაში შესატყვისება *հայաբայկա*, ათასისთავი, რომლითაც ზოგჯერ გადმოცემულია ბერძნული *χλίσιαρχος* (მრკ. 6, 21), *ჰანეროპაჰ* (ლუკა 8, 2; გალატელთა 4, 2) ან *იპოიტაჰ* (კორინთელთა, I, 4, 1)<sup>6</sup>. იგივე ტერმინი გვხვდება ისტორიკოსებთან, მაგალითად ელიშესთან (*Մխրնեսրահ մեծ հայաբայկա Արեսայ և Անարესայ* „მიპრნერსეჰ, დიდი ჰაზარაპეტი არიელთა და არაარიელთა“<sup>7</sup>) და ლაზარე ფარპელთან (*Մխրնեսրահ Արեսայ հայաբայկա եկեղ ի Փայասկարան զայգա* „მიპრნერსეჰ, არიელთ ჰაზარაპეტი, როდესაც მოვიდა ქალაქ ფაიტაკარანს...“<sup>8</sup>). ჰაზარაპეტის შესახებ არსებობს Marquart-ის<sup>9</sup> საფუძვლიანი გამოკვლევა, საიდანაც ჩანს, რომ სპარ-

<sup>1</sup> მარტულობა. შუშანიკის, VIII, 11—12, გვ. 26.

<sup>2</sup> იქვე, X, 3—4, გვ. 30.

<sup>3</sup> იბ. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაკვ. I, II, III; აგრეთვე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბილისი, 1937.

<sup>4</sup> Scythica et Caucasia, I, p. 622.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 195.

<sup>6</sup> Hübschmann, p. 174.

<sup>7</sup> ელიშე *Պատմիչև Արարեսայ*, მოსკოვი, 1892, გვ. 31; Hübschmann 328, p. 174.

<sup>8</sup> ლ. ფარპელი, თბილისი, 1904, გვ. 63; Hübschmann, 328, p. 174.

<sup>9</sup> Untersuchungen zur Geschichte von Eran, Philologus, 55, Göttingen, 1896, p. 227 ff.

სელთა გვარდია შედგებოდა 10000 კაცისაგან, რომლებიც ქმნიდნენ ათს კოლონას, თითოეულს ათასი კაცით („ათასეული“)<sup>1</sup>. თითოეული კოლონის, «ათასეულის» სათავეში იდგა ათასისთავი, *χίλιαρχος*, ძველი სპარსული *hazarapatiš*, საშუალო სპარსული *hazaropat*, სომხური *hazarapatē*<sup>2</sup>, ბერძ. *ἡξαραπαταις*<sup>3</sup>, სირიული *ܐܚܘܪܦܐ*<sup>4</sup>. მაგრამ ჩვეულებრივ ამ ტიტულით აღინიშნებოდა მეთაური ათასი კაცისაგან შედგენილი რჩეული კოლონისა, რომელიც მეფის ლეიბ-გვარდიას წარმოადგენდა<sup>5</sup>. ამ ლეიბ-გვარდიის ათასისთავის უშუალო მოვალეობაში შედიოდა მეფის დაცვა, ამიტომ ის განაგებდა მეფის ეზოს (კარის, სასახლის) საქმეებს და მოხსენებებს აწვდიდა მეფეს მომხდარი ამბების შესახებ<sup>6</sup>. აქედან არის მიღებული მისი სახელწოდება *hazarapatē drān Ariac* „ირანის კარის (პორტის) ჰაზარაპეტი“. რომელიც სომხურ წყაროებში გვხვდება<sup>7</sup>, აქედანვე უნდა იყოს ეზო დას მოძღუარი ბილინგვის არამეული ტექსტისა. პატკანიანი ამ გამოთქმას თარგმნის ასე: *ministre de la Porte*<sup>8</sup>. რადგან ჰაზარაპეტი მეფის ეზოს (სასახლის) გამგებელი იყო, იგი თანდათან იპოვებს მნიშვნელოვან უფლებას ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრებაში. იგი (*chiliarchus*) ხდება პირი, „რომელსაც მეორე ადგილი ეჭირა იმპერიაში“ (*qui secundum gradum imperii tenebat*), როგორც აღნიშნავს კორნელიოს ნეპოსი (*Coron., c. III*)<sup>9</sup>.

სასანიანთ სპარსეთში ჰაზარაპატი წარმოადგენს ტიტულს „დიდი ვაზირისა“, რომელიც უმაღლეს საერო ხელისუფლებას ახორციელებდა იმპერიაში<sup>10</sup>. თავისი რანგის მიხედვით მას მესამე ადგილი ეჭირა პარგუპატისა და პიტიახშის შემდეგ სახელმწიფოს პოლიტიკურ იერარქიაში<sup>11</sup>. ჩვენ არ ვიცით, ასრულებდა თუ არა ქართველი ეზო დას მოძღუარი საერთოდ იმავე ფუნქციებს, როგორც სპარსების ჰაზარაპეტი, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხული არაა. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ფარნაეაზის დროს ერისთავთ ზედა განაგებდა სპასპეტი<sup>12</sup>, ე. ი. პირი, რომლის მოვალეობა იყო, პირველ ყოვლისა, შეიარაღებული ხალხის მეთაურობა ომის დროს. ჩვენი წარწერის ეზო დას მოძღუარიც, წარწერის მიხედვით, მხედართმთავარი ჩანს და შესაძლებელია, იგი ამავე დროს სპარსული ჰაზარაპატის მსგავსად „დიდი ვაზირის“ ფუნქციებსაც ასრულებდა, თუმცა პირდაპირი მითითება ამაზე ჯერჯერობით ჩვენ არ მოგვეპოვება.

იოდმანგანის გარდა წარწერაში მამამისიც, აგრიპაც ეზო დას მოძღუარად არის სახელდებული, თუმცა ბილინგვის ბერძნულ ტექსტში იგი პიტიახშად იხსენიება. ამჟამად ჩვენ

<sup>1</sup> Marquart, UGE, 227.

<sup>2</sup> Ibid., p. 227.

<sup>3</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, I, გვ. 135, სადაც მითითებულია Spiegel-ის შრომაზე *Eranische Altertumskunde*, III, 635; აგრეთვე UGE, p. 228; Hübschmann, p. 174.

<sup>4</sup> Brockelmann, *Lexicon Syriacum*, 174.

<sup>5</sup> Ibid., p. 227—228. რიცხვი 1000 კაცი სავალდებულო არ იყო. მეფის პირად მცველთა რაოდენობა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხთან სხვადასხვა იყო. იხ. UGE, p. 228, იქვე მითითებულია ანკუთხე, II, 434, ისტახროზე, 221, 1 შმდ. და მასუქლიზე II, 10, სადაც მოცემულია ცნობები ზაზართა ზაკანის თორმეტი ათასი კაცისაგან შედგენილ მცველთა რაზმის შესახებ.

<sup>6</sup> UGE, p. 228.

<sup>7</sup> K. Patkanian, *Essai d'une Histoire de la Dynastie des Sassanides*, *Journal Asiatique*, 6 სერია, ტ., VII, 1866, p. 114.

<sup>8</sup> Ibid., p. 114.

<sup>9</sup> ციტირებულია პატკანიანის მიერ, *ibid.*, p. 114; Marquart, UGE, p. 228 (იქვე შეცდომით ნაჩვენებია 127 გვ. პატკანიანის შრომისა, ნაცლად 114-ისა).

<sup>10</sup> პატკანიანი, იქვე, გვ. 414; Hübschmann, p. 174.

<sup>11</sup> Herzfeld, Paikuli.

<sup>12</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული ათასისთავი თუმცა პირდაპირი თარგმანია სომხური *հազարապათ*-ისა ან სპარსული *hazaropat*-ისა, მაგრამ მის ფუნქციებს, როგორც ლეონტი მროველს ესმის, ძალიან ცოტა აქვს საერთო სასანიანთ სპარსეთის სათანადო ინსტიტუტთან. ლეონტი მროველს ამ შემთხვევაში სიტყვა ნახზარი აქვს მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

არ შეგვიძლია აიხსნათ ეს შესაბამობა. შეიძლება აგრიპა ორივე თანამდებობას ასრულებდა და ამიტომ ერთ შემთხვევაში იგი პიტიანზად მოიხსენიეს, ხოლო მეორედ, ეზოას მოძღვრად, მაგრამ შეიძლება ეს მწერლის დაუდევრობითაც აიხსნას. ამის შესახებ მხოლოდ მკითხაობა შეიძლება და სჯობია, თუ თავს შევიკავებთ კომენტარებისაგან.

დასასრულ, ერთი გარემოება. სხეფარნუგი ბერძნულ ტექსტში ივერიის დიდ მეფედ არის წოდებული, მაშინ როდესაც პარალელურ ტექსტში მას ეს ტიტული არ მოეპოვება. არა მგონია, რომ ეს შემთხვევითი მოვლენის შედეგი იყოს. № 1 წარწერაში ჩვენ ვხვდებით გამოთქმას „მიპრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმანისა, მეფისა დიდისა“. აქედან ცხადია, რომ გამოთქმა „მეფე დიდი“ ოფიციალური ტიტული იყო, რომელსაც ივერიის მეფეები ატარებდნენ და მისი გამოტოვება არამეულში ცოტა მოულოდნელია. იხადება კითხვა, ხომ არ არის ეს ტიტული გამოტოვებული პარალელური ტექსტის ენაზე, ე. ი. იმ ენაზე, რომელიც პართელთა სახელმწიფოს მოხელეებისათვის უფრო გასაგები იყო, რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება, როდესაც მთლიანად გამოირკვევა ყველა დეტალი ეპოქის პოლიტიკური ვითარებისა, რომელსაც წარწერა ეკუთვნის.

## VII. ისტორიული მნიშვნელობა

ისტორიული მნიშვნელობა წარწერისა და საერთოდ მცხეთაში მოპოვებული სხვა ძეგლებისა საფუძვლიანად იქნა დახასიათებული აკადემიკოს ს. ჯანაშიას მიერ მის მოხსენებაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ სესიაზე<sup>1</sup>. ამჟამად, როდესაც უკვე გამოჩვენებულია ზოგადი სურათი, რომელთანაც ბილინგვა არის დაკავშირებული, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს ბილინგვის შესწავლის შედეგად, არის საბოლოოდ გადაჭრა საკითხისა საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ I—II საუკუნეებში. ჯერ კიდევ ჩვენი ძეგლების აღმოჩენამდე ს. ჯანაშია არა ერთხელ ამტკიცებდა მრავალ თავის ნაშრომში<sup>2</sup>, უმთავრესად ლიტერატურული ცნობების მიხედვით, რომ საქართველოში, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, არსებობდა განვითარებული სახელმწიფოებრივი სისტემა მეფით სათავეში და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ატრიბუტით. ეს დებულება მტკიცდება ჩვენი წარწერების საშუალებითაც.

წარწერებიდან ჩანს, რომ ივერიის სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, რომელიც ატარებს ტიტულს „მეფე დიდი“ (არამეულად ܡܠܟܐ). მეფესთან არსებობს ინსტიტუტები: პიტიანზისა, აგრეთვე მცირე და დიდი პიტიანზებისა. პიტიანზები არიან უფალნი, მამასადამე, მათ ჰყავთ მონები, მსახურნი და სხვა ხელქვეითები. ომის საქმეს განაგებს მეფის სასახლის განმგებელი, ეზოას მოძღვარი, რომელიც შესაძლებელია სხვა („დიდი ვაზირის“) ფუნქციებსაც ასრულებს. მაღალი თანამდებობის პირებს აქვთ თავიანთი ბეჭდები და აგრეთვე ხელისუფლების სიმბოლოები. ასე, მაგალითად, არმაზის ერთენოვან (№ 1) წარწერაში, 12 სტრიქონში, გვხვდება ნიშანი, რომელიც ძალიან მოგვაგონებს ჰარგუპატის ხელისუფლების სპარსულ ნიშანს და რომელიც აგრეთვე სიმბოლო უნდა იყოს მაღალი თანამდებობის მქონე პირის ხელისუფლებისა სახელმწიფოში. ერთი სიტყვით, დადგენილია ყველა ნიშანი განვითარებული სახელმწიფოებრივი სისტემისა.

<sup>1</sup> იხ., აგრეთვე, მისი ზემოთ ხსენებული წერილი გაზ. „კომუნისტში“.

<sup>2</sup> იხ., მაგალითად, მისი საქართველოს ისტორია, ნაკვეთი I, II, III, თბილისი, 1932—1935; მისივე საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბილისი, 1937.

მაგრამ ჩვენი ძეგლების ისტორიული მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა უკვე საერთო, მეთოდოლოგიური ხასიათისა.

პირველ ყოვლისა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკითხი თანამედროვე მეცნიერული კრიტიკის დამოკიდებულებისა ქართულ საისტორიო ქრონიკებთან, რომლებიც საქართველოს ადრინდელ ისტორიას მოგვითხრობენ. ამ მხრივ უნებლიეთ მაგონდება ანალოგია მერვე საუკუნის დასაწყისის არაბული დოკუმენტისა, რომელიც მულის მთაზე (ტაჯიკისტანში) აღმოაჩინეს. მისი გამოცემის ავტორებმა<sup>1</sup> ნათლად დაგვანახეს დოკუმენტის ზედმიწევნითი შესწავლის შედეგად, რომ აუცილებელია უარყოფით ნარატიულ წყაროებისადმი ზედმეტად სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელსაც იზენდენ მათ მიმართ ისეთი დიდი მკვლევარნი შუა აზიის არაბთა მიერ დაპყრობის ისტორიისა, როგორც იყენებდნენ ბართოლდი, ველჰაუზენი, გიბბი და სხვები და საჭიროა ვიფიქროთ შემუშავებული თეალსაზრისის გადასინჯვაზე ამ წყაროების ერთგვარი რეაბილიტაციის მიზნით. საქართველოს ადრინდელი ისტორიისათვის ჩვენ მოგვეპოვება ორი მთავარი წყარო: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანე და ლეონტი მროველი. ქართული საისტორიო მეცნიერების თეალსაზრისი ამ წყაროების მიმართ ხასიათდება იმგვარივე სკეპტიციზმით, როგორც თანამედროვე ევროპული სამეცნიერო კრიტიკის დამოკიდებულება ხსენებულ არაბულ წყაროებისადმი. ასე, მაგალითად, სახელოვანი ქართველი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის მტკიცება, რომ ლეონტი მროველის თხზულება „ქართველი ერის უძველეს ისტორიისათვის ეხლა თითქმის სრულებით გამოუდგარია“<sup>2</sup>, ძალიან მოგვაგონებს ზემოთ ხსენებული გამოცემის ავტორთა მიერ ციტირებულ მსჯელობას ბართოლდისა იმის შესახებ, რომ ცნობები ისტორიკოს ალ-მადაინისა, ტაბარის მთავარი წყაროსი შუა აზიის დაპყრობის ისტორიის ნაწილში, „ეპიკური ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთ უფრო მიაგვანან, ვიდრე საისტორიო მოთხრობას“<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, ცხადია, რომ ამ ძეგლების ტექსტებს არ მოუღწევია ჩვენამდის პირვანდელი სახით<sup>4</sup> და რომ ლეონტი მროველსაც უხვად მოეპოვება ეპიკური ხალხური შემოქმედების ელემენტები, მაგრამ მის მიერ გადმოცემული ზოგიერთი ცნობის შესახებ, როგორც ჩანს, მოგვიხდება აზრის შეცვლა, რადგან ისინი ასეთ თუ ისე პოულობენ დასტურს მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ძეგლებში. კერძოდ, წარწერებში დამოწმებული პოლიტიკური ინსტიტუტები მრავალმხრივ მოგვაგონებენ ლეონტი მროველის მიერ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს და შეიძლება მისი სიტყვები სახელმწიფო სისტემის შესახებ, მიმსგავსებულისა „სამეუფოსა სპარსთასა“, რამდენადმე მართლაც შეეფერებოდეს სინამდვილეს. იგივე უნდა ითქვას ლეონტის მიერ შემონახული ცნობის შესახებ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდის „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუს ენა“<sup>5</sup>. ახლა ოთხი თუ ხუთი ამ ენათაგანი უკვე დოკუმენტალურად არის დამოწმებული და, ამგვარად, ეს ცნობაც ერთგვარ გამართლებას პოულობს.

დასასრულ, აღსანიშნავია ერთი მეტად საყურადღებო დასკვნა, რომელიც ძეგლის შესწავლიდან გამომდინარეობს. განსვენებული ივ. ჯავახიშვილი თავის მრავალრიცხოვან შრომებში, საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიის საკითხების შესწავლისას, ძალიან ხშირად მიჰმართავს ხოლმე ძველ ქართულ ტერმინოლოგიას, რომელიც ოთხ-

<sup>1</sup> В. А. Крачковская и акад. И. Ю. Крачковский, Древнейший арабский документ из Средней Азии. Согдийский сборник, Ленинград, 1934, гб. 52—90.

<sup>2</sup> ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1916, გვ. 126.

<sup>3</sup> Ibid., გვ. 72; ვ. ბართოლდი, ЗВО, XVII, 0141.

<sup>4</sup> არაბული საისტორიო ძეგლების შესახებ იხილეთ ვ. და ვ. კრაჩკოვსკი, იქვე, გვ. 73.

<sup>5</sup> ლ. მროველი, გვ. 13. უკანასკნელ დროს ამის შესახებ იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, გარესჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიოლოტიური წარწერა—ქართულ-სომხურ-სპარსულ-უილურული, ენიმიკის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 165, მწმფ. 3.

თავისა და ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში არის შენახული და მისი ბერძნულთან და სომხურთან შედარების საშუალებით ცდილობს გამოარკვიოს მრავალი საკითხი კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობისა ძველ საქართველოში. ჩვენი ძეგლების წყალობით ირკვევა, რომ ეს ტერმინები ქართულად ცალკე შემთხვევებისათვის კი არ ითარგმნებოდა, არამედ გარკვეული ცნების აღსანიშნავად იყენებდნენ სათანადო ქართულ სიტყვებს, რომლებიც გავრცელებული იყო ცოცხალ მეტყველებაში. ეს კი იმას მოწმობს, რომ ხსენებული ტერმინები გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ის ტექსტები, რომლებშიაც ისინი გვხვდება. ამის საუკეთესო ნიმუშია ისტორია ტერმინისა „გზოჯს მოძღუარი“, რომელიც ჩვენ წარწერაშია დამოწმებული. ამის წყალობით უძველეს ქართულ ნათარგმნ ტექსტებს ჩვენთვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება და ისინი მომავალშიაც დიდ სამსახურს გაგვიწევენ როგორც ყველაზე სანდო მასალები საქართველოს ისტორიის არა ერთი ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხის შესწავლისათვის.

ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, თუ რაოდენ დიდია არმაზის ძეგლების მნიშვნელობა. საქართველოს ისტორიის, მისი კულტურული ცხოვრებისა და ადრინდელი ეპოქის სახელმწიფო წყობილების შესწავლისათვის მათ სრულებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ისინი მრავალმხრივ არსებითად ცვლიან მეცნიერებაში დამყარებულ შეხედულებებს და იძულებულს გვხდის გადავსინჯოთ მთელი კომპლექსი საკითხებისა, რომლებიც ივერიის სამეფოს ისტორიის შესწავლასთან არიან დაკავშირებული. ამაში მდგომარეობს მათი უდიდესი მნიშვნელობა ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის.

მაგრამ არა ნაკლებია მათი მნიშვნელობა მსოფლიო მეცნიერებისათვისაც. მათ სრულებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სემიტურ ეპიგრაფიკაში, ისინი ქმნიან არამეული დამწერლობის ახალს, მეტად თავისებურ შტოს და ბევრს ახალს გვიპირდებიან, საერთოდ, დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის. დასასრულ, ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხების გარკვევის საქმეში ჩვენი ძეგლები ალბათ განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერენ.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ დავკმაყოფილდით არმაზის ერთ-ერთი ძეგლის, ბილინგვის საერთო დახასიათებით და ვიტოვებთ უფლებას კვლავ დაუბრუნდეთ აქ აღძრული ზოგიერთი საკითხის განხილვას ერთენოვანი წარწერის გამოკვეყნების დროს. ზოგი დეტალი, რომელიც წარწერის ამოშიფრვასთან არის დაკავშირებული, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ამჟამად მოიპოვება, ძნელად თუ იქნება შესაძლებელი ამ საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა. იმედი გვაქვს, რომ № 1 წარწერის დეტალური დამუშავება საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად გავარკვიოთ ზოგიერთი ამ საკითხთაგანი. გარდა ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი არქეოლოგიური გათხრები მოგვიპოვებენ კიდევ უფრო მნიშვნელოვან აღმოჩენებს, რომელთა წყალობით შესაძლებელი იქნება გარკვევა საქართველოს ადრინდელი ისტორიის შესწავლის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებისა. ეს კი ერთი იმ მნიშვნელოვან ამოცანათაგანია, რომელთა გადაჭრას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ქვეყანა და მთელი ჩვენი მეცნიერება<sup>1</sup>.

თბილისი, VI, 1941.

<sup>1</sup> აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბილინგვის ამოშიფრვაზე მუშაობისას ხშირად მე არ მომეპოვებოდა სათანადო ლიტერატურა როგორც სემიტური, ისე ირანული ფილოლოგიის დარგიდან. ზოგჯერ ისეთი მნიშვნელოვანი შრომებიც კი არ მქონდა ხელთ, როგორცაა Th. Nöldeke, *Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sassaniden*, Leyden, 1879; H. Hübschmann, *Persische Studien*, Strassburg, 1895; A. Christensen, *L'empire des Sassanides*, Kopenhagen, 1907; ან J. Levy-ს არამეული ლექსიკონები და მრავალი სხ. ამიტომ ციტირება ზოგიერთი ლიტერატურისა (მაგალითად Herzfeld-ის Paikuli-სა), რომელსაც ლენინგრადში ყოფნისას ვეცნობოდი, ზოგჯერ ზეპირად მომიხდა. ამით აიხსნება, რომ მე ყოველთვის არ შემეძლო ზუსტად მეჩვენებინა გვერდი ჩემ მიერ ციტირებული შრომებისა.

## THE BILINGUAL INSCRIPTION FROM ARMAZI NEAR MCHETA IN GEORGIA \*

by

GEORGE TSERETHELI

In autumn of the year 1940, during the archaeological excavations begun under the direction of the late acad. I. Javakhishvili, there were found in the district of Armazi, in tomb No. 4, two kilometres to the South-West of *Mcheta* station, at a distance of 22 km from Tbilisi, two monuments with inscriptions. One of them (afterwards referred to as «inscription No. 1») consisting of 14 lines, is written in Aramaic letters. On the other, a bilingual, besides the Aramaic is placed a Greek text also. The deciphering of the inscriptions (especially inscription No. 1) proved to be far from easy, but in view of the exceptional importance of these monuments, we deemed it necessary not to postpone publishing them for a long time and to share with specialists some conclusions arrived at by us as a result of preliminary work on them, reserving the right to return to these inscriptions and to touch in more detail on their language and palaeographic peculiarities.

In the present work we limit ourselves to the publication of only one of these monuments, the bilingual, the deciphering of which is considerably facilitated by the presence of the Greek text.

The monument is a tomb-stela of basalt rock with a somewhat rounded upper part, with a height of 192 cm. The width of the stone is 64—66 cm. The lower right corner of the stone is broken off. The Greek text<sup>2</sup> occupies the upper part of the stela, a space of 31×62 cm and consists of 10 lines. Under it is traced in Aramaic writing the parallel text consisting of 11 lines and occupying a space of 63×61.5 cm. The lower part of the stone, 90 cm in length, is free from writing. The number of letters in each line varies between 15 and 21. The bilingual, in contrast to inscription No. 1, is exceptionally well preserved. Only the last letters of the 9th line are a trifle damaged, but they also can be read without difficulty. (See photographs taken by J. Pakhomoff and I. Kavtaradze: 1. View of the bilingual together with the Greek text. 2. Aramaic writing of the bilingual)-

\* Shortened translation from the Georgian.

<sup>1</sup> A special report concerning the inscription was made by the author of this work at the Session of the Scientific Council of the Marr Institute of Languages, History and Material Culture of the Georgian Filial of the Academy of Sciences USSR 7.XII 1940. Concerning both Armazi inscriptions a detailed report was made by him also at the first Conference of the Georgian Academy of Sciences 1st March 1941.

<sup>2</sup> Already edited by prof. S. Quakhchishvili (see *The Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Tbilisi, 1941, v. II, No. 1—2, p. 171—175) and by acad. A. Shanidze (ibid., p. 184—186).



## 1. DECIPHERMENT AND DATING

Already, before I had seen the inscriptions, by persons who were present at their discovery I was given the information that in the Greek text of the bilingual are mentioned the proper names of King Ksefarnag, of the Pitiaḥšes Zevah and Publicius Agrippa, of the Steward Iodmangan and also the woman's proper name Serapitiš. After a short time I was afforded the opportunity of using the photograph of the monument for a short period. In that time I succeeded in copying only the parallel text of the inscription, and all my preliminary work on the decipherment took place on the basis of the copy made by me by hand.

One look at the photograph was enough to make me convinced of the Aramaic character of the writing. First of all I was struck by the tracing of the letters ה, ש, ט, having the very old character of the corresponding Aramaic signs. The first word which was read by me was שנה *šnt* «year», occurring in the last line of the inscription. Then I succeeded in making out the next to the last word of the first line ברתִי *brty* «daughter», after which it was not difficult to guess that in front of this word stands the proper name of a woman (*šrpy!*) and further, the name of her father Zevah (*zrvh!*). Thus the majority of the letters had been deciphered. Difficulties were raised only by the signs מ, מ, ח, ר. Some of them differ so much from the Aramaic letters known to us up to the present, that the determination of their phonetical character by means of comparison with some other signs of semitic writing, seemed to be impossible. The question about ר was solved comparatively easily. In the inscription we are publishing this sign is met with three times, twice in one and the same term (ר הרב (רב) (*rb*) *trb(r)*), which corresponds in the inscription to the Greek ἐπίτροπος. It was necessary to determine the etymology and meaning of these two words in order to define the value of the sign ר. During a conversation with professor G. Akhvediani it occurred to me that the word (ר) הרב *trb(r)* might be the same as the Aramaic הרבץ *trbš* (literally denoting «court»), from the well-known Semitic root *rbš*, which in Accadian means «to camp (cattle)», in Arabic ربح, «to lie, to lean on the breast (animal)», whence ربح «suburb» «quarter», Acc. *tarbašu* «court», Aramaic loan-word ܪܒܨܐ «court» etc. Further search fully confirmed our proposition. It was found out that the Greek ἐπίτροπος (Engl. «steward») which is met with several times in the Bible, is usually translated into Georgian by the term ეზოგებ მმართველი *ezoyš mozgvari*, lit. «ruler (or chief) of the court», which corresponds exactly to the word רב-הרבץ, witnessed in the inscription. Thus, the question about the value of the letter ר was solved. Now, when its meaning has been made clear, it is possible to see a similarity to some of the Phoenician and Aramaic signs, but it was difficult to be sure of its meaning without ascertaining beforehand the purport of this term. Some difficulty was caused also by the sign ח, which occurs three times in the bilingual. Its use in the word עבירה *ʿbydʿ*, left no doubt that it was a very singular and original type of Semitic ʿayn, but it was necessary to explain its appearance in the word סערפִיט *šrpy!* and, especially, in רמנא < רמוע, «to suit, to be like». Below we make an attempt to explain its use in the cases indicated, but independently of this, there is now no doubt about its phonetical value.

Finally it was necessary to ascertain whether the signs מ and מ are variants of one and the same letter, used indiscriminately for rendering both ה *h* and ה *h*, or whether they are used for denoting different sounds. The comparison of all the words,

in which they occur, one with the other, leads us to the conclusion that these letters fulfil different functions in our writing. Thus, in the bilingual with  $\aleph$  we have the words אנה, הכין, יחזה, חן, i.e. the cases when etymological ה is required, or when ה serves as *mater lectionis* for denoting the final vowel. On the other hand,  $\aleph$  occurs in the words זיוח, בטח'ש, חסיכרנוג, נציה, חבל (twice) and always denotes either ח (=Greek χ), (e.g. זיוח) or the Aramaic ח (in the words נציה, חבל). This demarcation of their function is carried out successively not only in the bilingual, but in inscription No. 1, as also in an inscription on a silver dish, found in Georgia about forty years ago and written also in Georgian-Aramaic characters. It is interesting to note that in inscription No. 1 both these signs sometimes differ from one another a little more than they do in the bilingual, in particular, the tooth on the right is so short that it becomes almost unnoticeable. Of the right upper arch there remains only a trace, as a tail deflected to the right, being the upper continuation of the middle tooth.

On page 4 is given the table of Armazian letters.

The most important conclusion, which naturally suggests itself as a result of studying the inscription, is the final solution of the question of the state structure of Georgia during the I—II centuries of our era.

Already before the discovery of our monuments S. Janashia repeatedly emphasized in many of his works<sup>2</sup>, on the basis, chiefly, of literary data, the existence in Georgia, in the first centuries of our era, of a fully developed system of the state with a king at the head and with all the attributes of state power. This proposition is confirmed quite convincingly by our inscriptions.

It can be seen from the inscription that at the head of the Iberian Kingdom stands the king, holding the title of «Great King» (in Aramaic *כַּלֵּךְ רַב*). With him there exists the institution of pitiaḥšes, of small or junior and, also, great pitiaḥšes. Pitiaḥšes are *רַבֵּינֵי* «lords». Consequently, they have their slaves, servants and other subordinates. Affairs of war are managed by the steward, head of the kings court (*רַב הַרְבֵּינֵי*) who, possibly, fulfils other functions also. The highest officials have their nominal seals and also their symbols of power. Thus, in the Armazi inscription No. 1 (line 12) a sign occurs, strongly reminiscent of the Persian symbol of power of the hargupate which is, evidently, also the symbol of power of the highest official in the kingdom. To put it shortly, there are all the signs of a developed state system being established.

But the historical significance of our monuments is not limited to this. They also allow us to come to some important conclusions of a general, methodological character.

First of all, there arises the question of the attitude of modern scientific criticism to Georgian historical chronicles, which give information about the ancient history of Georgia during the period we are studying. Here one is involuntarily reminded of the conclusion made by V. and I. Kračkovsky concerning the Arabic sources for the history of the conquest of Central Asia, in connection with an Arabic document of the beginning of the VIII century, discovered on Mt. Mug<sup>3</sup> (Tajikistan). The editors of the document, after carefully studying it, showed quite clearly that it is now already necessary to renounce the extremely sceptical attitude to Arabic narrative sources shown on the part of such prominent investigators of the history of Arabic conquests in Central Asia as the late prof. W. Barthold, J. Wellhausen, H. A. R. Gibb and others and to think of reconsidering the accepted point of view with the aim of rehabilitating these sources, at least to some extent.

During the study of the Armazi materials this same question arises concerning some Georgian narrative sources. For the history of ancient Georgia we have at our dis-

<sup>1</sup> See also his article in the newspaper «*Kommunistin*» mentioned above.

<sup>2</sup> Cf. his *History of Georgia*, issues I, II, III, Tbilisi, 1932—1935; also his *Georgia on the Way to Early Feudalization*, Tbilisi, 1937.

<sup>3</sup> V. Kračkovskaya and acad. I. Kračkovsky, *Drevneyšiy arabskiy dokument iz Sredney Azii, Sogdiyskiy Sbornik*, Leningrad, 1934, pp. 52—90.

6. 96030-6 მთაწმბე, ტ. XIII.

posal two chief sources, the chronicle of *Mokceva Kartlisay* and Leonti Mroveli. The attitude of Georgian historical science to them is characterised by the same scepticism as the attitude of European scientific criticism to the Arabic sources mentioned above. Thus, the affirmations of the eminent Georgian historian I. Javakhishvili that the work of Leonti Mroveli „is now almost useless for the study of the ancient history of the Georgian people“<sup>1</sup> is very reminiscent of the opinion of Barthold, quoted by V. and I. Kračkovsky that the stories of al-Madā'īnī, the chief source of at-Tabarī concerning the history of the conquest of Central Asia „are more like works of epic folk-lore than historical narration“<sup>2</sup>. These texts, of course, have not come to us in their original form“ and in Leonti Mroveli we also meet plenty of elements of epic folk-lore, but it is necessary, evidently, to change our opinion concerning some of the information given there, because to a certain extent it finds confirmation in our monuments. In particular, the political institutions ascertained from the inscriptions in many respects remind us of those enumerated by Leonti Mroveli and, perhaps, his information about a state system like the „kingdom of the Parsees“ in some degree corresponds to reality.

The same must be said about the information given by Leonti Mroveli that up to the campaign of Alexander of Macedonia the knowledge of six languages was wide-spread in Kartli<sup>3</sup>. Now four or five of them are already witnessed in documents and so this information also is confirmed to a certain extent.

Finally, it is necessary to notice the very important deduction which our monument allows us to make. The late prof. I. Javakhishvili, during the study of questions of the history of the cultural life of Georgia, in many of his works very often turns to the old Georgian terminology preserved in the old Georgian translations of the four Gospels and the Old Testament and by means of collating them with corresponding Greek and Armenian terminology tries to explain many questions of cultural and political relations in ancient Georgia. Thanks to our monuments it is now made clear that these terms were not being translated into the Georgian language each time for each special case, but for expressing definite ideas, corresponding Georgian words used in living speech, were chosen. This bears witness to the fact that the terms indicated are considerably older than the texts in which they are met and go back to a more ancient period. The best demonstration of this, is the history of the term *εξοys მოჭუარი* witnessed in our inscription. Thanks to this, old Georgian translations acquire still more importance than could have been thought of earlier and in the future they will serve as more promising material for explaining many uninvestigated questions in the history of Georgia.

From all that has been said, it can be seen that it is hardly possible to overestimate the importance of these monuments. For the study of the history of Georgia and of its cultural life and the structure of the state in older times, they acquire an entirely exceptional importance. In many respects they absolutely change the views which are established in science and oblige us to reconsider the whole complex of questions connected

<sup>1</sup> See I. Javakhishvili, *Old Georgian Historical Literature* (in Georgian), II edition, Tbilisi, 1916, p. 126.

<sup>2</sup> V. and I. Kračkovsky, *ibid.*, p. 72; Barthold, *ZVO*, XVII, 0141.

<sup>3</sup> About Arabic historical works cf. V. and I. Kračkovsky, *ibid.*, p. 73.

<sup>4</sup> L. Mroveli, p. 13. Concerning this cf. also L. Melikset-Bek, *Armenian Epigraphy and Georgian-Armenian-Persian-Uyghurian Polylingual Inscription from «Mravalmta»* in Garesja. Bulletin of ILHA, V—VI, Tbilisi, 1940, p. 165, note 3.



with the study of the history of the Iberian Kingdom. In this lies their great importance for Georgian historical science.

But they are not less important for world science. Occupying a unique place in Semitic epigraphy, they form an absolutely new branch of Aramaic writing and promise to throw new light onto the history of the development of writing in general. Finally, it is evident that they will play a not unimportant role in the study of the questions of the origin of Georgian writing.

In the present work we limited ourselves to the general characteristics of the bilingual and we propose, during the publication of the second of the Armazi inscriptions, to return again to the questions which have been brought forward in it.


Many details connected with the deciphering of the inscription still remain unexplained, but we think it is hardly possible to explain them in the present state of science on the basis of the materials which are at our disposal. We hope that the working out of the one-language inscription will enable us to bring a certain amount of clarity into these questions. Apart from this, we must believe that future archaeological excavations will lead to still more important discoveries by the help of which it will be possible to throw light on questions connected with the study of the ancient history of Georgia. This is one of the most important problems the solution of which on the part of our scientists is expected by our country and all our science<sup>1</sup>.

Tbilisi, VI, 1942.

---

<sup>1</sup> It is necessary to note that whilst working on the decipherment of the inscription, I had not at my disposal the most indispensable works in the field of both Semitic and Iranian philology. Thus, I had not always at hand such important works as Th. Nöldeke, *Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sassaniden*, Leiden, 1879; H. Hübschmann, *Persische Studien*, Strassburg, 1895; A. Christensen, *L'Empire des Sassanides*, Kopenhagen, 1907; or the Aramaic dictionaries of J. Levy and many others. Therefore I was obliged to quote from memory some of the works (e.g. *Paikuli* of Herzfeld) with which I became acquainted during my sojourn in Leningrad. This explains why I was not always able to indicate the exact page of the quoted work.

---



სტელის სეგროო სურათი.  
 General view of the stela.



ბილინგვის არამეული დამწერლობა.  
*The Aramaic writing of the bilingual.*



სამარხი № 4, რომლისთვისაც წარწერიანი ქვები გამოყენებული იყო  
საშენ მასალად.

ისარი მიუთითებს ჩრდილოეთის მხარეზე მოთავსებულ სტელას № 1 წარწერით. მის  
პირდაპირ (სამხრეთით) მოთავსებული იყო ქვა ორენოვანი ეპიტაფიით.

*Tomb No. 4 for which the stones with the inscriptions were used as building material.  
The arrow points to the stela with inscription No. 1 situated on the northern side of the  
tomb. Opposite (on the southern side) was placed the bilingual.*



№ 4 სამარხში ნაპოვნი ჩონჩხთა ნაშთები. ისარი უჩვენებს ჩრდილოეთ მხარეს.  
*The remains of the skeletons found in tomb No. 4. The arrow indicates the north.*

სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი\*

სამშვილდის სიონის ქართული წარწერა პირველად გამოსცა მ. ბროსემ, ბართოლომეს გადმონახატის მიხედვით<sup>1</sup>, მეორედ, უკეთესად, ე. თაყაიშვილმა<sup>2</sup>. მაინც არც ეს უკანასკნელი გამოცემაა სრული. პირველმა წარწერა და მასთან ერთად ტაძარიც დაათარიღა იმერეთის მეფის, ნარინ-დავითის ძის კონსტანტინეს ხანით, 1313 წლით, მეორემ — ლეონ აფხაზთა მეფის ხანით, 958 წლით. ორივე გამოცემის მიხედვით ცხადია, რომ წარწერა ამ ასიოდე წლის წინათაც, ბართოლომეს დროს, სწორედ ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც დღეს, ე. ი. მას უკან მას არა დაჰკლებია რა. ხანგრძლივმა და გულდასმითმა დაკვირვებამ საშუალება მოგვცა სრულად ამოგვეკითხა წარწერის შემონახული ნაშთი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნაკლები ადგილების სავარაუდოდ შევსება იმდენად, რომ წარწერის შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ მას მთელი ორი მესამედი აკლია, სავსებით ნათელი გამხდარიყო. დაბოლოს, მისი თარიღიც და მასთან ერთად ტაძრის აშენების თარიღებიც სრულებით უდავოდ ირკვევა. ყველა ამის გამო აუცილებელი ტიქნა ამ ფრიად მნიშვნელოვანი წარწერის გამოცემა შესამედ, რასაც წინ უნდა უძღოდეს, პირველ ყოვლისა, მისი ზედმიწევნითი აღწერილობა.

წარწერა მოთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, შენობის ხარისხიდან მესამე წყობის ქვეზე, ნიდაგიდან 1,70 მ-ის, ე. ი. ადამიანის საშუალო სიმაღლეზე, ერთ გრძელ სტრიქონად, რომელსაც მთელი ფასადი უჭირავს ანუ, უკეთ, ეკირა, ალბათ, უმეზვეოდ მოყოლებული შენობის SO კუთხიდან, ვიდრე შენობის NO კუთხემდე. ვინაიდან აღმოსავლეთი ფასადი ტაძრისა, შიგ ჩაშენებული ოთხი თახჩის გამო, დატეხილ ხაზს წარმოადგენს, წარწერაც ამ ხაზს იმეორებს, ე. ი. მისდევს ფასადის ყველა ტეხილებს და მრგვალ ორმგ პილასტრებზედაცაა გადავლებული, რომლებიც თახჩებშია ჩადგმული.

თავდაპირველი სიგრძე მთელი წარწერისა, ჩემი ვარაუდით, რომელიც დამყარებულია ზუსტ ჩანაზომებზე და აგრეთვე ჩემ მიერ ქვემოთ წარმოდგენილ ადდგენის ცდაზე, დაახლოებით, ალბათ, ფასადის ტეხილი ხაზის მთელ სიგრძეს, ანუ 26,00 მეტრს უდრიდა. ახლა მას 2/3 აკლია, სახელდობრ: თავში უნდა აკლდეს არა ნაკლებ, ალბათ, 3,40 მეტრისა, რა სიგრძეზედაც აქ ტაძარს, შენობის SO კუთხიდან მოყოლებით, პერანგი აქვს ახდილი; ცენტრში აკლია 5,90 მ (ტეხილი ხაზით), რადგან შუა აფსიდა ტაძრისა სრულეებით ჩაქცეულია; ბოლოში უნდა აკლდეს აგრეთვე, ალბათ, იმდენი, რამდენზედაც პერანგია გაძარცვული, წარწერის უკანასკნელ შემონახულ სიტყვასა და შენობის NO კუთხეს შორის, რა მანძილიც 2,90 მეტრს შეადგენს; ამას გარდა, შიგა და შიგ წარწერა ისეა გადარეცხილი, რომ სრულებით აღარ იკითხება და ასეთი ადგილების ჯამი სულ ერთად 5,00 მ-ის სიგრძეს მოგვეცეს. ისე რომ, საბოლოო ანგარიშში, წარწერას 17,20 მ-ის სიგრძის ტექსტი აღარ გააჩნია, ხოლო დაცული არის მეტ-ნაკლებად საღად მხოლოდ

\* წაკითხულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლ. მაისის 22-ს.

<sup>1</sup> Mélanges Asiatiques tirés du Bulletin hist.-philol. de l'Académie des Sciences de St.-Petersbourg, t. II, St.-Pet., 1896, p. 99—102.

<sup>2</sup> Археологические экскурсии, разыскания и заметки. Известия Кавказского Отделения Моск. Археол. Общ., вып. I, Тифл., 1904, стр. 42—43.

3,80 მ-ის სიგრძის ტექსტი, რომელიც ასე იკითხება (იხ. ქვემ., გვ. 88 და 89, მულაეის მიხედვით შესრულებული ნახატი):<sup>1</sup>

I		II		III		IV		V		VI	
თე	სა	თ <sup>2</sup>	პ	ტ	ხ	შ	წ	ლ	ა	კ	მ
14	23	51	44	40	46	46	46	22			
VII		VIII <sup>3</sup>		IX		X		XI			
		ა		[ლ		შენება		ე		ვ	
36		45		54		55		შეისო		[ე]ნა და მისა	
								26		60	
XII		XIII									
83		იოვანე იწრა <sup>4</sup>		ადღის <sup>5</sup>		აესრო		170		250	
				48							
		XIV		XV		XVI		XVII			
170		ა <sup>6</sup> დ <sup>7</sup>		73		64		-ი---ო?		სრ.ო	
		44						35		50	
XVIII		XIX		XX		XXI					
ნება		წ		დ-- <sup>7</sup>		[დ		ა		ს	
38		78		23		81		დღესა		ე	
								41			
XXII		XXIII		XXIV							
სა		ყ		ო		სა		ტ		ფ	
28		53		28		51		...			

<sup>1</sup> თვითმული ფილაქანი გამოყოფილი მაქვს შვეული ხაზით, ხოლო თანხის პილასტრები— წყვილი შვეული ხაზებით; შვეული პუნქტირი უჩვენებს კუთხის ქვის წიბოს, ე. ი. კუთხეს, ანდა ორმაგი პილასტრის ნახევარს. ფილაქნებს და პილასტრებს ხეზოდან მიწერილი აქვთ რიგითი ნომერი, რომელიც ციფრით, და ქვემოდან სიგრძე (პილასტრებისათვის დაახლოებით), არაბული ციფრით, სანტიმეტრებში.

<sup>2</sup> პირველი „თ“-ანის მხოლოდ მარჯვენა ნახევარი ჩანს კარგად.

<sup>3</sup> ასეა და არა „კოსტანტინესა“ ან „კოსტანტიანესა“, როგორც ბროსე და თაყაიშვილი ჰქონებოდნენ.

<sup>4</sup> ორ უკანასკნელ ფილაქანს (№№ VII და VIII) არავითარი ნაშთი წარწერისა აღარ ვხვდებით, ისე რომ არა გამოორიცხვლი შესაძლებლობა, რომ ეს ქვები, რომლებიც ქანთი დანარჩენებში არ ვანსავევდება, ერთ-ერთი შეკეთების დროს ჩაუღვამთ აქ პირვანდელი წარწერიანი ფილაქნების მაგივრად.

<sup>5</sup> თუმცა ამ ადგილას წარწერა ძალზეა გადარეცხილი, მაინც ნამდვილად „იწრაფდის“ სწერია, რაც საინტერესოსა და უძველეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს ამ სიტყვისას. მერმინდელ ფორმაში („სწრაფვა“) „ს“-ანი, მაშასადამე, ძირეული კი არაა, არამედ პრეფიქსალური წარმოშობისა უნდა იყოს. ასეთივე უ-ს-ანო ფორმა გვხვდება უძველეს ხანებში ტექსტებში (ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი უძვ. ქართ. ხელთ-წარწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-1923, გვ. 385, სტრ. 3 ქვე-მოდან: „იწრაფე“) და აგრეთვე X ს-ის ტექსტებში იპოლიტეს თარგმანების (ნ. მარტის გამოცემა, TP, III, СПб, 1901, თავი 2, გვ. ივ, სტრ. 155: „იწრაფა“) და სახისმეტყველისა (ნ. მარტის გამოცემა, TP, VI, СПб, 1904. იგავი იდ, სტრ. 18: „იწრაფეთ“ იგავი, ლა, სტრ. 28: „წრაფა“). ნ. მარტს (იქვე, გვ. XXIV, § 6ს) ს-ანანი ფორმები მიაჩნია უძველესად, ნამდვილად კი სწორედ უ-ს-ანო ძველი.

<sup>6</sup> უკანასკნელი სამი გრძელი ხაზი ჩაკეული შუაფსიდის წახნაგებს აღნიშნავს.

<sup>7</sup> ქვა № XVIII ამჟამად ჩამოვარდნილია; იგი იქვე ახლოს, ტაძრის აღმოს. ფასადთან ეგდო. ამ ქვამ, ამოკოდვილია სხვა მთავრული ხელით კიდევ შემდეგი ხუთსტრიქონიანი წარწერა: „განრ? | ნეო? | ე | ო? | ლ? | ი | სამა | გ<sup>8</sup>წნა?“ (შვეული ხაზებით გამოყვავი სტრიქონები; ქარაგმის ნიშანი აქ ისეთივეა, როგორც ძირითადი წარწერისა, რომელთანაც ამ რამდენსამე სტრიქონს სხვებზე საერთო არა უნდა ჰქონდეს რა).

<sup>8</sup> ბ რ ო ს ე ს წ ა ნ ა ი თ ი ბ ი ა ქ უ ლ ა ი დ ს წ ო რ ე ვ ა .

<sup>9</sup> ამ სიტყვაში ასო „ფ“-არისა მხოლოდღა ერთი, მარჯვენა მარყუჭი ჩანს, რომელიც სრულად შეკრულ რგოლს წარმოადგენს, რაც უცნაურია და რის გამოც ამ ასოს ნამდვილი სახის აღდგენა ძნელდება.





07 სტრუქტურა  
 რბტგქფუცხმდტ  
 რქრნასტ ბტბტტ  
 სტრუქტურა ურბტტ  
 კ ურნუტტ  
 რბტტ ურნუტტ რტბტტ  
 ტტ ბტტტტ  
 ტტტტტტტტტტტტტტ  
 ტტ

სამშვილდის სიონის აღმოსავლეთი ფასადის წარწერა. დასაწყისი.

ქარაგმების გახსნით და უთუმცაო ადგილების შევსებით:

„... [ნა]თესავეთ პიტიახზნი<sup>1</sup>. წელსა კ<sup>2</sup> მეფობასა კოსტანტინეძსა დაიდვა საძირ-  
კველი ველითა მ... ა[ლ]შენებაჲ. ვარაზბაკურ შეისოჯ[ენ]ა და მისა ოჯკოჯან[ით] ... ოჯვანე

<sup>1</sup> ანდა „პატიახზნი“ — ძველ ქართულ წყაროებში ეს ფორმა კიდევაც უფრო ხშირად გვხვდება, თუმცა უძველესი მაინც უფრო „პიტიახზნი“ ჩანს.

<sup>2</sup> ე. ი. „მეოცესა“.

იწროხედის. აესროვ[ლა] ...სროვლ[ი]ად აღ[შენებ]ად წმიდ[ის]ა ამის ეკლესიამსაჲ [და]სტო-  
ვათა. და წელსა გ<sup>1</sup> ლეონ მეფისასა, დღესა ენკენიასა, ყო[ნ] სარტყოკრებაჲ ვ<sup>2</sup> დღე დი-  
დითა [კ]რებითა, განშოვ...

საძყუბუბუბუბუბუბუბუ  
 ყუბუბუბუბუბუბუბუბუ  
 ბუბუბუბუბუბუბუბუბუ  
 ბუბუბუბუბუბუბუბუბუ  
 ბუბუბუბუბუბუბუბუბუ  
 ბუბუბუბუბუბუბუბუბუ  
 ბუბუბუბუბუბუბუბუბუ  
 ბუბუბუბუბუბუბუბუბუ

სამშვილდის სიონის აღმოსავლეთი ფასადის წარწერა. დასასრული. ნახატი შესრულებულია  
 მულაჟის მიხედვით. ზომ. 1/6. იხ. ტექსტი, გვ. 85—90.

ამოკოდვილი ღრმად არაა და ამიტომ არის, რომ ბევრგან წარწერა ძალზე გადა-  
 რეცხილა, ხოლო ზოგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მისი კვალი იმდენად წარბოცი-  
 ლია, რომ ეკვი იბადება, ეგების ზოგიერთი წარწერიანი ფილაქანი იმავე ქანის უწარწერო  
 ფილაქნით იყოს შეცვლილი. აქა-იქ თითქოს წითელი საღებავის ნაკვალევი ჩანს

<sup>1</sup> ე. ი. „მესამესა“.

<sup>2</sup> ე. ი. „აქეს“.

ასოთა ამოჭრილებში. საზოგადოდ, ტექნიკური თვალსაზრისით, წარწერა ვერაა რიგინად შესრულებული: ზოგი ასო მსხვილია, ზოგი წვრილი, ზოგი უფრო მაღალია, ზოგი უფრო დაბალი<sup>1</sup>, სტრიქონში ყველა ერთნაირად არა ზის, ერთ დონეზე არაა მოქცეული, არამედ ზოგიერთი მეტ-ნაკლებად ამოვარდნილია სტრიქონიდან და მისთ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მთავრული დამწერლობისათვის, რომ მრავალი ასო ორხაზოვან ბადეში არ ეტევა, არამედ ქვევითკენ სცილდება მას, რის გამოც დამწერლობას სამხაზოვანი სისტემის ხასიათი ეძლევა<sup>2</sup>. ასეთი ასოებია, ჯერ ერთი, **ჩ** (მაგრამ ყოველთვის არა), **ჲ**, **ჳ** (ესეც ყოველთვის არა); **ჴ**; **ჶ** და **ჷ**, რომლებიც სხვა მთავრულ წარწერებშიც ზოგჯერ სამხაზოვანად გვევლინებიან (იხ. ჯავახიშვილის პალეოგრაფია, ტაბულა I). უფრო საინტერესოა, რომ ჩვენს წარწერაში სამხაზოვანია აგრეთვე **ღ**, **ლ**, **შ**, **ქ** და ზოგჯერ **რ**, **ს**, **ძ** და **ე**. გარდა ამისა, ჩვენს წარწერაში ორჯერ გვხვდება ქართულისათვის უჩვეულო, სომხური მთავრულისათვის დამახასიათებელი ლიგატურები **ურ** და **ჟრ** სიტყვაში „პტხში“. ორივე ზემოაღნიშნული გარემოება სამშვილდის სიონის წარწერას თავისებურს, ძველი ქართული წარწერებისათვის უჩვეულო იერს ანიჭებს.

ქარაგმის ნიშანი წარმოადგენს გრძელ სწორ ხაზს, რომელიც მთელ დაქარაგმებულ სიტყვასა ჰფარავს.

პალეოგრაფიულად ამ წარწერის გადმოტანა X ს-ზე აქეთ შეუძლებელია, ისე რომ ბროსეს ზემომოყვანილი დათარიღება უკვე ამის გამო იხსნება. მაგრამ X ს-ზე აღრიღელი წარწერები ისე ცოტა მოგვეპოვება, რომ ჩვენი წარწერის განსაზღვრა ზოგადი პალეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო ნიშანდობლივ ძნელია. შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ იგი VII—X საუკუნეებს შორის უნდა მოექცეს. „ზ“ და „ყ“ გახსნილებია, მაგრამ ეს მოვლენა IX ს-ის შუახანებში უკვე გვხვდება (იხ. ატენის სიონის 853 წლ. წარწერა ჯავახიშვილის პალეოგრაფიულ ტაბულაში). „ბ“, თავისი ბუნის სიგრძით და კუთხოვანობით, მიაგავს წრომის VII ს-ის წარწერისას (იხ. გ. ჩუბინაშვილის *Georgische Baukunst*, Bd. II, Tifl., 1934. S. 6, Abb. 1). ასევე სამხაზოვანი „შ“-ც მიაგავს მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქობულ-სტეფანეს VII ს-ის წარწერისას (იხ. ჯავახიშვილის ტაბულა). „ქ“ სრულებით ისეთივეა, როგორც ვეჟან ატენელის VIII ს-ის წარწერისა (იხ. იქვე). „პ“, თავისი სრულებით სწორი, მარტივი წარზიდულით („რქით“), არქაულია და ჯავახიშვილის პალეოგრაფიული ტაბულის მიხედვით VIII ს. არ გადმოსცდება. ამგვარად, დამწერლობა თითქოს უფრო VIII ს-ზე მიგვიითთებს, მაგრამ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. პირიქით, თვითონ ეს წარწერა, რომელიც, როგორც ვნახავთ, თავისი შინაარსის მიხედვით შეიძლება ზედმიწევნით დათარიღდეს, საფუძვლად უნდა იქნას დადებული გარკვეული რაიონისა და გარკვეული ხანის ქართული პალეოგრაფიის ნიშანდობლივი თვისებების დასადგენად.

როგორც უკვე აღვნიშნე, ზემომოყვანილს, სრულად და ზუსტად ამოკითხულ ტექსტს თუ ჩაუუკვირდებით, ჩვენითვის ნათელი გახდება მთელი წარწერის შინაარსი და შესაძლებელი შეიქნება შემონახული ფრაგმენტის შევსება იმდენად, რომ ზოგან ტექსტი სავარაუდოდ, სინამდვილესთან მეტ-ნაკლები მიახლოებით იქნას შევსებული, ზოგან კი, საცა

<sup>1</sup> ერთი და იგივე ასოების სიმაღლევ განსხვავდება: ასე, „ტ“ არის 5,5 სანტიმეტრისა და არის 9 სანტიმეტრის სიმაღლის, „შ“—7,5 და 10 სანტიმეტრის სიმაღლის, „გ“—5,5 და 6,5 სანტიმეტრის სიმაღლის და ა. შ.; ზოგი ასო ნამეტანი მაღალია, მაგ., „კ“ 11,5 სანტიმეტრს აღწევს, ზოგი კი, შედარებით, სულ დაბალია, მაგ., „ა“ 4 სანტიმეტრს იწვიათად გადააცილებს და მისთ. (იხ. მასშტაბში შესრულებული გადმონახატი წარწერისა).

<sup>2</sup> ზედა ხაზი ყველა ასოათვის საერთოა და ამიტომ ეს დამწერლობა ოთხხაზოვანად ვერ ჩაითვლება, მაგრამ იგი არც ორხაზოვანია, როგორც ჩვეულებრივი ასომთავრული დამწერლობა (იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართული პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 105).

ასეთი შევსების საშუალება უკვე აღარ არსებობს, ზოგადად მისი საეარაუდო შინაარსი იქნას აღწერილი. ამისათვის საჭიროა გათვალისწინებული გვექონდეს შემდეგი:

1) ზუსტი გამოანგარიშება ცხადჰყოფს, რომ ჩვენი წარწერის თვითეულ ასოს ფილაქანზე საშუალოდ 5 სანტიმეტრის სიგანის ადგილი უჭირავს<sup>1</sup>.

2) შემონახული ფრაგმენტი წარწერისა სრულებით გარკვევით გვაუწყებს, რომ წარწერა ტაძრის აღმშენებლებს ეკუთვნის, მათი შეკვეთითაა გაკეთებული (ამას თავისთავად ჰმოწმობს უკვე მისი მოთავსება აღმოსავლეთის ფასადის სიგრძეზე, რასაც სახეიმო ხასიათი აქვს); იგი განსაზღვრავდა ტაძრის აშენების თარიღებს და მოკლედ მოგვითხრობდა ამ ხნის განმავლობაში, მშენებლობასთან დაკავშირებით, აღმშენებელთა საგვარეულოში თუ ოჯახში მომხდარ ცვლილებებს.

3) შემონახული ტექსტიდან ცხადია, რომ ორი პირველი სიტყვის შემდეგ: „[ნა]თესავით პიტიახში“, წერტილი უნდა დაისვას—აქ დამთავრებულია ერთი წინადადება და იწყება მეორე. ამავე დროს, აზრის მიხედვით საფიქრებელია, რომ აღნიშნული ორი სიტყვა მთელი წარწერის სწორედ პირველ წინადადებას ამთავრებდა, რომ წარწერას თავში ბევრი არა უნდა აკლდეს რა, არამედ აქ მხოლოდ ღვთაებისადმი მიმართვა და ტაძრის მშენებელთათვის წყალობის ვედრება იყო მოთავსებული. აქ, როგორც ვიცით, კედლის პერანგი გაძარცვულია 340 სანტიმეტრის სიგრძეზე, შენობის SO კუთხიდან მოყოლებით, და, ამგვარად, ადგილი მართლაც იძლევა საშუალებას, წარწერის დასაწყისი ზემოაღნიშნული შინაარსით აღვადგინოთ<sup>2</sup>.

4) ცხადია აგრეთვე, რომ შემდეგ სიტყვებისა: „დაიდვა საძირკველი ჯელითა“ უნდა მოდიოდეს დასახელება იმისა, ვისი ხელითაც საძირკველი დაიდვა. ყოველ ეჭვს გარეშე, ეს არის ჯარაზბაკური, რომელიც იქვე, ლაკუნის შემდეგ, იხსენიება შესვენებულად, ე. ი. გარდაცვლილად. აქედან ნათელი ხდება, რომ მას მხოლოდ საძირკველი დაუდვია და აღშენების დასრულება კი ვეღარ მოუხსრია. ლაკუნაში სწორედ ეს გარემოება უნდა ყოფილიყო მოხსენებული, მის წოდებულებასთან ერთად<sup>3</sup>.

<sup>1</sup> სახელდობრ, II ფილაქანის მე-2 ნახევარი რომ ავიღოთ, აქ 10 ასოს 51 სანტიმეტრი დასჭირდა, III ფილაქანზე 7 ასომ 44 სმ დაიჭირა, V-ზე 8 ასომ—46 სმ, VI-ის 1-ლ ნახევარზე 11 ასომ—46 სმ, მე-2 ნახევარზე 4 ასომ—22 სმ, XX-ის მე-2 ნახევარზე 18 ასომ—81 სმ და XXIV-ზე 12 ასომ 51 სმ. ეს მაგალითები იკმარებს შუაეფროსის მისაღებად—51:10 ≅ 5, 44:7 ≅ 6, 46:8 ≅ 5,5, 46:11 ≅ 4, 22:4 ≅ 5,5, 81:18 ≅ 4,5, 51:12 ≅ 4, 5+6+5,5+4+5,5+4,5+4=34,5:7 ≅ 5 სმ.

<sup>2</sup> მაგ., ასე: „[ქ] უდ წო ლისმზბლო შეიწყალენ მაშენებელნი ამის წა ეკლესიისანი ვზბერ იე და ...ნა]თესავით პტხში“. რა თქმა უნდა, ასე „აღდგენილ“ ტექსტში ყოველი სიტყვა პირობითია; მაგრამ საერთო აზრი მაინც ასეთი უნდა იყოს. მრავალწერტილი ჰეულსხზობს უცნობი მაშენებლის ან მაშენებლების სახელებს (იხ. ქვემ.). აღდგენილი ნაწილისათვის სულ რომ დაახლ. 70 ასო ვიანგარიშოთ, იგი კარგად დაეტივოდა ზემოაღნიშნულ, 340 სმ-ის სიგრძის ადგილზე (70 ასო × 5 სმ = 350).

<sup>3</sup> ეს ხარვეზი კიდევ უფრო პირობითი შეიძლება „აღვადგინოთ“, ვინემ წარწერის დასაწყისი: ვინაიდან ლაკუნა (ფილაქანები № № VII—IX) სულ 135 სმ-ის სიგრძისა, მასში შეიძლება მოთავსდეს დაახლ. 27 ასო (რა თქმა უნდა, აქ დასაშვებია ცოტა მეტ-ნაკლებობაც). ლაკუნის წინ დაცული ასო „მ“ არ შეიძლება არც საკუთარი სახელის დასაწყისი იყოს, რადგან საძირკველის დამდები ვარაზბაკური იყო, არც დაცვალსახელისა („მისითა“), რადგან წინამავალ ტექსტში ნიშანდობლივ ჯერ არავენ ყოფილა დასახელებული, არაჩედ საფიქრებელია, რომ იგი რაიმე წოდებულების პირველ ასოს წარმოადგენს. ვგებ აქ „მამფალი“ უნდა ვივლოთ?—„მეფე“, „მეფე“, რა თქმა უნდა, გამორიცხვულია, ხოლო „მაგისტროსი“ აქ დროს ქვემო-ქართლში ძნელი წარმოსადგენია (ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ მოქცევაა ქართლისაჲს მატიანი, ქართლის განმგებელნი VII—VIII საუკუნეებში, ე. წ. დიდნი ერისთავნი, მხოლოდ ვარაზბაკურამდე ატარებენ ბერძნულ ტიტულატურას, შემდეგ კი, მთელი VIII ს-ის განმავლობაში, ვიდრე აშოტ კურაპალატამდე, მათ ეს ტიტულატურა აკლიათ, იხ. СМОИИК, XLI, გვ. 64—67). უბრალო ეპითეტიც, მაგ., „მცირისა“, ნაკლებადაა საგულვებელი. „მამფალი“ კი საეცებით დასაშვებია (შდრ. ოძრჯის წარწერა, ე. თ. ყ ა ი შ ვ ი ლ ს გამოც., ИКОМАО, I, გვ. 63—66). ამისდა მიხედვით, ლაკუნა, საეარაუდოდ, ასე შეგვიძლია შევაესოთ: „[ქ]ლა და ესა ვზბერ კრთა და ვერლა მოესწროს] აღღშენებაჲ“, რის შემდეგაც, აზრის მიხედვით, წერტილი უნდა დაისვას.

5) მომდევნო ტექსტი ნათელჰყოფს, რომ ვარაზბაკურის შემდეგ („მისა ოკოკოვან[ით]“) იოვანეს განუგრძია მშენებლობა და ამ უკანასკნელი სახელის წინ არსებულ ლაკუნაში, ალბათ, განსაზღვრული იყო მისი დამოკიდებულება განსვენებულ ვარაზბაკურთან და, ალბათ, მისი წოდებულებაც<sup>1</sup>.

6) ამას იქით ჩვენს ტექსტს ძალიან ბევრი აკლია, თითქმის 8 მეტრამდე, მაგრამ წარწერის ბოლოდან ცხადია, რომ იოვანეს მიცვალების შემდეგ ვიღაც მესამეს დაუსრულებია ტაძრის აშენება („სროვ'ლიად აღ'სშენებაჲ წ'დ'ისა ამის ეკლესიასაჲაჲ<sup>2</sup> და სტოვათა“) და რომ ეს უკანასკნელი პირი უთუოდ ეპისკოპოსი ყოფილა, რადგან, როგორცა ჩანს, მანვე, მშენებლობის დამთავრებისას, „ყო' საქტყოკრებაჲ“, ე. ი. აკურთხა ახალი ეკლესია<sup>3</sup>.

7) დასასრულ, ბოლოში, აზრის მიხედვით, ისევე როგორც თავში, წარწერას ბევრი აღარაფერი უნდა დაჰკლებოდეს, რადგან ყველა ის, რაც საქიროა აღმშენებლობისათვის, უკვე მოთხრობილია. ფრაგმენტის უკანასკნელი სიტყვა შეიძლება გავიგოთ თითქოს მხოლოდ როგორც „განშოკენებადი“ ან „განშოკენდა“, შემდეგ ტექსტს კიდევ რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს და ბოლოში—ჩვეულებრივი და საეალღებულო „ან“. მაინც აქ როგორ თავდებოდა წინადადება, ნათელი არაა.

წარწერა, ალბათ, შენობის NO კუთხემდე იყო მიყვანილი, რათა SO კუთხესთან სიმეტრია ყოფილიყო დაცული<sup>4</sup>.

როგორც მოვიხსენიე, გარეგნული ნიშნების მიხედვით, პალეოგრაფიულად, ეს წარწერა VII—X საუკუნეების ფარგლებში უნდა მოექცეს. ვნახთ ახლა, რას გვეტყვის მისი შინაარსი.

სამშვილდის სიონი „[ნა]თესავით“ (ე. ი. ჩამომავლობით) პიტიანშებს აუგიათ. ვინ არიან წარწერაში მოხსენებულნი ვარაზბაკურ და იოვანე, ჩვენ არ ვიცით, რადგან ამ პირთა შესახებ ქართულს (და არც სომხურს) საისტორიო წყაროებში არავითარი ცნო-

<sup>1</sup> რადგან იოვანე „იწრაფდის“, ე. ი. ჩქარობდა და მაინც კიდევ ისიც გარდაცვილია („აესროვ[ლა]“) მშენებლობის დამთავრებამდე, ამიტომ საფიქრებელია, რომ ვარაზბაკურის მიცვალებისას იგი უკვე ხანში შესული ან კიდევაც მოხუცი იყო (სწორედ ამიტომ „იწრაფდის“). აქედან შეიძლება დავეუწვათ, რომ იგი ვარაზბაკურის ძე კი არ იქნებოდა, არამედ სხვა ახლო ნათესავი, მაგ, ძმა, და ამისდა მიხედვით ლაკუნა შემდეგნაირად, ისევ-ისე პირობით და სავარაუდოდ, შევავსოთ: „და მისა ოკოკოვან[ით] ძმა მისი ერ'თვი იოვანე იწრაფდის“ (ლაკუნის სიგრძე 83 სანტიმეტრია, ისე რომ შიგ შეიძლებოდა 16-17 ასოც დატეულიყო).

<sup>2</sup> ლაკუნა აქ 88 სანტიმეტრის სიგრძისაა, ისე რომ 18 ასო შიგ კარგად ჩაეტეოდა.

<sup>3</sup> რასაკვირველია, 8 მეტრის სიგრძის ხარვეზში იმოდენა ტექსტი დაეტეოდა (დაახლ. 30-მდე სიტყვა შეიძლება ვივარაუდოთ), რომ, ვინ იცის, შიგ რა ამბები იყო მოთხრობილი და მშენებლობის შემსრულებელი, ვარაზბაკურის შემდეგ, მესამე კი არა, ეგებ, მეოთხე პირიც ყოფილიყოს, მაგრამ ის მაინც ცხადია, რომ ეკლესია მაკვე უჭურთებთა. საფიქრებელია აგრეთვე, რომ ისიც „ნათესავით პიტიაშთა“ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

<sup>4</sup> არა მგონია, რომ წარწერა NO კუთხეს მოუხვევდა და ჩრდილოეთის ფასადზე გადმოვსოდა, რომლის პერანგი ამჟამად გაძარცვულია.

ზემოთ მე ვცვაღე ლაკუნები ასე თუ ისე შემვესო. ამგვარად „აღდგენილი“ ტექსტი შემდეგ სახეს მიიღებს, ქარაგმების გახსნით:

„ქ. ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწყალენ მაშენებელნი ამის წმიდისა ეკლესიისანი, ვარაზბაკურ, იოვანე და... , ნათესავით პიტიაშნი. წელსა კ' მეფობასა კოსტანტინესა დაიდვა სამირკველო ქელითა მქაფლისა და ერისთავისა ვარაზბაკურისათა და ვერლა მოესწრა აღ'სშენებაჲ ვარაზბაკურ შეისოკენა და მისა ოკოკოვანით ძმა მისი, ერისთავი იოვანე, იწრაფდის. აესროვ[ლა იოვანეცა]. (და მის ჰქმდეჲ ვაღჲ სსვას, იუთუღ ეპიკაპოლონ'ს და, ალაპა, ავაიუჲჲ პაცაქსაშთა ნათაქაჲჲ, მისცა იუფალმან) სროვ'ლიად აღ'სშენებაჲ წმიდისა ამის ეკლესიასაჲაჲ და სტოვათა. და წელსა გ' ლეონ მეფისასა, დღესა ენკენისა, ყო' საქტყოკრებაჲ ე' დღე დიდითა კ'რებითა, განშოკენებადი...“

კიდევ გავიგოვრებ, რომ აღდგენილი ტექსტი მეტწილად სავსებით პირობითია და მომყავს აქ მხოლოდ იმისათვის, რომ წარწერის შინაარსი სავსებით ნათელი შეიქნეს. თვით ეს უკანასკნელი კი (ე. ი. შინაარსი), ვგონებ, ეჭვებს არ უნდა იწვევდეს.

ბები შენახული არაა, მაგრამ საეკლესიოა, რომ „პიტიახშთა ნათესაენი“ ჯუანშერი ის თხზულებაში გვხვდებიან, სადაც ისინი იხსენიებიან VII ს-ის შუახანების ამბებთან დაკავშირებით.

უძველეს პიტიახშებს რომ თავი დაეანებოთ<sup>1</sup>, ქართული საისტორიო წყაროები ქართლისა პიტიახშს პირველად იხსენიებენ V ს-ში. ეს არის არშუშა (იაკობ ხუცესი), რომელსაც სომხური წყაროებიც იცნობენ (კორიუნი, ლაზ. ფარპელი) და მ. ხორენელი გუგარკის ბღეშს ეძახის, და რომელიც V ს-ის პირველ ნახევარსა და შუახანებში ცხოვრობდა (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, I<sup>2</sup>, თბ. 1928, გვ. 218 და H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen, 1904, გვ. 276). ამისი შვილი იყო ვარსკენ ქართლისა პიტიახში (იაკობ ხუცესი, ლაზ. ფარპელი, მოქც. ქართლისაჲს მატთანე), რომელიც ვახტანგ გორგასალმა 482/3 წელს მოკლა (ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 221). ამ პიტიახშებს, როგორც ეს ლაზარე ფარპელისა და იაკობ ხუცესის მოთხრობიდან ჩანს, ჰნიშნავდა და ამტკიცებდა სპარსეთის მპყრობელი. VI ს-ის პირველ ნახევარში, სახელდობრ 540 წელს, იხსენიება არშუშა II ქართლისა პიტიახში (ეგვსტათი მცხეთელის ცხობება). სხვა ქართლის პიტიახშები, რამდენადაც ვიცით, ცნობილნი არ არიან, მაგრამ ზემომოყვანილის მიხედვითაც სრულებით ცხადია, რომ V—VI საუკუნეებში პიტიახშობა გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობას აღნიშნავდა და ამ თანამდებობის შემსრულებელი პირი ერთი იყო<sup>2</sup>. მეორე მხრით, ის გარემოება, რომ სამცხობილ პიტიახშთან ორს, ქართული წყაროების მიხედვით, საკმაოდ იშვიათი სახელი არშუშა<sup>3</sup> ჰქმევია, საფიქრებელსა ჰხდის, რომ ეს თანამდებობა ერთ გარკვეულ გვარსა ჰქონდა დამკვიდრებული, რომ სპარსეთის მეფე ქართლის პიტიახშებად მაინც და მაინც ერთი და იმავე გვარის შვილებს ჰნიშნავდა ხოლმე<sup>4</sup>. აქედან გასაგები ხდება, თუ როგორ გაჩნდნენ შემდეგში „ნათესავით პიტიახშნი“.

<sup>1</sup> ვვულისხმობ არმაზში წარმოებული არქეოლ. გათხრების შედეგად ცნობილს, ქრისტიანობის პირველი საუკუნეების პიტიახშებს (ამათ შეახებ იხ. გ. წერეთლის Армазская шилинга, თბილისი, 1941, გვ. 50—58).

<sup>2</sup> სწავთა შორის, ლ. მროველისა და ჯუანშერი-ის ცნობებიდან ჩანს, რომ ძველად „პიტიახში“ ანუ „პატიახში“ „ერისთავის“ სინონიმად მიიჩნდათ. ასე, მაგ., ლ. მროველი გადმოგვცემს, რომ ფარსმან ქველის დამარცხების შემდეგ სპარსელებმა არმაზში დატოვეს თავისი ერისთავი—„ერისთავი არმაზისი“ (მარიამის. ქცა, გვ. \*163), რომლის ქვეშაც, ცხადია, სპარსთა პიტიახში უნდა იგულისხმებოდეს. ხოლო ჯუანშერი ვარსკენ პიტიახშს რანის ერისთავს ეძახის (იქვე, გვ. \*404—405), ე, ი., მას პიტიახშობა და ერისთავობა ერთი-მეორის სინონიმად მიიჩნია. სხვა ადგილას კიდევ ჯუანშერი ამბობს, რომ ვახტანგის ჯარს მეთაურობდნენ „პატიახშნი და სპასკენიო“ (იქვე, გვ. \*39). აქედანაც ცხადია, რომ სპარსული „პატიახშნი“ = ქართულს „ერისთავნი“-ს (შდრ. გ. წერეთლის დასახელებული ნაშრომის გვ. 55—58).

<sup>3</sup> იბერიის გამგეტა შორის VII ს-ის დამდეგს სომხური ეპისტოლეუთა წიგნი ასახელებს ვინმე არშუშასაც (ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., I<sup>2</sup>, გვ. 241). შესაძლებელია ეს იგივე არშუშა იყოს, რომელიც მოხსენებულა როგორც მამფალი, პატრიკი და ქართველთ ერისთავი, ზემოთ უკვე დასახელებულ ოძრკის წარწერაში (Изв. Кавк. Отд. Моск. Арх. Общ., I, გვ. 63). გარდა ამისა, მე ვიცნობ კიდევ სამ სხვა არშუშას: მათგან ერთი, არშუშა კურაპალატი, რომელსაც მოქცევაჲ ქართლისაჲს მატთანე იხსენიებს, ამ წყაროს მიხედვით, ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრი იყო და VII ს-ის მეორე ნახევარში ცხოვრობდა (СМОНПК, XLI, გვ. 65), მეორე, არშუშა დაფანჯელი, გრ. ხანძელის ტაში იხსენიება (გვ. ივ.), მესამე კი ბაგრატ III-ის „საკუთართავანი“ ყოფილა და ღრტილას კრებას დაჰსწრებია 1046 წ. (საქ. სამთხვ. გვ. 615).

<sup>4</sup> ნიშანდობლივ რომელია ეს გვარი, ჩვენ არ ვიცით. ჯუანშერი-ის წარმოდგენით, ქართველი პიტიახშები თითქოს იმ ფეოდალის ჩამომავალი ყოფილან, რომელიც მირიანის სიძე იყო, ბარდავში იჯდა ერისთავად და რომელსაც მერმე ბაქარმა სამშვილდის საერისთავო მისცა. ეს ჩანს ჯუანშერი-ის ცნობიდან, რომ არჩილმა თავისი ერთ-ერთი ძმისწული მიათხოვა „პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი ჰმთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აშოცს“ (მარიამის. ქცა, გვ. \*428).

ქართლის პოლიტიკური ისტორია VI—VII საუკუნეების მიჯნაზე გვაფიქრებინებს, რომ პიტიანშობა, როგორც ქვეყნის საგამგეო, ჩვენში უნდა მოსპობილიყო ან უკვე VI ს-ის დამლევს, მავრიკი კეისრის დროს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, VII ს-ის პირველი მეოთხედის განმავლობაში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შედეგად, რის შემდეგაც აქ ჯერ ბერძენთა და მერმე არაბთა მფლობელობა დამყარდა, სულ სხვა ადმინისტრაციული ერთეულებით და თანამდებობებით. ამას იქით პიტიანშობა უკვე უბრალო წოდებად უნდა გვეგულებოდეს IV—VI საუკუნეების პიტიანშობა ჩამომავალთათვის. ახლა უკვე პიტიანში ერთი კი აღარ იქნებოდა, არამედ რამდენიმე, რადგან გვარიშვილები ბევრნი იყვნენ. მაინცა და მაინც დამახასიათებელია, რომ VII ს-ის ამბების მოყოლისას ჯ უ ა ნ შ ე რ ი სამჯერ იხსენიებს პიტიანშებს მრავლობითი რიცხვით<sup>1</sup>. ერთგან ის ამბობს: არაბთა პირველი შემოსევისას (რომელსაც იგი, როგორც ცნობილია, შეცდომით მურვან ყრუს ლაშქრობას უკავშირებს), ე.ი. 643 წ., „ყოველნი მთავარნი და პ ა ტ ი ა ს შ ნ ი, ნათესავნი ერისთავთა, წარჩინებულნი ქართველთანი შევიდოდეს კავკასიადო“ (ქიქინაძის გამოც. ქცა, გვ. 249, მარიამის. ქცა, გვ. \*419). მეროდ, ამავე ამბავთან დაკავშირებით, ჯ უ ა ნ შ ე რ ი გადმოგვცემს, რომ ანაკოვის ციხეში შეხიზნულ მირსა და არჩილთან იყვნენ „სიმრავლე მცირედ ტაძრულისა მათისა და ნათესავნი ერისთავთა და პ ა ტ ი ა ს შ თ ა ათასი ოდენო“ (იქვე, გვ. 253 და \*422). თუ პირველ წინადადებაში სადავოდ შეიძლება იქცეს, თუ რა აზრითა აქვს ჯ უ ა ნ შ ე რ ს ნახმარი სიტყვა „პატიანშნი“, მეროდ წინადადებიდან სრულებით ცხადია, რომ იგი პიტიანშთა გვარიშვილებს ჰგულისხმობს, ერისთავთა გვარიშვილების, ე.ი. გუარამ კურაპალატის ჩამომავალთა გვერდით<sup>2</sup>. ამასთანავე, ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს „ნათესავნი პატიანშთა“ პირდაპირ ეხმაურება სამშვილდის წარწერის „[ნ]ათესავით პიტიანშნი“-ს.

VII ს-ის შემდეგ ჩვენი ისტორიული წყაროები პიტიანშებს აღარ იცნობენ. არც ქართლის მატთანე, არც ს ლ უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე პიტიანშებს აღარ იხსენიებენ და ასეა შემდეგაც—არც ერთი ჩვენი ისტორიკოსი XII—XIV საუკუნეებისა, რამდენადაც ვიცით, პიტიანშებს აღარ იხსენიებს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ჯ უ ა ნ შ ე რ ს ერთხელ ვახტანგის დროსაცა აქვს ნახმარი მრავლობითი რიცხვი: „პიტიანშნი და სპასპეტნიო“, მაგრამ, როგორცა ვთქვი, აქ ეს ტერმინი „ერისთავნი“-ს მაგივრობდასა სწევს. ერთხელაც ჯ უ ა ნ შ ე რ ი ვილაც პიტიანშს ასახელებს, რომელიც „ჰმთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აშოცს“, ე.ი. ძველ საპიტიანშოს ეს ცნობაც ზემოთ უკვე მოვიასწინე. აქ საინტერესოა უმთავრესად ის, რომ სამშვილდის საერისთვო VII ს-ის შუახანებში კვლავინდებურად პიტიანშთა გვარიშვილს უჭირავს. რომ ის ერთადერთი პიტიანში არ იყო და რომ პიტიანშობა უკვე აღარ იყო დაკავშირებული გარკვეულ თანამდებობასთან, ეს ჩანს ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს ა ე ე ს ხ ვ ა, ქვემოთმოყვანილი, ცნობებიდან.

<sup>2</sup> ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს მესამე ცნობით, „პ ა ტ ი ა ს შ ნ ი ვინმე არა შეეშენეს კლარჯეთს... და წარვიდეს ნახევარნი მათვანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქვა კალმახი და აღაშენა ციხე“ (იქვე, გვ. 261 და \*431—432). ეს ამბავი ვითარც 657 წლის ახლას უნდა იყოს მომხდარი. აქაც ძნელი სათქმელია, ავტორი გარკვეულ გვარიშვილებს ჰგულისხმობს, თუ ტერმინ პიტიანშს იგი ჰხმარობს, როგორც საზოგადო სახელს?

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრების გაგრძელება, XV ს-ში, ასახელებს ვილაც „ლორის პატიანშებს“ (მარიამის. ქცა, გვ. 892) და კონტექსტით ისე გამოდის, თითქოს პიტიანშნი ამ დროს კახეთსაც, შირვანსაც და სამცხესაც ყოფილან, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეეფერება. ეს ადგილი ავტორის პერიტრობის მაჩვენებელია, რომელსაც მკითხველისათვის თავისი სწავლულობა და ნაკითხობა უნდა ეჩვენებინა.

ტერმინ „პიტიანშს“ იცნობს ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ც, რომელიც, მისი ახსნით, არის იგივე „პატიანშნი“, ე.ი. ტაძრის ეპარხოზი ანუ დიდი ეპირონი (იხ. მისი ლექსიკონი). როგორც ვხედავთ, საბაბს გაგება ამ ტერმინისა საკმაოდ დაშორებულია მის ძველ შინაარსს.

ამგვარად, თუ პალეოგრაფიული ნიშნები ჩვენს წარწერას უფრო VIII ს-ისაკენ მიეხილებიან, ჯუანშერის ცნობებთან შეთანაპირებით მისი შინაარსი თითქოს VII ს-ზე მიგვიითობს<sup>1</sup>.

მაგრამ სრულებით ზედმიწევნით შეიძლება განისაზღვროს წარწერის თარიღი, თუ კი ნამდვილად გამოვარკვევთ კოსტანტინეს და ლეონის ვინაობას, რომელთა მეფობის წლებითაც დანიშნულია ტაძრის აგების თარიღები. როგორც ვიცით, ე. თაყაიშვილს პირველი მიაჩნია აფხაზთა მეფე კოსტანტი II ბაგრატიის ძედი, რომელიც, აფხაზთა „მეფეთა დივანის“ მიხედვით, 873 წლიდან 912-მდე მეფობდა (ძვ. საქ., II, განყ. III, გვ. 46—54), მეორე კი—ამ უკანასკნელის შვილი-შვილად, ლეონ II აფხაზთა მეფედ, რომლის მეფობის წლები, იმავე წყაროს მიხედვით, 957—967-ითაა განსაზღვრული. ამიტომ ე. თაყაიშვილი ჩვენს წარწერას X ს-ის შუახანებით ათარიღებს<sup>2</sup>. —რამდენად შესაწყნარებელია თაყაიშვილის ეს დებულება?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს შემდეგი: წარწერა განსაზღვრავს ტაძრის აგების თარიღებს: მშენებლობა დაწყებულია (საძირკველი დაუდგიათ) კოსტანტინეს მე-20 წელს და დასრულებულია (ტაძარი სრულიად აუშენებიათ) ლეონის მე-3 წელს. ე. თაყაიშვილით, ეს თარიღები იქნება: 892 წ. (873-დან მე-20 წელი 892-ზე მოვა) და 959 წ. (957-დან მე-3 წელი 959-ზე მოვა). გამოდის რომ ტაძარი 68 წლის განმავლობაში უშენებიათ (892—959), რაც ძნელი დასაჯერებელია.

შემდეგ: როგორც ვიცით, მთელი X ს-ის განმავლობაში სამშვილდე სომეხთ მეფეთა ხელში იყო. ქართული დიდი მშენებლობა, მასასადამე, ამ დროს აქ, თუ სულ გამოირიცხული არა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე შეზღუდული და სათუო უნდა იყოს. ხოლო სრულებით გამოირიცხულია მშენებლობის დათარიღება აფხაზთა და არა სომეხთა მეფეების წლებით. მართალია, ამ ხნის განმავლობაში სულ ადვილი შესაძლებელია, რომ, ჩვენ არ ვიცოდეთ ისე, სამშვილდე დროებით აფხაზთ მეფეთა ხელშიც ჩაგარდნილიყოს, მაგრამ რომ ეს მდგომარეობა 68 წელიწადი გაგრძელებულიყოს, სრულებით დაუჯერებელია.

დაუშვამტოთ ამას ისიც, რომ სამშვილდის წარწერაში კოსტანტი კი არაა დასახელებული, როგორც თაყაიშვილსა ჰგონია, არამედ კოსტანტინე, ხოლო X ს-ის აფხაზ-

<sup>1</sup> ჯუანშერს, როგორც ცნობილია, VII და VIII ს-ის ამბები ერთმანეთში არეული აქვს. მურვან ყრუს შემოსევა (737/42 წწ.) მას არაბთა პირველ შემოსევად მიაჩნია საქართველოში. მასასადამე. ან უნდა ვიფიქროთ, რომ მას გამოჰპარვია თითქმის მთელი ერთი საუკუნე არაბთა ბატონობისა (654/5—737 წწ.), რაც ძნელი დასაჯერებელია, ანადა, როგორც მისი თხოობის თანამიმდევრობაც გვაგულვებინებს და მის საერთო ისტორიულ-ქრონოლოგიურ კონცეფციასაც საცესებით შეეფერება, რომ მას მხოლოდ ანაქრონისტული ხასიათის შეცდომა დაემართა მურვანის ლაშქრობის მიმართ, რაც, პირობით, ადვილი დასაშვებია, და რომ ძირითადად იგი VII ს-ის შუახანების ამბებს მოგვითხორობს, რომლებშიც ჩართულია VIII ს-ის ამბებიც. ვინაიდან ჰაბიბ იბნ-მასლამას მეორედ და მკვიდრად შემოსვლა ჩვენში (654/5 წ.), ყველა ნიშნებით, მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, საფიქრებელია, რომ ის რბევა და აზობრება, რომელიც ჯუანშერსა აქვს მოთხორობილი (და რომელიც უთუოდ ვაზვიადებულია მურვან ყრუს დროინდელი ამბების ზეგავლენით), არაბთა მარბიელის პირველ შემოსევასა ჰგულისხმობს, იმავე ჰაბიბის მეთაურობით, 643 წ.-მირი და არჩილი, ამგვარად, ამ ხანის მოღვაწეები უნდა იყვნენ (ისევ-ისევ, თანახმად ჯუანშერის კონცეფციისა). არჩილი ამის შემდეგ იწამა „ვითარ გარდაქვეს წელიწადნი ორმოცდაათნი“, ე. ი. 690-იანებში. იგი რომ მართლა მურვან ყრუს თანამედროვედ მივიჩნიოთ, მისი სიკვდილი VIII ს-ის 90-იანებში უნდა დაედოთ და მაშინ მისი შვილების, იოვანესა და ჯუანშერის, ერისთავობა IX ს-ში უნდა გადავიტანოთ. რაც შეუძლებელია (ზემომოყვანილისათვის იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 343, 350—52, 360, კ. კეკელიძის ქართ. ლიტერ. ისტ., I, გვ. 250-251, ს. ჯანაშიას არაბთა საქართველოში, თბ., 1936, გვ. 17—18, 22—23, 31—35).

<sup>2</sup> იმ დროს როცა ე. თაყაიშვილმა სამშვილდის წარწერები გამოაქვეყნა, „მეფეთა დივანი“ ჯერ ცნობილი არ იყო. ამიტომ, თაყაიშვილის თარიღები მცირედ განსხვავდება ზემოთყვანილთაგან.



თა მეფეს, „მეფეთა დივანის“ მიხედვით<sup>1</sup>, მაინც და მაინც კოსტანტი ერქვა და ამ სახელის გაიგივება კოსტანტინესთან სრულებითაც სავალდებულო არაა.

ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, ე. თაყაიშვილის დებულება უნდა უარყოფილი იქნას.

აფხაზთ „მეფეთა დივანში“ კიდევ მოიპოვება ერთი კოსტანტინე<sup>2</sup> და მისი მომდევნო ლეონი, რომლებიც შესაძლებელია ვინმემ ჩვენი წარწერის მეფეებად ჩათვალოს. ესენი არიან, უფრო ნიშანდობლივ, ლეონ I აფხაზთა მეფე, რომელიც, „დივანით“, 746 წლიდან 791-მდე მეფობდა, და მისი (უფროსი) ძმა კოსტანტინე, რომელიც მისი წინამორბედი იყო ვითომც სამეფო ტახტზე, მაგრამ რომლის „მეფობის“ ხანგრძლიობა „დივანში“ აღნიშნული არაა. ქართლის მატიანეს გარკვეული ჩვენებით კი აფხაზთა მეფედ თავი გამოაცხადა პირველად სწორედ ლეონმა, რომელმაც აფხაზეთის საზღვარიც აღმოსავლეთით ლიხამდე გადმოიტანა (ქიქინაძის გამოც. ქცა, გვ. 268, მარიაშის. ქცა, გვ. 441). მანამდე, მაშასადამე, საზღვარიც უფრო დასავლეთით იდო და აფხაზეთის განმგებელნიც ერისთავებად იწოდებოდნენ და არა მეფეებად. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ, როგორც ეს აკადემიკოს ს. ჯანაშიასაცა აქვს აღნიშნული<sup>3</sup>, „მეფეთა დივანი“ ლეონამდე არც ერთი „მეფის“ ზეობის ხანგრძლიობას არ აღნიშნავს, რაც იმის მოწმობად უნდა ჩათვალოს, რომ ლეონის დროს „დინასტიის განვითარებაში რაღაც ცვლილება, ან კიდევაც გარდატეხა მომხდარა“<sup>4</sup>. ეს ცვლილება სწორედ მეფედ გამოცხადება იყო თავისა ლეონის მიერ, რაც, როგორც ეს აკად. ს. ჯანაშიასაცა აქვს გამოკვეული<sup>5</sup>, VIII ს-ის დამლევს, 790-იანებში უნდა მომხდარიყო. თუ „მეფეთა დივანი“ ლეონის წინაპრებსაც მეფეებად ჰხადის, ეს მხოლოდ დინასტიის განდიდების სურვილით აიხსნება. მართლაც, იოანე საბანისძე 780-იანებში აფხაზეთის მმართველად იცნობს მხოლოდ მთავარს და არა მეფეს და ამ ქვეყნის საზღვრების აღნიშვნისას მას აზრადაც არ მოსდის ლიხის ხსენება<sup>6</sup>. ლეონამდე, მაშასადამე, აფხაზეთის ერისთავებსა თუ მთავრებს არ შეიძლება ისეთი პოლიტიკური გავლენა ჰქონოდათ ქართლზე, რომ დიდი მონუმენტალური მშენებლობა აქ მათი ზეობის წლებით დაეთარილებინათ. კოსტანტინეც ვერ კიდევ უბრალო ერისთავი იყო და ამგვარად სამშვილდის წარწერაც მას მეფედ ვერ მოიხსენიებდა.

ხოლო თუ სამშვილდის წარწერის კოსტანტინე და ლეონი აფხაზთ მეფეთა შორის ვერ მოიძებნა, მაშინ ერთად-ერთი შესაძლებლობა რჩება, სახელდობრ ის, რომ ესენი ბიზანტიის კეისრები არიან, რადგან ასეთი სახელების მქონე მეფეები არც ქართლში და არც სომხეთში არა ყოფილან.

საკმარისია აღამიანმა ბიზანტიის კეისრების სიას თვალი გადაავლოს, რომ დარწმუნდეს, რომ სამშვილდის წარწერის კოსტანტინე შეიძლება იყოს მხოლოდ კოსტანტინე V კობრონიმე (740—775, იხ. М. В. Левченко, История Византии, М.—Л., 1940, стр. 122) და ლეონი კი—ლეონ IV ხაზარი (775—780). საქმე ისაა, რომ არსად კოსტანტინე და ლეონი ერთმანეთს ისე არ მისდევენ ბიზანტიის კეისრების სიაში, რომ შეიძლებოდეს მათი გაიგივება სამშვილდის წარწერის მეფეებთან, გარდა ხსენებული კოსტანტინე V-ისა და ლეონ IV-ისა. ამასთანავე, მხედველობაში მისაღებ სხვა შესაძლებელ

<sup>1</sup> და დოსითეოსიტაც!

<sup>2</sup> დოსითეოსით, კოსტანტი.

<sup>3</sup> იხ. მისი წერილი, О времени и условиях возникновения Абхазского царства, ენიმკი-ს მოამბე, VIII, თბ., 1941, გვ. 139.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 139.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 147—148.

კოსტანტინე კეისრებს, IV პოგონატს (668—685) და VI-ს (780—797), ზეობის წლებიც არა ჰყოფნით, ორივეს 20 წელზე ნაკლები უმეფიათ და უკვე ამიტომ ისინი ჩვენთვის გამორიცხვად არიან<sup>1</sup>.

ამგვარად, სამშვილდის სიონის საფუძველი დაიდო კოსტანტინე V კოპრონიმეს მეფობის მე-20 წელს, ე. ი. 759-ს (740-დან მე-20 წელი 759-ზე მოვა), ხოლო ტაძრის მშენებლობა დასრულდა ლეონ IV ხაზარის მე-3 წელს, ე. ი. 777-ს (775-დან მე-3 წელი 777-ზე მოვა) და, მაშასადამე, მთელი მშენებლობა 19 წელიწადი გაგრძელბულა (759—777). მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს ცნობით, წილკნის ეკლესიის აშენებას ბაკურ მეფე 25 წელიწადი მოუნდა (CMOMIHK, XLI, გვ. 60) და ბოლნისის სიონიც, როგორც ეს მისი უქანასკნელად აღმოჩენილი წარწერიდან ჩანს, 24—25 წელიწადი უშენებიათ<sup>2</sup>, ისე რომ 19 წელიწადი სამშვილდის დიდი, ისიც გუმბათიანი ტაძრისათვის კიდევაც ცოტაა. იქნება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ, როგორც წარწერა გადმოგვცემს, მშენებლობა სწრაფი ტემპით უწარმოებია, ყოველ შემთხვევაში, იოვანეს.

სატფურება, ე. ი. ტაძრის კურთხევა მომხდარა, ჩვენი წარწერით, ლეონის მეფობის მე-3 წლის „დღესა ენკენიასა“, ანუ 777 წლის სექტემბრის 13-ს. იგი, ეტყობა, დიდის ზემოთ ჩაუტარებიათ, 6 დღის განმავლობაში, „დიდითა კრებითა“, რის შემდეგაც სამშვილდის სიონი მოქმედ ეკლესიად გადაიქცა<sup>3</sup>.

დასასრულ მაინც კიდევ უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ VIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც, როგორც ცნობილია (მურვან ყრუს ლაშქრობისა და განსაკუთრებით ბაღდადში აბასიანთა გაბატონების შემდეგ), არაბთა რეჟიმი აღმოსავლეთ საქართველოში საშინლად გამკაცრდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 354, 361—362), დაიწყო დევნა ქრისტიანობისა და არაბული მმართველობა ყოველნაირ ცდას აწარმოებდა, რათა ეს მხარე სრულებით მოეწყვიტა საზოგადოდ დასავლეთისაგან და მისი გავლენის სფეროდან გამოეთიშა, — რამდენად დასაშვებია, რომ ასეთ პირობებში დიდი საკულტო მშენებლობა ქვემო-ქართლში ბიზანტიის კეისრების მეფობის წლებით დაეთარილებინათ? — ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ და აი რატომ:

<sup>1</sup> დანარჩენი კოსტანტინეები არ არიან მხედველობაში მისაღები იმიტომ, რომ არც ერთს ლეონი არ მისდევს.

კოსტანტინე VI მამამისმა, ლეონ IV-მ, თანამოსაყდრედ გახადა ჯერ კიდევ 776 წ., და აქედან თუ ვიანგარიშებდით, მისი მე-20 წელი 795-ზე მოვიდოდა. აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ლეონის ქვეშ სამშვილდის წარწერაში ლეონ V სომეხი (813—820) იგულისხმება, რომლის მე-3 წელი 815-ზე მოვა, ისე რომ, ტაძარი, გამოვიდოდა, 20 წლის განმავლობაში აშენებულა, რაც თავის-თავად ძნელი დასაშვებია არაა. მაგრამ სრულებით ცხადია, რომ წელთაღრიცხვის საპირობისათვის თანამოსაყდრეობას არასოდეს მხედველობაში არ მიიღებდნენ, რადგან ეს უთავბოლო არეულობას გამოიწვევდა: ასე, მაგ., ლეონ IV-ის მე-3 წელი იმავე დროს კოსტანტინე VI-ის მე-2 წელი იქნებოდა და ა. შ. გარდა ამისა, ბიზანტიის პოლიტიკური ვითარებაც, ლეონ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, შინაური ქიშობისა და საგარეო საქმეთა წარუმართებლობის გამო, ისეთი შეიქნა, რომ მისი გავლენა ქართლზე თვალაჩინოდ უნდა შემცირებულიყო. ამდენადვე, კოსტანტინე VI-ისა და ლეონ V-ის ხსენება სამშვილდის წარწერაში საეჭვო ხდება.

<sup>2</sup> წარწერა იხ. გ. ჩუბინაშვილის „ბოლნისში“, ენიშკი-ს მოამბე, IX, გვ. 69. მშენებლობა დაწყებულია პეროზის მე-20 წელს, ე. ი. 477/78-ს, და დამთავრებულა კავადის მე-15 წელს (პ. ინგოროცყვას მიხედვით), ე. ი. 502/03-ს.

<sup>3</sup> პატივევმულ პ. ინგოროცყვასთან კერძო საუბრის დროს გამოიჩინა, რომ, ჩემდა სასიამოვნოდ, იგიც, სრულებით დამოუკიდებლად, სწორედ ზემოთაყვანილ დასკვნებს დასდგამია სამშვილდის სიონის აშენების თარიღის საკითხში, რაც, ჩემის აზრით, იმას ჰმოწმობს, რომ ჩვენი მსჯელობა სავალდებულოა ყველასათვის, ვინც ამ საკითხს ჩაუკვირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ ტაძრის გეგმა და შემკობილობა, წინააღმდეგ ე. თაყაიშვილის აზრისა, გვაგულდებნიებს არა X ს-ს, არამედ VIII—IX საუკუნეებს. მაგრამ ამ საკითხს ცალკე განილვა ესაჭიროება.

სწორედ ეს რეჟიმის გამკაცრება იწვევს შესატყვის რეაქციას ქართლში, განსაკუთრებით სამღვდელღვებას შორის, რის საუკეთესო მოწმედ იოანე საბანისძე და მისი თხზულება უნდა ჩაითვალოს (იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 364—366). ამასთანავე, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით ქართლში) არაბები სრული ბატონ-პატრონები არიან, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ამ დროსაც კვლავინდებურად ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფება (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 357, 390 შშ.). ბიზანტია ბატონობს ამ დროს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და შავ ზღვაზე უცილობლად, ხმელეთზე კი მას მცირე აზია უჭირავს, მისი უმეშვეო მფლობელობა კარნუქალაქამდე ვრცელდება (იხ. Ллевченко, დასახელ. ნაშრ., გვ. 124,126) და იგი უმეშვეოდ ესაზღვრება მესხეთს. ამიტომაც, რომ მესხეთის (არტანუჯის) მთავრები, დამკვიდრდნენ თუ არა არტანუჯში, მაშინათვე ბიზანტიის კეისრის ვასალები შეიქნენ და იქაური საკარისკაცო წოდებანი მიიღეს. ამიტომ სრულებითაც გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ რომ ბიზანტიის კულტურული გავლენა ამ ხანებშიც კვლავინდებურად ქართლსაც მოიცავდა და რომ აქაური შევიწროებული სამღვდელღვება იქითკენ იცქირებოდა, იქიდან მოვლოდა ხსნას და შეიძლება პირდაპირ განზრახაც უგულებელსჰყოფდა, საცა კი შეეძლო, ბლდადის მფლობელებს და ბიზანტიის კეისრების უზენაესობას აღიარებდა თეორიულად მაინც. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ იოანე საბანისძეც, თუმცა ხალიფასაც ასახელებს, მაინც, აბო ტფილელის მარტივობის თარიღის განსაზღვრისას, პირველად გილას კოსტანტინეპოლის კეისარს, კოსტანტინე ლეონის ძეს აღნიშნავს (კეკელიძის გამოც. გვ. 68).

ამგვარად, ჩვენს წინადადებას, სამშვილდის წარწერის კოსტანტინე და ლეონი ბიზანტიის კეისრებად მივიჩნით, წინ არავითარი დაბრკოლება არ ელოდება<sup>1</sup>.

\* \*

სამშვილდის სიონს კიდევ ორი წარწერის ფრაგმენტები შემოუნახავს სამხრეთის ფასადზე — ერთი ქართული და ერთიც სომხური (იხ. ზემ. გვ. 87, მულაყის მიხედვით შესრულებული ჩანახატი), რომელთაგან პირველი ბროსესაცა და თაყაიშვილსაც აღმოსავლეთი ფასადის წარწერის დასაწყის ნაწილად მიაჩნიათ. მართლაც, ეს წარწერა სწორედ იმავე სიმაღლეზეა მოთავსებული, როგორც ზემოთ განხილული წარწერა, ისევეა ამოკოდვილი და პალეოგრაფიულად საესებით უდგება მას, ისე რომ იმავე ხანას უნდა მიეკუთვნოს. და თუ მე იგი აღმოსავლეთი ფასადის წარწერის თავში არ მოვაქციე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კავშირი ამ უკანასკნელთან მაინც და მაინც ნათელი არაა<sup>2</sup>. ამჟამად იგი ასე იკითხება<sup>3</sup>:

<sup>1</sup> კოსტანტინე V-ცა და ლეონ VI-ც, როგორც ცნობილია, სასტიკი იკონოკლასტები იყვნენ. ამიტომ შეიძლება ვისმე საკვებოდ ეჩვენოს მათი დასახელება დიდი საკულტო მშენებლობის დათარიღებისას ჩვენში, სადაც ხატთაშემბრძოლობისადმი არ ჰქონია (ივ. ჯავახიშვილი, ნახსენ. ადგ., გვ. 406—407). მაგრამ სწორედ იმიტომ რომ ეს მოძრაობა ქართლს არ შეეხებია, მას, რამდენადაც ჩანს, არც არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია ჩვენში და ამიტომ ჩვენს სამღვდელღვებას, თავისი ორიენტაციის გამორკვევისას, თავისუფლად შეეძლო ეს მომენტი მხედველობაში სულაც არ მიეღო.

<sup>2</sup> ასოთა მონახულობაც, რახედაც აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა მიმოითთა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, განსხვავებასაც გვიჩვენებს. ჯერ ერთი, საერთო შთაბეჭდილებით, S ფასადის წარწერის ასოები უფრო წვრილია, უფრო წოწოლა და თან თითქოს უფრო მუყაითადაა გამოყვანილი (შდრ. ერთმანეთს, მაგ., ორივე წარწერის „ა“, „ჟ“, „ს“, „ფ“, „ყ“). მეორე, ცალკეული ასოები რომ ავიღოთ, S ფასადის „ჟ“-ის კაუჭი შეუბუნებებში, O ფასადისას კი ბუნის ზემო ნახევარზე; ამგვარადვე, S ფასადის „რ“-აგს ცხვირი თითქმის ზუსტად ზედ შუალერაზე მოდის, O ფასადისა კი უფრო ზემო ნაწილზეა მომული; S ფასადის „ო“-ნის კულიც ასოს ტანს უფრო მირისკენ ებმის და უფრო მოკაუჭებულია, ვიდრე O ფასადისა; დაბოლოს, „ლ“-სიც, რომელიც გადამწყვეტია ამ ორი წარწერის მჭიდრო სიახლოვისათვის, ქართული პალეოგრაფიისათვის კი იქაც და აქაც ერთნაირად უჩვეულოდაა მოყვანილი, რადგან მუცელი მას გვერდიდან კი არა აქვს მიბმული, ათამედ კვემოდან, ისე რომ ღერძი, თითქმის ზედ მუცლის შუაზე მოდის, მაინც განსხვავდება—S ფასადისა უფრო მეტადაა დაშორებული ამ ასოს ჩვეულებრივს მოყვანილობას.

<sup>3</sup> თითო ფილაქანი გამოყოფილი მაქვს შვეული ჭაზით და თითოს კვემოდან თავისა სიგრძე აქვს მიწერილი სანტიმეტრებში.

---ითა<sup>1</sup> |კაცთმოყოფაჲკარე----<sup>2</sup> |საყოფელი ესე |...

82.

127.

ამ ფრაგმენტის გამონათქვამი: „საყოფელი ესე“... გვაფიქრებინებს, რომ ეს წარწერა მთელ ტაძარს კი არ შეეხებოდა, არამედ მხოლოდ სანათლავს<sup>3</sup>, რომლის სამხრეთ კედელზედაც იგი მოუთავსებიათ და რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ცალკე პირის ხარჯით იყო აშენებული. ეს ფრაგმენტი რომ აღმოსავლეთი ფასადის წარწერის დასაწყისი ნაწილის ნაშთი ყოფილიყო, აქ ჩვენ გრძელი ვედრებითი და დიდებისმეტყველებითი ტექსტი უნდა გვეგულვა, რადგან ფრაგმენტის უკანასკნელი სიტყვიდან ტაძრის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხემდე 4,62 მეტრის მანძილია<sup>4</sup> და მერმე კი, უკვე თვით აღმოსავლეთის ფასადზე, კედლის პერანგი, როგორც ვიცით, კიდევ 3,40 მეტრის სიგრძეზეა გაძარცული. ამის ნაცვლად, რამდენიმე სათაური სიტყვის შემდეგ, აქ უკვე თხრობითი ნაწილი იწყება, როგორც ამას „საყოფელი ესე“... გვაფიქრებინებს, რომელშიც მოხსენებული იქნებოდა, ალბათ, სანათლავის აღმშენებელი და მისი შემოწირულება.

თავში ამ წარწერას, პირველი ფილაქნის ზოვის მიხედვით (82 სანტიმ.) დაახლ. 10—11 ასო უნდა აკლდეს<sup>5</sup>.

რა თქმა უნდა, შესაძლებლობა, რომ ეს ფრაგმენტი მაინც აღმოსავლეთი ფასადის წარწერის ნაწილს წარმოადგენდეს, სავსებით გამორიცხული არაა — ამოდენა ლაკუნებში ტექსტი, ვინ იცის, რანაირად იყო გადაბმულ-დაკავშირებული —, მაგრამ ეს, მე მგონი, ვერ შესცვლიდა ამ წარწერის საერთო შინაარსსა და აზრს.

სომხური წარწერის ფრაგმენტი დაცულია იმავე კედელზე და იმავე ორ ფილაქანზე, რომლებზედაც უკანასკნელად ხსენებული ქართული წარწერაა მოთავსებული „საყოფელის“ შესახებ. სომხური წარწერა ქართულის ქვეშაა ამოკოდვილი მსხვილი მთავრული ასოებით<sup>6</sup>. მასაც თავში რამდენიმე ასო უნდა აკლდეს, ხოლო ბოლო ნაწილი მისი, ქართულივით, სრულიად გადარეცხილია. იგი ასე იკითხება<sup>7</sup>:

|**ԴԱՄ**—**Ա**—**Տ**|**Ն** **ԳՆԴԱ** **ՀԱ**|**ՅՈՒ**|**Յ** **ԿԱԹԱ**|**ԴԻՆՈՒՄ**|...

<sup>1</sup> გრძელი ხაზით აღნიშნულია სულ ერთიანად გადარეცხილი ნაწილი, ორი პატარა ხაზი კი აღნიშნავს ასოებს, რომელთა ძირები ჯერ კიდევ ჩანს. ამიტან მორავს ბ რ ო ს ე ვ ა და თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ც ჰკითხულობენ როგორც „ს“-ანს, რაც სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, მაგრამ მაინც ვადაწყვეტით არა ითქმის რა, რადგან, ნაშთის მიხედვით, აქ შეიძლება მუცელმეკრული ასოც გვექონოდა, მაგ., „ზ“-ენი. პირველი ასო კი ან „ე“-ნი უნდა იყოს, ან „ი“-ნი.

<sup>2</sup> ხარვეზით აღნიშნულ ადგილას ფილაქანი გახეთქილა და დღეობით შეუღესიათ, რის გამოც ნაწერისა აღარა დარჩენილა რა. აქ უნდა დატეულიყო, ვარაუდით, 4-5 ასო და მათგან უკანასკნელი, ნაშთის მიხედვით, თითქოს „ა“-ნი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ტყუილად ჰკითხულობს აქ „ბთა“-ს (ე. ი. „მოყოფარბთა“), რადგან ნამდვილად არც „ბ“ და არც „თ“ არა ჩანს. მომდევნო სიტყვის პირველი ასოს, „ს“-ანის, ზედა ნაწილი ჯერაც კარგად განირჩევა.

<sup>3</sup> თუმცა შდრ. ბაკრატ IV-ის წარწერა ატენის სიონზე: „შეწვირე წმინდასა სიონსა ატენისასა, ს ა ყ ო ფ ე ლ ს ა წმიდისა ღმრთის მშობლასასა“ (Христ. Востоцк, I, გვ. 290).

<sup>4</sup> აქ ჯერ ორი ფილაქანი მოდის, რომლებზედაც წარწერა სრულებით გადარეცხილია, მერმე კი, ვიდრე კუთხემდე და იმას იკითავ, პერანგის ქვები მორღვეულია.

<sup>5</sup> სანათლავის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს პირველი ფილაქანი დაშორებულია 89 სანტიმეტრით. აქ კუთხემდე 2 სხვა ფილაქანია, ჯერ ვიწრო, 30 სანტიმეტრის სიგანის მქონე. მერმე კი ორჯერ უფრო გრძელი კუთხის ფილაქანი. ამ უკანასკნელზე ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ზედ არაფერი ეწერა, ვიწრო ფილაქანზე კი ეგებ რამდენიმე ასო იყო მოთავსებული, რომლებიც სულ გადარეცხილია.

<sup>6</sup> ასოები სიმბოლოთა აქც განსხვავდება ერთმანეთში: ასე, მაგ., **Ե** 9 სანტიმეტრის სიმაღლისაა, **Ա**—10,5 სმ-ის, მაგრამ არის აქვე 5 სმ-ის სიმაღლის **Ա**, **Բ** 9 სმ-ის სიმაღლისა, **Թ** კი 4,5 სმ-ს არ აღემატება და მისთ.

<sup>7</sup> ფილაქნები გამოყოფილი მაქვს შევული ხაზებით.

<sup>8</sup> ამ სიტყვის (თუ აქ ერთი სიტყვაა!) პირველი ასო შეიძლება აღვადგინოთ აგრეთვე როგორც **Լ**; პატარა ხაზები აღნიშნავს ასოთა ნაშთებს, რომელთა აღდგენა კირს.

<sup>9</sup> სწორ ფრჩხილებში ჩასმული ასოების ადგილას ფილაქანი გახეთქილა და დღეობით შეუღესიათ.

ეს წარწერა გამოცემული აქვს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს<sup>1</sup>, რომელიც მას ასე ჰკითხულობს:

„*Հրամանու սևան Գիւղիւս հոյսը կաթա[ղիկის]...*“

ე. ი.: „ბრძანებითა უფლისა გეორგისა, სომენთა კათალიკოსისა...“

პატივცემული მკვლევარის წინაქითხი სწორეა, თუ პირველ სიტყვას მხედველობაში არ მივიღებთ. საქმე ისაა, რომ აქ „*Հ*“ სრულებით არა ჩანს და არც *Բ* სწერია, არამედ ამ ადგილას, რომელიც, მართალია, ძალზეა გადარეცხილი, მაინც ნამდვილად ან *Դ* იყო, ან *Խ*. არც დანარჩენი ასოები ამ სიტყვისა არ ჰპოულობს გამართლებას შემონახული ნაშთების მიხედვით.

სხვებ, ეს სომხური წარწერა საკმაოდ უწიგნურადაა შედგენილი, რასაც ცხადპყოფს შედარებაც ნამდვილი ტექსტისა (*ԳԵՐԳԻՍ*) მელიქსეთ-ბეგის მიერ გამოცემულ ტექსტთან (*Գիւղիւս*). უკანასკნელი სიტყვაც (*ԿԱԹԱ[ՂԻԿՈՍԻՍ*]), როგორც პროფ. მელიქსეთ-ბეგი შეპნიშნავს, ქართულ ყაიდაზეა ახმოვნებული და არა სომხურისაზე, სადაც უნდა ყოფილიყო „*կաթიղիկის*“ ან „*კაթიღიկის*“.

წარწერაში მოხსენებული გეორგ კათალიკოსი ლ. მელიქსეთ-ბეგს გეორგ ლორელად მიაჩნია, რომელიც თანამოსაყდრე იყო გრიგოლ II კათალიკოსისა XI ს-ის მეორე ნახევარში, 1067-დან (ან 1069-დან) 1072-მდე<sup>2</sup>. ეს მართლაც ასე უნდა იყოს. გეორგ ლორელამდე ცნობილია კიდევ მხოლოდ ორი გეორგი: ერთი კათალიკოსობდა 792-დან 795-მდე, მეორე კი 877-დან 897-მდე<sup>3</sup>. მათგან პირველი გამორიცხულია იმიტომ, რომ X ს-ის დამდეგამდე სომეხები სამშვილდეში არ შესულან. მეორის სუფევაც სამშვილდეში ძალიან საეჭვოა, თუმცა მისი უკანასკნელი წლები ემთხვევა სუმბატ I ბაგრატიუნის (893—914) პირველ წლებს, რომელმაც პირველმა სომეხთა მეფეთა შორის შედგა ფეხი სამშვილდეში (იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, იხ. ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1937, გვ. 56). მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო, ყველა ნიშნებით, ან IX ს-ის მიწურულში, ანდა, უკეთ, X ს-ის დამდეგს, რასაც გეორგ კათალიკოსი ვეღარ მოესწრებოდა. ძნელი დასაჯერებელიცაა, რომ პირველ დაპყრობისთანავე სომეხთა კათალიკოსს, ანდა მისი სახელით ვისმე სხვას სამშვილდეში წარწერა გაეკეთებინა, ისიც ახლად აშენებულს ქართულ ტაძარზე.

XI ს-ის შუახანებში, როგორც ვიცით, სამშვილდეში ჯერ ისევ სომეხთა მეფენი იხდნენ. 1065 წლის ახლო ხანებში ჩამოართვა ბაგრატ V-მ კვირიკე სომეხთა მეფეს ეს ქალაქი და „იპყრა სახლად თჳსად“<sup>4</sup>. მართალია, გეორგ ლორელის თანამოსაყდრეობა ცოტა უფრო გვიან დაიწყო, 1067-სა თუ კიდევაც 1069-ში, მაგრამ ამ დროს აქ სომხის მრევლი მტკიცედ ფეხმოკიდებული უნდა გვეგულებოდეს და სომეხთა კათალიკოსის ხსენება სომხურ წარწერაში არ უნდა გვაკვირვებდეს, თუმცა მაინც კიდევ უცნაურია, რომ ეს წარწერა ქართულ ტაძარზე მოუთავსებიათ. სამწუხაროდ, მისი შინაარსი ნათელი არაა, თორემ ამ საკითხსაც უჭი მოეფინებოდა.

ქართულ-ზერძნული ფორმაც სიტყვისა „*კაթაղიკის*“, რა თქმა უნდა, XI ს-ისათვის უფრო გასაგებია, ვიდრე IX ს-ის დამდეგისათვის<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ჟურნალი „*Արշակ*“, თბ. 1940, № 4, გვ. 54.

<sup>2</sup> იხ. *Մ ա ղ ա թ ի ս ա Ր Ե Կ լ ի Կ ի Կ ի ս Օ Ր Բ ա ն ի ս ա ն, Աղყապատուժ, I, Կոստանդն., 1912, §§ 879—883.*

<sup>3</sup> იქვე, § 628 და § 674—695.

<sup>4</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., II, ნვ. 449 და ჰიბინაძის გამოც. ქც., გვ. 332 (მარიაშის. ქც., გვ. \*498—499).

<sup>5</sup> შდრ. ასეთივე ფორმა ანისის 1218 წლ. წარწერაში ეტიფანე კისის: „*კაթაღიკის*“ წარწერის მე-20 სტრ., ვ. დონდუას გამოცემით, Сборник Н. Я. Марру, стр. 648—649.



სამშვილდეში ვხედავთ მას, VIII ს-ის მეორე ნახევარში, მკაცრი სარწმუნოებრივი დენის ხანაში, მე მგონია რომ სხვანაირად მისი გაგება არ შეიძლება, თუ არა როგორც შეგნებული პოლიტიკური დემონსტრაციისა, რომლის წინაშეც არაბთა მმართველობა, ეტყობა, უძლური აღმოჩნდა. ნამდვილად პოლიტიკურ დემონსტრაციას წარმოადგენდა უკვე თვით ფაქტი ისეთი გრანდიოზული საკულტო შენობის აგებისა, როგორცაა სამშვილდის სიონი, რომლის მსგავსი აღნიშნული ხანისათვის ქვემო-ქართლში სხვა არცაა ჯერ ცნობილი. დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს სატფურებაც—ექვსი დღის განმავლობაში<sup>1</sup>, „დიდითა კრებითა“! ჩვენი წარწერა ერთი ნიშანია იმისა, რომ ქართველი ერი, ანუ უკეთ, მოწინავე წოდება ფეოდალებისა, სამღვდლოებითურთ, ახალგაზრდული ძალონის მქონე, თავის შეძლებაზე დანდობილი და შეუპოვარი რწმენით აღსავსე, იმ დროს ქედს არ იდრეკდა სახლში შემოსული სასტიკი მტრის წინაშე და თუ ფიზიკურად ვერა, მორალურად მაინც დიდსა და აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა მას. ამის ნიშნები, მიუხედავად იოანე საბანისძის გოდებისა, სხვაც ბევრია—ასეთი წინააღმდეგობის მაგალითებია ნერსე ერისთავის ისტორია (ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 354—356), აშოტ კურაპალატის ამბავი, გრიგოლ ხანძთელის და მის თანამოსაგრეთა მოღვაწეობა და მრ. სხვ...<sup>2</sup>

3. ჩვენი წარწერა ზედმიწევნით ათარილებს ერთ უმნიშვნელოვანეს და უშესანიშნავეს ძეგლს ძველი ქათრული ხუროთმოძღვრებისას. სამწუხაროდ, თვითონ ეს ძეგლიც ძლიერ დაზარებული ფრაგმენტის სახითაა დაცული. ჩვენი წარწერა ადასტურებს და აზუსტებს აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილის მიერ, ქართული მშენებლობის ისტორიის საფუძველზე, მიახლოებით დადგენილ თარიღს: VIII—IX ს. (იხ. მისი „ბოლნისი“, გვ. 85), და ამით თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ჩვენი ხელოვნების ისტორიაში.

4. ეს წარწერა არა მარტო ათარილებს სამშვილდის სიონს, არამედ ზუსტად განსაზღვრავს მისი მშენებლობის ხანგრძლიობასაც. ასეთი ცნობები ჩვენ ძალიან ცოტა მოგვეპოვება და ისინი უაღრესად საინტერესოა ჩვენი ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისით. მე მგონია, რომ ის გარემოება, რომ რთული ნაგებობის სამშვილდის ტაძარი 19 წლის განმავლობაში აშენდა, იმ დროს, როდესაც წილქნისა და ბოლნისის გაცილებით უფრო მარტივი შენობების აგებას 24—25 წელიწადი დასჭირებია, უნდა მიგვითითებდეს, სხვათა შორის, გარკვეულ ტექნიკურ პროგრესზეც, რომელიც მიღწეული იყო VIII ს-ში, შედარებით IV და V საუკუნეებთან<sup>3</sup>.

ტერესოა, რომ სამშვილდის წარწერა სხვა ანალოგიებსაც გვიჩვენებს სომხეთის ამ უძველეს წარწერებთან. ასე, ბაგავანის ტაძარზე წარწერა სწორედ ისევეა მოთავსებული 5 კედლის აღმოსავლეთ ნახევარზე და შემდეგ თითქმის მთელი O ფასადის სიგრძეზე, ერთ სტრიქონად, 1,20 მ-ის სიმაღლეზე შენობის ხარისხიდან. როგორც სამშვილდეში (იხ. ო რ ბ ე ლ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 108). ალაშშიც, არსებითად, ასეთივე წესია დაცული, თუმცა იქ წარწერა უფრო მაღლა ყოფილა მოთავსებული (იქვე, გვ. 131). ბაგავანში თითქოს წითელი საღებავის ნაკვალევიცა ჩანს ასეთა ამოკრივებში (იქვე, გვ. 108), როგორც მე ეს ზემოთ სამშვილდისათვის აღვნიშნე. გორად ამისა, ბაგავანისა და შემდეგ ბაგარანის (631 წ.) წარწერებში გვხვდება გამონათქვამები: „*ჰაჰარ არქი*“—„დავდე (ან ჩაყარე) საძირკველი“ (იქვე, გვ. 122) და „*ჰაგხაყ ჩიბილა*“—„ჩაყარა საძირკველი ესე“ (იქვე, გვ. 129), რომლებიც ძალიან მოგვაგონებენ სამშვილდის წარწერის გამონათქვამს: „დაიდვა საძირკველი“. მე მგონია, რომ ყველა ეს კიდევ ერთხელ ამ წარწერის დიდ სიძველეზე მიგვითითებს.

<sup>1</sup> რაც, უთუოდ, შესაქმის ექვსი დღის სიშპოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა.

<sup>2</sup> საკმარისია, საზოგადოდ, ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს მიერ მოთხრობილი VII ს-ისა და ქართლია მატიაწეში მოთხრობილი VIII ს-ის ამბები „*უკამთა აღმწერელი*“ მიერ გადმოცემულ XIII ს-ის ამბებს შევადაროთ და ვავისწნეთ ის გაბრწილება უმაღლეს წრეებში, რომელიც მონღოლთა შემოსევისთანავე გამოძღვლენდა, რათა ნათელი გადდეს დიდი ვანსხვაეება არაბთა დროინდელ ჯანმრთელ საზოგადოებასა და მონღოლთა დროინდელ დამაბუნებულ საზოგადოებას შორის.

ამ მორალური წინააღმდეგობით აიხსნება ის, ერთი შეხედვით, უცნაური გარემოება, რომ არაბებს მანამდე არ დაუშინევიათ რაიმე თვალსაჩინო, ყოველ შემთხვევაში, შეცნობილი კულტურული კვალი ქართველობაზე, სანამ ისინი პოლიტიკურად არ დასუსტდნენ.

<sup>3</sup> მართალია, ეს უნდა გაივიგოთ ა. ვ. ცუმი grano salis. ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი ცნობების სომხური დიდი ტაძრების შესახებ, რომლებიც გაცილებით უფრო მოკლე ხანში აფიკიათ (იხ. ო რ ბ ე ლ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 117—118 და 122). ბევრი იქნებოდა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, ნივთიერ სახსრებზე.

L. V. МУСХЕЛИШВИЛИ

НАДПИСИ САМШВИЛДСКОГО СИОНА И ВОПРОС О ВРЕМЕНИ  
ЕГО ПОСТРОЕНИЯ

## Резюме

Грузинская надпись Самшвилдского Сиона, этого, судя по развалинам, великолепного купольного здания, издавалась М. Броссе, датировавшим ее 1313 годом и затем, несколько лучше, Е. Такайшвили, со своей стороны приурочившим ее к 958 году. Однако и это последнее издание не полно.

В настоящей статье дается полный текст уцелевшего фрагмента, составляющего  $\frac{1}{3}$  всей надписи (остальные  $\frac{2}{3}$  были утеряны уже тогда, когда Бартоломей снял первую копию), исполненной древнегрузинским письмом «мтаврული» и помещенной в одну строчку, на высоте человеческого роста, во всю длину восточного фасада.

Фрагмент этот читается следующим образом:

«... [ро]дом питахшей. В 20-й год царствования Константина положено основание рукою... построить. Варзбакур почил и пос[ле] него.. Иован спешил. Сконча[лся]... вполне построить свя[тую] сию церковь] и портики. И в 3-ий год царя Леона, в день обновения (энкени), совершил освящение в течение 6-ти дней, при большом собрании. Укра[сился?]...»

Отсюда видно, что: 1. Храм строили потомки питахшей, т. е. известных с V века правителей Нижней Картлии (древняго Гугарка), с центром именно в Самшвилде, 2. Положил его основание Варзбакур, после кончины которого продолжал стройку, очевидно, его близкий родственник Иован, 3. Этот последний тоже не успел довести дело до конца, а довершило постройку уже третье, неизвестное нам лицо, вероятно, также из питахшей, бывшее очевидно епископом, ибо ему же пришлось совершить и торжественное освящение нового храма. Конец надписи не ясен, но нехватает, по всей видимости, всего нескольких слов. В общем, почти все содержание надписи, по смыслу, можно сказать, на лицо.

Надпись можно точно датировать.

Палеографический характер письма заставляет предполагать скорее всего VIII век, но во всяком случае, по внешним признакам, надпись эту никак нельзя приурочить к эпохе позднее X века. Таким образом, дата, предложенная Броссе, отпадает уже по чисто формальным соображениям.

Мы не знаем, кто такие Варзбакур и Иован, но потомки питахшей упоминаются, в связи с событиями середины VII-го века, у грузинского историка Джуаншера.

Однако, совершенно точную дату мы можем получить, установив личность царей Константина и Леона, годами царствования которых датировано построение храма. Такайшвили видел в них абхазских царей X века. Но, во первых, согласившись с Такайшвили, мы получим, что храм строили в продолжение 68 лет, что мало вероятно, а во вторых нам известно, что в Самшвилде, в продолжение всего X века резидировали армянские цари, почему никто бы и не стал в это время датировать постройку годами царствования абхазских царей, к тому же не владевших еще в эту эпоху Восточной Грузией. Значит, и дата Такайшвили оказывается не обоснованной.



Но если в Константине и Леоне нашей надписи нельзя предположить абхазских царей, то остается только одна единственная возможность, именно, что они являются византийскими императорами Константином V Копронимом (740 — 775) и Львом IV Хазаром (775—780), ибо, с одной стороны, ни среди грузинских, ни среди армянских царей мы не знаем ни одного, который бы носил эти имена, с другой же стороны, среди византийских императоров, за исключением Константина V и Льва IV, нет других царей с этими именами, которые бы следовали друг за другом так, чтобы их можно было идентифицировать с царями Самшвилдской надписи (Константин IV и Константин VI царствовали менее 20-ти лет, а остальные цари с этим именем исключены потому, что за ними не следует царь с именем Льва).

Итак, основание Самшвилдскому Сиону было положено в 759-ом году, закончено же было построение храма в 777-ом году, т. е. его строили в продолжение 19 лет, что для того времени можно считать несколько даже малым сроком.

Освящение храма произошло в год окончания постройки, в день энкении, т. е. 13-го сентября 777-го года.

Фрагмент грузинской надписи на южной стене крещальни, принимавшийся и Броссе и Такайшвили за начальную часть надписи восточного фасада, по мнению автора, хотя приблизительно и одновременен с этой последней, но представляет из себя остаток самостоятельной надписи, относящейся, по всей вероятности, к постройке только крещальни, а не всего храма.

Фрагмент же армянской надписи там же, изданный недавно впервые проф. Л. Меликсет-Бековым, в котором упоминается армянский Католикос Георг, должен быть датирован, как правильно полагает проф. Меликсет-Беков, второю половиною XI века, именно, от 1067-го по 1072-ой год, когда патриарший престол в Армении занимал Георг III Лорпйский. Таким образом, армянская надпись, смысл которой остается неясным, не связана с грузинскими.

L. MUSKELISCHWILI

## Die Inschriften des Domes von Ssamschwilde und die Frage der Bauzeit

Zusammenfassung

Die georgische Inschrift des Domes von Ssamschwilde, dieses, den Ruinen nach zu urteilen, prächtigen Kuppelbaues, ist schon zweimal herausgegeben worden: einmal von M. Brosset, der sie ins Jahr 1313 datiert hatte, und dann, in etwas besserer Fassung, von E. Takaischwili, der sie seinerseits aufs Jahr 958 bezog. Dennoch ist auch diese letztere Ausgabe nicht vollständig.

Im vorliegenden Aufsatz bringe ich den vollständigen Text der auf uns gekommenen Teile der Inschrift, die etwa ein Drittel des ganzen ausmachen (die übrigen  $\frac{2}{3}$  waren bereits zur Zeit des bekannten Numismaten J. Bartholomaei, der die erste Abschrift gemacht hatte, nicht vorhanden). Im altgeorgischen «Mtawruli» abgefasst, war die Inschrift in einer einzigen Zeile, der ganzen östlichen Fassade des Baues entlang, in Manneshöhe, ausgemeißelt.

Dieses Fragment lautet folgendermassen:

«... [von Ge]burt Pitiachschen. Im 20-sten Jahre der Regierungszeit Konstantins wurde mit der Hand von... der Grund gelegt... bauen. Warzabakur entschlief und na[ch] ihm beerbte sich... Iowane. Versch[ie]d[en]... die heilige Kirche] und die Säulenhallen vollständig zu bauen. Und im 3-ten Jahre des Königs Leon, am Tage der Reinigung (Enkainia), vollzog er die Tempelweihe während 6 Tage, bei grosser Versammlung. Schmük[kte sich?]...»

Hieraus dürfen wir schliessen: Erstens, dass der Dom von den Nachkommen der Pitiachschen, das heisst der seit dem 5. Jahrhundert urkundlich bekannten Verwalter der südgeorgischen Provinz Niederkartlien (des alten Gugarks), die ihren Sitz eben in Ssamschwilde gehabt haben, erbaut worden war; zweitens, dass der von Warzabakur gegründete Bau, nach dessen Tode offenbar von seinem nächsten Verwandten Iowane (Johann) fortgesetzt worden war; und drittens, dass auch der letztere die Sache nicht vollenden konnte, sondern es einer dritten uns unbekannt Person vermachen musste die Erbauung des Tempels zu Ende zu führen. Dieser Unbekannte, vermutlich ebenfalls ein Mitglied des Pitiachengeschlechts, war augenscheinlich ein Bischof, denn ihm war es beschieden auch die feierliche Einweihung des neuen Tempels zu vollbringen. Das Ende der Inschrift ist nicht klar, es mögen hier aber nur noch einige wenige Worte fehlen, so dass der Inhalt des Ganzen dem Sinne nach eigentlich als nahezu vollständig wiederhergestellt gelten darf.

Die Inschrift kann genau datiert werden.

Die paläographischen Charakteristika lassen uns am ehesten das 8. Jahrhundert vermuten, es dürfte aber die Inschrift jedenfalls nicht über das 10. Jahrhundert hinausgehen, weshalb auch das von Brosset vorgeschlagene Datum schon aus rein formellen Gründen nicht aufrecht erhalten werden kann.

Über die Persönlichkeit von Warzabakur und Iowane lassen uns unsere Geschichtsquellen im Stich, es ist aber höchst bezeichnend, dass «die Nachkommen der Pitiachschen» von dem georgischen Geschichtschreiber Dschuanscher in Verbindung mit den Begebenheiten der Mitte des 7. Jahrhunderts erwähnt werden.

Ein ganz präzises Datum jedoch können wir erhalten, wenn es uns gelingt die Persönlichkeit der Könige Konstantin und Leon zu bestimmen, mit deren Regierungsjahren der Aufbau des Domes datiert ist. Takaischwili wollte in ihnen abchasische Könige des 10. Jahrhunderts sehen. Dies zugegeben, müssten wir aber schliessen, dass man den Dom volle 68 Jahre baute, was nicht gut zu glauben ist. Andererseits ist es uns bekannt, dass im Verlauf des 10. Jahrhunderts Ssamschwilde in Besitznahme der armenischen Könige stand, die daselbst residierten, weshalb es auch niemandem einfallen konnte den Bau mit den Jahren der abchasischen Könige zu datieren, die zu jener Zeit noch nicht Herrscher des östlichen Georgiens waren. Somit ist auch das von Takaischwili vorgeschlagene Datum hinfällig.

Wenn aber Konstantin und Leon unserer Inschrift keine abchasischen Könige sind, so bleibt uns eine einzige Möglichkeit übrig, nämlich sie als byzantinische Kaiser Konstantin V. Kopronymos (740—775) und Leo IV. den Chasaren (775—780) zu erkennen, denn einerseits sind uns weder unter den georgischen, noch unter den armenischen Königen solche bekannt, die diese Namen getragen hätten, andererseits aber gibt es unter den byzantinischen Kaisern, ausser Konstantin V. und Leo IV., keine anderen mit diesen Namen, die solcherweise aufeinander folgten, dass man sie mit den Königen der Ssamschwildschen Inschrift identifizieren könnte (die Regierungszeit Konstantins des IV. und des VI. dauerte weniger als 20 Jahre, die übrigen Kaiser aber dieses Namens sind ausgeschlossen, weil sie keine Nachfolger mit dem Namen Leo hatten).

Also ist der Grund des Domes von Ssamschwilde im Jahre 759 gelegt, vollendet ist der Bau im Jahre 777, das Fest der Weihe des Domes dauerte vom 13-ten (Enkainiatag) bis zum 18-ten September desselben Jahres. Die Bauarbeiten dauerten 19 Jahre, was für jene Zeit vielleicht noch als eine kurze Frist angesehen werden darf.

Das Fragment einer an der südlichen Wand des Baptisteriums angebrachten georgischen Inschrift, dass von Brosset und Takaischwili für den Anfangsteil der Inschrift der östlichen Fassade gehalten wurde, ist m. E. ein Rest einer selbständigen Inschrift, die sich, aller Wahrscheinlichkeit nach, nur auf die Erbauung des Baptisteriums, nicht des ganzen Domes bezog, die aber, andererseits, ungefähr in dieselbe Zeit, das heisst ins letzte Viertel des 8. Jahrhunderts datiert werden muss.

Der Rest einer armenischen Inschrift ebendasselbst, den vor kurzem Prof. Dr. L. Melikset-Bek veröffentlicht hat und in welchem der armenische Katholikos Georg erwähnt wird, ist, wie Prof. Dr. Melikset-Bek es richtig bestimmt hat, in die zweite Hälfte des 11. Jahrhunderts, nämlich zwischen 1067 und 1072 zu setzen, als den Patriarchenthron Armeniens Georg III. von Lori innehatte. Folglich hängt die armenische Inschrift, deren Sinn uns unklar bleibt, nicht mit den georgischen zusammen.

**ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კმრები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში**

საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული კულტურის, საზოგადოდ, და მწერლობის, კერძოდ, ისტორიაში. ის „აღმოსავლური“ მიმართულება ჩვენი კულტურული ცხოვრებისა, რომელიც დღეს საკმაოდ გარკვეულია, სწორედ აქედან შემოდინდა ქართლში. მახლობელ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ამ მიმართულებით საყურადღებოა სომხეთი, სირია, არაბეთი, განსაკუთრებით კი პალესტინა. ამ მოკლე ექსკურსში მინდა საგანგებოდ პალესტინაზე შეეჩერდე.

მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული პალესტინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქართული კულტურული შემოქმედებისა საზღვარგარეთ; მეათე საუკუნემდე „საბას ლავრა“, ხოლო მეთერთმეტიდან „ჯუარის მონასტერი“—აი ორი მთავარი პუნქტი, სადაც ღვივოდა ნაპერწკალი ჩვენი ძველი ლიტერატურისა და სადაც ჩვენი წინაპრები ეცნობოდნენ მოწინავე კულტურის მიღწევებს საშუალო-საუკუნეთა მანძილზე. საყურადღებოა, რომ ამ კულტურულ საქმიანობასა და მოძრაობაში მამაკაცებს დედაკაცებიც არ ჩამორჩებოდნენ და ე. წ. „წმინდა ქვეყნის“ სხვადასხვა პუნქტში ისინიც ქმნიდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს.

ქართველ ქალთა მახლობელ-აღმოსავლეთში, კერძოდ პალესტინაში, მოღვაწეობის დასაწყისი ქრისტიანული ეპოქის შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ისეთი დიდი და ყოველგან ცნობილი მოღვაწეები, როგორც იყვნენ: რომელი ქალები მელანია უფროსი და უმცროსი (IV—V ს.), პავლა უფროსი და უმცროსი (V ს.), აგრეთვე ვასა (V ს.) და მარია (IV ს.) იერუსალიმელი, ქართველ ქალებს არა მარტო მოღვაწეობის მისაბამ მაგალითებს აძლევდნენ, არამედ თავშესაფარსაც თავიანთ სავანეებში, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ იქ საკუთარი ქართული ბაზა შეიქმნებოდა. ქართველი ქალების ამგვარი მოძრაობის შედარებით ადრინდელი დასაწყისი დაედო, უეჭველია, საფუძვლად იმ ლეგენდას, რომლის მიხედვით ქართველთა განმანათლებელი ნინო იერუსალიმში იზრდებოდა დვინელ მთაწმინდაში. ვინც იცის, რამდენი საპატიო სახელი ჩაუნთქავს ისტორიის წყვიდადს, საიდანაც ისინი მეცნიერული მზის სინათლეზე გამოსვლას მოელიან!

პირველი ასეთი სახელი მეცხრე საუკუნეში იჩენს თავს. აღნიშნული საუკუნის მესამე ათეულში გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები, „დიდებულთა აზნაურთა შეილნი“, არსენი და მაკარი (გადამწერი სინას მთის 864 წლის „მრავალთავისა“), რომელნიც იერუსალიმში მოღვაწეობდნენ, თავისი მოძღვრისადმი გამოგზავნილს, გულის ამჩუყებელ წერილში სწერენ მას: „მამაო, გვედია ეფროსინე, დაჲ ჩუენი, ღმრთისა სიყუარულისათჳს იკითხეთ და

ლოცვა და კურთხევა შენი მასცა მიჰფინეთ! <sup>1</sup> აქ, ექვი არაა, გამოთხოვილია მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა ვიღაც ეფროსინესათვის, რომელიც ნ. მარის სამართლიანი შენიშვნითაც, უნდა იყოს ერთ-ერთი იერუსალიმში მოღვაწე ქალთავანი <sup>2</sup>.

ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ვილაპარაკოთ პალესტინის იმ კერების შესახებ, სადაც უძველეს საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ჩვენი დედები, ისტორიას ამის შესახებ არაფერი შემოუნახავს. გარკვეულად ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შესახებ პალესტინაში ლაპარაკი დოკუმენტებში მეთერთმეტე საუკუნიდან იწყება. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ არც ეს კერებია ყველა ცნობაში მოყვანილი და შესწავლილი. ამთავად მე მინდა შევჩერდე სამიოდე ასეთს კერაზე, რომელთა სახელებს პალესტინის ქართულ ხელნაწერთა „ანდერძებით“ ვეცნობით მხოლოდ.

### 1. კ ა ვ ა თ ა

ეს სახელი მოხსენებულია პალესტინის ხუთ ქართულ ხელნაწერში, ესენია:

1. „თთუენი“, რომელიც 1820 წელს იერუსალიმიდან გამოუტანია ცნობილი გიორგი ავალიშვილს და 1841 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას შეუძენია (საახიო მუზეუმის ხელნაწერი № 124) <sup>3</sup>. ხელნაწერი, რომელსაც შემოუნახავს იანერის ჰიმნოგრაფიული „თთუენი“, გიორგი ათონელის რედაქციისა, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისაა. მას 278—9 გვ. ქვემო აშიაზე შემდეგი მინაწერი აქვს: „დედოფლისა მართაჲს მონასტრისა კაკკათისაჲ არს; კრული არს, ვინცა გამოახუას“.

2. „მარხუანი“ ჯუარის მონასტრისა, გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი, რომელსაც პროფ. ა. ცაგარელი XI—XII ს. აკუთვნებდა <sup>4</sup>, ხოლო რ. ბლეიკი XII ს. <sup>5</sup>. ამ ხელნაწერს მეცამეტე საუკუნეში დართვია შემდეგი, ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის საყურადღებო, ანდერძი: „მე სულითა საწყალობელი, მიწაჲ უღირსი წმიდათა და პატროსანთა მამათა ჯუარელთა ძმობისაჲ, გიორგი ღირსმყო მოგებად წმიდათა ამათ მარხუათა დიდსა სიგლახაკესა შინა შემდგომად ტყუშობით გამოსლვისა ხუარაზმელთაგან. ესე ყოველი შემდგომითი შემდგომად მოგეთხრას: მაშინდელნი ყოველთა ქრისტიანეთა ჰირნი და განსაცდელნი, ოხრებანი ეკლესიათა და მონასტერთანი, რომელ არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი. იერუსალმს შუკათა შინა შთასულმან ვნახენ ესე ორნი წიგნი: ერთი ესე და ერთი საწინაშარმეტყუელი, სპარსსა კაცსა ჰქონდეს, მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლივ წაუხუშნ ესე, საწინაშარმეტყუელი <sup>6</sup> წარიღო, მე სყიდვისა ღონე არა მქონდა. აწ მოვაჭსენე მასვე მონასტერსა კაკკათისსა, რომლისა პირველ ყოფილიყო. აწ გინა თუ კაკკათს შინა, გინა გარეთ სულტსა შინა, ანუ თუ ჯუარსავე შინა იყენენ, ვინცა მიემთხვენეთ და იმსახურებდეთ“.

3. სინას მთის „მოწამეთა წიგნი“, პროფ. ა. ცაგარელის აღწერილობით № 49 <sup>7</sup>, ხოლო აკად. ნ. მარისა—№ 91 <sup>8</sup>, შეიცავს ხუთი თვის, —სექტემბერი—იანვარი,—ჰაგიოგრა-

<sup>1</sup> ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. დ. 52—53, გამოცემა ნ. მარისა.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XVIII. თუმცა ამ ადგილის რუსული თარგმანიდან ისე გამოდის, თითქოს ეფროსინე საქართველოშია და არსენი და მაკარი უთვლიან მათ მოკითხვას (იქვე, გვ. 135), მაგრამ თარგმანი ძალიან დაშორებულია დედანს.

<sup>3</sup> აღნიშნული ხელნაწერი 1922 წელს საქართველოში იქნა დაბრუნებული; ის დღეს მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (H 2338). მოკლე ცნობა მის შესახებ პირველად გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსემ (Bulletin scientifique, t. VIII, № 20, p. 312, შენ. 12), ხოლო დაწერილებათ ის პროფ. ი. ყიფშიძემ აღწერა (იხ. მისი—Житие и мученичество Антония Раваха, Христиан. Восток, II, 66—73.

<sup>4</sup> Сведения о памятниках грузин. письменности II, № 77, стр. 26—27.

<sup>5</sup> R. Blake, Catalogue d. Manuscrits Cœorgiens de la Bibliothéque patriarcale a Jerusalem, № 67).

<sup>6</sup> ხელნაწერში—„სადღესსაწაულოჲ“, რაც lapsus calami არის.

<sup>7</sup> Сведения II, стр. 74.

<sup>8</sup> Описание грузинских рукописей Синайского монастыря № 91, стр. 255—264.

ფიულ ტექსტებს მეტაფრასული რედაქციისას. ამ ტექსტებიდან ერთი თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ<sup>1</sup>, ორი—ეფრემ მცირის. მისი გადამწერი ყოფილა „ოქროპირი, იოანე ანჩელის დისწული“. იოანე ანჩელი თანამედროვეა თამარ დედოფლისა<sup>2</sup>. მაშასადამე, მისი დისწული ოქროპირი იქნებოდა მოღვაწე არაუგვიანეს XII—XIII სს., აქედან—ხელნაწერი არ შეიძლება იყოს XV ს. (ნ. მარი), მით უმეტეს XIV—XVI ს. (ა. ცაგარელი). ოქროპირი ანდერძში ამბობს: „მე ცოდვილსა დამიჩხრეკიან ამის სანატრელთა დედოფალთა მართა და ბორენაჲს აღშენებულისა და სამლოცველოჲსა მონასტრისა კაპკათაჲსა, სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთაჲსათჲს, სალოცავად ამისა მონასტრისა აღმაშენებელთა დედოფალთათჲს“.

4. ჯუარის მონასტრის „პარაკლიტონი“, გიორგი ათონელის რედაქციისა, რომელიც, ა. ცაგარელის აღწერილობით<sup>3</sup>, XII—XIV საუკუნისაა, ბოლოში მოთავსებული ანდერძის ცნობით, თავდაპირველად „კაპაპიერი იყო ეს წიგნი“, ესე იგი, ის ეკუთვნოდა კაპკათის მონასტერს, შემდეგში ჯუარის მონასტრისათვის შეუწირავთ.

5. ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ იოანე ოქროპირისა, რომელიც ა. ცაგარელს აღწერილი აქვს 135 ნომრის ქვეშ, ხოლო ბლეიკს—21. ამ ხელნაწერში 332 ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ორი ანდერძი: ა) „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა ესე წიგნი, „თარგმანი სახარებისაჲ“, კაპაპთური, წარტყუშნილი სპარსთაგან, მე ანტონი, ფრიადცოდვილმან, ვიგსენ ჩემითა საფსოჲთა და შევსწირე მუნვე კაპაპთას“ (ეს ანდერძი ა. ცაგარელს არ მოუყვანია, ალბათ ვერ შენიშნა). ბ) „ესე წიგნი ჯუარისაჲ მეფეთ მეფის და ვითის ცოდვათა შესანდობელად მე მისმან მოძღუარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ და ვიგსენი სპარსთაგან მას ჟამსა, ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაეკირა“. მოყვანილი ანდერძებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი ორი მონასტრის საკუთრებას შეადგენდა: კაპაპთისას (ა) და ჯუარისას (ბ). ის ორჯერ გაუტაცნიათ „სპარსელებს“, ორჯერ გამოუსყიდიათ „ტყუეობიდან“ და მფლობელებისათვის დაუბრუნებიათ. ვის ეკუთვნოდა ის პირველად—კაპაპთას თუ ჯუარს, ანდერძთა მიხედვით ძნელია თქმა. ყოველ შემთხვევაში ხელნაწერი ვერ იქნება ვერც XIV—XV (ბლეიკი), ვერც XIV—XVI (ცაგარელი) საუკუნისა, რადგანაც ის დატყვევებული და გამოსყიდული ყოფილა მეფეთ მეფის და ვითის დროს „ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაეკირა“, ამას კი ადგილი ჰქონდა დავით მეექვსის დროს (1292—1310)<sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, სახელი ამ მონასტრისა სხვადასხვანაირადაა მოცემული ხელნაწერებში: კაპკათი (1, 2), კაპაათა (3), კაპაპი (4), კაპაათა (5): ნამდვილი და სწორი ფორმა ამ სახელისა არის, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, კაპაათა.

მონასტერი „კაპაათა“ აშენებული ყოფილა მთავარანგელოზთა სახელზე (3). როდის? ხელნაწერთა კატეგორიული ჩვენებით (1, 3), ის აშენებულია დედოფლების მართა და ბორენას მიერ. ბორენა არის მეორე მეუღლე მეფის ბაგრატ IV-ისა, ის მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგიდან ისტორიის ასპარეზზე უკვე აღარ ჩანს. რაც შეეხება მართას, ეს არის ასული ბაგრატიისა და ბორენასი. 1071 წელს ის ცოლად შეირთო ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილი დუკამ (1071—1078). როდესაც მიხეილი გარდა-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 252—6 (პირველი გამოცემა), 200—223 (მეორე გამოცემა).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 131 (პირველი გამოცემა), 299 (მეორე გამოცემა).

<sup>3</sup> Сведения II, № 88, стр. 28.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 588 (პირველი გამოცემა) 500 (მეორე გამოცემა).

იკვალა, 1078 წელს მართა მისთხოვდა ნიკოფორე ბოტანიატს (1078—1081). ნიკოფორეს დამხობის შემდეგ ის ცხოვრობდა თავის სასახლეში კონსტანტინოპოლში, მანგანის მონასტერთან, და 1088 წლის მახლობლად მოლოზნად აღიკვეცა მარიამის სახელით. 1093 წელს ის ჯერ კონსტანტინოპოლშია და კომნენთა წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს<sup>1</sup>. ამის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა და 1103 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია, ვინაიდან რუსიურბნისის კრება მას „მრავალყამიერს“ ეუბნება<sup>2</sup>. მონასტერი აშენებული უნდა იყოს არაუგვიანეს ოთხმოციანი წლების დასაწყისისა, როდესაც ბორენა გარდაცვლილად ჩანს, და არაუადრეს 1071 წლისა, როდესაც მართა გადედოფლდა, საფიქრებელია, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან ანდერძში პირველად დასახელებულია არა დედა, ყოფილი დედოფალი, ქვრივი ბორენა, არამედ შვილი მისი მართა, როგორც იმპერატრიცა დიდი ბიზანტიისა.

არც სახელი ამ მონასტრისა, არც ადგილმდებარეობა მისი მეცნიერებაში გარკვეული არაა. პროფ. ა. ცაგარლის განცხადებით, მისი ადგილმდებარეობა უცნობია<sup>3</sup>; აკად. ნ. მარი ფიქრობდა, რომ „კაპპათა“ არის სახელი ადგილისა, რომელიც, ალბათ, იერუსალიმის ნაწილს შეადგენდაო<sup>4</sup>, ხოლო პროფ. ი. ყიფშიძე ამბობდა: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონასტერი იმყოფებოდა იერუსალიმში ანდა მის მახლობლადო“<sup>5</sup>. მონასტერი, ეკვი არაა, იერუსალიმში იყო, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, იერუსალიმში არაერთი ქართული მონასტერი ყოფილა, საძიებელია — თუ დასახელებული ქალაქის რომელ ნაწილში და სად იმყოფებოდა ის?

არავის მკვლევართაგანს აზრად არ მოსვლია ამ შემთხვევაში გადაეკითხა ქართული „ოთხთავის“ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იესო ნაზარეტელის გასამართლებისა და კრძოდ მისი პილატეს მიერ დაკითხვის შესახებ. იესო ქრისტე მიიყვანეს „ტაძრად (παρεδριον) პილატესა“ (იოან. XVIII, 28), „ხოლო პილატე... გამოგურა იესოვ გარშ და დაჯდა საყდარსა მას ზედა, ადგილსა მას, რომელსა ერქოჳმის ქვაფენილ, რომელ არს ებრაელებრ კაპპათა“ (იოან. XIX, 13), ასეა ნათქვამი უძველესს ჰადიშის „ოთხთავში“, ხოლო გიორგი ათონელის თარგმანში: „ხოლო პილატე... გამოიყვანა იესო გარე და დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპპათა“.

ჯერ მოკლე შენიშვნა ტექსტუალური ხასიათისა. სიტყვები „ადგილსა მას, რომელსა ერქოჳმის (ჰრქვან) ქვაფენილ, რომელ არს ებრაელებრ (ხოლო ებრაელებრ) კაპპათა“, ბერძნულად ასე იკითხება: „εἰς τὸν αὐτὸν λεγόμενον λιθόστρωτον, Ἐβραῖως δὲ Γαββათῶν“. ასევე იკითხება ისინი ბერძნულიდან უშუალოდ მომდინარე თარგმანებში, მაგალითად სლავურში: „на месте, глаголемеле лиостротон, еврейскн же Гавваа“. აქ, როგორც ვხედავთ. უცვლელად შემონახულია როგორც ბერძნული Λιθόστρωτον, ისე ფორმა სახელისა Γαββათῶν. ქართული თარგმანი ამ ადგილისა არ მომდინარეობს უშუალოდ ბერძნულიდან, ბერძნულ Λιθόστρωτον-ს იმაში უდრის მისი თარგმანი „ქვაფენილი“, ხოლო Γαββათῶν გადმოცემულია როგორც კაპპათა. ეს თარგმანი ან რედაქცია, რომელიც ძირითადად, ყოველ შემთხვევაში საძიებელი სიტყვების ხაზით, უცვლელადაა დატოვებული თვით ბერძნულთან შეჯერებულს ათონის ვულგატურ ტექსტში, შემცველი და მატარებელია აღმოსავლური ტრადიციისა. მაგალითად, აღნიშნული ადგილი სომხურადაც ისევეა გადმოცემული, როგორც ქართულად: *Քարայատակ կապպաթա*. საყურადღებოა სირიული ვერსია ამ

<sup>1</sup> Акад. В. Г. Васильевский, Труды, I, 139—143, 1908.

<sup>2</sup> თ. უორდანი, ქრონიკები II, 70.

<sup>3</sup> Памятники грузин. старины в Св. Земле и на Синае, Палестинский сборник, т. IV, в. 1, стр. 130.

<sup>4</sup> Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г., Сообщ. Палестин. Общества, т. XIV, ч. 2, стр. 45.

<sup>5</sup> Житие и муче ꙗжество Антония Раваха, Христианский Восток, II, 71, прим. 3.

ადგილისა<sup>1</sup>: ბერძნული *λειτουργία* აქ, მსგავსად სომხურისა და ქართულისა, გადმოთარგმნილია ასე: „რეციფთა დე ქიფე“ (მოფენილი ქება), ხოლო *ἱερατεία* „გეფნეთე“. ქართულ-სომხური „კაპაათა“ უფრო ბერძნულის გადმობგერებაა, ვიდრე სირიული „გეფნეთე“-სი. როგორც უნდა იყოს, ქართული თარგმანი ამ შემთხვევაში უფრო სომხურს ენათესავება, ვიდრე სირიულს ან ბერძნულს. ერთი სიტყვით, ირკვევა, რომ მონასტერი *კაპაათა* ყოფილა პილატეს სასახლის, სხვანაირად „ეზოას“ ან „ტადრის“ („შინაგან ეზოას მას, რომელ არს ტადარი = *ἔστω τῆσ ἀβήτ, ὁ ἐστὶν πατρῶσιον*, მარკ. XV, 16), ბერძნულად—პრეტორიონის, ადგილას.

პრეტორიონის ტოპოგრაფია დღეს უკვე გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში: ის ყოფილა სიონის მთაზე, სიონის ბაზილიკიდან 150 ნაბიჯით დაშორებული. მის ადგილას იუსტინიანე დიდს მეექვსე საუკუნეში აუშენებია ლეთისმშობლის „ახალი“ (ქართულ ძეგლებში ის შემონახულია ბერძნული სახელწოდებით: *ნი ა—γ, εχ*) ეკლესია, „წმინდა სოფიოდ“—აც სახელდებული. ამას ადასტურებენ როგორც ძველი დროის მოგზაურები, ისე განსაკუთრებით ლიტურგიკული ძეგლები ბერძნულსა და ქართულ ენებზე. მეათე საუკუნის ბერძნულ „ტიპიკონში“ ნათქვამია: *ღუჯუ ჯუჯუ ἁγίασ Σοφίασ ἔν τῷ λειτορηατεῖ, რაც ნიშნავს: „ლიტანია წმიდა სოფიაში ლითოსტროტონზე“<sup>2</sup>. ჩვენს მიერ გამოცემულ „იერუსალიმის განჩინებაში“ ვკითხულობთ: „მოვიდენ სოფია-წმიდას, სადა იგი იყო სახლი პილატესი“<sup>3</sup>.*

სომეხთა ისტორიკოსი მოსე კალანკატვაცი, სიონის ბაზილიკის აღწერისას, შენიშნავს: „წმიდა სიონი (იმყოფება) მარჯვნივ პილატეს სახლისა (*Μοναστήριον*), რომელსაც კაპაათა *Καπαθία* (ეწოდება)“<sup>4</sup>. ამას ეთანხმება მეცხრე საუკუნის მოგზაურის ეპიტენეს ცნობა: *ἔξωθεν δὲ τῆσ λειτορηατεῖσ ἐστὶν ἡ ἁγία Σοφία*—„ლითოსტროტონის მარჯვნივ არის წმინდა სიონი“<sup>5</sup>. ანტონინე მარტირი, რომელმაც 570 წლის მახლობლად იერუსალიმი მონახულა, თავის „მოგზაურობაში“ გადმოგვცემს: „De Sion venimus in basilicam sancte Marie, ubi est congregatio magna monachorum, ubi sunt et xenodochia virorum ac mulierum,—susceptus peregrinus sum,—mense innumerabiles, lecti egrotarum sunt amplius tria millia“<sup>6</sup>, რაც ნიშნავს: „სიონიდან ჩვენ მივედით წმიდა მარიამის ბაზილიკაში. სადაც არის ბერმონახონთა დიდი კრებული [= მონასტერი] და მოწყობილია სამწიროები (სასტუმროები) მამაკაცთა და დედაკაცთათვის,—მე მიმიღეს როგორც მოგზაური,—არის აგრეთვე ურიცხვი მაგიდები, ხოლო ლოგინები—სამათასზე მეტ ავათმყოფთათვის“.

სოფია-წმიდის ბაზილიკა, ზოგიერთ მეცნიერთა (ფერგიუსონი, ებერსი, გუტე, კინგი) მოსაზრებით, იმ მიზნითაღ გადაკეთებულა, რომელსაც ეწოდება ელ-აკსა, ეს გადაკეთება თითქოს მერვე საუკუნეში მომხდარა<sup>7</sup>.

მეორე რიგი სპეციალისტების (ვილიამსი, პაილუ, ა. ალენსიკი, ნ. კონდაკოვი) კა-

<sup>1</sup> ცნობა სირიული ტექსტის შესახებ მომწოდა დოც. გიორგი წერეთელმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებ.

<sup>2</sup> А. П.—Керамевс, *Аνάλεκτα* IV, 130; Проф. А. Дмитриевский, *Богослужение страстной и пасхальной седмиц*, стр. 134.

<sup>3</sup> К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII в.*, стр. 78, 134, 214—215.

<sup>4</sup> აღენთა ისტორია, მოსკოვი 1860 წ., გვ. 225. შესაფერისი ადგილი მოსეს ისტორიისა, როგორც ფიქრობენ; ამოღებული უნდა იყოს მეშვიდე საუკუნის აღწერილობიდან, რომელიც ვილაც ანასტასის ეკუთვნის (В. Г. Васильевский, *Повесть. Епифания, Палест.* Сбор. т. IV, в. 2, стр. 249—252, განსაკ. 251.

<sup>5</sup> В. Г. Васильевский, *op. cit.*, стр. 2.

<sup>6</sup> Tobler, *Itinera Hierosolymitana et descriptiones terrae sanctae*, t. I, p. 104—105.

<sup>7</sup> Проф. А. Дмитриевский, *Богослужение страстной и пасхальной седмиц*, стр. 388—389.



ტეგორიულად უარყოფს ელ-აკის წარმოშობას სოფია-წმიდის ბაზილიკიდან<sup>1</sup>. მიუღებელი და შეუწყნარებელია ის მოსაზრება, რომ სოფია-წმიდის ბაზილიკა, როგორც ქრისტიანული ტაძარი, მერვე საუკუნეში მოისპო. საქმე ისაა, რომ ის მოხსენებულია 808 წელს შედგენილ თხზულებაში „Commemoratorium de cassis Dei vel monasteriis“<sup>2</sup>, მოხსენებულია ის, როგორც ზემოთაღნიშნულ მეთავე საუკუნის პირველი ნახევრის ბერძნულ „ტიპიკონში“, იმას იხსენიებს ამ საუკუნის მეორე ნახევარში სინას მთის მოღვაწის იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი „იერუსალიმის განჩინების“ ქართული თარგმანი. და თუ მეთავე საუკუნის შემდეგ იმისი კვალი არცერთ ძეგლში უკვე აღარ ჩანს, ალბათ იმიტომ, რომ ის დაინგრა და მოისპო 1009—1010 წ., როდესაც ეგვიპტის სულტანმა ჰაკიმმა ყველაფერი გაავერანა იერუსალიმში, იქამდე, რომ წინადროის არქიტექტურულად ღირსშესანიშნავი ქრისტიანული ნაგებობიდან ქვა ქვაზე არ დარჩენილა იქ. ცხადია, ბაზილიკასთან ერთად დაინგრევოდა როგორც მონასტერი, ისე სამწიროები, რომელთა შესახებ ანტონინე მარტიერი ლაპარაკობს.

ანტონინეს მოწმობა გასაღებს გვაძლევს ერთი ქართული ცნობის გასაგებად. იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შორის ცნობილია 1167 წელს ვინმე ონოფრეს მიერ გადაწერილი „პარაკლიტონი“, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „შეესწირე იერუსალიმს პატიოსანსა დედათა მონასტერსა ახალსა, რომელი იცვალნეს (?) პიტალთაგან ძუშლისა სამწიროსა“<sup>3</sup>. ეს „ახალი დედათა მონასტერი“ უნდა იყოს იგივე კაპპათის მონასტერი. საქმე ისაა, რომ სიტყვები „ძუშლი სამწიროა“, უეჭველია, გულისხმობს იმ „სამწიროს“, სასტუმროს (Xenodochium), მოგზაურების, პილიგრამების მისაღებ სახლს, რომელიც, ანტონინე მარტიერის სიტყვით, სოფია-წმიდასთან არსებულ კაპპათის მონასტერში ყოფილა.

მეთერთმეტე საუკუნეში, საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერებასთან ერთად, იწყება ინტენსიური ქართული სამონასტრო მშენებლობა პალესტინაში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში გაშენდა აქ ჯვარის მონასტერი ბაგრატ IV-ის დედის მარიამის უხვი დახმარებით; ამავე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბაგრატისავე შეუღლესა და ასულს, ჩანს, ძველი კაპპათის მონასტერი, ჰაკიმის მიერ დანგრეული 1009—1010 წელს, გადაუქეთებიათ დედათა მონასტრად და სააღმშენებლო მასალად გამოუყენებიათ ძველი მონასტრისა და „სამწიროს“ პიტალი (πῖταλοι?)<sup>4</sup> ან ფითალი ქვა. ასე უნდა გავიგოთ სიტყვები: „რომელი იცვალნეს (sic) პიტალთაგან ძუშლისა სამწიროსა“. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ძველი ნამონასტრალიდან გადაკეთებულ კაპპათის მონასტერს „დედათა ახალი მონასტერი“ დარქმევია.

საყურადღებოა, რომ კაპპათაში მწიგნობრობას, წიგნების გადაწერასა და მოპოებას მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონია დათმობილი. იანერის ჰიმნოგრაფიული „თთუენი“ (1), როგორც ანდერძშია ნათქვამი, მის საკუთრებას შეადგენდა. ვილაც გიორგის ხეარაზმელთა ტყვეობიდან გამოუყიდა „მარბუანი“ (2), რომელიც მას კაპპათის მონასტრისათვის „მოუგსენებია“ ან შეუწირავს, „რომლისაჲ იგი პირველ ყოფილიყო“, მისივე ყოფილა „სახარების თარგმანი“, რომელიც, ტყვეობიდან გამოსყიდვის შემდეგ, დაუბრუნებია მისთვის ვინმე ანტონის (5). ერთ-ერთი „პარაკლისტონი“ (4) თავდაპირველად „კაპპაიერი“ იყო, ესე იგი კაპპათის საკუთრებას შეადგენდა. მისთვის შეუწირავს ვინმე ონოფრეს მეორე

<sup>1</sup> Проф. А. О л е с в и д к и й, Ветхозаветный храм в Иерусалиме, 1889 г. Акад. Н. К о в л а - к о в, Иерусалим христианский, Богословская Энциклопедия, т. VI, стр. 554—555.

<sup>2</sup> Itinera latina I, 302.

<sup>3</sup> А. Ц а г а р е л и, Сведения II, 28, № 86, R. B l a k e № 63; ხელნაწერში ვკითხულობთ: სამწიროსა.

<sup>4</sup> შეად. გიორგი ამბროსის „ხრონოგრაფის“ თარგმანი, ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, გვ. 86, 308: „პეტლითა ოქროსაჲთა“, „ოქროსა პეტლითა“.

„პარაკლისტონი“<sup>1</sup>. ძალიან დიდი სამსახური გაუწევია ამ მხრივ კაპპათასთვის იოანე ანჩელის დისწულს ოქროპირს (3), რომელსაც მისთვის „დაუჩხრეკია“ ან გადაუწერია 14 სახელწოდების თხზულება 27 წიგნად: 1. „თერთმეტი თთუე, დეკემბერი არა ჩემი დაწერილი არს“, აქ ივულისხმება მთელი კომპლექტი ჰიმნოგრაფიული „თთუენისა“, თორმეტ წიგნად; ამ თორმეტი წიგნიდან არის, უეკველია, იანვრის „თთუენი“ (1), რომელშიაც აღნიშნულია, რომ ის კაპპათას საკუთრებას შეადგენს, 2. „სახარება განთხუელი“, ესე იგი—არა აღრეული აპრაკოსებრ, არამედ ცალკე ავტორებად წარმოდგენილი, 3. „პავლე“, ესე იგი—სამოციქულო, 4. „საწინაღწარმეტყუელო“, 5. „დავითნი განყოფილი“, ესე იგი „კანონებად“ დაყოფილი, 6. „სტოდიელი“, 7. „კურთხევაანი“, 8. „ორივე პარაკლიტონი: გმანი და გუერდნი“, 9. „მარხუთა მეტაფრასი“. 10. „სსუა მცირე მეტაფრასი სამოწმოა“, 11. „ღმრთისმშობლის ცხოვრება“, 12. „დიდი სუნაქსარი“ გიორგი ათონელისა, 13. „სახარებისა მათეს თარგმანი ორ წიგნად“, 14. „მოწამეთა წიგნი“ მეტაფრასული რედაქციისა<sup>2</sup>. დღეს, მშასადაძე, ვიცით ოცდათერთმეტამდე წიგნი, რომელთაც „კაპაპიერი“ შეგვიძლია ვუწოდოთ, ეს ერთი უმნიშვნელო ნაწილია იმ წიგნთსაცავისა, რომელსაც ხან ხვარაზმელები იტაცებდნენ, ხან სხვა დამპყრობელნი აღმოსავლეთისა, გინა თუ დასავლეთისა ჯვაროსანთა სახით, ანდა „უამთა სიავე“ უღმობლად ანადგურებდა.

აღნიშნული თხზულებები უმთავრესად ათონური რედაქციისაა. ეს გარემოება დამახასიათებელია იმ ურთიერთობისათვის, რომელიც არსებობდა პალესტინისა და ათონის საგანმანათლებლო ცენტრებს შორის: პალესტინის ცენტრები მეთერთმეტე საუკუნიდან წარმოადგენენ ათონის თავისებურ ფილიალს, სადაც გადაწერის გზით ამრავლებდნენ ათონის სკოლიდან გამოსულ შრომებს.

## II. დ ე ლ ტ ა ვ ი

ასეთი მონასტერი მოხსენებულია იერუსალიმის ერთს ქართულ ხელნაწერში, რომელიც დღეს საპატრიარქო ბიბლიოთეკაშია მოთავსებული. ის პირველად აღწერა აკად. ნ. მარმა 26 ნომრის ქვეშ<sup>3</sup>, ხოლო მეორედ პროფ. რ. ბლეიკმა 33 ნომრის ქვეშ<sup>4</sup>. ხელნაწერი, რომელიც, ბლეიკის ცნობით, XIII—XIV საუკუნისაა, შეიცავს ათონური რედაქციის ტექსტებთან ერთად ორს წინათონურ პერიოდში თარგმნილ თხზულებას: 1. „წარტყუენვაჲ იერუსალმისაჲ“ ანტიოქე სტრატიგისა<sup>5</sup> და 2. „ცხოვრებაჲ სუმეონ მესუეტისაჲ“<sup>6</sup>. კვირიკე და ივლიტეს მარტილობის ბოლოში ვკითხულობთ: „დელტაველთა დათა ყოველთა შეუენდვენ უფალო! დაიწერა საფასოდათა<sup>7</sup> მათითა. მეცა მომიგსენეთ ცოდვილი ბასილი მჩხრეკელი“ (ფ. 197 b). აქედან ჩანს, რომ ეს ხელნაწერი გადაუწერია დელტაველთა მონასტრის „დათა“ ან მოლოზნების საფასით ვილაც ბასილს. სვიმეონ მესუეტის „ცხოვრების“ ბოლოში შემდეგი „ანდრძია“: „სახელითა ღმრთისადათა და მეოხებიითა ცხოველსყოფელისა საფლავისადათა მე, ცოდვილი და უღირსი ეკატერინე, შტროფსა ასული, ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებელისა სუმეონის ცხოვრებისა. აწ წმიდათა მენელსაცხებელთა სწორნო დანო დელტალველნო! ქრისტეს სიყუარულისათჳს ვინცა ღირს იქმნეთ წარკითხვად წმიდისა ამის ცხოვრებისა სუმეონისსა, სულთა და ჯორცთა განმანათლებელისა, თქუთ წმიდათა პირითა თქუენითა მოტევებაჲ ცოდ-

<sup>1</sup> ა. ცავარლით № 86, რ. ბლეიკით № 63.

<sup>2</sup> Акад. Н. Марр, Описание грузинских рукописей Сянийского монастыря, стр. 264.

<sup>3</sup> Пасвение Иерусалима персами, стр. 62—64.

<sup>4</sup> Catalogue des manuscrits Géorgiens, p. 68—69.

<sup>5</sup> Пленение Иерусалима персами, გამოც. 6. მარისა.

<sup>6</sup> K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica I, 215—340.

<sup>7</sup> ხელნაწერში „საფლავსოდათა“.

ვათა ჩემთად და თქუენ ყოველთა მეთხველთა და მსმენელთა ქრისტემან მადლი მოგანბინენ, ამინ. ეკატერინეს შეუნდვენ უფალო, თქუთ ყოველთა ამინი“!

„დანო პატიოსანნო, გვედრები გაზრდილი თქუენი ბასილი სადთური, უცბად ჩხრეკისათჳს შემინდევით“ (ფ. 324 a—b).

„დედათა“ ან ქალთა მონასტერი, რომელსაც ბასილი „დელტაველთა“ მონასტერს უწოდებს, ხოლო ეკატერინე, შტროას ასული, „დელტალველთა“-ს, ცნობილი არაა. აკად. ნ. მარის სიტყვით, რომელმაც ამ ხელნაწერით გამოსცა „წარტყუენვაჲ იერუსალშმისაჲ“, აღნიშნული მონასტრის სადაურობა „не поддается определению и в том случае, если в «дел» признать искалечение арабского der—монастырь“<sup>1</sup>. ერთი კია, რომ ის საძიებელია პალესტინაში; თუ მხედველობაში გვექნება „ანდერძის“ სიტყვები: „მეოხებითა ცხოველსყოფელისა საფლავისაჲთა“, რომელნიც ქრისტეს საფლავს გულისხმობენ იერუსალიმში, მონასტერიც იერუსალიმის რომელღაც ნაწილში უნდა ვივარაუდოთ.

საყურადღებოა, რომ ამ მონასტერში მცხოვრები მოღონები დაინტერესებულნი ყოფილან ლიტერატურული ძეგლების გადაწერით და შექენით. ეკატერინე, შტროას ასული, რომლის შესახებ არაფერი ვიცით, ალბათ წინამძღვარი მონასტრისა, პირდაპირ ამბობს: „ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებელისა სჳმეონის ცხოვრებისა“. მართალია, ეკატერინე, ამ სიტყვების მიხედვით, ვერ ჩაითვლება „გადამწერად“ დასახელებულ თხზულებისა, როგორც ნ. მარს ეგონა<sup>2</sup>, გადამწერი მისი, როგორც რამდენჯერმეა აღნიშნული „ანდერძში“, არის ვინმე ბასილი, მაგრამ მას სურვილი ჰქონია ამ თხზულების შექენისა და შეუკვეთია გადაწერა ბასილისათვის; როდესაც მან წიგნი მიიღო ბასილისაგან, მას შეეძლო ეთქვა: „ღირს ვიქმენ აღწერად“ ამისაო. ეკატერინესთან ერთად ამ ძეგლით დაინტერესებული ყოფილა აგრეთვე ერთი „დაჲ“ აღნიშნული მონასტრისა, ვინმე ბარბარე, როგორც ეს ნათქვამია ანდრია სალოსის „ცხოვრების“ სათაურში (ფ. 325). მეორე მხრით, ამავე ხელნაწერის „ანდერძიდან“ ვტყობილობთ, რომ „დელტაველნი დანი“ მწიგნობართა კადრების მომზადებისათვისაც ზრუნავდნენ, გადამწერი ხელნაწერისა ბასილი ამბობს: „დანო პატიოსანნო, გვედრები გაზრდილი თქუენი ბასილი“. ეს ბასილი აღნიშნულ მონასტერში ალბათ ბავშვობისას იზრდებოდა, ხელნაწერის გადაწერისას ის, რასაკვირველია, ცხოვრობდა არა იქ, ქალების მონასტერში, არამედ მამათა რომელიღაც საეანეში. თავის თავს ბასილი „სადთურს“ უწოდებს; აქ უნდა გვქონდეს პალესტინის ერთ-ერთი პუნქტი, რომელსაც „საიდა“ ან „საიდი“ ერქვა, შეიძლება ბეთ-საიდა (მთ. XI, 21, მრკ. VI, 45, VIII, 22, ლუკ. IX, 10, X, 13, იოან. I, 45).

### III. დ ე რ თ უ ჳ ა

ამ სავანის არსებობის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ერთ-ერთი ხელნაწერიდან (№ 181, შიგნით 353), რომელიც ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილს მაკარი მეგვიპტელის „ეპისტოლეთა“ და „სწავლათა“ წიგნს შეიცავს. ამ ხელნაწერში, რომელიც XI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, პირველ ფურცელზე მეტად ორიგინალური, ნახევრად ხუსტური და ნახევრად მხედრული ხელით სწერია: „წმინდაო დედუფალო დაბადებულთაო, რომელმან [გვი]შვე ქრისტე ღმერთი ჩუენი! ესე შესაწირავი, მცირედი და უნდოჲ მსახურებაჲ, ჩემ გლახაკისა და ცოდვილისაგან მიითუალე და შეიწყალე სული ჩემი ცოდვილი და ყოველნი, რომელნი იმსახურებდენ ამათ წმიდათა საკით-

<sup>1</sup> Пленение Иерусалима персами в 614 году, стр. 63, прим. 1.

<sup>2</sup> Ibid., стр. 64, прим. 2.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართულ ლიტერატურის ისტორია, გამოცემა პირველი, გვ. 202, მეორე—გვ. 180.

ხავთა“. ვინ არის ეს „გლახაკი და ცოდვილი“ შემწირველი, მელანდება შემდეგი ორი „ანდერძიდან“: 1. „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და შეწევნითა ყოველთა წმიდათა მისთაჲთა მე, გლახაკი სულითა და ფრიად ცოდვილი და ნარჩევი ყოველთა მოწესეთა, გრიგოლ ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა მაკარის ეპისტოლეთა და სარწმუნოებით შევსწირენ ღმრთისა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა დარსა დერთუფას ნიქაფორობასა თებრონიადსსა, ასულისა ვაჩე მცუელისსა,—ადიდენ ღმერთმან წმიდაჲ და უბიწოჲ სული მათი აქა და უმეტეს საუკუნესა,—სალოცავად და საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა, რომელნი მყოფ არიან ქრისტეს-მსახურნი მას დარსა შინა, მოსაჯენებელად სულისა ჩემისა ცოდვილისა, მშობელთა და ძმათა და ყოველთა თვსთა ჩემთა და ყოველთა შემოვედრებულთა და მოწაფეთა და შვილთა ჩემთა სულიერთა. და აწ ცრემლით გვედრები, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდეთ წმიდათა ამათ წიგნთა, წმიდათა ლოცვათა შინა თქუნთა მოგვსენენით“ (ფ. 2). 2, წიგნის ბოლოს (ფურც. 256) ვკითხულობთ: „დიდებაჲ ღმერთსა, მიზეზსა და მომცემელსა ყოვლისა კეთილისასა, დაესრულა და დაიწერნეს ეპისტოლენი ახალთარგმნილნი წმიდისა მამისა მაკარი მეგვპეტელისანი კელითა უღირსისა გრიგოლისითა ლავრასა წმიდისა მამისა ხარტონისსა. წმიდანო მამანო, რომელნი იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთსჲ!“

ამ „ანდერძებიდან“ ვტყობილობთ, რომ გადამწერი და შემწირველი ხელნაწერისა ყოფილა „მოწესე“ ან ბერი (1) გრიგოლი (1, 2). ვინაჲ ეს გრიგოლი, არ ვიცით, შეგვიძლია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ის არის მოღვაწე არაუგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა. ეს ჩანს არა მარტო მის მიერ გადაწერილი თხზულების ხელიდან, არამედ იმისგანაც, რომ თხზულებას ეწოდება „ახალთარგმნილი“ (2), რაც მაჩვენებელია იმისა, რომ დიდხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ექვთიმე ათონელმა ის თარგმნა, ექვთიმემ კი ეს თხზულება გადმოიღო ათონზე, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, მაშასადამე, 985-1005 წლებში. ეს მოსაზრება უფრო ნათელი გახდება, როდესაც ქვემოთ ლაპარაკი გვექნება გრიგოლის მოღვაწეობის ადგილის შესახებ.

თავისი შრომა გრიგოლს შეუწირავს „სალოცავად და საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა“ (1), ესე იგი დედათა ან ქალთა მონასტრისათვის. იმ დროს მონასტერში „ნიაფორად“ ყოფილა ვინმე თებრონია, ვაჩე მცუელის ასული, დღეს ჩვენთვის სრულიად უცნობი პიროვნება. სიტყვა „ნიაფორი“ გვხვდება ნინოს „ცხოვრების“ კელიშიურ რედაქციასში; იქ ნათქვამია, რომ სუსანა, დედა ნინოსი, გათხოვებამდი იზრდებოდა იერუსალიმში და „მსახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა“<sup>1</sup>. ცნობილი არმენისტის F. C. Conybeare-ს გამოკვლევით „ნიაფორი“ არის სირიული სიტყვა, წარმომდგარი ბერძნული *νηαφορι*-იდან, სირიულ ნიადაგზე ორი ასოს კ და ფ ერთმანეთში აღრევის გამო. ის ნიშნავს ტაძრის ზედამხედველს, იმაში წესის დამცველს<sup>2</sup>. მაშასადამე, თებრონია მაშინ ყოფილა წინამძღვარი ქართველთა „დედათა მონასტრისა“, რომლისათვისაც გრიგოლს თავისი შრომა შეუწირავს.

ამ „დედათა“ მონასტრის ტაძარი აგებული ყოფილა ღვთისმშობლის სახელზე, ხოლო თვით მონასტერს რქმევია „დერთუფა“ (1). შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ამ სახელ-

<sup>1</sup> Описание II, 736, შეად. 741, 744, შატბერდულ ვარიანტში „ნიაფორი“ (იქვე).

<sup>2</sup> Life of st. Nino. Studia biblica et ecclesiastica, Oxford, 1900. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 579 შენ. 2 (პირველი გამოცემა), 492 (მეორე გამოცემა).

ში გვაქვს ორი ნაწილი: არაბული „დერ“, რაც „მონასტერს ნიშნავს<sup>1</sup>, და „თუფა“—საკუთარი სახელი, მაგრამ ასეთს მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ სიტყვა „მონასტერი“ ამ „ანდერში“ (1) ისედაც არის აღნიშნული, მხოლოდ სირიული ფორმით „დარ“: „შვესწირენ ეკლესიასა ღმრთისმშობელისასა დარსა დერთუფას“, „საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა, რომელნი მყოფ არიან მას დარსა შინა“. თუ გრიგოლი მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში ამ მონასტერს წიგნსა სწირავს, მაშასადამე, ამ დროს ის უკვე არსებობს.

სად იყო ეს მონასტერი, პალესტინაში თუ სხვაგან სადმე? ასეთი საკითხი ბუნებრივია, რადგანაც არავითარი ცნობა ამგვარი მონასტრის არსებობის შესახებ არ მოიპოვება არც ქართულს, არც უცხოურ ლიტერატურაში. მონასტერი უთუოდ პალესტინაშია საძიებელი. საქმე ისაა, რომ შემწირველი გრიგოლი ამბობს, რომ მაკარის „ეპისტოლენი“ მის მიერ „დაიწერნეს ლავრასა წმიდისა მამისა ხარიტონისსა“ (2). ხარიტონი იყო მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, რომელმაც პალესტინაში სამი მონასტერი ააშენა; ერთ მათგანს სახელად ერქვა სუკა ან „ძველი ლავრა“, ბერძენთა ნომენკლატურით Παλαιά λαύρα<sup>2</sup>, ქართულად „პალავრა“. ეს იყო ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი ძველი ქართული მწერლობისა<sup>3</sup>. სხვათა შორის 1040 წელს აქ გადაწერილი ყოფილა იოანე ოქროპირის „ცხოვრება“, რომელიც მ. ბროსეს ჯრუჭის მონასტერში უნახავს. ამ „ცხოვრებას“ ჰქონია ჩვენი საკითხისათვისაც მეტად საინტერესო „ანდერძი“: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საყოფელსა წმიდისა მამისა ხარიტონისასა პალავრას, ძუელსა მონასტერსა, კელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლისადათა ქორონიკონსა სჲ<sup>4</sup>, რაც 1040 წელს უღრის. ვკონებ, არ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს გრიგოლი სწორედ ის გრიგოლია, რომელსაც „დერთუფას“ მონასტრისათვის მაკარის „ეპისტოლენი“ გადაუწერია<sup>5</sup>. ამ წიგნის „ანდერძის“ სიტყვები „შვესწირენ საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა“, გვაჩვენებს, რომ დერთუფას სავანეში წიგნების კითხვა და ამ მიზნით მათი მოპოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე ყოფილა აქ მობინადრე ქართველი ქალებისა.

\* \*

ასეთია მოკლე ცნობები კაპპათას, დელტაის და დერთუფას შესახებ. კაპპათა, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, დაარსებულია მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ამავე საუკუნეში უნდა იყოს გაშენებული დანარჩენი ორიც, ყოველ შემთხვევაში

<sup>1</sup> არაბულად რომ „მონასტერს“ „دير“ ეწოდება, ამის შესახებ იხ. აკად. მ. ბროსი—Пленение Иерусалима персами в 614 г., стр. 63, примеч. 1. პალესტინაში ეწაღა არის მონასტრები თუ ნამონასტრალი, რომელთა ორნაწილედ სახელში პირველი არის არაბული „დერ“ თუ „დვარ“, მაგალითად: დერ-მუკელიკ, დვარ-სეინე, დვარ-კელტ, დვარ-დოსი (უკანასკნელის, „დვარ-დოსი“-ს შესახებ იხ. მ. ბროსი, Пленение, стр. 32). ცნობილია, რომ ქართულ გამოთქმაში უცხოური სახელები ხშირად მაზინჯღებოდნენ; ასე, მაგალითად, ტაბენესის დედათა მონასტერს ეგვიპტეში ნისიმეს „ცხოვრების“ ქართულ თარგმანში ეწოდება მონასტერი არა მარტო „ტაბენესელთა“, არამედ—„ბენელთა“, „ტიბენელთა“ (კ. კეკელიძე, კიმენი I, 204, მისივე—Эпизод из начальной истории египетского монашества, Труды Киевской Академии 1911 г., февраль—март, стр. 15).

<sup>2</sup> Акад. В. Г. Васильевский, Повесть Епифания о Иерусалиме, Палестинский Сборник, т. IV, вып. 2, стр. 126—8; П. Сладкопевцев, Древние палестинские обители, I, 21—30.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 94 (პირველი გამოცემა), 83 (მეორე გამოცემა).

<sup>4</sup> თ. ყორღანიძე, ქრონიკები I, 188.

<sup>5</sup> იქნება „დერთუფა“ იყოს დამაზინჯებელი „დევთუბანი“? ჯუარის მონასტრის ალაპებში მოხსენებულა „მარინა დევთუბნელი“ (№ 274); შეუძლებელი არაა, რომ ქართველებს პალესტინის ერთ-ერთი პუნქტისათვის ეწოდებიათ ქართული სახელი „დევთუბანი“, თუ ეს უკანასკნელი მართლა ამ პუნქტის მონასტერს გულისხმობს.

„დერთუფას“ შესახებ ეს დანამდივლებით შეიძლება ითქვას: ის „ანდერძი“, რომელიც მას იხსენიებს, მეთერთმეტე საუკუნეშია დაწერილი. უნდა ვიფიქროთ, საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულად გაძლიერებამ და პროხოზრის მიერ ჯვარის მონასტრის გაშენებამ მეთერთმეტე საუკუნეში წარმართა პალესტინისაკენ მამაკაცებთან ერთად მძღავრი ტალღა მოღვაწე ქალებისაც. მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში ამ კერებში გაცხოველებული მუშაობა წარმოებს; არ შეწყვეტილა ეს მუშაობა არც მეცამეტე საუკუნეში. ყოველ შემთხვევაში მეცამეტე საუკუნიდან ვიცით, რომ ცოლი მუხა აბაშიძისა და დედა ლუკა წამებულისა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, იერუსალიმისაკენ მიემართება და ერთ-ერთ ქართველ ქალთა სავანეში მოღვაწეობას იწყებს<sup>1</sup>. ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ამავე საუკუნეში ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეას თავი შესწირა ერთმა უცნობმა ქართველმა ქალმა იერუსალიმში, სახელით სალომემ. ამის შესახებ იერუსალიმის ქართულ „სვინაქსარში“ ვკითხულობთ: „ამასვე დღესა (20 ივლისს) წამებად სალომე ქართველისაჲ, რომელი პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტიე უარყო. ამისა შემდგომად კუალად აღიარა სარწმუნოებად ქრისტიესი და თავი წარეკუეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებად მისი“<sup>2</sup>. მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგის შემდეგ ამ სავანეთა შესახებ ცნობები აღარ გვაქვს, ალბათ, თემურლენგის მიერ საქართველოს დარბევის შემდეგ მათ მოაკლდა სასიცოცხლო წყარო და არსებობა შესწყვეტეს. ეგრეთწოდებულს „აღორძინების“ ხანაში, განსაკუთრებით მეჩვიდმეტე საუკუნეში, კვლავ უჩინია თავი ქალთა სამოღვაწეო კოლონიას პალესტინაში. პროფ. ა. ცაგარლის ცნობით, აღნიშნულ ხანაში აქ ყოფილა რამდენიმე „დღდათა“ მონასტერი: მირქმის, ნიკოლოზის, ბასილის, ეკატერინესი და ანასი<sup>3</sup>. შეიძლება, ყველა ეს არც ქალთა მონასტერი იყო და არც ქართველთა, ყოველ შემთხვევაში ერთი დოკუმენტიდან, რომელიც 1640—1642 წლებში უნდა იყოს დაწერილი, ჩვენ ვიცით რომ ამ დროს „წმიდა საფლავსა და სისხლ-მეწამულ გოლგოთაზე იდგა“ ან მოღვაწეობდა „მონაზონი მართა“, რომელიც, აღნიშნავს რა „ცრვლით მტირალი“ იერუსალიმის „წმიდა ადგილთა“ ხელიდან გამოცლას და მიტაცებას ბერძენთა, ფრანგთა და სომეხთაგან, სდხოვს საქართველოს მესვეურთ—როგორმე უშველონ წამხდარ საქმეს, „სხვას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ, მოსკოვმა ვერა ქნა რაო“. არ შემიძლია *in extenso* მინც არ მოვიყვანო ამ საბაგალითო პატრიოტის, დიპლომატის და მთლიანი საქართველოს იდეის მატარებელი ქალის დოკუმენტი: „ამისთანა რა ვასაქირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? ეგებ არ მოგხსენდებოდესთ, თვარემ საქონელი და სიმდიდრე ორივე აქ არის: ეს სოფელი და მერმეცა... რა დიდი გაჭირვება არის იმისთანა, რომ მონასტერი ასრე დაკარგეთ? წამობრძანდით, ამათ (=აქაურებს) აღარ უნდათ ჩვენი კაცი [რომ იყოს]... საქართველო ამათ ჩაიდგეს ხელად და ქამენ; რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრებისა?... ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს, ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთი ტრაპეზის დასადები ადგილი იზონოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ! ეს ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა და ეხლა ლამის რომ სულა გამოვვარდეთ... ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს, რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატრიოსანი იაკობის მონასტერი სომეხებმა იზონეს? ხუნთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქვს. ბეთლემი ფრანგმა აიღო.... ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხუნთქართან, ისრევ მოგცემთ. უსაცილოდ გოლგოთასაც და ვესამანისაც დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით... ან ერისკაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე. უსათუოდ შავი ზღვით გამოგზავნეთ კაცი და საპატრიარქოშიდ სტამბოლს

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 499, მეორე გამოცემა.

<sup>2</sup> Н. М а р р, Синодик Крестного монастыря в Иерусалиме, стр. 68, №270.

<sup>3</sup> Памятники грузин. старины. Палестинский Сборник, т. IV, вып. 1, стр. 120—130.

მოვიდეს და იქიდალმა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არ იქთ, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხეას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ და, ვინც ბატონები იყოს ან გურიას, ან ოდიშს, ან იმერეთს და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით... მოსკოვმა ვერა ქნა რა... ეს უნდა დაუწეროთ ხუანთქარს წიგნშიდ, რომ ანბავი მოვიდა, იერუსალიმი გავიცემითაქო, ან დაგვათათრე, ან დაგვხოცე, და ან სჯულსა და სალოცავს ნუ წაგვართვამთო!<sup>1</sup> ეფიქრობთ, მართა მარტო არ იქნებოდა აქ, მის გარშემო სხვა ქალებიც იქნებოდნენ. მართლაც, ჯუარის მონასტრის „ალაპებში“<sup>2</sup> მეჩვიდმეტე საუკუნეში ხშირადაა ლაპარაკი პალესტინის ქართველ „ძმათა და დათა“ შესახებ (იხ. მაგალითისათვის, ალაპები № № 79, 84, 109, განსაკუთრებით გარსევან ჩოლოყაშვილის № 161), ეს „დანი“ ან „დედაბერნი“ (№ 112) უფრო „გოლოგოთახე“ არიან ამ დროს თავმოყრილნი.

როგორც ირკვევა, პალესტინის ქართველ „დედათა“ სავანეებში ისეთსავე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, როგორც მამათა მონასტერში: წიგნების კითხვა, შეკვეთა, გადაწერა, მოპოება, ბიბლიოთეკის შედგენა, მწიგნობართა კადრების მომზადება აქაც ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. „დედათა“ და „მამათა“ მონასტრებს ურთიერთობა ჰქონიათ წიგნების სარგებლობის ხაზითაც; დედათა სამონასტრო ბიბლიოთეკებიდან წიგნები საკითხავად და სასარგებლოდ მიჰქონდათ ხოლმე მამათა მონასტრებში, ანდა პირიქით—მამათა მონასტრებიდან დედათა სავანეებში. ამ მხრივ საყურადღებოა კაპპათის ბიბლიოთეკის „მარხუანის“ ანდერძის (2) დასასრული: „ტყევიბიდან გამოსყიდული წიგნი უკანვე დაეუბრუნე მასვე მონასტერსა კაპპათისსა, რომლისაჲ პირველ ყოფილი იყო. აწ გინა თუ კაპპათს შინა, გინა გარეთ სუჭტსა შინა, ანუ თუ ჯუარსავე შინა იყენენ, ვინცა მიემთხვენთ და იმსახურებდეთ“. აქ „სუჭტად“ იგულისხმება ის სვეტი, რომელიც იმყოფებოდა პილატეს პრეტორიონის ადგილზე, ესე იგი—იმავე კაპპათის გვერდით, და რომელზედაც, გარდამოცემით, მხედრებმა მიაბეს აქ მოყვანილი ქრისტე და მათრახით სცემდნენ მას; ჩანს, ქართველი კოლონია ამ პუნქტშიაც ყოფილა. რაც შეეხება „ჯუარს“, ეს არის პროხოვრეს მიერ გაშენებული „ჯუარის მონასტერი“. მასსადამე, კაპპათის ბიბლიოთეკის წიგნს ხმარობდნენ არა მარტო კაპპათაში, არამედ „სუეტშიაც“ და ჯუარის მონასტერშიაც. აქედან ირკვევა, რომ ქართველთა სამონასტრო კოლონიები პალესტინაში ერთი და იმავე ეროვნული გრძნობით ყოფილან გაქვინთილნი და შეკავშირებულნი, აქ, დაშორებულ აღმოსავლეთშიაც, ისინი ერთსა და იმავე კულტურულ საქმეს ემსახურებოდნენ თავისი სამშობლოს სასარგებლოდ.

\* \*

დღევანდელს ჩემს მოხსენებას უშუალო მიზნად ჰქონდა დასახული გაცენო პატივცემული აულიტორიისათვის ერთი, დღემდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი, კუთხე ჩვენი კულტურული ცხოვრებისა წარსულში. მაგრამ, ამასთან ერთად, იმაში მოცემული ფაქტებით მას შეუძლია ხელი შეუწყოს იმ მოძღვრების სიყალბის, სიცრუის და უნიადაგობის გამოძევაებას, რომელიც ახალ „სახარებად“ საღდება დასავლეთი-ევროპის ზოგიერთს ქვეყანაში და რომლის შემქმნელი გერმანული ფაშიზმია.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ გერმანელი ფაშისტები კაცობრიობას ორ ნაწილად ჰყოფენ; ერთია მაღალი, ნიჭიერი, ყოველივე დადებითი თვისებითა და ღირსებით შემკული

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, ტ 1, წიგნი 1, გვ. 37—39, 1920. შეად. კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში, ლიტერატურული მემკვიდრეობა I, 146.

<sup>2</sup> Н. Марр, Синодик Крестного монастыря в Иерусалиме.

არიული ან ინდოგერმანული რასა, რომლისათვის მსოფლიო ბატონობა გამზადებული; მეორე კი—არაარიული, უმთავრესად აღმოსავლეთის, ერები, რომელთაც,—ისიც არა ყველას, არამედ მხოლოდ იაპონელებს,—უკეთესს შემთხვევაში შეუძლიათ იყენენ მატარებელი კულტურისა და არა შემქნელნი მისნი. ამ ერების დანიშნულება ისაა, რომ იყენენ მხოლოდ ყურმოჭრილი მონა და განმაპოხიერებელი ნაკელი უმალესი რასისა. თვით ამ მაღალი რასის წარმომადგენელიც ორ ბანაკად განიყოფებიან: ერთია მამაკაცები, სრული არსებანი, შემქნელნი და მესაქენი ცხოვრებისა, მეორე—დედაკაცები, არასრული ადამიანი, რომელთაც, შემოქმედებითი უნარის უქონლობის გამო, საზოგადოებრივი ცხოვრების კარები დახშული უნდა ჰქონდეთ იქამდის, რომ მათთვის უმალესი განათლებაც კი არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი; ქალთა არსებობას უნდა საზღვრავდეს და ამოსწურავდეს ახალი ტრიადა Kirche, Küche, Kinder. ამ სისულელესა და უთავბოლო როშვას არ ამართლებს არც დღევანდელი დღე, არც ისტორია რომელიმე ერისა, კერძოდ ჩვენი ქვეყნისა.

მთელი ჩვენი წარსული მაჩვენებელია, პირველყოფლისა, იმისა, რომ ქართველები, რომელთაც ფაშისტები არიელობის დიპლომს ალბათ არ მოგვეცემენ, მუდამ იყენენ არამც თუ შემთვისებელნი სხვის მიერ შექმნილი მოწინავე კულტურისა, არამედ აქტიური შემოქმედნიც ასეთი კულტურისა. მეორე მხრით, ჩვენი ისტორია მაჩვენებელია იმისაც, რომ ჩვენში მოწინავე კულტურის ასპარეზზე მუშაობდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ დედაკაცებიც.

საშუალო საუკუნეებში, როდესაც დასავლეთ-ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ქალი ბოროტ საწყისად იყო აღიარებული და მას, როგორც ასეთს, ხშირად ცეცხლის კოცონზე სწვავდნენ, საქართველოში ნიკოლოზ გულაბრიძის მიერ ქალის „ღირსებისა და პატივის“ შესახებ ტრაქტატი იწერებოდა, ხოლო უკვდავი რუსთველის მიერ შემდეგი პოეტური აფორიზმი ითხზებოდა: „ლევკე ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ქალს აქ არამც თუ მამაკაცის მსგავს არსებად აღიარებდნენ, უფრო მაღლაც კი აყენებდნენ შემდეგი სიტყვებით: „ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იძახის ყოველსავე ზედა ოთხფერჯსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა უფროჲს მამლისა“ (ნინოს ბიოგრაფია). და ეს არ იყო ლიტონი მხოლოდ სიტყვა, ეს თამარის ბრწყინვალე მეფობით გამართლებული ფაქტი იყო, ეს გამართლებული იყო ქალების აქტიური მონაწილეობით კულტურისა და განათლების ისტორიაში. ცნობილი ფაქტია, რომ წერა-კითხვის ცოდნასა და პირველდაწყებითს, ასე ვთქვათ, განათლებას ჩვენში ქალების, უმთავრესად დედების, ხელმძღვანელობით იძენდნენ ხოლმე. არცერთი ასპარეზი კულტურული საქმიანობისა ქალისათვის ხელმიუწვდენელი არ ყოფილა ჩვენში. მართლაც, ჩვენმა წარსულმა ცოტა არ იცის ქალები პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწენი, ქალები პოეტ-ჰიმნოგრაფები, ქალები გადამწერ-კალიგრაფები, ქალები მთარგმნელები და ბიბლიოფილები. ყველასათვის ცნობილი ამბავია, რომ სამონასტრო ცენტრებში, რომელნიც იმდენად საკულტო დაწესებულებას არ წარმოადგენდნენ ჩვენში, რამდენადაც საკულტუროს, ქალებიც ისე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ, როგორც მამაკაცები. ვფიქრობ, ამას რამდენადმე მაინც დღევანდელი ჩემი მოხსენებაც დაგანახებდა თქვენ.



## იხსნა ოსნს ძის „ქორანიკონი“

(ხელნაწერი A. 637 საქ. სახ. მუხ. ხელნ. განყ.)

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების A ფონდის ხელნაწერი № 637 დაწერილია ქალაქ ზღუბე, ახალი პაგინაციით (ფანქრით) 152 ფ., ზომით 16×11, ნუსხური ხელით.

იგი შესდგება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხელით დაწერილი სამი არათანაბარი ნაწილისაგან:

I. ხუთასეული ქორონიკონის ერთი ციკლის — 1313 — 1844 წწ. — ცხრილ-ცხავი (1r—56 v. ძველი პაგინაციით შვიდი რვეული — ა — ზ), გადაწერილი სწორი, წვრილი, კუთხოვანი ნუსხურით 1738 წ. (1 r).

II. მზის მოქცევის სწავლა, ცხრილ-ცხავებითურთ (57 r—70 r), ძველი პაგინაცია არ გააჩნია; 70-სა და 71 ფფ. შუა 1 ფ. ამოჭრილია: 71—73 ფფ. დაუწერელია. გადაწერილია ლამაზი, მომრგვალო ნუსხურით 1736 წელს:

„ოდეს ესე აღწერე მას დღეს დასაბამიდან ქქნი იყო ჳსმდ.

ქრისტეს მოსლვით გან ქქნი იყო ჩლღე: ხუთასიანი იყო ოჯდ“  
— ამბობს უცნობი გადამწერი (59 v).

III. მოძრავ და უძრავ დღესასწაულთა ნუსხა 1735—2266 წწ. ფარგლებში (74 r—152 v), ძველი პაგინაციით ათი რვეული (ა—ი), გადაწერილია წვრილი ნუსხურით 1741 წ.

ხელნაწერის ამ უდიდესი ნაწილის ბოლოში დართული ანდერძი იკითხება<sup>1</sup>:

„ღმერთო, შეიწყალე ამისი გარდმომღები იმერელი ბაკურიძე მღვდელი მახრბლი, თანა მემცხედრით [!] და დედმამითურთ.

ასე რომე სტამბის ჟამნებში ქორონიკონი დაილია. ახლა, ჯერ ღვთით და მერმე ბატონის ბესარიონ კათალიკოზის ბრძანებით ვიგულსმოდგინეთ, დავიდევით ძველი ქორონიკონი და ექვსი კვრა ვიანგარიშეთ ჳელთით.

და პირველად ძველი ქორონიკონი გაეამართლეთ. მერმე ისიც და ჳელთაცა დედნათ დავიდევით. ცოტა რასმე ქისიყის მორავის [!].

შვილი ონოფრე მოგვეჭმარა. დიდის ჳირით ვზარობდი. მაგრამ კათალიკოზმა შემავულიანა. მრავალმც არიან წელნი და ჟამნი ცხორებისა მისისანი. ბატონმა ქისიყის მოურავმა აბელ

<sup>1</sup> ქარაგმების ვახსნით.

კელი მოგვიმართა. მის კელთ ვიყვენით. მრავალმც არიან წელ-  
ნი და ჟამნი ცხოვრებისა მისისანი. ახლად |!| ვინც გარდაწეროთ, მეო-  
რეს მწერალთან კელახლა დააკანანახეთ. თვარემ ტყუი-  
ლი |!| იქნება |!| და ღმერთს თქვენ მიეცით პასუხი. ვინც სულ გარდაწერ-  
ოთ, ფასი ოთხი მარჩილი აიღვეით. თუ ეს ზანდუკი და ჩემი  
მოკსენება არ დასწეროთ, ღმერთთან პასუხი მომეცით. თვთ უფალმან  
უწყის სანამდი ამას დაწერდი, სტამბის ჟამს უმალ დაწვე-  
რდი. დიდის აღებნიდამ დამღევს მისამდის: ფ<sup>ლ</sup>ზ<sup>ზ</sup> წლი-  
სა დამიწერია. ოდესაც დასრულდეს, თავსავე დაიწყონ:  
ქრისტეს აქეთ ორჯელ მობრუნებულა. ახლა მესამეში ვდგ-  
ავართ. დაიწერა მეოხებითა ღმრთისაჲთა, მეფობაჲსა თეიმურაზი-  
სასა. სოფელსა კახეთისასა, რომელ არს თელავი. დიდებაჲ ღმერთსა. ამინ<sup>1</sup>.

გარდიწერა ესე ნაშრომი ტფილისის სიონსა კელითა ანდრეას-  
ითა: „ქრისტეს აქეთ ჩ<sup>ლ</sup>მ<sup>ა</sup>“.

ამგვარად, A 637 ხელნაწერის სამი სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირე-  
ბული არის მხოლოდ შინაარსის „კალენდარული“ ხასიათით და საერთო ყდით, რომელიც  
მოგვიანებით (1795 წლის შემდგომ) უნდა იყოს გაკეთებული.

ამ ხელნაწერში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პირველი ნაწილი, დათარი-  
ღებული 1738 წლით. ეს არის ცნობილი იესე ოსეს ძის ავტოგრაფი, რომელიც ახალ ცნობებს  
გვაძლევს XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს ამ შესანიშნავი ადამიანის შესახებ.

იესე ოსეს ძის ავტოგრაფი მოთავსებულია, როგორც ვთქვით, ხელნაწერის პირველი  
ნახევრის პირველ 56 ფურცელზე (1—56 ფ. რვეულები ა—ზ (1—7). იგი განსხვავდება  
A 637 ხელნაწერის დანარჩენი ორი ნაწილისაგან არა მარტო რვეულების საკუთარი სა-  
თვალავით, თარიღითა და ხელით, არამედ საწერი მასალითაც—შედარებით უფრო სქელი,  
უხეში ქაღალდით. ტექსტი ძირითადად სწორი წვრილი ნუსხური ხელით არის დაწერილი,  
ხოლო ანდერძი და იესე ოსეს ძის მინაწერები—ნუსხურ-მხედრულით. არშივებზე მოთავსე-  
ბული მინაწერების უდიდესი ნაწილი (1 v—49 r) 1781 წლამდის იესე ოსეს ძეს ეკუთვ-  
ნის; ხოლო 1786 წლიდან მინაწერებში ირჩევა ორი სხვა ხელი—იესეს ძმის იოანესი და  
კრიგოლ ხარჭაშენლის (—სეფაშვილი).

იესე ოსეს ძის ხელით ნაწერი ნუსხა „ხუთასეულ ქორანიკონს“ (1314—1844) წარ-  
მოადგენს.

<sup>1</sup> საქ: მუხ. პალეოგრაფ. განყოფილების A 103 ხელნაწერის მე-2 ნახევარი, როგორც ჩანს, უნდა წარ-  
მოადგენდეს ბაკურაძის მიერ შედგენილი ქორონიკონის დედანს (ნ. თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა ო. P. II. M. I.  
გვ. 120, № 103).

## იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“

## ანდერძი

„ქორანიკონის“ ანდერძი (1 r) ორი ნაწილისაგან შესდგება.

პირველი, დათარიღებული, დაწერილია ტექსტის დაწერისთანავე (1738 წ. აგვისტო), სწორი, მომხსო ნუსხურით, მკრთალი მელნით. მეორე, უთარიღო, გაცილებით უფრო გვიან დაწერილი ჩანს, მომწიფებელი ადამიანის წვრილი, მხედრული ხელით. დათარიღებული ნაწილი ანდერძისა 4 სტრიქონისაგან შესდგება: პირველი სამი დაწერილია 1 r-ს თავში, ერთმანეთზე მიყოლებით, ხოლო მეოთხე სტრიქონი—ქვემოთ, მოშორებით, 1 r შუაგულისაკენ, სინგურით გაკლებულ ხაზებს შუა:

„ეს წიგნი ოსეს ძის იესესია. ვინც  
მოიპაროს, სიონი გაუწყრეს. ქს უკვ  
მოყვევ მარტს. იე. ზარაფიანთას.

გავათავე აგვისტოს ქს ოკვ“.

მხედრული ხელით ნაწერი ანდერძის პირველი ოთხი სტრიქონი მოთავსებულია ნუსხურად ნაწერის მესამესა და მეოთხე სტრიქონს შუა; დანარჩენ სტრიქონებს უჭირავს 1 r მთელი დანარჩენი თავისუფალი არე.

ანდერძის ამ ნაწილში მოცემულია:

- I. იესეს „ქორანიკონის“ გამოყენების მოკლე განმარტება და
- II. გადმოცემულია „ქორანიკონის“ დაწერის ისტორია.

მხედრული ხელით ნაწერი ნაწილი ანდერძისა იკითხება<sup>1</sup>:

„ქ. ესე გულად იხვენ, მეძიებელო, რ' ესე მოქადრატული მარხვისა დამდეგსა დანიშნავს. და ისე ბოლოდ კერძოდ ქორაკონი [!]რ[ო]მე ქართულია, ისი ალების დამესა. ორივ რა დასრულდება, თავსავ მოჰყვება“<sup>2</sup>.

და ქვემოთ:

„ქ. ეს ქორანიკონი ჩემმა ემბაზით აღმომქუმე-ლმა—მაშინ მართლ მადიდებელი იყო სამე—ვასტანგ ორბელიანმა მოიტანა რუსეთით და მამა ჩემმ[ა] ოსემ ინება ამისი გარდმოწერა. რიცხვი ნულთ იყო. მე არ ვიცოდი ნულა. დიად კმაწვილი ვიყავ. თერთმეტის წლისა. იოსებ გიგს ამილახორს ახლდა, რომელიც [!] შემდგომად კათალიკოზ იქმნა—მე ბანგუასთან ვიყავ—იგი [იოსები] მითარგმნიდა და ვსწერდი. თერთმეტის წლისა ვჯაზვლევდი და ვსწერდი. დაუსრულებელია. რა რომ გათავდება, თავსავ მოჰყვება“.

<sup>1</sup> სიტყვათა შუა—ორ-ორი წერტილი უზის.

<sup>2</sup> ეს უკანასკნელი ფრაზა უფრო მკრთალი მელნითა და გაურკვეველი ხელით სწერია.

აქ „ქორანიკონის“ დაწერის ისტორია გადმოცემულია იესესათვის დამახასიათებელი თავისებური სტილით, რომელიც განმარტებას საჭიროებს<sup>1</sup>:

იესეს ხელით გადაწერილი „ქორანიკონის“ დედანი რუსეთიდან მოუტანია ვახტანგ ორბელიანს, იესეს ნათლიას. იესეს, თავისი მამის, ოსეს, დავალებით გადმოუწერია „ქორანიკონი“. დედანში რიცხვი დაწერილი ყოფილა არა ქართული ასოებით, როგორც ამას იესეს ხელით ნაწერ ტექსტში ვხედავთ, არამედ არაბული ციფრებით („ნულა“). იესეს ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია შესწავლილი არაბული ციფრები, ვინაიდან „დიად ყმაწვილი“ ყოფილა „თერთმეტის წლისა“<sup>2</sup>. როცა იესეს „ქორანიკონის“ გადმოწერა დაუწყია, ბანგუასთან, ე. ი. გივი ამილახორის ოჯახში, ყოფილა. ამ ხანებში იოსებ [მროველი, ჯანდიერი], შემდგომ კათალიკოსად კურთხეული, გივი ამილახორის ხლებია, ე. ი. მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში ყოფილა და მასთან ურთიერთობა ჰქონია. იოსები—იესეს ერთ-ერთი მასწავლებელთაგანი („თავგადასავალი“, გვ. 8), „უთარგმნიდა“—უხსნიდა, უმარტავდა იესეს არაბული ციფრების მნიშვნელობას.

ამგვარად, იესეს „ქორანიკონის“ ანდერძში ჩვენ ერთხელ კიდევ ამოვიკითხავთ მისი მახლობელი ადამიანების სახელებს. აქაც, როგორც თავისი ცხოვრების აღწერის დასაწყისში (გვ. 5—6), იესე იხსენიებს თავის „ემბაზით აღმომქუმელს“ ვახტანგ ორბელიანს.

კათალიკობის დენის პერიოდისათვის მეტად დამახასიათებელია, რომ იესე აქაც საჭიროდ თვლის აღნიშნოს შემდეგში გაკათოლიკებულის ვახტანგ ორბელიანის მართლმადიდებლობა იესეს მონათლვის დროს და მით თითქოს ცდილობს წინასწარ გაჭვანტოს მოსალოდნელი დაეჭვება ვახტანგის ნათლულის „ჰემმარიტ“ მართლმადიდებლობაში.

გივი ამილახორისა და ბანგუას სახელს, „თავგადასავალში“ მრავალგზის ხსენებულს, აქაც ვხვდებით. ტექსტის მიხედვით იესეს 1738 წ. გივი ამილახორის ოჯახში უცხოვრია: „მე ბანგუასთან ვიყავ“—ამბობს ის. ეს, უეჭველია, იმ წლებში უნდა ყოფილიყო, როცა გივი ამილახორის ჰქონდა „ვექილობა ქართლისა“.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ახალი ცნობები, რომელსაც გვაძლევს „ქორანიკონის“ ანდერძი იესეს სწავლა-აღზრდის შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის 30—40 წწ., განსაზღვრულ ჰასაკში ბავშს „ნულას“ ანუ არაბული ციფრების ამოცნობას ასწავლიდნენ. ფრაზა: „მე არ ვიცოდი ნულა. დიად ყმაწვილი ვიყავ“—გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ბავშვს, ამ შემთხვევაში პატარა იესეს, თავდაპირველად ქართული ასოების რიცხვობრივ მნიშვნელობას ასწავლიდნენ, ხოლო არაბულ ციფრებს უფრო მოგვიანებით აცნობდნენ.

ეს გარემოება მხოლოდ იმით შეიძლება ავხსნათ, რომ, არაბული ციფრების სმარება ამ დროს ჩვენში ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული.

ჩვენ ვიცით, რომ არაბული ციფრების შემოღება და გავრცელება ინტენსიურად წარმოებდა ვახტანგის კულტურულ ეპოქაში (1703—1722). ამას მოწმობს, სხვათა შორის, ვახტანგის სტამბის წიგნების პაგინაცია. მაგრამ მომდევნო პერიოდში ისევ უბრუნდებიან პაგინაციის აღნიშვნის ძველებურ წესს (ნ. მოსკოვის ქართული სტამბის წიგნების უმეტესობის პაგინაცია 1737—1744 წ. და ერეკლესდრონდელი ტფილისის სტამბის წიგნების მეტი ნაწილის პაგინაცია), რაც არაბული ციფრების შემოღების პროცესის შენელებას გვიჩვენებს.

<sup>1</sup> იესეს ანდერძის ამ ნაწილში ბუნდოვანად გამოთქმული აზრის (თუ ვინ უმარტავდა იესეს არაბული ციფრების მნიშვნელობას) გარკვევას დახმარება აღმოიჩინა პროფესორმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

<sup>2</sup> ნამდვილად იესე, დაბადებული 1728 წლის ნოემბრის 10-ს, 1738 წ. მარტსა და აგვისტოს შუა არ შეიძლება ყოფილიყო 9-წლიანბერისაზე მეტი.

იესეს სწავლა-აღზრდის შესახებ მის „თავგადასავალში“ მოგვეპოვება რამდენიმე ცნობა: 1734 წლის ამბებში ვკითხულობთ:

„ქ. მეშვიდე წელს რომ მოვიწიე... წიგნს მაკითხებდენ, გალობასა და წერას მასწავლიდენ“ (გვ. 7).

წერისა, გალობისა და წიგნის სწავლა წარმატებით გრძელდებოდა მომდევნო სამს წელსაც:

„ვიყავ მაშინ წლისა ცხრისა,—ამბობს იესე,—და ამ წელიწადებში წერისა, გალობისა და წიგნის სწავლის მეტი რა შეძლება მექნებოდა. მკედრული და ხუცური წერა ვისწავლე, გალობა [ვისწავლე]. ზოგი იოთამ შატბერაშვილისაგან და ზოგი—იოსებ მროველისაგან“ (გვ. 8).

„თავგადასავალში“ ვერ ვპოულობთ უფრო დაწვრილებით ცნობებს იესეს სწავლა-აღზრდის შესახებ.

თვით იესე, რომლის კალამსაც მისი ცხოვრების შესანიშნავი აღწერა ეკუთვნის, თავის შეილებს იმგვარადვე ზრდის, როგორც თვითონ აღზრდილა:

„გალობა გასწავლე, აღარ გალობთ. წიგნი და წერა გასწავლე, აღარა იქმთ“—უსაყვედურებს შეილებს იესე (გვ. 122).

ამ მცირე ცნობების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იესეს და მის შეილებს მიუღიათ იმ დროისათვის ჩვეულებრივი შინაური განათლება.

განსაკუთრებით საყურადღებო არის აღზრდის თავისებური პრაქტიკული მეთოდი, რომელსაც, გარემოებათა იძულებით, მიმართავს იესეს მამა—ოსე.

„თავგადასავლიდან“ ჩვენ ვიცით, რომ 1742 წელს ცამეტი წლის იესეს სწავლა დამთავრებული აქვს. და აი, ამ წელს მამა მისი—ოსე მიემგზავრება ოდიშს. ოჯახის გაძლოლას იგი იესეს ავალებს. ყრმა იესე დიდი ტანჯვა-წვალებით, მაგრამ აგრეთვე საოცარი მხნეობით, უძღვება ოჯახს: პასუხს აძლევს მტერსა და მოყვარებს, იგერიებს მოვალეებს და 20 თვის შემდეგ უვნებლად ჩააბარებს ოჯახს დაბრუნებულ მამას. საოჯახო საზრუნავით დატვირთული 13 წლის ყმაწვილი ამავე დროს გონებრივი მუშაობის წარმოებასაც ახერხებს:

„ვიჯექ პატიოსნად სენაკში. სამღულდლოს წიგნებს ვწერდი, ვყიდი და იმით მოვირეწდი“—ამბობს იესე (გვ. 10).

პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანებს მამა, ეტყობა, გაცილებით უფრო ადრე ავალებდა პატარა იესეს. ამის დამამტკიცებელია, სხვათა შორის, 9 წლის ბავშვის—იესეს—ხელით საოცარი სისუფთავით და სისწორით გადაწერილი ხუთასეული „ქორანიკონი“, 20 განაკვეთის შემცველი, ჯახულით ნახაზი ცხრილ-ცხავებითურთ.

იესეს მხოლოდ ერთ ადგილას მოსვლია შეცდომა, რაიც თვითონვე გაუსწორებია, დიდი ბოდიშებით: „ყრმა ვიყავ. აქ ამრევია. ღვთის გულისათვის, გამართეთო“ (20 v).

იესე სიმწიფის ასაკში სამართლიანად ამაყობს თავის ბავშვობის ნაშუაკვეს: „თერთმეტის წლისა<sup>1</sup> ვჯახლევდი და ვსწერდიო“,—ამბობს ის ანდერძში (1 r).

იესე ოსეს ძის დროინდელი სწავლა-აღზრდის ის პრაქტიკული ხასიათი, რომელსაც აქ აღვნიშნავთ, მეტად საყურადღებოა. იგი ბევრი უცნაური და დღეს გაუგებარი მოვლენის გასაღებს გვაძლევს.

სახელდობრ, ჩვენ ვხედავთ, რომ პატარა იესეს სწავლა მეშვიდე წელში დაუწყია და მეცამეტეში დაუმთავრებია. უსწავლია შინაურულად. ზოგჯერ თითქოს შემთხვევით შეუძენია ესა თუ ის ცოდნა. მიუხედავად სასწავლო საგნების სიმცირისა და სასწავლო დროის, შედარებით, სიმოკლისა (6—7 წელი), სწავლა-აღზრდის ეს სადა სისტემა არაჩვეულებრივად ეფექტიანია. ამის ბრწყინვალე საბუთია იესეს ცხოვრების აღწერა, იესეს ხელით

<sup>1</sup> ნამდვილად—ათისა (6. ხუმოთ).

გადაწერილი წიგნები და მის მიერვე ბავშობაში შედგენილი ხუთასეული „ქორანიკონი“, ცხრილ-ცხავეებითურთ.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ბავშვის თანდაყოლილ ნიჰსაც და სხვა ინდივიდუალურ თვისებებსაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ არ შეიძლება უალრესად გონიერ პედაგოგიურ მეთოდად არ ჩავთვალოთ ბავშვისათვის საკმარისად რთული დავალებების მიცემის სისტემა, რომლის დროსაც დიდი ვასაქანი ეძლევა დამოუკიდებელ მუშაობას და ნორჩი ასაკიდანვე პასუხისგების გრძნობის აღზრდა-განვითარებას. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის გარემოცვა, რომელშიაც იმყოფება პატარა იესე. მას ახვევია ძველი კულტურული ტრადიციებით გაყვნილი გარემო.

საფუძვლიანი ცოდნის შეძენისა და გარკვეული ჩვევების დაუფლებისათვის იმ პერიოდში ხელის შემწყობი უნდა ყოფილიყო აგრეთვე მაშინდელი ცოდნის მთელი მოცულობის შედარებით ვიწრო ფარგლები.

#### „ქორანიკონი“-ს ანდერძის მეორე ნაწილის დაწმინდვის დრო

ანდერძის მხედრულად ნაწერი ნაწილის გამოთქმა: „დიდლ ყმაწვილი ვიყავ [„ქორანიკონის“ დაწერის დროს]“, — მოწმობს რომ ანდერძის პირველი და მეორე ნაწილის დაწერის დრო ერთმანეთისაგან საგრძნობი განაკვეთით ყოფილა დაშორებული.

მეტის ზედმიწევნობითაც შეიძლება დათარიღდეს ანდერძის მეორე ნაწილის დაწერა. ამ ნაწილში იესე, სხვათა შორის, იხსენიებს თავის ერთ-ერთ მასწავლებელს — იოსებს: „იოსებ გივს ამილახორს ახლდა, რომელიც [ივულისხმება იოსები და არა გივი ამილახორი] შემდგომად კათალიკოზ იქმნა“. იოსების „კათალიკოზ ქმნა“ ამ კონტექსტში წარმოგვიდგება არა დღევანდელ ან გუშინდელ ამბვად, არამედ წარსულის საქმეთ.

იოსებ [ჯანდიერი], რომლის სახელი „თავგადასავალშიაც“ იხსენიება („იოსებ მროველი“, გვ. 8), საკათალიკოსო კვერთხის მპყრობელი გახდა ანტონის განდევნის შემდგომ (1755 წ.) და ამ უკანასკნელის ექსპორიზაციიდან დაბრუნებისთანავე დასტოვა კათალიკოსობა (1762 წ.). ცხადია, ანდერძის მეორე ნაწილი 1755 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა. საფუძვრებელია, რომ იგი 60—70 წლებში არის დაწერილი, იმ ხანებში, როცა იესემ „იწყო წერად ცხოვრებისა“ თვისისა (1768 წ. „თავგადასავალი“, გვ. 3) და უეჭველია, თვალი მოავლო მთელ თავის წარსულს, დაბადებიდან სიმწიფის ასაკამდის. ბუნებრივია, რომ ამ ხანებში იესე თავისი სიყრმის ამ ნამუშავესაც გადაავლებდა თვალს, თუნდაც იმისთვის, რომ გამოეყენებია „ქორანიკონის“ არშიებზე მიწერილი თარიღები, შეილებისა და სხვა მახლობლების დაბადების შესახებ ცნობები (ეს თარიღები, გარკვეულ დრომდის, „ქორანიკონში“ მეტის ზედმიწევნობით არის ჩაწერილი, ვიდრე იესეს ცხოვრების აღწერაში).

#### „ქორანიკონი“

იესეს „ქორანიკონი“ იწყება 1 v-ზე, მეთოთხმეტე მოქცევის პირველი — ჩტივ [1313] წლით. თავდება 55 r-ზე, ამავე მოქცევის უკანასკნელი — ფლბ ქრონიკინით [1844 წლით]. ეს 532 წელი განაწილებულია ორმოცდაცამეტ სრულსა და ერთ ნაკლებოვან ჯახულით დახაზულ ორმაგ ცხრილ-ცხავეში, რომელსაც იესე „მოქადრაკულს“ უწოდებს. გადამლილი ხელნაწერის ყოველ მარცხენა და მარჯვენა გვერდზე მოთავსებულია თითო „მოქადრაკული“ 10×10 უჯრით. ეს წყვილი ცხრილ-ცხავე ერთ მთლიან „ქადრაკს“ წარმოადგენს და 20 კალენდარულ განაკვეთს შეიცავს: 1. ქორანიკონი [ქართული], 2. ზედნადები, 3. მთვარის მოქცევი, 4. ათცხრაშეტილი, 5. მზის მოქცევი, 6. ველთა, 7. შობა, 8. დიდი აღება და სხვ. უკანასკნელ უჯრაში „ქრისტესითგანი“ წელთაღრიცხვა აღინიშნება; უმეტეს

შემთხვევაში მაშინ, როცა ამ წლის გასწვრივ, არშიაზე ისტორიული ან ოჯახური ამბავი არის მიწერილი. იშვიათი გამონაკლისის სახით აღინიშნება „დასაბამითი“ წელთაღრიცხვაც (დახაზული უჯრების გარეშე).

იესეს ხელნაწერის უკანასკნელი ფურცლის (56) პირველ გვერდზე, „ქორანიკონის“ ცხრილ-ცხავების შემდეგ, სინგურით, სუფთად დახაზულ „მოქადრაკულში“ მოთავსებულია გამრავლების ტაბულა 100-ის ფარგლებში, შესრულებული მსხვილი, სუფთად ნაწერი არაბული ციფრებით. ტაბულის ზემოდან მხედრული ხელით გაკეთებული წარწერა: „ტაბ-ლიცა“ (პირველი ასო—ნუსხური) ამ ტაბულის რუსულ წარმოშობას ამჟღავნებს.

ცხრილ-ცხავების ირგვლივ, მარცხნივ და მარჯვნივ, განიერ არშიებზე, ალაგ-ალაგ მოთავსებულია მინაწერები. ამ მინაწერების დიდი ნაწილი (1 v—39 v) დაწერილია წერილი ნუსხური ხელით, რომელიც „ქორანიკონის“ ტექსტის ხელისაგან არ განსხვავდება, მხოლოდ მელანი მინაწერებისა ტექსტის მელანზე უფრო მკრთალია.

ნუსხური ხელით ნაწერი ნაწილი მინაწერებისა, „ქორანიკონის“ ამა თუ იმ წელთან დაკავშირებული ისტორიული ამბების მოკლე გადმოცემას წარმოადგენს, ხოლო 38 v-დან იწყება იესე ოსეს ძის ოჯახური ქრონიკა, დაწერილი წერილი მხედრული ხელით.

რომ ნუსხური და მხედრული მინაწერები მართლაც იესეს ეკუთვნის და მის ავტოგრაფს წარმოადგენს, ამას, გარდა ტექსტის ხელთან მსგავსებისა, თვით იესე გვამცნობს: „იესე ვრიცხავე. თქვენც იხილეთ“, მიწერილია 2 r მარჯვენა არშიაზე ნუსხური ხელით. „იესე ვრიცხავე“ განმეორებულია 18 r-ს მარჯვენა არშიაზე, წერილი, ლამაზი მხედრული ხელით.

თ. ყორდანიას სამართლიანი დასკვნით, ისტორიული მინაწერები ვახუშტის ისტორიის მიხედვით არიან შედგენილი. შეიძლება მეტიც ითქვას: ეს მინაწერები ვახუშტის ქართლის ისტორიის ერთგვარ კონსპექტს წარმოადგენენ.

მსგავსი კონსპექტი, რა თქმა უნდა, ვერ დაიწერებოდა ვახუშტის ისტორიული ნაშრომის დამთავრებისა და ამ ნაშრომის საქართველომდის მოღწევის უადრეს, ე. ი. XVIII საუკუნის 60 წლებამდის<sup>1</sup>.

ნუსხური ხელით ნაწერი (ისტ.) მინაწერები იწყება 1318 წლის თარიღით, ე. ი. „ბრწყინვალე გიორგის“ გამეფებით სრულიად საქართველოში, და თავდება 1744 წლის თარიღით: „მოსცეს მეფეს თეიმურაზს ქართლი [1743] და მეფეს ერეკლეს კახეთი ივლისს ულბ. ქრისტეს შემდეგ 1744“ (44 v, 45 r).

იესეს მინაწერებში ისტორიული ამბები გადმოცემულია სულ მოკლედ, გაცილებით უფრო შეკუმშული სახით, ვიდრე, მაგალითად, ვახუშტის „ქორანიკონებში“; რიცხობრივადაც გაცილებით უფრო ნაკლებია: ვახუშტის ქრონოლოგიაში 1318—1744 წწ. აღნუსხულია 266 ისტორიული ფაქტი (ნამდვილად გაცილებით მეტი, ვინაიდან თითო ამზაცში ზოგჯერ ათი და მეტი ამბავია ფიქსირებული). იესეს „ქორანიკონში“ 1318—1744 წწ. შუა—43 ისტორიული მინაწერია. ეს, ნაწილობრივ, იმითაც აიხსნება, რომ იესეს მხოლოდ ქართლის თავგადასავალი აინტერესებს. მაგრამ აქაც საკმარისად დიდ სიძუნწეს იჩენს ამბების გადმოცემაში.

განსაკუთრებით საოცარია, რომ მინაწერებში სრულებით არ ჩანს სწორედ ის ეპოქა, რომელსაც თვით იესე ეკუთვნის: 1676 წლიდან ვიდრე 1744-დე, ე. ი. 68-წლიანი პერიოდის მანძილზე მხოლოდ ორი ფაქტია აღნუსხული:

<sup>1</sup> ვახუშტის ისტორიის ბოლოში დართული „ქორანიკონების“ გავლენის კვალი იესეს მინაწერებში არ ჩანს.

გადაწერილი წიგნები და მის მიერვე ბავშობაში შედგენილი ხუთასეული „ქორანიკონი“, ცხრილ-ცხავებითურთ.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ბავშვის თანდაყოლილ ნიქსაც და სხვა ინდივიდუალურ თვისებებსაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ არ შეიძლება უაღრესად გონიერ პედაგოგიურ მეთოდად არ ჩავთვალოთ ბავშვისათვის საკმარისად რთული დავალებების მიცემის სისტემა, რომლის დროსაც დიდი გასაქანი ეძლევა დამოუკიდებელ მუშაობას და წორჩი ასაკიდანვე პასუხისგების გრძნობის აღზრდა-განვითარებას. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის გარემოცვა, რომელშიაც იმყოფება პატარა იესე. მას ახვევია ძველი კულტურული ტრადიციებით გაჯღენილი გარემო.

საფუძვლიანი ცოდნის შეძენისა და გარკვეული ჩვევების დაუფლებისათვის იმ პერიოდში ხელის შემწყობი უნდა ყოფილიყო აგრეთვე მაშინდელი ცოდნის მთელი მოცულობის შედარებით ვიწრო ფარგლები.

#### „ქორანიკონი“-ს ანდერძის მეორე ნაწილის დაწერის დრო

ანდერძის მხედრულად ნაწერი ნაწილის გამოთქმა: „დიად ყმაწვილი ვიყავ [„ქორანიკონის“ დაწერის დროს]“,—მოწმობს რომ ანდერძის პირველი და მეორე ნაწილის დაწერის დრო ერთმანეთისაგან საგრძნობი განაკვეთით ყოფილა დაშორებულნი.

მეტის ზედმიწევნილობითაც შეიძლება დათარიღდეს ანდერძის მეორე ნაწილის დაწერა. ამ ნაწილში იესე, სხვათა შორის, იხსენიებს თავის ერთ-ერთ მასწავლებელს—იოსებს: „იოსებ გივს ამილახორს ახლდა, რომელიც [იგულისხმება იოსები და არა გივი ამილახორი] შემდგომად კათალიკოზ იქმნა“. იოსების „კათალიკოზ ქმნა“ ამ კონტექსტში წარმოგვიდგება არა დღევანდელ ან გუშინდელ ამბვად, არამედ წარსულის საქმეთ.

იოსებ [ჯანდიერი], რომლის სახელი „თავგადასავალშიაც“ იხსენიება („იოსებ მროველი“, გვ. 8), საკათალიკოსო კვერთხის მპყრობელი გახდა ანტონის განდევნის შემდგომ (1755 წ.) და ამ უკანასკნელის ექსორიზიტიდან დაბრუნებისთანავე დასტოვა კათალიკოსობა (1762 წ.). ცხადია, ანდერძის მეორე ნაწილი 1755 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა. საფიქრებელია, რომ იგი 60—70 წლებში არის დაწერილი, იმ ხანებში, როცა იესემ „იწყო წერად ცხოვრებისა“ თვისისა (1768 წ. „თავგადასავალი“, გვ. 3) და შექველდა, თვალი მოავლო მთელ თავის წარსულს, დაბადებიდან სიმწიფის ასაკამდის. ბუნებრივია, რომ ამ ხანებში იესე თავისი სიყრმის ამ ნამუშავევსაც გადაავლებდა თვალს, თუნდაც იმისთვის, რომ გამოეყენებია „ქორანიკონის“ არშიებზე მიწერილი თარიღები, შვილებისა და სხვა მახლობლების დაბადების შესახებ ცნობები (ეს თარიღები, გარკვეულ დრომდის, „ქორანიკონში“ მეტის ზედმიწევნილობით არის ჩაწერილი, ვიდრე იესეს ცხოვრების აღწერაში).

#### „ქორანიკონი“

იესეს „ქორანიკონი“ იწყება 1 v-ზე, მეთოთხმეტე მოქცევის პირველი—**ჩტაგ** [1313] წლით. თავდება 55 r-ზე, ამავე მოქცევის უკანასკნელი—**ფლბ** ქრონიკინით [1844 წლით]. ეს 532 წელი განაწილებულია ორმოცდაცამეტ სრულსა და ერთ ნაკლებოვან ჯახულით დახაზულ ორმაგ ცხრილ-ცხავეში, რომელსაც იესე „მოქადრაკულს“ უწოდებს. გადაშლილი ხელნაწერის ყოველ მარცხენა და მარჯვენა გვერდზე მოთავსებულია თითო „მოქადრაკული“ 10×10 უჯრით. ეს წყვილი ცხრილ-ცხავე ერთ მთლიან „ქადრაკს“ წარმოადგენს და 20 კალენდარულ განაკვეთს შეიცავს: 1. ქორანიკონი [ქართული], 2. ზედნადები, 3. მთვარის მოქცევი, 4. ათცხრაშეტილი, 5. მზის მოქცევი, 6. ველთა, 7. შობა, 8. დიდი აღება და სხე. უკანასკნელ უჯრაში „ქრისტესითანი“ წელთაღრიცხვა აღინიშნება; უმეტეს



შემთხვევაში მაშინ, როცა ამ წლის გასწვრივ, არშიაზე ისტორიული ან ოჯახური ამბავი არის მიწერილი. იშვიათი გამონაკლისის სახით აღინიშნება „დასაბამითი“ წელთაღრიცხვაც (დახაზული უჯრების გარეშე).

იესეს ხელნაწერის უქანასკნელი ფურცლის (56) პირველ გვერდზე, „ქორანიკონის“ ცხრილ-ცხავების შემდეგ, სინგურით, სუფთად დახაზულ „მოქადრაკულში“ მოთავსებულია გამრავლების ტაბულა 100-ის ფარგლებში, შესრულებული მსხვილი, სუფთად ნაწერი არაბული ციფრებით. ტაბულის ზემოდან მხედრული ხელით გაკეთებული წარწერა: „ტაბულიცა“ (პირველი ასო—ნუსხური) ამ ტაბულის რუსულ წარმოშობას ამჟღავნებს.

ცხრილ-ცხავების ირგვლივ, მარცხნივ და მარჯვნივ, განიერ არშიებზე, ალაგ-ალაგ მოთავსებულია მინაწერები. ამ მინაწერების დიდი ნაწილი (1 v—39 v) დაწერილია წვრილი ნუსხური ხელით, რომელიც „ქორანიკონის“ ტექსტის ხელისაგან არ განსხვავდება, მხოლოდ მელანი მინაწერებისა ტექსტის მელანზე უფრო მკრთალია.

ნუსხური ხელით ნაწერი ნაწილი მინაწერებისა, „ქორანიკონის“ ამა თუ იმ წელთან დაკავშირებული ისტორიული ამბების მოკლე გადმოცემას წარმოადგენს, ხოლო 38 v-დან იწყება იესე ოსეს ძის ოჯახური ქრონიკა, დაწერილი წვრილი მხედრული ხელით.

რომ ნუსხური და მხედრული მინაწერები მართლაც იესეს ეკუთვნის და მის ავტოგრაფს წარმოადგენს, ამას, გარდა ტექსტის ხელთან მსგავსებისა, თვით იესე გვამცნობს: „იესე ვრიცხავ. თქვენც იხილეთ“, მიწერილია 2 r მარჯვენა არშიაზე ნუსხური ხელით. „იესე ვრიცხავ“ განმეორებულია 18 r-ს მარჯვენა არშიაზე, წვრილი, ლამაზი მხედრული ხელით.

თ. ჟორდანიას სამართლიანი დასკვნით, ისტორიული მინაწერები ვახუშტის ისტორიის მიხედვით არიან შედგენილი. შეიძლება მეტიც ითქვას: ეს მინაწერები ვახუშტის ქართლის ისტორიის ერთგვარ კონსპექტს წარმოადგენენ.

მსგავსი კონსპექტი, რა თქმა უნდა, ვერ დაიწერებოდა ვახუშტის ისტორიული ნაშრომის დამთავრებისა და ამ ნაშრომის საქართველომდის მოღწევის უადრეს, ე. ი. XVIII საუკუნის 60 წლებამდის<sup>1</sup>.

ნუსხური ხელით ნაწერი (ისტ.) მინაწერები იწყება 1318 წლის თარიღით, ე. ი. „ბრწყინვალე გიორგის“ გამეფებით სრულიად საქართველოში, და თავდება 1744 წლის თარიღით: „მოსცეს მეფეს თეიმურაზს ქართლი [1743] და მეფეს ერეკლეს კახეთი ივლისს ულბ. ქრისტეს შემდეგ 1744“ (44 v, 45 r).

იესეს მინაწერებში ისტორიული ამბები გადმოცემულია სულ მოკლედ, გაცილებით უფრო შეკუმშული სახით, ვიდრე, მაგალითად, ვახუშტის „ქორანიკონებში“; რიცხობრივადაც გაცილებით უფრო ნაკლებია: ვახუშტის ქრონოლოგიაში 1318—1744 წწ. აღნუსხულია 266 ისტორიული ფაქტი (ნამდვილად გაცილებით მეტი, ვინაიდან თითო აბზაცში ზოგჯერ ათი და მეტი ამბავია ფიქსირებული). იესეს „ქორანიკონში“ 1318—1744 წწ. შუა—43 ისტორიული მინაწერია, ეს, ნაწილობრივ, იმიტაცაინსება, რომ იესეს მხოლოდ ქართლის თავგადასავალი ანტერესებს. მაგრამ აქაც საკმარისად დიდ სიძუნწეს იჩენს ამბების გადმოცემაში.

განსაკუთრებით საოცარია, რომ მინაწერებში სრულებით არ ჩანს სწორედ ის ეპოქა, რომელსაც თვით იესე ეკუთვნის: 1676 წლიდან ვიდრე 1744-დე, ე. ი. 68-წლიანი პერიოდის მანძილზე მხოლოდ ორი ფაქტია აღნუსხული:

<sup>1</sup> ვახუშტის ისტორიის ბოლოში დართული „ქორანიკონების“ გავლენის კვალი იესეს მინაწერებში არ ჩანს.

1676 წლის გასწვრივ: „მეფე გიორგი მობრძანდა ქართლს“.

1743—1744 წლის გასწვრივ: „მოსცეს მეფეს თეიმურაზს ქართლი და მეფეს ერეკლეს კახეთი ივლისის უღბ. ჩღმდ ქრისტეს შემდეგ“.

ასე რომ, მთლად ცარიელია ის წლები, რომლებსაც ემთხვევა იესეს დაბადება, სიყრმე, დაეჯეკება. „ქორანიკონში“ ოდნავდაც არ ასახულა იესეს ცხოვრების აწერაში გადმოცემული თანამედროვე ისტორიული ამბების სიმდიდრე.

როგორც ვხედავთ, იესეს ხელით დაწერილი ქართლის ისტორიის მოკლე კონსპექტი საქართველოს წარსულის შესწავლის თვალსაზრისით თითქმის არაერთარ ინტერესს არ წარმოადგენს. მაგრამ ამ კონსპექტს სხვა მხრივ აქვს მნიშვნელობა. დიდად საყურადღებოა თუნდაც ის ფაქტი, რომ ვახუშტის ისტორია, როგორც ამას იესეს ქრონიკა მოწმობს, არა თუ იკითხებოდა XVIII საუკუნის 60—70 წწ. ქართველ ინტელიგენტთა წრეებში, არამედ, ეტყობა, ისწავლებოდა კიდევაც და, როგორც ჩანს, გარკვეულ გავლენასაც ახდენდა მკითხველთა მსოფლმხედველობაზე. ასეთი გავლენის კვალი იგრძნობა, მაგალითად, იესეს კონსპექტის 1615—1624 წწ. გასწვრივ მიწერილ ფრაზაში: „აქეთგან იპყრობდენ ქართველნი თვს თვსად და მოურავი იყო უუროსი რომელიც ქართლის ოხრება მისგან ჩანს“.

ეს ადგილი იესეს მიერ ისტორიული პიროვნების შეფასებისა და ამ პიროვნების მოღვაწეობისათვის ერთგვარი მსჯავრის დადების ცდას წარმოადგენს უეჭველია, ეს შეფასება ვახუშტის გავლენით ხდება.

სხვათა შორის, საფიქრებელია, რომ ვახუშტის ისტორიის სტილის გავლენით იყოს დაწერილი „თავგადასავალის“ ერთი ადგილი, სახელდობრ, ომარ ხანის შემოსევის გამო გოდება:

„ვაი, ვაი, და ვაი! რამდენი ღირსნი დედანი დატყვევდენ, რამდენი მღვდელნი მოიკლნენ, რამდენი სულნი... დაიკოცნენ, ხატნი და ჯვარნი პატიოსანნი შეიმუსრნენ!“<sup>1</sup>.

ეს ადგილი მოგვაგონებს ვახუშტის გოდებას 1723 წ. ლეკების შემოსევის დროს მიყენებული განადგურების გამო:

„ჩი, რაოდენნი ქალწულნი განიხრწნენ და ჰეშმარიტნი დედანი და მოწესენი ბოროტებითა და სისხლი მართალთა დაითხია უსჯულოთაგან!“<sup>2</sup>.

#### ოჯახური ქრონიკა

1684 წლიდან იწყება იესეს „ოჯახური ქრონიკა“. ამ წლის გასწვრივ მიწერილია: „ივლისის 25 ეფთვიმე ტფილელი დაბადებულა“ (38 v).

„თავგადასავალიდან“ ჩვენ ვიცით, რომ ეფთვიმე ტფილელი იესეს ბიძა იყო.

„ტფილელად ბიძა ჩემი ეფთვიმე ბრძანდებოდა“ (გვ. 7).

1687 წლის გასწვრივ ვკითხულობთ: „გაბრიელ დეკანოზი [დაბადებულა]“ (39 v).

1696 წლის გასწვრივ მიწერილია: დავით“ (იგულისხმება — „დავით დაბადებულა“ (40 v).

უკანასკნელ, 1698 წლის გასწვრივ აღნიშნულია იესეს მამის დაბადების ზედმიწევნითი თარიღი:

„ქ. ოსე, მამა ჩემი, დაბადებულა ამაში [ნოქემბ[რის] იზ“.

<sup>1</sup> „თავგადასავალი“, გვ. 136.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება. თბ. 1913, გვ. 130.

ამ ოთხი ადამიანის: ეფთვიმი ტვილელის, გაბრიელ დეკანოზისა, დავითის და, უკანსკნელ, ოსეს დაბადების აღნიშვნა ათიოდე წლის ფარგლებში, ერთმანეთის ზედმიყოლებით, გვაფიქრებინებს, რომ ამ პიროვნებათ ერთმანეთთან ვიწრო ოჯახური კავშირი უნდა ჰქონდეს. ჩვენ ვიციტ, რომ ამათგან პირველი, წლოვანებით უფროსი, მეოთხესი, წლოვანებით უმცროსის, ძმა იყო. ეს უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გაბრიელ დეკანოზიც და დავითიც ოსეს ძმები და იესეს ბიძები უნდა ყოფილიყვნენ. ეს დასკვნა მით უფრო საფუძვლიანად გვეჩვენება, რომ „თავგადასავალში“, ეფთვიმი ტვილელის გარდა, იხსენიება კიდევ ერთი ბიძა იესესი, რომლის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის ვიციტ, რომ ის დეკანოზი ყოფილა: „დეკანოზი, ბიძა ჩემი, თავისის შვილებით და სახლეულით ჩვენთან იღა“ (გვ. 15). ეს დეკანოზი უნდა იყოს 1687 წ. დაბადებული გაბრიელ დეკანოზი.

ოსეს დაბადების თარიღს თვითონ იესეს დაბადების თარიღი მისდევს და ამის შემდეგ, 1738 წ. გასწვრივ აღნუსხულია: „ქორანიკონი ესე დავეწერე ამაში“.

1741 წლის გასწვრივ: „კათლორია დავეწერე“.

1750 წლის გასწვრივ: „ნინიკა, ნინიკა დაიბადა მარტს კზ“. სახელი „ნინიკა“ ანუ „ნინია“ ერთგან „თავგადასავალშია“ არის მოხსენიებული: „ელისაბედის დაბადება ნინიას ქორწილის შემდეგ იყო“ (გვ. 60), აღნიშნავს პუნქტუალური იესე, რომელიც „ნინიას ქორწილის“ ამბავს იქვე, მომდევნო აზნაცუში გვიამბობს. „ქორანიკონს 455, იანვარს, ქრისტეს აქეთ 1767 ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან იოანე ჩემს ძმას ცოლი მოვეგვარე“... (გვ. 61). ცხადია, რომ სახელი „ნინია—ნინიკა“ წარმოადგენს იოანეს კნინობით სახელს. ეს მით უფრო უეჭველია, რომ 1750 წლის, ე. ი. 438 „ქორანიკონის“ თარიღს ქვეშ „თავგადასავალშია“ (გვ. 20) და „ქორანიკონშია“ აღნიშნულია იოანე ოსეს ძის დაბადების ფაქტი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ქორანიკონი მეტის ზედმიწევნილობით აღნიშნავს იოანეს დაბადების თარიღს.

1753 წლის გასწვრივ იესე აღნიშნავს: „მოლარეთხუცობა მიბოძეს“. ამისი მომდევნო საოჯახო ამბავი იესეს მამის—ოსეს—გარდაცვალება არის 1758 წლის აგვისტოს 14.

შემდგომი—1759 წლიდან იესეს უფროსი შვილის—ოსეს დაბადების თარიღით იწყება თორმეტამდე „პაწაწას“ გაჩენის ნუსხა: „ზაზა პაწაწა“, „გიორგი პაწაწა“, „პაწაწა ღიმიტრი“, „პაწაწა ელისაბედ“, „პაწაწა დათუა“ და სხვ.

ანდერძში ნაჩვენები თარიღები და „ქორანიკონის“ მოწმობა თითქმის მუდამ ემთხვევა და ავებს ერთმანეთს.

გაურკვეველია მხოლოდ:

I. ბარძიმ და ელენეს დაბადების დღე. „ქორანიკონით“ ეს ტყუბები 1775 წლის მარტის 29-ს დაბადებულან. „თავგადასავალით“ კი 1775 წლის მარტის 20 (გვ. 87). საყურადღებოა, რომ 90 გვერდზე (ს. კაკაბაძის გამოცემა) იესე თვითონ ასწორებს ამ თარიღს და სხვა, მესამე, ვარიანტს სწერს „...ქორანიკონს“ 463... მარტს 13, აქ უნდა ბარძიმისა და ელენეს დაბადება“.

II. „ქორანიკონში“ არ მოიპოვება ცნობა 1783 წელს ანასტასიას დაბადების შესახებ (ნ. „თავგადასავალი“, გვ. 127).

III. იესეს ხელით ნაწერი ნუსხის უკანასკნელი ცნობა არის 1781 წ. ისიდორეს მოხსენიება: „ისიდორე თებერვალს || ისიდორე“. ისიდორე, იესეს ერთ-ერთი ყმა, „თავგადასავალით“ „დაქლერქდა“ და მოკვდა არა 1781, არამედ 1782 წ. (გვ. 125).

## იმსე ოსეს ძის ბარდაცვალების თარიღი

„წელთა მრიცხველობად არა მცალს მე,  
არცა ჟამთა ამბავნი მეძიებიან მე“ („თავგადასავალ“, გვ. 21).

ოსეს იესეს ცხოვრების მიმართება უაღრესად ეგოცენტრულია. იესე მუდამ შეგნებულად იმიჯნება ყოველივე საზოგადოებრივისაგან და ცდილობს ჩაიკეტოს მარტოოდენ პირად ინტერესებში.

ყოველი ისტორიული „წიადსლა“ მას ერთნაირ ნებეირობად, გაუმართლებელ დროს დაკარგვად მიაჩნია: „რად მინდა ამის წერა!“ (გვ. 113), „რას ეაქნევ ამ ამბებსა!“ (გვ. 121) აღშფოთებით შემოსძახებს ხოლმე თავის თავს იესე ასეთ შემთხვევაში და ერთგან თავს მით ინუგეშებს, რომ ეგების მის შვილებს გამოადგეს ეს ამბები (გვ. 113).

საბედნიეროდ, „კალმისა აფრა თვით აიძულებს“ ამ ნიჭიერ ადამიანს კერძო ცხოვრების აწერაში ისტორიული ამბების შთაწერად და, მიუხედავად საქვეყნო ამბების შეგნებულად უგულვებელყოფისა, იესეს „თავგადასავალი“ XVIII საუკუნის ისტორიისათვის შესანიშნავ წყაროდ ხდება.

ეს იმიტომ, რომ სინამდვილეში არ არსებობს გარდუვალი მიჯნა საზოგადო და კერძო ცხოვრებას შუა. ყოველი კერძო პიროვნების ცხოვრება, აუცილებლობის ძალით, ისტორიული ქსელის გარემოცვაში იშლება. აი ამიტომ ვერ აღწევს თავს იესე საზოგადოებრივი ვითარების ასახვას. კერძო ამბებში ჩაკეტვა განსაკუთრებით ძნელ ამოცანას წარმოადგენს სწორედ იესესთვის, ვინაიდან მისი ცხოვრება დაბადებიდან ვიდრე აღსასრულამდე განზომილია მძაფრი ისტორიული ბედუქულმართობით. წინააღმდეგ მისი პირადი სურვილისა, ისტორია ნიადაგ კვლადაკვალ სდევს მას და მოქმედობს მისი პატარა, პირადი მიზნების წარმატებასა თუ მარცხზე. იგივე ისტორია განსაზღვრავს იესეს დაბადების პირობებს და მისი გარდაცვალების საბაბსაც.

მოვიგონოთ იესეს „თავგადასავალის“ დასაწყისი:

„...და მე უბადრუკი მუნ დავიბადე საჯავახიანოსა მთასა შინა; ლეკთაგან დახიხნულთა ერთა შინა“.

და გავეცნოთ იესეს გარდაცვალების ამბავს, მისი „ქორანიკონის“ ერთ-ერთ მინაწერში აღბეჭდილს.

„თავგადასავლიდან“ ვიცით, რომ 1784 წლის ღვინობისთვიდან, როცა იესეს ოჯახს „საჭადი შემოუდგა“ (გვ. 130), სიკვდილი იესესთვის ხელშესახებ, სულ ახლო მომავალში აღსასრულებელ აქტად გადაიქცევა.

ამ დროიდან იესე არაერთგზის იძლევა განკარგულებებს: დასაფლავების, ვალების გადახდის, ქალების დათხოვებისა და მისი გარდაცვალების შემდეგ სისრულეში მოსაყვან სხვა საურავის შესახებ (გვ. 130, 131, 134—135).

1786 წლის აგვისტოს 9-ს იესე თავისი ანდერძის უკანასკნელ სტრიქონებს სწერს. ამ დღეს იგი მიემგზავრება გაქცეული ოსეს მოსაყვანად.

სამოც წლამდის მიღწეული ჰირგადახდილი იესე „რუსის მიზეზით ქართველების დიდად მოძულე“, დღემდის უნახავ „არეულ ქვეყნებში“ მიდის. ის ცხადად გრძნობს არა თუ სიკვდილის შესაძლებლობას და მოსალოდნელობას, არამედ აუცილებლობასაც. შეიძლება ითქვას, რომ იესე სასიკვდილოდ მიემგზავრება:

„რა ვიცი ჩემი სიკუდილი რით იქნება, სწერს ის,—თუ მტრით მოჰხდება, ხომ ყველა დაიკარგება და თუ დღით მოჰხდება, რაც დამრჩება, თქვენ იცით. ქალების მოვალეს ნუ დამავდებთ.“

იოანე, ჩემო შვილო, შენ იცი. ჩემს სულს შენ გაბარებ. როგორც მიჭირდეს, ისე მომიარე, ღვთის გულისათვის.

მშვიდობით, შვილნო, მშვიდობით, მოყვასნო, მშვიდობით მწყალობელნო. ქრისტემ შეგვკრიბოს სასუფეველში“.

ასე სწერს იესე 1786 წლის 9 აგვისტოს.

ხოლო მისი „ქრონიკის“ 49 ფ. ამავე 1786 წლის გასწვრივ, მისი საიმედო ძმისა და „შვილის“—იოანეს ხელით ჩაწერილია:

„აქ, ვამე, ძმა და მამა და რავდენ რა ჩემთვის მსაჯული იესე მიიცვალა და მოკუდა ლეკთაგან. აგვისტოს ია. წლისა 58“.

ამგვარად, იესე, დაბადებული 1728 წლის ნოემბრის 10-ს „ლეკთაგან დახიზნულთა ერთა შორის“ 58 წლის შემდეგ ლეკთაგან პოულობს სიკვდილს.

კაცი, რომელსაც ცხოვრების ერთადერთ მიზნად „მყუდროებით ყოფა“ და ოჯახური კეთილდღეობა აქვს დასახული, ლეკების ტყვეით განგმირული განუტევებს მღელვარებითა და ზრუნვით დაქანცულ სულს.

ამ შესანიშნავი ადამიანის ბედზე არანაკლებ ტრაგიკული ჩანს მისი ხელით ნაწერი „ქორანიკონის“ ბედი. ხელნაწერის უკანასკნელ (56 v) გვერდზე, უცხო ადამიანის მსხვილი მხედრული ხელით მიწერილია<sup>1</sup>:

„1795 წელს, ოდეს ტფილის[ი] ალაოხრა ხოჯამ, მაშინ დატყვევებულ იყო ეს პასხალია და სპარსეთით მოეტანათ ასტრახანს. და მას ჟამსა შინა მე, მდაბალი ეპისკოპოსი გრიგოლ ხარჭაშნელი, ასტრახანს ვსცხოვრებდი და მოვიყიდე ეს პასხალია და ვაჩუქე ჩემს დისწულს გრიგოლ დიაკონს. ჩემად მოსახსენებლად“.

როგორის მჭერმეტყველებით გვიხატავს ქვეყნის ბედ-იღბალს შემთხვევით ისევ საქართველოში დაბრუნებული პატარა ხელნაწერის ბედი და კიდევ უმეტეს—მისი დამწერის დაბადებისა, მღელვარებით სავსე ცხოვრების და საბედისწერო აღსასრულის უტყუარი ამბები.

<sup>1</sup> ხარჭაშნელის ამ მინაწერის მდებარეობა მოწმობს, რომ 1795 წლამდის იესეს „ქორანიკონი“ ცალკე ხელნაწერი ყოფილა და მხოლოდ ამ წლის შემდეგ მოუთავსებიათ ყდაში A 637-ის დანარჩენ ორ ხელნაწერთან ერთად.

**ანდერძი**

ეს წიგნი ოსეს ძის იესესია. ვინც  
მოიპაროს, სიონი გაუწყურეს. ქს უკვ  
მოვეყე მარტს იე. ზარაფიანთას<sup>1</sup>.

გავათავე აგვისტოს ქქს ოკვ<sup>2</sup>.

ქ. ესე გულად იხვენ მეძიებელი: რ' ესე მოჭადრაკ-  
ული მარხვისა დამდეგსა დანიშნავს და ისე ბოლოდ  
კერძოდ ქორაკონი რ'მე ქართულია, ისი აღების  
ღამესა. ორივ რა დასრულდება, თავსავ მოჰყვება<sup>3</sup>.

ქ. ეს ქორანიკონი ჩემმა ემბაზით აღმომქუმე-  
ლმა—მაშინ მართლ მაღიდებელი იყო სამე—,  
ვახტანგ ორბელიანმა მოიტანა რუსეთით და მამა  
ჩემმა—ოსემ ინება ამისი გარდმოწერა. რიცხვი  
ნულით იყო. მე არ ვიცოდი ნულა. დიად  
ყმაწცილი ვიყავ თერთმეტის წლისა. იოსებ  
გივს ამილახორს ახლდა, რომელიც შემდგომად კათალიკოზ  
იქმნა—მე ბანგუასთან ვიყავი—. იგი მითარგმნიდა  
და ვსწერდი. თერთმეტის წლისა<sup>4</sup> ვჯაზვლე-  
ვდი და ვსწერდი. დაუსრულებელია: რა რომ  
გათავდება, თავსავ მოჰყვება.

**იესე ოსეს ძის მინაწერები**

იესე ვრიცხავ. თქვენც იხილეთ<sup>5</sup> (2 r).

1318

ბწყინვალე [!] გიორგი, მეფე სრულიად საქართველოსი, ძის ძე დიმიტრი თავ დადე-  
ბულისა, ოა მეფე ქართლს [მეფედ დაჯდა] (1 v).

<sup>1</sup> ეს სამი სტრიქონი ერთმანეთზე მიყოლებით არის დაწერილი, თავში.

<sup>2</sup> ეს მეოთხე სტრიქონი ქვემოთ სწერია, თითქმის შუა ადგილას. აქამდის ნუსხური ხელით არის  
წაწერი ანდერძი, ამის ქვემოთ—მხედრულით.

<sup>3</sup> ეს უქანასქნელი ფრაზა უფრო მკრთალი მელნით სწერია. აჩქარებული ხელით.

<sup>4</sup> 1728 წ. ნოემბერში დაბადებული იესე 1738 წ. აგვისტოში ათი წლისაც ვერ იქნებოდა.

<sup>5</sup> მარჯვენა ნაპირზე, ზემოთ, პირველი წლის (1314) გასწვრივ.

1346

ბწყინვალე[!] გიორგის ძე დავით მეფედ[დაჯდა] (5 v)

1360

[დაჯდა] დავითის ძე დიდი ბაგრატი. ამან გაჰყარა ბარათიან[ნი] (6 v)  
მოვიდა ლანგ თემურ,  
პირველი მოსულა ლანგ თემურისა (7 r)

1395

დაჯდა ძე მისი [!] გიორგი. ამის ზე ხუთჯერ მოვიდა ლანგი (10 v)

1414

დაჯდა ძე მისი ალექსანდრე, მცხეთის აღმშენებელი (14 v).

1442

დაჯდა ძე მისი ვახტანგ (14 v)

1445

დაჯდა ძმა მისი გიორგი. ამის ზე იყო აღბულა, რომელმან სამართალი დაწერა. და  
კოსტანტიპოლე აიღეს (15 v).  
აქ აიღეს კოსტანტიპოლე (16 r) (მარჯვენა ნაპირზე)

1469

კოსტანტიპოლე<sup>1</sup>, ძე გიორგისა, მეფედ [დაჯდა] (17 v)  
იესე ვრიცხავ<sup>2</sup> (18 r მარჯვენა არშიაზე)

1477

[დაიპყრა იმერეთი კოსტანტიპოლე]<sup>3</sup> (18 v)

1478

უზუნ ასან ყეენმა მოარბივა ქართლი და მოკვდა (18 v)

1496

გამოჩნდა შაისმაქილ  
ყრმა ვიყავ. აქ ამრევია. ღეთის გულსათვის გამართეთ<sup>4</sup> (20 v)

1505

დაჯდა ძე მეფის კოსტანტინესი, დავით, მეფედ (21 v)

1513

სიკვილი ავეგიორგისა მტკვრის ციხეს და დაპყრობა კახეთისა დავითისაგან (21 v)

1518

მოსლვა ქართლს შაჰ ისმაილისა. გამარჯვება და აღწოცა ქართველთა. აღება ტვილი-  
სისა. მოწყვეტა ყოველთა. გაძ[ა]რცვა ყოველად წმიდის ხატისა და შთავდება მტკვარსა.  
აღშენება საეშმაქოსა მეჩიტისა ვიდის ყურსა (22 v).

<sup>1</sup> მხედრულად.<sup>2</sup> მხედრულად.<sup>3</sup> გადახაზულია.<sup>4</sup> ამ ადგილას, რე ქორანიკონის გასწვრივ, რე, რეა, რეზ და მომდევნონა ამოშლილი და შესწო-  
რებულია: რე-დან (1502)—სიგ-მდე (1525).

1520

გაემარჯვა მეფეს ლეონს მეფეს დავითზე. დაიპყრა კახეთი ლეონ. გურიელმან შვარია ორნივე (23 r)

1523<sup>1</sup>

დაჯდა შაჰთამაზ (22 v)

1524

თვით მეფე დავით შემონახუნდა. პირველ აღიღო ტფილისი და აღჯაყალა. და მერმე ძმასა თვისსა შეჰვედრა ქართლი, გიორგის (22 v)

1526

აქ მოსწერა სულტან სულეიმან სამთა მეფეთა: იეროსალიმის გამოკსნა. წარვიდნენ სიხარულით და დაიკსნეს იეროსალიმი. და მაშინ მოსცა საფლავი ქრისტესი და გოლგოთა ქართველთა (23 v)

1534

დაუტევა ამანცა [!] მეფობა. იქმნა მონახონ და ყო მეფედ ძმის წული თვისი ლუარსაბ, დავით მეფის ძე (23 v)

1536

მოვიდა შაჰთამაზ. მოწვა ტფილისი და დაიპყრ[ა] ციხე (24 v)

1539

ლუარსაბ აღიღო ტფილისი (24 v)

1548

შაჰთამაზ აღიღო ტფილისი. ბირთვისი ვერ აღიღო. მოატყუა, ეფიცა და ყალბი უყო ატენის ციხე [!] და მეფის ლუარსაბის დედა წარიყვანა (25 v)

1558

სიკვდილი დიდის ლუარსაბისა და მეფობა ძისა მისისა სჯომონისი (26 v)

1567

აქ დაუთ ხან გაათათრდა. მისცა [ყვენმა] ქართლი, მარა [!]² ვერ დაიპირა (27 v)

1569

ყორღანაშვილის მიზეზით შეიპყრეს მეფე სვიმონ (27 v)

1576

მოკვდა შაჰ თამაზ. დაჯდა ძე მისი შა ისმაილ (28 v)

1577

მოკლეს სუნობისათვის ესე და დასვეს ძმა ამისი შაჰხუდაბანდ ბრმა. ამან გამოგზავნა სვიმონ მეფე ქართლს. ოსმალთ ეპყრათ ქართლი. გაყარა სვიმონ (28 v).

1586

შაჰ ხუდაბანდ შეიპყრეს სპარსთა და დასვეს ძე მისი შაჰაბაზ 3 წლისა (29 v).

1588

დაიპყრა იმერეთი მეფემ სვიმონ (29 v)

<sup>1</sup> თავდაპირველად აქ ჩვკდ ყოფილა დაწერილი, შემდეგ დ გადაუსწორებიათ გ-თ.

<sup>2</sup> საყურადღებოა რომ „თავგადასაყალში“ მრავალ ადგილას ხმარებული „მარა“ აქაც გვხვდება.



1600

შეიპყრეს ოსმალთ მეფე სვმონ. დაჯდა ძე მისი გიორგი (30 v)

1603

მოკ[ვ]და მეფე გიორგი. დაჯდა ძე მისი ლუარსაბ (30 v)

1615

მოვიდა შაჰაბაზ. დაიპყრა ქართლი და წაიყვანა ლუარსაბ და აწამა (32 v)

1624

აქეთგან<sup>1</sup> იპყრობდენ ქართველნი თვს თვსად და მოუზავი იყო უფროსი. რომელც ქართლის ოჯრება მისგან ჩანს (32 v)

1628

მოკ[ვ]და შა[ჰ]აბაზ. დაჯდა ძე მისი შაჰსეფი (33 v)

1634

მოსცა [შაჰსეფი] ქართლი როსტომ მეფეს (33 v)

1642

მოკვდა შა სეფი. დაჯდა შაბაზ მცირე (34 v)

1659

[!] მოკვდა როსტომ. დაჯდა მეფე შაჰნაეზ (36 v)  
მოკლეს ზაალ ერისთავი<sup>2</sup>.

1663

[!] მოსლვა შეფის ერეკლეს რუსეთით (36 v)

1676

მეფე გიორგი მობრძანდა ქართს[!] (38 v)

1684

ეთთვიმე ტფილელი დაბადებულა ივლისს კ<sup>ე</sup> (38 v)<sup>3</sup>

1687

ქ. გაბრიელ დეკან<sup>ზ</sup>ი [დაბადებულა] (39 v)

1688

მოსცეს მეფეს ერეკლეს ქართლი (39 v)

1696

ქ. დავით [დაბადებულა] (40 v)

1698

ქ. ოსე, მამა ჩემი, დაბადებულა ამაში [ნოქემბ... იზ (40 v)

1728

ოსეს იესე აქ დაბადებულა. ქ. ამაში. || ოსეს იესეს შობა.  
ნოემბრის ი<sup>4</sup>. (43 v—44 r)

<sup>1</sup> სიტყვა „აქეთგან“ ზემოთ არის დაწერილი, მოშორებით, 1615 წლის უჯრასთან მიწერილი ტექსტის გაგრძელების სახით. დანარჩენი ტექსტი იწყება 1622 წლ. უჯრასთან, თავდება 1624 წლის უჯრასთან.

<sup>2</sup> გაურკვეველია—რომელ წელს მიეწერება ზაალ ერისთავის მოკვლის ამბავი.

<sup>3</sup> ამ მინაწერიდან მხედრული ხელით იწერება მინაწერები.

<sup>4</sup> „ნოემბრისი“ ვერტიკალურად სწერია. მეორე ნახევარი ამ მინაწერისა მოთავსებულია 44-რ-ს მარჯვენა არშიაზე, შეტომით 1729 წლის გასწვრივ.

- 1738  
ქორანიკონი ესე დავწერე ამაში (44 v)
- 1741  
კათ[ი]ლორია დავწერე (44 v)
- 1744  
მოსცეს მეფეს თეიმურაზს ქართლი და მეფეს ერეკლეს კახეთი. ივლისს უღბ (44 v)
- 1750  
ნინიკა || ნინიკა დაიბადა მარტს კბ (45 v—46 r)
- 1753  
მოლარეთხუცობა მიბოძეს (45 v)
- 1758  
ოსე, მამა ჩემი მიიცვალა, აგვისტოს იდ. წლისა: ა სამი ზვე უკლდა (46 v)
- 1759  
ჩემი ოსე (46 v)
- 1761  
ქ. ზაზა პაწაწა. ოკტონბერს იმ (46 v)
- 1763  
გიორგი პაწაწა [ნო]ენბერს გ (46 v)
- 1765  
პაწაწა დიმიტრი. მაისს იე || დიმიტრი დაიბადა მაისს იე (47 v—48 r)
- 1767  
პაწაწა ელისაბედ. თებერვლის ივ. || პაწაწა ქალი (47 v—48 r)
- 1768  
პაწაწა დათუა აგვისტოს კბ || დათუა აგვისტოს კბ (47 v—48 r)
- 1770  
პაწაწა ბაბალე დაიბადა ქრისტეს შობის დ || ჟამნობა (47 v—48 r)
- 1772  
ქ. პაწაწა ბიჭი ოკტონბერს ზ || ამირან დაიბადა (47 v—48 r)
- 1773  
ნისტორ ოკტონბერს კვ (47 v)
- 1775  
ქ. ბარძიმ და ელენე მარტს კთ || ლუკა ოკტონბერს იმ (48 v—49 r)
- 1776  
მინა ქრისტეს შობის დ
- 1779  
დარეჯან ოკტონბერს [?]
- 1781  
ისიდორე თებერვალს || ისიდორე

## იოანე ოსეს ძის ხელით

1786

აქ, ვამე, ძმა და მამა და რადენ რა ჩემთვის, მსაჯული იესე მიიცვალა და მოკუ-  
და ლეკთაგან. აგვისტოს ია. წლისა 83.

1788

აქ კათალიკოსი ანტონი მიიცივალა, საქართველოს მნათობი. თებერვარს კთ: გ ჟამსა ღამისასა.

**გრიგოლ ხარკაშნელის (სეფაშვილის) ხელით<sup>1</sup>**

1735.

ჩღ 35[!] სეფაშვილი გრიგოლ ხარკაშნელი აქ დაიბადა სეკლემბერს კმ (44 v—45 r)  
აქ მოვიდა თამას ხანი ტფილისს (45 v)

1747

აქ მოკლეს თამას ხან (45 v)

1749

ამ წელს თამაზ მოურავი გა[ა]გდო მეფემ ერეკლემ რუსეთს და ძმა მისი ალავერ-დელიც თან გაყვა თავის ძმას. ერთმანეთი დიდად უყვარდათ, მარ[ჩ]ბივნი იყვნენ.

1793

ისევ მოვიდა ალავერდელი ნიკოლოზ რუსეთით, რომელსაც რუსნი მართალს უწოდ-  
[დ]ენ და თუშსა [!] ჟ-ს წლისა და მიიღო თვისივე სამწყსო და მიიცივალა კეთილად  
და კეთილმრავლობით ჩღჟჟ, აპრილის იწ. რომელიც იყო წლისა ჟიჟ წლისა [!], ერთის  
თვისა და ლ დღისა, ტფილისით ალავერდს მიღებულ არს და დაფლულ (48 v—49 r)

1795

აქ ტფილისი წარტყენა ხოჯა ხანმა. ო რუსეთის იმპერატრიცამ გაუსივა დიდი  
ჯარი და ხოჯა დაიშალა თე[ი]რანში.

მეორეს წელს მოკლეს ხოჯა ხანი შუშის სამმა თავისმა მსახურმა, რომელიც ითარ-  
გმანება სამებამ მოკლა (50 v—51 r)

1798

სანატრელი მეფე ირაკლი მეორე მიიცივალა წლისა სამეოცდა ათ სამეტისა, ქართულს  
ქს უჰე [!], იანვრის ია. დღესა ორშაბათსა. განთიადის ჟამს. ქრისტეს აქეთ ჩღჟჟ (49 v).

1795 წელს, ოდეს ტფილისი[ი] ალაობრა ხოჯამ, მაშინ დატყვევებულ იყო ეს პასხალია და  
სპარსეთით მოეტანათ ასტრახანს. და მას ჟამსა შინა მე, მდაბალი ეპისკოპოსი გრიგოლ  
ხარკაშნელი ასტრახანს ვსცხოვრობდი [!] და მოვიყიდე ეს პასხალია და ვაჩუქე ჩემს დის  
წულს, გრიგოლ დიაკონს, ჩემად მოსახსენებელად (56 v).

<sup>1</sup> ხარკაშნელის მინაწერები დაწერილია მეტად მკრთალი, მოკვითლო მელნით. უღამაზო ხელით, უმეტეს ნაწილად—მხედრულით, ხშირად—ნარგვით, მხედრულ-ნუსხურიით.

### 3. უპოუზიძე

## არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ

ირანელმა ისტორიკოსმა ქესრევი თავრიზელმა (كسروی تبریزی) ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა სამ წიგნად საინტერესო და სასარგებლო ნაშრომი, საერთო სახელით: شهریاران گمنام — „დავიწყებული ხელმწიფენი“, სადაც მას შეკრებილი აქვს ცნობები ირანის იმ წვრილი მუსლიმანური დინასტიების შესახებ, რომელთაც არაბულ-სპარსული მსოფლიო ისტორიებისა თუ ვრცელი ისტორიული მზნოგრაფიების ავტორები არ იცნობენ, ხოლო ზოგიერთი მათგანის შესახებ არც ევროპელ მეცნიერებს აქვთ ცნობა.

ამ გამოკვლევის მესამე წიგნში, რომელიც შედარდებისადმი მიკუთვნილი<sup>1</sup>, ქესრევი ეხება თბილისის ამირა ჯაფარის ისტორიას<sup>2</sup> და წიგნის ბოლოში ამ საკითხზე დართულ მეორე დამატებაში<sup>3</sup> იხსენიებს არაბ ისტორიკოსს ფარყი რომლიდანაც მოჰყავს შემდეგი ცნობა ამირა ჯაფარის გვარის შესახებ. ეს ცნობა მას დასჭირდა ჯაფარიდების ბატონობის ხანგრძლიობის გასარკვევად.

ქესრევი ამბობს: ჩვენ ვთქვით თბილისის ბატონი (خداوند), ამირა ჯაფარი, ჯუან-შერის ისტორიის გარდა, არსად იხსენიება, მაგრამ, განავრძობს ის: فارقی که یکی از بهترین تاریخنگاران اسلام است و خویشتن زمانی در سرای دیمتری پادشاه گرجستان بسر میبرد و از اینرو آگاهیهای بسیار سودمند در باره گرجیان و ارمنیان دارد در سال ۵۱۵ هـ منویسد: «مردم تفلیس پیش نجم الدین ایلغازی فرستاده خواستندش که تفلیس را بدو سپارند که چهل سال کمایش بدست خود مردمانش بود. فرمانروایان آنان گروهی بنام «خاندان جعفر» (بنو جعفر) بودند که از دوست سال حکمرانی داشته و نابود شده بودند و رشته حکمرانی بدست خود مردم افتاده بود که هر ماد یکی بدست میگرفت و چهل سال بدینسان گذرانیده بودند».

«ფარყი, რომელიც ისლამის (არაბთა) ერთი საუკეთესო ისტორიკოსთაგანი არის და ერთხანს თვით ცხოვრობდა საქართველოს მეფის დემეტრეს სასახლეში, რის გამოც ძალიან სასარგებლო ცნობები მოეპოვება ქართველებისა და სომხების შესახებ, 515 (= 1121) წ. ქვეშ წერს, რომ „თბილისის ხალხმა ნეჯმ ად-დინ ილ-ლაზისთან<sup>5</sup> [კაცი] გაგზავნა და

<sup>1</sup> شهریاران گمنام بخش سومین شادادیان نگارش كسروی تبریزی طهران ۱۳۰۸. წიგნს ინგლისური სათაურიც აქვს: The Forgotten Rulers (Shaddadits), by S. A. Kasrawi Tabrizi, vol. III. Teheran, 1930.

<sup>2</sup> გვ. 28.

<sup>3</sup> გვ. 75.

<sup>4</sup> ქესრევი სარგებლობს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანით, რომელიც ვენეციაში იყო გამოცემული, და ჰგონია, რომ ჯუანშერმა სომხურად დასწერა ეს შრომა.

<sup>5</sup> ნეჯმ ად-დინ ილ-ლაზი, ორთუკიდების დინასტიის მარდინის შტოს დამაარსებელი და ჯვაროსნების ერთი უძლიერესი მოწინააღმდეგეთაგანი, 1108—1122 წწ. (С. Лэн-Пуль, Мусульманские династии, გვ. 140).

სთხოვა ჩაებარებია თბილისი, რომელიც ორმოც წელს, დაახლოებით, თვით ხალხის ხელში იყო. მათი (თბილისელების) ხელმწიფეები იყო ჯგუფი ხალხისა, სახელად „ჯაფარის გვარი“ (ან „ჯაფარის სახლი“), რომელსაც ორას წელს ეპყრო ბატონობა და შემდეგ მოისპო და გამგებლობა თვით ხალხს ჩაუყარდა ხელში. ყოველ თვე თვითეული [ამ ხალხიდან] იღებდა ხელში [გამგებლობას] და ასე გაატარეს ორმოცი წელიწადი.

იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკი, რომელსაც ასეთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება თბილისის შესახებ, დაბადებულია ჰიჯრის 510 (=1116) წელს მაჰადფარიკინში<sup>1</sup>. მას ბევრი უმოგზაურნია სირიაში, სამჯერ ყოფილა ბაღდადში, 1153 წ. საქართველოშიც ჩამოსულა მეფის დემეტრე პირველის კარზე სტუმრად. 1158 წ. ფარიკი ხლათშია, ხოლო 1166 წ. ის ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელად ყოფილა მაჰადფარიკინში. შემდეგ წელს მას უკვე დამასკოში ეხედავთ. 1170 წ. ის სამშობლოში დაბრუნებულია, მაგრამ 1175 წ. ისევ წასულა ხლათში. როდის გარდაიცვალა ეს ისტორიკოსი-მოგზაური—ცნობილი არ არის, ხოლო 1175 წ. ის ცოცხალი ყოფილა. თავისი შრომა, „მაჰადფარიკინის ისტორია“ ფარიკის ჰიჯრის 560 (=1165) წ. დაუწერია. ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია ორი ხელნაწერი ამ შრომისა, ერთი (Or 5.803) თითქმის სრული, ჰიჯრის 572 (=1176/77) წ. გადაწერილი, მეორე (Or 6.310)—უფრო ძველი, ჰიჯრის 560 (=1164/65), მაგრამ ფრაგმენტალური. ფარიკის ნაშრომით უსარგებლნია არა ერთს არაბ ისტორიკოსს, მათ შორის იბნ ალ-კალანისის, რომელსაც ვრცელი ადგილები გადმოუღია მისგან თავის „დამასკოსის ისტორიაში“<sup>2</sup>.

ქ. მაჰადფარიკინის შესახები სამი არაბული საისტორიო ძეგლის აღწერის დროს, რომელთაგანაც ერთი ფარიკის „ისტორია“, Amedroz-ი გადმოგვცემს უფრო დაწერილებით ცნობებს ჩვენი ავტორისა და მისი შრომის შესახებ<sup>3</sup>.

„მაჰადფარიკინის ისტორიაში“ ფარიკი გვიამბობს თბილისის აღების შესახებ დავით აღმაშენებელის მიერ 515 (=1121/22) წ. ნეჯმ ოდ-დინ ალ-ლაზის და მისი მუსლიმანი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ ქალაქ გარეთ გამართულ ბრძოლაში<sup>4</sup> და აღნიშნავს, რომ მაშინ ქართველების მიერ ტყვედ წაყვანილი მუსლიმანები ახლაც ტყვეობაში არიანო. ავტორს უნახავს ამ დიდი ბრძოლის ველი, როცა მიემგზავრებოდა თბილისში 548 წ. დემეტრე მეფის კარზე. შემდეგ ფარიკი მოგვითხრობს, რომ ის თან ახლდა მეფეს, როცა უკანასკნელი თავის სამეფოს მოსაველელად გაემგზავრა. ეს მგზავრობა 70 დღეზე მეტ ხანს გაგრძელებულია. მათ გაუფლიათ აბლანი (უნდა იყოს, ალბათ, ალბანი), დარბუზანდი და გადასულან აფხაზეთში. აქ ისინი გაჩერებულან ციხეში, რომელშიც, მეფის სიტყვით, იმყოფებოდა ერთი ტყვე ილ-ლაზის ლაშქრიდან. ფარიკის გადაწყვეტილი ჰქონია ენახა მეორე დღეს ეს ტყვე და გაეგო მისი ვინაობა, მაგრამ იმ ღამეს მოსულა რაღაც ამბავი არეულობის შესახებ, რის გამოც მეფე და მისი სტუმარი იძულებული ყოფილან მოულოდნელად გასულიყვნენ ციხიდან. ამ გარემოებას ხელი შეუშლია ჩვენი ავტორისათვის ენახულა ტყვე.

თავის შრომაში ფარიკის აღნიშნული ჰქონია ის დადგენილებები და კანონები, რომლებიც მისი დროის თბილისის მაჰმადიანებს ეხებოდა. ამ კანონებს ის ახასიათებს, როგორც არაჩვეულებრივ ხელსაყრელს და შენიშნავს, რომ 548 (=1153/54) წელს ისინი ისევ

<sup>1</sup> Prof. Dr. C. Brockelmann, GAL, I Supplementband, გვ. 569.

<sup>2</sup> ქსრევი თავრიზულს მითითებული აქვს ამ შრომაზე, როცა თბილისის შესახებ ცნობა მოჰყავს. شهریاران گمان, III, გვ. 75, შენ. 2.

<sup>3</sup> Three Arabic Mss. on the History of the City of Mayyāfariqin, by H. F. Amedroz—JRAS 1902, გვ. 725.

<sup>4</sup> დიდგორის ბრძოლა, როცა დავით აღმაშენებელმა სასტიკად დამარცხა ორთუქიდ ნეჯმ ად-დინ ილ-ლაზისა და მისი მოკავშირეების შეერთებული ლაშქარი.

ძალაში იყო. ავტორს თბილისში ყოფნის დროს თვით უნახავს მეფე დემეტრე რომ პარაკევე დღეს შესულა მიზგითში და დაუეკებია თავისი ალაგი მალალ სკამზე ხატების პირისპირ. მიზგითის დატოვებისას მეფეს 200 დინარი შეუწირავს მისთვის. მეფე დემეტრეს მოპყრობა მეცნიერებისა და კეთილსათნოების ხალხთან მოკრძალებული და გულუხვი ყოფილა. ფარეკი შეხვედრია მუსლიმანებს, რომელთაც მეფე ისეთი პატივისცემით ექცეოდა თურმე, რომ ასეთს მოპყრობას ისინი ბალდაღშიაც (ე. ი. ხალიფას სატახტო ქალაქშიც) ვერ იხილავდნენო.

ფარეკის აქ ნაამბობი ჰქონია დავით აღმაშენებელისა და იმ შელავათების შესახებ, რომელიც დიდმა მეფემ უწყალობა თბილისელ მუსლიმანებს ქალაქის აღების შემდეგ. ამ შელავათებს ჩვენ ვიცნობთ სიბთ იზნ ალ-ჯაუზის და ალ-ყაფნის ნაწარმოებებიდან, რომელთაც უხვად უსარგებლნიათ ფარეკის ნაშრომით<sup>1</sup>.

მას შემდეგ, ამბობს ფარეკი, რაც ქალაქი აღებული იქნა იერიშით და 3 დღის განმავლობაში განიცდიდა ძარცვას, დავითმა აღუთქვა მცხოვრებთ მფარველობა და კარგი მოპყრობაო. მან გაათავისუფლა ისინი იმ წლის სხვადასხვა გადასახადისაგან და მუსლიმანთა თხოვნით ბრძანა, რომ მათ უბანში არავინ დაჰკლას ღორი. დავითმა მოსჭრა ფული, რომლის ერთ მხარეზე ეწერა ხალიფასა და სულტნის სახელები, მეორეზე—ალაჰისა და მოციქულის, ხოლო კიდებზე—(on the border)—თვით მისი, დავითის, სახელიო<sup>2</sup>. მეფეს განუცხადებია აგრეთვე, რომ არ გაუშუვეს მფარველობას იმას, ვინც შეაწუხებს და დასჩაგრავს მუსლიმანსო. მას მიუნიჭებია მაჰმადიანებისათვის უფლება თავისუფლად ლოცვისა და ლოცვისათვის მოწოდებისა, აგრეთვე ხუტბას (ლოცვის) თქმისა, მაგრამ მხოლოდ ხალიფისა და სულტნისათვის (და არა სხვა რომელიმე მუსლიმან ხელმწიფისათვის). დავითის მიერ აკრძალული ყოფილა ქართველისათვის, სომხისა და ებრაელისათვის თბილისში „ის-მაილის“ (შეიძლება სპეციალურად მუსლიმანთათვის განკუთვნილ) აბანოში შესვლა. მას დაუწესებია თავის სასარგებლოდ (to himself خود) ყოველწლიური გადასახადი ქართველებისათვის—5, ებრაელებისათვის—4 და მუსლიმანთათვის—3 დინარს ოდენობით. აქ ფარეკის მოუყვანია ერთი მაგალითი, რომლიდანაც ჩანს, რომ თვით მაჰმადიანი ხელმწიფენი სრულებით არ ყოფილან დავით აღმაშენებელივით სხვა სარწმუნოების მქონე ხალხის შემწყნარებელი.

დემეტრე მეფესთან ერთად საქართველოს მოვლის დროს ფარეკის გაუგია ილ-ლაზის<sup>3</sup> გარდაცვალების შესახებ 548 (=1153/54) წელს; ის<sup>4</sup> ამბობს, რომ როცა დარუბანდის ახლოს ვიყავით 549 წლის მოჰარემის თვეშიო, მეფემ მომიხმო და მითხრა—შენი ბატონი გარდაცვლილა და ეს ამბავი ეს-ეს არის მივიღეო.

თავის ქვეყანაში ფარეკი ბერძენთა ტერიტორიით დაბრუნებულა. 558 (=1162/63) წ. ის ხლათში ყოფილა, როცა იქ მოსულა ამბავი მუსლიმან ხელმწიფეთა კოალიციის მიერ (Shāh Arman, the Saljūq Arslān Shāh of Irāq, Shams al-Dīn Ildigiz of Adharbījān, and Fakhr al-Dīn of Arran) საქართველოს მეფის დამარცხების შესახებ<sup>5</sup>. მეფე გაქცეულა ერთს ხშირი ტყით დაფარულ კუთხეში, რომელიც 3 დღის სავალით არის დაშორებული (თბილისს?) და რომელსაც მე ვიცნობ 549 წ. მოგზაურობიდანო, გვიამბობს ჩვენი ავტორი. ხლათი დიდ სიხარულს მოუცავს ამ გამარჯვების ამბის გაგონებაზე და 300 ხარიც კი დაუტკავეთ ღარიბთათვის დასარიგებლად. ხლათში ყოფილა აგრეთვე ფარეკი, როცა 571

<sup>1</sup> იხ. Brosset, Histoire... Additions et éclaircissement, p.p. 240, 242.

<sup>2</sup> ამ მნიშვნელოვან ცნობას Amedroz-ი ურთავს მითითებას ვ. ლანგლუს ნაშრომზე: Suites Monétaires de la Géorgie, p. 45, Paris, რომელიც მე, სამწუხაროდ, ვერ ვიშოვე.

<sup>3</sup> კუთბ ად-დინ ილ-ლაზი, მარდინის ბატონი (С. Лен-Пуль, Мусульманские династии, გვ. 141).

<sup>4</sup> ათაბაგ ილიდგუზის შემოსევა საქართველოში 1163 წ., როცა გიორგი III ლაშქარმა დამარცხება განიცადა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 560.

(= 1175/76) წელს გაუგია ქართველებთან წარმატებით დამთავრებული მეოჩე ომის შესახებ<sup>1</sup>.

ასეთია, მოკლედ, ცნობები, რომელთაც ჩვენ წარვიყვანთ შესახებ ვკითხულობთ Amedroz-ის ზემოთ ხსენებულ წერილში. ხელნაწერის მიმოხილვაში ავტორი, რასაკვირველია, ვერ გადმოსცემდა ყველაფერს იმას, რაც ჩვენთვის არის საინტერესო და რაც საქართველოს ისტორიას შეეხება. ქ. მაჰმადწარვიყვანის ისტორიკოსს, რომელსაც მოვლილი ჰქონდა წინააზიის დიდი კულტურული და პოლიტიკური ცენტრები, თავის თვალთა ჰქონდა ნახული არა მარტო თბილისი და საქართველოს მეფის კარი, არამედ მთელი საქართველო თითქმის (თუმცა გავლით, მეფესთან ერთად მოგზაურობის დროს), რასაკვირველია, ბევრი მნიშვნელოვანი ცნობის მოწოდება შეეძლო ჩვენი ქვეყნის შესახებ. განსაკუთრებული ინტერესი ექნება მის მოთხრობას დემეტრე მეფის შესახებ, რომლის ცხოვრება და თავგადასავალი, — როგორც განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, — „საიდუმლოებით არის მოცული; ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით“. საქართველოს მეფის ოჯახში მამასა და უფროს ვაჟს შორის დატრიალებული ამბები ახლად გარდავლილი იქნებოდა, როცა წარვიყვანის თბილისში ჩასულა, და უნდა ვიფიქროთ, რომ მას თავის წიგნში მოთხრობილი ექნება მეზობელი ძლიერი სახელმწიფოს მეფის კარზე მომხდარი ასეთი მნიშვნელოვანი ამბის შესახებ.

თუ რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალის ამოკრეფა შეიძლებოდა ჩვენი არაბ ისტორიკოსის ნაშრომიდან, — ეს ქესრევის მიერ მოყვანილ ცნობიდანაც ნათლად ჩანს. ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ისეთი ცენტრების, როგორც იყო თბილისი, ანისი და სხვა დიდი ქალაქები ა/კავკასიასა და წინა-აზიაში, სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესახებ შუა-საუკუნეებში. ამიტომ წარვიყვანის ზემოთ მოყვანილი ცნობა განსაკუთრებით ძვირფასია, რადგანაც იძლევა პირდაპირ მითითებას თბილისის მმართველობის წესის შესახებ გარკვეულ პერიოდში. ამ ცნობიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ორმოცი წლის განმავლობაში, ვიდრე დავით აღმაშენებელი დაუბრუნებდა საქართველოს თავის დედა-ქალაქს, თბილისის განაგებდნენ თვით მოქალაქენი (ქესრევის სპარსული თარგმანით — *مردم تهرانی* თბილისის ხალხი, თბილისის მცხოვრებნი).

თბილისის ამირა ჯაფარის გვარის შესახებ ჩვენ აქამდე სხვა ცნობები მოგვეპოვებოდა არაბ ისტორიკოსებისაგან მიღებული. სიბთ იბნ ალ-ჯაუზი ამბობს, რომ ერთ გვარს, ქალაქ თბილისის მკვიდრთაგანს, ბენუ ჯაფარს, დიდი ხნის წინათ დაცვაკუთრებინა ქალაქი და ორი საუკუნის განმავლობაში მფლობელობდა. ეს ხანი რომ გავიდა, უფროსნი ამ გვარისანი დაიხოცნენ და მათ ალაგას მხოლოდ ყმაწვილები-ლა დარჩნენ, რომელნიც რიგ-რიგობით მეფობდნენ თითო თვე. ასე განვლო 40 წელმა. მაგრამ დავითი, მეფე აფხაზთა და ქართველთა, გარს შემოერტყა თბილისს. ქალაქის მთავრებმა (prince) შველა სთხოვეს თოღრულს, მოჰმედ შაჰის შვილსო... ამასვე იმეორებს ჯაფარის გვარის შესახებ ალყაინიცი<sup>2</sup>.

თუ ამ ცნობას დავუკვირდებით, შეგაძნევეთ, რომ აქ ჩვენ წარვიყვანის ზემოთ მოყვანილი ადგილის დამახინჯებასთან ვვაქვს საქმე. სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ სიბთ იბნ ალ-ჯაუზის<sup>3</sup> სიტყვები — ორი საუკუნე რომ გავიდა, უფროსნი ამ გვარისანი დაიხოცნენ

<sup>1</sup> შეიძლება აქ იგულისხმებოდეს თურქების მიერ 1173 წ. ანისზე გალაშქრება, რომელიც ამ დროს ისევ გიორგი III დაუკავებია, და შირაქის აღებება, რომლის შესახებ ვარდანს აქვს მოთხრობილი (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, წ. II, გვ. 566).

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 543.

<sup>3</sup> Brosset, Histoire de la Géorgie, Additions-et éclaircissement, p.p. 240, 242.

<sup>4</sup> როგორც Amedroz-ის აქვს გამოჩვენებული თავის ზემოთ ხსენებულ წერილში, სიბთს ბევრი ადგილით უსარგებლნია წარვიყვანის შრომიდან და თბილისის შესახებ ეს ცნობაც მას ამ ავტორიდან უნდა ჰქონდეს გადმოღებული, მაგრამ დამახინჯებით.

და დარჩენილი ყმაწვილები მეფობდნენ რიგრიგობით მთელი ორმოცი წლის განმავლობაში. ამ გაუგებარი სიტუაციის ნაცვლად, ჭარბი, რომელსაც თბილისში ყოფნის დროს შეეძლო საიმედო მასალა შეეკრიბა ჯაფარიდების შესახებ, მოკლე, მაგრამ გარკვეულ და ნათელ ცნობას გვაწვდის და ამბობს—ორას წელს ბატონობდა ჯაფარის გვარი თბილისში და, როცა გადაშენდა, მმართველობა თვით ხალხის ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელი გარემოება თითქოს ხაზგასმულიც არის: მოკლე ცნობაში ორჯერ არის ნათქვამი ხელისუფლების ხალხის ხელში გადასვლის შესახებ.

ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ, მოსახლეობის რომელ ფენას ეკუთვნოდნენ ის პირები, რომელნიც თითო თვე რიგრიგობით განაგებდნენ ქალაქის საქმეებს, ან რა სახისა იყო ამ ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში მდგომი ორგანიზაცია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთგვარი ვარაუდი ვიქონიოთ, რომ იმ წლების განმავლობაში, როცა ამირები თბილისში უკვე მოსპობილიყვნენ, ხოლო ქალაქი ვერც ქართველ მეფეს დაებრუნებია და ვერც სხვა მუსლიმან მთავარს ჩაეგდო ხელში, ამ წლების განმავლობაში თბილისში არსებობდა დასავლეთ ევროპის ქალაქების კომუნალ-დაგვარი წყობილება, როცა ქალაქს მართავდა „ქალაქის საბჭო“. ასეთი „საბჭოს“ წევრნი უნდა ყოფილიყვნენ ის ქალაქის ბერები, რომელთაც იხსენიებს ჩვენი მემკვიდრე და, შესაძლებელია, „საბჭოს“ სათავეში მდგომი პირები იყო ის ხალხი, რომელთა შესახებ ჭარბი ამბობს, რიგრიგობით ექირათ თითო თვე ხელში ქალაქ თბილისის გამგებლობაო.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში თვითმართველობის წესით ცხოვრებას არ შეეძლო ღრმა კვალი არ დაეტოვებინა თბილისზე, და საქართველოს მეფის ხელში გადასვლისთანავე ვერ მოისპობოდა ის წესები და კანონები, რაც ქალაქის თავისუფლად ცხოვრების ხანაში იყო შემოღებული. დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის მცხოვრებთათვის სხვადასხვა შეღავათების მიცემა მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ მაღალი ბუნების პატრონი მეფე პატივს სცემდა მუსლიმანურ კულტურას და რელიგიას. დავითს კარგად ესმოდა, რომ ვერ გააუქმებდა ქალაქის დაპყრობამდე მასში არსებულ ყველა წესსა და კანონებს ისე, თუ არ დაარბევდა და არ მოშლიდა ქალაქის მთელ ცხოვრებას. ასეთი შევიწროება კი თბილისისა მას, როგორც ჰკვიან ხელმწიფეს, არ უნდოდა, რათა საქართველოს ახლად დაბრუნებულ დედა-ქალაქს არ დაჰკარგოდა დიდი კულტურული და სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა.

რასაკვირველია, სანამ ხელთ არ გვაქვს თვით ტექსტი ალ-ჭარბის ისტორიისა და ჩვენთვის საინტერესო ადგილები არ არის სპეციალისტის მიერ განმარტებული, ძნელია დასკვნების გამოტანა, მაგრამ ერთი რამის თქმა, ჩვენი აზრით, ახლაც შეიძლება, სახელდობრ იმის თქმა, რომ თბილისის თვითმართველობის ნახევარსაუკუნიან პერიოდს დიდი ხნით უნდა მოეხდინა გავლენა არა მარტო ამ ქალაქის, არამედ საერთოდ ქართული საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებაზე, და თამარის მეფობის პირველ წლებში მომხდარი მეტად საგულსხმიერო, XII საუკუნის საქართველოს მაღალი პოლიტიკური აზროვნების გამოიმკვლავნებელი გამოსვლა ყუთლუ-არსლანის დასისა, რომელ სოციალურ წრესაც არ უნდა კუთვნებოდა ამ მოძრაობის მეთაური, არ შეიძლება უკვე ჩაითვალოს „გასაოცარ“ და მოულოდნელ ამბავად. ვფიქრობთ, რომ ასეთი მოძრაობისათვის ნიადაგი მომზადებული იყო, სხვა მომენტებთან ერთად, თბილისის იმ პოლიტიკური წესწყობილებით, რომლის შესახებ მარტივი სტრიქონებით გვიამბობს ჩვენი არაბი ისტორიკოსი.



## ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა

### ცნობები წარწერის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება ილორის წმ. გიორგის ხატის ერთი ფრაგმენტი. ეს არის ვერცხლის ფურცელი, ფიცარზე გადაკრული, ზომით 19×85. ფრაგმენტი დაფარულია ვრცელი წარწერით. შესრულებულია ის ჩაქდევით, საკმაოდ ლამაზი მხედრულით ოქრომკედელ ბეჯია ტყავზელიძის მიერ 1651 წელს. ამ წარწერას დასაწყისი აკლია. აქ არ არის ღვთის ხსენება ან წმ. გიორგის ქებულებადიდების-მეტყველებისა და სახელდების ნაკვეთები. დანარჩენი თხრობა მთლიანად შენახულია. რადგანაც სახელდების ნაკვეთი აკლია: არ ჩანს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ამ წარწერის სუბიექტი. შინაარსის მიხედვით კი, დანამდვილებით ვიცით, რომ წარწერა სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს (1611—1657) ეკუთვნის.

ხსენებული ფრაგმენტი დაზიანებულია: ბოლოზე ერთი სტრიქონი თითქმის მთლიანად ჩამოგლეჯილია და სხვაგანაც ფურცელი მრავალ ალგასაა წვრილად დახვრეტილი.

მასალებიდან ირკვევა, რომ ეს ფრაგმენტი ილორის წმ. გიორგის იმ ხატის ნაწილია, რომელიც სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს 1651 წელს მოუქვდინებია და თავისი ძღვეამოსილი ომების და მათთან დაკავშირებულ შეწირულებათა აღმწესველი წარწერით შეუქმია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ხატს თავისი ვრცელი წარწერით არაერთხელ მიუქცევია მკვლევართა ყურადღება. ჯერ კიდევ 1847 წელს, სამეცნიერო მოგზაურობის დროს ილორის ეკლესიაში ეს წარწერიანი ხატი უნახავს ქართული კულტურის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, აკადემიკოს მარი ბროსეს. ამ ხატის მოკლე აღწერილობა და ხსენებული წარწერა მთლიანად ილორის სხვა წარწერებთან ერთად გამოაქვეყნა მან პეტერბურგში 1849 წელს, თავისი ცნობილი შრომის „Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie“-ის 1 წიგნში<sup>1</sup> (ამ გამოცემით ვსარგებლობდით ჩვენ ამ წარწერის დაკარგული ნაწილის აღდგენისას). სამწუხაროდ, ქართული ენის არასაკმარისად ცოდნისა და მოგზაურობასთან ხშირად დაკავშირებულ აჩქარების გამო, ბროსე გვაწვდის ამ წარწერის მრავალ აშკარად შემცდარ წანაკითხს და ხშირად ცალკე სიტყვებსა და ფრაზებს გამოტოვებს. საკმარისია დავასახელოთ, რომ ბროსე — „გეინათელი ციხე“-ს „გვინაყალის ციხედ“ კითხულობს; წინადადებაში „[მისის სული]სა სახსრად და საოხად ჩუენდა გასაზრდელად ბატონობის ჩუენისა წარსამათებელად რეკა, ნაეჯიბაუ სასახლე და ექუსი მოსახლე კაცი კიდევე შემოგწირეთ“ — სიტყვას „გასაზრდელად“ ცვლის „განსაძლიერებლად“, მარცკლოვან და უმარცკლო უ-ს ურევს ერთიმეორეში და მას ყველგან ვინით ცვლის და ასე შემდეგ.

<sup>1</sup> იბ. გვ. 98.

უფრო გვიან 1886 წელს ილორში ხსენებული წარწერიანი ხატი უნახავს აგრეთვე აკადემიკოს პავლინოვის მეთაურობით მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციასაც. მის მასალებში ხატის აღწერილობასა და ფოტოგრაფიასთან ერთად ეს წარწერაც ხელმოვრდა გამოქვეყნებული<sup>1</sup>. პავლინოვის ექსპედიციაში ქართული ენის მცოდნე არავინ ყოფილა. ამიტომ მას ამ წარწერის გამოცემისათვის მხოლოდ ბროსეთი უსარგებლია. მისი შემოწმება და რედაქცია კი პროფ. ა. ხახანაშვილისათვის უთხოვია. ხახანაშვილს, ცხადია, წარწერის დედანი ხელთ არ ჰქონდა და ხატის ფოტოპირიდანაც მისი წაკითხვა შეუძლებელი ყოფილა. ასე რომ ამ წარწერის არსებულ გამოცემაში მას ვერც ერთი შესწორება ვერ შეუტანია.

გასაოცარი კია, თუ როგორ შეიძლებოდა, პროფ. ა. ხახანაშვილს შეეწყნარებია წარწერის ზოგიერთი ადგილის ისეთი განმარტება, რომელსაც პავლინოვის ექსპედიცია იძლევა, მაგალითად: წარწერაში გარკვევით მოხსენებულ გეოგრაფიულ სახელს წალენჯიხას ისინი რატომღაც „წალენჯას“ ეძახიან, ხოლო მას რუსულად თარგმნიან — Гялендр; კაპოეტის წყალი — река Капоста; მეზეთე — заведующим маслом. სრულიად გაუგებარია, თუ როგორ მიიღება ქორონიკონი: სამასოცდაათცხრამეტიდან — 1647 წელი და სხვა.

ხსენებული ხატი, ჩვენ საუკუნეშიაც არა ერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლისა და დაკვირების საგნად. 1927 წელს დასავლეთ საქართველოში სამეცნიერო მოგზაურობის დროს ილორის ეკლესიაში ის უნახავს და შეუსწავლია პროფ. შ. ამირანაშვილს. ხოლო 1930 წელს იგივე ხატი იქ დაუთვალა იერებია არქეოლოგ მ. ივაშინიკოსაც. სამწუხაროდ, მათი დაკვირვების შედეგები ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის.

### ხატის აღწერილობა და მისი მოქედის გარემოება

ილორის წმ. გიორგის ხსენებული ხატი ამჟამად არ არსებობს: ამ რამდენიმე წლის წინათ ყაჩაღების თავდასხმამ ეს ძეგრფასი ისტორიული ძეგლიც იმსხვერპლა. აწ გადარჩენილი ფრაგმენტისა და სამეცნიერო ექსპედიციათა მასალების მიხედვით, ის დიდი ზომის ყოფილა: 100×85. ხატის გული ვერცხლის ოთხი ფურცლისაგან შესდგებოდა. გულზე წარმოდგენილი ყოფილა:

- ა) წმ. გიორგი, თეთრ ცხენზე ამხედრებული ჰკლავს ვეშაპს და ათავისუფლებს მეფის ქალიშვილს ტყვეობისაგან.
- ბ) ის აცოცხლებს ხარს.
- გ) წმ. გიორგი სვამს შხამს, რომელიც მას გაუგზავნა კერბთმსახურმა მეფემ, და, როდესაც მის მაგიერ შხამის მიმტანი კვდება, აცოცხლებს მას.
- დ) დასასრულ, ხატის მარჯვენა კეემო მეოთხედში წარმოდგენილია საერო ტანისამოსში მდიდრულად გამოწყობილი ლევან დადიანი, რომელიც დაჩოქილ მღვთმარობაშია და ევედრება წმ. გიორგის.

ხატის გული გარშემოკრული ყოფილა ჩარჩოთი. აწ გადარჩენილი ფრაგმენტი სწორედ ამ ჩარჩოს ქვედა ფიცარია. აღნიშნული წარწერა ჩარჩოს ზედა ფიცარზე იწყებოდა და ქვედაზე გადადიოდა, სადაც მთავრდებოდა კიდევც.

ხატზე, გარდა დასახელებული წარწერისა (ჩარჩოს ზედა და ქვედა ფიცრებზე) მითავსებული ყოფილა აგრეთვე მეორე წარწერაც: კერძოდ, ხატის გულზე დაჩოქილ დადიანის ორივე მხარეზე უფრო წვრილი, მაგრამ იმავე ხელით, როგორითაც შესრულებულია ხსენებული მთავარი წარწერა, მოთხრობილი ყოფილა დადიანის სულიერი განწყობილება და მოტივი, რომელსაც გამოუწვევია აღნიშნული ხატის მოქედინება და, ცხადია, მთავარი წარწერაც. მოგვყავს აქ ის მთლიანად:

<sup>1</sup> Материалы по истории и археологии Кавказа, вып. 3, 1893, стр. 23.

„ამა ხატისა მომქედელი დადიანი პატრონი ლევან ვევედრების წმიდასა გიორგის, რამეთუ ზეგარდამო ძალითა ღვთისათა შეწვენითა წმიდისა გიორგისათა სძლია ბოროტსა კეთილმან და მოხედნა უფალმან სიჭაბუკესა ჩემსა, არცხუნა მტერნი ჩემნი უხილაენი და ხილულნი და მიხსნა მე ჳელმწიფე დადიანი პატრონი ლევან დიდსა შიშსა და ფათერკსა. ზუგდიდსა<sup>1</sup> ნადირობაში ცხენი ხრამსა ჩამივარდა და წამექცა. იპრიანა წყალობამან ღვთისამან და მოვრჩი შეწვენითა შენითა წმინდაო გიორგი და ვერა ირგორა იმა საქმითა მტერმან ჩემმან ჩემგან. აწე ესე ხატი დღისა მის ბოროტისაგან მორჩენისათვის მოვაქედინე საღიდეზღად ღვთისა და თაყვანისსაცემლად წმიდისა ხატისა შენისა. სხვა ზეპირად დიდებისა შეწირვასა რასა ღირს ვარ, ესე მიქნია უკუნისამდე სახსენებლად სახელისა შენისათვის და სასარგებლოდ სულისათვის. ვინცა წაიკითხოთ, შენდობით მომიხსენეთ. ვინცა ჩემთვის შენდობა თქუათ, თქუენცა შეგინდოს ღმერთმან. ამინ“<sup>2</sup>.

როგორც აქედან ჩანს, ლევანსაც კინალამ იგივე ხვედრი რგებია, რაც მამა მის მანუჩარს—ზუგდიდს ნადირობის დროს ცხენის წაქცევა და მისგან სიკვდილი. მაგრამ ლევანი გადარჩენილა. სწორედ ამის გამო, მადლობის ნიშნად მას მოუქედინებია ეს ხატი 1651 წელს და მისი ჩარჩოები (ზედა და ქვემო) თავისი შეწირულებათა აღმნუსხველი ერთიანი წარწერით შეუმკვია.

ეს ხატი ლევანის მოღვაწეობის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია. შეუწყვეტელი ომები, ძმათა სისხლის ღვრა და აწიოკება, ლევანს ოდნავდაც არ უშლიდა ხელს, რომ ღვთის მოყუარე ყოფილიყო. არქანჯელო ლამბერტის სიტყვით:

„არ არის ოდიშში ახლა არც ერთი ეკლესია, სადაც მისი ღვთისმოყვარეობის ნიშანი არ იყოს. რომელიც დანგრეული ეკლესია იყო ხელახლავ ააშენა, რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, იმას სახურავი გაუკეთა; რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისევ გაამშვენიერა და შეამკო. ამასთანავე ყველა ეკლესიას ფრიად შეუმატა შემოსავალი. უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხატი გააკეთებინა თვალმარგალიტებით შემკობილი. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტი ოქრომქედელი ჰყავდა, რომელნიც განუწყვეტლივ აკეთებდნენ საეკლესიო ქურქებს“<sup>3</sup>.

რომ ლამბერტის სიტყვები სწორია, ამას აშკარად ამტკიცებს ჩვენამდე მოღწეული მრავალი წარწერიანი ხატი და ფრესკა: წალენჯიხის, ხონის, კორცხელის, ცაიშის, ხობის, მარტვილის, სუჯუნის, ფხოტრერის, ილორის და ბიჭვინტის ეკლესიებიდან. ისინი აშკარად მოწმობენ არა მარტო ლევანის ღვთისმოყვარეობას, არამედ იმ აურაცხელ სიმდიდრესაც, რომელსაც იძლეოდა ლევანის საგარეო პოლიტიკა მთელი 35 წლის განმავლობაში.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ხატის კომპოზიციის შესახებ, რომელიც ორიგინალური და ფრიად საყურადღებოა, ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ მის მთავარ წარწერას, რომლის მეცნიერული მნიშვნელობა ძალიან დიდია.

ეს წარწერა თავისებური ერთიანი წყალობის წიგნია, რომელიც ოდიშის ძღვევამოსილ მთავარს ლევან II დადიანს (1611—1657) ილორის წმ. გიორგის ხატისადმი მიუძღმევია. აქ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღნუსხულია ლევანის უხვ შეწირულებებთან ერთად ის ისტორიული ამბებიც, რომლებსაც ეს შეწირულებანი გამოუწვევია. ასე რომ ეს წარწერა XVII საუკუნის მეორე მეოთხედის იმერეთის ისტორიისათვის ძვირფასი მატიაწეა. საყურადღებოა ისიც, რომ აქ მოთხრობილი ისტორიული სინამდვილე, ლევანის, ცოტა არ იყოს, თავმომწონე კილოს მიუხედავად, სწორადაა გადმოცემული და სხვა წყაროებითაც ხშირად დასტურდება. სწორედ ამიტომ ამ წარწერის ხელახალი გამოქვეყნება ჩვენ საჭირო საქმედ მიგვაჩნია.

<sup>1</sup> ბ რ ო ს ე ს მიხედვით: სუღისა.

<sup>2</sup> Brosset M., იქვე, 98.

<sup>3</sup> ა რ ქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 26.

### წარწერის შინაარსის გამო

ოდიშის მთავრის ტახტი ლევანმა იმ უბედური შემთხვევის გამო მიიღო, რომელმაც მამა მისი, მანუჩარი, იმსხვერპლა. წარწერაში ამაზე ნათქვამია: „ზუგდიდს ნადირობასა ცხენისა რბევასა შიგან შეიძებრდენ ბატონი და გოშაძე ფარუხია. ცხენი წაიქცა, ამიერ სოფლით მიიცივალა“. წარწერის თხრობა სწორედ ამით იწყება. მართალია, ამ შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ლევანის გამთავრების სწორედ ასეთი ვითარება სხვა წყაროებითაც დასტურდება. საქ. სახ. მუზეუმის ორ ხელნაწერში სათანადო ქორონიკონების გასწვრივ მინაწერები მანუჩარის სიკვდილის და ლევანის გამთავრების გარემოებას სწორედ ასე აღნიშნავენ<sup>1</sup>. ამ მინაწერების მიხედვით, ეს შემთხვევა 1610 თუ 1611 წელს მომხდარა. ამასთან დაკავშირებით მთავრის სახლს ილორის წმ. გიორგის ხატი მოუქედინებია და მისთვის აღმოსავლეთ სამეგრელოში რეკა, ნაეჯიბაუ სასახლე ექვსი მოსახლე კაციითურთ შეუწირავს „უწინ მის მორჩენისათვის“, ხოლო მანუჩარის სიკვდილის შემდეგ „მისის სულისა სახსრად და საოხად, ჩუენდა (ე. ი. ლევანის) გასახრდელად, ბატონობისა ჩვენისა წარსამართებლად“, როგორც ამაზე წარწერაშია ნათქვამი.

ამის შემდეგ აღნიშნულია ლევან დადიანის და გიორგი მეფის „შებმის“-ს ამბავი, რაც „ახალსოფელს მისულახედ ოლასქურას გაღმა“ მომხდარა. ბრძოლაში მეფე დაუმარცხებიათ. სხვა ნადავლს გარდა, ლევანს მეფის „ქაიანური დროშა ხალასათ შეკერული, აღმითა ჯვარი“ წამოუღია. ამ გამარჯვების გამო ლევანს მეტად მდიდარი შეწირულება მიუთმეგია წელენჯიხისა და ილორის ეკლესიებისათვის. წალენჯიხისათვის ლევანს მეფის „ქაიანური დროშა“ შეუწირავს<sup>2</sup>, ოქროს ხატი მოუქედინებია და მარგალიტ-ძვირფასი ქვით შეუმკია. ხოლო ილორისათვის მთავარს ორი მოსახლე გლეხი: მიხილა შეგუა და კიკოლ გერმანია უბოძებია. თან წმ. გიორგის ხატი (იგულისხმება სხვა) მოუქედინებია და სათანადო წარწერითაც შეუმკია. მოგვყავს ეს წარწერა მთლიანად:

„ში მენო მკედარო შდწილ უძლეველო დიდო მოწამეთა მთავარო გიორგი, ჩუენ ცვა-ფარვათა შენთა მიერ მინდობილმან და მოსავმან სიწმინდისა შენისაგან, ჩვენ ბატონმან მანუჩარის ძემან დადიანმან ლევან, მოვაქედინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენად, როდესაც წარვემართენით მეფესა იმერეთისასა გიორგისს ზედა და შევიბენით ქუთათის და გაგვემარჯვა. მეფე მორჩა და ლეშქარი ჯელთ დაგვრჩა შეწვენითა ღვთისათა და მეოხებითა და ძლიერებითა თქვენითა და შემოგწირეთ და დავასვენეთ ტაძარსა თქვენსა ილორს ხატი ესე და ერთი მოსახლე კაციცა შემოგწირეთ კიკო გერმანია და გარდაბურეთ თავსა ხატსა ოქროქსოვილი ხავედი ჩვენად გასამარჯვებლად, სადღეგრძელოდ და ჯელმწიფობისა ჩვენისა წარსამართებლად, რათა მეოხ მცველ და მფარველ მექმნეთ ორსავე შინა ცხოვრებასა. კსა:ტიბ“<sup>3</sup>.

დადიანის ამ ლაშქრობას ვახუშტიც იხსენიებს: „შემდგომად შემოკრიბნა სპანი თვისნი გიორგი მეფემან განვიდა და დასდგა კოკორაურსა ზედა. მოვიდა ლევან დაიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი ქს ჩქკ ქრ:ტია. იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა“<sup>4</sup>. მისი სიტყვით: ეს იყო მეფის წინააღმდეგ დადიანის პირველი გალაშქრება, მეფე-დადიან შორის ურთიერთობის გამწვავების პირვე-

<sup>1</sup> საქ. სახ. მუზეუმი, ყ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერი № 631 (H) და ყ. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერი № 1204 (S).

<sup>2</sup> 1639 წლის 26 ნოემბერს წალენჯიხაში ეს დროშა უნახავთ რუს ელჩებს ფ. ელჩინს და მღვდ. ზაბარეგს. იხ. Посольство дьяка Федота Елчина и священника Захерьева в Диданскую землю 1639—1640. Материалы для русской истории. Москва. 1888.

<sup>3</sup> Brosset, იქვე.

<sup>4</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება. თბილისი, 1913. გვ. 300.

ლი შედეგი. ამ ლაშქრობის თარიღი ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ლევანის ზევით მითითებული წარწერით ეს 1624 წელს მომხდარა; ვახუშტის მიხედვით კი 1623 წელს. საბედნიეროდ, ამ ორი თარიღის შეთანხმება და ლაშქრობის ზუსტი თარიღის დადგენა შესაძლებელია. აკად. მარი ბროსეს თავის დასახელებულ შრომაში გამოცემული აქვს ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატზე არსებული ლევანის წარწერა, სადაც ნათქვამია: „ამასთანავე შეგვწირავს წყალიძგას სასახლე ოცდაშვიდი მოსახლე კაცი და გავაჩინეთ იქიცი ალაპი ქრისტესშობის ზუეს იანაშობას დღესა, ამისათვის ვქენით რომე იანაშობის დღესა ახალსოფელს მეფეზედ გაგვემარჯვა“<sup>1</sup>. ხოლო ბოლოს ნათქვამია: „აწი რაცა ბიჭვინტისა ღვთის მშობლისათვის შეგვეწიროს სასახლე ერთი ღალიძგა და მეორე სასახლე რიონის პირს წყალიძგას და ამ ორ სასახლეში როგორაცაა ალაპი გაგვეჩინოს და როგორც გაგვერიგებია ორი სიგელი დაგვწერია საკათალიკოზოს საწიგნეში ძეს და მეორე სოფელი ფუწყურს სალაროში ძეს“.

ამგვარად, დადიანს ამ გამარჯვების გამო ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვისაც ორი სასახლე შეუწირია: ღალიძგას—ცამეტი მოსახლე კაცით და წყალიძგას (რიონის პირას)—ოცდაშვიდი მოსახლე კაცით და ორი სიგელიც უბოძებია. ლევანის მიერ აქ მოხსენებული ერთ-ერთი სიგელთაგანი უნდა იყოს ის სიგელი, რომელიც ბიჭვინტის საკათალიკოზო საყდრის საბუთებში ყოფილა და გამოცემულიცაა კიდევ ს. კაკაბაძის მიერ<sup>2</sup>. ხსენებული სიგელი წარწერაში მოხსენებულ ამბის სინამდვილეს ზედმიწევნით ადასტურებს. ამ მხრივ ძალიან საყურადღებოა ცნობა წარწერიდან იანაშობას დადიანის ალაპის დადების შესახებ: „ამისათვის ვქენით რომე იანაშობის დღესა ახალსოფელს მეფეზედ გაგვემარჯვა“,—აღნიშნავს ლევანი. რადგანაც დადიანს მეფეზე იანაშობას გაუმარჯვია, სწორედ აპიტომ იანაშობის დღეს მას თავისი ალაპი დაუწესებია. იანაშობა, ან რაც იგივე „იანაშ“, სვანური ხალხური დღეობა იყო. ის ყოველთვის დეკემბრის 9 რიცხვში მოდიოდა ხოლმე<sup>3</sup>. როგორც ჩანს, ეს დღეობა ოდიშშიაც ყოფილა გავრცელებული. სწორედ ამ დღეს მომხდარა ლევანისა და მეფის „შებმა“ ახალსოფელს. ამგვარად, ვახუშტის ცნობა ლაშქრობის თარიღის შესახებ სწორია. ის 1623 წელს უნდა იყოს მომხდარი. ოღონდ ჩვენ ახლა თვე და თვის რიცხვიც ვიცით. რაც შეეხება 1624 წელს, ეს არის ხატის მოქედვის და წარწერის თარიღი, რაც ჩვეულებრივ შემდეგ სრულდებოდა ხოლმე.

ადგილობრივ გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ოლასქურა პატარა მდინარეა—რიონის მარჯვენა შენაკადი, რომელიც ქუთაისთან ერთვის რიონს. იქვე ქუთაისთან ყოფილა ახალსოფელიც. ამჟამად ეს ადგილი თითქმის ქალაქის ფარგლებშია დასავლეთით, ასე რომ წარწერის თქმა: „შევიბენით ქუთათის“ სწორია, ის ქუთაისთან მდებარე ახალსოფელს მომხდარა მდინარე ოლასქურას გამოღმა—1623 წლის 9 დეკემბერს. ამას მისდევს ცნობა ლევან დადიანის ორგზის ლაშქრობის შესახებ აფხაზეთს. როგორც წარწერაში მოთხრობილია, ლევანი თავს დასხმია შარვაშიძეს ზუფუს და პირველი ლაშქრობისას მუწუს წყალს აქეთ, ხოლო მეორეხელ კაპოეტის წყალს აქეთ სრულიად აუოხრებია აფხაზეთი. კაპოეტის წყალზე შებმთან დადიანს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები. დადიანს გაუმარჯვია. ამის გამო ილორისათვის მას ერთი მოსახლე კაცი ელინჯარი კაქაბაა—მეფეთედ შეუწირავს. ცნობა დადიანის ამ ლაშქრობათა შესახებ ფრიად საინტერესოა, რადგანაც ლევანს თავდაპირველად აფხაზეთთან, გარდა კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა, ახლო ნათესაური კავშირიც ჰქონდა. სამეგრელოში ნამყოფი რუსი ელჩების სიტყვით ლევანის პირველი ცოლი შარვაშიძის ქალი ყოფილა—ჩეთანურია თუ თანაურია. არქანჯელო ლამბერტის ცნობით თანურია „ბუნებით ღამაზი და სავესე ყველა სათნოებითა“ ყოფილა. ლევანს მის-

<sup>1</sup> ბროსე, იქვე, გვ. 98.

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლ. საბუთები 1. ტფილისი, 1921, გვ. 39.

<sup>3</sup> ე. ბარდაველიძე, სვანური ხალხურ დღეობათა კალენდარი, I. ტფილისი, 1939, გვ. 21.

გან ორი ვაჟიც ყოლია. ამიტომ იბადება კითხვა: როდის და რატომ ესოდენ გამწვავდა ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა? რატომ მიიღო წინააღმდეგობამ ამ ორ ახლო მეზობლებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათი? სამწუხაროდ, მისი მიზეზი მეცნიერებაში დღემდის უცნობია. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით ეს თითქოს ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე ამტყდარა: თანურიასთვის ლალატი დაუბრალეზით. ლევანს მისთვის ცხვირი და ყურები დაუჭრია, შეუგროვებია დიდი ჯარი და თავს დასხმია აფხაზეთს, მოუოხრებია აფხაზეთის გარკვეული ნაწილი და ასე დასჯილი თანურიაც მშობლებისათვის მიუგდია. ამის შემდეგ წასულა ეს უსიამოვნებაც ოდიშ-აფხაზეთს შორის.

მართლა ასე იყო თუ არა ეს ამბავი, ან ხომ არ ჰქონდა აქ ადგილი სხვა უფრო საყურადღებო გარემოებას, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ყოველ შემთხვევაში წარწერაში მოთხრობილი ლევანის ორი ლაშქრობათაგანი არც ერთი არ უნდა იყოს მისი პირველი გალაშქრება აფხაზეთს თანურიას მისაგდებად. აქ ჩვენ უფრო პასუხს ვხედავთ იმ არა ერთი მცდელობისათვის, რომელსაც მიმართავენენ შეურაცხყოფილი შერვაშიძენი სამაგიეროს გადახდის მიზნით ოდიშართა წინააღმდეგ. აკად. ბროსეს ცნობით ეს ლაშქრობანი დაახლოებით 1628 წელს მომხდარა.

ლაშქრობათა გეოგრაფიის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტოპონიმიკაში მუწუს წყალსა და კაპოეტის მდინარეს არაფერ იცნობს. აკად. ბროსე პირველ მათგანს რუსული რუკების «Мышут»-ად, ხოლო მეორეს ბზიბის მდინარედ მიიჩნევდა. როგორც აკად. ს. ჯანაშიამ მიმოითა, ბროსეს მოსაზრება კაპოეტის მდინარის და ბზიბის იგივეობის შესახებ სწორი უნდა იყოს. რაც შეეხება „მუწუს წყალს“ მისი მდებარეობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია. აღნიშნულ მდინარეთა მდებარეობის შესახებ საყურადღებო მითითება აგრეთვე ვახუშტსაც მოეპოვება. მისი სიტყვით:

„ზუფუს დასავლით დის მუწუს წყალი, გამოსდის კავკასსავე, მეორეთის ჩრდილოდამ ზღვას“. ზუფუს მდებარეობა ცნობილია, მის დასავლეთით მუწუს წყალი ყოფილა. რაც შეეხება კაპოეტის წყალს, ანუ როგორც ვახუშტი ეძახის „კაპეტის მდინარე“, ბიჭვინთის დასავლეთით ყოფილა: „ამის ბიჭვინთის დასავლით დის კაპეტის მდინარე დიდი და ჩქარად მდინარე“<sup>2</sup>; —ამბობს ვახუშტი. ამგვარად, კაპოეტის წყალი მუწუს წყალზე უფრო ჩრდილოეთით ჩანს. ასე რომ წარწერაში მოთხრობილი ლევანის ლაშქრობათა ფარგლებიც ამის მიხედვით უფრო გასაგები ხდება.

ამას მისდევს ბაღდათთან ლევან დადიანის მიერ გიორგი მეფის დატყვევების ამბავი, რაც საისტორიო მწერლობაში კარგად ცნობილი ფაქტია. ქართლის მეფემ როსტომმა ცოლად ითხოვა ლევან დადიანის და მარიამი — გურიელის ნაცოლარი. თავისთავად ეს ამბავი, რასაკვირველია, შემთხვევით არ იყო. ყაენის მთავრობის პოლიტიკისათვის ასეთი ნაბიჯი აუცილებელი ყოფილა. იმერეთის მეფეს გიორგის კარგად ესმოდა როსტომ-ლევანის მოყვრობის პოლიტიკური შედეგები. უპირველესად ყოვლისა, ეს ხომ იმერეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და მის დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. სწორედ ამიტომ მეფე გიორგი წინააღმდეგი იყო მათი დამოყვრებისა და ამ საქმეში ხელის შეშლის მიზნით მათ არ ანებებდა გზას.

რადგანაც სხვა საშუალება არ იყო, როსტომ-ლევანმა ისევ იმერეთზე განაპირა გზით გავლა ირჩიეს. როსტომი ახალციხე-ზეკარით ბაღდათთან კაკას ხიდამდე ჩამოვიდა, ხოლო „დადიანმან შემოიკრიბნა სპანი დიდნი, წარმოიყვანა და თვისი მარიამი, გამოვლო სამიქელაო, ფოკე და განვიდა რიონს, შეველო და მივიდა კაკას ხიდსა ზედა“<sup>3</sup>. აქეთვე წარმართა აგრეთვე გიორგი მეფეც დიდი ჯარით. მის ლაშქარში იყვნენ: კახეთის მეფე — თეი-

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. ტფილისი, 1936, გვ. 10.

<sup>2</sup> ვახუშტი ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941, გვ. 171.

<sup>3</sup> ვახუშტი ი, საქართველოს ცხოვრება. ტფილისი, 1913, გვ. 302.

მურაზი, ორივე ბატონიშვილი: ალექსანდრე და მამუკა და იმერეთ-კახეთის სხვა დიდებულები. ასე რომ, ორივე მხარე დიდი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მაგრამ წინა საღამოს გიორგი მეფე „წარვიდა მცირითა კაცითა განსტრობად (დასაზვერად) დადიანისათა“<sup>1</sup>. ეს ნაბიჯი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. არასაკმარისი სიფრთხილისა თუ გამცემლობის გამო (ზოგიერთი წყაროები ამ მეორე მოსაზრებას უჭერენ მხარს) „და შეუტყო საქმე ესე დადიანმან ლევან. წარმოგზავნა სპანი თვისნი და ნახეს გიორგი, რომ სუბად იყო, შეუტივეს და შეიპყრეს და მიიყუანეს დადიანთან“<sup>2</sup>. მეფის დატყვევებამ მოხსნა მოსალოდნელი ბრძოლა და სრულიად მოულოდნელად იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობაც განსაკუთრებულ ხიფათში ჩააგდო. ლევანი თავისუფლად დანავარდობდა იმერეთში. ამ უკანასკნელის სვე-ბედი ლევანის ხელში აღმოჩნდა. ამ მხრივ ძალიან საყურადღებოა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ გურიელის შესახებ გაკვირით ნათქვამი ცნობა. მისი სიტყვით მარიამ დედოფალს ქართლს სხვებთან ერთად მაყრად გადაყოლია „გურიელი მეფეთ თქმული მეყვისი თავისის თავადებითა და აზნაურშვილებითა“<sup>3</sup>. მარიამის მაყარში ქაიხოსრო გურიელი უნდა ყოფილიყო, რომელიც სწორედ ლევანმა დააყენა გურიელად სვიმონის შემდეგ. ის ლევანის „მეყვისი“ ყოფილა. თუ მართალია ეგნატაშვილი ბერის ცნობა „და ესე ქაიხოსრო გურიელი იყო მარიამ დედოფლის დედით ძმა“<sup>4</sup>, ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ფარსადანის გამონათქვამი „მეფეთ თქმული“, ე. ი. დასავლეთ საქართველოს მაღალ პოლიტიკურ წრეებში, გიორგის მეფის დატყვევების შემდეგ, როგორც ჩანს, საუბარი ყოფილა ქაიხოსრო გურიელის მეფედ დაყენების შესახებ. ლევანს ფაქტიურად იმერეთის სრული ბატონ-პატრონობა მოუხდომებია და ამ მიზნით იქ თავისი კაცის დასმის პროექტიც სასწრაფოდ შეუმუშავებია.

ამ გამარჯვების შედეგად დადიანს იმერეთიდან დიდძალი ნადავლი წამოუღია. მეფის სახსარში მას, ძვირფასეულობის გარდა, ჩხარში მოსახლე სომეხ-ვაკრები აუყრვენიებია, ისინი ზუგდიდს წაუხსნამს და რუხს დაუსახლებია, ლევანს რუხის სავაქრო ცენტრად გადაკეთება განუზრახავს. მართლაც, არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, „მხოლოდ სომხების ქალაქში (ე. ი. რუხში), რომელიც აშენებულა აწინდელი მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“<sup>5</sup>. ამით ლევანს, ცხადია, თავისი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის ხელისშეწყობა სურდა და ერთგვარი წარმატებისათვის მიუღწევია კიდევ: რუხი სავაქრო ადგილი გამხდარა. სამწუხაროდ, ეს წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. ლევანის მიერ რუხში ფულადი აღებ-მიცემის დანერგვის ცდა საუცხოო მაგალითია იმისა, თუ რამდენად უძლურია ქვეყნის მბრძანებლის პროგრესიული სურვილებიც კი, როდესაც მოვლენისათვის ისტორიულად მომზადებული ნიადაგი არ არსებობს. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალურ ოდიშისათვის საქალაქო ურთიერთობის დანერგვა ზედმეტი აღმოჩნდა. რუხში საქალაქო ურთიერთობამ არა მარტო ვერ მოიკიდა ფეხი, ის შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში მოისპო კიდევ. გაქრა ასე ხელოვნურად მოწყობილი ვაქრობა. რუხი ისევ ლევანის მხოლოდ ციხე-სიმაგრედ დარჩა. სწორედ ასე იცნობს მას ჟან შარდენი, რომელიც სამეგრელოში იყო 1672 წელს. მოისპო იქ ძალით ჩამოყვანილი სომხური მოსახლეობაც და ამ ამბების ნაშთად აწ. სახელის „ნასომხარის“ გარდა, აღარაფერი დარჩენილა.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ეგნატაშვილი ბერი, ანალი ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1940, გვ. 175.

<sup>3</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია. გვ. 34.

<sup>4</sup> ეგნატაშვილი ბერი, იქვე, გვ. 174.

<sup>5</sup> არქანჯელო ლამბერტი, იქვე, გვ. 656.

ბაღდათთან კაკას ხიდზე მომხდარი ამბის ზუსტი თარიღი დღემდის დადგენილი არ არის. ეგნატაშვილი ბერის ჩვენებით ეს 1632 წელს მოხდა<sup>1</sup>, მაგრამ ვახუშტი ქორონიკონ ტკვ-ს ასახელებს, რაც 1638 წელს უდრის<sup>2</sup>. ვახუშტიდან მოკიდებული ამ ამბისათვის თარიღი 1638 ჩვენს ახალ საისტორიო მწერლობაშია დაამკვიდრდა. ბროსეს და თაყაიშვილს ასეთი თარიღი სწორად მიაჩნიათ. ამ ბოლო ხანებშია მარიამ დედოფლის ქართლს მოყვანის თარიღად იგივე 1638 წელი უჩვენა პატ. ლ. მუსხელიშვილმა<sup>3</sup>. დაკვირვებამ დავგარწმუნა, რომ ამ ფაქტისათვის ეს თარიღი შემცდარია. ბაღდათთან კაკას ხიდზე გიორგი მეფის დატყვევება და, მაშასადამე, ქართლს მარიამ დედოფლის ჩამოყვანა, არ შეიძლება 1638 წელს მომხდარიყო, რადგანაც ჩვენ გვაქვს მარიამ დედოფლის მიერ სიონის ღვთისმშობლის ყმათათვის ნაბოძები დათარიღებული 1634 წლის თარხნობის წიგნი, სადაც ნათქვამია: „ასე რომე ამას წინათაც კელმწიფეთაგან თარხანი იყენით. ახლა თბილელი და სათფილელი ყმა პირის სანახაყად მოგვართვის. აწე ჩვენცა გათარხნეთ“<sup>4</sup> და სხვა. ცხადია, ეს ამბავი უფრო ადრეა მომხდარი. შეიძლება, იმავე 1632 წელს, როგორც ეგნატაშვილი ბერი უჩვენებს, ან 1633 წელს. ყოველ შემთხვევაში საძიებელი თარიღის გადმოწევა 1634 წლის აქეთ შეუწყნარებელია.

ამ არაჩვეულებრივი გამარჯვების აღსანიშნავად ლევანს ხონის წმ. გიორგის ხატზე ვრცელი წარწერა ამოუჭრეინებია, ხოლო ილორისათვის მას უხვი შეწირულება მიუერთმევა: „კახის ბატონის დროშის თავი, ბროლის ჯუარი, იმ დროშის ბუდე ოქროსქსოვილი სარასლისა“<sup>5</sup>. გარდა ამისა, მას ილორის საყდარი დაუხურავს, დასავლეთის ორივე კარები ვერცხლით მოუქედინებია და ხატის წინ ვერცხლისავე სასანთლე დაუდგამს და ორმოცი მოსახლე თხალარებისა ბეგარაც შეუწირავს. ამის შემდეგ მოთხრობილია ლევანის ისევ ქუთაისზე გალაშქრება იმერეთის მეფის ალექსანდრეს წინააღმდეგ. როგორც წარწერაში ნათქვამია, ეს ლაშქრობაც ლევანის გამარჯვებით დამთავრებულა. მას ქალაქი დუწვევს და აუოხრებია. ძღვევამოსილ დადიანს დაბრუნებისას უზახე მეფის ძმა მამუკა შებმია. ლევანმა ხელთ იგდო მამუკა. ბატონიშვილ ვახუშტს ეს ამბავი ცოტა სხვაგვარად აქვს მოთხრობილი.

მისი სიტყვით მამუკა ბრძოლაში სხვისი ცხენით გამოსულა. „მისი მხილველნი მეგრელნი ივლტოდნენ, მიეწია მამუკა, სცა შუბი და დასცა კაცი ცხენითურთ მიწასა. არამედ უბრკმა ცხენსა მამუკასასა და დაეცნენ ორნივე“<sup>6</sup>. „ამის მხილველნი მეგრელნი უკმოიქცნენ. შეიპყრეს მამუკა და მიგვარეს ლევან დადიანსა“<sup>7</sup>. თუ ვახუშტის ცნობა სწორია, მაშინ წარწერებში დადიანის მიერ ორჯერ ხაზგასმით ნათქვამი: „თვითონ მე დავირჩინე“ სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს. მაგრამ ასეა თუ ისე, მამუკა დადიანის ტყვე იყო. ლევანს მამუკა ილორის წმ. გიორგის „კარზედა“ მიუყვანია და ხატისათვის დიდი ვერცხლის სასანთლე ქვეშ ნალბაქიანი შეუწირავს. ამის გამო მას წმ. გიორგის ხატზე ცალკე წარწერაც ამოუჭრეინებია. მოგვყავს მთლიანად ეს წარწერა ბროსეს მიხედვით: „ეპაშენ მოწამეთა შორის უმჯნეს მოწამედ წარჩინებულო და მკედრობით სახელდებულო შვიდწილ უძღველო, გვრგვო მოწამეთაო და მკედარო დიდისა მეუფისაო, სახელ დიდო მოწამეთა მთავარო წმიდაო გიორგი ოლორისაო გვედრები მე, მოსავი შენი, კელმწიფე

<sup>1</sup> ეგნატაშვილი ბერი, იქვე, გვ. 175.

<sup>2</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 392.

<sup>3</sup> ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ტფილისი, 1938, გვ. 176.

<sup>4</sup> ქართლ-კახეთის მონასტრები და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი, 1903, გვ. 210.

<sup>5</sup> 1640 წლის 9 თებერვალს ილორის ეკლესიაში დროშისათვის, ბროლის ქვაბი და ბუდე უნახათ რუს ელჩებსა ფ. ელჩინს და მღვდ. ზახაროვს. იხ. Посольство дьяка Федота Елчина и священника Захарьева в Даднианскую землю 1639—1640. Материалы для русской истории. Москва. 1888, стр. 353.

<sup>6</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 105.



დადიანი პატრონი ლევან, რომელსა შენ მიერ მომენიჭა ძლევა მტერთა და გამარჯვება. ოდეს მიუხედით ქუთათის ალექსანდრე მეფეს, ქუთათისისა ქალაქი დავწვით და დავსტეხეთ. მერმე ბატონიშვილი მამუკა შემოგვება და თვთან მე დავიჩინე ხელთა. იქიდან გამარჯვებულნი შენს კარზედ მოვედით ბატონიშვილცა თან მოვიყუანეთ და ეს სასანთლე ვერცხლისა მას ეამსა შემოგწირეთ კვალად ჩვენდა გასამარჯვებლად და სადღევგრძელოდ. ქრონიკონსა სამასოცდახუთმეტსა“. ალექსანდრე მეფისათვის მამუკას ტყვეობაში ყოფნა უდიდესი დანაკლისი იყო. მამუკას სახით მან დაკარგა თავდადებული ძმა, უშიშარი მებრძოლი და ქვეყნის მტერთა რისხვა.

ალექსანდრე მეფე ფრთებმოტეხილი დარჩა. დადიანის წინააღმდეგ ბრძოლა მას კიდევ უფრო გაუძნელდა. სამავგიეროდ აუწერელი იყო ლევანის სიხარული. მამუკას სახით მან მეტად სახიფათო მოწინააღმდეგე მოიშორა.

ალექსანდრე მეფე დიპლომატიური გზით არა ერთხელ ცდილა გამოეხსნა მამუკა დადიანის ტყვეობიდან. ასეთი დავალებით მას არა ერთხელ მიუვლენია ზუგდიდს მაშინ იმერეთს მყოფი თეიმურაზ I, გენათელი-ზაქარია ქვარიანი, მდივანი ფეშანგი და სხვები. თუ რამდენად მოწადინებული იყო ალექსანდრე მეფე, რომ მამუკა ამ ტყვეობიდან როგორმე გამოეხსნა, იქიდანაც ჩანს, რომ მან ამ მიზნით არ დაზოგა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი— ბაგრატიც კი და მამუკას მაგიერ წინდაწინ მძევლად მისცა დადიანს— მაგრამ უშედეგოდ; ლევანმა არამც თუ მამუკა არ გაუშვა, მან ბაგრატიც დააკავა და არ დაუბრუნა მამას.

ალექსანდრე მეფეს დადიანის ასეთი საქციელი რუს ელჩებისათვის მოუხსენებია: «Да он же Александр царь говорил про брата своего Мамуку да про сына своего Баграта, что ныне они у дидьянского, брат де ево Александров взят к нему на бою, а сына его взял в оманаты, что было его Мамуку опустить и тем ево обманул и держит ныне у себя обенх»<sup>1</sup>.

თუ ლევანმა ბაგრატი, როგორც იყო, შემდეგ მაინც გაუშვა, მამუკას დახსნას ალაფერი ეშველა. მას თვალები დასთხარეს და 1654 წელს ტყვეობაში გარდაიცვალა კიდევ.

დადიანის ეს გალაშქრება ქუთაისზე, როგორც ცალკე წარწერიდან ჩანს, მომხდარა „ქქსა: სამას ოცდახუთმეტსა“, რაც 1647 წელს უდრის.

ლევანის უკანასკნელი ლაშქრობა, რომელიც ამ წარწერაში იხსენიება, ისევ ქუთაისზე თავდასხმა გახლავთ. „შეწვენითა შენითა მიუტყდით მეფესა ალექსანდრეს რიონს გაღმა ქუთათის, ქალაქი დავსწვით და ავაოჯრეთ და შემოვადევით გენათელის ციხესა და დაუწყეთ ბრძოლა, დაუშინეთ დიდროვანი ზარბაზნები, დავამტურივეთ ციხე და ავიღეთ სწორზედა, ორმოცის თავადითა და აზნაურშვილებითა, სხვისა მრავლითა მეთოფითა, მისის საქონლითა და ალაფითა ავსებულნი მშვიდობით გამარჯვებულნი შინა მოვედით“. ამ ნაკვეთით მთავრდება წარწერის თხრობა. როგორც ჩანს, დადიანს ამ შემთხვევაში აუღბრებია არა მარტო ქუთაისის ქალაქი, არამედ გენათელის ციხეც. გენათელზე თავდასხმა შემთხვევითი არ არის. გენათელი, ვითარცა მეფის სულიერი მამა, მეფის პოლიტიკისათვის აქტიურად მებრძოლი გახლდათ, კერძოდ, გენათელი ზაქარია ქვარიანი, რომელიც ამ პერიოდში მოღვაწეობდა, ალექსანდრე მეფის მარჯვენა ხელი იყო. ამიტომ სრულიად არაა საკვირველი, თუ დადიანის რისხვა გენათელსაც გადაწვდა.

ამ ლაშქრობის თარიღი უცნობია, მაგრამ ის მომხდარი უნდა იყოს 1647—1651 წლებში. სწორედ ამ ლაშქრობის შემდეგ, როდესაც დადიანი ზუგდიდს ნადირობის დროს ხიფათსა და შიშს გადარჩენილა, მოუტყდინებია აღნიშნული ხატი და ის ამ ვრცელი წარწერითაც შეუმკია.

<sup>1</sup> Посольство стольника М. Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650—1651. Тифлис, 1926. стр. 182.

დასასრულ, არ იქნება ზედმეტი თუ შევეხებით კითხვას: რატომ ოდიშის მთავარი ლევან დადიანი XVII საუკუნის მეორე მეოთხედის განმავლობაში ასე სასიკვდილოდ გადაეცა თავის ბატონს იმერეთის მეფესა და ქვეყანას.

ან როგორ ახერხებდა ის თითქმის ყოველთვის მეფისა და იმერეთის ჯარის დამარცხებას?

თავის დროზე ეს კითხვა არქანჯელო ლამბერტისაც აწუხებდა: „თუმცა იმერლები, რომლებთანაც მეგრელები ჩვეულებრივ ომობენ, ტანადაც კარგი მოყვანილი არიან, სახითაც მშვენიერები და მათ პირისახეზე გამოიხატება ისეთი დიდებულება და მამაცობა, თითქოს მთელი ქვეყნის დამორჩილება უნდათო, მაგრამ როდესაც კი შებმიან ოდიშარებს, ყოველთვის დამარცხებულან პირველსავე შუბის სროლაზე“<sup>1</sup>.

ლამბერტი დასძენს: „მე ბევრჯერ მიკითხავს მეგრელებისათვის, რა მიზეზია, რომ იმერლები, ვერც მშვენიერები და შესახედავად მამაცები, ვერ გიმავრდებიან-მეთქი? ამაზე ის პასუხი მიუციათ: რომ ომში გამარჯვება შეხედულებაზე როდი ჰკიდიაო, არამედ მამაცობაზეო. რადგან იმერლებს შეხედულება კი აქვთ და მამაცობა აკლიათო, ამიტომ ჩვენ მეგრელებს ვერ გავვიმავრდებიანო“. რასაკვირველია, ომში გამარჯვება შეხედულებაზე დამოკიდებული არ არის, მაგრამ აქ რომ მარტო მამაცობა არაფერ შუაშია, ესეც ცხადია.

ნეტავ რას იტყოდა ლამბერტის კითხვაზე ასე თავმოწონედ მოპასუხე, თუ მას შევეკითხებოდით: რატომ მხოლოდ ამ ხანად გამოიჩინეს მეგრელებმა ეს არაჩვეულებრივი სიმამაცე. სადღა იყო ის მანამ, ან ლევანის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ოდიშართა ძლევამოსილებას ასე სწრაფად მოეღო ბოლო? ან საიდან ჰქონდა ლევანს ეს „დიდროვანი“ ზარბაზნები, რითაც ის იმერეთის ციხე-სიმაგრეებს და ქალაქ ქუთაისს ასე ხშირად და ასე უმოწყალოდ ანგრევდა, ან რატომ არ გააჩნდა მეფესაც ბრძოლის ისეთივე საშუალებანი?

ცხადია, მარტო სიმამაცე აქ ვერაფერს აგვისნის. პასუხი ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ რთულ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც სწორედ XVII საუკუნის მეორე მეოთხედისათვის იმერეთის სამეფოს გარშემო შეიქმნა და რომელშიაც ჩქარა სამეგრელომაც ამოჰყო თავი. XVII საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოსათვის იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუარესდა. შაჰ-აბაზის ორგზის ლაშქრობის შედეგად, ირანმა დაიკავა ქართლ-კახეთი და ფაქტიურად ირანის სახელმწიფოებრივი საზღვარი ლიხის ქედზე გადაიკიმა. ქართლ-კახეთის დპყრობის შემდეგ—საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროშის მატარებელი მხოლოდ იმერეთი და დარჩა. ამიტომაც ირანის შემდგომი იერიშები სწორედ იმერეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ირანის მთავრობის თვალსაზრისით, ქართლ-კახეთის მტკიცე დაპყრობისათვის იმერეთის დაკავებაც აუცილებელი იყო, რაც მათთვის ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში საიმედო „სახიზარისა“ და მტკიცე ზურგის მოსპობა იქნებოდა. გარდა ამისა, ირანის საბოლოო მიზნებისათვის—თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში—შავ ზღვასა და მის მისაველებს პირველსარისხოვანი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. დასასრულ, ამიერ-კავკასიაში მეფის რუსეთის შემოჭრის საფრთხე, რომლისაგანაც ირანმა ქართლ-კახეთში თითქოს თავი დაიზღვევა, ახლა იმერეთიდან იმუქრებოდა. ყველა ამ გარემოებათა გამო იმერეთის პრობლემას ყენის მთავრობის შემდგომ სამოქმედო პროგრამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ირანი იმერეთის მიმართ ძალიან აგრესიულად იყო განწყობილი, თავდაპირველად ის მაინც არ მიმართავდა მასზე აშკარა სამხედრო თავდასხმას თუნდაც იმიტომ, რომ ამას შეიარაღებული კონფლიქტი უნდა მოყოლოდა თურქეთთან. ყოველ შემთხვევაში ამისათვის უფრო ხელსაყრელი მომენტის შერჩევა იყო საჭირო.

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, იქვე, გვ. 91.

გარდა ამისა, ირანის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ იმერეთზე ლაშქრობა ძალიან დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული, თანაც დიდ მატერიალურ რესურსებსაც მოითხოვდა. ამიტომ ის ჯერჯერობით მაინც იმერეთის წინააღმდეგ აშჯობინებდა არაპირდაპირ, ინტრიგებისა და შინაგანი აგენტების გზით, ფარულ ბრძოლას.

სწორედ ამ პერიოდში ირანის ასეთი პოლიტიკა გარკვეულ წარმატებას აღწევს. ირანი ახერხებს დაკავშირებას ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან. ლევანი თავისი სამთავროს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის სრულიად შეგნებულად უწყობდა ხელს ყაენის პოლიტიკის განხორციელებას დას. საქართველოში. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, დადიანს „ყაენიც მწყალობელი და ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი“<sup>1</sup> გახდომია. ამ დროიდან მოყოლებული ლევან დადიანი ჟრახვეულებრივად გაძლიერდა. მან დაიწყო გამუდმებული თავდასხმები იმერეთზე, ოდიში იმერეთის მოსისხლე მტრად გადაიქცა. ამგვარად ირანმა შესძლო იმერეთის გარემოცვა დასავლეთიდანაც.

ლევან დადიანმა სწრაფად მოახერხა მეფის ყმობისაგან ფაქტიურად განთავისუფლება და ეწეოდა იმერეთის აწიოკებას ათეული წლების განმავლობაში.

აი რას ამბობდა ამაზე ალექსანდრე მეფე ერთ-ერთ თავის წერილში: «что на перед сега Дадиванский царь с ними в одной вере и под его рукой. А ныне де отстал и учинился в подданстве у персидского шаха и сними ссылается и помочи просит а хочет и землю разорить».

და იქვე «И собрав воинских людей приходит на меня по дважды и по трижды и чинит мне шкоту, собирает абазинцев и чиков и приходит на меня войною по все годы»<sup>2</sup>.

იმერეთის უნუგეშო მდგომარეობას აგვიწერს აგრეთვე ეგნატაშვილი ბერიც. მისი სიტყვით „და მიერთვან მძლავრობდა დიდად დადიანი იმერეთზედა; ესრეთ გაუჭირა საქმე ალექსანდრეს, რომე ქუთაისს გალაყანი შემოაელო და იჯდა მას შინა და ვერა წინააღმდეგობდა დადიანს, ხოლო დადიანი მოუჭდებოდა ყოელს საუფლოს დღეს, შობას, ახალწელიწადსა, ნათლისღებასა და აღდგომასა და აოვრებდა ქუეყანასა იმერეთისასა; რომელსამე ჯოცდა და რომელსამე ტყუე ჰყოფდა და ჰყიდა და დაირჩენდა და თავს დაახსნევიებდა“<sup>3</sup>.

სამწუხაროდ, ეს მაღალი გალაყანიც ქალაქის გარშემო ყოველთვის ვერ ფარავდა მეფეს. «И городовые стены не водном месте ипразрушени»<sup>4</sup>, — ამბობენ რუსი ელჩები. შესაძლებელია, დადიანის მიერ წარწერებში კვეხნით ნათქვამი ქუთაისზე თავდასხმის და „დიდროვანი“ ზარბაზნებით. ქალაქის „დამტყვევის“ შესახებ ოდნავადაც არ იყოს ჭეშმარიტებას დაცილებული.

ოდიშის მეშვეობით ირანი ორნაირ მიზანს აღწევდა: ჯერ ერთი, იმერეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ დანგრევა-დასუსტებას, ხოლო მეორე მხრივ იმერეთის იზოლირებას ქართლ-კახეთის ამბებისაგან. ფარსადანის სიტყვით, 1645 წელს ალექსანდრე მეფემ იმიტომ ვერ მოახერხა ირანის წინააღმდეგ წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში თეიმურაზის დახმარება, რომ „ყაენი თეიმურაზს უწყობდოდას. თუ მეფე ალექსანდრე თუ იმერეთით დაიძვროდა, დადიანი იმერეთს ჩამოუდგებოდა“<sup>5</sup>. ეს დამახასიათებელი მაგალითი მოქმედებდათა შეთანხმებისათვის ირანის შაჰსა და ოდიშის მთავარს შორის.

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 51.

<sup>2</sup> Посольство стольника Н. Толочанова и дьяка Невлева в Имеретию 1650—1651. Тифлис, 1925 стр. 10.

<sup>3</sup> ეგნატაშვილი ბერი, იქვე, გვ. 176.

<sup>4</sup> Посольство стольника Н. Толочанова и дьяка Невлева в Имеретию 1650—1651. Тифлис, 1926, стр. 152.

<sup>5</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, იქვე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ იმერეთის მეფეს დადიანთან ბრძოლაში თავისივე ქვეყნის ყველა თავადი თუ დიდი აზნაური ერთნაირად ენერგიულად როდი უჭერდა მხარს. პირიქით, ლალატობდნენ კიდევ. თუ სწორია ვახუშტის ცნობა, მეფე ალექსანდრემ წარჩინებულთა ლალატის აღსაკვეთად „მოავლო ზღუდე ქუთათისს დიდი და მოიყვანა ყოველთა წარჩინებულთა თვისთა ცოლშვილნი და დაადგინა მას შინა თვითაც იმყოფებოდა მასვე შინა, რათა არა მიერთნენ დადიანსა ჰყო მისთვის“<sup>1</sup>. ცხადია, ასეთი ახირებული ხერხით აღარ შეიძლებოდა დადიანის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის დარაზმვა და თითო-ოროლა მოლაღატე ყოველთვის ჩნდებოდა ხოლმე: პაატა წულუკიძე, ზაალ წერეთელი, საყვარელიძე და სხვები. რასაკვირველია, წარჩინებულთა ლალატი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობას აშკარად აუარესებდა და დადიანთან ბრძოლას კიდევ უფრო აძნელებდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ოდიშის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს (მდაბიონი) და დასავლეთ საქართველოს სამღვდლოებებს ემძიმებოდა ლევანის მიერ იმერეთის ასე აწიოკება—მათ საკმაოდ ხშირად და ზოგჯერ ძალიან მოხერხებულადაც გამოუთქვამთ თავიანთი აზრი ლევანის ყაჩაღური პოლიტიკის წინააღმდეგ. აი ერთი ამისი იშვიათი მაგალით-თავანი:

1640 წლის 23 აპრილს გიორგობის ტრადიციულ დღესასწაულზე სუჯუნის ეკლესიაში თავი მოეყარათ: აფხაზეთის კათალიკოსს მაქსიმეს, ტრაპიზონელ მიტროპოლიტ კირილეს, ვახტანგ გურიელს და ოდიშ-გურიის მაღალ ფეოდალურ არისტოკრატებს. დღესასწაულზე მოუწვევიათ აგრეთვე მაშინ სამეგრელოში მყოფი რუსი ელჩები: თედორე ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარევი. წირვის შემდეგ გამოსულა ერთი მცხოვანი გლეხი, რომელსაც ჩვეულებისამებრ ღამე ეკლესიაში გაუტარებია და დაუწყია წინასწარმეტყველება (ვითომც წმ. გიორგის შთაგონებით), თუ როგორი მოსავალი იქნება მიმდინარე წელს, ვინ მოკვდება, ვინ დარჩება ცოცხალი, იქნება თუ არა ომი და სხვა. გლეხის საუბარი დაწვრილებით მოყვანილი აქვთ რუს დესპანებს ელჩობის მუხლობრივ აღწერილობაში და ძალიან საყურადღებოა „წინასწარმეტყველობის“ ის ნაწილი, რაც გლეხს ომის შესახებ უთქვამს:

«Георгии де царю Леонтию на Башечпццкого царя не велел ходить воевать, а бутто Георги зговорил и где де волк повадитца овец ловить дважды уловит а трети де самово волка уловят, тако де и царь Леонтей прежде сево ходил па Башечитцкого и повоевал, а ныне де царь Леонтей на Башечитцкого поидет, убит будет»<sup>2</sup>.

ეს იყო სრულიად მოულოდნელი ამბავი წირვაზე მყოფი ლევანის მომხრე დასისათვის, მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ.

ეს გახლდათ ლევანის ყაჩაღური საგარეო პოლიტიკის საჯარო გაკიცხვა და ამასთან ერთად ძალიან მოქნილი და მოხერხებული ფორმით ოდიშის მოსახლეობის ღრმა თანაგრძნობის აშკარა დემონსტრაცია—იმერეთისადმი. საყურადღებოა, რომ ყველაფერი ეს ხდება უცხო სახელმწიფოს ელჩების თანადასწრებით. ასე მოწყობილ „დაშინებას“, ცხადია, არ შეეძლო გამოეცვალა ლევანის საგარეო პოლიტიკა. მაგრამ ამ სრულიად არა „წინასწარმეტყველი“ გლეხის გამოსვლამ გამოამხეურა ოდიშის ხალხის ნამდვილი განწყობილება ლევანის პოლიტიკისადმი.

ფეოდალურ დაქინებისა და დაცემულობის უკან ლევანი საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის ოსტატურად სარგებლობდა შექმნილ საერთაშორისო ვითარებით. ასეთი პოლიტიკის შედეგად მას, ირანული „სალაროს“ გარდა, დიდძალი ნადავლიც შემოდიოდა. ამას აშკარად მოწმობენ ლევანის სახელით ძვირფასად მოკვდილი რიცხვმრავალი წარწერიანი ზატები და ფრესკები, რომელთა შორის იღორის ხატებს და კერძოდ ჩვენ მიერ აქ განხილულ წარწერიან ხატს განსაკუთრებული ადგილი ეკირა.

<sup>1</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 303.

<sup>2</sup> Посольство дьяка Федота Аччина и священника Павла Захарьева в Далианскую землю 1639—1640. Материалы для русской истории. Москва, 1888, стр. 371.

[ში ქრისტიანეთა ზღუდვო, მორწმუნეთა და მოსავთა შენთა ლხინებო, ბრძოლათა გამარჯვებო, დიდი ახოვანო გონებითა მკვადარო, ძლიერებითა უუკუდავი, მიუღრეკლობითა უმუნესი, ღვაწლითა ზეცად აღსრული, საქმითა რომელი ჰნათობ სოფელსა და ვლი უფსკრულსა წინაშე მამისა და ძისა და სულისა წმიდისა მდგომარე ხარ. უფალო ყოვლისა სოფლისაო, ვარსკვლავო განბრწყინვებითაო, ქუეყანისა დიდებო, ღირსებისა ქებო, კადნიერებისა ყვავილო, წამებისა მუშაკო და სატანჯველითა განათლებულო, მრავალფერითა განსაცდელითა უძლეველო, ძლიერებითა მძლეო, ქაბუკობითა ლამპარო, ქრისტეს წინამდგომარეო, მეუფისა დიდო დიდებო, ანგელოსთა დასებო, მკნეო მკვადარო, ღვაწლით შემოსილო შვდ-წილ უძლეველო, ახოვანო, მოწამეთა მთავარო, სასწაულთა მოქმედო, წმიდაო გიორგი!

ჩუენ ცვა-ფარვითა შენთა მონდობილმან და მოსავმან შენმან ჯელმწიფემან, დადიანმან, პატრონმან ლევან, ძემან ჯელმწიფისა მანუჩარისამან, ვიგულე და ვიგულისმოდგინე მას ჟამსა ოდეს განრისხდა ღმერთი კურთხეულის მამის ჩემის, პატრონის მანუჩარისაგან— ზუგდიდს ნადირობასა ცხენისა რბევასა შიგან შეიძგერდენ ბატონი და გოშაძე ფარუხია და ცხენი წაიქცა, ამიერ სოფლით მიიცივალა. მაშინ შემოგწირეთ უწინ მისდა მორჩენისათვის და მერე მისის სული]სა სახსრად დასაოხად ჩუენდა გას[ა]ზრდელად, ბატონობისა ჩუენისა წარსამა[რ]თებულად რეკა—ნაეჯიბაუ სასახლე და ექუსი მოსახლე კაცი. კიდევე შემოგწირეთ, მოვაჰედინეთ ხატი სახისა შენისა. მას ჟამსა ოდეს შვევებნით იმერელ მეფესა გიორგის ახალსოფელს მისულაზედ, ოდასქურას გაღმა, ვსძლიეთ ძალითა და შეწევნითა შენითა, გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა, ჯუარი ხალასათ შეკერული, აღმითა და ოქროსა ხატი მოვაჰედინეთ, შევაძკუეთ პატრონის თულითა და მარგალიტითა და დავასუენეთ წალენჯიხას და თქუენ შემოგწირეთ და მოვაჰედინეთ ხატი თქუენისა სახისა და ერთი მოსახლე შე[ე]კუა, მეორე მოსახლე კიკოლ გერმანია. მას ჟამს ოდეს მიუწვდით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ ავაოვრეთ, კიდევე მეორედ მიუწვდით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულებით დაესწვით და ავაოვრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გავემარჯუა და დავერცეთ ზოგი ჯელთ დაგურჩა და გამარჯუებულნი მოვედით, შემო[გ]წირეთ ერთი მოსახლე ელინჯარი კაჰაბაა მეზეთეთ, კიდევე მასჟამსა ოდეს შვევებნით ბაღდადს იმერელ მეფესა გიორგის და შვილსა მისსა ალექსანდრეს და მამუქასა და მისს სიმამრსა კახსა ბატონსა თაიმურაზს ვსძლიეთ ძალითა შენითა და გავემარჯუა: გიორგი მეფე ჯელთ დაგურჩა, შვილები და კახი ბატონი გარდაიხვეწა, უფროსი ერთი იმერელი და კახნი ჯელთ დაგურჩა. მოვედით ტაძარსა შენსა და შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი—ბროლის ჯუარი, იმ დროშის ბუდე ოქროქსოვილი სარასლისა, გარდაგბურეთ, დასავლეთისა საყდრის კარები ორივე ვერცხლით მოგიჰედეთ და ვერცხლის სასანთლე ქუეშ ნალბაქიანი წინ დაგიდგით და თხალ[ა]რებისა ბეგარა ორმოცი მოსახლე კაცისა გიორგობას დღესა მოიტანდენ, სხუა როგორცა გამი-

რიგებია შეწირულებისა საქმე, სიგელი დამიწერინებია და ის წაიკითხონ. ამავე ჟამსა ავყარეთ სრულებით ქალაქი ჩხარისა, მოვასხით ზუგდიდს და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა. კიდევ მას ჟამს[ა] ოდეს მიუჭედით მეფე ალექსანდრეს ქუთათის ქალაქი დავსწვით და ავაოტრეთ და გამარჯვებული მოვიდოდით, მეფის ძმა მამუკა წინ დაგუხუდა და შევიბენით, თვითან მე დავირჩინე და შენსა კარზედა მოვიყუანე მამუკა და შემოგწირე დიდი ვერცხლის სასანთლე ქუეშე დიდ ნალბაქიანი. კიდევ ძალითა და შეწევნითა შენითა მიუჭედით მეფესა ალექსანდრეს, რიონს გაღმა ქუთათის ქალაქი დავსწვით და ავაოტრეთ და შემოვადეგით გეინათელის ციხესა და დაუწყეთ ბრძოლა, დაუშინეთ დიდროვანი ხარბაზნები დავამტურივეთ ციხე და ავიღეთ სწორზედა ორმოცის თავადითა და აზნაურშვილებითა სხვისა მრავლითა მეთოფითა მისის საქონლითა და ალაფითა ავსებულნი მშვიდობით გამარჯვებულნი შინა მოვედით [და ვიწყეთ ხატისა ამის შემკობა და მოქედვა. სრულ იქმნა ხატი ესე ქქა: სამას ოცდაათ ცხრამეტსა. ამა ხატისა გამომყუანელს, ოქრომჭედელსა ტყავუელიძეს ბეჟიას, შეუნდოს ღმერთმან ცოდვანი მისნი: ამინ.

## ღარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით\*

გვიანფეოდალურ საქართველოს სამოხელეო წყობილება სრულიად შეუსწავლელია ჩვენს სამეცნიერო-საისტორიო მწერლობაში. სახელმწიფო წყობილების ეს მნიშვნელოვანი დარგი ნამდვილ terra incognita-ს წარმოადგენს. დადგენილი არაა ქართული სამოხელეო ტერმინოლოგია, რის გამოც მრავალი ტერმინი მცთარად და უცნაურად არის განმარტებული; ბევრი მკვლევარი იმის მიხედვით, რომ XVI-XVIII სს. სამოხელეო სახელეობის უმრავლესობა სპარსულ-თურქული იყო, არსებითი ხასიათის შეცდომას უშვებს, როდესაც უცხოური წარმოშობის ტერმინს ადგილობრივ ელფერს აცლის და ავიწყდება, რომ სპარსულ-თურქული წარმოშობის სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებს საქართველოში სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ მინიჭებული, ხოლო ერანის სახელმწიფოში ისინი სულ სხვა ცნებისა და შინაარსის გამოხატელები იყვნენ. ამიტომ, სანამ სამოხელეო სახელების ნამდვილი შინაარსი ქართულ ფეოდალურ სინამდვილესთან დაკავშირებით არ იქნება შესწავლილი, მანამდე სწორი და შეუმცთარი მსჯელობა საქართველოს სამოხელეო წყობილებაზე შეუძლებელი თუ არა, მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული იქნებოდა.

საქართველოს სამოხელეო წყობილების შესწავლას პირველად XVIII ს-ის გამოჩენილმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბატონიშვილმა მოჰკიდა ხელი. სამოხელეო ისტორია ვახუშტის სამ ნაწილად აქვს დაყოფილი. პირველსა და მეორე ნაწილში უძველეს დროიდან მომდინარე და, აგრეთვე, გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოს მოხელეთა უფლება-მოვალეობანი არის განხილული<sup>1</sup>.

„აქ მას, — როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, — უსარგებელია ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებით, მაგრამ ამას გარდა ბევრი სხვა ცნობებიც ჰქონია, რომელიც სხვა წყაროებიდან უნდა იყოს ამოღებული. ერთ-ერთ წყაროდ, უეჭველია, მას „ქარის-გარიგებაც“ ექნებოდა. დანარჩენი წყაროების შესახებ-კი ჯერჯერობით არა ვიცით რა. ეს კია რომ ამ პირველ ნაწილში ზოგი საეპეო და შემცთარი აზრი აქვს გამოთქმული. ცხადია ამასთანავე, რომ ვახუშტის მიერ ყველა დასახელებულ მოხელეთა თანამდებობა შეუძლებელია საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების პირველ ხანას ეკუთვნოდეს, მაგ., ბოქაულთხუცესი, ბოქაულნი და სხვა“<sup>2</sup>. მესამე ნაწილში, რომელსაც ეწოდება: „აწინდელის ხელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს“<sup>3</sup> აღწერილია როსტომ მეფის მიერ შემოღებული სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტები. სამოხელეო ისტორიის ეს ნაწილი კარგად არის დაწერილი და უფრო სანდოა, რადგან თვითონ ვახუშტი ქარ-

\* შემოკლებული სახით მოხსენდა ენიშვი-ის ისტორიის განყოფილების სხდომას 22. XII. 1940 წ. შენიშვნებისა და თავაზიანი დახმარებისათვის პროფ. ნ. ბერძენიშვილს მადლობას მოვახსენებთ.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, პირველი ტომი, გვ. 302.

<sup>3</sup> ვახუშტი, ibid., გვ. 23-24.

თლის მმართველ წრეს ეკუთვნოდა და თავისი დროის ხელისუფალ-მოხელეთა თანამდებობრივი მდგომარეობა და მოქმედების ასპარეზი კარგად უნდა სცოდნოდა. მაგრამ არც ეს ნაწილია თავისუფალი ზოგიერთი მცთარი აზრისაგან და, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა, „მეცნიერი ბატონიშვილი აქა-იქ სცდება, როდესაც, მაგ., ამტკიცებს, თითქოს მუშრები და ვაზირიც როსტომ მეფის მიერ შემოღებული შეცვლილი სამოხელეო სახელი ყოფილიყოს. ჩვენ დაქვემდებარებით ვიცით, რომ მუშრები დიდი ხნით როსტომზე უწინარეს შემოვიდა საქართველოში, ხოლო ვაზრობა ჩვენში მაინცადამაინც უკვე XII ს. არსებობდა“<sup>1</sup>. ვახუშტის მიერ განხილული და აღწერილი საქართველოს სამოხელეო წყობილება, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა და აქა-იქ გაპარულ მცთარი მოსაზრებისა, ძვირფას და საყურადღებო ცნობებს შეიცავს და აქ შეძლებისდაგვარად სამოხელეო წესწყობილების ყველა დარგია გაშუქებული.

საქართველოს სამოხელეო წესწყობილება განხილული აქვს აკად. მარი ბროსესაც. მან ქართველ მოხელეთა სია მოკლე განმარტებითურთ დაურთო თავის საქართველოს ისტორიის შესავალს (Introduction., CLXIV—CLXV, CLXVIII—CLXIX) და იქვე მოათესა სამოხელეო ვადასახადების სახელწოდებათა აღწერილობა (იქვე, გვ. CLXXIV—CLXXV). მაგრამ ბროსე მხოლოდ მოხელეთა სახელების უბრალო ჩამოთვლით დაკმაყოფილდა.

1897 წ. ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა ბატარა გამოკვლევა, რომელსაც სათაურად აქვს: „საქართველოს სამეფოს მოხელენი“ („მოამბე“ 1897 წ., № 3). აღნიშნულ გამოკვლევაში მოყვანილი სამოხელეო ტერმინების დიდი უმრავლესობა, ორიოდ ტერმინის გამოკლებით, ეტყობა დასტურლამალიდან და XVII—XVIII სს. საბუთებიდან არის ამოკრებილი, ან-ბანზე დალაგებული და შემცთარი შენიშვნებით და განმარტებებით გაშუქებული. ეს წერილი მკითხველზე სამოხელეო ტერმინთა ლექსიკონის შთაბეჭდილებას სტოვებს და მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია.

საქართველოს სამოხელეო წესწყობილება ვრცლად განხილული და აღწერილი აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს (იხ. ქართ. სამართლ. ისტორია, წიგნი I, გვ. 183—188 და წ. II, ნაკვ. I, გვ. 108—217). მაგრამ განსვენებული მეცნიერი გვიანფეოდალურ საქართველოს სამოხელეო წყობილებას არ შეჰხებია, ოღონდ 1918 წ. გამოაქვეყნებულ მონოგრაფიაში: „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.“ (ქურნ. „პრომეთე“, ტფ. 1918 წ., № 1, გვ. 35—61) მან საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობის შესწავლასა და დადგენას.

უკანასკნელ ხანებში ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართლის სამოხელეო წყობილებას შეეხო ფრანგი მკვლევარი იოსებ კარსტი, შრომაში: „Code Géorgien du roi Vakhtang VI“<sup>2</sup>. მას მოჰყავს ვახუშტის ხელისუფალთა შესახები ცნობების, XVI—XVIII სს. გარიგების თუ სარგოს წიგნების და, აგრეთვე, ადგილობრავი მართვა-გამგეობის შესახები დებულებების ფრანგული თარგმანი, რომელთაც დართული აქვს ვრცელი შენიშვნები (იხ. დასახელებული შრომის გვ. 205—218). მთარგმნელი კომენტარიებსა და შენიშვნებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გვიანდელ საშუალო საუკუნეების საქართველოს ფეოდალურ ადმინისტრაციის და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობას (იხ. შრომის მეორე თავის შინაარსი: *Système d'Administration et de Gouvernement du pays. Fonctionnarisme en Géorgie médiévale et moderne*, გვ. 260—316). კარსტი, რომელიც ნიჭიერად დაწერილ „სომხური სამართლის ისტორიის საფუძვლების“<sup>3</sup> ავტორად ითვლება, თავის ახალ შრომა-

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, *op. cit.*, გვ. 302.

<sup>2</sup> Karst, J. *Code du roi Vakhtang VI. Commentaire ou Précis du Droit ibero-Caucasien*. Livre I. Strasbourg. 1935.

<sup>3</sup> Karst, J. *Grundriss d. Geschichte des armenischen Rechtes (Zeitschr. f. Rechtswissenschaft, Stuttgart, tome 19—20), 1906—1907.*



ში მეცნიერულ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე ვერ დგას, ბევრ შემთხვევაში ბროსეს იმეორებს და ვახუშტის ზოგიერთ საექვო და შესასწორებელ ცნობას ეყრდნობა. რაც შეეხება სამოხელეო წყობილებას, აქ იგი სათანადო ქართული ტექსტების უხეირო თარგმნით, თავებრუდამხვევი ეტიმოლოგიური ვარჯიშობითა და აღმოსავლური წარმოშობის სამოხელეო სახელების გამოცნობის ხალისიანი, მაგრამ უსარგებლო მუყაითობით კმაყოფილდება.

უფრო ღირსი და მდარე ღირსებისაა „ქართველი ხალხის ისტორიის“ ინგლისელი ავტორის ალენის საქართველოს სამოხელეო წყობილების მოკლე მიმოხილვა (Allen, A history of the Georgian people XXIII. Court and Administration, გვ. 257—265) და ისიც მხოლოდ გაერთიანებული საქართველოს სამოხელეო წყობილების ზოგადი აღწერილობით არის შემოფარგლული.

საგნის სირთულის გამო თითოეული ჯელი მონოგრაფიულად შესწავლას გულისხმობს. ამიტომ ჩვენ წინაშე დასმული ამოცანის გასაადვილებლად წინამდებარე წერილში წარმოდგენილია მხოლოდ დარბაზის რიგის მაღალი რანგის მოხელენი (სახლთუხუცესი, მდივანბეგი, ეშიკადასაში, ვეზირი, მეთარაი, ყულარალასი, ყორჩიბაში). მოხელეთა დანარჩენი კატეგორიები (კარით წარვლენილი მოხელენი და საქვეყნოდ გამრიგენი) ცალკე ნაკვეთშია განხილული და აღწერილი.

ხელისუფალთა უფლება-მოვალეობანი ჩვენს წერილში შესწავლილია ერთი ძეგლის მიხედვით, სისრულისათვის გამოყენებულია აგრეთვე ისტორიულ-იურიდიკული ხასიათის სხვა დოკუმენტებიც, ხოლო საისტორიო მწერლობიდან გამოკრებილია საჭირო ცნობები.

### § 1. მოხელეთა დანაწილება

ქართლის სამეფოს მოხელობა, მოქმედების ასპარეზის მიხედვით, ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: დარბაზის რიგის მოხელეებად და საქვეყნოდ გამრიგეებად.

იმ მოხელეებს, რომელთაც სამეფო კარზე უხდებოდათ მოღვაწეობა და სამსახური „დარბაზის რიგის მოხელენი“ („მოქმედნი დარბაზის რიგისანი“) და „კარის გამრიგენი“ (დასტ. 41 ა, 55 ა) ერქვათ. მოხელეთა ამ მთავარსა და პირველ ჯგუფს დასტურლამალში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი, რადგანაც ეს მოხელენი სამეფო კარის დაწესებულებებში ისხდნენ და მეფის თანა-გამგებებად ითვლებოდნენ, მეფეს სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში შეელოდნენ. დასტურლამალის შემდგენელი, სჯულმდებელი ვახტანგ VI შესავალში ამბობს: „ოდეს ვიგულის-მოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა, განუჩინეთ და განუწესეთ წიგნითა ამით, რათა ყოველნი ხელისუფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ იქცეოდნენ და განაგებდნენ თჳს თჳსნი მოხელენი სახელოთა თჳსთა, და წესითა და შემგზავსებითა იქცეოდნენ...“ (დასტურლამალის შესავალი, გვ. 3). აქედან თითქოს ის აზრი გამოდინარეობს, რომ დასტურლამალი მხოლოდ დარბაზის რიგის მოხელეთათვის საგანგებოდ შედგენილი განწესება, გარიგების წიგნი ყოფილიყოს. მაგრამ ჩვენს საკანონმდებლო ძეგლში წარმოდგენილია მოხელეთა მეორე ჯგუფიც, რომლის წევრებს ვახტანგი თავის სამართლის წიგნში „საქვეყნოდ გამრიგეებს“ უწოდებს (ვახტანგის სამართლის წიგნი § 34). აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი დასტურლამალში არ გვხვდება, მაგრამ ნახმარია იგი ვახტანგის სამართლის წიგნში, რაც უფლებას გვაძლევს იმ მოხელეებს, რომლებიც ადგილობრივ დაწესებულებებში მსახურობდნენ და თემებსა, ქალაქებსა და სოფლებს განაგებდნენ „საქვეყნოდ გამრიგენი“ ვუწოდოთ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აკად. ი. ე. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ნაკვ. II, გვ. 112.

მოხელეებს, რომლებიც უშუალოდ კარის დაწესებულებებთან იყვნენ დაკავშირებული, მაგრამ საგანგებო დავალებით ადგილებზე იგზავნებოდნენ „კარით წარვლენილი“ (ბროსე, Introduction, p. CLXV) ანუ „კარით წარვლენილნი მოხელენი“ (იხ. ქართული სიგელების ბრძანებულობის ნაკვეთი) ერქვათ. დასტურლამალში ამ მრავალრიცხოვან მოხელეთა აღსანიშნავად ნახმარია „წასვლისა მოსაქმე“ (გვ. 54), უფრო ხშირად კი, უბრალოდ „მოხელენი“ (გვ. 18, 22, 34, 35, 61, 72, 73, 76, 82, 83, 87, 88, 97, 102) ან „მოსაქმე“ (გვ. 11, 17, 55 და სხვა). ეს მოხელენი სახელმწიფო ფულადი და სულადი გადასახადების მკრეფელნი იყვნენ და იერარქიულად კარის გამრიგებებს (გვ. 41, 52) ემორჩილებოდნენ.

სახელმწიფო, ან სამეფო თანამდებობის აღმასრულებელი პირის აღმნიშვნელი საზოგადო სახელი იყო: „ხელისუფალი“, „ჯელის მქონებელი“, „მოხელე“, „მოსაქმე“, „მოსამსახურე“, „საქმის მოქმედი“, „სამსახურის მოქმედი“, „გამგე“ და „გამრიგე“. იხმარებოდა აგრეთვე აღმოსავლური წარმოშობის ტერმინები: „ყული“, „ყულუხჩი“ და „ყორჩი“, უმთავრესად წვიროლ თანამდებობათა ამსრულებელ მოხელეთა აღსანიშნავად.

დარბაზის რიგის მოხელეთა საერთოდ აღსანიშნავად იხმარებოდა შედგენილი მრავლობითი ტერმინი „ვექილ-ვეზირები“. სამეფო სიგელების ბრძანებულების ნაკვეთში თითქმის ყველგან უკლებლივ „ვექილ-ვეზირები“ გვხვდება: „აწე გიბრძანებთ, კარის ჩვენის ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, თქუნცა ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით“. ასევე გავრცელებული იყო შედგენილი სახელი „კარის გამრიგენი“ და „კარის მოხელენი“. დასტურლამალში ნათქვამია: „მოსაქმემ ასრე ისაქმოს, და-იმ კვალად სალთხუცესსა და ჩვენის კარის გამრიგეთ, და ქარხნის ნაზირს ანგარიშს მისცემდენ“ (გვ. 55); „...უამისოდ ანგარიშს ნუ იქმონენ, შემოდგომაზედ და გაზაფხულზედ ჩვენის კარის მოხელეთ ანგარიშს მისცემდენ“ (გვ. 96 და სხვაგან). შედარებით იშვიათია: „გამგენი კარისანი“<sup>1</sup>, „კარის უხუცესნი“<sup>2</sup>, „კარის უფროსნი“<sup>3</sup> და „კარის მოსამსახურენი“<sup>4</sup>.

ქართლის სამეფოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული ის ტერმინები, რომელთაც ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ერანის შაჰის კარის მოხელეთა აღსანიშნავად ხმარობს. მაგ., „კარის კაცნი“<sup>5</sup>, „კარის უფროსნი კაცნი“<sup>6</sup> და „კარის მებატონენი“ ანუ „კარის ბატონები“<sup>7</sup>. ორი უკანასკნელი ტერმინის შესატყვისი, რამდენადაც ვიცით, სპარსულში არ მოიპოვება, ამდენად ფარსადან გორგიჯანიძეს ეს ტერმინები ქართულ სამოხელეო პრაქტიკიდან უნდა ჰქონდეს აღებული ისევე, როგორც, მაგალითად, „ისპაჰანის მოურაეი“<sup>8</sup> და „ბოქაულთუხუცესი“<sup>9</sup>.

<sup>1</sup> „...ამას შეუდგინეს გამგენი კარისანი, მახლობელ წინაუძლოდა სიძე თვისი (თეიმურაზ II-ის, გ. გ.) დიმიტრი ორბელიანი, რომელი იყო მანდატურთ-უხუცესი და განმგე დიდებულის კარისა“ (პ. ორბელიანი, ჩუბინაშვილის გამოც. გვ. 384).

<sup>2</sup> „აწე ვინცა დარამაცა ძემან ადამის მონათესავემან კაცმან, მეფემან ანუ დედოფალმან, დიდმან ანუ მცირემან, კარის უხუცეთა და გამრიგეთა იკადრონ... ამათ ნალვაწთა შლად და არა დამტკიცებად ღ-თნ ყოველივე კეთილდგაგებულნი მისი მოშალოს და დაუმტკიცებელყოს“. ისტ. საბ. IV, გვ. 49.

<sup>3</sup> „აწე გიბრძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდოვანო და ჩვენის კარის მოხელენო და უფროსნო...“ საქ. სიმე. ტ. II, გვ. 429.

<sup>4</sup> „...ამაებს უმრავლეს როსტომ მეფემ მიართვა და დადიანსა და ოდიშერთ ბერთა და მღრდელთა, თავდათა და აზნაურთა-და კარის მოქმედეთა და გამრიგეთა და მოსამსახურეთა, დიდთა და მცირეთა“; ფ. გორგიჯანიძის ისტ. ს. კაჰაბაძის გამოც., საისტ. მოამბე, 1925 წ., წიგნ. II, გვ. 241.

<sup>5</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტ., გვ. 209, 291; ორბელიანთა 1712 წლ. ნასყიდობის წიგნის დამხდურთა და მოწმეთა შორის, სხვათა შორის, დასახელებულია: „ბატონის კარის კაცი მდივანი ოთარ“.

<sup>6</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 283.

<sup>7</sup> იქვე, 289.

<sup>8</sup> იქვე, 252, 253, 270, 298.

<sup>9</sup> იქვე, 283.

დარბაზის რიგის ხელისუფლის, როგორც მსხვილი ფეოდალისა და დარბაზის-ელის, გამომხატველი ჩანს ტერმინი „დარბაზ ბატონი“. მეფის „მოხსენებაში“ და „მოკითხვაში“ ნათქვამი იყო: „მესტუმრეო, ჩვენ მაგერად დარბაზ ბატონს სალთხუ-ცესს იოანე მუხრან ბატონს და მდივნებს ასე უამბეთ“ (ისტ. საბ. IV, გვ. 104). მაგრამ „დარბაზ ბატონი“ უფრო საკარისკაცო ღირსების (საპატიო წოდებულობის) გამომხატვე-ლი უნდა ყოფილიყო, რადგანაც „დარბაზ ბატონად“ იწოდება სარდალიც, რომელიც, როგორც ცნობილია, დარბაზის კარსა მყოფ ხელისუფლად არ ითვლებოდა. მაგ., „მეს-ტუმრეო! დარბაზ-ბატონს ლეარსაბ სარდალსა და მდივანბეგს ერასტის მრავალი მოკითხვა მოახსენეთა“ (საქ. სიჭვ. II, 343).

დასტურლამალის შედგენით ვახტანგ VI მიზნად ისახავდა დარბაზის რიგის ხელის-უფალთა და მათდამი დაქვემდებარებულ სახელოთა და ხელქვეით მოხელეთა წესისა და რიგის დადგენას; დასტურლამალის შესავალში ამის შესახებ ნათქვამია: „აწ ვიწყეთ, და ამით ყოველთა ჰსცნან და დაიმარხონ წესი და რიგი ესე, თუ რომელი სამსახურის მოქ-მედი და მოქელენი დაგვიდგინებია საჯელოთა თჳსთა ზედა, ესრეთ თუთეულად აღწე-რილის წიგნითა, რათა იცნობდნენ და ეგნენ, და ნუმცა ვინ დაკლებულ იქმნების ნახე-ვარი ერთ ხანად, და ნახევარი მეორედ ხანს ცუალებითა, და რიგითა სამსახურსა ჩუცნსა, რაჟამს რომლისა რიგი აღესრულოს, კუალად სხუად კარისაგან განუყურელად იქნებო-დენ, თჳსთა უხუცესთა დასტურითა და შეკითხვითა“ (დასტ. გვ. 4).

მოხელეს, რომელსაც განკარგულებისა და ბრძანების გაცემა შეეძლო „ხელისუფა-ლი“ და „გამგებელი“ ერქვა, ბრძანების ამსრულებელ მოხელეს კი „საქმის მოქ-მედი“<sup>1</sup>. ხელისუფალს „უმადლესი სახელო“<sup>2</sup> ან „შესაფერი სახელო“<sup>3</sup> ჰქონდა ჩაბარებუ-ლი. „საქმის მოქმედი“ კი ამა თუ იმ ხელისუფლისადმი დაქვემდებარებულ სახელოში შე-დიოდა, ანდა დაბალი თანამდებობის ამსრულებელი მცირე მოხელე იყო.

საქმის მოქმედს სისრულეში უნდა მოეყვანა ხელისუფალის ყოველგვარი განკარგუ-ლება. სამოხელეო მოვალეობის ასრულებისას მოსაქმეს „თვისთა უხუცესთა დასტურითა და შეკითხვით“ (დასტ. გვ. 4) უნდა ეხელმძღვანელა.

როგორც ხელისუფალნი, ისე საქმის მოქმედნი, უფროს-უმცროსებად ნაწილდებო-დნენ. დიდისა და მცირეს ცნება „სამოხელეო წყობილებაშიც იყო გაბატონებული. იყვნენ როგორც „უზედაესნი“, ისე „უქუედაესნი“ მოხელენი, „დიდნი“ ანუ „მცირენი“.

უზედაესი მოხელენი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ და აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდნენ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში. მეფე მათ მხო-ლოდ „მოახსენებდა“, ბრძანებით კი მარტო უქუედაეს მოხელეთ უბრძანებდა ხოლმე<sup>4</sup>.

საქართველოს სამოხელეო წყობილებაში ადგილი ჰქონდა ერთ საყურადღებო მოვ-ლენას: ხშირად ერთი ხელისუფლის ხელში გაერთიანებული იყო რამდენიმე სახელო. მაგ., სათანადო საბუთებიდან ირკვევა, რომ ზოგჯერ სახლთუხუცესს ერთსა და იმავე დროს ეკავა

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, წ. I. ნაკვ. II. გვ. 109—112.

<sup>2</sup> მაგ., თეიმურაზ II დიმიტრი ორბელიანს უბოძა: „ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს მანდატურთ-უხუცესობა... და თვისი დიდებული კარიც მას მიაბარა, ვითა შევენოდა სახლისა შვილობასა მისსა და ძველთაგანცა უმადლესსა სახელოსა ჩვეულ იყვნეს სახლი ორბელიან-თა“, პაპუნა ორბელიანი, *op. cit.*, გვ. 41.

<sup>3</sup> პაპუნა ორბელიანს თავის თხზულებაში ერთ ადგილას ნათქვამი აქვს: მეფეები (თეიმურაზ II და ერეკლე II) ქართლელებსა და კახელებს შეპირდნენ, „რომელიც... ჩვენის ერთგულობისათვის თავის გარ-ჯასა და თავს არ დახოვავს ჩვენც სამუქმოდ ამ წყალობას უხამთო: თავადი იშვილს თავის შესა-ფერს სახელოს“ უწყალობებთო, იქვე, გვ. 463.

<sup>4</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 132—133.

სარდლის (სარდალსალთხუცესი)<sup>1</sup>, ან ქალაქის მოურავის თანამდებობა. მეფე ერეკლემ ქალაქის მოურაობა უბოძა მუხრან-ბატონს, სალთხუცეს კონსტანტინეს<sup>2</sup>. გივი ამილახორს ეწიკლასბაშობასთან ერთად ქალაქის მოურავის სახელოც ეჭირა (საქ. სიძვ. II, 218). ერთხანს ქალაქის მოურავის თანამდებობა ჰქონდა მეითარ მანუჩარსაც (ისტ. საბ. II, გვ. 42). სარდალ ლუარსაბ ორბელიანს ყულარალასის ჯელიც ეპყრა (საქ. სიძვ. II, გვ. 170, 430). მდივანი ნაზირადაც იყო (საქ. სიძვ. II, გვ. 405). ზოგიერთი სოფლის მოურავად ვეზირი, მდივანბეგი, მდივნები და სარდლები იხსნდნენ (დასტ. გვ. 12, 39, 40, 93). ამგვარი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, რამდენიმე ჯელის ერთი ხელისუფლისადმი დაქვემდებარება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ საქართველოში.

ქართლის სამეფოს სამოხელეო წყობილება ფეოდალურ პრინციპზე იყო აგებული, ამიტომ უმაღლესი სახელოს წყალობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა წოდებრივ მდგომარეობას, გვარსა და გვარის „შეძლებულება გაუყრელობას“. „სახლი“ და „სახელო“ ფეოდალის შეგნებაში ერთიმეორეს ავსებდა და ერთიმეორისაგან განუყოფელი იყო. ფეოდალის ძლიერება „სახელოს“ ქონებასაც ემყარებოდა. ფეოდალური ქიშპობა სახელოების ირგვლივაც იყო გაჩაღებული. მაგ., როდესაც მეფე ბაქარმა „მოულო რა სალთხუცობა დათუნას ქსნის ერისთავსა და მისცა ედიშერსა ძესა ქაიხოსრო ლოპინასასა, მიზეზჰყო ესე დათუნამ და უგუდგა“<sup>3</sup>. მეტის თქმაც შეიძლება: ზოგიერთი „ჯელის“ აგებულებაში მკაფიოდ არის უკუფენილი ფეოდალური კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი<sup>4</sup>. დასტურლამალის სამოხელეო სიების ზერელე ჩათვალაიერებაც კი ცხადჰყოფს, რომ უმაღლესი და შემოსავლიანი სახელოები განაწილებულია დიდებულ თავადებს შორის, შესაფერ სახელოებს საშუალო ფეოდალები განაგებენ, უფრო დაბალ ანუ „მცირე სახელოებს“ მეფის აზნაურები და მსახურები (მეფეები ფეოდალებისა და ეკლესიის აზნაურებსა და მსახურებს სამეფო თანამდებობაზე არა ნიშნავდნენ)<sup>5</sup>. ზოგი სახელო სამკვიდრო სახელოდ იყო დადებული. მამის სახელო შეილზე გადადიოდა<sup>6</sup> (დაკავებული სახელოს აღმნიშნელი ტერმინის გვარად გადაქცევა ამიტომ ჩვეულებრივი და მეტად გავრცელებული მოვლენა იყო). სახელოს წყალობის ამ წესს, რასაკვირველია, უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა ქვეყნის მართვა-გამგეობაზე, რადგანაც სახელოს მქონებელი უფრო სახელოსთან დაკავშირებული შემოსავლით იყო დაინტერესებული, ვიდრე სახელმწიფო ინტერესებით. გარდაცვლილი მეფის მიერ დამტკიცებულ სახელოს წყალობის წიგნს, რომელსაც „სამკვიდრო წიგნის“ თვისებები ჰქონდა ახლად გამეფებული მეფე განაახლებდა ხოლმე.

მეფე სახელოს წყალობის სიგელებით უახლებდა და უმტკიცებდა სხვადასხვა სახელოებს თავის ერთგულ და ნამსახურ ქვეშევრდომებს. შეწყალების სიგელის აჯა-მოხსენებაში ნათქვამი იყო: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალებთ და გიბოძებთ“ ესა და ეს თანამდებობაო. მაგრამ შეწყალების ანუ წყალობის წიგნს სხვა თვისებებიც ჰქონდა. იქ აღნიშნული იყო მოხელის უფლება-მოვალეობა და სარგოს რაოდენობა

<sup>1</sup> საქ. სიძვ. II, გვ. 90, 423, 445 და III, გვ. 164.

<sup>2</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი ანუ მცირე ქართლის ცხოვრება. ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 405.

<sup>3</sup> ვანუშტი, საქართველოს ცხოვრება, ჩუბ. გამოც., გვ. 80.

<sup>4</sup> ამ თვალსაზრისით ლიტერატურაში განხილულია მხოლოდ მწიგნობართუხუცესის „ჯელი“. იხ. პროფ. ნ. ბერძენიშვილი, „ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი“. ენიმკის „მოამბე“, ტ. V—VI და X.

<sup>5</sup> А КТМ, т. VI, стр. 118.

(აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. დიპლომატიკა, გვ. 37). იმ საბუთს, რომელშიაც დანიშნული მოხელის უფლება-მოვალეობა ყოფილა განსაზღვრული „გ ა რ ი გ ე ბ ი ს წ ი გ ნ ი“ ერქვა (იქვე, გვ. 38). აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით „ეს ტერმინივე უნდა ყოფილიყო მიღებული ამგვარი სიგელებისათვის XI—XV სს-შიაც, მაგრამ იმდროინდელი სახითა და მართლწერით „გ ა ნ რ ი გ ე ბ ი ს წ ი გ ნ ი“ ერქმეოდა“-ო (იქვე, გვ. 38). საბუთს, რომელშიაც სარგოს რაოდენობა იყო ჩამოთვლილი, „ს ა რ გ ო ს წ ი გ ნ ი“ ეწოდებოდა. მაგრამ ამგვარ საბუთს „ჯ ა მ ა გ ი რ ი ს წ ი გ ნ ი“ ერქვა (დასტ., გვ. 50). როდესაც როსტომ მეფემ სპარსული სახელმწიფო სამართლის ტერმინები შემოიღო, გარიგების წიგნის მაგიერ „დასტურლამალი“ ან მოკლედ „დასტურლამა“ შემოვიდა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლური ქვეყნების სახელმწიფოებრივ არედან მომდინარე სამოხელეო სახელები, უპირატესად, დარბაზის რიგის მოხელეობაშია გავრცელებული, საქვეყნოდ გამრიგეთა უმრავლესობას კი უძველესი დროიდან მოყოლებული თითქმის XVIII საუკუნის შუახანამდე და ნაწილობრივ შემდეგაც ძველი ქართული სახელები შეუნახავს (ერისთავი, გამგებელი, მოურავი, ციხისთავი, მამასახლისი, ნაცვალი, გზირი). გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქალაქის უმაღლესი გამგებელის სახელი „ამირთ ამირა“, რომელსაც XVII ს-ის პირველ ათეულში ქართული სამოხელეო სახელი „ქალაქის მოურავი“ სცელის<sup>1</sup> („ამილახორი“, რასაკირველია, „ქვეყნის გამგედ“ ითვლებოდა, მაგრამ ეს სამოხელეო სახელი თავდაპირველად დარბაზის კართან იყო დაკავშირებული).

საქვეყნოდ გამრიგეთა უცხოური წარმოშობის სახელები: მელიქი, ქეცხა (ქეთხუდა) და ტარულა საქართველოს სამოხელეო წყობილებაში პირველად XVI ს-ში ჩნდება და ეს სპარსული გავლენით უნდა იყოს გამოწვეული. ზემოთ ნაჩვენები მოვლენა იმ გასაგები გარემოებით აიხსნება, რომ უცხო სახელმწიფოს გავლენა ცენტრალურ დაწესებულებებზე ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე ადგილობრივი მართვა-გამგეობის დაწესებულებების მიმართ.

## § 2. სახლთუხუცესნი

მეფის ანუ „ჯელმწიფის სახლთუხუცესი“<sup>2</sup> სასახლის გამგე და სასახლის დაწესებულებათა მთავარი გამგებელი იყო. სახლთუხუცესობა სახელმწიფო და სადარბაზისკარო თანამდებობად ითვლებოდა და ამ ჯელის მქონებელი „საქართველოს (ქართლის) სახლთუხუცესად“ იწოდებოდა<sup>3</sup>.

ბატონიშვილი ვახუშტი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში სახლთუხუცესს უწინდელ ხელისუფლთა შორის იხსენიებს და ამბობს: „აბრამადი ანუ სალთუცესი<sup>4</sup>, და ამისი ჯელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი; ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა, და თათბირობა სამეფოსი, და სახასოსანი მეფისანი, და ამას ქვეთინი

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVII—XVIII სს. საქართველოში.

<sup>2</sup> საქ. სიძვ. ტ. II, გვ. 48.

<sup>3</sup> ქრონიკები, ტ. II, თ. ჟორდანიას რედ., გვ. 484.

<sup>4</sup> „აბრამადი“ აღმ. საქართველოს საბუთებში არ შეგვხვედრია. დას. საქართველოს 1529 წ. ვრთ საბუთში გვხვდება „აბრამადი ანუ კრისბექ“ (იხ. დას. საქ. საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის რედ. წიგ. 1, გვ. 11). „კრისბექ“ აქ კარის მოსამართლეს უნდა უდრიდეს.

ჯელისუფალნი ამისი დასახენი იყუნენ, არამედ უმეტეს ეჯიბს ქვემოთნი<sup>1</sup>. XVIII ს-ის გამოჩენილი ისტორიკოსი მშენიერად არჩევდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას „პირველ განყოფილებისა“, „შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოთა-სა“ და „აწინდელსა“, სამოხელეო ისტორია მას სწორედ ამ სქემის მიხედვით აქვს სამ ნაწილად დაყოფილი. ამიტომ დადამაფიქრებელი და ყურადსაღები, რომ ვახუშტის სახლთ-უხუცესი უწინდელ ხელისუფალთა შორის მოუთავსებია.

„ჯელმწიფის კარის გარიგებაში“ სახლთუხუცესი არ იხსენიება. მაგრამ ადვილი შე-საძლებელია ეს იმ გარემოებით აიხსნებოდეს, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ეს ძეგლი ნაკლულევანია. სამაგიეროდ ძველ ქართულ ძეგლებში დამოწმებულია ტერმინი „სახლისუხუცესი“ მოხელის გამომხატველი ნიუანსებით<sup>2</sup>.

მაგრამ თავდაპირველად არ შეიძლება სახლისუხუცესობას სახელმწიფო ხელის მნიშვნელობა ჰქონოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილს, ქართული სამართლის ისტორიის იმ ნაწილში, სადაც სრულიად საქართველოს სახელმწიფო სამართალია განხილული და აღწერილი, სახლისუხუცესი არსად აღნიშნული არა აქვს. ჩვენი აზრით, ძველად სახლისუხუცესი, მეფის „საკუთართაგანი“, ე. ი. სასახლის ხელშინაური მოხელის მოვალეობის ამსრულებელი უნდა ყოფილიყო მეფის, აგრეთვე ფეოდალის კარზე. ეს თვისება მას ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინა, რადგანაც გვიანდელი ხანის საბუთებში ძალიან ხშირია ასეთი გამონათქვამები: „მეფის სალთხუცესი“, „დედოფლის სალთხუცესი“ (იხ. სადედოფლო დასტურ-ლამალი), „ჩვენი (ფეოდალის, ვ. გ.) სალთხუცესი“ (საქ. სიძვ. III, გვ. 467), „ამილახვრის სალთხუცესი“, (პ. ორბელიანი, ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 412) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ XV—XVI სს-ის საბუთებში ყველგან სახლისუხუცესი გვხვდება. ამ სახელის მრავლობითი ფორმა „სახლთუხუცესი“ კი შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა და იმ დროს უნდა დამკვიდრებულიყო, როდესაც მეფის ხელისუფლების წარმატებასთან ერთად სახლისუხუცესის ჯელმა ახალი, უფრო რთული და მრავალმხრივი თვისებები შეიძინა და კარის ხელისუფალთა შორის პირველი ადგილთაგანი დაიჭირა. თუ არა ვცდებით, „სახლთუხუცესი“ პირველად როსტომ მეფის სამეფო სიგელებში გვევლინება. სახლისუხუცესობა ან სახლთუხუცესობა, როგორც გარკვეული სახელმწიფო და სადარბაზისკარო თანამდებობა გვიანფეოდალური „საქართველოების“ სახელმწიფო წყობილებისათვისა დამახასიათებელი.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილის და თ. ლამოჯორის რედაქციით, გვ. 16.

<sup>2</sup> ძველ აღთქმაში II მეფეთა 18,8 იხსენიება: „უხუცესნი სახლისანი“ (იხ. მთავრის 1743 წ. და ტფილისის 1884 წ. გამოც.). მაგრამ უძველეს ხელნაწერებში „ვზოას მოძღუარი“-ა აღნიშნული. იხ. A. Г. Ша-н и д. з., Данные греческо-пелевийской былинны из Армазы для истории термина „взозас მოძღუარ“-ი в древнегрузинском (საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. II, № 1—2, გვ. 182); პრაფ. ს. ყაუხჩი-შვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები (იქვე, გვ. 174). ტერმინი „სახლის უხუცესი“ ძველ ქართულ მწერლობაში სპეციალურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. აქ კი საშუალებოდ აღნიშნავთ, რომ ვის-რამიანის ქართულ თარგმანში „სახლის უხუცესი“ მოხელის გამომხატველი სახელია. მოაბადის ძმა ზარდი იყო: „მისი (მოაბადის, ვ. გ.) მისანდობელი სახლისა-უხუცესი და თუთი ერთგული მისი“ (იხ. „ვის-რამიანი“, კ. კვეციანის, აღ. ბარამიძის და პ. ინგოროყვას რედაქციით, გვ. 311). შედარებისათვის მოგვყავს სპარსული ტექსტი, რომელსაც სიტყვასიტყვით მისდევს ქართული თარგმანი:

سپید زرد نامی کتوالش که بیش از مال سوید بود مالش  
گزین شاه و دستور و برادر بکنج و خواسته قارون دیگر

სპარსულად „დასტურ“-ი ვაზირსაც ნიშნავს. მართლაც, „ვისრამიანის“ ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ვინცა მოციქული იყო, მაგრა ძმა და ვახუშტი იყო მოაბადისა“ (იქვე, გვ. 14; სპარსული ციტატები ამოღებულია „ვისრამიანი“-ს სპარსული ტექსტის მეორე გამოცემიდან: Vis and Ramin, Edited by Mojtaba Minovi. Tehran. 1935, გვ. 490, 45).

თ. ჟორდანიას მიერ 1457—1459 წწ. დათარიღებული მცხეთის შეწირულობის სიგელი, რომელსაც სალაროს მოლარე დავით და მისი ძმა გერმანოზ ქაჩიბასძენი შეიღებითურთ (ლაპა, ბარათა, სურამელი და ქავთარ) აძლევენ კათალიკოზ დავითს (1447—1459) თუ კათალიკოზ დავით IV (1466—1479) დაწერილია: „ველითა ფრიად ცოდვილისა სახლის უხუცესის ნიკოლოზისათა“<sup>1</sup>. სიგელის შემდგენელი სახლისუხუცესი ნიკოლოზი სალაროს მოლარის დავით ქაჩიბასძის (ბარათაშვილის) პირადი სახლისუხუცესი უნდა იყოს<sup>2</sup>. სიგელში მოხსენებული პირები (მათი უმრავლესობა XV—XVI სს. მიჯნაზე ცხოვრობს და მოღვაწეობს) ცხადყოფენ, რომ სიგელი შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს XV ს-ის პირველი ნახევრისა და არა უგვიანეს XV ს-ის ოთხმოციან წლებისა (იმ შემთხვევაში, თუ კათალიკოზ დავითს, დავით IV აღვიარებთ, რაც თ. ჟორდანიას საეგებისოდ მიაჩნია და რომელიც საკათალიკოზო საყდარზე 1479 წ. ჩანს). უკვე XVI ს-ის დამდეგიდან ჩვეულებრივი ხდება სახლისუხუცესის მოხსენება ქართულ საბუთებში. 1511 წ. კახთა მეფის ავ-გიორგის სიგელი დაწერილია: „ველითა ირუბაქისძისა სახლის-უხუცესისა ბენისათა“<sup>3</sup>. იმავე ხანის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სახარების თარგმანზე შემდეგი წარწერა მოიპოვება: „ესე წიგნი თარგმანი მეფისა სახლის უხუცესმან ბენამ ჩოლოყაშვილმან შევაკაზმინე ბატონიშვილის გიორგის სადღეგრძელოდ“<sup>4</sup>. სახლის-უხუცესი ანუ პალატის უხუცესი სოლდაშვილი ივანე 1519 წ. ქვათახევის ვლადკერნის მონასტერს სწირავს კავთის-ხვეულ გლეხებს<sup>5</sup>. 1525 წ. იგივე პირი „მეფის დავითის სახლისუხუცესი“ შოა-მღვიმის მონასტერს სწირავს ვენახს<sup>6</sup>. ამდროინდელ საბუთებში სახლისუხუცესი უკვე აშკარად სამეფო თანამდებობის პირად მოჩანს<sup>7</sup>.

დამახასიათებელია, რომ სახლისუხუცესი ზემომოყვანილ საბუთებში პალატისუხუცესადაც იწოდება. პალატა და სახლი ძველ ქართულში ერთი და იგივე ცნების გამომხატველი იყო. მაგ., ულუ დავითის დროინდელ საეკლესიო კრების დადგენილებაში ნათქვამია: „ესეც იუწყოს წინ (წმიდამან) მეფობად-მან თქუშმან აწ შეკრებულისა ამის კრებისაგან წესი სახლისა და პალატისა თქუშნისა ესე ყოფილა“<sup>8</sup>. პალატა მნიშვნელობით სამეფო კარს ანუ დარბაზს უდრის. აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ის დამლევისათვის ეს ტერმინი კვლავ ცოცხლდება და ხმარებაში შემოდის. ასე, მაგალითად, გიორგი XIII-ის ზოგიერთი სიგელის აჯა-მოხსენების ნაკვეთში ჩვეულებრივი „დარბაზის“ მაგიერ „პალატა“ არის ნახმარი. მაგ., „მოგულიდქით კარსა პალატისა ჩენისასა და გუეაჯენით ...“<sup>9</sup>.

<sup>1</sup> ქრონიკები, II, გვ. 271; ამ საბუთის შერცელი ტექსტი გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის „ისტორიულ საბუთებში“ (წიგნი III, გვ. 38—39) და გამომცემლის მიერ 1466—1472 წ. არის დათარიღებული.

<sup>2</sup> 1518 წ. შოაშ ფალავანდის-შვილის წყალობის წიგნის მოწმეთა შორის იხსენიება, მისი: „სახლის-უხუცესი ნაგლაძე ზაალ“. იხ. დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 5.

<sup>3</sup> ქრონიკები, II, გვ. 328—329; ისტ. საბ. ტ. III, გვ. 46.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ქრონიკები, II, 344—345; ისტ. საბ. ტ. III, გვ. 47.

<sup>6</sup> ქრონიკები, II, გვ. 537, შოა მღვიმის მონასტრის ისტ. საბუთები, თ. ჟორდანიას გამ., გვ. 78; ისტ. საბ. წ. III, გვ. 58.

<sup>7</sup> ნ. შენგელია თავის წერიაში: „სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში“ (ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, 1940 წ. ტ. I, გვ. 138—149) სახლთუხუცესის თანამდებობის წარმოშობას ათარიღებს XV საუკუნის ორი საბუთით (ერთი 1457—1459 წწ. მცხეთის სიგელია, მეორე კი თ. ჟორდანიას მიერ შეცთომით 1464 წ. დათარიღებული საბუთი, სადაც მოხსენებულია „სახლით უხუცესი ჩხტიძე“), ხოლო თვითონ სახლთუხუცესობა მსახურთუხუცესისა, მეჭურჭლეთუხუცესისა და განმგეთ-უხუცესის განსაგებელთა შერთების გზით შექმნილ თანამდებობად მიაჩნია. იქვე, გვ. 138—139.

<sup>8</sup> ქრონიკები, II, 166; საისტორიო მოამბე, 1925 წ. წიგნი I, გვ. 221.

<sup>9</sup> საქ. სიძე, II, გვ. 418 და III, გვ. 222.

სახლისუხუცესი ანუ პალატისუხუცესი მწიგნობართა მთავარი ყოფილა: „მე... ღეთივ გვრგუნოსნისა და წარჩინებულისა მეფის დავითის პალატის უხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სოლალაშვილისა შალვას ძემან ივანე... შემოვსწირე“<sup>1</sup>, სხვა საბუთში ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ... მეფის დავითის სახლის უხუცესმან და მწიგნობართა-მთავარმან სოლალაშვილმან ივანე... იგი ვენახი... მღუმისთჳს შემომიწირავს“<sup>2</sup>. მწიგნობრები, როგორც ცნობილი და გამოკვლეულია, გაერთიანებულ საქართველოს მწიგნობართუხუცესს ემორჩილებოდნენ, მისი ჴელისანი იყვნენ. ეს ხელისუფალი ვაზირთა უპირველესად და მეფის შემდეგ პირველ პირად ითვლებოდა სახელმწიფოში<sup>3</sup>. XVI ს-ის პირველი მეოთხედის საბუთებიდან მშვენივრად ჩანს, რომ მწიგნობრები სახლისუხუცესს ექვემდებარებიან. სახლისუხუცესი მწიგნობართ მთავარია. და, როგორც ჴემოთ იყო ნაჩვენები, თვითონაც სიგელებს სწერს, მწიგნობარი და სახელმწიფო საბუთის შემდგენელია<sup>4</sup>.

ამრიგად, მწიგნობართუხუცესის ეს თვისება მოგვიანო ხანაში სახლთუხუცესზე გადმოსულა. აქ უნდა აღინიშნოს ერთი მსგავსებაც: აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, მწიგნობართუხუცესს, სხვათა შორის, ებარა სახელმწიფო სახლის „განსაგებელი“<sup>5</sup>. განსვენებულ აკადემიკოსს ამ აზრის დასამოწმებლად შეესებულ „ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილი აქვს ის ცნობა, სადაც მწიგნობართუხუცესის დანიშვნაზეა საუბარი და თამარის შესახებ შემდეგი არის ნათქვამი: „გონებდა თუ ვის მიანდოს დავით და სხვა თჳსი და განსაგებელი სახლის თჳსისა“-ო. (მშ დფსი ქცა, გვ. 433, შენ. 9). იმის დასამტკიცებლად რომ, მართლაც „მწიგნობართ-უხუცესის უფლებას „სამეფოსა და სახლის განგება“ შეადგენდა, — აღნიშნავდა განსე. აკად., — ეს ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვებითან ჩანს: „როდესაც მაგ. დავით ლაშასძემ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება დაარღვია და ბათო ყაანთან გამგზავრებისას უბრალო მესტუმრე ჯიქური მწიგნობართუხუცესის მაგიერ სამეფოს უზენაეს გამგებლად გახადა, მეფემ მას «ჭელთ უღვა სამეფოსა და სახლისა განგება»“ (ჟამთააღმწერელი, 313, გვ. 657). რომ მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი მარტო სახელმწიფო საქმეების მთავარი გამგეკი არ იყო, არამედ იგი ამასთანავე მესტუმრე ჯიქურივით „გამგებლად სახლისა სამეფოსა“ (იქვე, 813, გვ. 655) იყო ხოლმე და სასეფო, მეფის საკუთარ და პირად ქონების საგამგეოს უზენაეს მმართველად ითვლებოდა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ როდესაც ბასილ მწიგნობართუხუცესმა „იწყო საურაგთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“, თურმე „დიდად ეწყინა მეფეთა ქვეყანათა“ (იქვე, 841, გვ. 691<sup>6</sup>). ვახუშტის სიტყვით: სალთხუცესმა „უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა, და თათბირობა სამეფოსი, და სახასონი მეფისანი“<sup>7</sup>. ისმის კითხვა: ხომ არ მოდის სალთხუცესის ინსტიტუტი თანდათანობით გადაგვარებულ და ბოლოს სრულიად გაუქმებულ მწიგნობართუხუცესის თანამდებობიდან? ხომ არ მოჩანს მთლიან საქართველოს

<sup>1</sup> ქრონიკები, II, 344—345.

<sup>2</sup> ქრონიკები, II, გვ. 537; შიო მღვ. ისტ საბ., გვ. 78.

<sup>3</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ. ტ. II, ნაკვ. I, გვ. 124—140; ნ. ბერძენიშვილი, ქართული საგაზირო, ენიკი-ს მოამბე ტ. V—VI და X.

<sup>4</sup> საინტერესოა, რომ ლევან კახთა მეფის 1537 წ. მცხეთის სიგელი დაწერილია: „კელითა მწიგნობართა უხუცესისა და მესტუმრისა ლაზარესითა“ (იხ. ისტ. საბ. წ. II, გვ. 42).

<sup>5</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 128.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 128—129, ხაზი ყველგან ავტორისაა.

<sup>7</sup> ვახუშტი, აღწერა, გვ. 16



ფეოდალური მონარქიის პირველი ხელისუფლის წელის ანარქიის კვალი მოგვიანო ხანის სახლთხუცესის სახელისუფლოში? ამ საკითხის გადაწყვეტა ამჟამად, სათანადო საბუთების სიმცირისა და საგნის (სასაღებუცოს) სრული შეუსწავლელობის პირობებში (რაც მწიგნობართუხუცესის წელის გადაგვარება-მოსპობის ქრონოლოგიური საკითხის გარკვევასაც გულისხმობს), მეტად ძნელი საქმეა. ამიტომ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება საეგებისოდ და სავარაუდოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ აქ მხოლოდ ქართლის სახლთხუცესის თანამდებობის წარმოშობის დათარიღებით ვკმაყოფილდებით და გვერდს ვუვლით სახლთხუცესობის მწიგნობართუხუცესის წელიდან განვითარების საკითხს<sup>1</sup>.

მართალია, გვიანფეოდალური ხანის სახლთხუცესი, ვაზირთა უპირველესის რთულსა და მრავალმხრივ წელს ვერ გაუტოლდება, რადგანაც მისი სამოხელეო მოღვაწეობის ასპარეზი, უმთავრესად, კერძო სამართლის დარგით განისაზღვრებოდა (ის თანასწორთა შორის პირველი ფეოდალის, მეფის სალთხუცესი, მისი სასახლისა და ქვეყნის გამგებელია), მაგრამ ეს წელი არც სახელმწიფო თვისებებსაა მოკლებული. სახლთხუცესის აღზევება იმთავითვე მეფის პოლიტიკის წარმატებაზე იყო დამოკიდებული. მეფის ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად სახლთხუცესის, ისევე როგორც სამეფო კარის სხვა მოხელეების, მნიშვნელობაც იზრდება. მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ ვის უკავია ესა თუ ის სახელო. ამდენად ქართლის სახლთხუცესების ვინაობის გამორკვევა, რაც სპეციალურ განხილვას საჭიროებს, აუცილებელი პირობაა ამ წელის წარმატების ქრონოლოგიური საზღვრების დასადგენად.

რა შეადგენდა სახლთხუცესის განსაგებელს XVII—XVIII საუკუნეებში?

ვახუშტის სიტყვით სახლთხუცესის „წელისა იყო სამეფოს შემოსავალი და გასავალი: ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა და სახასონი მეფისანი, და თათბირობა სამეფოსი. და ამას ქვეითნი წელისუფალნი ამისი დასახელნი იყუნენ, არამედ უმეტეს ეჯიბს ქვემორენი“<sup>2</sup>. ამ ცნობას მშვენივრად უდგება დასტურლამაღის სახლთხუცესის სარგოს წიგნში ჩართული და სხვა ხელისუფალ-მოხელეთა გარიგებისა და სარგოს წიგნებში გაბნეული ცნობებიც. დასტურლამაღის მიხედვითაც „სამეფო შემოსავალი და გასავალი“ ე. ი. სახელმწიფო ფინანსები სახლთხუცესს ეკითხებოდა. ამიტომ მისი სარგო ნაირნაირი გამოსაღებისაგან შედგებოდა. დასტურლამაღში მოხსენებული არც ერთი ხელისუფალი და სამსახურის მოქმედი არ ღებულობს იმდენ სარგოს, რამდენსაც სახლთხუცესი. მას გარკვეული წილი ეკუთვნოდა ყველა სახელმწიფო გადასახადებიდან და მეფის კერძო „შესავლისაგან“. მაგალითად: ჩელიეკის ბაჟიდან, ტყვის ბაჟიდან, ყაფნის, არაყხანის, კარის აბანოს, თამბაქოსა და ყასაბხანის იჯარიდან, ზარაფხანიდან, ელის ეთაზიდან, ქოდავიდან, ქალაქის მალიდან, ქართლის პროვინციებზე შეწერილ მალიდან, აგრეთვე კოდის პურიდან, საბალახედან, პირისთავიდან, ნახირისთავიდან, ზვრების კულუხიდან, სახასო პურებიდან (ღალისა და საღიასახლისო ერბოს გარდა), საბატონო ერბოს მოსავლიდან, სამაჰსინძლოებისა და სამობაო-სააღდგომო ძღვენიდან, თუხტუდან, იალ-

<sup>1</sup> პროფ. ნ. ბერძენიშვილთან საუბრისას გამოიკვია, რომ მას ეს საკითხი კარგა ხანია დამუშავებული აქვს. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია ნაშრომის ერთი ნაკვეთი: „ქყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი“ (იბ. ენიმკი-ს მოამბე. ტ. V—VI და X).

<sup>2</sup> ვახუშტი, *op. cit.*, გვ. 16; ის მოხელენი, რომელნიც ვახუშტის „ეჯიბს ქვემორე“ მოუთავსებია, მესტუმრეთუხუცესის, ჯვარისმტვირთველის და ზურთომოძღვრის გამოკლებით, თავიანთი მოქმედების ასპარეზის მიხედვით სახლთხუცესის წელისანი ჩანან: ეზოს მოძღვარი (მერმინდელი ნახირი), ჩუნჩერაბი (სუფრაჯი), მეღვინეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, მდივნები, მწერლები (იქვე, გვ. 17). მართალია, ვახუშტის ამ ცნობაში ისტორიული და თანამედროვე ცნობები ერთმანეთშია არეული, მაგრამ ის მაინც ძვირფას წყაროს წარმოადგენს დარბაზის რიგის იმ მოხელეთა კომპლექტის დასადგენად, რომელნიც სასახლის გამგის დასაქმდები იყვნენ. მაგრამ ამისთვის საჭიროა ვახუშტის ხელისუფალთა შესახებ ცნობების კრიტიკული შემოწმება და შესწავლა.

ლუჯის საყორულოს ბრინჯიდან, აბრეშუმისა და ბამბის მოსავლიდან და ფეშთუქუნის ბარხანაშიც წილი ეღო (დასტ. § რნთ. სალთხუცის სარგოსათჳს, გვ. 76—77). სახლთხუცის სარგოს წიგნის ანალიზის<sup>1</sup> საშუალებით მტკიცდება, რომ საფინანსო დაწესებულებანი, სახლთხუცის დასახედავი უნდა ყოფილიყო, ხოლო სახელმწიფო ფინანსების გამორიგე მოხელე—ქართლის მოლარეთხუცესი—მისი ქვეშეითი ხელისუფალი.

მოლარეთხუცესსაც, როგორც ყველა ხელისუფალს გვიანფეოდალურ საქართველოში, ორმაგი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. იგი მეფის „საკუთართაგანიც“ იყო და სახელმწიფო მოხელეც. ამიტომაც მას „ქართლის მოლარეთხუცესი“<sup>2</sup> ეწოდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილსაც აღნიშნული აქვს, რომ „ამისი ჳელისა იყო: რაიცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თჳსთა საკუთართა ჴედა ანუ ქველის საქმისად უხმდა, და მის ქვეშე დაწესებული მოლარენი“<sup>3</sup>. ამრიგად, მოლარეთხუცის საგამგეოს შეადგენდა: „მეფის სალარო“ ანუ „ბატონის სალარო“, რომელშიაც მოთავსებული იყო: თეთრი, ფარჩა, სახელმწიფო იარაღი, სამკაულები და სხვადასხვა იარაღი (ძველი ქართული ტერმინი „ქურქელი“ XV საუკუნიდან მოყოლებული თურქულ—„იარაღმა“ შესცვალა) და სანაიდაგოდ სახმარებელი საქონელი. ასეთი კერძო დაწესებულება ყველა ფეოდალს გააჩნდა<sup>4</sup>. მაგრამ მოლარეთხუცის ქვეშეთ მყოფ მოხელეების უფლება-მოვალეობის შესწავლიდან ირკვევა, რომ ამ ხელისუფალს საფინანსო უწყებაც უნდა ჰბარებოდა. მისი ჳელისანი იყვნენ: სალაროს თავილდარი, სალაროს მუშრები, სალაროს გერაქიარაღი, მუსტოფი და მოლარეები (დასტ. § რბ. მოლარეთხუცის სარგოსათჳს, გვ. 59). სალაროს ნაზირიც მისი ჳელისა ჩანს, ჳრადგანაც ის მოხელენი, რომელთა სარგო მოლარეთხუცის სარგოს წიგნშია ჩართული, სალაროს ნაზირს ექვემდებარებიან. დასტურლამალში აღნიშნულია: „არის სალაროს ნაზირის სახელო და თაბუნი კაცნი რომ ეს იმას უნდა ებაროს: სალაროს თავლი და რითუშმლის შვილი ბეჟან; ყორდანაშვილი ფარემუზ; იეგულასშვილი თამაზა; სალაროს მუშრები ნასყიდა; არლუთასშვილი ოლუზა“ (დასტ. § რიე). ჴემოთ ჩამოთვლილი მოხელენი საფინანსო უწყების სამწერლო საქმეს (სალაროს მუშრებები), ჩაბარება-გაცემას (სალაროს თავილდარები) და ანგარიშწარმოებას (მუსტოფი) განაგებდნენ. ესენი ჳამაგირის დამრიგებელი მოხელენიც იყვნენ; მოლარეთხუცის სარგოს წიგნში ვკითხულობთ: „სხუა მოლარეთხუცის სარგო: ჳამაგირხედ თუმანხედ ორი შაური მოლარეთხუცისა არის, ორ-ფულ-ნახევარი მუშრებისა, ორ-ფულ-ნახევარი თავლიდრისა, და ნახევარი შაური მოლარეებისა არის, ჳამაგირის თუმანხედ“ (იქვე, 59, აგრეთვე გვ. 80). მუსტოფის შესახებაც ნათქვამია: „ვისაც ჳამაგირი აქუს, თუმანხედ ყოველ წელიწადს ორი შაური მუსტოფისა არის“ (გვ. 64). სალაროს ნაზირს იჯარისა და ბაჟის საქმეც ეკითხებოდა: „იჯარის თავს თჳთო ფლური“ მას უნდა აეღო, ხოლო „დიდ ბაჟხედ რაც შეუძლია ფეშქაში“ (დასტ. § რვ. სალაროს ნაზირის სარგოსათჳს, გვ. 65). სალაროს ნაზირივე ჩაიბარებდა ხოლმე ელის ხალხიდან შემოსულ სანავროზო ფლურს და მომტანს ფლურხედ ორს შაურს ართმევდა: „რაც ელიდამ სანავროზო ფლური მოვა, მომტანისაგან ფლურხედ ორი შაური. ელილასი ვინც დაჯდების—თორმეტი მინალთუნი“ (გვ. 65). მოლარეთხუცესის საგამგეოს აგებულება და მის ქვეშეთმყოფ მოხელეთა უფლება-მოვალეობანი აქ განზოგადებულად გვაქვს წარმოდგენილი, ვინაიდან ამხელად ჩვენი მთავარი ამოცანა სახლთხუცის კომპეტენციის დადგენა, მოლარეთხუცის ჳელის მნიშვნელობის გამოკვევა კი სპეციალური განხილვის ღირსია.

<sup>1</sup> სეხნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება, ჩუბ. გამოც., გვ. 322.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 17.

<sup>3</sup> იხ. სადღეოდლო დასტურლამალი, გვ. 111; თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, ს. კაკაბაძის გამ., გვ. 23—24.

გარდა იმისა რომ „სამეფო შემოსავალი და გასავალი“ სახლთხუცესის საკითხავი იყო, დასტურლამალის მიხედვითაც „ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა“. იგი სამეფო სახლის გამგე, სასახლის მოხელეთა (ხელჯობიანთა გამოკლებით) უფროსი და სასახლის ყველა დაწესებულებათა მთავარი გამგებელი იყო.

სახლთხუცესი ნაზირთან ერთად პურობის წესსა და რიგს განაგებდა და თვალყურს ადევნებდა დარბაისელთა გამასპინძლებას: „სალთხუცესი და ნაზირი სუფრის გარიგებამდინ იქ იდგებოდნენ, კარგ-გუარად მიიღებინებდნენ, კარში საჭმელს ნურავის გაატანინებენ“-ო,—ნათქვამია დასტურლამალის მოხელეთა განწესებაში (დასტ. § ევ. მოხელენი თუ როგორ მოიქცენენ, მათთა რიგთათჳს, გვ. 54). სამეფო დარბაზობის წესსაც ესენი „გაარიგებდნენ“ ხოლმე: „სალთხუცესი და ნაზირი გაარიგებდნენ და დადგებოდნენ; ერთი მდივანიც იმათთან იქმნებოდეს“ (§ რიგ. სასახლეების რიგისათჳს, გვ. 79). რაკი სახლთხუცესსა და ნაზირს (ქარხნის ნაზირს) დარბაზობისა და პურობის რიგის გაძლოდა ევალებოდათ, უნდა ვიფიქროთ, რომ პურობის მეურნეობასთან დაკავშირებული დაწესებულებებიც სახლთხუცესის დასახედავი უნდა ყოფილიყო, და ქარხნის ნაზირიც, როგორც „სამეფო ქარხნების“ (სასახლის მეურნეობის დაწესებულებებისა და საწყობების) მმართველი, სახლთხუცესის ქვეშეთ ხელისუფლად უნდა ჩავთვალოთ.

სულხან-საბა ორბელიანისა და ვახუშტის განმარტებით ქარხნის ნაზირი ძველი ეზოს მოძღვრის შეცვლილი სახელია. ვახუშტის მიხედვით ეზოს მოძღვრის კელისა იყო: „ყოველნი საგანგიონი, მეფის ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვავისა, ანუ სხვათა“<sup>1</sup>. ვახუშტის ამ განმარტებას მშვენივრად უდგება ჩვენი ძეგლის ის უხვი და მკაფიო ცნობები, რომელნიც ქარხნის ნაზირის უფლებამოვალეობას საუცხოოდ განმარტავენ.

ქარხნის ნაზირს ექვემდებარებოდა მეფის კერძო მეურნეობის დაწესებულებები ე. წ. „სამეფო ქარხნები“, რომელშიაც სურსათ-სანოვავე იყო მოთავსებული (დასტ. გვ. 15, 16, 47, 55, 60, 65, 72, 98, 104). ამ დაწესებულებათა მოხელეებად იყვნენ: ქარხნის მოლარე (დასტ. გვ. 64), ქარხნის მუშრიბი (გვ. 103), ქარხნის გერაქ-იარალი (გვ. 64), ქარხნის თავილდარი (იქვე), ქარხნის იასაული (გვ. 23, 65, 66) და სამეფო სამეღვინოს, სამზარეულოს, საშარბათოს, სახაბაზოს, სააუშტროს ანუ აუშხანის, ბარხანისა და სატიკისპიროს მოხელენი.

დავთარხანის იასაულების სარგოს წიგნში ჩამოთვლილია „ქარხნის ნაზირის საჯელოს კაცები“, მათ შორის: თავილდარი, ხასადარი, მემარნე, მეზურე, მებრე, მეღაღე, ამბარდანი, მუჯირი, ხაბაზი, მზარეული, მემარბათე (§ მზ. დავთარხანის იასაულებისათჳს გვ. 24). როგორც ვხედავთ, გარდა სასახლის ხელშინაური მოხელეებისა, ქარხნის ნაზირის კელისანი არიან, აგრეთვე, კარით წარვლენილი მოხელენი, რომელთაც თავიანთი მოქმედების შესახებ დაწესებულ ვადაში სახლთხუცესისა და ქარხნის ნაზირისათვის ანგარიში უნდა წარედგინათ; მეკოდის-პურეთა დებულებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „ქარხანაში შემოსასვლელი ჩვენის მოსავლისა, შემომტანისა, წასვლისა მოსაქმისა რიგი და წესი ასე გვიბრძანებია: მოსაქმემ ასრე ისაქმოს, და იმ კვალად სალთხუცესსა და ჩვენის კარის გამრიგეთ და ქარხნის ნაზირს ასრე ანგარიშს მისცემდნენ“<sup>2</sup>. ამრიგად, „სახასონი მეფისანი“, მეფის კერძო მეურნეობის ორგანიზაცია, მეფის მამულების შესავალ გასავალი და სახელმწიფო გადასახადიც (კოდის-პური) სახლთხუცესის მეთვალყურეობას ექვემდებარებოდა.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 16.

<sup>2</sup> დასტ. § ევ. მეკოდისპურეთათჳს, გვ. 54—55.

სახლთუხუცესი არა მარტო სამეფო კარის დიდ მოხელედ ითვლებოდა, არამედ ზოგჯერ კარით წარვლენილ მოხელის მოვალეობასაც ასრულებდა.

დასტურლამალის სთ გ-ში, სადაც შულაგირისა და თეთროსოფლის ბატონისა და მიხელეთ საკომლოთ გამოსაღებზეა საუბარი, ვკითხულობთ: „გუთნისა, მკისა, ხენისა, მისაცემი ხარჯი ასე მიეცემის: ნახნავს და მოსავალს დახედოს სალთხუცესმა და ნაზირმა და ისე მისცეს“-ო (დასტ. გვ. 100). აქედან ჩანს, რომ სალთხუცესი ვალდებული ყოფილა ნაზირთან ერთად დრო და დრო ნახნავისა და მოსავლისათვის დაეხედა და ამის კვალობაზე გადაეწვეცა მეფის სახასო მეურნეობისათვის საჭირო „მისაცემი ხარჯები“. მაგრამ სახლთუხუცესი უმთავრესად კარის დაწესებულებებში იმყოფებოდა, მას მხოლოდ დროგამომწვევით შეეძლო ადგილებზე საინსპექციოდ წასვლა, ამიტომ რათა მუდამ სანდო და სწორი ცნობები ჰქონოდა სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და სახელმწიფო გადასახადების აკრფის მიმდინარეობის შესახებ, მას ამისთვის ჰყავდა განსაკუთრებული მოხელე, რომელსაც „სალთხუცის კაცი“ ერქვა (დასტ. გვ. 73, 100, 102, 115, 128, 156). სალთხუცის კაცი ბევრი თუ არა რამდენიმე მაინც უნდა ყოფილიყო, რადგანაც დასტურლამალში ნათქვამია: „მესაურეს თითო სალთხუცის კაცი უნდა გაჰყვეს“-ო (გვ. 73). აქედან ისიც ირკვევა, რომ მესაურეს ანუ საურის (სახელმწიფო გადასახადია) ამკრეფ მოხელეს თან სალთხუცის კაცი ახლდა, მესაურეს შეელოდა და მის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა.

გარდა ამისა სალთხუცის კაცი მუშრობთან ერთად „ხევისთავის“ სასამართლო საქმეშიც იყო გარეული. დასტურლამალის სულხან მდივნის ვარიანტის ერთი ცნობიდან ჩანს, რომ უსალთხუცის-კაცოთ და უმუშრობოთ ხევისთავს საზღაურის აღება არ შეეძლო: „რომელიც ვევისთავი სოფელში უმუშრობოთ და უსალთხუცის-კაცოთ მივიდეს და საზღუარი აიღოს, ქურდულად ზღოოს“-ო (იხ. დასტურლამალის ვარიანტები, გვ. 156).

სალთხუცის კაცს „დალი“-ც ებარა: „სალთხუცის კაცს დალი ებაროს“-ო, ნათქვამია ცხვრის შემოსავლის დებულებაში (დასტ. გვ. 102 და 175). სალთხუცის კაცის დალით მეცხვარეს ცხვარი უნდა დაედლა (იქვე, გვ. 102). ამგვარად, როგორც დავინახეთ, სახლთუხუცესი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მეფის სახასო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში; მეფის კერძო მეურნეობის დარგები მისი დასახედავია; მას ეკითხება: გუთნის, მკის, ხენისა და ზვრის მისაცემი ხარჯები და მეცხოველეობასთან დაკავშირებული შემოსავალი. ერთი სიტყვით, ის არა მარტო უპირველესი მოხელეა დარბაზის კარს მყოფ ხელისუფალთა შორის, არამედ მეფის პირადი მეურნეობის განსაგებელიც მის უფლებას შეადგენს.

ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ სახლთუხუცესი მეფის „საკუთართავანი“, მეფის „ხელშინაური“, მისი „სახლის უხუცესია“. მაგრამ ეს წელისუფალი არც სახელმწიფო წელის თვისებას იყო მოკლებული. მას ეკითხებოდა „თათბირობა სამეფოსი“ (ვახუშტი), და სამეფო კანცელარიას, სამეფო სამდივანმწიგნობროსაც ეს განაგებდა.

სახლთუხუცესი მონაწილეობდა სახელმწიფო საბუთების დაბეჭედაში. ამის შესახებ დასტურლამალის სულხან მდივნის ვარიანტში მეტად ძვირფასი ცნობებია შემონახული. იქ ნათქვამია: „ბატონი რომ მამულს ან სახელოს გასცემდეს, ამაების წიგნს უწინ სალთხუცესი დაბეჭდავდეს, მერმე მდივანი წიგნს ბატონს მიართმევდეს, აგრევე ბართხედ და ჯამაგირის სარხათხედ“ (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი ტექსტი, „ქართული დიპლომატიკა“, გვ. 77 და დასტურლამალის ვარიანტები, გვ. 149—150 და 156). აკად. ივ. ჯავახიშვილს დასტურლამალის ეს აღდგენილი ადგილი შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „აქედან ცხადი ხდება, რომ სიგელს ჯერ სალთხუცესი ბეჭდავდა, შემდეგ ია თავისი ბეჭდით, შემდეგ კი უკვე მეფესთან უნდა მიეტანათ საბუთი,

რომ მეფესაც თავისი ბეჭდით დაებეჭდა. ამგვარად ირკვევა, რომ სიგელების დაბეჭდვის ძველი წესი სრულიად შეცვლილა და დაბეჭდვაში თუმცა ორი მოხელე, სალთხუცესი და მდივანი, იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მდივანი მხოლოდ საბუთის მიმტანი იყო და პირადად დაბეჭდვაში არაერთარ მონაწილეობას არ იღებდა“ (ქართ. დიპლომატიკა, გვ. 77). სახლთხუცესს ჰქონდა საკუთარი სამოხელეო ბეჭედი, რომლითაც იგი მამულსა და სახელოს გაცემის წიგნებს ბეჭდავდა<sup>1</sup>. ამგვარად, სახლთხუცესი პირადად იღებდა მონაწილეობას სახელმწიფო საბუთების შედგენასა და გაცემაში, ვასამრჯელოს, რომელსაც სახლთხუცესი სიგელის დაბეჭდვისათვის ღებულობდა, „საბეჭდავი“ ერქვა (იხ. 1705—1750 წ. კახეთის ბაქების გარიგება, საქ. სიძე. III, გვ. 136).

სახლთხუცესის ასეთ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ: მდივანი და მორღარი. მდივანი, როგორც სახელმწიფო საბუთის შემდგენელი მოხელე, ხოლო მორღარი, როგორც სახელმწიფო ბეჭდის მცველი.

### ა) მდივნები

სახელმწიფო სამართლის საბუთების შემდგენელი მეფის მდივნები სახლთხუცესის სამოხელეო მოღვაწეობასთან იყვნენ დაკავშირებული, ამიტომ მდივნები სახლთხუცესთან ერთად იყოფდნენ კუთვნილ სარგოს: „როგორც სალთხუცესათვის დაგვიწერია, ისე მდივნებს მიეცეს“-ო, —ნათქვამია დასტურლამალის მდივნების სარგოს წიგნში (§ პე. მდივნების სარგოსათვის, გვ. 50). სახლთხუცესის სარგოში, სხვათა შორის, შედიოდა: „გაცემულს გლახუნდ—მარჩილი; ბოგანოხუნდ—ტ; სახელოზე კომლზე—ტ; სითარხნუნდ—კ. ამავების წიგნი და რაც მამული და საჯელო გაიცეს, უწინ სალთხუცესმა უნდა დაბეჭდოს, მერმე ბატონს მიართვას. აგრე ბარათისა და ჯამაგირის სარხათუნდ“ (დასტ. 149—150). წინადადებაში, სადაც ნათქვამია „მერმე ბატონს მიართვას“, მდივანი უნდა იყოს ვამოტოვებული და თავდაპირველად ალბათ ასე იკითხებოდა: „მერმე მდივანი წიგნს ბატონს მიართმევდეს“<sup>2</sup>. მასთანავე, უწინ სახლთხუცესი ბეჭდავდა იმ წიგნებს, რომელთა შედგენა, როგორც ეს სათანადო ქართული სიგელების დაწერილობისა და ხელრთულობის ნაკვეთის შესწავლიდნ ირკვევა, მეფის მდივნების განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა.

XV ს-ის ქართულ საბუთებში „მდივანი“ ცოცხალი და გავრცელებული ტერმინია. ასე, მაგ., 1460 წ. ქვათახევის მონასტრისადმი გაცემული სალაპო წიგნი, დაწერილია: „ველითა კარისა მდივნისა ფხ...“ (ქრონიკები, II, გვ. 240). ეს უცნობი მდივანი, რომლის სახელი საბუთში არ იკითხება, ალაპის შემწირველის მეფე გიორგი IX კარის მდივანია. 1464 წ. დათარიღებულ შეწირულობის ერთ სიგელში, რომელიც ალექსანდრე კახთა უფლისწულს („მეფეთ მეფის“ გიორგის ძეს) ეკუთვნის, იხსენიება კარის მდივანი ვარსიძე: „მოვიდეს წინაშე ჩუშნსა იათორის შვილნი შოთასძენი... გარესჯის წინაშეძღუარი და კარისა ჩუენისა მდივანი ვარსიძე და მისნი ძმანი სულა, დემეტრე და ნარიმან, შვილნი მათნი შოთა და ყურუმში“ (იქვე, გვ. 283). საინტერესოა, რომ ხსენებული პირის ცოტა უფრო მოგვიანო ხანის, სახელდობრ 1479 წ., შეწირულობისა და სითარხნის სიგელი დაწერილია: „ველითა იათორისძისა ვარსიძესითა, კარისა ჩუენისა მწიგნობარისათა“ (გვ. 300), ხოლო იმავე წლის სოფლის წყალობის სიგელი დაწერილია იმავე: „ველითა კარისა ჩუშნისა მწიგნობარისა იათორისძისა ვარსიძესითა“ (იქვე, გვ. 301). ამგვა-

<sup>1</sup> 1751 წ. ნასყიდობის ერთ წიგნს უზის მოწმის: სალთხუცესი, „მუხრან ბატონი კოსტანტინეს ბეჭედი, რომელსაც ირგვლივ აწერია: „ქ. განმგეთ მიწოდა მეფემა, სალთხუცად მისმა სუფემა“. საქ. სიძე. II, გვ. 546.

<sup>2</sup> იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი ტექსტი, ქართული დიპლომატიკა, გვ. 76—77.

რად ერთი და იგივე პირი სხვადასხვა წლებით დათარიღებულ საბუთებში მდივნად და მწიგნობრად იწოდება. ეს საფიქრებელს ხდის, რომ მდივნებსა და მწიგნობრებს შორის განსხვავება უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ძველად „მწიგნობრებს“ და „მწერლებს“ შორის არსებობდა განსხვავება<sup>1</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილს შეუსაბამოდ მიაჩნდა ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონი-შვილი მდივნებს ძველ ხელისუფალთა შორის იხსენიებს და სამართლიანად შენიშნავდა: „მდივნის თანამდებობა რომ საქართველოში X—XIV სს-ში არ არსებობდა და ამ მოხელეს მაშინ მწიგნობარი ეწოდებოდა, ეს ბატონიშვილმა ვახუშტიმ თითქოს არც კი იცის და გამოპარვია, როგორც ეტყობა მას უძველესი ხანის სიგელები თავის გამოკვლევის დაწერის დროს ხელთ არ უნდა ქონოდა და დასკვნა უფრო მერმინდელ, მე-16—18 სს-თა საბუთებზე აქვს დამყარებული“ (ქართული დიპლომატიკა, გვ. 17). მაშასადამე, აქ სამოხელეო სახელის შეცვლასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ გარკვეულ თანამდებობასთან, რომელიც პირველად XV ს-ში ჩნდება<sup>2</sup>. ამდენად მდივანი განსხვავებული კომპეტენციით აღჭურვილი მოხელე უნდა ყოფილიყო. თუ ამ სამოხელეო სახელის აკებულებას და ამ მოხელის მერმინდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მდივანი სამდივნო ანუ სასამართლო საქმის მოხელედ წარმოგვიდგება.

სამოხელეო სახელი „მდივანი“ დივანისაგან არის ნაწარმოები. „მდივანი“ არაბულად სახელმწიფო საბჭოს, სასამართლო დაწესებულებას და სამეფო კანცელარიას ნიშნავს. აქედან წარმოსდგებოდა სამეფოს უმაღლესი მსაჯულის მდივანბეგის სახელი და სასამართლოს ოქმებისა და განაჩენის ჩამწერი მოხელის—მდივნის სახელწოდება.

ჩვენს საბუთებში მოხსენებული მდივანი და მწიგნობარი ვარსიძე, შესაძლებელია, პირველ შემთხვევაში მოსამართლე იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში მწიგნობრის მოვალეობის ამსრულებელი. მომდევნო საუკუნეებში, ალბათ, ამ ორი თანამდებობის თანდათანობითი შერწყმის ნიადაგზე ხდება ორივე ტერმინის შეერთება და აქედან მდივან-მწიგნობრის შედგენილი სახელი გვაქვს მიღებული. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგები ხდება ის მოვლენა, რომ XVI—XVIII სს. საქართველოში მდივნებს ვხვდებით როგორც სახლთუხუცესისადმი დაქვემდებარებულ სამეფო სამდივან-მწიგნობროში, ისე მდივანბეგის სასამართლო დაწესებულებაში.

მდივნებს სამეფო კარის სამწერლო საქმე ებარათ. ვახუშტის სიტყვით: „ესენი მწერდენ უსტარს, იერლასსა, პიტასსა, ენდამასსა, პატრუცაგსა, როარტაგსა გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხვათა“<sup>3</sup>.

ვახტანგ VI მეფის მდივან-მწიგნობრის მოვალეობას სპარსულიდან გადმოღებულ „ამირ ნასრიან“-ში შემდეგნაირად გვისურათებს:

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგ. II, ნაკვ. I, გვ. 135; ვახუშტი ბატონი-შვილიც თავის გეოგრაფიულ აღწერაში მდივნებსა და მწერლებს ცალ-ცალკე იხსენიებს. იხ. ვახუშტი, op. cit., გვ. 17.

<sup>2</sup> მაგრამ ტერმინი „მდივანი“ დაწესებულების მნიშვნელობით XIII ს-ში, თუ ამავე უფრო ადრე არა, საქართველოში უკვე ცნობილი იყო. მაგ., ჯამთაღმწერელის თხზულებაში გვხვდება ასეთი წინადადება: „წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსაც დივანხანად უწოდდეს“ (მ-მ დფ-ის ქც-ა, გვ. 470); სტეფანოს ორბელიანსაც მოთხრობილი აქვს, რომ, როდესაც ტარსაიკ ათაბაგი ტფილისში ჩამოვიდა: „მოატანა სამეფო დივანი (შეჩასანს არქილუქ) და... მოაყვანა მწიგნობარი მთავარ დივან სამწიგნობროსი (სო ცხრქ ჳბქსნაყარ სასაგ იქანსაყარქილქხანს) და გამოსცვალა დავთარი“ (შათილქილს ზანანდერს შჩასკანს, თბილისი, 1910 წ. გამოც., გვ. 426—427). საყურადღებოა, რომ სტეფანოს ორბელიანი სამდივან-მწიგნობრის მოხელის აღსანიშნავად ხმარობს ქართულ სამოხელეო სახელს: „მწიგნობარს“.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 17.

მდივანს მართებს ენაები იცოდინან დასაწერად,  
ქონდეს სიტყვა საკელმწიფო, შესაქარი შესაფერად,  
ცოდნისაგან განასრული, სასაქმოში დასაჯერად,  
სამეჯლისო ლალობაში მშვენიერი შესამხერად;  
დადგომა, ჯდომა, წადგომა, თაეაზა, საქებელეები,  
ტურფა მწერალი, მწერალი საამოდ სასმენელეები;  
წიგნისა თაეი ამოხსნას, ბოლო ცენას 'საამებლები,  
მაღე იპოვნოს პასუხი საქირო გასაძნელეები<sup>1</sup>.

მდივნის თანამდებობის ამსრულებელი მოხელე დიდად განათლებული, ენების მცოდნე და მწერლობაში დახელოვნებული პირი უნდა ყოფილიყო, რათა რთულსა და პასუხსაგებ სამდივნო საქმეს რიგიანად გაძლოდა. პირველ ყოვლისა იგი კარგი კალიგრაფი „ტურფა მწერალი“ უნდა ყოფილიყო; მას კარგად და საფუძვლიანად უნდა სცოდნოდა სიგელთ-მცოდნეობის წესები, სიგელის შემადგენელი ნაწილები, რათა „წიგნის თაეი“ და „ბოლო“ ამოეხსნა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ქართველი მდივნები ცნობილი ლიტერატორები და ვადამწერლები იყვნენ.

რადგანაც მდივნის თანამდებობის ასრულება საზოგადო განათლებას და მომზადებას მოითხოვდა, მდივნებს წინასწარ შესაფერისი სწავლა უნდა მიეღოთ. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით „ქართული საბუთების მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე გვაფიქრებინებს, რომ მწიგნობრებს და მდივნებს წინასწარ შესაფერისი სწავლა უნდა ჰქონოდათ მიღებული და სათანადოდ გაწვრთნილი უნდა ყოფილიყვნენ თაეიანთი რთული და პასუხსაგები მოვალეობის პირნათლად ასასრულებლად. ალბათ ერთგვარი სახელმძღვანელოებიც იქნებოდა შედგენილი. მაგრამ ძველი დროიდგან არც მწიგნობარ-მდივანთა განსაკუთრებული განათლების შესახებ მოგვეპოვება ცნობები და არც სახელმძღვანელოებს მოუღწევიათ ჩვენამდის. მხოლოდ რამდენიმე «სამდივნო წიგნი» არსებობს XVII—XIX სს., რომლებშიაც მეფე-დედოფალთა, ბატონიშვილთა საბუთებისა და წერილების, მათივე და კათალიკოზ-უჩისკოპოზ-თაეადების მიწერ-მოწერის ნიმუშებია მოყვანილი. ყველა ეს სამდივნო წიგნი მეტად მდარე ღირსებისაა და კერძო ხასიათი აქეთ, უეჭველია, მწიგნობარ მდივანთათვის განკუთვნილი ძველი ამგვარი დანიშნულების წიგნები სხვანიარად შედგენილი და უფრო საგულისხმო შინაარსისაც იქნებოდნენ<sup>2</sup>.

„მდივნობის პატივი“ სამკვიდრო სახელოდ ითვლებოდა<sup>3</sup>.

ქართლის სამეფოში ორი მთავარი მდივანი ყოფილა: „მეფის მდივანი“ (დასტ. გვ. 56) და „დედოფლის მდივანი“ (იქვე, გვ. 14, 58, 73). მეფისა და დედოფლის მდივნები „კარის მდივნები“ იყვნენ. ესენი სწერდნენ: წყალობის წიგნს, ბრძანებას, განაჩენს, ოქმს. დედოფლის მდივანი სახელმწიფო საქმეშიც იყო გარეული, ხალხისა და ქვეყნის აღწერაში მონაწილეობდა და მეფის მდივანსავეთ „დაეთარი ეჭირა“. დედოფლის მდივანი სწერდა დედოფლის წყალობის წიგნებს; დასტურლამალის სულხან მდივნის ხელნაწერში ნათქვამია: „თუ მეფემ სადედოფლო კაცს მამული უბოძოს, მეფის მდივანმა წიგნი დაუწეროს და თუ დედოფალმა სადედოფლოს კაცს მამული უბოძოს, დედოფლის მდივანმა წიგნი დაუწეროს“-ო (დასტურლამალის ვარიანტები, გვ. 156). სადედოფლო კაცის განაჩენსაც დედოფლის მდივანი სწერდა და მეფის ან მდივანბეგის ბეჭდით გარიგებულ საქმიდან შესამედი მას ეკუთვნოდა: „რაც ან ბატონის ბეჭდით და ან მდივანბეგის ბეჭდით გარიგდეს, შესამედი სამეფოსა კაცისა მეფის მდივანსა და სადედოფლოსი დედოფლის მდივანს“ (დასტ. გვ. 58).

<sup>1</sup> წ. კ. გ. ს. მუხეუმის ხელნაწერი № 171, გვ. 117 „მდივანთაჯს“.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დიპლომატიკა, გვ. 66.

<sup>3</sup> თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, ს. კაკაბაძის გამოც., ტფილისი, 1913 წ.

მეფის მდივანი („ბატონის მდივანი“, „ხელმწიფის მდივანი“) მუდამ თან ახლდა მეფეს სახელმწიფო დაწესებულებასა თუ სასაქმოში და მზად იყო მეფის ბრძანება ან განაჩენი ჩაეწერა. დასტურლამალის მოხელეთა განწესებაში ხაზგასმულია: „ერთი მდივანიც იდგებოდეს: ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რომ ჩამოვარდების, ეგება ბატონმა ბრძანოს რამე“-ო (გვ. 54). დარბაზობის დებულებაშიც ნათქვამია: „სალთხუცესი და ნაზირი გაარიგებდენ და დადგებოდენ, ერთი მდივანიც იმათთან იდგებოდეს“-ო (გვ. 79). დარბაზობის დროს მდივანს ქალაღი და საწერ-კალამი გამზადებული უნდა ჰქონოდა, რათა თუ საქმე მოითხოვდა, მეფის ბრძანება ან დარბაისლების სიტყვა ჩაეწერა და აღენუსხა.

მდივნებს ევალეზობათ ხალხის აღწერის დავთრების შედგენა. მეწინავე სადროშო და სასარდლო, რომელშიაც ქართლის სამხრეთი ნაწილი შედიოდა, საბარათიანო, სომხითი, ყაიყული, ტაშირი და ყაიყულის თრიალეთი, ყაიყულის შემოყოლებით თათარსა და მელიქის საულდარს გარდა, სარდალთან ერთად მეფის მდივანს უნდა აეწერა: „ერთი მდივანი წავა, აღჰსწერს და დავთარს დაიჭერს“ (დასტ., გვ. 13). ზემო ქართლის სადროშო „ზემო ქართლს ხეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და საამილახვრო“ დედოფლის მდივანს უნდა ჩაეგდო დავთარში „დედოფლის მდივანი ჰსწერდესო“ (გვ. 13). „საციციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა და მდივანი წარჰყვება. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი“ (იქვე, გვ. 13). „მუხნარს და ორისავ ერისთვის მამულს, რომელიც კულავ დავთარში ჩავარდნილა, იმაზედ მუხნარის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს“ (გვ. 13).

აღსამწერლოს სარდალი და მდივნები შუაზე იყოფდნენ (გვ. 13). აღსამწერლოს გარდა მდივანი ქამა-სმისათვის განსაკუთრებულ ულუფას ღებულობდა: „დარჩების სამი შაური, რომ ეს ულუფისა არის. ამისგან სამი შაური სარდარს, რომ ბევრი კაცი ახლდების, და ერთი მდივანსა. მდივანსა და მისს კაცებს სარდარმა უნდა ასუას, აჭამოს“ (გვ. 13). როგორც ჩანს, მდივანს თავისი კაცები ჰყოლია, იმგვარადვე, როგორც სალთხუცესს თავის „სალთხუცის კაცები“ ჰყავდა. რა მოვალეობას ასრულებდა „მდივნის კაცი“ ძნელი სათქმელია. ადვილი შესაძლებელია და საფიქრებელი, რომ იგი მდივნის თანაშემწე და მშველელი ყოფილიყო.

თუ ვინცობაა დედოფლის მდივანი სამეფო კაცს აღწერდა კუთვნილი სარგო მეფის მდივნისათვის უნდა მიეტანა. დასტურლამალის ქართლის აღწერის დებულებაში ამის შესახებ მკაფიოდ არის ნათქვამი: „ამ ქუშყნის აღწერაში ერთ მჯარეს დედოფლის მდივანი წავიდეს, რაც იმის აღწერაში სამეფო კაცი იყოს, იმ სამეფოს კაცის სარგო მეფის მდივანს უნდა მიუტანოს. და სადაც მეფის მდივნის აღწერაში სადედოფლო კაცი ერიოს, იმის სარგო და აღსამწერლო დედოფლის მდივნებს მიუტანონ“-ო (იქვე, გვ. 14).

მეფის მდივანი სწერდა სამეფო ანუ ბატონის წიგნს. მეფის მდივანივე ადგენდა სახელოს წყალობის და მამულის გაცემის სიგელს, და როცა სახლთუხუცესი დაბეჭდავდა, მეფეს მიართმევდა ხოლმე დასაბეჭდად და ხელის ჩასართველად: „ბატონი რომ მამულს გასცემდეს, უწინ სალთხუცესი დაბეჭდევდეს, მერმე მდივანი წიგნს ბატონს მიართმევდეს და ბატონი დაბეჭდავს. აგრევე ბარათზედ და ჯამაგირის სარხათზედ“ (დასტ. ვარიანტები, გვ. 156). გარდა იმისა, რომ მეფის მდივანი სახელმწიფო სამართლის საბუთების შემდგენელი იყო, —სიგლის დაბეჭდვაშიაც მონაწილეობდა. მდივნის ხელი და მეფის ბეჭედი საბუთის უტყუარობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. მეფე ერეკლეს 1770 წ. დავით-გარესჯის მონასტრის ყმების გააზატების წიგნში, ნათქვამია: „ჩუშნის კარის მოხელეთ და სავარეჯოს მოხელეთ მონასტრის ყმათ თუნდაც კიდევ შეაწერონ რამე, თუ მდივნის ხელი და ჩუშნის ბეჭედი არ იყოს, იმათგან შეწერილის ნუ შეიწყ-



ნარებთ; კიდევ ამას ვიტყვი, თუ ჩუქნი ბეჭედი არ იყოს, ვისიც უნდა ხელო იყოს,—ნუ შეიწყნარებთ“ (АКТЫ, ტ. I, გვ. 46). უკანასკნელი სიტყვები მეფე ერეკლეს საბუთის სიმტკიცისათვის ჩაურთავს, ჩვეულებრივ კი ასეთი საბუთი მდივნის ნახელავი და რასაკვირველია, მეფის ბეჭდით იყო დამტკიცებული.

სასამართლო დაწესებულებაში მდივნები ოქმებსა და განაჩენს სწერდნენ. ამიტომ „მდივანბეგებთან სამდივანბეგოს მესამედი“ მათ ეკუთვნოდათ (დასტ., გვ. 50). მდივანი სახელმწიფო დარბაზში რომ ოქმებს სწერდა, ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული. გარდა ამისა, მდივნები მეჯლისში დავთრებსაც კითხულობდნენ; ისტორიკოს ჰაპუნა ორბელიანს დარბაზობის აღწერილობაში, რომელიც მეფე თეიმურაზ II კურთხევას მისდევს, აღნიშნული აქვს: „რა განსრულდა რიგი მოლოცვისა, წამოდგნენ მდივნები წესისაებრ, წაიკითხეს დავთარნი, მოიწივნეს დარბაისელნი, ვინა ჯდომისა ღირსი იყვნეს, ვინა დგომისა“<sup>1</sup>.

მდივნის სარგო ანუ სამდივნო საწიგნე რუსუმი მეტად დიდი იყო და მდივობა შემოსავლიან სახელოდ ითვლებოდა. რაკი ყოველგვარი გარიგების ჩაწერასა და აღნუსხვას მდივანი აწარმოებდა, ამიტომ მისი სარგო მრავალნაირი გასამარჯელოსა და გამოსაღები-საგან შედგებოდა; ამის შესახებ დასტურლამალში საკმაო ცნობები მოიპოვება და ჩვენ სრული საშუალება გვაქვს ამ მოხელის შემოსავალი გამოვიანგარიშოთ. მაგ., მდივანს ერგებოდა: „გლეხის გაცემაზე კომლზედ მარჩილი; გათარხნებაზედ კომლზედ მარჩილი, მდივანბეგთან სამდივანბეგოს მესამედი; იჯარებზედ საწიგნე ოქმისა; გილანისა, ფუშთუქუნისა, სუნისა, ზარაფობისა, ელიადასისა, ამათს ოქმებზედ საწიგნე; საკომლე ბზიდამ თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; ჯამაგირის წიგნის სარხათზედ თუმანზედ აბასი; ფუშთუქუნის ბარხნის წილი“ (დასტ. § 33. მდივნების სარგოსათჳს, გვ. 50).

აკად. გვლდენშტედტის მოგზაურობის დროს ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ექვსი მდივანი ყოფილა („Im Kartalischen Staat sind... sechs sekretairs“)<sup>2</sup>.

დასტურლამალშიც მდივანი მრავლობით რიცხვშია დასმული. მაშასადამე, სულ რამდენიმე მდივანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, გარდა სამეფო მდივნებისა, არსებობდნენ კერძო მდივნებიც, რომელნიც კერძო ხასიათის საბუთებს (შეწირულებათა წიგნებს, ნასყიდობის წიგნებს და სხვა) ადგენდნენ და ამით ირჩენდნენ თავს. XVIII ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი მდივანი და მსაჯული იესე ოსესშვილი თავის თავგადასავალში მოგვითხრობს, როცა უსამსახუროდ დავრჩი „თითო ოროლს შაურს ვიშოვიდი, ან სიგელს დაუწერდი ვისმე ან ოქმს. თვარა უფრო ჩემსას გავყიდდი და ამით ვრჩებოდი“<sup>3</sup>-ო (იესე ოსესშვილის თავგადასავალი, გვ. 46).

მდივნების სამოხელეო ნიშანი საწერელი იყო (ისტორიკობრი აღწერა, გვ. 21).

## ბ) მურდარი

მურდარი (მორდარი, მოჰრდარი, მუჰრდარი, მორდალი) სპარსულიდან შემოსული სა-მოხელეო ტერმინია (مردار) და სიტყვასიტყვით ბეჭდის მცველს ანუ ბეჭდის შემნახველს ნიშნავს<sup>4</sup>. მურდარის უფლება-მოვალეობაზე დასტურლამალში არავითარი ხელშესახები ცნობა არ მოგვეპოვება. იქ მხოლოდ მურდარის სარგოს წიგნია მოყვანილი (გვ. 50—51, 59). უეჭველია, მურდარი საღთბუცისის სახელისუფლოში შედიოდა, რადგანაც, როგორც ზემოთ გამოვარკვეეთ, საბუთების გაცემისა და დაბეჭდვის საქმეს ს.-ხუცესი განაგებდა; ყოველგვარ საბუთს თავის ბეჭდით ბეჭდავდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიჰქონდათ მეფესთან, რათა მეფესაც „სამეფო ბეჭდით“ დაებეჭდა. სამეფო ბეჭდის შემნახველი კი სწორედ

<sup>1</sup> ჰაპუნა ორბელიანი, op. cit., გვ. 386.

<sup>2</sup> G ü l d e n s t ä d t, Reisen nach Caucasischen Gebirge, 1787 წ. გამოც., ტ. I, გვ. 354.

<sup>3</sup> Raphaël du Mans, Etat de la Perse en 1660. Edit. par Schefer. p. 20.

12. ენიშვი-ს მოამბე, ტ. XIII.

მურდარი იყო; ქიზიყის გამოსავლის გარიგების 1750—1760 წწ. წიგნში ნათქვამია: „სალთხუცესი რომ წყალობის სიგელს დაუბეჭდავს, საბეჭდავი უნდა მიეცეს, ისე მდივანს, ისე მორდალს შეძლებით“-ო (საქ. სიძვ. III, გვ. 136). მაშასადამე, სიგელის დაბეჭდვაში სამი მოხელე იღებდა მონაწილეობას: სალთხუცესი, როგორც ბეჭდის დამსმელი, მდივანი, როგორც სიგელის შემდგენელი და მომტანი, მორდალი ანუ მურდარი, როგორც ბეჭდის შემნახველი მოხელე.

ქართლის სამეფოში ორი მურდარი იყო: მეფის მურდარი და დედოფლის მურდარი. 1626 წ. მეფე გიორგი XI, მისი თანამეცხედრე ხორეშანი და ბატონიშვილი ბაგრატი უბოძებენ მდივანს მარტიროზ ბექთაბეგიშვილს სხვადასხვა წყალობას და, სხვათა შორის, ნიშნავენ მორდალად, რათა დედოფლის „ხელის ჩამრთველი იყოს“<sup>1</sup>. რასაკვირველია, დედოფალს საკუთარი ბეჭედი ჰქონდა. „სადედოფლო ბეჭდის“ შემნახველი დედოფლის მურდარი იყო.

აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „დასტურლამალის უძველეს ხელნაწერში თავი 35. მურდარისათვის არ არის და ეს გარემოება იქნებ იმის მომასწავებელი იყოს, რომ იგი თავდაპირველ შემადგენლობაში არც იყო“-ო (ქართული დიპლომატიკა, გვ. 78). საქმე ის არის, რომ დასტურლამალს ჩვენამდე თავის პირვანდელი სახით არ მოუღწევია. არსებული ხელნაწერები დაზიანებული და საგნობრივად დაუზღაბებელია, ამასთანავე ძველი თავისუფალი არ არის მერმინდელ ჩანამატებისაგან და, ალბათ, გადაწერლების წყალობით ბევრი რამ შეგნებულად თუ უნებლიეთ გამოტოვებული უნდა იყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, მურდარის გარიგებისა თუ სარგოს წიგნი თავდაპირველ შემადგენლობაში მინც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მურდარის თანამდებობა არსებობდა როგორც დასტურლამალის შედგენის დროს, XVIII ს-ის დამდეგს, ისე მანამდეც, გაცილებით უფრო ადრე. ასე, მაგ., მოიპოვება 1638 წლის მურდარის სარგოს განწესება, ბოძებული როსტომ მეფის მიერ, „ჩუენის ბეჭდის შემნახავს მურდარის“ მანუჩარ თუმანიშვილისადმი<sup>2</sup>. ამ წყალობისა და სარგოს წიგნის ზერელე შედარებაც-კი დასტურლამალის სამორდაროსთან ცხადყოფს, რომ ვახტანგ VI დასტურლამალის შედგენისას როსტომ მეფის ზემოხსენებული სარგოს წიგნი ხელთ უნდა ჰქონოდა და იმით ეხელმძღვანელა. 1638 წლის სამორდაროს შინაარსი მშვენივრად უდგება დასტურლამალის სამორდაროს, ოღონდ „საბეჭდავის“ რაოდენობა XVIII ს-ის მურდარის სარგოს საბუთებში დროის შესაფერისად არის მოკლებული ან მომატებული. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოება. ბეჭდის შემნახველ მოხელედ თითქოს ნაზირიც უნდა ყოფილიყო. აკად. გულდენშტედტის სიტყვით ქართლ-კახეთის სამეფოში: „ნაზირი ბეჭდის შემნახველია. ორნი არიან. თვითელი მათგანი შემოსავლის  $\frac{1}{20}$  ღებულობს“<sup>3</sup>. ბეჭდის შემნახველ მოხელედ მიაჩნია ნაზირი ფურცელაძესაც (Двор. грамоты, გვ. 7), მაგრამ დასახელებული ავტორი სხვა ადგილას ნაზირს მეფის მოლარეს უწოდებს (Крест. грамоты, გვ. 34).

დასტურლამალში ნაზირი სახელმწიფო ბეჭდის შემნახველ მოხელედ არ ჩანს. მაგრამ ნაზირს საკუთარი სამოხელეო ბეჭედი უნდა ჰქონოდა. ქართული სახელმწიფო საბუთების, აგრეთვე, ნასყიდობისა თუ სხვა კერძო ხასიათის საბუთების დამამტკიცებელთა, მოწმეთა და თანადამხდურთა ხელრთულობისა და ბეჭდების შემოწმებიდან ირკვევა, რომ თითქმის ყველა ხელისუფალს (სარდლებს, სახლთუხუცესს, მდივანბეგს, მოლარეთუხუცესს და სხვ.)

<sup>1</sup> საქ. სიძვ. ტ. II, გვ. 101; П у р ц е : а л з е. Двор. грамоты, გვ. 9—10.

<sup>2</sup> საქ. სიძვ. ტ. III, გვ. 544.

<sup>3</sup> G ü l d e n s t ä d t, Reisen I, 354; გულდენშტედტის ამ ცნობის დამოწმებით აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ნაზირი „ბეჭდის მცველი“ მოხელე იყო (დიპლომატიკა, გვ. 78). სახელმწიფო ბეჭდის მცველად მიაჩნია ნაზირი აგრეთვე პროფ. შ. ჩხეტიას, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, ენიშკის შობაზე, ტ. VIII, გვ. 15.

ჰქონდა საკუთარი სამოხელეო ბეჭედი შესაფერისი ზედწარწერით: სამეფო ბეჭედი-კი საგანგებო მოხელეს, მურდარს ებარა, მურდარს როსტომი ზემოთ დასახელებულ სიგელში „ჩუენის ბეჭდის შემნახავს“ უწოდებს.

აკად. გვლდენშტედტი დაკვირვებული და ფრთხილი მეცნიერი იყო, ამიტომ მისი ცნობა ყურადსაღებია და ანგარიშგასაწევი. მაგრამ შეიძლება მშვენივრად დამტკიცდეს, რომ XVII და XVIII სს-ის პირველ ნახევარში მურდარი იყო ერთადერთი „ბეჭდი ს მ ც უ ე ლ ი“ და არა ნაზირი (სალაროსი თუ ქარხნისა); თავი რომ დავანებოთ ამ სამოხელეო ტერმინის აგებულებას („მუჰრა“ სპარსულად ბეჭედს ნიშნავს), ამას ამტკიცებს თუნდაც დასტურლამალის სამორდაროს მდიდარი შინაარსი, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ყოველგვარი გარიგება მეფის ბეჭდის დასმას და დამტკიცებას მოითხოვდა, მაგ., გლეხის გაცემისა და გათარხნების საბუთი, იჯარისა და ჯამაგირის წიგნები, სახელმწიფო გადასახადები, ქალაქის ბაჟის ოქმები, ბატონის განაჩენი და სხვა (დასტ., გვ. 50—51).

მურდარი, როგორც სახელმწიფო ბეჭდის შემნახველი მოხელე, მეფესთან დაახლოებული პირი იყო. როსტომ მეფეს იგი „გულით მისანდო და ხუაშიადის შემნახვე ყმად“ მიაჩნია. მურდარი ესწრებოდა ისეთ მნიშვნელოვან და პასუხსაგებ საქმეს, როგორც იყო საბუთის შემზადება და დაბეჭდვა<sup>1</sup>.

### § 3. მდივანბები

სახელმწიფო სასამართლო დაწესებულებას „დივანი“ ეწოდებოდა. ვახტანგ VI სამართლის წიგნში ნათქვამი აქვს: „თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩივოდეს დივანში ხელი არ აქვს, მოთემემ უნდა გაურიგოს“ (§ 216). 1636 წ. როსტომ მეფის განჩინების წიგნშიაც ერთ ადგილას ნათქვამია: „ჩინებული თავადები და დარბაზილები დავისწარით და თქუენც დივანში დაგხვედრეთო“ (საისტ. მოამბე, 1924 წ. წიგნ. I, გვ. 174). ამასვე ამტკიცებს გამონათქვამები: „დივანში ჩავეცივდით“, „სამდივნოდ გაგვიხდა საქმე“ და სხვა. „სამდივნო საქმე“ მნიშვნელობით „სალაპარაკო საქმეს“ ანუ „სასამართლო საქმეს“ უდრიდა.

„დივანი“, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, არაბულად სახელმწიფო დაწესებულებას და სამსაჯულოს ნიშნავს. მაგრამ ჩვენ ამ უცხო ტერმინის ქართული (გაქართულებული) შესატყვისიც მოგვეპოვება, სახელდობრ: „სამდივნო სახლი“. ისტორიკოსი სენნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ამ დროთა შინა განაგებდა გამგებელი საქართველოსი, ზნე სრული და მხნე ძლიერი, ჯანიშინად თქმული, მაგრამ მეფედ წოდებული, ბატონიშვილი ვახტანგ, იყო განსვენებასა და სიხარულსა შინა და განავო საქმე საქართველოსი, განაჩინა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთ-თანა, კვირესსა და სამშაბათსა განაგებდა მეჯლისსა...“<sup>2</sup> სამდივნო სახლი აქ სასამართლოს უდრის. ამ საყურადღებო ცნობაში შემონახულია ერთი საგულისხმო დეტალიც. ირკვევა, რომ ოთხშაბათობით და პარასკეობით „სამდივნო სახლში“ მოსამართლედ სამეფოს უზენაესი მსაჯული მეფე იჯდა, ხოლო დანარჩენ დღეებში, უნდა ვიფიქროთ, იქ უმაღლესი მსაჯული მდივანბები აწარმოებდა „გასამართლებას“.

მდივანბები, დივანბები ანუ მსაჯულთუხუცესი, ქართლის სამეფოს უმაღლესი მსაჯული იყო. მდივანბებს სხვანაირად „საქართველოს მოსამართლე“<sup>3</sup>, „საქართველოს მსაჯუ-

<sup>1</sup> ზოგიერთი საბუთის დაბეჭდვაში მონაწილეობა უნდა მიეღო ვეზირსაც, რადგან დასტურლამალის ვეზირის სარგოს წიგნში ნათქვამია: „ვეზირს სარხათზედ დასაბეჭდავად თუმანზედ აბასი“ ერგებაო (გვ. 32).

<sup>2</sup> სენნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება, ჩუბ. გამოც., გვ. 323.

<sup>3</sup> ქრონიკები, II, გვ. 427.

ლი<sup>1</sup>, „ქართლის მდივანბეგი“<sup>2</sup> და „ქართლის მსაჯული“<sup>3</sup> ეწოდებოდა. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით „მდივანბეგი თავი მოსამართლე არის“ (ჯ 6), ე. ი. მოსამართლეთა უფროსი, მთავარი მოსამართლე და სამდივნო სახლის გამგებელია.

მდივანბეგის ინსტიტუტი არსებობდა ერანშიც. ერანის მდივანბეგსაც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები ეკითხებოდა და უმაღლეს სასამართლოს (ایوان عالی) განაგებდა<sup>4</sup>. მაგრამ სასამართლოს წარმოება ერანში, როგორც მუსლიმანურ ქვეყანაში, სასულიერო უწყების მოსამართლეებს (შეიხ-ულ-ისლამებს, ყადიბებს, ყაზის) ჰქონდათ ჩაბარებული<sup>5</sup>. ქართველი მდივანბეგის მოვალეობა არსებითად განსხვავდება სპარსელი მდივანბეგის უფლება-მოვალეობისაგან.

მდივანბეგის ინსტიტუტის გენეზისისათვის ქართულ იურიდიულ საბუთებში პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ სახელმწიფო სამართლის ეს ინსტიტუტი როსტომ ხანის „სამოხელეო რეფორმამდე“ ჩნდება. ასე, მაგ., ტერმინი „მდივანბეგი“ ჩვენ მიერ დამოწმებულია 1620 წ. საბუთში, სადაც მოხსენებულია „მდივანბეგი პატრონი ბეჟან“<sup>6</sup>. ამიტომ მცთარია ვახუშტის ის მოსაზრება, რომ თითქოს, როსტომმა „მსაჯულთუხუცესსა მდივანბეგი“ უწოდა<sup>7</sup>. ამაზე უფრო აღრინდელ საბუთებში მდივანბეგი არსად შეგვხვდრია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტერმინი „მდივანი“ უკვე XV ს-ის საბუთებში მოიპოვება და თავდაპირველად მდივანი მოსამართლის (iustum) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, სიმაართლესთან ახლოს იქნება, თუ სასამართლოს მდივანბეგის უფროსის (მდივანბეგის) ინსტიტუტის წარმოშობას XV ს-ის მეორე ნახევრის შუა წლებით დავათარილებდით.

გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის გვლდენშტედტის ცნობით ქართლის სამეფოში ოთხი მდივანბეგი ყოფილა; გვლდენშტედტის სიტყვით „მდივანბეგი უმაღლესი მსაჯულია. ქართლის სამეფოში ოთხი მდივანბეგია“ („Diwanbek, Oberster Richter. Im Kartalischen Staat sind 4 Diwanbeki“<sup>8</sup>) XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქალაქის მოურავის სარგოს წაგნშიაც მდივანბეგის სამოხელეო სახელი მრავლობით რიცხვშია ნახმარი. იქ ნათქვამია: „პატრონის ბძანებით ქალაქის მოურავი და მდივანბეგები რომ სამართალში დასხდებიან, რაც სამდივანბეგო შემოვა, როგორც რიგი არის, მოურავი და მდივანბეგები ისრე გაიყოფენ“<sup>9</sup>. მაგრამ დასტურლამალში და, რაც უფრო საყურადღებოა, მდივანბეგის გარიგების ვრცელ წიგნში, სადაც „მდივან-ბეგობის წესი და რიგი დასტურლამა“ (დასტ. გვ. 56—58) მკაფიოდ არის განმარტებული, მხოლოდ ერთი მდივანბეგი იხსენიება. ოღონდ ერთ ადგილას, სახელდობრ მდივანბეგის სარგოს წიგნში, გვხვდება ამგვარი გამონათქვამი: „მდივანბეგებთან სამდივანბეგოს მესამელი“<sup>10</sup>. ეს ადგილი ან გადამწერთაგან არის

<sup>1</sup> საქ. სიძე, II, გვ. 341.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>3</sup> ახალი ქართლის ცხოვრება, აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 207.

<sup>4</sup> Chardin, Voyages en Perse, II, Paris, 1811, p. 54; Tavernier, Les six voyages, Paris 1676, t. I, p. 598; Curzon, Persia, London 1892, t. I, 452, 454.

<sup>5</sup> Chardin, ibid., p. 45—66.

<sup>6</sup> საქ. სიძე, II, გვ. 41.

<sup>7</sup> ვახუშტი, გეოგრაფია, ბროსეს გამოც., გვ. 38.

<sup>8</sup> G ü l d e n s t ä d t, op. cit., s. 354.

<sup>9</sup> საქ. სიძე, II, გვ. 523; საინტერესოა, რომ 1782 წლ. თავდახსნილობის ერთ სიგელში მოწმეთა შორის ჩამოთვლილია 5 მდივანბეგი: „მდივანბეგი ამილახვარი ისე, მდივანბეგი იოვანე ორბელიანი, მდივანბეგი ქაიხოსრო, დიან-ბეგი მუეკაბუჯ ორბელიანი, მდივანბეგი ციციშვილი თეიმურაზი“ (საქ. სიძე, III, გვ. 20).

<sup>10</sup> დასტ. § 33. მდივანბეგის სარგოსათვის, გვ. 50. მაგრამ ამას აბათილებს მდივანბეგის გარიგების წიგნის გამონათქვამი: „წარმთელისა მდივანბეგმან და მდივანბეგმან, როგორც სამდივანბეგო, ისრე ის გაიყონ“ (დასტ. გვ. 58).

შერყენილი, ან დასტურლამალის შემდგენელს ამით ალბათ იმის თქმა უნდოდა, რომ საერთოდ მდივანბეგებთან (მდივანბეგის სასამართლოში) მდივნებს სამდივანბეგოდან ერთი მესამედი ერგებათო. ალბათი ხანის განჩინების წიგნების არც გარდამწყვეტელთა და არც სხვა საბუთების დამხდურთა და მოწმეთა შორის მდივანბეგი მრავლობით რიცხვში არსად შეგვხვედრია.

ჩვენს მოსაზრებას ამაგრებს შაჰნავაზ I მიერ მდივანბეგ ვახტანგ ორბელიშვილისადმი 1676 წ. ბოძებული წყალობის სიგელის შინაარსი, სადაც „შეწყალებული“ ქართლის მდივანბეგად იწოდება და ქართლის საბატონოში „სამართლის ქნა“ ევალება: „ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალბებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისებრ მრავალ-ფერად თავდადებით ნამსახურსა ყმათა ბარათაშვილს, ორბელიშვილს ვახტანგს, ასრე რომე ვითაც მამა თქუენსაც ჰქონებოდა ჩუენის საბატონოს ქართლის მდივანბეგობა და სამართლის ქნა, ახლა თქუენცა დაგვეჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ მდივანბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და თათრისა. ვინცა-ვინ ჩუენისა სახელმწიფოსა და საბრძანებელსა ქუეშ მორჩილი იყოს, ან სისხლისა ან სხვისა, რისაც საჩივრისა, ყუელა თქუენგით გ(ა)სამართლებოდეს და გარდასწყდებოდეს და ვინც თქვენს გარიგებულს სამართალსა გარდაჰხდებოდეს, ჩუენ დიდათ გაუწყობოდეთ და გარდავახდევინებდეთ, თქუენცა წესისებრ გულს მიაპყრობდეთ, რომელიც დიდი სისხლი და გასასამართლებელი იყოს, ჩუენც შეგვატყობინებდეთ და ისრე, გარდასწყვეტდეთ. ეს სახელო და სამსახური არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ძეთა ჩუენთაგან“ (საქ. სიძველენი II, გვ. 137—138). აქედან ცხადი ხდება, რომ XVII ს. და XVIII ს. პირველ ნახევარში ქართლის სამეფოში მხოლოდ ერთი მდივანბეგი „სამართლობდა“ და ყველა ქვეშევრდომის, „სახელმწიფოს და საბრძანებელის მორჩილი“-ს საჩივარი და სარჩიელი მას უნდა გაერჩია; აქედანვე ირკვევა, რომ როდესაც „დიდი სისხლი და გასასამართლებელი იყო“, მდივანბეგი ვალდებული იყო ამგვარი საქმე წინასწარ მეფისათვის შეეტყობინებია და ისე გადაეწყვიტა: „რომელიც დიდი სისხლი და გასასამართლებელი იყოს, ჩუენც შეგვატყობინებდეთ და ისრე გარდასწყვეტდეთ“-ო.

მეფე სამეფოს უზენაესი მსაჯული იყო. მას ეკითხებოდა ყოველგვარი საქმე, მაგრამ ამ საქმეთა გარჩევა სხვა მოსამართლეებსაც შეეძლოთ. სამაგიეროდ, მხოლოდ მეფის, როგორც უზენაესი მსაჯულის, განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა ე. წ. „დიდი საქმე“, როგორიც იყო: „მეფეთ ორგულობა“ (ვახტანგის სამართლის წიგნი § 7) „მეფის სალაროს გატეხვა“ (იქვე), „დიდებულთა შორის დავა“ (§ 24), „ცოლის დატანჯვა“ (§ 64), „საყდრის გატეხვა“ (§ 155), „სიგლის წართმევა“ (§ 240) და სხვა. ამგვარ საქმეებში „ხელმწიფის მეტს ამის სამართალი არ შეუძლიან“ (§ 240), ხაზგასმითაა აღნიშნული ვახტანგ VI სამართლის წიგნის მე-240 §-ში.

მდივანბეგი და სასამართლოს სხვა წევრები „საბჭოდ“ მეფის ბრძანებით სხდებოდნენ, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებულ და საგანგებო საქმეს, ისეთ საქმეს, რომელიც მეფის საკუთარ კომპეტენციას შეადგენდა, სამეფოს უზენაესი მსაჯული მეფე არჩევდა, — მდივანბეგს სასამართლოს ჩვეულებრივი წევრის მოვალეობა უნდა აესრულებინა.

მდივანბეგის განაჩენს მეფე ამტკიცებდა<sup>1</sup>.

რა შეადგენდა მდივანბეგის სასამართლო კომპეტენციას? თუ დასტურლამალის მდივანბეგის გარიგების წიგნის შინაარსსა და ვახტანგის სამართლის წიგნის სამდივანბეგო

<sup>1</sup> ვახტანგის სამართალი § 206; დასტ.; გვ. 58; საქ. სიძვ. II, გვ. 414.

სასამართლოს შესახებ მუხლებს დაუუკვირდებით, დაეინახავთ, რომ მდივანბეგს ყოველგვარი საქმის გარჩევა შეეძლო, რასაკვირველია, გარდა ე. წ. „დიდი საქმისა“, რომელიც მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა. მდივანბეგის სასამართლო მოღვაწეობის ასპარეზი ზუსტად იყო განსაზღვრული. დასტურლამალის და ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით უცილებლად მტკიცდება, რომ მდივანბეგს, როგორც მოსამართლეს, უმთავრესად სისხლის სამართლის საქმეები ეჭვემდებარებოდა და სამოქალაქო და განსაკუთრებით, საოჯახო სამართლის დარგი სხვადასხვა ადგილობრივ სასამართლო დაწესებულებებსა და კერძო ფეოდალურ მოხელე-მოსამართლეთა შორის იყო განაწილებული.

სისხლის სამართლის საქმე, როგორც წესი, მხოლოდ მდივანბეგის საკითხავი იყო და ამგვარი საქმე უეჭველად კარზე უნდა გარჩეულიყო მდივანბეგის მონაწილეობით. დასტურლამალის მდივანბეგის გარიგების წიგნში, რომელიც მდივანბეგობის ძველი წესისა და რიგის მიხედვით არის შედგენილი, ეს გარემოება მკაფიოდ და ხაზგასმითაა აღნიშნული. მდივანბეგის გარიგებაში ნათქვამია: „ოდეს ვივლეთ და ვივლისმოდინეთ და მდივანბეგობის წესი და რიგი მოკითხული ვქენით, და ამ წესით ყოფილიყო გარიგებული, და ახლაც ამ წესით ვვიბოძებთ, ასე რომ თუ ელში ეს ოთხი საქმე მოჰხდეს, კაცის სიკუდილი, ბიჭრი, თვალისა და კბილის გაგდებინება, ეს კარზედ უნდა მოვიდეს, მდივანბეგმან უნდა გაარიგოს“ (დასტ., გვ. 56). აგრეთვე ქალაქში: „აგრეთვე მოქალაქისა ასრე უნდა იქნას: თუ ქალაქში კაცის სიკუდილი მოხდეს, ან მოქალაქისაგან, ან სხვსგან, იმისი სამართალი კარზედ მდივანბეგმან უყოს“ (იქვე, გვ. 56—57) და, აგრეთვე, დედოფლის სახასოში: „და ან დედოფლის სახასოში კაცის სიკუდილი მოჰხდეს მდივანბეგმან გაარიგოს“ (იქვე, გვ. 57).

მამასადამე, სისხლის სამართლის საქმე მარტო მდივანბეგის განსაგებელს შეადგენდა და სხვა მოსამართლენი ამგვარ საქმეში ვერ გაეროდნენ. მაგრამ, რასაკვირველია, როგორც ერთხელ უკვე აღნიშნეთ, მდივანბეგს სამოქალაქო საქმეზედაც მიუწვდებოდა ხელი, ოღონდ განსაკუთრებულ გარემოებაში, როდესაც ვინმე მდივანბეგთან თავის ნებით მივიდოდა და შესჩივლებდა, ან როდესაც გარეშე კაცი მოქალაქეს, ელის კაცს, დედოფლის სახასო კაცს ან, პირიქით, მოქალაქე, ელის კაცი და დედოფლის კაცი გარეშე კაცს უჩიოდა. მდივანბეგის გარიგებაში ამის შესახებ საგანგებო დებულებები მოიპოვება: „თუ ელისკაცს ერთმანერთთან საჩივარი ჰქონდეს და თავისის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, იმისი სამართალი მდივანბეგმან უყოს“ (დასტ., გვ. 56); აგრეთვე: „თუ მოქალაქე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან გარეშე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან ორნივე მოქალაქე კაცი თავის ნებით მოვიდნენ და მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს“ (იქვე, 57). „ან სახასო ან სადედოფლო კაცი თავის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, სამართალი მდივანბეგმან უყოს. აგრეთვე თუ სადედოფლო სახასო გარეშე კაცს უჩიოდეს, ან გარეშე კაცი სადედოფლო სახასოს კაცს უჩიოდეს, სამართალი მდივანბეგმან უყოს“ (იქვე, 57); „აგრეთვე გორელი კაცი თუ გარეშე კაცსა, და გარეშე კაცი გორელს კაცს უჩიოდეს, სამეფოს თუ სადედოფლოს, მდივანბეგთან იჩივლონ და გაურიგონ; თუ გორელი კაცი ერთმანერთს უჩიოდენ და თავისის ნებით მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს“ (დასტ., გვ. 57—58). სხვა საბუთებშიც აღნიშნულია: „საჩივარი თუ გარეშე კაცი თ მოხდეს ბატონის კარის გამრიგე გაურიგებდეს“-ო<sup>1</sup>. გარკვეულ საგამგეო ერთეულებში და „თავადის“ სახასოში აღძრულ ადგილობრივი სამოქალაქო სამართლის საქმეს („ჩივილი“, „შეცილება“)<sup>2</sup> კი სათანადო საქვეყნოდ გამრფევი და დიდ ფეოდალთა

<sup>1</sup> ისტ. საბ. V, გვ. 16.

<sup>2</sup> „შეწამება“, „ცილისწამება“ სისხლის სამართლის დარგს განუკუთვნებოდა და მდივანბეგის იურის-

საკუთარი მოხელენი „ასამართლებდნენ“. „მოქალაქის საჩივარი ერთმანეთში მოურავმა გაურავოს, და ჯარიმა ბატონისა არის“-ო,—ნათქვამია მდივანბეგის გარიგების წიგნში<sup>1</sup>. ქალაქის მოურავის ასეთივე იურისდიქციის უფლებით სარგებლობს ამილახორი, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც სარდალი კი არა, არამედ როგორც გორის მოურავი (გვ. 57—58). ეს დებულება გავრცელებულია ზოგიერთ სოფლის მოურავზეც: „რომელიც სოფლის კაცი ერთი მეორეს უჩიოდეს იმისი სამართალი მოურავმა ჰქმნას, და რომელიც სოფლიდამ და სოფელი ერთმანეთს უჩიოდეს, იმისი სამართალი ბატონის მოსაქმემ ჰქმნას. იქნების ისეთი საჩივარი, ან კაცის სიკუდილი, ან დიდი საქმე რამე, იმისი სამართალი კარზე უნდა იქმნას“ (გვ. 12). ასევე, დედოფლის სახასოს კაცის საჩივრებს, დედოფლის სახლთხუცესი „გაარიგებდა“ ხოლმე: „დედოფლის სახასო კაცის საჩივრებს დედოფლის სალთხუცესი უნდა გაარიგებდეს“ (გვ. 57). აქ დედოფლის სალთხუცესი გამოდის როგორც კერძო ფეოდალის მოსამართლე. ასეთი უფლებით სარგებლობს ყველა „მებატონე“. ვახტანგ VI სამართლის წიგნში ამის შესახებ სათანადო დებულებები არსებობს. მაგ., როდესაც მამა-შვილს გორის გაყრის ნიდაგზე გადაუტრელი დავა ატყდებოდა, მომჩივნებს ბატონის სასამართლოსთვის უნდა მიემართათ და მებატონის მსჯავრით დაკმაყოფილებულიყვნენ (§ 80). ძმებსა და ახლო ნათესავებს შორის ატეხილ დავასაც მებატონე არჩევდა, ოღონდ მომჩივანთ შეეძლოთ უშუალოდ მეფის სასამართლოსათვის მიემართათ (§ 9). ამრიგად, სამოქალაქო სამართლის დარგის განსაზღვრული საქმეები და საოჯახო სამართლის დარგი სათანადო საქვეყნოდ გამრიგეთა და „თავდის“ საკუთარ მოხელეთა იურისდიქციას ექვემდებარება. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოება და „გარეშე კაცით“ მომხდარი დანაშაულობანი კი მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციად არის აღიარებული. რასაკვირველია, ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში შესაძლებელი იყო დაწესებული კანონის დარღვევა, და აღვირაშვებული ფეოდალი ზოგჯერ აღწევდა კიდევ ამას, მაგრამ ქართლის ფეოდალურ სახელმწიფოში კანონი მინც სავალდებულოდ ითვლებოდა.

აქ აღვნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან მოვლენასაც. სისხლის სამართლის დანაშაულს კათალიკოზიც არჩევდა, ოღონდ სამართლის იმ დარგიდან, რომელსაც ქართულ იურიდიული ტერმინოლოგიით რჯულგარდამავალი საქმე ეწოდებოდა. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით: „სატანჯველ სიკვდილში და რჯულის გარდამავალ საქმეში კათალიკოზს აქვს ხელი“ (§ 61. ნაწ. 2). რადგანაც მამისმკვლელობა ან შვილის მოკვლა რჯულის კანონით რიგდებოდა, ამიტომ ამგვარი საქმეც კათალიკოზის კომპეტენციად ითვლებოდა: „თუ მამამ შვილი მოკლას ან შვილმა მამა, მაგისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და რჯულის კანონით უნდა გარიგდეს“ (§ 78). მაგრამ კათალიკოზი საეკლესიო უწყების მოსამართლედ არ უნდა წარმოვიდგინოთ. საეკლესიო უწყების სასამართლოს საკითხავი იყო მხოლოდ „საკანონო“ ანუ „სასჯულო“ საქმე და საყდრის ყმების გასამართლება<sup>2</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მდივანბეგის მოქმედება მართა სისხლის სამართლის დარგით არ იყო განსაზღვრული. მას სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი საქმეების გასამართლება და გადაწყვეტაც ეკითხებოდა. მაშასადამე, მომჩივანს, თუ მოისურვებდა, შეეძლო გვერდი აეველო ადგილობრივ, ან კერძო ფეოდალის სასამართლოსათვის და უშუალოდ სახელმწიფო (მდივანბეგის) სასამართლოსთვის მიემართა.

მდივანბეგს სასამართლოს გარეშე საქმის გამოძიება არ შეეძლო. „მდივანბეგე, დანისტრად სამსახურს ნურავის ეტყვის“-ო,—ნათქვამია ბოქაულთხუცეების სარგოს წიგნში

დიქციას ექვემდებარებოდა. იხ. ნ. თარხნიშვილი, სამართლის წარმოება საქართველოში, უფრ. „არეზული“ ივ. ჯავახიშვილის რედ., პეტერბურგი. 1915 წ.

<sup>1</sup> დასტურლამალი, გვ. 57.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, წიგნ. II, ნაკვ. II, გვ. 471.

(დასტ. § ლდ, გვ. 17—18). ჩადენილი ბოროტმოქმედების გამოაშკარავებისა და გამოძიების საქმე ბოქაულთხუცებს და მათდამი დაქვემდებარებულ ხელჯოხიანებს ებარათ და, როდესაც გამორკვეული საქმე სასამართლოში მოვიდოდა, მდივანბევს მოსამართლის პირუთენელი მოვალეობა უნდა აესრულებინა და „სამართლისათვის წესისებრ გული მიეპყრო“.

მდივანბევს გამოტანილი განაჩენის დასამტკიცებლად ჰქონდა სამოხელეო ბეჭედი, რომელსაც „მდივანბევის ბეჭედი“ ეწოდებოდა (დასტ., გვ. 58). „საბეჭდავიდან“ გარკვეული წილი მიჰქონდა მდივანსაც, როგორც ოქმის ჩამწერს ან იურიდიული საბუთის შემდგენელ მოხელეს. მდივანბევის გარიგების წიგნში ნათქვამია: „რაც ან ბატონის ბეჭდით, და ან მდივანბევის ბეჭდით გარიგდეს, მესამედი სამეფოს კაცისა მეფის მდივანსა, და სადედოფლოსი დედოფლის მდივანსა“ (დასტ., გვ. 58).

მდივანბევიც, როგორც სამეფოს ყველა მოხელე, იღებდა კუთვნილ სარგოს, რომელსაც „სამდივანბეგო“ (დასტ., გვ. 58) ერქვა. დასტურლამალში მოთავსებულია სათანადო თავი „მდივანბევის ასალებისათჳს“, სადაც „სამდივანბეგო ასალები“ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი (დასტ., § რა, გვ. 58—59).

მდივანბევის სასამართლოში შედიოდნენ: 1) მდივანბევი ანუ მსაჯულთხუცე ეს ი, რომელიც სამეფოს უმაღლეს მსაჯულად ითვლებოდა, თვალყურს ადევნებდა სასამართლო საქმიანობას და სამართლის ასპარეზზე ორგვარ მოვალეობას ასრულებდა: ა) იგი იყო სამდივანბეგო სასამართლოს თავმჯდომარე ან ბ) სასამართლოს წევრი, 2) მსაჯულნი ანუ მოსამართლენი, 3) მდივანი—სასამართლოს მდივანი ადგენდა ოქმებს და წერდა განაჩენს; მას უნდა ჩაეწერა ორივე მხრის ჩვენება, რათა შემდეგ ეს ჩვენება საგანგებო განხილვისა და მსჯელობის საგანი გამხდარიყო: „თუ გრძელი და დიდი რამე საჩივარი იყოს, ორისავე სიტყვა (მოპასუხისა და მომჩივანის, ვ. გ.) მდივანმა ჩასწეროს, რომ არ დაავიწყდესთ“ (§ 3). მდივანსაგან ჩაწერილი „მერმე ცალკე გასინჯონ, ეცადნენ მართლის შეტყობას და უფიცრად მის გარიგებას“ (§ 3). სასამართლოს სხდომის დაწყებისას მდივანი კითხვობდა სამართლის წიგნის იმ მუხლებს, რომელნიც განსახილავ საქმეს ეხებოდნენ ან განმარტავდნენ (§ 205), 3) იასაულნი—იყოფოდნენ ორ ჯგუფად: ა) „მართლის მთქმელნი უქრთამო იასაულნი“ და ბ) „გაწყრომისა და დაქერის იასაულნი“ (§ 4). პირველი კატეგორიის იასაულეები გამოძიებულ-გამომკითხველი იყვნენ; ესენი პროცესს ამზადებდნენ; მეორე კატეგორიის იასაულეებს დამნაშავე უნდა შეეპყროთ და განაჩენი სისრულეში მოეყვანათ, 4) მემათრახენი (§ 7) და 5) მოწმის მაძებარნი (§ 7). ესენი სასამართლოს უბრალო მსახურნი და სხვადასხვა დავალებისა და განკარგულების ამსრულებელი იყვნენ.

სასამართლოს სათავეში იდგა ერთი მოსამართლე. მაგალითად, მეფე, ან მეფის ბრძანებით დასმული მსაჯული; მაგრამ, ჩვეულებრივად, სასამართლო შედგებოდა არა ნაკლებ სამი მოსამართლისაგან. „ორი ბჭე არა ჯერ არს“-ო,—ლაპარაკობს ვახტანგის სამართლის წიგნის მე-215 მუხლი, რადგანაც, როგორც ეს მუხლი განმარტავს, ორმა მოსამართლემ შეიძლება მიუტყვევებელი მიკერძოება გამოიჩინოს, ერთმა მოსამართლემ მომჩივნის მხარე დაიჭიროს, ხოლო მეორემ მოადის (მოადი—სამოქალაქო საქმეებში მოპასუხე, სისხლის სამართლის საქმეებში—ბრალდებული); ამგვარად, იმისათვის, რომ განაჩენის გამოტანისას ხმები შუაზე არ გაყოფილიყო და სამართლიანობის პრინციპი თვითნებურად არ შელახულიყო, სასამართლო სამი მოსამართლისაგან მაინც უნდა ყოფილიყო შემდგარი; განსაკუთრებული მდგომარეობის დროს სასამართლო შედგებოდა „ოთხ ან მეტნაკლებ დიდებულების“ კრებულისაგან (ვახტანგის სამართლის წიგნი § 2 და 24). იგივე წესი გაბატონებული იყო ქალაქის იურისდიქციაშიც. მაგ., ქალაქის მოურავს „სამართლის ბჭობაში“ თან ახლდა სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე (საქართვე. სიძე. II, გვ. 523). აღსანიშნავია, რომ



XVIII ს-ის მეორე ნახევარში „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულობის“ სასამართლოს შემადგენლობა უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

§ 4. ეშიკალასბაზების სახელისუფლო

ეშიკალასბაზის სახელი ქართულ სამოხელეო წყობილებაში პირველად XVII ს-ის ოცდაათიან წლებში ჩნდება. როსტომ ხანის გამეფებამდე ეს სამოხელეო ტერმინი არსად გვხვდება. ეშიკალასბაზი (اشيك اغاسي) თურქული შედგენილი სიტყვაა და სიტყვისიტყვით „ზღრუბლის (კარის) ბატონს“ ნიშნავს. „ეშიკ“ თურქულად ზღრუბლია, „ალა“ ბატონი, „ბაშ“ თავი. ეშიკალასბაზი ეშიკალასების უფროსი იყო. ეს სამოხელეო სახელი, უეჭველია, სპარსეთიდან არის შემოსული, რადგან იგი სპარსეთის სახელმწიფო წყობილებაშიც იყო გავრცელებული.

ეშიკალასბაზის „ჯელი“ რამდენადმე მსგავსია მანდატურთუხუცესის თანამდებობისა<sup>1</sup>. საინტერესოა, რომ ეს ძველი სამოხელეო სახელი მთლად არაა განდევნილი. XVII—XVIII საუკუნეების ქართულ საბუთებსა და საისტორიო მწერლობაში არა იშვიათად ეშიკალასბაზის მაგიერ მანდატურთუხუცესი იხმარებოდა. მაგ., ვახტანგ VI 1707 წ. და მეფე ბაქარის 1717 წ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრისადმი ბოძებულ შეწირულებისა და სითარხნის წიგნებში გვხვდება ძველი სამოხელეო სახელი: „არავისი: შევიდეს: მუნ: კაცი: მოსაქმენი: არცა სპასალარისა: არც მანდატურთ: უხუცესისა: არცა: იჯიბისა: არცა: მწერალი“ (ისტ. საბ. V, გვ. 13 და 32). იმავე მონასტრის 1724 წ. სიგელში, რომელიც მარიამ ბატონიშვილის მიერ არის მიცემული, მანდატურთუხუცესი ეშიკალასბაზადაა წოდებული: „კარისა: თვისისა: მანდატურთ: უხუცესის: ეშიკალასბაზადაა წოდებული: ბრძენი და: მეციერი: გარსევან: ჯანდიერის: შვილი“ (იქვე, გვ. 42). ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი ხმარობს როგორც ძველს, ისე ახალ ტერმინს; ზოგან „მანდატურთუხუცესი“ აქვს ნახმარი (პ. ორბელიანი, ჩუბ. გამ. გვ. 371, 384) და ზოგან „ეშიკალასბაზი“ (იქვე, გვ. 429, 433, 494). დასტურლამალში მანდატურთუხუცესი არ მოიპოვება და ყველგან ახალი ტერმინია გაბატონებული. აღებული ხანის საბუთებში ტერმინი „მანდატურთუხუცესი“ მწიგნობრულ გადმონაშთს წარმოადგენს და უპირატესობა ეშიკალასბაზის სამოხელეო სახელს აქვს მინიჭებული.

რასაკვირველია, ძველი მანდატურთუხუცესის, ერთ-ერთი გავლენიანი ვაზირის, უფლება-მოვალეობა და სახელისუფლო გაცილებით ვრცელი და შინაარსიანი იყო, ვიდრე გვიან-ფეოდალური ქართლის სამეფო კარის დიდი მოხელის ეშიკალასბაზის სახელისუფლო და განსაკებელი.

ქართლის სამეფოში ორი სამეფო ეშიკალასბაზის „ჯელი“ ყოფილა (დასტ., გვ. 14). დასტურლამალში ნათქვამია: „დაგვიყენებია ეშიკალასბაზთ: არავისი ერისთვის შვილი ზურაბ, ამილახვრის შვილი რევაზ; ეს ორნი ამ ჯელობაში იყუნენ“ (იქვე, გვ. 14). ამგვარად, ერთ სახელისუფლოს ორი ხელისუფალი განაგებდა. ვინ იყო მათ შორის უფროს-უმცროსი ძნელი გამოსარკვევია. ცხადია, „ორ ხელისუფლობის“ დროს თანხმობა და მოქმედების ერთიანობის დაცვა ძნელი იქნებოდა.

ეშიკალასბაზები სასახლის წესრიგის მთავარი მეთვალყურენი იყვნენ.

პ. ორბელიანი ეშიკალასბაზს „დიდებული კარის გამგეს“ უწოდებს (პ. ორბელიანი, გვ. 384). სამეფო დარბაზობის დროს ეშიკალასბაზი ობერ-ცერემონიამისტრის მსგავს მოვალეობას ასრულებდა და დარბაზობის მსვლელობას აწესრიგებდა. დასტურლამალის დებულებაში ვკითხულობთ: „ბატონი რომ ტახტზედ ბრძანდებოდეს იმის პირდაპირ რომ ბო-

<sup>1</sup> ვახუშტის მიხედვით როსტომმა „უწოდა მანდატურთუხუცესსა ეშიკალასი“. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწ., გვ. 23.

ძი არის, ეშიკალასბაში იმ ბოძთან ერთი იქით და ერთი აქეთ დადგებოდნენ... დარბაისელნი, რომ შემობრძანდებოდნენ, დიდროანს კაცებს აქათმან ეშიკალასბაშმან აქათ უჩვენოს ალაგი და იქითმან იქით უჩვენოს თავის ალაგი, როგორც შეეფერებოდეს“ (დასტ., გვ. 78). პ. ორბელიანი მოგვითხრობს: „რა გასრულდა რიგი მოლოცვისა, წამოდგნენ მდივნები წესისაებრ, წაიკითხეს დავთარნი, მოიწინეს დარბაისელნი ვინა ჯდომის ღირსი იყვნეს, ვინა დგომისა. დამიტრი ორბელიანი (ეშიკალასბაში, ვ. გ.), საუნჯე ყოვლისა კეთილისა, ეგრე განაგებდა რიგთა და წესთა მეჯლიშისათა“ (პ. ორბელიანი, გვ. 386); დარბაზობისა და პურობის წესისა და ზიგის ასრულებისას ეშიკალასბაშს ემორჩილებოდნენ და მის განკარგულებას ასრულებდნენ „რანიც ჴელჯოხიანები, ან სოიბათ-იასაულები იყუნენ“ და „ბოქაულთ-ხუცები“ (დასტ., გვ. 78).

აღსანიშნავია, რომ სპარსეთშიც ეშიკალასბაში გარემდგოთა უფროსად და სასახლის მთავარ ცერემონმაისტერად ითვლებოდა და მეჯლისის წესრიგს იცავდა; მას ემორჩილებოდნენ სოჰბათიასაულები, რომელნიც პატარა ჯოხებით იყვნენ აღჭურვილი და მეჯლისში, „მეჯლისის კაცებს“ თავ-თავიანთ ადგილს უჩვენებდნენ ხოლმე<sup>1</sup>.

სპარსელ ეშიკალასბაშის სამოხელეო ნიშანი კვერთხი იყო. ანალოგიისათვის საინტერესოა, რომ ძველ მანდატურთუხუცესს არგანი ჰქონდა (ისტ-რნი და აზ-მნი, გვ. 410; კარის გარიგება, გვ. 17,<sup>383-385</sup>), როგორც საგანგებო, მისი ხელისუფლების განსაკუთრებული ნიშანი<sup>2</sup>, ახალ მანდატურთუხუცესებს ანუ ეშიკალასბაშებს და მათ ნაცვლებს ბოქაულთ-ხუცებს კი კვერთხი<sup>3</sup>.

ეშიკალასბაში ხელჯოხიან მოხელეთა უფროსი და საპოლიციო საქმის მთავარი ხელმძღვანელი იყო.

ეშიკალასბაშის კომპეტენციას შეადგენდა „დანისტრად სამსახური“. დანისტარი სპარსული სიტყვაა (دانشدار) და ქართულად მცოდნეს, საქმის შემტყობელს ნიშნავს. „დანისტრად წასვლა“ საქმის გამოსადიებლად და გამოსაკითხავად წასვლას ნიშნავდა. ეშიკალასბაში დანისტრებად თავის ხელქვეით მოხელეებს ყაფიჩებსა და იასაულებს ნიშნავდა, მაგრამ როდესაც თვითონ მეფე უბრძანებდა ხოლმე დანისტრად სამსახურს „რომელსაც ჴელჯოხიანსა, დიდსა და ცოტასა, ანუ უხელ-ჯოხიანსა“, მაშინ „იმასთან არც ბოქაულთ-ხუცესს და არც ყაფიჩებს, არც იასაულებს“ ხელი არ ჰქონდათ (დასტ., გვ. 16). მაგრამ მეფის ბრძანებით დანისტრად დანიშნულ კაცს საიასაულოს მეოთხედი ეშიკალასბაშისათვის უნდა მოეტანა (იქვე, გვ. 16). აღსანიშნავია, რომ მდივანბეგი დანისტრად სამსახურს ვერავის უბრძანებდა და ეს მხოლოდ მეფისა და ეშიკალასბაშის კომპეტენციას შეადგენდა.

ეშიკალასბაშს სისრულეში უნდა მოეყვანა მეფის ან მდივანბეგის განაჩენი. 1793 წ. ერთ განაჩენის წიგნს მიწერილი აქვს მეფის რეზოლუცია: „ბატონო ეშიკალასბაშო გარსევან! ეს ასე აღასრულებინე“ (საქ. სიძვ. III, გვ. 477); სხვა საბუთში ვკითხულობთ: „ეშიკალასბაშო, მამუკა! ქაიხოსრო ლოლაძემ უნდა გადაუხადოს სისხლის ფასი მომჩივანს, მოიყვანე ის მდივანბეგთან, რამდენსაც ისინი გადასწყვეტენ, იმდენი სისხლის ფასი გადაახდევინე და მიეცი დაზარალებულს“ (Пурчепадзе, Крест. грамоты, стр. 23). მეფის ბრძანებით ან სათანადო განაჩენის საფუძველზე: ეშიკალასბაშს გაფანტული ყმები ბატონთან უკანვე უნდა დაებრუნებინა და იასაულები „მყრელებად“ დაეყენებინა (იქვე, 23—26).

ხელჯოხიანნი „დიდი და ცოტა“ (უფროსნი და უმცროსნი) ბოქაულთხუცები, იასაულები და ყაფიჩები საპოლიციო მოვალეობას ასრულებდნენ და ადგილებზე ამა თუ იმ საქმის გამოსადიებლად და განაჩენის სისრულეში მოსაყვანად იგზავნებოდნენ.

<sup>1</sup> R a p h r a e l du M a n s, *Estat de la Perse en 1660*. Edit. par. Schefer. Paris 1890. p. 20.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 158.

<sup>3</sup> ისტორიკობრი აღწერა, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 21.

აღსანიშნავია, რომ დასტურლამალი ხელჯობიანთა შესახებ კარით იხსენებოდა. სულხან მდიენის დასტურლამალის ხელნაწერში, რომელიც ყველაზე უძველესია და საგნობრივად დალაგებული, პირველ კარს ასეთი სათაური აქვს: „კარი პირველი. ყოვლისა გელჯობიანისა და მათის სარგოსი“ (დასტურლამალის ვარიანტები, გვ. 195); დასტურლამალის ტექსტი კი, უაზრო და გაუგებარი წინადადებით იწყება, სახელდობრ: „პირველად ჯერ არს ჰსენება და აღწერა, რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხვსა“ (გვ. 4). აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ეს წინადადება ასე უნდა წერებულყო: „პირველად ჯერ არს ხსენება და აღწერა (ყოვლისა ხელჯობიანისა და მათი სარგოსი), რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა<sup>1</sup> და რისხვსა“. რომ დაახლოებით მართლაც ასე უნდა წერებულყო, ამის დასამტკიცებლად იმ მოსაზრების მოყვანა შეიძლება, რომ პურობის, ან მეჯლისის მოწყობის, რისხვის და წყალობის გამოცხადების დროს წესრიგის დამკველად მართლაც „გელჯობიანი“ იყენებ ხოლმე“ (ქართული სამართლის ისტორია, წიგნ. I, გვ. 79). ის გარემოება, რომ დასტურლამალის თავდაპირველი შედგენილობის პირველ კარში ხელჯობიანებზე იყო საუბარი, ცხადჰყოფს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კანონმდებელი („პირველად ჯერ არს“-ო) იმ მოხელეებს, რომლებსაც რისხვისა და წყალობის გამოცხადების საქმე ეკითხებოდათ.

ბოქაულთხუცები ეშიკალასბაშების თანაშემწეებად ჩანან და დაახლოებით იმასვე აკეთებენ, რასაც ეშიკალასბაშები. ბროსე მათ პოლიციის აგენტებს უწოდებს (agents de la Police. Addition, p. 485). საბას განმარტებით: ბოქაული იგივე იასაულია („ჯალათას ენის არის ქართულად მ შეი დობისასა მ ან დ ა ტ უ რ ი ეწოდების, ხოლო რისხვისასა მ ტ ა რ ვ ა ლ ი. მ ტ ა რ ვ ა ლ ი—მ რ ი ს ხ ა ნ ე ბ ო ქ ა უ ლ ი ა“); საბას ეს განმარტება მრავალმხრივად საყურადღებო. ქართველი ნიჭიერი ლექსიკოგრაფის და სახელმწიფო მოღვაწის აზრით ბოქაული მნიშვნელობით მანდატურს უდრის, მანდატურები კი ძველ მანდატურთ-უხუცესის ხელისანი იყენებ (აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, ნაწ. I, გვ. 159—160). ეს გარემოება ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, თუ რა დიდი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ სპარსულ-თურქული სამართლის ტერმინების მნიშვნელობას; ხშირად ტერმინი ახალია, სამართლის ინსტიტუტის შინაარსი კი ძველი რჩება, ან ახალი ვითარებისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით არის შეცვლილი. ვახუშტი ბოქაულთხუცესსა და ბოქაულებს უწინდელ ხელისუფალთა შორის მოიხსენიებს, მაგრამ მას „მანდატურნი და ბოქაულნი“ ძველი ხელისუფლის, მანდატურთხუცესის, ხელქვეით მოხელეებად ჰყავს გამოყვანილი. თუ აქ ნაგულისხმევია მხოლოდ სრულიადი საქართველოს სამოხელეო წყობილება და არა თათართა ბატონობის მომდევნო ხანის წყობილება, მაშინ როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე აღნიშნა, ვახუშტის ეს შეხედულება თავიდან ბოლომდის შემცთარია და არაფრით არ არის გამართლებული<sup>2</sup>.

სამოხელეო სახელი ბოქაული, თუ არ ვცდებით, XVI ს-ზე ადრე ქართლის საბუთებში არ გვხვდება; ყველაზე ძველი საბუთი, რომელშიაც ბოქაულთხუცესი იხსენიება, დათარიღებულია 1565 წლით<sup>3</sup>, ესაა ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, რომლის მოწმეთა შორის დასახელებულია: „ბარათაშვილი ბოქაულთ-ხუცესი საჩინო“. 1600 წ. სვეტიცხო-

<sup>1</sup> ადვილი შესაძლებელია დასტურლამალის დედანში „პურობისა“ მაგიერ „პყრობისა“ წერებულყო. თუ ეს ასეა, მაშინ ზემოთ მოტანილი წინადადება ამგვარად უნდა შესწორდეს: „ამათ მიერ არს რიგი პყრობისა და რისხვსა“.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, გამოცემა პირველი, გვ. 302.

<sup>3</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერაქიშვილის რედ., გვ. 7; სამოხელეო სახელი „ბოქაულთხუცესი“ დამოწმებულია, აგრეთვე, დას. საქართველოს XVI ს-ის ერთ საბუთში, რომელიც მისრ გამოცემლის, ს. კაკაბაძის, მიერ დათარიღებულია 1550—1570 წწ. (იხ. დას. საქ. საეკლესიო საბ. ტ. I, გვ. 26).

ველს წიგნს სწირავს „ბოქაულთ-უხუცესი ვაჩნაძე რიონ“<sup>1</sup>. ცოტა უფრო მოგვიანო წლებს საბუთებში კი ეს სამოხელეო სახელი სულ უფრო და უფრო ხშირდება. აქ ყურადსაღებია ერთი დეტალი. სანამ როსტომი ეშიკალასბაშის თანამდებობას შემოიღებდა, ყველა ის ფუნქცია, რომლითაც ეშიკალასბაში იყო აღჭურვილი, მანამდე ბოქაულთუხუცესს უნდა ჰქონოდა დაკისრებული. ჩვენი აზრით როსტომის „სამოხელეო რეფორმამდე“ ბოქაულთუხუცესი ხელჯოხიანთა უფროსი უნდა ყოფილიყო.

სიტყვა ბოქაული<sup>2</sup> ანუ ბოქაული მონგოლურ-თურქული წარმოშობისაა და ისევეა ნაწარმოები, როგორც ყარაული და ისაული. ამ სიტყვის თურქული ზმნა უცნობია. სპარსელი მწერლები ბოქაულს „ჩაშნაგირად“ თარგმნიდნენ. ჩაშნაგირი ოსმალთა კარის მოხელე იყო და სასახლის საჭმელს შინჯავდა. ისტორიკოსი რაშიდ-ედ-დინი ბოქაულს სპარსულ „ბავერჩი“-ს (چاوه‌ری—چک) მზარეულს უკავშირებდა. დ'ოსონი, ეყრდნობოდა რა რაშიდ-ედ-დინის ამ ცნობას, ბოქაულს თარგმნიდა cuisinier-ად (მზარეულად)<sup>2</sup>. ჰამერი ბოქაულის სახელის გაცემის რაყამის შინაარსის ანალიზიდან ასკენიდა, რომ ბოქაულის მოვალეობას ლაშქარში ჯამაგირის დარიგება შეადგენდა (Hammer, Gesch. der gold. Horde, s. 473). მუჰამედ გინდუშაჰს, რომლის თხზულებიდან ჰამერს ამოუღია ზემოხსენებული რაყამი, ბოქაული, ხარისხისა და პატივის მხრივ ლაშქრის უმაღლეს მოხელეთა მომდევნო პირად მი-აჩნდა (იქვე, გვ. 245); ჰამერის აზრით ბოქაული ერთსა და იმავე დროს კარის მოხელეც უნდა ყოფილიყო და სამხედრო პირიც, — „ობერ-კრიგსკომისარი“ (იქვე, გვ. 245, 473). ქართ-ველ ბოქაულს არც ლაშქართან და არც სამეფო სამზარეულოსთან არაერთგვაროვნად მოკიდებულება არ ჰქონდა და მას მხოლოდ საპოლიციო მოვალეობის ასრულება და ეშიკალას-ბაშთან ერთად მეჯლისის მოწყობა და პურობის რიგის დაცვა ევალებოდა.

სამწუხაროდ, ბოქაულთხუცეების უფლება-მოვალეობაზე დასტურლამალში ძალიან ცო-ტა და არასრული ცნობებია შემონახული (იხ. გვ. 5, 14, 16, 17, 53, 54, 78, 79, 81, 95); ბოქაულთხუცეების სარგოს ვრცელი წიგნი, რომელიც შაჰყულიხანის მიერ ყოფილა გარიგებული და ვახტანგ VI დასტურლამალში ჩაურთავს, ნამდვილად, ყველა ხელჯოხიან-თა ერთიანი გარიგებისა და სარგოს წიგნს წარმოადგენს. მაგრამ, რაკი ბოქაულთხუცეები სარგოს ეშიკალასბაშთან ერთად იყოფდნენ და „საბოქაულთხუცო“, „საეშიკალასბაშოს“ ნა-ხევარს უდრიდა, შეიძლება ისინი ეშიკალასბაშების უშუალო თანაშემწეებად ჩავთვალოთ. დანისტრად წასულ იასაულებს და ყაფიჩებს სარგოს გარკვეული რაოდენობა მოჰქონდათ როგორც ეშიკალასბაშებისათვის, ისე ბოქაულთხუცეებისათვის (დასტ., გვ. 16—17). შედა-რებით სრული ცნობები მოგვეპოვება ბოქაულთხუცეების იმ მოვალეობაზე, რომელიც დარ-ბაზობასა და პურობასთან იყო დაკავშირებული; აქ ისინი ეშიკალასბაშის თანაშემწედ გა-მოდიან. თუ ეშიკალასბაშები „დიდრონ დარბაისლებს“ ხვდებოდნენ და თავ-თავიანთ ალაგს უჩვენებდნენ ხოლმე, ბოქაულთხუცეები „მცირე დარბაისლებს“ ეგებებოდნენ და იწვევდნენ. დასტურლამალის დარბაზობის დებულებაში ვკითხულობთ: „დარბაისელნი რომ შეე-მ-ო-ბ-რ-ძ-ან-დ-ე-ბ-ო-დ-ნ-ენ, დიდრონს კაცებს აქათმან ეშიკალასბაშმან აქათ უჩვენოს ალაგი და იქითმან იქით უჩვენოს თავისი ალაგი, როგორც შევეფრებოდეს“, ხოლო „მერმე სხვა დარბაისლები (ე. ი. მცირე დარბაისლები) რომ მოვიდნენ, ბოქაულთხუცეს-მან იქით მისრული დააწუჭინოს და აქათმა აქათი მოსული დააწუჭინოს“ (დასტ., გვ. 78).

<sup>1</sup> ქრონიკები, II, გვ. 431.

<sup>2</sup> დ'ოსონის განმარტებით „ბოქაული“ მნა «Commissaires des vivres». იხ. Histoire des Mongols t. IV. p. 421. 1835 გამოც.: ჰამერ-პურგშტალის განმარტებითაც ბოქაული ნიშნავს: „Commis. d. Mundvorraths“. Hammer-Purgstall, Sach-und Namenregister zur Geschichte der Jlelane. Darmstadt 1844, s. 403; მინორსკი „tasters“ (კაშნაგირს) იხ. V. Minorkey, A Civil and Military Review in Färs in 881/1476 p. 171, [Reprinted from the Bulletin of the School of Oriental Studies (University of London), Vol. X. part. 1].

ეშიკალასბაშების სახელისუფლოში შედიოდნენ აგრეთვე სოიბათიასაულები ანუ სოჰბათიასაულები. პ. უმიკაშვილი მშენივრად და წესიერად შედგენილ დასტურლამალის ლექსიკონში ამ სამოხელეო ტერმინის განმარტებისას, სხვათა შორის, შენიშნავს, რომ „ნამდვილ ვგონებთ უნდა „საჰბათ-იასაული“-ო (იხ. ლექსიკონი). მაგრამ როგორც დასტურლამალში, ისე ქართულ საბუთებსა და საისტორიო მწერლობაში ყველგან „სოიბათიასაული“ (დასტ.), „სოჰბათიასაული“ (ვახუშტი) ან „სოლბათიასაულია“ (საქ. სიძვ. II, გვ. 537) ნახმარი. რომ მართლაც სოჰბათიასული უნდა გვქონოდა და არა საჰბათიასული, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ამ თანამდებობის ამსრულებელი პირი ერანშიაც სოჰბათიასულად (صاحب ساول) იწოდებოდა და ეშიკალასბაშს ემორჩილებოდა<sup>1</sup>.

ვახუშტის სიტყვით როსტომ მეფემ მანდატურს სოჰბათიასაული უწოდა.

სოიბათიასაულები მუდმივად სამეფო კარზე იმყოფებოდნენ და დარბაზობისა და პურობის წესრიგს იცავდნენ.

სოიბათიასაულები ეშიკალასბაშებთან და ბოქაულთხუცეებთან ერთად დარბაზობისა და პურობის ცერემონიალში მონაწილეობდნენ (დასტ., გვ. 5, 53, 54, 78, 81, 95); დარბაზობის დებულებაში ნათქვამია: „რანიც ხელჯოხიანები, ან სოიბათიასაულები იყუნენ, იქ ნახევარი იქით, და ნახევარი აქეთ რიგზე დადგებოდენ“ (გვ. 78). საინტერესოა, რომ აქ სოიბათიასაულები ხელჯოხიანებისაგან გამოყოფილი არიან. მაშასადამე, ხელჯოხიანად მხოლოდ „პურობისა და რისხვის მოხელე ითვლებოდა“. პურობის დროს სოიბათიასაული ნაზირთან ერთად ზეზედ მდევს ხელჯოხიან მოხელეს და მოსამსახურეს გადაკვეთილ ულუფას უნაწილებდა: „ნაზირი და სოიბათ-იასაული დადგებოდეს, და ზეზედ მდევს კელჯოხიანსა ყულსა, ყაფიქსა, მეთოფეთ ყაფიქსა და იასაულსა რასაც ასნაფს მოხელეს, ზოგს ყაბით, ზოგს ბოშყაბით, როგორც გახვდეს, იმ გუარად გაუყოფდენ“ (გვ. 53). იქვე, ცოტა ქვემოთ: „სუფრის აღებამდინ საქმელს ნურავინ აიღებს, რახან სუფრის აღება ბრძანოს (მეფემ, ვ. გ.), ყოველს მოსამსახურეს ყულუხჩს ხონჩით და ხონჩით ყოველს ასნაფს სოიბათიასაულმა მისცეს“ (გვ. 53). დარბაზობის დებულებაში ვკითხულობთ: „საქმელი დაასხან, აქეთმან სოიბათ-იასაულმან აქეთ მიართმევენოს, და იქითმან იქით მიართმევენოს“ (§ რაგ. სასახლეების რიგისათვის), ვფიქრობთ, სოიბათიასაულების უმთავრესი მოვალეობა ამით გამოჩვენდება უნდა ჩაითვალოს.

ყორიასაულების გარიგების ან სარგოს წიგნი დასტურლამალში წარმოდგენილი არაა. არც ის არის აღნიშნული: შედიოდნენ თუ არა ყორიასაულები ეშიკალასბაშის სახელისუფლოში, მაგრამ სულხან მდივნის დასტურლამალის ხელნაწერში, რომელიც საგნობრივად დალაგებული და ნაწილობრივ იმ სახით უნდა იყოს შენახული, რანაირადაც თავდაპირველად იყო დაწერილი, სოიბათიასაულების რიგს ყორიასაულების რიგი მისდევს და, საერთოდ, ხელჯოხიან მოხელეთა შესახები თავები დასტურლამალის ამ უძველეს ხელნაწერში რიგზე და თანამიმდევრულადაა დალაგებული (გვ. 195<sup>1</sup> - 196<sup>2</sup>). მაშასადამე, ყორიასაულებიც ეშიკალასბაშის ხელისანი უნდა ყოფილიყვნენ.

ყორიასაულიც რომ ხელჯოხიან მოხელედ ითვლებოდა, ამას ამტკიცებს 1772 წლის ელიზბარ დავითიშვილის არზაზე მიწერილი მდივანბეგების მოხსენება: „მდივანბეგები მოგახსენებთ, ყორიასაულბაშო ზაზაე! ამ არზის პატრონს ერთი იესაული შამადა გაატანეთ. თუ სიტყვა არა ჰქონდეს (მოპასუხეს, ვ. გ.) თავისი მიაბაროს. თუ სიტყვა ჰქონდეს სამართალში მოიყვანოს“<sup>2</sup>. საინტერესოა, რომ 1782 წ. იმავე მეარზის არზაზე მიწერილ ერეკლე II ბრძანებაში ყორიასაულბაშს ზაზას „ყორიასაულბაშ - ნაიბ - ეშიკალასი“ ეწოდება:

<sup>1</sup> Raphael du Mans, op. cit p. 20 Hinz, Irans Aufstieg zum Nationalstaat, Berlin und Leipzig 1936, s. 69, 172.

<sup>2</sup> საქ. სიძვ. II, გვ. 486.

„ქ. ზაზაჲ ყორიასაულბაშ-ნაიბ-ემიკალასო! ამას, იასაული მივა, თავთავის მამული გაურჩი-ოს. ამას თავისი დანებოს და ამის სახლისკაცს თავისი მისცეს, და რომელზედაც სიტყვა ქონდეს, მსაჯულთან ალაბარაკონ და სამართლით ამათ გააშველონ“. მეფის ბრძანებას მი-სდევს ნაიბ-ემიკალასბაშ-ყორიასაულბაშის რეზოლუცია: „ქ. ძმას, ბატონს ფალავანდიში-ლის ნაიბ-ემიკალასბაშ-ყორიასაულბაში ზაზა. მრავალ სამსახურის წადილს მოგახსენებ, მერმე, როგორც ამ ბატონის ოქმში ეწეროს, ისე აღუსრულე“<sup>1</sup>. მოყვანილი მაგალითებიდან კარ-გად ჩანს, რომ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს კარის მოხელე „ყორიასაულბა-ში“ ემიკალასბაშის ნაიბად ანუ მოადგილედ ითვლებოდა. თვითონ შედგენილი სახელი ნა-იბ-ემიკალასბაშ-ყორიასაულბაში მოწმობს, რომ ემიკალასბაში და ყორიასაულბაში ერთი სა-ხელოსანი არიან. აკად. გვლდენშტედტის ცნობითაც „ყორბაშ იასაული ზედამხედველი და მბრძანებელია კარისკაცთა (ემყობაშებისა)“<sup>2</sup>. „ემყობაში“ აქ „ემიკალას“ უნდა უდრიდეს, რადგანაც ემიკალასბაშს (Eschik'obaschi) გერმანელი მეცნიერი დიდ ხელისუფალთა შორის მოიხსენიებს და მეფის მთავარ ადიუტანტად ჰყავს გამოცხადებული (Eschikobaschi, Ober-Adjutant, deren der König und die Königin einen hat)<sup>3</sup>. ამრიგად, ვფიქრობთ, დასტურ-ლამალის შედგენის დროსაც ყორიასაულბები (დასტურლამალისათვის უცნობია ყორიასა-ულბაში) ემიკალასბაშების ქვეშეთი მოხელენი იყვნენ და მათ ემორჩილებოდნენ.

დასტურლამალში სულ ოთხი ყორიასაულია მოხსენებული: „ყორიასაული: საგინას შვილი ბეჟან, კიდევ საგინას შვილი ბეჟან; სააკაჲ მერაბ, გლურჯიჲ ტარიელ“ (დასტ., § რპთ. ყორიასაულისათჳს, გვ. 89).

ყორიასაულებიც დარბაზობის ცერემონიაში მონაწილეობდნენ. აქ აღსანიშნავია ორი დეტალი. პირველი: ყორიასაულები მონაწილეობდნენ მხოლოდ ე. წ. „სასახლეების რიგის“ დიდ დარბაზობაში და არ ჩანან იმ დარბაზობასა და პურობაში, რომელშიაც დარ-ბაზობასა და პურობასთან დაკავშირებულ მოხელეთა და დარბაზობის მოწყობისა და წეს-რიგის დამცველ ხელჯოხიანთა შემცირებული რაოდენობა მონაწილეობდა. მეორე: ყორ-იასაულების დარბაზში დგომის წესსა და რიგს ემიკალასბაშები კი არა, არამედ სულ სხვა ხელისუფლები, სახელდობრ, ყულარაღასი და ყორჩიბაში განაგებენ. ალბათ იმიტომ, რომ ეს ხელისუფლები საზოგადოდ დარბაზში დგომის წესს აწესრიგებდნენ. დარბაზობის დე-ბულებაში ეს ხაზგასმითაა აღნიშნული: „ბატონს უკან ყორჩიბაში და ყულარაღასი ზეზედ დადგებოდნენ, ყული და ყორჩი რიგზედ დააყენონ, ყორიასაულიც იქ დააყენონ და იმათი დგომა გაარიგონ“ (დასტ., გვ. 78). სხვა ხელშესახები ცნობები ყორი-ასაულებზე დასტურლამალში არ მოგვეპოვება.

ემიკალასბაშის სახელისუფლოს ეკუთვნოდნენ „მეჰმანდარები“-ც. მეჰმანდარი ანუ მე-მანდარი სპარსული სიტყვაა (مانندار) და მნიშვნელობით ქართულ „მესტუმრეს“ უდრის. მესტუმრის თანამდებობა ძველისძველი თანამდებობა იყო საქართველოში. წინა ხანის სა-ქართველოს სამოხელეო წყობილებაში მესტუმრე მანდატურთუხუცესის ქვეშეთი მოხელე იყო<sup>4</sup>. ვახუშტის სიტყვით: მესტუმრეთუხუცესის „ჯელისა იყო მესტუმრენი. ესენი მოაწვე-დნენ დარბაზის ერთა, ესენი მოურნეობენ სტუმართა“<sup>5</sup>. სპარსული სამოხელეო სახელი „მეჰმანდარი“ როსტომ მეფის დროს შემოდებული „მესტუმრის“ შეცვლილი სახელია<sup>6</sup>. მაგ-რამ XVII—XVIII სს. ქართულ საბუთებსა და მეფეთა ბრძანების წიგნებში ზოგჯერ ძველი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 487.

<sup>2</sup> „Korobaschi Jesaul, Aufseher und Befelshaber der Kammerherrn (Eskakobaschi)“. ob. Reisen I, s. 355.

<sup>3</sup> Ibid., s. 354.

<sup>4</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგნ. II, ნაკვ. I. გვ. 165.

<sup>5</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 17.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 23.

ქართული სამართლის ტერმინი „მესტუმრეთუხუცესი“ და „მესტუმრე“ იხმარებოდა<sup>1</sup>. ყურადღების ღირსია, რომ სადედოფლო დასტურლამალში სწორედ მესტუმრე გვხვდება (გვ. 117). შუა-ბოლნისის გარიგების წიგნში ნათქვამია: „სალთხუცესის საშობაო ცხუარი ა; მდივნებს თუთო, სუფრაჯს ერთი; ეშიკაღას მესტუმრეს ს, ხოჯას ს“ (გვ. 117). შედგენილი სახელი „ეშიკაღას მესტუმრე“ იმიტაც არის საინტერესო, რომ იგი პირდაპირ მიგვითითებს, თუ რომელი ხელისუფლის მოხელენი უნდა ყოფილიყვნენ „მესტუმრენი“ ანუ „მემანდრები“.

მემანდრების უფროსად მემანდარბაში იყო. დასტურლამალში ორი მემანდარბაში და შვიდი მემანდარია მოხსენებული (გვ. 61), მაგრამ სულხან მდივნის ხელნაწერის მემანდრებისთვის განკუთვნილ კარში სამი მემანდარბაშია წარმოდგენილი და მემანდრების გვარებრივ საგრძნობლად არის შეცვლილი (გვ. 142). კიდევ უფრო არეულია იესე მელიქიშვილის დასტურლამალის ხელნაწერში მოთავსებული მემანდრების სია, მაგრამ შედარებიდან მტკიცდება, რომ მემანდარბაში ორზე ნაკლები მაინც არ უნდა ყოფილიყო.

მემანდარი საპატიო სტუმრებს, დარბაისლებსა და უცხო ქვეყნების ელჩებსა და მოციქულებს ეგებებოდა და წინ უძღვებოდა. მემანდარი თან ახლდა დიდებულ სტუმრებისადმი ბოძებულ საჩუქრებსა და ნობათს, რომელიც მოლარეებს სალაროდან გამოქონდათ. მოლარეთხუცის სარგოში ნათქვამია: „დუშალიკი რასაც ბატონი გასცემს, სტუმარს უნდა მიუტანონ მოლარეებმა, და მემანდარი გაუძღვეს და რაც სტუმარს ენამუსებოდეს, თუ მოლარეს ცალკე გამოუვიდეს, მემანდარს მოლარეებთან ჯელი არა აქუს“ (გვ. 59). მემანდარს უნდა დაეხედნა სტუმრის საკლავისათვის და მისი აუკარგიანობა შეეტყო: „მემანდარი სტუმრის საკლავს ნახავდეს, და აეს ნუ გამოართმევს მესაკლავესა“ (დასტ., გვ. 15). ამრიგად, მემანდარების მოვალეობას შეძენეთა და „სტუმართა მოურნეობა“ შეადგენდა.

მემანდრის სარგოს „სამემანდრო“ ერქვა (დასტ., გვ. 75).

ყაფიჩაში და ყაფიჩებიც ეშიკაღასბაშის ჯელისანი იყვნენ.

ყაფიჩი (ყაფუჩი) თურქული სიტყვაა<sup>2</sup>. „ყაფუჩი“ ქართულად „მეკარეს“ ნიშნავს (არაბ. ბაე-ვაბ, სპ. დარბან, გერმან. Torwärter, Pfortner).

დასტურლამალში რამდენიმე სახის ყაფიჩია მოხსენებული: „კარის ყაფიჩი“ (გვ. 46), „კარით წარვლენილი ყაფიჩი“ (გვ. 17), „დავთარხანის ყაფიჩი“ (გვ. 24) და „მეთოფეთ ყაფიჩი“ (გვ. 46, 53).

ყაფიჩის ერთ-ერთ მოვალეობას „დანისტრად სამსახური“ შეადგენდა, ე. ი. იასაულად უნდა დამდგარიყო, საქმე გამოეძია ან საგანგებო დავალება და განაჩენი სისრულეში მოეყვანა. ამისათვის ყაფიჩაშს მართებული ყაფიჩი უნდა გაეგზავნა საიასაულოდ და საყაფიჩოდ: „ყაფიჩაში მართებულ ყაფიჩს გაგზავნიდეს“-ო, —ნათქვამია ბოქაულთხუცების სარგოს წიგნში (გვ. 17). ყაფიჩს ჰბარებია მეფის ან მდივანბეგის გარიგებისა და განაჩენის წიგნები: „სხუა უდანისტროდ ან ჩვენგან, ან მდივანბეგისაგან რაც გარიგდებოდეს, იმისი წიგნები ყაფიჩს მიებარებოდეს და ის გაგზავნიდეს“ (გვ. 16); ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „ეს განაჩენები თავლიდარს და ყიფიჩს მიებარებოდეს“-ო (გვ. 18). სულხან მდივნის ხელნაწერში ამათ ბოქაულთხუცესიც ემატება და ნათქვამია: „ეს განაჩენები თავლიდარსა და ბოქაულთხუცესს და ყაფიჩს მიებარებოდეს“ (გვ. 185). აქედან ცხადი ხდება, რომ საპოლიციო საქმის ქალაქდები, სასამართლოს განაჩენები და დანისტრად თუ უდანისტროდ გარიგებული გამოძიების წიგნები ყაფიჩს, ბოქაულთხუცესს და საეშიკაღასბაშოს თავილდარს ჰბარებიათ.

<sup>1</sup> 1705 წ. ერთ ნასყიდობის წიგნში მოხსენებულია: „მესტუმრეთუხუცესი ანდრონიკაშვილი ბააღ“ იხ. დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 379

<sup>2</sup> J. v. Hammer, Ssaatsverfassung des Osmanschen Reiches, t. II, s. 44. 137.

ყაფიჩები ისევე, როგორც იასაულები, ეშიკალასბაშის და ბოქაულთხუცის განკარგულებებს ასრულებდნენ, მაგრამ როდესაც სხვაგან „სხუას ქუსყანას“ წასვლა უხდებოდათ, დებულების თანახმად, ისინი მოქმედების სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ და ამგვარ საგანგებო ვითარების დროს არც ეშიკალასბაშებს და არც ბოქაულთხუცებს მათ მოქმედებაზე ხელი არ მიუწევდებოდათ: „სხუას ქუსყანას რომ ყაფიჩი და იასაული წავიდოდეს, ეშიკალასბაშებს და ბოქაულთ-ხუცებს ამასთან კელი არა აქვს“ (გვ. 17). ყაფიჩებს ეკუთვნოდათ გარკვეული წილი იმ სარგოდან, რომელიც ხელჯოხიანთა ხელისუფალთათვის იყო განწესებული.

ყაფიჩის სარგოს „საყაფიჩო“ ერქვა (გვ. 14).

ყაფიჩები მეფის მცველთა საბატო მოვალეობასაც ასრულებდნენ როგორც მეფის სასახლის ყარაულები. დასტურლამალის იმ კარში, რომელსაც სათაურად აქვს „მოხელენი თუ როგორც მოიქცნენ, მათთა რიგთათჳს“, პირდაპირ და მკაფიოდ არის ნათქვამი: „ყაფიჩისა ასრე იქნას: რომელსაც სახლში ბატონი ბრძანდებოდეს, ორი ყაფიჩი იმ სახლის კარზედ დადგებოდენ. რაც ამაში ყულუხჩი ურ დაგვიწერია, მის მეტს მოსამსახურეს ნუ შემოუშვებს. ამ სახლის კარის-გარეთ ყაფიჩის მოკიდებით სხუანი ყაფიჩები და მეთოფენი წარიგებით იქით და აქეთ დადგებოდენ“ (გვ. 53). ამგვარსავე მოვალეობას ასრულებდნენ: ჯარჩები, თალიშები და იასაულები: „ჯარჩები, თალიშები და იასაულები გარეთ დიდის კარის ყაფიჩთან დადგებოდენ, და რომელიც სამსახური უბრძანონ, ათავებდენ“ (გვ. 54). ვის უნდა ებრძანებინა მათთვის სამსახური? ყაფიჩს? წინადადებიდან ეს კარგად არ ჩანს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ამათ ცოტა განსხვავებული „სამსახური“ ჰქონდათ დაკისრებული, ვიდრე მეფის სასახლის მცველ ყაფიჩებსა და მეთოფეთ, რომელნიც მეფის სასაქმროში მხოლოდ იმ მოსამსახურეს უშვებდნენ, რომლის „ყულუხჩი“ (სამსახური) მეფის მიერ საგანგებოდ იყო დაწერილი და მათი სამსახურებრივი დანიშნულება ისეთი იყო, რომ მეფის სამყოფელოში შესვლის უფლება ჰქონდათ. ჯარჩებს, თალიშებს და იასაულებს კი, თუმცა ისინიც კართან დარაჯებად იდგნენ, უფრო ბრძანება და განკარგულება უნდა მოესმინათ და რომელ სამსახურსაც უბრძანებდნენ, — „გაეთავებინათ“, ე. ი. აესრულებინათ.

იასაულები და ყაფიჩები ერთნაირ მოვალეობას ასრულებდნენ, ოღონდ იასაულები რანგით ყაფიჩებზე დაბლა უნდა მდგარიყვნენ, რადგანაც, როგორც ბოქაულთხუცების სარგოდან ჩანს, ეშიკალასბაშები და ბოქაულთხუცები რომ კუთვნილ სარგოს გაინაწილებდნენ, სამი შაური რომ დარჩებოდა, ის, რაც ყაფიჩი იყო, იმათ უნდა გაეყოთ, ხოლო ერთი შაური რომ დარჩებოდა, ის, რაც იასაულები იყო, იმათ უნდა გაეყოთ (დასტ., გვ. 16). რაკი ჯამაგირი და სამოხელეო გამოსაღები უფროს-უმცროსობის მიხედვით ნაწილდებოდა, ცხადია, იასაულები ყაფიჩებზე დაბლა უნდა მდგარიყვნენ ეშიკალასბაშების სახელისუფლოში.

იასაული (اسو) მონღოლურ-თურქული წარმოშობის სიტყვაა. იასაულობა მონღოლური სამხედრო თანამდებობა იყო. იქ იასაულის მოვალეობას შეადგენდა ლაშქრის ნაწილების განლაგება ომში და აღლუმებზე<sup>1</sup>. სამხედრო მოვალეობის გარდა იასაულები ადმინისტრაციულ მმართველობასთან და სასამართლოს წარმოებასთანაც იყვნენ დაკავშირებული<sup>2</sup>. ამრიგად, იასაულობა, აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც სადარბაზისკარო, ისე ადმინისტრაციულ თანამდებობად ითვლებოდა.

ქართლის სამეფოს სამოხელეო წყობილებაში იასაულების რამდენიმე კატეგორია არსებობდა. ზოგიერთ მათგანს ჩვენ ზემოთ შევეხეთ (სოიბათიასაულს, ყორიასაულს) და აქ მხოლოდ ე. წ. კარის იასაულსა და კარით წარვლენილ იასაულებზე გვექნება საუბარი.

<sup>1</sup> В. Бартольд, Улуг-беги и его время, Зап. Рос. Академии Наук. Ист.-фил. отд. т. XIII, № 5, 1918, стр. 104.

<sup>2</sup> Б Я. Владимирцов, Общественный строй монголов, Ленинград, 1934, стр. 104, 162; V. Minorsky, op. cit., 171; ჰამერ-პურგშტალი, op. cit. 452.



მეფესა და დედოფალს საკუთარი იასაულები ჰყავდათ. „მეფის იასაული“ (დასტ., გვ. 58) მეფისათვის დადებულ საიასაულოს აგროვებდა. ამას გარდა, სამეფო კარის ზოგიერთ დაწესებულებას საკუთარი იასაული ჰყავდა, მაგ., სასამართლოს: „მართლის მთქმელნი უქრთამო იასაულნი“ და „გაწყრომისა და დაქერისა იასაულნი“ (ვახტანგის სამართლის წიგნი, § 4), დავთარხანას: „დავთარხანის იასაული“ (დასტ., გვ. 24), ქარხანას: „ქარხნის იასაული“ (დასტ., გვ. 23, 65, 66), სარქარს: „იასაული ალავერდი“, რომელსაც ალბათ „სარქრის იასაული“ ეწოდებოდა (დასტ., § რლბ. სარქარ-ბაშისა და სარქრებისათვის).

იასაულები მეფის სასახლეშიაც იმყოფებოდნენ. ჯარჩებთან და თალიშებთან ერთად „გარეთ დიდის ყათიჩის კართან იდგნენ“ და რა სამსახურსაც უბრძანებდნენ, ასრულებდნენ (გვ. 54). ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო კარით წარვლენილი იასაულების რიცხვი; სამეფო დასტურლამალში 23 იასაულია ჩამოთვლილი (დასტ., § ობ. იასაულებისათვის, გვ. 54); ხოლო სადედოფლო დასტურლამალში 17 დედოფლის იასაული (გვ. 111). გარდა ამისა, იასაულებად დგებოდნენ და საიასაულოს აგროვებდნენ მეთოფენი. უზბაშებისა და მეთოფეთა გარიგების წიგნში ნათქვამია: „ბატონი სადაც ბრძანდებოდეს, ქალაქს თუ გორს, ელში თუ სხვას ადგილს, რაც იქივე ერთმანეთის მოჩივარნი იქნებოდენ, იმათზედ იასაულად ეს მეთოფენი დაადგებოდენ, სხუაგნიდამ მოსაყუნაზედ ნუ წავლენ, ნურც დაადგებიან“-ო, ოღონდ რასაც საიასაულოს იშოვნინდნენ. მეოთხედი ეშოკალასბაშისათვის უნდა მოეტანათ, „რასაც საიასაულოს აიღებდნენ, მეოთხედს ეშოკალასბაშს მოუტანდნენ“ (გვ. 49). აქედან ჩანს, რომ „იასაულად“ ზოგჯერ არა იასაულსაც ნიშნავდნენ, ოღონდ ეს იასაულები მოვალენი იყვნენ საიასაულოს მეოთხედი საიასაულო საქმის გამგებელის—ეშოკალასბაშისათვის მოეტანათ.

თუ მეფე მომჩივანის „იასაულის წყალობის“ თხოვნას დააკმაყოფილებდა, იასაულს მისთვის „ხელი უნდა აემართა“, დამნაშავეს კი თავზე დადგონოდა. საბუთებში ასეთ ჩივილს ვხვდებით: „ბატონის იასაულები გვადგა და დაქირება გვქონდა, ბორკილები გვეყარა“-ო<sup>1</sup>. მეფის ბრძანების წიგნში ნათქვამი იყო: „ჩენი ბრძანება არის იასაულო... მიდი ხელი აუმართე და მიაბარე“<sup>2</sup>.

იასაულებს ეშოკალასბაშის განკარგულება და მეფისა და მდივანბეგის განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ. საგულისხმოა, რომ საპატიო-კაცის შვილი იასაული უფრო მეტს იღებდა, ვიდრე აზნაურიშვილი იასაული ან მსახური იასაული. დანისტრად სამსახურის დებულებაში ნათქვამია: „ვინც საიასაულოს იასაულად დაადგებოდეს, ის იასაული თუ საპატიოს კაცის შვილი იყოს, სადამდის იასაულად ადგეს, დღიური სასმელ-საჭმელისათვის ოროლს აბაზს მისცემდეს; მოქალაქეს თუ აზნაურიშვილი ადგეს, ერთს აბაზს გამოართმევდეს, და თუ მსახური ადგეს, ორ შაურს გამოართმევდეს“-ო (გვ. 53).

ეშოკალასბაშების სახელისუფლოში ჯარჩობა ყველაზე დაბალი თანამდებობა იყო. ჯარჩი (სპარს.-თურქ. *جارج*) სპარსეთში მყვირალს, ამბის გამცხადებელს, წინამსროლს, მთავრობის განკარგულებების საჯაროდ გამოცხადებელ-გამომქვეყნებელ მოხელეს ეწოდებოდა; სპარსელი ჯარჩები ერანის ქალაქებსა და სოფლებში ქუჩა-ქუჩა დაიარებოდნენ და დაკარგული და ნაქურდული საქონლის სიას ხმამაღალი ყვირილით უცხადებდნენ მოსახლეობას. „ჯარჩის დაძახება“ ქართულადაც ამბის გამოცხადებას ნიშნავდა.

ჯარჩებს მეჯლისში შესვლის უფლება არა ჰქონიათ: „მეჯლისთან შესასვლელად ველი არა აქვსთ“ (დასტ., გვ. 106). ჯარჩების მთავარ მოვალეობას სასახლის დაცვა შეადგენდა. ჯარჩების გარიგების წიგნში ვკითხულობთ: „იმათი სამსახური ეს არის: დილას მოვიდოდნენ, კარზედ იდგნენ; როგორც ჯელჯოხიანი, ისრე გარედან კაცს დაითხოვდნენ“

<sup>1</sup> საქ. სიძვ. II, გვ. 447.

<sup>2</sup> საქ. სიძვ. II, გვ. 309, 343, 362 და სხვა.

(გვ. 106); მაგრამ ჯარჩებს უფრო საპატიო მოვალეობის ასრულებაც ჰქონიათ დაკისრებული. დებულებაში ნათქვამია: „ბატონის ცხენს შეჯდომაზე უმაღლესხდებოდნენ, და ჯარს შესხდომას დაუძახებდნენ, ცხენის შეჯდომაზედ გაიყოფოდენ: ნახევარი აქით და ნახევარი იქით დადგებოდნენ, ჯარს სწორად ატარებდენ, თავს სწორად სიარულს დაუძახებდენ“ (გვ. 106). მიუხედავად იმისა, რომ ჯარჩობა იმდენად დაბალი თანამდებობა იყო, რომ ჯარჩებს მეჯლისში არ უშვებდნენ, მათ მაინც მნიშვნელოვანი და პასუხსაგები მოვალეობის ასრულება უხდებოდათ. ისინი სასახლის კარზე იდგნენ და ხელჯოხიანებივით სასახლეში უცხო პირებს არ უშვებდნენ; ჯარჩები მოუწოდებდნენ ხოლმე ჯარს ცხენებზე შესასხდომად. მერმე ცხენოსანი ჯარის აქეთ-იქით რიგ-რიგზე დგებოდნენ და „სწორად ატარებდენ“, „სწორად სიარულის“ განკარგულებებს აძლევდნენ. ჯარჩები დროშების მიხედვით იყვნენ დაყოფილი<sup>1</sup>. თავ-თავიანთ დროშის სარდლებს ახლდნენ და ამ სარდლებს „მისს საქმეში“ ეძახდნენ. სანამ მეფე ცხენზე შეჯდებოდა, ყველანი მეფეს უნდა ხლებოდნენ, ალბათ, ბრძანების მისაღებად და შემდეგ თავ-თავის დროშასთან მისულიყვნენ: „ბატონის ცხენს შეჯდომამდინ ყველანი ბატონთან მივიდოდნენ, მერმე თავ-თავის დროშაზე წავიდოდნენ“-ო, — ნათქვამია ჯარჩების გარიგების წიგნში (დასტ., გვ. 106). ჯარჩებს უნდა დაეყენებინათ ყარაულები და ქეშიკები (მცველები) სამეფო სასახლისა და დაწესებულებათა დასაცავად: „ქეშიკის დროს, ქეშიკს დაუძახებდნენ“ (იქვე, გვ. 106). ჯარჩები მონაწილეობდნენ აგრეთვე ნადირობის მოწყობაში, უეჭველია, როგორც „მყვირალები“, ნადირის „მყრელები“ და „მომგროვებლები“; დებულება ლაპარაკობს: „სანადიროში ჯელგას დაუძახებდნენ, გამოაგროვებდნენ, გაარიგებდნენ“-ო (დასტ., გვ. 106).

ემიკალასბაშის სახელისუფლოს საკუთარი თავილდარი ჰყავდა. ამ თავილდარს ყაფი-თან ერთად განაჩენის წიგნები ებარა (დასტ., გვ. 17). თავილდარივე იბარებდა შემოსულს საიასაულოს და სამდივანბეგოს, და საემიკალასბაშო დაწესებულებების ყველა მოხელეს უნაწილებდა: „რაც ამისი ან საიასაულო, და სამდივანბეგო მოვიდეს, ყველა თავილდარს მიეზარებოდეს, თავილდარი გაუყოფდეს, ემიკალასბაშებსაც, ბოქოულთ-ხუცებსაც, ყაფი-ბაშსაც და იასაულებსაც“ (იქვე, 17). უთავილდაროდ ემიკალასბაშებს და ბოქაულებს უფლება არა ჰქონდათ იასაულის ან სხვა მოსაქმის მიერ მოტანილი სამოხელეო გამოსაღები მიეღოთ და გაეყოთ; ეს დაუშვებელი იყო და მდივანბეგი დებულებების დამრღვევთ შვიდეულად აზღვევინებდა ხოლმე: „უთავილდაროდ რაც იასაულმა და მოსაქმემ ემიკალასბაშს და ან ბოქოულთ მოუტანონ, იმ იასაულს მდივანბეგმა შვიდეულად აზღვევინოს და ჩვენთვის მიეზაროს“ (გვ. 17). ჯარიმა მეფეს მიჰქონდა. დასტურლამალის ამ ცნობას მშვენივრად უდგება ვახტანგ VI-ის 1707 წ. ბრძანება, რომლითაც ის ფირან თუმანიშვილს თავილდარად აწესებს: „ქ. ჩვენი ბრძანება არის: ბოქაულთ-ხუცებისა და რასაც ფერის საე-საულოს მოსავლის თავილდარად თუმანიშვილი ფირან დაგვიყენებია. უამისოდ განაჩენს ნურავინ დამალავს, ის გაგზავნიდეს და რომელიც სარგო მოვიდოდეს, მართებულად თავ-თავის კერძს ნურავის დააკლებს. ვინც ამ განაჩენს უამისოდ წაიღებს და ან სარგოს არ მოუტანს, ოცი მარჩილი ჯარიმა გამო-ერთმეოდეს და საჩვენოდ მიაბარებდეს“ (საქ. სიძვ. II, 407). სამდივანბეგო სარგოც თავილდარს ებარა და მდივანბეგს თავისას აძლევდა: „აგრევე სამდივანბეგო თავ-ლიდარს მიეზარებოდეს და მდივანბეგს თავისას მიართმევდეს“ (დასტ., გვ. 17). სამდივან-ბეგო სარგოდან თავილდარი კუთვნილ წილს მეფისა და დედოფლის მდივნებსაც უნაწი-ლებდა: „მეფის მდივანს თავისას მისცემდეს და სადედოფლოსაც თავისას მისცემდეს“ (იქ-ვე, გვ. 17).

<sup>1</sup> ქართლის სამეფოში ოთხი მედროშე ანუ „ალანდარი“ (ალამდარი) ყოფილა (იხ. დასტ. § 3 ალანდ-რებისათვის, გვ. 4) და ჯარჩებიც ოთხ ჯგუფად უნდა ყოფილიყვნენ დაყოფილი.

რაკი საეშიკალასბაშოს თავილდარი მდივანბეგს კუთვნილ სამდივანბეგოს აძლევდა, საეშიკალასბაშო დაწესებულებას მკიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა სასამართლო დაწესებულებასთან. არასრული ცნობების გამო ჯერ კიდევ არ შეიძლება მკაფიოდ წარმოვიდგინოთ საეშიკალასბაშო დაწესებულებების აგებულება და შინაარსი, მაგრამ ამ დაწესებულებების მოხელეთა უფლება-მოვალეობის შესწავლიდან ირკვევა, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო და სადარბაზისკარო დაწესებულება უნდა ყოფილიყო.

§ 5. ვეზირი

ვეზირის გარიგების წიგნი დასტურლამალში არ მოგვეპოვება, ამიტომ მეტად ძნელია ამ სახელმწიფო კელის ნამდვილი მნიშვნელობის გამოკვლევა.

ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ვეზირის სარგოს წიგნი, რომლის შინაარსის მიხედვით რამდენადმე მაინც ხერხდება ქართლის სამეფოს ვეზირის უფლება-მოვალეობის გავალისწინება და სარგოს რაოდენობის დადგენა.

ჩვენს ძეგლში ვეზირის სარგო ამგვარად არის გარიგებული: „ვეზირის სარგო ყოველს წელიწადს ჩელიექილამ თუთხმეტი მინალთუნი; ტყვის ბაჟილამ თერთმეტის თავის მეოთხედი, აგრეთვე ყაფნის იჯარილამ; აგრევე კარის აბანოლამ; აგრევე თამბაქოს იჯარილამ; ყასაბხანილამ ქონი ლიტრა ასი; ქოდავილამ ბატონის თეთრილამ გარდაკუშით თუშანი თორმეტი; ქალაქის ბაშმალილამ მელიქ-მამასახლისის სარგოსთან თორმეტი მინალთუნი; ფუშოთუქუნილამ რვა თუშანი, სამი მინალთუნი და ხუთი შაური, რაც ჯამაგირი გაიცემის, თუშანზედ სამი შაური; სარხათზედ დასაბეჭდავად თუშანზედ აბასი“.

როგორც ვხედავთ ვეზირს გარკვეული წილი ეკუთვნის სახელმწიფო და მეფის კერძო „შესავლისაგან“. მას უშუალო დამოკიდებულება აქვს ტყვის ბაჟთან და იჯარების გაცემასთან; გარდა ამისა, მას რაღაც მონაწილეობა უნდა მიეღო ზოგიერთი საბუთის დაბეჭდვაში, რადგანაც, ვეზირის სარგოს წიგნში ნათქვამია: „სარხათზედ დასაბეჭდავად თუშანზედ აბასი“-ო (დასტ., გვ. 32). საყურადღებოა, რომ ვეზირი მონაწილეობს მოხელეთა ჯამაგირის გაცემის საქმეშიც; დებულებით: „რაც ჯამაგირი გაიცემის, თუშანზე, სამი შაური“ ვეზირს ეკუთვნოდა (იქვე). ამ მოხელეს საქალაქო მმართველობასთანაც უნდა ჰქონოდა ურთიერთობა, რადგანაც ქალაქის ბაშმალის მელიქ-მამასახლისის სარგოდან თორმეტი მინალთუნი მიჰქონდა: „ქალაქის ბაშმალილამ მელიქ-მამასახლისის სარგოსთან თორმეტი მინალთუნი“ (გვ. 32, 86).

ეს არის ის მცირე და გაფანტული ცნობები, რომელიც ვეზირის შესახებ დასტურლამალში მოიპოვება. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ვეზირის სახელოსა და განსაგებელზე საისტორიო წყაროებსა და საბუთებში მეტად მკრთალი ცნობები არსებობს. შედარებით ვრცლად ვეზირის უფლება-მოვალეობისა და სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ მოგვეთხრობს ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე თავის თხზულებაში<sup>1</sup>. და, მართლაც, გიორგი XI და ერეკლე I ვეზირი ყიასა, თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა იყო XVII ს-ის დამლევს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ჰორიზონტზე. ეს გაქნილი და გამოცდილი ინტრიგანი, საერთო აშლილობისა და ქიშპობის ხანაში, თვითნებურად ერეოდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში და დიდი არეუ-დარევა შეჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„ვეზირობა“ ამ დროსაც რჩევას ნიშნავდა. ამიტომ ვეზირი მეფის მრჩეველად უნდა ვიგულოთ. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები სწორედ ამას მოწმობენ.

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., საისტ. მოამბე, 1925 წ., ნაწ. II, გვ. 287—291.

მაგ., ფარსადანს ნაზარალიხანზე ნათქვამი აქვს: „თავისი ვაზირიც კარგ საქმეს უშლიდა და ავს კი ურჩევდა“-ო. ნაზარალიხანს „ყიასას ვაზირობით ეს დაემართა, რომ ორგულობა და უღონობა და ცელგამოუსვლელობა დასწამეს და ასრე ბოლო მოუღო და კიდევ მის სიტყვას არ გარდავიდის და ასრე დამჯერ იყო მისის სიტყვისა, რომ საცა თავისი და ყენის ერთგულნი ჰყავდა, ტყვილის ბეზღობით ყველაკანი შეიძულვა, ასრე რომე აღარსით ერთგული და მოკეთე აღარ ჰყავდა, არცა თავისი მემკვიდრე, არცა მეყვისნი და არც ნათესავნი, არც მუსაიბნი და არცა მეცნიერნი, ნამეტნავად ფარსადან გორგიჯანიძე ერთგულებასზედ მრავალ გვართ ვალდებული და ნამსახური“<sup>1</sup>. როგორი ტენდენციურიც არ უნდა იყოს ეს ცნობა, ის მაინც იმ მხრივად საინტერესოა, რომ ამ თხრობაში ვეზირი მეფის ისეთი მრჩეველია, რომლის „უნებურათ მეფე წყალსაც ვერ დაღვედის“ (ესეც ფარსადანის სიტყვებია). ამიტომაც, რომ ფარსადანი დაცინებით ამბობს: „ამ რიგათ გაურვიგა კარგმან ვაზირმან სამეფო სახლი და საბატონო“<sup>2</sup>. ერთი თანამედროვე მწერლის სიტყვით „ვაზირი მეფესთან ხამს“. ვაზირი მეფის მრჩეველი და მისი მუსაიბია.

XVII—XVIII სს. როსტომ-ხანიდან მოყოლებული ქართლის სამეფოში ვეზირებად მუსლიმანური წარმოშობის პირები ყოფილან. მაგ., როსტომ მეფეს ვეზირად ჰყავდა ვინმე აღა მოინა<sup>3</sup>. შაჰნავაზის ვეზირიც მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მისი ვაჟი სეხნია ჩხეიძის ისტორიაში ჯაფარ ბეგად იწოდება („ის ჯაფარ-ბეგი იყო მეფის შაჰნავაზის ვეზირისა შეიღნ“) <sup>4</sup>. გიორგი XI და ნაზარალიხანს ყიზილბაშების „გაზრდილი თათრის შვილი“ ყიასა<sup>5</sup>. თეიმურაზ II ვეზირი იბრემა და ვეზირი მირზა აღინღიბეგ<sup>6</sup>. დასტურლამალშიც, სხვათა შორის, ელის ნოქრის მოჯამაგირის ამასალისათვის განკუთვნილ წ-ში იხსენიება „ვეზირის ძმისწული მუსტოფა“ (გვ. 6). მაშასადამე, ვახტანგ მეექვსესაც ვეზირად მაჰმადიანი მოხელე უნდა ჰყოლოდა.

რატომ იხსენენ ვეზირებად ქართლის სამეფოში მუსლიმანური წარმოშობის პირები, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი, ჩვენი აზრით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ერანზე დამოკიდებული ქართლის მეფის ვეზირი ერანის „რწმუნებული“ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობასთან მეთვალყურედ და მრჩეველად დანიშნული. აქ გამოთქმული მოსაზრების შესამაგრებლად, რასაკვირველია, ფაქტიური მასალის დაძებნა იქნებოდა საჭირო, განსაკუთრებით სპარსულ-ქართული ფირმანების, ბეჭდებისა და ხელრთულობის შემოწმება; მაგრამ, ვფიქრობთ, სავარაუდოდ წამოყენებული მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს; ქართლის ვეზირების საეჭვო და ტენდენციური საქმიანობა ჩვენი შეხედულების დამამტკიცებელ საბუთად გამოდგებოდა. საამისო მაგალითების გამოკრება ფარსადან გორგიჯანიძის თხრობიდან შეიძლება. მაგ., როდესაც ნაზარალიხანი ქართლში გაბატონდა, თავრიზის ბეგლარბეგმა და საქართველოში სარდარად დადგინებულმა ჰაჯი-ალი-ხან ზანგანმა ყიასა გაავეზირა: „ყიასა სარდარმან ვეზირათ დააყენა და ასრე დააბარა, რომ განჯის ხანის წახდენას და ნაზარალიხანის დატყუებას ეცადეო, რომ ჩემი ნამსახური გამოჩნდესო“,—მოგვითხრობს ფარსადანი<sup>7</sup>. აქ ვე-

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, op. cit., გვ. 288.

<sup>2</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 288.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 244; როსტომმა „განაწესა მოხელენი და გამრიგენი თათართანი და არც მოშალა ქართველი მოკელე“. იხ. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 17.

<sup>4</sup> სეხნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება, ჩუბ. გამოც., გვ. 315.

<sup>5</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 287—291.

<sup>6</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი ანუ მცირე ქართლის ცხოვრება. ჩუბ. გამოცემა. გვ. 325, 429, 473.

<sup>7</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 287—288.

ზირი ერანის მალალი ხელისუფლის მიერ საგანგებო დავალებით დაყენებულ მოხელედ გვევლინება.

ვეზირის წელის მნიშვნელობა ქართლის მაჰმადიან მეფეთა მმართველობის დროს თვალსაჩინოდ არის გაზრდილი. მაჰმადიან ვეზირს, უეჭველია, ზურგს ერანის მთავრობა უმაგრებდა. ამიტომ ქართლის მეფის პოლიტიკური წარმატება და ბედ-იღბალი ვეზირის პირად განწყობილებასზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. თუ ეს ასეა, მაშინ ვეზირიც, ქალაქის მინბაშთან ერთად, ერანის პოლიტიკური ინტერესების დამცველად და გამტარებლად უნდა წარმოვიდგინოთ. ერანული ორიენტაციის მეფეს (მაგ., როსტომ-ხანს, ნაზარილი-ხანს, ნაწილობრივ შაჰნავაზს) თავისი მრჩეველი ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგ უნდა გამოეყენებია და ერთგვარად განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლების პოზიციები. მეფის მრჩეველი და გამხრახი ვეზირი, მეფის ინტერესების დამცველიც გამოდის იმდენად, რამდენადაც მაჰმადიანი მეფის პოლიტიკა ერანის პოლიტიკურ ზრახვებთან იყო შეგუებული.

რასაკვირველია, ქართლის ვეზირი არ უნდა გავაიგივოთ აზერბაიჯანის ვეზირთან, რომელიც იმ ქვეყანაში, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდა, ერანის მთავრობის პროვინციალურ მოხელედ ითვლებოდა და ერანის შაჰთან იყო დაკავშირებული. პირიქით, ის ხანა, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, „ქართველობის“ ხანად არის ცნობილი და „ყიზილბაშობისაგან“ განსხვავებით (როდესაც მრავლად გვხვდება ერანელი „ნავეზირალნი“ და „ნავექილარნი“) ქართლს შენარჩუნებული აქვს საკუთარი სახელმწიფო აპარატი, და იმის მიუხედავად, რომ ქართლის მეფე „გურჯისტანის ვალად“ და „ხანად“ იწოდებოდა, ე. ი. „ბედნიერი ხელმწიფის“ (ერანის შაჰის) მოხელე იყო, ის მაინც მეტი იყო, ვიდრე პროვინციის მმართველი „ბეგლარბეგი“. მას მეფური ღირსება დაკარგული არა ჰქონდა. ეს ერანშიაც კარგად იცოდნენ. ამასთანავე, ვეზირის თანამდებობა არსებობდა იმერეთის სახელმწიფო წყობილებასა და იქ ვეზირებად ქართველები იყვნენ<sup>1</sup>. ვეზირი ჰყავდა აგრეთვე სამეგრელოს მთავარს<sup>2</sup>. ვეზირის თანამდებობა ძველი თანამდებობა იყო საქართველოში. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დამოკიდებულ ქართლის სამეფოში ვეზირებად მაჰმადიანი პირები ჩანან. ეს საფიქრებელს ხდის, რომ მაჰმადიანი ვეზირი ერანის მთავრობასთან უნდა ყოფილიყო დაახლოებული. ამხელად, ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელი საქმეა. ეს მოვლენა სპეციალურ დაკვირვებას და განხილვას საჭიროებს, რაც სპარსული წყაროების გამოყენებასაც გულისხმობს. ვეზირის წელის მონოგრაფიული შესწავლა იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ იმ თანამდებობის ამსრულებელი მოხელე, აღნიშნულ ხანაში, როგორც ჩანს, ქართველ ფეოდალთა წრეს არ ეკუთვნოდა. ამდენად, ვეზირი, მეფის ხელისუფლებასთან უფრო ახლოს უნდა მდგარიყო, ვიდრე რომელიმე დიდი ქართველი ფეოდალი მოხელე, რომლის უპირველეს ამოცანას საკუთარი ფეოდალური ინტერესების დაცვა შეადგენდა. იმავე დროს სხვა ხელისუფალთაგან განსხვავებით (სარდლის, მდივანბეგის, ყულარაღასისა და ყორჩიბაშის გამოკლებით) ვეზირი მეფის „საკუთართაგანი“, მეფის კერძო მოხელე კი არ იყო, არამედ სახელმწიფო მოხელე.

აქ ზედმეტი არ იქნება ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. ვახუშტი ბატონიშვილის შეხედულებით ვეზირის ინსტიტუტი როსტომ მეფის მიერ არის დაწესებული: „ყვალად ყიზილბაშთა რიგს შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში“-ო<sup>3</sup>. ეს შემცთარი და დაუ-

<sup>1</sup> ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, მეფეთა ცხოვრება, ჩუბ. გამოც., გვ. 310.

<sup>2</sup> დას. საქ. საეკლ. საბ. წ. I, გვ. 76; არქანჯელო ლამბერტის აღნიშნული აქვს, რომ ლევან დადიანის ვეზირი მეორე პირად ითვლებოდა მთავრის შემდეგ და ყოველივეს ვანავებდა სახელმწიფოში: «questo fu il suo Visir, o pruato per nome Paponia; che dopo di lui il tutto moderava nel Regno». იხ. L a m b e r t i, A. Relazione della Colchide, ნეაპოლის 1654 წ. გამოც., გვ. 18. შდრ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, მეორე გამოც., გვ. 16.

<sup>3</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 23—24.

სახუთებელი მოსაზრება გაიმეორა ს. კაკაბაძემაც, იმ განსხვავებით, რომ ვეზირობის შემოღება მან სვიმონ მეფეს მიაწერა<sup>1</sup>. მაგრამ ვეზირობა საქართველოში სვიმონ და როსტომ მეფეებზე უწინარეს არსებობდა<sup>2</sup>. წინა ხანის საქართველოს სახელმწიფოს წყობილებაში რამდენიმე ვაზირი იყო. ვაზირთა უპირველესად, როგორც ცნობილია, მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა. XVI—XVIII სს. ერთი ვეზირი გვყავს, ოლონდ კარის მოხელენიც ვეზირებად იწოდებიან (ვექილ-ვეზირები); ამის დამამტკიცებელია კათალიკოზ დომენტის მიერ 1668 წ. გაცემული სიგელის გამონათქვამები: „ანუ მეფის კარის გამგეთა და ვეზირთა... ანუ დედოფლის კარის გამგეთა და ვეზირთა... ანუ კათალიკოზმან და მისმან კარის გამგეთა და ვეზირთა“ (ისტ. საბ. IV, გვ. 46). მაგრამ აქ ვეზირი კარის მოხელის ერთ-ერთი წოდებულება და არა თანამდებობა.

მერმინდელი ვეზირის უფლება-მოვალეობა და განსაგებელი კარდინალურად განსხვავდება გაერთიანებულ საქართველოს ვაზირების უფლება-მოვალეობისაგან.

ქართლის სამეფოს ვეზირი, რასაკვირველია, ვერ შეედრება ერანის ეპტიმადოვლის (პირველ ვეზირს), ან ოსმალეთის ვეზირ აზამს (დიდ ვეზირს), რომლებიც ხშირად განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდნენ და უნიჭო და უნებისყოფო შაჰებისა და სულთნების პირველ ვეზირებს და ნამდვილ ბრძანებლებს ხელში ეჭირათ სახელმწიფოს ბედ-იღბალი და მართველობის საქე.

ვეზირი ქართლის მეფის ერთ-ერთი ხელისუფალია, რომელიც, როგორც მეფის გამზრახი და მრჩეველი, სახელმწიფო საქმეშია გარეული.

## § 6. მ ე ი თ ა რ ი

მეითარი მეფის პირადი მსახური იყო, მაგრამ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით სასახლის ყველა ხელშინაურ მოხელეზე მაღლა იდგა. მეითარი მეფესთან დაახლოებული, მეფის მუდმივი მზღებელი იყო: „შიგნით, გარეთ ბატონთან გაუყრელობა და შინაყმობა დიდი აქუს“-ო,—ნათქვამია მეითარის გარიგების წიგნში (დასტ., § რვ. მეითარისათვის, გვ. 60). მასვე ებარა მეფის ხელსახოცები და ტანისამოსი (იქვე, გვ. 60). მეითარი მეფეს თავზე ადგა და ემსახურებოდა: „მეითარი ბატონს თავს დაადგებოდეს, ჯელსახოცს მიართმევდეს, მერიქიფეს ამსახურებდეს, ტანის-სამოსი მისს ხელთ არის“ (გვ. 60). ანალოგიისათვის საინტერესოა, რომ მსგავსი მოვალეობა დაკისრებული ჰქონდა სპარსელ მეითარსაც (მეითარი სპარსული სიტყვაა *مستور* („მეჭთერ“)<sup>3</sup> და პატივცემულ, დარბაისელ ადამიანს ნიშნავს), რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა შაჰის ხელსახოცები და საქიროების დროს შაჰს აწვდიდა; ამისათვის მას ქამარზე ეკიდა ოქროს პატარა ყუთი, რომელშიაც შაჰის ხელსახოცები და სურნელოვანი საგნები იყო ჩალაგებული<sup>4</sup>. ერანელ „მეჭთერს“ ცხენის მოვლის საქმეც ეკითხებოდა და მეჯინებედ იწოდებოდა<sup>5</sup>. მეითარის ამგვარ მდგომარეობას დასტურლამალი არ ითვალისწინებს, ამიტომაც პ. უმიკაშვილის განმარტება, რომლის მიხედვით მეითარი არის: „ცხენის მომვლელი, მეჯინიბე, მაურველი“ (იხ. დასტ. ლექსიკონი), ქართლისათვის დამახასიათებელი არაა.

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფილისი, 1922, გვ. 17.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგნ. II, ნაკვ. I, გვ. 116, 124 და ქართული საისტ. მწერლობა, გვ. 302; პროფ. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენციკლის მოამბე, ტ. V—VI და X.

<sup>3</sup> საქართველოში მეითარის მაგიერ „მეჭთერი“-ც იხმარებოდა (იხ. შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის გამოც., გვ. 202).

<sup>4</sup> Raphael du Mans, op. cit., p. 20—21.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 157.

ვახუშტის წარმოდგენით მეითარი ეჯიბის მსგავსია. მისი სიტყვით როსტომ მეფემ ეჯიბის მაგიერ „მსგავსი მისი მეითარი“ შემოიღო (ვახუშტი, აღწერა, გვ. 23). გარეგნული მსგავსება გაერთიანებული საქართველოს ვაჭირის მანდატურთუხუცესის ქვეშეთი მოხელის ამირეჯიბსა და ქართლის სამეფო სასახლის მოხელის, მეითარს შორის მართლაც არსებობს. ამირეჯიბიც მეფის პირადი მსახური იყო და მეფის ნახვა ყველგან და ყოველთვის შეეძლო („ამისგან კიდევ რომე უკაზმავე არ იყოს მეფე“, ე. ი. იმის გარდა, როცა მეფე ჩაუცმელი იყო). ეს კარგად ჩანს კარის გარიგებიდან: „ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა, სად გინდა იყოს მეფე,—სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან მივა და ყოველგან იურვის“-ო (კარის გარიგება 5, 77—78). მეითარსაც ხომ „შიგნით, გარეთ ბატონთან გაუყრელობა და შინაყობა დიდი“ ჰქონდა, მაგრამ ამირეჯიბისა და მის ქვეშეთ მყოფ ეჯიბების უფლება-მოვალეობანი სულ სხვა იყო, ვიდრე მეითარისა (შედარებისათვის იხ. კარის გარიგება, 43, 60, 77, 80, 83, 289, 220, 377, 384, 386, 392, 398—399, 401, 405, 408, 454). ამიტომ, ჩვენი აზრით, მეითარი ძველი თანამდებობის შეცვლილი სახელი კი არ უნდა იყოს, არამედ სახელმწიფო სამართლის ახალი ინსტიტუტი, რომელიც ჩვენში ერანიდან შემოვიდა არა უადრეს XVII ს-ისა. ვახუშტისაც აღნიშნული აქვს, რომ მეითარის თანამდებობა მხოლოდ მსგავსი იყო ეჯიბის თანამდებობისა.

მეითარი დიდად პატივცემული და „მეფეთა წინა ზდილი“ ყოფილა. ფეშანგი შაჰნავაზიანში ამბობს:

მეჰთარ მანუჰარ მოუძღუის, მეფეთა წინა ზდილია;  
ყოფილა პატივცემული, სიტყვითა განავლილია,  
თავდაბალი და მორჩილი, სიავე გარდავლილია,  
ქალაქი ჰქონდა საჯელოდ, დიდი ვინ, ანუ წვრილია<sup>1</sup>.

რაკი მეფის ტანისამოსი მეითარის ხელთ იყო, სამეფო ტანისამოსისათვის მას მოწყობილი ექნებოდა განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც მეითარხანა ერქმეოდა. მეითარის დაწესებულებას საკუთარი თავილდარი ჰყავდა (დასტ., გვ. 60). აღსანიშნავია, რომ მეითარხანა მოძრავიც ყოფილა და სალაშქროდ ამხედრებულ ლაშქარს თან ჰხლებია; როდესაც ერეკლე II და მისმა ჯარმა აზატხანი და მისი ჯარი სასტიკად დაამარცხეს და ყათლამი უყვეს: „დარჩათ თოფხანა, ჯაბახანა, ურიცხვი ზამბურაკნი აქლემ-კიდებულნი, სრულიად ჯორ-აქლემნი, ბარგ-კარავნი, მეითარხანა და ყოველივე აზატხანისა და მისის ჯარისა სულ ასრე დარჩათ ქართველთა“ (პ. ორბელიანი, გვ. 437). რა უნდა ყოფილიყო მოთავსებული სალაშქრო მეითარხანაში? თუ ეს მეითარხანა მეითარს ემორჩილებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ შიგ მეფის სანიადაგოდ სახმარებელი ტანისამოსის მაგიერ, მეფის პირადი სამხედრო საჭურველი და ტანისამოსი იქნებოდა მოთავსებული. მეითარი მოძრავ მეითარხანას თან უნდა ჰხლებოდა, ამიტომ თუ არის ნათქვამი დასტურლამალის მეითარისათვის განწესებულ დებულებაში: „შიგნით, გარეთ ბატონთან გაუყრელობა და შინაყობა დიდი აქუსო“ (დასტ., გვ. 60).

მეითარის ქვეშეთი მოხელენი იყვნენ: მერიქიფეთუხუცესი და მეითარის თავილდარი. მეითარის გარიგების წიგნში პირდაპირ არის ნათქვამი, მეითარო „მერიქიფეს ამსახურებდეს“-ო (დასტ., გვ. 60).

აღსანიშნავია, რომ მერიქიფეთუხუცესი და მერიქიფენი დარბაზობასა და პურობაში არ მონაწილეობდნენ. იმ მოხელეთა შორის, რომელთაც დასტურლამალის მიხედვით დარბაზობის მოწყობა და დარბაისელთა სამსახური ევალებოდათ,—მერიქიფენი არ იხსენიებინ.

<sup>1</sup> შაჰნავაზიანი, op. cit., გვ. 109—110.

ეს გარემოება გეაფიქრებინებს, რომ მერიქიფენი მეფეს მხოლოდ სახელმწიფო ოთახებში და ხალვათხანაში ემსახურებოდნენ.

## § 7. ყულარალასი

ყულარალასობა ერანის სახელმწიფოში სამხედრო და სადარბაზისკარო თანამდებობა იყო. ყულარალასი ყულების ჯარის („შაჰის მონების“) სარდლად ითვლებოდა<sup>1</sup>.

ეს სპარსული სამოხელეო სახელიც როსტომ-ხანის მიერ არის შემოღებული. ვახუშტით როსტომმა უწოდა „მონათუხუცესსა—ყულარ-ალასი“. მისივე განმარტებით: „მონათუხუცესის ხელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი, თჳნიერ ციხე-ქალაქთა“<sup>2</sup>. „აწინდელი“ ყულარალასის და „წინათი“ მონათუხუცესის უფლება-მოვალეობის შედარებიდან ირკვევა, რომ მონათუხუცესის „წელს“ არსებითი ცვლილება არ უნდა განეცადა.

ქართლის ყულარალასი სასახლის გვარდიას მეთაურობდა და ხელქვეითებად უზბაშები და მეთოფენი ჰყავდა. ქართველი ყულარალასი ყულების უფროსი, მეფის პირადი მცველებისა და ზედამდგომელების მთავარი ხელმძღვანელი იყო; ყულარალასი მეფეს თავზე ადგა, ემსახურებოდა და საპატიო-კაცის შვილ ყულებსაც ამსახურებდა. ყულარალასის გარიგების წიგნში ნათქვამია: „ბატონს თავს დაადგებოდეს (ყულარალასი, ვ. გ.); ვინცა ვინ საპატიოს კაცის შვილი იყოს, ბატონს თავს დააყენოს, რიგზედ მართებისად იმსახუროს“ (დასტ., § სბ. ყულარალასის გარიგებისათჳს, გვ. 24). მაგრამ ყველა ყული თანაბარი უფლებით როდი სარგებლობდა. იყვნენ ისეთი ყულებიც, რომელთაც დიდ მეჯლისში არ უშვებდნენ და არ აყენებდნენ: „იქნება ისეთი ყულიც, რომ დიდს მეჯლისში არ დაიყენებოდეს“ (იქვე, გვ. 94). ფეოდალური საზოგადოების დაბალი ფენებიდან გამოსული ყულები განირჩეოდნენ საპატიო-კაცის შვილ ყულებისაგან, რომელნიც მეფის მახლობლად იმყოფებოდნენ, თავზე ადგნენ და ემსახურებოდნენ. დაბალი ყულები სასახლის ქეშიკები და ყარაულები იყვნენ და, ალბათ, ზოგჯერ ხელშინაურ მოხელეთა მოვალეობასაც ასრულებდნენ. ყული და ყორჩი ამ დროს მსახურის აღსანიშნავადაც იხმარებოდა.

ყულარალასი და ყორჩიბაში მეფის პირადი მსლებლების, მეფის ადიუტანტების მსგავს მოვალეობას ასრულებდნენ. ყულარალასის გარიგებიდან ვტყობილობთ, რომ „ყულარალასი მეფეს თავზე ადგა და ემსახურებოდა“ (დასტ., გვ. 94); დარბაზობის დებულებაში კი ვკითხულობთ: „ბატონს უკან ყორჩიბაში და ყულარალასი ზეზედ დადგებოდნენ“-ო (დასტ., გვ. 78). ყულარალასი და ყორჩიბაში აწესრიგებდნენ ყულისა და ყორჩის დარბაზში დგომის საქმეს: „ყული და ყორჩი რიგზედ დააყენონ და იმათი დგომა გაარიგონ“ (იქვე, გვ. 78).

ყულარალასს ემორჩილებოდნენ უზბაშები და მეთოფენი (ყულები, ნოქრები). მეთოფეთა უზბაშებისა და მეთოფეთა გარიგებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „ეს უზბაშები და ეს ასოცი მეთოფე ყველა ყულარალასისათვის მიგვიბარებია, მისი თაბუნნი და ხელქუშვითნი იყვნენ: ამათს სამართალსა და რიგსა, ის იქმოდეს, დგომის საქმე და ქეშიკობისა, როგორც ნაბძანები აქუსთ, ისრე მოიქცნენ“ (დასტ., § პე. მეთოფეთ უზბაშებისა და მეთოფეთ რიგისათჳს, გვ. 49). ყულარალასის თაბუნის კაცების სამოხელო დანაშაულის გასამართლება მხოლოდ ყულარალასს შეეძლო. ყულარალასივე აწესრიგებდა ყულების დგომის საქმეს (მეჯლისში) და ქეშიკობის (ყარაულობის) რიგი და წესიც მას ეკითხებოდა.

უზბაში (თურქ. *شاهزاده* ასისტაფს ნიშნავს) სამი იყო. თითოეულ მათგანს ორმოცორომცი მეთოფე ჰყავდა ჩაბარებული. უაღრესად საინტერესოა მეთოფეთა დანაწილება

<sup>1</sup> Chardin, Le couronnement de Soliman III. შარდენის თხზულებათა ამსტერდამის 1735 წ. გამოცემის დამატება, ტ. III, გვ. 221.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 16.



მათი წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით. მაგ., უზბაშს ქავალიშვილს ქაიხოსროს ებარა ორმოცი თავადიშვილი მეთოფე, უზბაშს როსტომს ორმოცი აზნაურიშვილი მეთოფე, უზბაშს თურქისტიანიშვილს ორმოცი აზნაურიშვილი და მსახური (იქვე, გვ. 48—49). ამგვარადვე იყო განაწილებული მეთოფეთა ჯამაგირი და ულუფა (იქვე). ყველა მეთოფე საკუთარი ცხენით და თოფით უნდა გამოცხადებულყო სასახლეში: „თვით ცხენი და თოფი ყველამ მოიყვანოს და მოიტანოს“-ო (იქვე, გვ. 49). მეთოფენი მეფის მცველებად ითვლებოდნენ და, თუმცა, მეთოფეთა ინსტიტუტში რეგულარული ჯარის ერთგვარი ჩანასახი მოჩანს, მეფის როქით დაქირავებულ მეთოფეთ არავითარი სამხედრო მიზნები არა ჰქონიათ დაკისრებული, გარდა ყარაულობისა. მათი იარაღი ურჩი ფეოდალების თარეშის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მეთოფეთა გარიგების წიგნში (დასტ., გვ. 48—49) მინბაში არ მოიხსენიება, რადგან მინბაში ამ დროს ტფილისის ციხის სპარსული გარნიზონის უფროსად და ერანის მოხელედ ითვლებოდა.

§ 8. ყო რ ი ბ ა შ ი.

დასტურლამალის მიხედვით ძნელი დასადგენია ყორჩიბაშის უფლება-მოვალეობა. ჩვენს საკანონმდებლო ძეგლში მხოლოდ ყორჩიბაშისა და ყორჩების სიაა მოყვანილი, მაგრამ იქ არააფერია ნათქვამი, თუ რა მოვალეობის ასრულება უხდებოდათ ყორჩიბაშსა და მის ქვეშევრდებს ყორჩებს.

სამეფო დარბაზობის ცერემონიალში ყორჩიბაში იმასვე აკეთებენ, რასაც ყულარალასი, ე. ი. ყულებისა და ყორჩების დგომის საქმეს განაგებს (დასტ., გვ. 78) და ყულარალასივით მეფის ზედამდგომელია (თავზე მდგომი, ადიუტანტი). ეს არის და ეს. სხვა ხელშესახები ცნობები ყორჩიბაშზე დასტურლამალში არ მოიპოვება.

ვახუშტის აზრით ყორჩიბაში ძველი მსახურთუხუცესის შეცვლილი სახელია<sup>1</sup>. მისი სიტყვით „მსახურთუხუცესის წელისანი იყუნენ სალაშქრო საქურველისა და იარაღისა მსახურნი, და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი“<sup>2</sup>. ამასვე იმეორებს დასტურლამალის გამომცემელი პ. უმიკაშვილი (დასტ. ლექსიკონი). მაგრამ აკად. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც საკმაო სისრულით შეისწავლა მსახურთუხუცესის სახელისუფლო და განსაგებელი „ქარის გარიგების“ და სხვა წყაროების ცნობების ანალიზის საშუალებით დაადგინა, რომ მსახურთუხუცესის საკითხავი იყო სასახლის შინაური მეურნეობის დაწესებულებები<sup>3</sup>.

„წელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით მსახურთ-უხუცესი: „ვაზირია და მისი წელი-სა არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, ფარეშთ-უხუცესი, მენიღეთ-უხუცესი“ (ქარის გარიგება, გვ. 100—103). ვახუშტის მიხედვით ძველი მსახურთუხუცესი სამიედრო თანამდებობის ამსრულებელი მოხელეა, მაშინ, როდესაც გაერთიანებული საქართველოს ვაზირს მსახურთუხუცესს სალარო, საწოლი და სასახლის შინაური მეურნეობისათვის განკუთვნილი დაწესებულებები ე. წ. „საფარშოები“ ექვემდებარებოდა. ამიტომ ამ ხელისუფლობას „მსახურთ-უხუცესობა წელშინაური“ ეწოდებოდა.<sup>4</sup> ამგვარად, ვახუშტის ეს ცნობა შეესაბამება საჭიროებს. მიუხედავად ამისა, მსახურთუხუცესის ხელის როგორც განვითარე-

<sup>1</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 23; ქართლის საბუთებში როსტომამდე „ყორჩიბაში“ არ შეგვხვდრია, მაგრამ „ყორჩიბაშის“ თანამდებობა არსებობდა კახეთის სახელმწიფო წყობილებაში. მაგ., ალექსანდრე კახბატონის ჰყავდა ყორჩიბაში, ოქსთველის ძმა, რომელიც კონსტანტინემ მამასთან და მამასთან ერთად მოჰკლა: „მაშინ მოკლა მამა და ძმაცა თვის და რუსთველი, ყო რ ჩ ი ბ ა შ ი ც ა ძმა მი-სი“ (ანალი ქართლის ცხოვრება, აკად. ივ. ჯავახიშვილის რედ., გვ. 111).

<sup>2</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 16.

<sup>3</sup> აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგნ. II, ნაკვ. I, გვ. 132—130.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 183.

ბის, ისე დამცრობა-გადაგვარების შესასწავლად ვახუშტის განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვახუშტის ეს შეხედულება შესაძლებელია ჩვენთვის უცნობ წყაროზე იყოს დამყარებული. არც ის არის გამორიცხული, რომ მის განკარგულებაში „ველმწიფის კარის გარეგების“ მთლიანი ტექსტი ყოფილიყო და არა ნაკლულევანი, როგორადაც ქართული სახელმწიფო სამართლის ამ შესანიშნავმა ძეგლმა დღემდე მოაღწია. ამ მხრივ უპირატესობა აშკარად XVIII ს-ის ქართველი მეცნიერის მხარეზეა. საგულისხმოა ისიც, რომ ბატონი-შვილი ვახუშტი როსტომ-ხანის დროინდელ სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტების უმეტესობას „უწინდელ“ ქართულ სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებს უკავშირებს, მათ შორის მსგავსებას ნახულობს და ანალოგიებს ავლებს. სამოხელეო ისტორიის ამ ნაწილს დამახასიათებელი სათაური აქვს, სახელდობრ, „აწინდელის ხელისუფალთა შეცვლითა სახელთათვს“. ვახუშტის დასკვნებში, რასაკვირველია, ზოგიერთი საეჭვო და საკამათო მოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ ზომიერების გრძობა და მეცნიერის სიფრთხილე მკვლევარს ყველგან დაკული აქვს. მას კარგად ესმის „უზიღბაშური რიგის“ და „ოსმალური რიგის“ გავლენის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფო წყობილებაზე; კარგად ამჩნევს იმ ცვლილებას, რომელიც დროთა-განმავლობაში ამა თუ იმ „ველს“ უნდა განეცადა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლასთან ერთად და ამ ცვლილებათა გათვალისწინებით გამოსთქვამს თავის შეხედულებას როგორც ქართლის და კახეთის, ისე იმერეთის სახელმწიფო წყობილებისა და, აგრეთვე, სამცხე-საათაბაგოს, სადაც „ოსმანური რიგნი“ ვაბატონდა, პოლიტიკური მმართველობის ფორმის შესახებ<sup>1</sup>. აქ ვახუშტი გაცოლებით მადლა დგას იმ მკვლევრებზე, რომლებიც ქართულ სამოხელეო წყობილებას სპარსული ლექსიკონების საშუალებით სწავლობენ. ამგვარად, ვახუშტის მიერ ყორჩიბაშის „ველის“ მსახურთუხუცესის „ველთან“ გაიგივება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. მაინც რა მსგავსება არსებობს ამ ორ ხელისუფალს შორის? ამ საკითხის გადაწყვეტა, მასალების სიმცირისა და შეუსწავლელობის გამო, ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების წამოყენება მაინც შესაძლებელია.

ყორჩიბაში, ისევე როგორც ყულარალასი, სახელმწიფო მოხელეა, მაგრამ ამ მოხელისადმი დაქვემდებარებული ყორჩები, რომლებიც ყულებივით სასახლისა და მეფის მცველები იყვნენ, სამხედრო თვისებებთან ერთად, სასახლის შიგამდგეტა თვისებითაც იყვნენ აღჭურვილი. ამავე დროს ყორჩები სასახლის ხელშინაურ მსახურთა მოვალეობასაც ასრულებდნენ. ამ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ყორჩის გაიგივება მსახურთან, მაგ., ყალიონ-ყორჩი (ყალიონის მნე), ბაშმა-ყორჩი (ფეხსაცმლის მნე), ბოხჩა-ყორჩი (ბოხჩის მნე), ყლიჯ-ყორჩი (მეხმლე), ოხია-ყორჩი (ცხენის მნე). ვის ემორჩილებოდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ყორჩები, ამის შესახებ დასტურლამალში არავითარი ცნობა არ შენახულა. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ყორჩები ყორჩიბაშის ხელქვეითი მოხელენი ყოფილიყვნენ. ამდენად ყორჩიბაში ამგვარი კატეგორიის „ველშინაურთა“ უფროსიც უნდა ყოფილიყო.

სრულიად საქართველოს მსახურთუხუცესიც სახელმწიფო მოხელე და სასახლის შინაურ დაწესებულებათა და ხელშინაურ მსახურთა გამგებელი იყო. მაგრამ საკითხავია, რატომ უნდა ყოფილიყო „მსახურთუხუცესი ველშინაური“ სახელმწიფო მოხელე? როდის და როგორ ვახდა იგი სახელმწიფო მოხელედ? ემორჩილებოდნენ თუ არა მას ისეთი მოხელენი, რომელთაც გარკვეული სახელმწიფო მოვალეობის ასრულება ჰქონდათ დაკისრებული?

ამ რთული საკითხის გამოსარკვევად ერთი მოსაზრების წამოყენება შეიძლება: ძნელი წარმოსადგენია, რომ მსახურთუხუცესის გავაზირება, რაც რუსულად მეფის დროს მოხდა, ამ „ველის“ გართულებასთან. ან მოქმედების სარბიელის გავტრობასთან ორ ყოფილი-

<sup>1</sup> ვახუშტი, იმ. cit., გვ. 23—24.

ყო დაკავშირებული. აკად. ივ. ჯავახიშვილს, სხვათა შორის, აღნიშნული აქვს, რომ „მის (ე. ი. მსახურთუხუცესის, ვ. გ.) გავაზირების დროს შესაძლებელია რუსულანმა მას ისეთი დაწესებულება დაუქვემდებარა, რომელიც მას წინათ არ ემორჩილებოდა“-ო<sup>1</sup>. სავიზირო-ში მხოლოდ დიდი სახელმწიფო მოხელე უნდა შეეყვანათ. ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით ასეთი ხელისუფალი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო დაწესებულებების გამგებელი უნდა ყოფილიყო. ახლა გამოსარკვევია: რომელი დაწესებულება ანიჭებდა მსახურთუხუცესს სახელმწიფო კელის უფლებას? მსახურთუხუცესისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებიდან ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „საწოლი“, რომელსაც განსაკუთრებული მოხელე „მესაწოლეთუხუცესი“ (კარის გარიგება 6106, 105-106, 14306, 19335-156) განაგებდა. მსახურთუხუცესის ამ ხელქვეით მოხელეს ემორჩილებოდნენ: „მესაწოლენი“ (იქვე, 7135-136, 130 და 20411), „წინამწოლენი“ (იქვე, 7136, 2289-280), „საწოლის მეკარე“ (იქვე, 7139, 12258) და „კარის დარაჯა“ (იქვე, 7139-139). მესაწოლენი ბევრი ყოფილან. „კარის გარიგებაში“ აღნიშნულია: „შიდასი სახლი მესაწოლე არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური“-ო (კარის გარიგება, 7135-136). ამდენი მესაწოლე მარტო „ველშინაური მსახური“ ვერ იქნებოდა. უქვეელია, მათ უფრო რთული და მაღალი მოვალეობის ასრულება ჰქონდათ დაკისრებული. მეტად საყურადღებოა, რომ მესაწოლენი „შვიდასივე შუბოსანი“ ყოფილა (კარის გარიგება, 7136-127). აქედან ჩანს, რომ მესაწოლენი შეიარაღებული, ე. ი. „საჭურველისა და იარაღის მსახურნი“ იყვნენ. „კარის გარიგების“ მიხედვით მესაწოლენი მეფის საწოლი დაწესებულების მცველებად ითვლებოდნენ, ხოლო როდესაც მეფე აიყრებოდა და სადმე გაემგზავრებოდა, მოძრავ საწოლს მცველად უნდა გაყოლოდნენ (იქვე). საწოლის მეკარე და კარის დარაჯა სავაზირო დარბაზის კართან მცველად იდგნენ და დიდი დარბაზობისა და პურობის დროსაც მცველის მოვალეობას ასრულებდნენ (იქვე, 7135-137, 12258-269, 20461-162)<sup>2</sup>. მსგავს მოვალეობას ასრულებდნენ გვიანდროდღაური საქართველოს „მეთოფენი“ (იგივე ყულები და ყორჩები), როგორც მეფის პირადი ქეშიკები და ყარაულები (მცველები). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მეჯლისშიაც ამათი საკითხავი იყო დგომისა და ქეშიკობის საქმე. ამრიგად: „უწინდელ“ მესაწოლეთა ძირითადი სამოხელეო თვისება „აწინდელ“ ყორჩებსა და ყულებზე გადმოსულა. „მესაწოლე... შუბისანი“-ს მნიშვნელობით მერმინდელ „მეთოფეს“ უდრის<sup>3</sup>.

საყურადღებოა, რომ მონგოლურად „ყორჩი“ — „მოისარსა“ და „მშვილდოსანი“ ეწოდებოდა. თემუჩინის მიერ შემოღებულ საკარისკაცო თანამდებობის ამსრულებელ ყორჩებს უნდა ეტარებინათ მშვილდი და ისრები<sup>4</sup>.

ერანის სახელმწიფოში ყორჩიბაშობა უმაღლესი სამხედრო თანამდებობა იყო და იქ, ყულების ჯარის უფროსს, ყულარალას უპირდაპირდებოდა. ყორჩიბაში ყორჩების („მეთოფეთ“) სარდლად ითვლებოდა: „C'est le général des mousquetaires“ — ამბობს შარდენი<sup>5</sup>.

ამგვარი დაპირისპირება ქართველ ყულარალასსა და ყორჩიბაშს შორის, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა ყოფილიყო, პირიქით, დასტურლამალის ყულებისა და ყორჩების სიების ჩათვლიერება მოწმობს, რომ ყულები ყორჩებდაც ითვლებოდნენ, რადგან ზოგიერთი ყორჩი ყულების სიაშიც გვხვდება (დასტ., გვ. 89, 94).

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წ. II, ნაკვ. I, გვ. 163.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 185-188, 201. აკად. ივ. ჯავახიშვილს დადგენილი აქვს „მესაწოლეთა“ უფლება-მოვალეობანი.

<sup>3</sup> ამ გარემოებაზე პირველად მივივითთა პროფ. ნ. ბერძენიშვილი მ.ა. დამოუკიდებელი მოსაზრების გაზიარებისათვის 3-ლ პროფესორის მადლობას მოუხსენებთ.

<sup>4</sup> В. Бартольд, Туркстан в эпоху монгольского нашествия, ч. II, стр. 410.

<sup>5</sup> Charadin, Voyages en Perse, Paris, 1811, t. V, p. 34.

### ზოგადი დასკვნები

დარბაზის რიგის ხელისუფალთა უფლება-მოვალეობის შესწავლიდან ირკვევა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო და სადარბაზოსკარო თანამდებობასთან ერთად მეფის საკუთარი მოხელის მოვალეობასაც ასრულებს. მეფის საკუთარი მოხელის მოქმედების საარბიელი კერძო სამართლის დარგით განისაზღვრება, მაგრამ მაღალი რანგის იგივე ხელისუფალი მეტ-ნაკლებად სახელმწიფო „ჯელის“ თვისების მატარებელიცაა.

დასტურლამალში წარმოდგენილი ზოგიერთი ხელისუფლის სახელო მარტივი აგებულებისაა. სახელმწიფო ხელი კი რთული და მრავალმხრივია.

დასტურლამალით გათვალისწინებული სახელოების უმრავლესობა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის ხანაში უნდა შექმნილიყო, როცა საქართველოს ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო სამართლის საფუძვლები ძირიანად შეირყა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა თავადურ-ბატონყმური წყობის შესაბამისად ჩამოყალიბდა.

სრულიადი საქართველოს დაცემას თან გადაჰყვა მისი შესაბამისი სახელმწიფო წყობილება, რომლის იურიდიულ გამოხატულებას „გარიგება ჯელმწიფის კარისა“ წარმოადგენს. ქართული სახელმწიფო სამართლის ამ ძეგლს ნაკლებად ეტყობა კერძო სამართლის გავლენა. იქ წარმოდგენილი თითოეული ხელისუფალი რთული და მრავალმხრივი ხელის მატარებელია. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებად დაშლის პარალელურად მიმდინარეობს ამ ხელისუფალთა თანდათანობითი გადაგვარება, დამცრობა და გაქრობა.

პოლიტიკური მმართველობის ახალ ფორმას, — რომელიც XVI ს-ში ყალიბდება და თავადურ-ბატონყმური წყობისათვის არის დამახასიათებელი, — ბუნებრივია, პოლიტიკურად და ტერიტორიულად შემცირებულ სამეფოს ჩარჩოში, შედარებით მარტივი სამოხელეო ორგანიზაცია უნდა შეექმნა. სწორედ ამ ხანებში აღწევს მეფის ხელისუფლება უკიდურეს დაკნინებას. დარბაზს მყოფ მოხელეთა აღზევება მეფის ხელისუფლების სიძლიერეზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ქართული ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად, რაც სოციალური დაძაბულობის ზრდას და ბატონყმური ექსპლოატაციის გამძაფრებას იწვევს, სახელმწიფოს მნიშვნელობაც იზრდება. ამდენად სახელმწიფო „ჯელი“-ც რთულდება და მრავალმხრივ თვისებებს იძენს.

დარბაზის რიგის მაღალი რანგის ხელისუფალი ერთდროულად მსხვილი ფეოდალიც იყო. ამ ხელის მქონებელი უფრო ხშირად დიდებული თავადები იყვნენ, რომელთა ძალა ფეოდალური „სახლისა“ და „ქვეყნის“ უფროსობაზე იყო დამყარებული. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალის აღზევებისათვის „სახლოს“ ქონებასაც. „სახლის“ უფროსობა და „ჯელის“ მფლობელობა უმნიშვნელოვანესი პირობათაგანი იყო ფეოდალის წარმატებისათვის. აღსანიშნავია, რომ „დიდებული“ გვიანფეოდალურ საქართველოშიც თანამდებობის გამოხატველი ტერმინი იყო. მაგრამ „დიდებულ თავადებად“ იწოდებიან მხოლოდ ფეოდალური „სახლის“ უფროსნი და „ქვეყნის“ გამგენი. „თავადი“ თავის ქვეყანაში ნახევარ „ხელმწიფედ“ იჯდა. დაკანონებული სამართლის ნორმა ხშირად ირღვეოდა დიდ ფეოდალთა თვითნებობის გამო. ამიტომ დაწერილი სამართლის ნორმების შესწავლა ქართული ფეოდალური სინამდვილის გარეშე — ცალმხრივი და ისტორიულ სიმართლეს მოკლებული გამოვიდოდა.

რიგი საბუთებით მტკიცდება, რომ დიდი ფეოდალები მტრულად ხედებოდნენ მეფის მოხელეებს. არც ისე იშვიათად „თავადის“ ქვეყანაში „სახელმწიფო ხელი არა შევიდოდა“. ერთი თანამედროვე მწერლის ცნობით „თვის-თვისად უფლობდნ ქართლის თავადნი“ და „მეფეს თავს არ უღებდნ“. მეფისა და ეკლესიის მოხელეთა მოქმედების საარბიელი მტკიცედ იყო განსაზღვრული და განწესებული (Акты, т. I, стр. 44 — 45). დიდი

ქართველი ფეოდალები სარგებლობდნენ ზოგიერთი ადმინისტრაციული და სასამართლო პრეროგატივით. ეს უფლებები მათ მეფის ხელისუფლებასთან ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოიპოვეს. მათ ჰყავდათ საკუთარი მოხელენი: კარის გამგენი და საქვეყნოდ გამგენი; იგივე სახლთუხუცესები, ემიკალასბაშები, მდივან-მწიგნობრები, მოურავები, მამასახლისები და სხვა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, აგრეთვე, ქართლის სამეფოს პოლიტიკური დამოკიდებულება ერანზე. „გურჯისტანის ვალი“ (ქართლის მეფე) ერანის შაჰის მოხელედ, მის „მოჯამაგირედ“ ითვლებოდა. ზოგჯერ თითონ ერანის შაჰი უგზავნიდა ქართველ ფეოდალებს სახელოს წყალობისა და ჯამაგირის წიგნის რაყამს. ქართლის მეფის ხელისუფლება ამ მხრივაც შეზღუდვილი იყო.

მეფის პოლიტიკას განსაზღვრავდნენ დარბაზისლები (საერო და საეკლესიო დიდი ფეოდალები)—დარბაზის რიგის მაღალი ხელისუფლები და „ქვეყნის“ გამგენი.

ამრიგად, გვიანფეოდალური საქართველოს სამოხელეო წყობილება აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ფეოდალური საზოგადოების სახელმწიფოებრივი არსებობისათვის. ქართლის სამეფოს „ბიუროკრატია“ მოეპოვებოდა ყველა ის ელემენტი, რომელიც აუცილებელი იყო გაბატონებული კლასის ინტერესების გასატარებლად, წესრიგის დასამყარებლად, ქვეყნისა და ბატონყმობის რიგის დასაცავად.

ამიტომ თითოეული ხელი ქართულ ფეოდალურ სინამდვილესთან იყო შეგუებული. ამდენად სპარსული სამოხელეო სახელები ქართლისა და ერანის სახელმწიფო წესწყობილების მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზე მიგვითითებენ. ერანული წესები უფრო სასახლის ეტიკეტს ეტყობა. ეს კარგად ესმოდათ თანამედროვე მწერლებსაც, რომელთაც ის ხანა, ჩვენი კვლევის საგანს რომ შეადგენს, „ქართველობის“ ხანად აქვთ გამოცხადებული.

XVII ს-ში „ყიზილბაშური რიგის“ გავრცელებას არ გამოუწვევია „ქართული წესის“ მოშლა. მართალია, როსტომ ხანმა ფართო გზა გაუხსნა „ყიზილბაშურ რიგს“, მაგრამ „პარცა მოშალნა ქართულნი“. „ქართველობის“ დამცველნი მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ „რომელნიმე შეშლილნი ქართულნი წესნი კვალსავე თვისსა მოეგოთ“. სპარსულ-თურქული წარმოშობის სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტები საქართველოში ქართულ სოციალურ-ეკონომიურ წყობისათვის დამახასიათებელ თვისებებს იძენდნენ, ანდა ახალ სამოხელეო სახელს ქვეშ დამცრობილ-გადაგვარებული ძველი სახელოების ნიშანდობლივ თვისებებს ინარჩუნებდნენ.

ჩვენი კვლევის საგანი, —სასახლის ადმინისტრაცია, —რომელიც ფეოდალური სახელმწიფოს ამოსავალ წყაროდ ითვლება, ქართლის სამეფოში, როგორც დავინახეთ, საკმაოდ კარგად იყო ჩამოყალიბებული. მაგრამ ამ ადმინისტრაციის განვითარებას, მისი უფლებების გაზრდას და მოქმედების ასპარეზის გაფართოებას წინ ელობებოდა თავადურ-ბატონყმური წყობილება. „თავადი“ მეფესა და ქვეშევრდომს შორის კედლად იყო ამართული (ნ. ბერძენიშვილი).

როდესაც XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეფას ხელისუფლება იმდენად მომტკიცდა, რომ „თავადის“ ხელმწიფობის ალაგმვა რამდენადმე მოხერხდა და უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული ღონისძიებები განხორციელდა (საეროსთაობების გაუქმება, მორიგე ჯარი, სასამართლო რეფორმა, ადგილობრივი მართვა-გამგეობის შესახები დებულებები, ხალხის აღწერის მოწესრიგება) აღმ. საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა. მოხელეების უფლება-მოვალეობანი მკაფიოდ ჩამოიკვეთა. გაჩნდა ახალი სახელოები და უწყებები. ქვეშევრდომი უშუალოდ მეფეს დაუკავშირდა (ნ. ბერძენიშვილი).

ამ რეფორმების სულისჩამდგმელი ერეკლე II მისწრაფოდა დარბაზის რიგის დასაქვეყნო მართვა-გამგეობის ადმინისტრაცია განმეტკიცებია და მკვიდრ ნიადაგზე დაემყარებია. საქართველოს სახელმწიფო გონება ახალ გზებს ეძებდა საკანონმდებლო შემოქმე-

დებისა და სახელმწიფო მშენებლობისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს კვლევის ცალკე საგანს შეადგენს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს რომ დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით ჩვენს წერილში სრულად არაა წარმოდგენილი და, რასაკვირველია, სამოხელეო წყობილების ამ დარგის არც სრული სურათია აღდგენილი. გამოტოვებულია დასტურლამალით გათვალისწინებული სამეფო კარის შემდეგი მოხელენი: სუფრაჯი, ფარეშთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, მეჯინებთუხუცესი, ფეშქაშნავისი, სარქარბაში და ამათი ქვეშეთი მოხელენი. სამაგიეროდ განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს სახელმწიფო მოხელეებს და იმ ხელისუფალთ, რომელთაც მეფის „კერძო“ მოხელის მოვალეობასთან ერთად სახელმწიფო მოხელის მოვალეობის ასრულებაც უხდებოდათ.

## შემოკლებათა სია

- დასტურლამალი=დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, გამოც. პ. უმიკაშვილის მიერ, ტფ. 1886.
- აღწერა=ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.
- სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება“ და პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი ანუ მცირე ქართლის ცხოვრება“—ციტირებულია დ. ჩუბინაშვილის მიერ 1854 წ. გამოც. „ქართლის ცხოვრების“ II ნაწ. მიხედვით.
- ქრონიკები=ქრონიკები და ძხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, გამოც. თ. ყორღანდანიას მიერ, წიგნი II, ტფ. 1897.
- საქ. სიძვ. II და III=საქართველოს სიძველენი, საქ. საისტ. და საეთნ. საზ.-ბის გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ო. II, ტფ. 1909 და ტ. III, 1910.
- დას. საქ. საეკლ. საბ.=დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, წიგნი I, ტფ. 1921.
- ისტ. საბ.=ისტორიული საბუთები, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, წიგნი III, IV და V.
- ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა=აკად. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლ. წიგნი I—ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). ტფილისი 1916.

## ბ. ჯიძია

### ცნობა დიდი მოზარდის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსკალეთში \*

XVII საუკუნის პირველი ნახევრის დიდი სახელმწიფო მოღვაწის გ. სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ჯერჯერობით რიგიანად შესწავლილი არ არის. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას გ. სააკაძის პოლიტიკური მოღვაწეობის იმ პერიოდის შესახებ, როდესაც მას საქართველოს ფარგლებს გარეშე უზღებოდა ცხოვრება, სპარსეთსა და ოსმალეთში. ამ ქვეყნებშიაც გ. სააკაძე ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ისეთი დიდი დიპლომატიის სახელმწიფო კაცი იყო, რომ ის მისი თანამედროვე საზოგადოების შეუხედელებელი ყურადღებისა და ისტორიკოსთა საინტერესო მსჯელობის საგნად იქცა. ქართველი ისტორიკოსების გარდა, გ. სააკაძის პიროვნებას, როგორც ცნობილია, არა ერთი აღმოსავლელი და დასავლელი ისტორიკოსი და მემბრანე ეხებოდა. კერძოდ, XVII საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურაში ჩვენ გავიჭირდება დავასახელოთ ისეთი ძეგლი, რომელშიაც გ. სააკაძეს, როგორც ეპოქის თვალსაჩინო კაცს, სათანადო ადგილი არ ჰქონდეს მიჩნეული. გ. სააკაძის შესახებ ამ უცხო წყაროებში დაცული მასალების გაუთვალისწინებლად, რა თქმა უნდა, გ. სააკაძის დიდი ქართული პატრიოტიზმისა და მისი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირობის შესახებ ჩვენში გამომუშავებული, შესაძლებელია სავსებით სამართლიანი, შეხედულება არ შეიძლება სრული და ყველას მიერ ეჭვმიუტანლად გასაზიარებელი იყოს. გ. სააკაძის პიროვნების შესწავლის ამ ეტაპზე საჭიროა ქართულ მასალებთან ერთად, აგრეთვე უცხოური მასალების შეკრება და სისტემაში მოყვანა, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს სპეციალისტებს ყველა ამ მონაცემის საფუძველზე საკითხი მონოგრაფიულად, ამომწურავად დაამუშაონ, რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს გ. სააკაძის შესახებ არსებული დასკვნები.

საკითხის ამ მიმართულებით წარმართვას რომ ოდნავად მაინც შევეწყობო ხელი, ჩვენ ქვემოთ ვაქვეყნებთ ცნობილი თურქი ისტორიკოსის ნაყნ მ. მ. ს. „ისტორიაში“ მოცემულ

\* ამ ცნობის გამოქვეყნებასთან დაყვანილობით რედაქციას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებით აღნიშნოს ფართო მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ (სპეციალისტებს ასეთი რამ თვით უკეთ მოეხსენებათ): ისტორიული მეცნიერება მოვალეა ყოველგვარი ისტორიული ცნობა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გამოავლინოს და შეუფერავდ და გამოაქვეყნოს. თითოეული ცნობა მეცნიერული ცოდნის მასალაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველგვარი ცნობა თანაბარი ნდობის ღირსია, თანაბრად მართალია. ჩვენი ისტორიული მეცნიერება ყველა ამ ცნობათა მარქსისტულ-კრიტიკული შესწავლით დაადგენს ხოლმე ერთადერთ კეშმარტს, რომელიც, შესაძლებელია, არც ერთ ამ წყაროთაგანს მთლიანად არ ემთხვეოდეს. ცნობები გ. სააკაძის შესახებ მრავალნაირი მოიპოვება უცხოურსა თუ ქართულ მწერლობაში, ზეპირსიტყვაობაში. ეს ცნობები ზმირად ერთი-მეორის საწინააღმდეგო ხასიათისაა, ზოგი უფრო, ზოგი ნაკლებად სანდოა. მაგრამ ამ დიდი ისტორიული პიროვნების შესახებ მეცნიერული ცოდნის დასადგენად ყველა ისინი, რ. გ. ო. რ. ც. მ. ა. ს. ა. ლ. ა. საჭიროა. რედაქცია.

ცნობებს გ. სააკაძის კონის პროვინციის მმართველად დანიშნისა და მისი სიკვდილით დასჯის შესახებ. გ. სააკაძის შესახებ ნაყნმანს სხვა ცნობები ჩვენ აქ არ მოგვყავს, რადგანაც ისინი გადმოღებულია ი. ფეჩევის თხზულებიდან, ხოლო ამ უკანასკნელიდან ამოკრფილი საქართველოს, კერძოდ გ. სააკაძის შესახები მასალები ქართულად უკვე ნათარგმნია და დაბეჭდილი<sup>1</sup>.

მუსტაფა ნაყნმანს (1655—1716) „ისტორია“ (تاریخ نجف) შეიცავს „ამბებს“ 1591 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1659 წლამდე. სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნისას ნაყნმანს თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და დაკვირვებულმა მწერალმა, რისთვისაც იგი დანიშნულ იქნა ოფიციალურ ჟამთააღმწერლად. თავის ისტორიას მან საფუძვლად დაუდო მისი წინამორბედი ისტორიკოსების: ჰუსეინ ვეჯიჰის, ქაშიბ ჩელეებისა და სხვათა თხზულებანი. ნაყნმანს „ისტორია“ ოსმალეთის ისტორიის მკვლევართათვის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ არის მიჩნეული, მას ახასიათებს სადა, დახვეწილი სტილი, ცოცხალი სახეები და დიდი ოსტატობა მსჯელობის დროს, რაც მის ისედაც საყურადღებო თხზულებას დიდ ღირსებას ჰმატებს და მტკიცე ადგილს უთმობს მას თურქულ ისტორიოგრაფიულ ძეგლთა შორის. ნაყნმანს „ისტორიის“ ხელნაწერი ნუსხები საქმიოდ ბევრია, ხოლო ავტოგრაფი სტამბოლში, ე. წ. თოფ-კაფის სასახლის წიგნთსაცავში ინახება. ნაყნმანს ისტორია ოთხჯერ გამოიცა სტამბოლში; პირველად 2 ტომად, შემდეგ ექვს-ექვს ტომად<sup>2</sup>.

ქვემოთ მოყვანილ ორი ცნობისაგან პირველი („მოურავ-ბეგის თავგადასავალი კონიის მოსახლეობასთან“) გადმოთარგმნილია დაბეჭდილი „ისტორიის“ მესამე ტომიდან (გვ. 4—6), ხოლო მეორე — („ხუსრევ-ფაშას მიერ მუხანათურად მოკვლა მოურავისა“) ჩვენ ვთარგმნეთ სტამბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ნაყნმანს „ისტორიის“ ხელნაწერი ნუსხიდან (ხელნაწერი № 2323/59), ამავე მესამე ტომში დაბეჭდილ სათანადო ადგილთან (გვ. 6—7) შედარების შემდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, დიდი მოურავის მოღვაწეობის შესწავლაზე მომუშავე სპეციალისტებს ამ ცნობების კრიტიკული გამოყენება ერთგვარ დახმარებას გაუწევს, განსაკუთრებით მოურავის მოკვლის მიზეზების გარკვევაში, რაც ჩვენს საწყაროთმცოდნეო ლიტერატურაში სულ არაა ცნობილი, ან უმართებულოდაა გაშუქებული. ცნობებში სხვაც ბევრი რამ არის საგულისხმო. აღსანიშნავია, რომ თურქი ისტორიკოსები ერთხმად დიდ ბოროტებად სთვლიან მოურავის მოკვლას და მის მკვლელს ხუსრევ-ფაშას მოსისხარკაცს ეძახიან, რომელმაც ამ საზიზლარი აქტით ოსმალეთის დაუძინებელ მტერს შაჰ-ყაბზანს შერი აძიებინა მოურავზეო.

<sup>1</sup> იხ. „ი. ფეჩევი საქართველოს შესახებ“, ენიშკი-ს მოამბე, ტ. V—VI, გვ. 370—389.

<sup>2</sup> ნაყნმანს შესახებ იხ. EI, III, გვ. 906, GOW, გვ. 245, აგრეთვე პროფ. محمد قلی کورپیلی-ის სტატია ვახ. جمهریت-ში, № 1268, 1928 წ.



მოურავ-ბეგის<sup>2</sup> თავგადასავალი კონიის<sup>3</sup> მოსახლეობასთან

ისტორიკოსი<sup>4</sup> მოგვითხრობს, რომ უკვე იყო ლაპარაკი საქართველოს სანჯაყის<sup>5</sup> ემირის<sup>6</sup> მოურავ-ბეგის ყარჩილა-ხანთან<sup>7</sup> შებრძოლებისა და მისი იმ გმირობის შესახებ, რომელიც მან რამდენიმე ათასი ყიზილბაშის გაყლექაში გამოიჩინა. არზრუმში გალაშქრების წელს მოურავმა სარდალს მორჩილება გამოუცხადა და არზრუმის დაპყრობასაც და-

<sup>1</sup> ნ ა ხ რ მ ა ს „ამბები“ დალაგებული აქვს ქრონოლოგიურად, წლების მიხედვით. 1039 წლის ქვეშ მოთავსებულ პირველ თავს იწყებს ცნობით შმა-ყაბბასის სიკვდილის შესახებ, ხოლო მეორე თავად წარმოდგენილი აქვს აქვე მოყვანილი ცნობა მოურავის შესახებ. ჰიჯრის 1039 წელი ჩვენი წელთაღრიცხვის 1629 წელს ბედება.

<sup>2</sup> დიდი მოურავი თურქულ საისტორიო მწერლობაში სხვადასხვა ტიტულით იხსენიება: მელიქ-მოურავი, მოურავ-ხანი, ემირი, მოურავ-ბეგი (იხ. ამის შესახებ აგრეთვე ჩვენი „იბრანში ფეჩენე საქართველოს შესახებ“—ენიმე-ის მოამბე, ტ. V—VI, გვ. 384). მ. სურეჰანს მიერ შედგენილ ოსმალეთის დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მოურავი ფაშად იხსენიება. ჩვენ აქვე მოგვყავს ამ წიგნიდან მოკლე ცნობა მოურავის შესახებ: „მეჰმედ-ფაშა. მოურავი (محمد ساشا آغرا) — ქართველია. ირანელბთან ომებში გმირობა გამოიჩინა. არზრუმის ლაშქრობაში სარდალთან (ოსმალთა ჯარის სარდალთან, ს. ჯ.) მოვიდა, მორჩილება გამოუცხადა და შეუერთდა მას. სტამბოლს გაიგზავნა, სადაც ის მოიქცა და მეჰმედი დაერქვა. მიენიჭა კაფუჯი-ბაშის წოდება (კაფუჯი-ბაში — საპატიო ტიტულია, რომელიც დამსახურებულ სახელმწიფო მოღვაწეთ ენიჭებოდათ, შდრ. ყაფუჯი-ბაში ებოძა, მით ექო ჩვენი ცნებანი“, იოსებ ტფილელი, დიდ-მოურავიანი, გ. ლენინის რედაქციით, (თბ. 1939, გვ. 57<sup>166</sup>, ს. ჯ.) და გემუზავრა სამეფო ჯარში. იქიდან გახდა კონიის ბეგლარ-ბეგი. გარდაცვაალა შეილთან ერთად 1038 წ. საშუალო ტანისა, თეთრწყვეროსანი, მეტად გულოვანი კაცი იყო“ (გარდაცვალების დროდ 1038 წლის ჩვენება კალმის შეცდომა უნდა იყოს). (იხ. *محمد شمس — ساجل عثمانی یا خود تذکر مشاهیر عثمانیه*, ტ. IV, გვ. 153).

<sup>3</sup> კონიის შესახებ იხ. ქვემოთ, შენიშვნა 10.

<sup>4</sup> ჩვენ ხემათ აღვნიშნეთ, რომ ნაენმ მასზე ადრინდელი წყაროებით სარგებლობს. ამ შემთხვევაში არა აქვს აღნიშნული, თუ რომელი ისტორიკოსის თხზულება გამოიყენა ამ ცნობისათვის. ყოველ შემთხვევაში ეს ცნობა ქანთიბ ჩელების არ ეკუთვნის, რადგანაც ქანთიბ ჩელები აქვე მოყვანილი მეორე ცნობის წყაროდ არის დასახელებული (იხ. აქვე გვ. 210). გარდა ამისა, ამ ორ ცნობაში ადვილად შეინიშნება გამეორებები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ორთავე ცნობისათვის სხვადასხვა წყაროა გამოყენებული. თბილისში სათანადო ლიტერატურის უქონლობის გამო ჩვენ ამჟამად ვერ დავადვირეთ აქ მოხსენებული „ისტორიკოსის“ ვინაობა.

<sup>5</sup> სანჯაყი (თურქ. sancak 'დროშა', sancaklık 'სადროშო')—ადმინისტრაციული ერთეული ძველ ოსმალეთში, ვილადეთი 3—5 სანჯაყისაგან შედგებოდა. აქ, ალბათ, „საქართველოს სანჯაყად“ იგულისხმება საქართველოს ის ნაწილი—ქართლი, სადაც დიდი მოურავი მოღვაწეობდა.

<sup>6</sup> ემირი (არაბ.-თურქ. أمير)—ქვეყნის სათავეში მყოფი, ხელისუფალი, მბრძანებელი.

<sup>7</sup> ყარჩილა-ხანი—შმა-ყაბბასის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ყიზილბაშთა ლაშქრის სარდალი.

ესწრო<sup>8</sup>. როცა [მოურავი] სტამბოლს ჩამოვიდა<sup>9</sup>, ოსმანიანთა დინასტიის წინაშე მას დიდ დამსახურებად ჩაეთვალა ყიზილბაშის განადგურება, მაჰმადიანობა მიიღო, სახელად მეჰმედი დაერქვა და, სათანადო პატივის მიგების შემდეგ, მას ებოძა ყარაშანის ვილაჟეთი<sup>10</sup>. მოურავი ჰეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟაკი და დევისლონე იყო, მაგრამ მართვა-გამგეობის საქმეებში უმეცარი და, ბუნებრივია, მიდრეკილებას იჩენდა მზავრელობისა და ძალმომრეობისადმი. ამ დროს ერთმა გონება-მახვილმა ლექსი გამოუთქვა, რომელშიაც პირველი პირით გადმოცემულია მოურავის [ერთ-ერთი] ინტიმური საუბარი. [სხვათა შორის მელექსემ ამ ლექსით] გამოამჟღავნა შური და შეურაცხყოფილობა მათი, ვინც გულგრილად ვერ უყურებდა მოურავისათვის ვილაჟეთის ბოძებას.

ლექსი<sup>11</sup>

[თარგმანი]<sup>11</sup>

میشکم باده میخورم به سلا  
 هیثم شدازان سبب چون کاو  
 من نه کبرم نه مسلم نه جواد  
 میر میران قرمان ماغراو

ვსვამ ღვინოს, ვკამ ფლავს,  
 ამის გამო მე ჩემის გარეგნობით ხარს დავემსგავსე<sup>12</sup>  
 მე არც ცეცხლთაყვანისმცემელი ვარ, არც მუსლიმი,  
 არც იუდეველი  
 მირ-მირანი<sup>13</sup> ვარ ყარაშანისა—მოურავი

<sup>8</sup> აჯანყებულ აბაზა-ფაშას წინააღმდეგ არზრუმში გალაშქრება ორჯერ მოხდა. ერთი დიდ-ვეზირ ხალღლ-ფაშას სარდლობით (ხალღლ-ფაშა მეორეჯერ დიდ-ვეზირად 1626 წ. დეკემბერში იქნა დანიშნული). ეს გალაშქრება უშედეგოდ დამთავრდა და 1627 წ. 25-XI-ს ხალღლ-ფაშა უკან დაბრუნდა. მეორე გალაშქრება არზრუმს ხუსრევ-ფაშას სარდლობის დროს მოხდა (ხუსრევ-ფაშა დიდ-ვეზირად 1628 წ. ივნისში დანიშნა) და მეორეჯერ არზრუმს ალყა 1628 წელს 5.IX-ს შემოარტყეს, რომლის შედეგადაც აბაზა-ფაშა დანებდა. მოურავს ორსავე ამ ლაშქრობაში თვალსაჩინო მონაწილეობა მიუღია (იხ. Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, ტ. III, გვ. 63—66). მოურავი ოსმალეთში გადასულა არზრუმში პირველი გალაშქრების წელს, ე. ი. 1627 წლის; დაახლოებით, ზაფხულში, ხალღლ-ფაშას დიდ-ვეზირად და სარდლად ყოფნის დროს, როგორც ეს აქ მოყვანილ მეორე ცნობაშია აღნიშნული („მოვიდა სარდალ ხალღლ-ფაშასთან“, იხ. აქვე, გვ. 210).

<sup>9</sup> მოურავის სტამბოლს ჩასვლა არზრუმში მეორე გალაშქრების შემდეგ, ე. ი. 1628 წლის ოქტომბერ-ნოემბერში უნდა ვივარაუდოთ.

<sup>10</sup> ყარაშანის ვილაჟეთი (თ. قرمان ولایتی) იგივეა, რაც კონიის ვილაჟეთი. თურქულ საისტორიო მწერლობაში კონიის ვილაჟეთი დღემდე ყარაშანის ვილაჟეთის სახელით იყო ცნობილი. საქმე იმაშია, რომ სელჯუკიანი თურქების დამარცხების ნანგრევებზე აღმოცენებულ ფეოდალურ სამთავროთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ყარაშანიანთა დინასტიის სამთავროს ეჭირა, რომელიც ცენტრალური ანატოლიის სამხრეთ ნაწილში, თანამედროვე თურქეთის კონიის ვილაჟეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ სამთავროს ეწოდა დინასტიის დამაარსებლის, ძლიერი ფეოდალის ყარაშანის სახელი, ხოლო სამთავროს დინასტიის გამგრძელებელნი ყარაშანის ძეთა (თ. Karaman oğulları) სახელით იყვნენ ცნობილნი. სამთავროს პოლიტიკური ცენტრი უმთავრესად ქალაქი ლარანდა იყო, თუმცა ერთ დროს ყარაშანიანნი კონიაშიც ისხნენ. შემდეგში, როდესაც XV საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალებმა დაიმორჩილეს ყარაშანიანნი და მათი სამთავრო საბოლოოდ შეუერთეს ოსმალეთს, ლარანდას ყარაშანი ეწოდა, ხოლო ყარაშანიანთა ჰეყყანას Karaman eli და კონიის ვილაჟეთი ყარაშანის ვილაჟეთად იხსენიებოდა.

დღევანდელ თურქეთში ყარაშანი, ე. ი. ძველი ლარანდა, კონიის ვილაჟეთში შემაგალი სამხრო ქალაქია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ვილაჟეთის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულის კაზანს (არ. თ. kazân) ცენტრი, კონიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 57 კილომეტრის მანძილზე მდებარე.

კონია, ძველი იკონიუმი, ცენტრალური ანატოლიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქთაგანია, სტამბოლიდან დაახლოებით 450 კილომეტრის მანძილზე. სელჯუკიანთა სახელმწიფოს ყოფილი მთავარ ქალაქი კონია—დღევანდელ თურქეთში ამავე სახელწოდების ვილაჟეთის ცენტრია. კონიის ვილაჟეთი, რომელსაც ნაჰრმუ ყარაშანის ვილაჟეთად იხსენიებს და რომელიც ხონთქარაბა დიდ მოურავს უბოძა სამმართველოდ, ტერიტორიულად უდიდესი პროვინცია იყო ოსმალეთის იმპერიაში. მისი სახელგამთავარ მხელთაშუა ზღვის სანაპიროდან იწყებოდა და ცენტრალურ ანატოლიამდე აღწევდა (قاموس، ტ. V, გვ. 3644—45, 3781. El, ტ. II, გვ. 797, 1137).

<sup>11</sup> ლექსი სპარსულ ენაზე დაწერილი, თარგმანს რედაქცია დოც. ვლ. ფუთურძემ გაუკეთა.

<sup>12</sup> ჰამერი ამბობს, რომ მოურავს თავისი არაჩვეულებრივი ღონიერი აგებულების გამო მეტსახელად ხარს ეძახდნენ: «Maghrav war ein Greis von mittlerem Wuchse, aber ungemein starkem Körperbau, so dass man ihn gewöhnlich nicht anders, als den Stier hiess» (იხ. Geschichte... ტ. III, გვ. 81). უკეთუ ჰამერს სხვა წყარო არა აქვს და მხოლოდ ამ ლექსზე დაყრდნობით ამბობს ამას, მაშინ მის სისწორეში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ; მელექსეს აქ სიტყვა „ხარი“ შეიძლება რითმისთვის ამბობდა და არა იმიტომ, რომ აესაზა ხალხში გავრცელებული რომელიმე დახასიათება მოურავისა.

<sup>13</sup> მირ-მირანი—(არაბ.-სპ. میر میران) მნიშვნელობით იგივეა, რაც ბეგლარ-ბეგი.

მან [მოურავმა] ერთი მისი ხელქვეითი ვინმე უსამართლო ხუცესი მუთესეღლიმად<sup>14</sup> დააყენა და აზნაურთა ერთი ჯგუფით კონიაში გააგზავნა. მისი ხელქვეითები, მომეტებულად, სპარსულ ყაიდაზე ფერად მანდილს იხვევდნენ თავზე. ოსმალურ ზნე-ჩვეულებათა უცოდინარი ქართველთა ეს ბრბო დაესია ხალხს და იწყო ქონების დატაცება და დიდ-კაცთა შეპირება. ზოგჯერ ქალიშვილს თმას გადაპარსავდნენ, უწვევრ-ულვაშო ვაჭივით შესვამდნენ ცხენზე და ასე დაატარებდნენ. მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. იყო ვინმე ქალაქ კონიის შეუპოვართა და დაუცხრომელთა სათავეში მყოფი იბრაჰიმ ჩელები, რომელსაც [მეტსახელად] აკაშ ემირ-ოღლუს ეძახდნენ. იგი, ცნობილი თავისი ბრახიანობითა და კანდიერებით, კეთილ სეჰიდთაგანი<sup>15</sup> იყო და ნაკიბის<sup>16</sup> მოადგილის თანამდებობა ეჭირა. და როცა [მოურავის მიერ დანიშნული] მუთესეღლიმი კონიის ველზე იყო დაბანაკებული, მან (იბრაჰიმ ჩელები) შეკრიბა მუსლიმთა ბრბო, მოიკრიბა ძალ-ღონე და თავს დაესხა ქართველთა ბანაკს. ამ სეჰიდმა იბრაჰიმმა მუთესეღლიმს წაავლო ხელი კისერში, გარეთ გამოავლო, წაიყვანა და კონიის ციხეში დაამწყვდია. სხვა ქართველებმა ეს ამბავი რომ ნახეს, დაიფანტნენ. შემდეგ, როცა [ქართველებს] ეს ზიანი მიაყენეს სეჰიდ იბრაჰიმის რჩევით კონიის მცხოვრებლები შეიკრიბნენ და მოურავ-ბეგის ხელქვეით ქართველთა და მუთესეღლიმის მიერ ჩადენილი უსამართლობა, სიმკაცრე, ქალაქში მომხდარი გაუპატიურებანი და ძალმომრიგობანი გაასაჩივრეს. ვილნაჟეთის ყანდისაგან<sup>17</sup> მიიღეს მათი საჩივრის შემცველი თხოვნა და სეჰიდებისა, ყულემნთა<sup>18</sup> და სხვა შეპირებულითა წარმომადგენელთაგან შემდგარი მომჩივანთა მთელი ჯგუფი პირდაპირ დიდ-ვეზირ<sup>19</sup> ხუსრევ-ფაშასთან გაემგზავრა. [დიდ-ვეზირს] პეტიცია გადასცეს და კენესითა და ოჯრით შესჩივლეს. [ამრიგად] სარდალმა [დიდმა-ვეზირმა] პეტიციაში აწერილ მიმძლავრებასთან დაკავშირებული ამბები და მომჩივანთა მიერ მოთხოვნილ ქართველთაგან ჩადენილ უმსგავსოებათა და უწესოებათა შესახებ ყველაფერი გაიგო. მართლაც, ბევრი უსამართლობა და სიავე, რომელზედაც ხმები დადიოდა, დადასტურდა. მოურავს შეეშინდა და გაიქცა. მის დასადევნად მავ მხარეში გაიგზავნა ანატოლიის ბეგლარ-ბეგი, რომელიც ხსენებული<sup>20</sup>

<sup>14</sup> მუთესეღლიმი (არაბ. متهدي) — ძველ ოსმალეთში ვილნაჟეთის მმართველის — ვანდის მოადგილე, საერთოდ ადმინისტრაციული მოხელე, რომელსაც პოლიტიკურის გარდა ეკონომიური ფუნქციებიც ჰქონდა დაკისრებული. მუთესეღლიმი ხელმძღვანელობდა; მაგალითად, გადასახადთა განაწილებასა და შეგროვებასაც პროვინციებში.

<sup>15</sup> სეჰიდი (არაბ. شهيد — მრავლ. شهادت) — წინასწარმეტყველის ჩამომავალი, მოსახლეობის ყველაზე მოწინავე და საპატიო პირი.

<sup>16</sup> ნაკიბი (არაბ. نقيب) — ტომის სათავეში მყოფი, წინამძღვარი, (აქ) წინასწარმეტყველის ჩამომავალთა — სეჰიდების — მეთაური, საერთოდ უხუცესი დერვიში, რომელიც შეჯხს შეცვლის ხოლმე ლოცვის დროს.

<sup>17</sup> ყანდი (არაბ. قاضي) — სასულიერო მოსამართლე.

<sup>18</sup> ყულემნ (არაბ. مرامل. علماء, მხ. علم) — მაჰმადიანთა მეცნიერები, განსაკუთრებით სარწმუნოებრივ იურისპრუდენციაში განსწავლულნი.

<sup>19</sup> დიდ-ვეზირს ოსმალურად اعظم وزير-ს, ან უფრო اعظم صدر-ს ეძახიან (vezir-i Azam, sadr-i Azam, არაბული, მაგრამ სპარსულ ყაიდაზე დალაგებული სიტყვები). ქართულ წყაროებში ახამ ვეზირის (ვარიანტი ახან ვეზირი) სახით გვხვდება (იხ. ე გ ნ ა ტ ა შ ე ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, გვ. 162; ი. ტ ფ ი ლ ე ლ ი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, გვ. 61 და სხვაგან).

<sup>20</sup> ზემოთ, 1039 წლის ქვეშ თვე მოხსენებული არ არის. შესაძლებელია ნაწინშს ეს ადგილი პირდაპირ გადაწერილი ჰქონდეს იმ თხზულებიდან, რომლითაც ის სარკებლობდა და სადაც, ალბათ, ზემოთ, თვე ნაჩვენები იქნებოდა. რადგანაც ქვემოთ საფარის თვე იხსენიება (არ. صفر, მთვარის წლის მეორე თვეა), უნდა ვიფიქროთ, აქ საფარისა წინა თვე, ე. ი. მეპარრემის თვე იგულისხმება (არაბ. محرم, მთვარის წლის პირველი თვე). ჰიჯრის 1039 წლის მეპარრემის რვა, ჩვენი წელთაღრიცხვით 1629 წ. 28.VIII-ს უდრის.

თვის რვაში გაემგზავრა. ერეგლიში<sup>21</sup> მოურავთანვე გასაგზავნად დაინიშნა ნიგდეს<sup>22</sup> სანჯაყ-ბეგიც<sup>23</sup>. საფარის პირველს<sup>24</sup> ჰალაბს<sup>25</sup> მივიდნენ და გოქმეიდანში<sup>26</sup> დაბანაკდნენ.

### ხუსრევ-ფაჰის<sup>27</sup> მიერ მუხანათურად მოკვლა მოურავისა

ქაათობ ჩელები<sup>28</sup> ამბობს, რომ ზემოხსენებულმა მოურავმა წინათ ყარჩილაჲ-ხანი დაარბია და უამრავი ყიზილბაშთა ლაშქარი გასწყვიტა. დაეყრდნო რა მის მიერ ოსმალთა სახელმწიფოსათვის გაწეულ [ამ] დიდ სამსახურს, იგი მოვიდა სარდალ ხალღ-ფაშასთან<sup>29</sup> და თავისი სჯულიდან მოიქცა. მაგრამ საქართველოს მმართველობის საქმეებში გაჩეული [მოურავი] მაჰმადიანურ სახელმწიფო ვითარებებში კომპეტენტური არ აღმოჩნდა და [მის სამმართველოში] წეს-რიგის დამყარების საქმეში მზრუნველობა ვერ გამოიჩინა. ყარამანში<sup>30</sup> მას მიეტმანნენ ზოგნი ბოროტმოქმედნი პირნი, როსელნიც მძლავრობასა და უწესრიგობას სჩადიოდნენ, სახელი კი მისი [მოურავისა] იყო. [ამის გამო] მომჩინებები დიდ-ვეზირს ეახლნენ. მეგობრებმა [მოურავს] უთხრეს, რომ ხუსრევ-ფაშა მოსისხარი ვე-

<sup>21</sup> ერეგლი (თურქ. Ereğli, ძვ. სახ. Hirakla) კონიის ვილაჲეთში საჯხო (არ.-თურქ. كازا, kaza — ვილაჲეთის შემდეგ მეორე აღმინისტრაციული ერთეული თანამედროვე თურქეთში) ცენტრი. ძდებარეობს კონიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 130 კილომეტრის მანძილზე. ერეგლი ყარამანიანთა სამთავროში შედიოდა, XV საუკ. მეორე ნახევარში ყარამანიანთა სამფლობელოსთან ერთად ასიც შეუერთეს ოსმალეთის იმპერიას (იხ. قاموس الاعلى — شامى, ტ. II, გვ. 838, El. ტ. II, გვ. 29).

<sup>22</sup> ნიგდე (თურქ. Niğde) — თანამედროვე თურქეთში სავილაჲეთო ქალაქი, კონიის აღმოსავლეთით მომიჯნავე ნიგდეს ვილაჲეთის ცენტრი. ძველ ოსმალეთში კონიის ვილაჲეთში შედიოდა, როგორც სანჯაყის ცენტრი (იხ. قاموس الاعلى, ტ. VI, გვ. 4637).

<sup>23</sup> სანჯაყ-ბეგი — სანჯაყის მმართველი.

<sup>24</sup> ჰიჯრის 1039 წლის საფარის პირველი ჩენი წელთაღრიცხვის 1629 წლის 20.IX ჰხედება.

<sup>25</sup> ჰალაბი, ალუბო (حلب) — ცნობილი ქალაქი ჩრდილოეთ სირიაში.

<sup>26</sup> გოქმეიდანი (Gökmeşan) ალბათ რომელიმე ადგილის სახელია ჰალაბის სანახებში.

<sup>27</sup> ხუსრევ-ფაშა (خسرو پاشا), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ-ვეზირად 1628 წ. ივნისში დაინიშნა. არზრუმში აბაზა-ფაშას მიერ მოწყობილი აჯანყება ჩააქრო 1628 წ. სექტემბერში, შემდეგ ირანზე გალაშქრებაში არა ერთი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ დიდი მცდელობისდა მიუხედავად ბალდადი ვერ აიღო და დამარცხებული უკან დაბრუნდა. ბალდადზე ხელმეორედ გალაშქრება დროულად ვერ მოაწყვა, ჯარში უწესრიგობამ იჩინა თავი, ამავე დროს მას დაბრალდა ხონთქრის ურჩობა. ხონთქარმა ფერმანი გასცა ხუსრევის მოკვლის შესახებ, რომლის სისრულეში მოყვანა მიენდო დიარბექირის ვაზლის მურთაზა-ფაშას. ხუსრევის მოკვეთილი თავი სტამბოლს 1632 წ. მარტში ჩაიტანეს. თურქი ისტორიკოსები ერთმანდას ახასიათებენ ხუსრევს, როგორც უწყალოსა და სისხლით გაუმადლარ ხელისუფალს.

<sup>28</sup> ქაათობ ჩელები (Kâtib Çelebi) — ცნობილი თურქი ისტორიკოსი და მეცნიერი (1609—1657). მისი ნამდვილი სახელია მუსტაფა ბენ ყაბდულლჰ, ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჰაჯჯინ ხალღფას (حاجي خليفة), უფრო კი ჰაჯჯინ კალფას (حاجي قلیف) სახელით, ხოლო თავის სამშობლოში ქაათობ ჩელების სახელი დაიკვიდრა. ორივე ეს მეტსახელი (كاتب, قلیف) მას დაერქვა იმ თანამდებობათა მიხედვით, რომელიც მას სახელმწიფო სამსახურში ეჭირა. მან დატოვა მრავალი საისტორიო და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი. მათ რიცხვში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ფეხლექედ (كلیف) წოდებული ოსმალეთის ისტორია (1592 წლიდან დაწყებული 1654 წლამდე), რომელშიაც საკმაო ადგილი აქვს დამთბილი საქართველო-ოსმალეთის ისტორიული ურთიერთობის შესახებ მასალებს და ამ დარგში კვლევით-სათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს. ნაყინმა, რომლის თხზულებიდანაც ჩვენ მოგვყავს დიდი მოურავის შესახებ ეს ცნობა, როგორც უფრო გვიანდელი ისტორიკოსი (ნაყინმა 1716 წელს დარდაიცვალა, ხოლო ქაათობ ჩელები — 1657 წელს), ამ შემთხვევაში სარგებლობს ქაათობ ჩელების თხზულებით (იხ. F. Babinger. Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig, 1927, გვ. 195).

<sup>29</sup> იხ. ზემოთ შენიშვნა 8.

<sup>30</sup> როგორც აქედან ჩანს, მოურავი ყარამანში იჯდა და არა კონიაში, იხ. ზემოთ შენიშვნა 10.

ზირია, შეიძლება შენ გაგიმეტოს კიდეცაცო. [მოურავი] საგონებელში ჩაადგეს და წააქეზეს რომელიმე მიმართულებით გაქცეულიყო. ვინაიდან [მოურავი] ამ ქვეყნის [ოსმალეთის] სულისკვეთებს არ იცნობდა, ასე მსჯელობდა: საქართველოში ლტოლვილი სასურველ ადგილს რომ მიაღწევს, მას მფარველობას გაუწევინ, გამოექომაგებიან და [მოსალოდნელ ხიფათს] გადაარჩენენ, ასევე ამ ქვეყანაშიაც შესაძლებელი იქნება თავის შველაო. რადგან არ იცნობდა არც გზა და კვალს, არც ადგილებსა და ხეობებს, ის მალათიისაკენ<sup>31</sup> გაემართა. ზორ-ფაშა<sup>32</sup>, რომელსაც დაევალა [მოურავის] დაქვრვა, გაედევნა უკან და მოეწია. მან ჯერ ცბიერებით კაცი გაუჭახუნა [მოურავს] და აცნობა მისი რჩევა, რომ გაქცევით თავის შველა უაზრო იყო და გადაარჩენა ვერც წინააღმდეგობის გაწევით იქნებოდა შესაძლებელი. უმწეო მოურავმა გაიგო, რომ წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო იყო და უნებლიეთ დამორჩილდა. თვითონ მოურავს, მის შვილსა და ხელქვეითებს ბორკილები დაადევს და საფარის [თვის] მეთოთხმეტე დღეს<sup>33</sup> [ქალაქ] ჰალაბს მოიყვანეს. ამ დროს დიდმა-ვეზირმა თავის კარვის ფარდა გახსნა და სკამზე დაჯდა. მოურავი სპეტაკ-წვერიანი, საშუალო ტანისა იყო. ხელ-შეპორკილი და ყვითელ ხალათჩამული ცხენზე დაესვათ. [დიდმა-ვეზირმა] გასცა ბრძანება თავი მოეკვეთათ [მოურავის] შვილისა და მასთან მყოფ ორმოცი-ორმოცდაათი მისი ხელქვეითებისათვის. ჯერ მოურავის, მერე მისი შვილისა და შემდეგ დანარჩენი მისი ხელქვეითების თავები მიწაზე გააგორეს. ხუსრევ-ფაშა სისხლის-მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან [ხონთქრისათვის] შეუტყობინებლად, ვითომდა [მოურავი] საქართველოში წავაო, მოჰკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ეგოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა, რომელმაც თავისი მცდარი სჯული უარჰყო და მაჰმადიანობა მიიღო. [ასეთი ღონისძიებით ხუსრევ-ფაშამ] სპარსეთის შაჰს შური აძიებინა [მოურავზე].

[ამრიგად] ისტორიაში ყველასათვის გასაგებად აღინიშნა, რომ ამიერიდან მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ვინმემ ოსმალთა სახელმწიფოს მიმხრობა არ იკისროს. სპარსეთის შაჰს რომ რამდენიმე ათასი აუქი<sup>34</sup> ახჩა გაელო და ქვეყნები დაემკვიდრებინა [ოსმალთა] სულთნები ასეთ საქმეზე არ დასთანხმდებოდნენ და მას გონივრულ საქმედ არ ჩასთვლიდნენ. ამ უმეცარმა ვეზირმა კი მხოლოდ იმისათვის, რომ სისხლი დაედვარა, ასეთი საზიზღარი ვერაგობა ჩაიდინა. კიდევაც რომ დადასტურებულყო, რომ [მოურავი] ხალხს უსამართლობასა და ძალდატანებას აყენებდა და სჩაგრაედა, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამოართმეოდა და უნდა გასამართლებულიყო; შემდეგ გაფრთხილება უნდა მისცემოდა, რომ ამიერიდან ასეთნაირი ძალადობა არ ჩაედინა. უფრო შესაფერი და მიზანშეწონილი იყო ასეთი [ღონისძიებით] დაკმაყოფილებულიყო. ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა. მაგრამ, ნათქვამია, კაცის მკვლეელი კაცის ხელითვე მოკვდებაო, თვითონაც მავ ბედის გახდა და [მსგავსი] სასჯელი მიეზლო<sup>35</sup>.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის  
აღმოსავლურ ენათა კათედრა.

<sup>31</sup> მალათია (Malatya) დღევანდელ თურქეთში ვილანჯეთის ცენტრი, მდებარეობს აღმოსავლეთ ანატოლიაში ქ. დიარბექირის დასავლეთით.

<sup>32</sup> ზორ-ფაშას (سور) ნაწიშ იხსენიებს, როგორც ხუსრევ-ფაშის თანამედროვეს, რომელსაც ანატოლიის ემირ-ულ-უმერას წოდება ჰქონდა (იხ. نيمنا تاريخي, ტ. III, გვ. 2).

<sup>33</sup> პიჯრის 1039 წლის საფარის 14 ჩვენ წელთაღრიცხვით 1629 წლის 3.X-ს უდრის.

<sup>34</sup> აუქი (თ. yük) საერთოდ 'ტვირთი, საპალნე', ძველ ოსმალურში საერთოდ 100 000 რიცხვს აღნიშნავდა, კერძოდ თანხას, 100 000 პიასტრისაგან შემდგარს.

<sup>35</sup> იხ. აქვე, შენიშვნა 27.

### ღამაბება

ზემომოყვანილი ჩვენი წერილი უკვე გადაცემული იყო სტამბაში და იწყობოდა, როდესაც გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ 1942 წლის მაისის მე-5 ნომერი პროფ. ს. კაკაბაძის წერილით „გიორგი სააკაძის აღსასრული“ (გვ. 133—136). თავის წერილში პროფ. ს. კაკაბაძე ეხება გ. სააკაძის მოღვაწეობისა და მკვლევარობის საკითხებს ოსმალეთში და მოჰყავს ამავე ისტორიკოსის მუსტაფა ნაყრმას ისტორიიდან სათანადო ცნობების თარგმანი. სხვათა შორის ამ თარგმანებში მოცემულია აგრეთვე ნაყრმას ის ორი ცნობაც, რომელსაც ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ. პროფ. ს. კაკაბაძის ზემოხსენებული წერილის გაცნობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მიერ თარგმნილი და კომენტარებული ამ ორი ცნობის დაბეჭდვა არამცთუ განმეორებად და პარალელიზმად არ ჩაითვლება, არამედ აუცილებლად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცნობათა თარგმანები, რომელსაც პროფ. ს. კაკაბაძე ეყრდნობა თავის გამოკვლევაში, სამწუხაროდ, შეიცავს მრავალ ფაქტიურ შეცდომას და მეტად მოკლებულია მეცნიერული თარგმანებისათვის ეგოდენ აუცილებელ ზედმიწევნილობას.

აღენიშნავთ ზოგ ამ შეცდომათგანს.

პროფ. ს. კაკაბაძის წერილში ვკითხულობთ: „მოურავ-ბეგის დასადგენებლად გაგზავნეს აგრეთვე სანჯაყ-ბეგი ნიიდეც“ (ხაზი ჩვენია. იხ. ზემოთ დასახელებული წერილი „მნათობში“, გვ. 133). ნაყრმას ისტორიის სათანადო ადგილას წერია: *ارکانی کبک ... سنجاغی بکی* და სხვა... (იხ. *تعیما تاریخ*, ტ. III, გვ. 6). თარგმანის ამ ნაწყვეტში ქალაქ ნიდეს სახელი კაცის სახელად და მიღებული და ნათქვამია „გაგზავნეს... სანჯაყ-ბეგი ნიიდეც“-ო. ჩვენი თარგმანის კომენტარიაში ჩვენ ვამბობთ, რომ ნიდე ძველ ოსმალეთში კონიის ვილაფეთში შემავალი სანჯაყის ცენტრი იყო, ახლა კონიის მეზობლად მდებარე ვილაფეთის მთავარი ქალაქია. ქალაქის ძველი სახელია Nigde, ახალ თურქულში „გ“ დახურული მარცვლის ბოლოში ყ(ა)-ში გადადის და გამოითქმის ნიდე (იწერება Nigde). თარგმანიდან, ალბათ ვერ გავგების შედეგად, სავსებით ამოგდებულია მეორე ქალაქის სახელი ერეგლი. სწორი თარგმანი ასე უნდა იყოს: „ერეგლიში ნიდეს სანჯაყ-ბეგიც მოურავის [შესაპყრობად] დაინიშნა და გაიგზავნა“ (შდრ. ჩვენი თარგმანი და კომენტარი ნიდესა და ერეგლის შესახებ, აქვე, გვ. 210).

ს. კაკაბაძის წერილში 134 გვერდზე ვკითხულობთ: „ამის შემდეგ გამოშვებულ იქმნა ხოსროვ-ფაშის ბრძანება, რომ არაფინ მოწინააღმდეგეთა ჯგუფიდან არ უნდა მიაღწიოს ალ-ოსმანის ხარისხებს (ე. ი. არც ერთი ქართველთაგანი არ დაწინაურდეს ოსმალეთის სამსახურში)“. კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ არაფერი ამის მსგავსი ნაყრმას არა აქვს და არაფი თარი ასეთი ბრძანება ხუსრევ-ფაშას არ გამოუშვია (დიდი-ვეზირი ვერც გამოსცემდა ასეთი შინაარსის ბრძანებას). მოვიყვანოთ თურქული ტექსტის სათანადო ადგილი: *من بعد زمره مخالفیند کسنه آل عثمانه* و *اسان حلاله تیبی قش صحیفه روزگار اولدی* (იხ. *تعیما*, ტ. III, გვ. 7). როგორც მკითხველი ხედავს, ეს ამონაწერი სრულებით სხვა რამეს გვეუბნება. საქმე იმაშია, რომ ნაყრმას საერთოდ დად უკუაჯობალებას გამოუქვამს იმას გამო, რომ ხუსრევ-ფაშამ უსამართლოდ მოჰკლა დიდი-მოურავი, რომელმაც ასეთი დიდი სამსახური გაუწია ოსმალეთსო. აქ მოყვანილ ნაწყვეტში კი ის აზრია გატარებული, რომ მოურავის მოკვლის აქტი ერთგვარი გაფრთხილება არის იმის შესახებ, რომ ავიერიდან მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ვინმემ ოსმალთა სახელმწიფოს მხარეზე გადაიხველა არ გაბედოსო და ამ მკვლელობის შემდეგ ჩვენ (ოსმალელებს) მართლაც არაფინ მოგვემხრობაო (იხ. დეტალურად ჩვენი თარგმანის სათანადო ადგილი, აქვე, გვ. 211). ამრიგად, როგორც ტექსტის ამონაწე-

რიდან ჩანს, აქ ერთი სიტყვა არაა ნათქვამი არც ფაშის ბრძანებაზე, არც „ალ-ოსმანის“ (?) „ხარისხებზე“ და არც ოსმალთა სამსახურში ქართველთა დაწინაურების აკრძალვაზე.

თარგმანში გ. სააკაძის პიროვნების დახასიათებისას ნათქვამია: „... საზოგადოდ იშვიათი აპრიმანი (მოხერხებული) იყო“ (იხ. გვ. 132). ტექსტში წერია *ار... نادر اهرمن بند* „არ... ადრამანი ბენდი“. ამ წინადადების ორი სიტყვა არ „ვაჟაკი, გულადი“ და *بند* „შეკრა“ თარგმანში სრულებით არ არის ასახული. გარდა ამისა *اهرمن* სპარსული სიტყვაა და „მოხერხებულს“ სრულებით არ ნიშნავს, „ბოროტ სულს, დევების მბრძანებელს“ ნიშნავს; აქედან *بند اهرمن* „დევისლონე, დევის შემეკრელი“, როგორც ეს ჩვენს თარგმანშია მოცემული (იხ. აქვე გვერდი 208).

პროფ. ს. კაკაბაძის წერილში 132 გვერდზე ვკითხულობთ შემდეგ თარგმანს: „ამ დროს ზოგიერთმა ხუმარამ შეადგინა მის შესახებ შიირი, რომელშიაც ის ესაუბრება თავის თავს იმის გამო, რომ ზოგნი მის დანიშნულ ვილაიეტის გამგედ მეთისმეტად სთვლიდნენ და ამიტომ მასხარად იგდებდნენ მას“. ეს თარგმანიც არ არის სწორი. ამ წინადადებაში ტექსტის *ظفر* სიტყვა, რომელიც თურქულში „გონებამახვილს“ ნიშნავს, „ხუმარად“ არის ნათარგმნი. ამავე ტექსტის ბოლო სიტყვები სპარსული *شعر* „შური, სიხარბე“ და არაბულ *طعن* „შეურაცყოფა, ლანძღვა“ თარგმნილია ასე: „მასხარად იგდებდნენ მას“, რაც არავითარ შემთხვევაში სწორი არ არის (შდრ. აქვე დართული თარგმანის სათანადო ადგილას, გვ. 208).

126 გვერდზე შემდეგნაირი თარგმანია მოცემული: „მათ გაიარეს სარდალ-ლისვის (ხაზი ჩვენია, ს. ჯ.) კარავის (ოტაკის) წინაშე (ტყვე) ყიზილბაშების წინ გარეკვით, ჯოხებზე სათითაოდ მოკრილი თავების აწვეით და ბუკების და დოლების უკულმა დაკავებით“ (ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). თურქული ტექსტი ასეთია: *باشلىرى بر اغاجه ديكلىوب كوس و كرىناىرله منكوس اوسا سردار اوپاغى او كندن كىجروب...* (ტ. II, გვ. 346). მოყვანილი თარგმანი საერთოდ ძლიერ უხეირია, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს, თუ რა არის „სარდალ-ლივა“, „ლივა“ სარდლის სახელადაა გაგებული, თუ მის ტიტულად? სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არც ერთია და არც მეორე. ან არადა რას ნიშნავს „ბუკების და დოლების უკულმა დაკავება“, ხომ სულერთია დოლს უკულმა დაკავებ თუ წალმა და ამას ხომ არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს? საქმე იმაშია, რომ აქ ვერ გაუგიათ არაბული შესიტყვება *اوسا منكوس*, რომელშიაც *اوسا*, უარტიკლოდ *اوسا* „დროშას“ ნიშნავს, ხოლო მისი მსაზღვრელი სიტყვა *منكوس* — „უკულმა შებრუნებულს“. ამ გაუგებლობის ნიადაგზე ეს შესიტყვება გაყოფილია და *منكوس* წინამავალი სიტყვების—ბუკებისა და დოლების—მსაზღვრელადაა მთარგმნელის მიერ გამოყენებული, რაც სინტაქსურად ყოვლად დაუშვებელია, ხოლო *اوسا* მომდევნო *سردار* სიტყვასთანაა გაერთიანებული და შედეგად მიღებულია ყოვლად უაზრო თარგმანი „სარდალ-ლივა“ და „ბუკების და დოლების უკულმა დაკავება“. ნამდვილად კი ცხადია, რომ უკულმა მტრის დროშა ეკირათ:

ნაწიშს მართლაც აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ მოურავს, ყარჩილად-ხანის ლაშქრის განადგურების შემდეგ, პრეტენზიები ჰქონია მეფობაზე და ფულიც კი მოაჭრევინაო. ნაწიშს მოყვანილი აქვს ამ ფულის ასეთი სახის ზედწერილიც: *بند شاه ولايت ماغراو شاه* (იხ. ნ. ს. სტორიის II ტომი, გვ. 350). ს. კაკაბაძის წერილში ეს ზედწერილი ასეა თარგმნილი: „მე, ვილაიეტის მეფე მოურავ-შაჰი (ე. ი. მოურავ-მეფე)“. უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის უცნაურობა, რომ ზემომოყვანილი ფულის ზედწერილი სპარსულ ენაზეა, ხოლო თარგმნილია ისე, თითქოს ის თურქული იყოს. უნდა ვიკითხოთ,

რატომ უნდა ყოფილიყო მოურავის მიერ მოჭრილ ფულზე თურქული ზედწერილი, ამ დროს ის არც კონფესიონალურად და არც პოლიტიკურად ოსმალეთთან ხომ არ იყო დაკავშირებული და თვითონ ხომ შიიტური გაგების მუსლიმი იყო? დავუშვათ, რომ ზედწერილი თურქულ ენაზეა, განა პირველი სპარსული სიტყვა **بند** (bende „მონა“), რომელიც, სხვათა შორის თურქულშიც იხმარება, „მე“-ს ნიშნავს? თუ ამ სიტყვის ნახევარი (ben) მთარგმნელმა თურქულ ben („მე“)-დ მიიღო, მეორე ნაწილი de რაღაა? შემდეგ, რა არის „ვილაიეტის მეფე“? ვილადეთი ხომ „გუბერნიას, პროვინციას“ ნიშნავს და რად დასჭირდებოდა გ. სააკაძეს თავისი თავი გუბერნიის ან პროვინციის მეფედ გამოეცხადებია; განა, თუ ეს საჭირო იყო, მან საქართველოს ან ქართლის სახელი არ იცოდა? საქმე იმაშია, რომ ზედწერილი სრულებით ვერ არის გაგებული.

ჩვენ ვისარგებლებთ ამ შემთხვევით და ორიოდ სიტყვით შევიჩრდებით ამ ზედწერილის შინაარსის გარკვევაზე. ცნობილ ისტორიკოსს J. v. Hammer-საც ეს ზედწერილი შეცდომით აქვს გაგებული (რა თქმა უნდა, როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, მისი შეცდომა სხვა ხასიათისაა და მას bende სიტყვა „მე“-დ არ გაუგია). Hammer-ი, ეყრდნობა რა ამავე ისტორიკოსის ცნობას, ამბობს: *Maghrawchan warf sich nach dieser Schlacht zum unabhängigen Herrscher auf, und prägte Münze, mit der Umschrift: Diener des Schachs, Maghrawpascha*<sup>1</sup>, მაშასადამე, Hammer-ი ზედწერილს ასე თარგმნის: „მონა შაჰისა, მოურავ-ფაშა“ (sic!), რაც აგრეთვე სწორი არ არის.

Hammer-ის ეს შეცდომა შენიშნა და სქოლიოში გაასწორა კიდევ ვაკვრით მისი შრომის *Geschichte des osmanischen Reiches* თურქულ ენაზე მთარგმნელმა Mehmet 'Atâ-მ<sup>2</sup>. მაგრამ მას დაწვრილებით არა აქვს განმარტებული ამ შეცდომის მიზეზი. საქმე იმაშია, რომ ზედწერილში მოყვანილი **ولایت** სიტყვა „ვილადეთს (გუბერნიას, პროვინციას) არ ნიშნავს და vilâyet-ად<sup>3</sup> კი არ უნდა იქნეს წაკითხული, ეს არის velâyet „სიწმინდე, წმინდანობა“ არაბული **ولي** (veli)-სგან, რომელიც „წმინდანს“ ნიშნავს. მაშასადამე **ولایت شاه** (sah-i velâyet) = „წმინდანობის შაჰი, წმინდანობის მეფე“. ეს სიტყვები ამ გაგებით, როგორც ცნობილია, სპარსეთში ტიტულად იხმარება მეოთხე ხალნფა ყალნსათვის, ხოლო სპარსეთის შაჰები, უფრო კი სეფიანთა დინასტიის შაჰები, თავიანთ თავს ოფიციალურ დოკუმენტებში უწოდებდნენ „წმინდანობის მეფის (ე. ი. ყალნს) მონას“, სპარსულად bende-i sah-i velâyet<sup>4</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ მართლაც გ. სააკაძემ ფული მოსჭრა, ზედწერილისათვის ის სპარსეთის შაჰებს მიჰპაძავდა და ზემოხსენებულ სპარსულ წარწერას გააკეთებდა ფულზე. ამრიგად ნაქრემის ცნობაში დაცული ზედწერილი დიდი მოურავის ფულზე **بند شاه ولایت** ასე უნდა იქნეს გაგებული: „მონა წმინდანობის მეფისა — მოურავ-მეფე“, ან „მონა წმინდანობის შაჰისა [ე. ი. ყალნსა] — მოურავ-შაჰი“. გამოსარკვევია, რა თქმა უნდა, საიდან აქვს ნაქრემს გადმოღებული ეს ცნობა და არის თუ არა მის წყაროში უფრო დეტალური ცნობები ამ საყურადღებო საკითხის შესახებ.

<sup>1</sup> იხ. J. v. Hammer. *Geschichte des osmanischen Reiches*, ტ. III, გვ. 44.

<sup>2</sup> იხ. *دولت عثمانیه تاریخیه مؤلفی هامامہ مترجمی محمد عطا*, ტ. IX, სტამბოლი, 1335 (პიჯრით), გვ. 54, შენიშვნა 1.

<sup>3</sup> ამ შემთხვევისათვის ჩვენ ლათინურ-თურქულ პრაქტიკულ ტრანსკრიფციას ვიხმაროთ.

<sup>4</sup> იხ. მაგალითად, 1722 წლის დოკუმენტი სპარსულ ენაზე: «Повеление от Шаха Тагъясла II к правителю Грузии Хусейн-Кули-Хану (Вахтангу VI)», კრებულში «Переписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г.» СПб, 1861, გვ. 145.



ჩვენ მაგალითისათვის პროფ. ს. კაკაბაძის წერილიდან მოვიყვანეთ მხოლოდ რამდენიმე ადგილი, — შეუწყნარებელი დამახინჯებანი. შეცდომები და დამახინჯებები თარგმანში სხვაც მრავალია, მაგალითად, ზოგი ცნობის დასაწყისი გამოტოვებულია, ზოგს ბოლო აქვს მოკვეცილი; ადგილ-ადგილ გამოტოვებულია მთელი წინადადება, რომ არაფერი ვთქვათ ხშირად კონტექსტისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ცალკეულ სიტყვებზე. ყველა ამათი აქ აღნიშვნა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ პროფ. ს. კაკაბაძის წერილში თურქულ სპეციალურ ტერმინთა და საკუთარ სახელთა შეუსაბამოდ გადმოცემა. ვინც არაბულ დამწერლობას იცნობს, შეუძლებელია ქართულად დაწეროს: ვილაიეტი (ყველგან), ტოკატი (გვ. 128), კუჩუკ-ახმედ-ფაშა (გვ. 133), სერასკირი (გვ. 127, 130), ოტაქი (გვ. 126), გეკ-მეიდანი (გვ. 133), დეფტერდარი (გვ. 135), მუფტი (გვ. 135), ჰაფის-ფაშა (გვ. 136) და სხვა. ერთი და იგივე ცნობილი საკუთარი სახელი  $\text{داحا}$ , ხან „მუჰამედ“-ადაა (გვ. 132) გადმოცემული, ხან „მუჰამედ“-ად (გვ. 128), ხან კი „მამედ“-ად (გვ. 126). ერთი გვერდის მანძილზე ერთი და იგივე ტერმინი სამი ფორმითაა წარმოდგენილი: „სოხტები“ (გვ. 131 bis), მეორე იქვე „სუხტები“ (bis), შემდეგ იქვე „სოხტები (სუფტები)“ და სხვ.

## „ქველი მისთავთა“ და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის

საკითხი საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. ამ საკითხით დაინტერესებული არიან არა მხოლოდ ისტორიკოსები და, კერძოდ—სახელმწიფოს ისტორიის დარგში მომუშავენი, არამედ ყველანი, ვინც-კი საერთოდ ქართული კულტურის ისტორიული ევოლუციის საკითხებს ემსახურება, ვინაიდან მეცნიერული კვლევის ამ ფართო ასპარეზის თითოეული დარგი, ამა თუ იმ სახით, გარკვეულ სიბრტყეში, აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება. სახელმწიფო სოციალურ ურთიერთობებში იმდენად მძლავრი ფაქტორია, რომ მის წარმოშობას არ შეეძლო არსებითად არ შეეცვალა როგორც საზოგადოებრივი სინამდვილის მთლიანი სახე, ისე კულტურულ-შემოქმედებითი პროცესის მიმართულება, შინაარსი და სტილი, ეს უკანასკნელნი-კი თავის მხრით მერმინდელი კულტურული შემვიდრეობის ხასიათს თუ მთლიანად არა (ვინაიდან მხედველობაში უცხოურ ზეგავლენათა ინტენსივობა არის მისაღები), მნიშვნელოვნად მაინც განსაზღვრავენ. სწორედ ამიტომ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ პოლიტიკური ფორმის გენეზისის პრობლემა კულტურის თითოეული დარგის მეცნიერული შემეცნების ინტერესთა მთლიან კომპლექსში აუცილებლად იგულისხმება. ასეთია ამ პრობლემის მნიშვნელობა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მის გადაჭრას მრავალი სიძნელე ახლავს თან. როგორც მშობლიურ, ისე უცხო წერილობით ცნობებს, რომლებიც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ ცალკე საკითხებში ზოგიერთი დასკვნებისათვის მასალას იძლევიან და გამოყენებული არიან ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში, აკლიათ საჭირო სისრულე, რიგ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს არ იძლევიან; გარდა ამისა, ისინი მრავალის მხრივ სანდოც არ არიან და მხოლოდ რთული კრიტიკული განხილვის შედეგად შესაძლებელი ხდება ზოგიერთ მტკიცე დებულებათა გამოყოფა საეჭვო ან სრულებით უვარგის მონაცემებიდან.

მით უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს დასკვნებს, რომელნიც ახლობან არმაზში წარმოებული გათხრების შედეგად იყო მიღებული, ვინაიდან ისინი არა მხოლოდ ახალი ცნობებით ამდიდრებენ ისტორიულ პერსპექტივას ქართველი ხალხის შორეულ წარსულში, არამედ ამასთან ერთად მტკიცე დასაყრდენს იძლევიან წერილობით წყაროებში დატულ ცნობათა სინამდვილის შესაფასებლად. ამის მიუხედავად, როგორც მატერიალური კულტურის უკვე აღმოჩენილი ძეგლები, ისე ეპიგრაფიკული მასალა იმ საკითხში, როგორც ჩვენ ამჟამად გვანტერესებს, მართალია ზუსტს, მაგრამ, შედარებით, ზოგად საორიენტაციო ხაზებს იძლევიან და ამიტომ მოცემული ისტორიული ჩარჩოების კონკრეტი მასალით ამოვსება ჯერ კიდევ მრავალ ახალი მონაცემების მოზიდვას მოითხოვს და ამდენად

აქტუალურ ამოცანად რჩება. ამიტომ გასაგებია, რომ თითოეული ახალი ცნობა ანდა უკვე ნაცნობი მასალის ინტერპრეტაცია, რომელიც საქართველოში სახელმწიფოს გენიზისის პრობლემის გაშუქებას ახალი მხრით შეეცდება, უდავოდ დიდი ინტერესის შემცველია როგორც ქართული სახელმწიფოს ისტორიის, ისე საერთო ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით.

წინამდებარე ნარკვევი ერთ ასეთ ცდას წარმოადგენს. ის მიზნად ისახავს ნარკვევის სათაურში აღნიშნული ისტორიული ძეგლი გამოიყენოს ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად, რომლებიც ჩვენში სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს უკავშირდებიან.

თავისი პირდაპირი შინაარსით „ძეგლი ერისთავთა“ ნახევრად ლეგენდარულ თხრობას წარმოადგენს ქსნის ერისთავების ისტორიული გენეალოგიის შესახებ და ამ მხრივ იგი სხვა ლოკალური მატრიანების მთლიანი ანალოგონია. საერთოდ შეიძლება ვივთხოვოთ, რომ ასეთ მატრიანთა წერის ტრადიციის გამომუშავებისათვის ხელსაყრელ პირობებს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პერიოდები ჰქმნიდნენ, როდესაც ეკონომიურ და პოლიტიკურ აუტარკეიამდე მისული ცალკე ფეოდალები მათი განდიდების ისტორიულ გენეზისს არა „მეფის წყალობაში“, არამედ წინაპართა ბრწყინვალე საქმიანობაში ჰხედავდნენ, რომ ამით დამოუკიდებლობის შარავანდედით არა მხოლოდ აწმყო, არამედ წარსულიც შეემოსათ და პოლიტიკური თავისთავადობისათვის ისტორიული დასაბუთება და ლეგიტიმური საფუძველი მიეცათ. გასაგებია, რომ ყველა ამ, ზეპირ თუ წერილობით, თხრობათა უაღრესად პრაქტიკულ-პოლიტიკური ხასიათი საშუალებებისადმი დაუბრუნებლობას იწვევდა და ამიტომ სათანადო იდეოლოგიური შენამოქმედი მრავალი არარეალური ელემენტის შემცველია. „ძეგლი ერისთავთა“ ამ მხრივ გამოჩაყლის არ წარმოადგენს. როგორც ცალკე ფაქტების ისტორიული სინამდვილის, ისე მათი თანამიმდევრობის და დათარიღების (მაგ., მითითება იუსტინიანეზე) მხრივ იგი უდავოდ მრავალ საეკვო ელემენტს შეიცავს; მაგრამ ისტორიულ-სოციალური აზრი, რომელიც ძეგლის ნარატიულ ფორმაში არის გახვეული, უაღრესად მნიშვნელოვანია და შორეული წარსულის სოციალური სინამდვილის მრავალ საინტერესო მხარეს უთითებს. ჩვენი ამოცანა უფრო ვიწროა და ძეგლის მხოლოდ იმ ადგილების ინტერპრეტაციას ეხება, რომლებიც სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს უკავშირდებიან. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს პროცესი ძეგლში პირდაპირ არის აწერილი; ცნობილია, რომ ისეთ ისტორიულ წყაროებშიაც-კი, რომელნიც სინქრონიული არიან ამა თუ იმ ხალხში სახელმწიფოს წარმოშობის პროცესთან, უკანასკნელი თხრობის პირდაპირ საგანს არასოდეს არ შეადგენს (ცინიდან თვით პრობლემა სახელმწიფოს წარმოშობისა კულტურული ევოლუციის გაცილებით უფრო გვიან საფეხურზე ჩნდება) და მხოლოდ კონკლიუდენტური მსჯელობის გზით გამოიყვანება მათგან სათანადო დასკვნები. მით უმეტეს ეს უნდა აღინიშნოს ჩვენი ძეგლის შესახებ, რომელიც მისი დაწერის თარიღის მხრივ განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდს ეკუთვნის და, მავსადაძემ, სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაცილებული. ამიტომ მასში დაცული უძველესი ტრადიცია ეპოქისათვის დამახასიათებელ ცნებებში და წარმოდგენებში არის გადმოცემული და ისტორიული კეშმარტების აღდგენა შესაძლებელია აღნიშნული ცნებებისა და გამოთქმების ისტორიული აზრის ამოცნობის გზით თანამედროვე მეცნიერული თეორიის თვალსაზრისით.

იმ პრობლემის გაშუქების თვალსაზრისით, რომელიც ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობას ეხება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძეგლის პირველი ნაწილი, სადაც როსტომ ქვენიფნეველის ლარგვისში დამკვიდრების ამბავია მოთხრობლი. ძეგლის ამ ნაწილში უძველესი ტრადიციის ცალკე ელემენტები არის დაცული, მაგრამ ეს ელემენტები გახვეულია ნარატიულ ფორმაში, რომელიც ძეგლის შედგენის პერიოდისათვის (ე. ი. XIV—XV ს.) დამახასიათებელ იდეებსა და წარმოდგენებში მიმდინარეობს. ამიტომ მხოლოდ

დაკვირვებული თვალთ არის შესაძლებელი თხრობის მთლიან კომპოზიციაში უძველესი დროის გამოძახილი შეენიშნოთ, რომელიც ზოგიერთ ცალკე გამოთქმებში და დებულებებში არის დატული.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ მთელ მოთხრობას ძველის ამ ნაწილში ორი განსხვავებული მოტივი ახასიათებს: ერთი მხრივ ავტორის მიზანია გვიჩვენოს, თუ როგორ წარმოიშვა ცხრა-მის ხევში საერისთაო ხელისუფლება საერთოდ, ხოლო მეორე მხრივ—თუ როგორ მოხდა როსტომ ქვენიფნეველის გაერისთავება. მართალია, რომ თხრობაში ეს ორი მომენტი ერთმანეთს ხედება, ე. ი. ძველის მიხედვით ერისთაობის წარმოშობა და როსტომის გაერისთავება ერთი მთლიანი მოვლენის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ სავსებით თვალსაჩინოა, რომ ეს ორი მოვლენა, იმ შინაარსით, რომელსაც ისინი ძველში ატარებენ, ქრონოლოგიურად ერთმანეთს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაემთხვეოდნენ. ეს იმიტომ, რომ საერისთაო ხელისუფლების წარმოშობის პრობლემა, თუ ამ ხელისუფლებას ჩვენ გავიგებთ არა როგორც დერეფატივს, მეფის ხელისუფლებიდან გამომდინარეს, არამედ როგორც დამოუკიდებელ და თავისდათავად მოვლენას, (როგორც ეს ძველში არის წარმოდგენილი) არსებითად, უფრო მცირე მასშტაბით, პოლიტიკური ფორმის წარმოშობის პროცესს ნიშნავს და ამიტომ იმავე ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების არ არსებობას გულისხმობს; როსტომის გაერისთავება-კი ძველში აღწერილია როგორც მეფე იუსტინიანესაგან დასტურქმნილი (სხვა საკითხია ამ ცნობის ისტორიული სინამდვილე) და, მაშასადამე, სახელმწიფო, როგორც არსებული ფაქტი, უკვე ნაგულისხმევია. დამოუკიდებელი საკითხია, თუ რატომ დასჭირდა ძველის ავტორს ამ ორი საწინააღმდეგო მსჯელობის შეერთების ცდა: ამ საკითხზე გაკვრით ჩვენ ქვევით შევიჩრდებით, ახლა-კი დაეუბრუნდეთ თხრობის ამ საწინააღმდეგო მოტივების უფრო დეტალურ განხილვას.

ის, რომ აღრინდელი სოციალური ურთიერთობებისათვის, რომლის სურათსაც ძველი იძლევა, უცნობი უნდა ყოფილიყო დამთავრებული სახით მოცემული პოლიტიკური ფორმა, დასტურდება ცალკე მითითებებისაგან, რომელნიც ძველში არიან გაბნეული ცხრა-მის-ხეველთა სოციალური მდგომარეობის შესახებ ერისთაობის შემოღებამდე. ამ მხრივ დამახასიათებელია ძველის უკვე დასაწყისი სტრიქონები, სადაც შემდგევა ნათქვამი: „ერისთაობა არავისი ინებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესე ვითარსა, რომელმანცა პატივით იპყრნა და არა შძლავრობით და იგიმცა დაამკვიდრეს შუა ქუეყანისა მათისა, და მოსწრაფე იყვნეს ყოველნივე შენებას ლარგვისისა ყოველნი ხენი“. მრავლობითი რიცხვით, რომლითაც ამ უთავო წინადადების სუბიექტია აღნიშნული, როგორც ეს წინადადების მთლიანი კონტექსტიდან ჩანს, უდავოდ ცხრა-მისხეველნი არიან ნაგულისხმევი; ისინი, როგორც წინადადებიდან ირკვევა, დამოუკიდებელ სოციალურ კოლექტივს წარმოადგენენ, რომელიც თვითვე სწყვეტს პოლიტიკური წყობილების ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ერისთაობის არსება არ არსებობის საკითხი; კიდევ მეტი, იმ პირის შერჩევას, რომელმაც სათანადო ტერიტორიის უმაღლესი მმართველობა უნდა იკისროს, ეს კოლექტივი არა სხვა, უფრო მაღალი ინსტანციიდან მოელის, არამედ თვითვე დამოუკიდებლად აწარმოებს. ამაზე მკაფიოდ სუვერენიტეტის ცნების აღნიშვნა მის პირველად-პრიმიტიულ ფორმაში შეუძლებელია. მაშასადამე, ჩვენ უდავო საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ცხრა-მის ხევის აღრინდელი ისტორია, რომელსაც ძველის დასაწყისი სტრიქონები გვაწვდის, სოციალური ევოლუციის იმ საფეხურს გულისხმობს, როდესაც არც ზევით მდგომი პოლიტიკური ძალა-უფლება და არც შინაგანი დიფერენცირების გზით წარმოშობილი პოლიტიკური ბატონობა-დაქვემდებარების ურთიერთობა ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული არ არის. მაგრამ სხვა მნიშვნელებიც ცხრა-მისხეველების შესახებ, რომელთა ამოკრეფა ძველის პირველი ნა-

წილიდან შესაძლებელია, ისე როგორც მოთხრობის მთლიანი ხასიათი, შეხამებულია სოციალური მდგომარეობის ასეთ სურათთან. ამ მხრივ არ შეიძლება მხედველობაში ის მოსაზრება არ მივიღოთ, რომ სამეფო გვარის წარმომადგენელს და თავისი ქვეყნიდან გადმოხვეწილ როსტომს ორი ძმით და სამოცდაათი მონით ბედის ახალი ცდა შეეძლო დაეწყო არა ძალადობა-დაპყრობების, არამედ მშვიდობიანი მიკედლების გზით იმ ტომებთან, სადაც ეს პირადი პოლიტიკური აღზევების შემდგომი პერსპექტივის თვალსაზრისით იმედის მომცემი იქნებოდა, ე. ი. იქ, სადაც სოციალური დიფერენცირების პროცესი უკვე დაწყებული და პოლიტიკური ფორმის წარმოშობისათვის ნიადაგი შემზადებული, მაგრამ ძალაუფლების უზურპაცია ჯერ არ იყო მომხდარი. პოლიტიკური ძალაუფლების დამყარების პირველი ცდა, რომელსაც როსტომი აწარმოებს „ქვეყანასა დვალეთისასა“, უშედეგოდ დამთავრდა, ალბათ იმიტომ, რომ ზოგიერთი მომენტის მიუხედავად, რომლებიც აქ საგვარეულო წყობილების დაშლის პროცესის დასაწყისს გვაფიქრებინებს, საგვარეულო წყობილების ინსტიტუტები და ტრადიციები აქ კიდევ მტკიცედ ჩანან. ამიტომ, როდესაც როსტომი მისი ძმებითურთ თავისი განზრახვის განხორციელების პირველ ცდას შეუდგა, როდესაც მათ „დაიწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა, რომელ ეგე ვითარი არა იყო ქვეყანასა დვალეთისასა“, ხალხმა ადვილად შეამჩნია ამაში ძველიდანვე არსებული საზოგადოებრივი წყობილების საწინააღმდეგო ხელყოფა და თავისი გულისწყრომა შემდეგ სიტყვებში და საქმეში გამოხატა: „ხედავთა, ვითართა საქმითა იწყეს შენებად ოვსთა ამათ მეფეთა, დალათუ სახელ ვზღვეით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაფარავს გვარნათესაობასა მათსა, და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქვეყანასა ჩვენსა“... „აღიყვანეს და მოასხნეს ხევსა ისროლდისასა ნაკაფოვანს, როსტომ და ყოველნი ძმანი მისნი“. ასე უშედეგოდ დამთავრდა პოლიტიკური რევოლუციის პირველი ცდა „ქუტყანასა დვალეთისასა“ აშკარად იმის გამო, რომ სოციალური ურთიერთობანი არ იყვნენ მთლიანად მომწიფებული ახალი სოციალური ფორმის მიღებისათვის.

ცხრა-მისხვევლთა სოციალური სტრუქტურა ძირითადად ში ანალოგიურია სოციალური არსებობის იმ სურათთან, რომლის აღდგენა ასეთი გარკვეულობითა და კატეგორიულობით შესაძლებელია დვალეთის მცხოვრებლების მიმართ; მაგალითად, მთელი იმ ეპიზოდის აღწერილობა, რომლის დროსაც ხდება როსტომის შეხვედრა ცხრა-მისხვევლებთან,—აღწერილობა ბრძოლისა გრუელებთან—ისეთ მომენტებს შეიცავს, რომელიც მხოლოდ წინასახელმწიფოებრივი მდგომარეობისათვის იყვნენ დამახასიათებელი (ბრძოლაში მონაწილეობს არა სპეციალურად გამოყოფილი ჯარი, არამედ—ცხრა-მისხვევლნი, როგორც გარკვეული კოლექტივი; არა ჩანს სოციალური დიფერენცირების შედეგად გამოყოფილი და პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილი სპეციალური მეთაური). სწორედ ამიტომ როსტომის შეხვედრა ცხრა-მისხვევლებთან ძველის მიხედვით საგანგებოდ მომარჯვებულია ცხრა-მისხვევლთა ისტორიის ისეთ სპეციალურ მომენტთან, როდესაც განსაკუთრებული, ხელისუფლებით აღჭურვილი პირის საჭიროება ადვილად და თვალსაჩინოდ იქნებოდა შეგნებული; ეს მით უმეტეს, რომ, განსხვავებით დვალელებისაგან, სადაც სოციალური დიფერენცირების პროცესის მხოლოდ სუსტი გამოვლინება არის საგულისხმო, ცხრა-მისხვევლებთან ეს პროცესი უკვე საკმაოდ შორს არის წასული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტერიტორიული მომენტის განმსახლველი როლი, რომელიც, სხვათა შორის, თვით ხალხის სახელწოდებიდან (ცხრა-მისხვევლნი) ჩანს, არამედ დაწყებული კლასობრივი დიფერენციაციის მაჩვენებელი—ციხე-სიმაგრის არსებობა, რასაც „ცხრა-მის ციხისთავის“ სახელწოდება აშკარად უთითებს და განსაკუთრებით-კი ცალკეული ინდივიდები, რომელნიც ამ პერიოდში კერძო საკუთრებისა და დაწყებული სოციალური უთანასწორობის არსებობას უთითებენ; სახელდობრ, ერთი მხრივ „დიდებულთა აზნაურთა“ მოხსენიება, ხოლო მეორე მხრივ ის გარემოება, რომ როსტომს „შუა ცხრა-მის

ციხის-თავის ნაქონებნი სოფელნი და ქუშყანანი“ გადასცეს. ამის მიუხედავად, ცხრა-ძმის-ხეველთა საზოგადოება ამ პერიოდში მაინც ჯერ კიდევ საგვარეულო წყობილების ფარგლებს არ გადასცილებია; იგი საკმაოდ მომწიფებულია ახალი საზოგადოებრივი წყობილების მისაღებად, მაგრამ ჯერ კიდევ საგვარეულო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ფორმებში მიმდინარეობს მისი არსებობა და საქმიანობა. ამიტომ როსტომის მიღება და მისთვის განსაკუთრებული მდგომარეობის შექმნა არა რომელიმე ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფის სურვილით, არამედ ცხრა-ძმისხეველთა საერთო დადგენილებით ხდება; ეს ჩანს ძველის შემდეგი თხრობიდან: „მაშინ (ე. ი. მას შემდეგ, რაც გრუელების წინააღმდეგ ბრძოლაში როსტომი მიეშველა და წინ უძღოდა ცხრა-ძმის ხეველებს „ვითარცა ლომი ზახილითა და ვითარცა ვეფხვი სიფიცხითა, ვითარცა ჯიქი სიმხნითა“) თქუქს ყოველთ ცხრა-ძმის ხეველთა: არა განვიშოროთ ჩუშნგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ ვყოთ ყოველ, რადცა უნდეს მას“, რის შემდეგ „რქუა ყოველ მან ერმან როსტომს: „რა გნებავს რათა ვჰყოთ შენთვის?“ მოყვანილი ადგილები უდავოდ ადასტურებენ, რომ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხები აქ საერთო კრების საგანს შეადგენს, ე. ი. საგვარეულო წყობილებისათვის დამახასიათებელი ტრადიცია აქ მთლიანად დაცულია. ეს არის შინაარსის პირველი მოტივი, რომელიც ძველის დასაწყის ნაწილში მკაფიოდ გამოკვეთილ ხაზებში არის მოცემული და ექვს არ სტოვებს არც გაურკვევლობით და არც დაუმთავრებლობით. ავტორს კარგად ესმის, რომ აქ საქმე გვაქვს პოლიტიკური ფორმის პირველ ჩასახვასთან, რომელიც ჯერ კიდევ როსტომამდე იყო შემზადებული და ასე მკაფიოდ გამოიყურება მთელ რიგ ძველით აღნიშნულ ფაქტებში: როსტომის დაწინაურება, უდავო მეთაურის, წინამძღვარის როლი, რომელსაც ის ასრულებს ცხრა-ძმისხეველებში, პირველ რიგში საომარი ბრძოლების დროს (ივინი—ე. ი. როსტომი და მისი ძმები—„იყენიან წინამძღვარ ბრძოლათა“) და, განსაკუთრებით—კი აგება „ციხისა და სახლების დიდ-დიდებისა“, ე. ი. სწორედ ის, საგვარეულო საზოგადოებისათვის უცხო მოვლენა, რომელიც დვალეთის ქვეყანაში როსტომის თავგადასავალის გადმოცემისას ძველში გააკრვევით არის კვალიფიცირებული როგორც ქვეყნის დაუფლების („და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქუშყანასა ჩუშნსა“), ე. ი. პოლიტიკური ბატონობის დამყარების ცდა. ყველა ეს მოვლენა, პოლიტიკური ფორმის თანდათან წარმოშობის ცალკეული მომენტების აღნიშვნელი, ძველში წარმოდგენილია როგორც მთლიანი და შინაგან ძალთა დამოუკიდებელი მოძრაობით განსაზღვრული პროცესი. ამიტომ ძველის შინაარსი და სოციალურ-ისტორიული აზრი ბუნებრივად სცილდება ლოკალური (ე. ი. დაქვემდებარებული) ხელისუფლების დაწესების საკითხს და პოლიტიკური ფორმის გენეზისის პრობლემაში გადადის. მართალია, რომ ეს პროცესი გარკვეული იდეოლოგიური სტილიზაციის შედეგად, რომელიც ფეოდალური პერიოდის პოლიტიკური აზროვნებისათვის არც სხვა ქვეყნებში ყოფილა უცხო, კლასობრივი ბრძოლის და რევოლუციის ფორმაში კი არ არის წარმოდგენილი, არამედ როგორც მთლიანი მოსახლეობის თავისუფალი სურვილითა და გადაწყვეტილებით („ყოთ ყოველი რაიცა უნდეს მას“) განსაზღვრული, ე. ი. იმ პოლიტიკურ-იურიდიულ ფორმაში, რომელიც ევროპაში ბუნებითი სამართლის ფართოდ გავრცელებულ შეხედულებებში pactum subjectionis-ის სახელწოდებით იყო ცნობილი. მაგრამ ეს გარემოება, თავისთავად ძალზე საინტერესო ჩვენში პოლიტიკური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, ცხადია, არ სცვლის ძველის პირველი ნაწილის შინაარსის ძირითად ინტენციას, რომელიც პოლიტიკური ფორმის პირველადი წარმოშობის საკითხისაკენ არის მიმართული და მას გარკვეულ გაშუქებას აძლევს.

სხვა საკითხია, რომ ძველის შემდგომი გავრძელება როსტომ ქვენიფენველის ისტორიის ზოგიერთ ახალ დეტალებს ურთავს, რომელნიც თანამედროვე დვალსაზრისით შეუსაბამოდ გვეჩვენება ძველის თხრობაში ასეთი კატეგორიულობით გაშლილ, ზვეით

დახასიათებულ დებულებებთან; სახელდობრ, ძველში ნაამბობი, ნახევრად ფაბულეზური ისტორია როსტომის ერისთავად დამტკიცების შესახებ მეფე იუსტინიანესაგან დიდებულთა და აზნაურთაგან (ერისთავის) მოთხოვნით და „ბირებითა ერისათა“, ხოლო მეორე მხრივ დროის იმავე მონაკვეთში იმ პროცესის მოთავსება, რომელიც ცხრა-მძისხვევლთა საზოგადოებაში დამოუკიდებელი და შინაგანი გზით პოლიტიკური ფორმის ცალკე ელემენტების წარმოშობას აპირებდა, ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან ქრონოლოგიური შეხვედრა თუმცა საერთოდ ისტორიულ შეუძლებლობას არ შეიცავს, მაგრამ სხვა ისტორიული წყაროებით არ მართლდება და ამიტომ უფრო შემდგომ პერიოდში მონაგონ ისტორიად ჩანს: მართლაც, საგვარეულო ქრონიკაში დიდი ფეოდალური სენიორიის მფლობელ ქსნის ერისთავებისა, რომელთა ცალკეულ წარმომადგენლებს, ძველის თქმით, „მეფენი შემოხვეწით სახლსაშინა მისსა მათგან ითხოვდიან მეფობასა და მისცის რომლისაცა ენებოს“ (ქრონ., ტ. II, გვ. 13), ბუნებრივია გვარის ერისთავის გენეზისის გაგება არა როგორც ნაწყლობევის იმავე ქართველ მეფეებისაგან, არამედ ბიზანტიის დიდი იმპერატორისაგან და ამის შესატყვისად ისტორიულ გადმოცემათა სტილიზაცია. მაგრამ მიუხედავად ამ მოსაზრებისა, რომელიც თანამედროვე ისტორიულ კრიტიკას შეუძლია მოიყვანოს ძველის შინაარსის ცალკე დებულებების საწინააღმდეგოდ, ძველის პირველ ნაწილში მოცემული და ჩვენთვის საინტერესო თხრობის ძირითადი ბირთვი, რომელიც ცალკეულ მნიშვნელოვან მომენტებზე მითითებას და მათ საფუძველზე პოლიტიკური ძალაუფლების წარმოშობის ახსნას შეიცავს, შეუძლებელია მონაგონ ისტორიად ჩავთვალოთ, ვინაიდან საკმარისია მას ჩამოვაცილოთ ერთი მხრივ ძველის შედგენის ეპოქით, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივ-ფეოდალური ტენდენციურობით გაპირობებული მომენტები და ჩვენ ხელთ დაგვრჩება კონცეფცია, რომელიც სწორ შეხედულებებს შეიცავს როგორც წინასახელში ფოთბრივ მდგომარეობიდან პოლიტიკურ საზოგადოებაში გადასვლის, ისე ამ გადასვლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. რადგანაც აღნიშნული საკითხები სოციალური მეცნიერების ძირითად პრობლემებს მიეკუთვნებიან და სწორ კონცეფციის გამოუმუშავება აქ მხოლოდ უკანასკნელი დროის მეცნიერულ მიღწევას შეადგენს, შეუძლებელია მას XIV—XV სს-ში მოარული თეორიის ხასიათი მივაწეროთ და ჩვენი ძველის ავტორთან მისი ელემენტები იმდროინდელი სოციალური იდეოლოგიის ზეგავლენით ავხსნათ. თუ ამის მიუხედავად ეს ელემენტები აქ სავსებით გარკვეულ ფორმაში არიან მოცემული, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ავტორი უძველესი დროიდან მოღწეული და არა თეორიული რეფლექსიის, არამედ ობიექტური სოციალური სინამდვილის პირველადი უბრალო ასახვის შედეგად გამოუმუშავებული ტრადიციით სარგებლობს, რომელშიაც უხსოვარ დროთა სოციალური ძვრების შესახებ მოგონება თაობიდან თაობამდე მიმდინარე გადმოცემის მეშვეობით ყოფილა შემონახული, და რომელიც მას (ავტორს) ქსნის საერისთავოს ისტორიული წარმოქმნის საკითხის გასაშუქებლად აქვს გამოყენებული.

ზევით მოყვანილი დებულებები პოლიტიკური ხელისუფლების წარმოშობის საკითხში, რომელნიც ძველიდან გამომდინარეობენ, უდავოდ მნიშვნელოვან ხასიათს ატარებენ; არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა აქ ძალაუფლების წარმოშობის შესახებ არსებული, უძველესი და ძველში გამოყენებული ტრადიციის პოლიტიკურ-იდეოლოგიური სტილიზაცია. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ძველის მნიშვნელობა ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით. ზოგიერთი კონკრეტი გზების გასათვალისწინებლად, რომლითაც ჩვენში პოლიტიკური ძალაუფლების წარმოქმნის პროცესი მიმდინარეობდა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კავშირი, რომელსაც ძველი გულისხმობს პრივილეგიურ სოციალურ მდგომარეობის, კერძოდ საერისთავო ხელისუფლების გენეზისისა და ადგილობრივ (მთავარ) სამლოცველოსთან საფლავზე უფლების შორის. ეს კავშირი მკაფიოდ არის ასახული ლარგვისის მამაახლისის ხუციან-დაბის-ძის სიტყვებში: „უკეთუ გნებაეს მკვიდრყოფა ქუწყანა-

სა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი აქა არს“... ამ დარიგების თანახმად, როდესაც „ყოველმან ერმან რქუა როსტომს: რა გნებავს, რათა ვჰყოთ შენთვის?“, როსტომმა „მოითხოვა საფლავი ლარგვისსა და საჯდომად სახლი შუა საყდრისშვილთა და ცხრა-ძმის ციხის-თავის ნაქონები მამული“. შემდეგში, როდესაც საკითხი ერისთავობის შემოღების შესახებ დაისვა, ეს კავშირი ნაგულისხმევია უკვე საერისთავო ხელისუფლებით აღჭურვის და საფლავზე უფლების შორის შემდეგ სიტყვებში: „ვისიცა იყოს საფლავი... მას შეგავს ყოველი გასაგებელი ეკლესიისა... და მთავრობა შეიღთა მათ ხევთა... მაშინ მოუწოდა როსტომს (იუსტინიანემ) წინაშე მისსა და... მიუბოძა შეიღნი ესე ხენი გასაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრა-ძმის ხევისა, და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა და შეაცვა ბეჰედი და საყურე და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი“. მთელი ეს ადგილი, რომლის უკანასკნელი ნაწილი ფეოდალური beneficium-ის („მიუბოძა“) დროს ალბათ ჩვენში შესასრულებელ (investitura-ს ანალოგიური) ცერემონიალის ცოცხალ გადმოცემას იძლევა, განმარტებას მოითხოვს არა მხოლოდ ისტორიულ-კრიტიკულ, არამედ უბრალო ლოგიკურ-აზრობრივი თვალსაზრისით; ეს იმიტომ, რომ ძველის ამ ნაწილში სხვადასხვა პერიოდიდან წარმომდგარ იდეოლოგიურ დაშრევებებთან გვაქვს საქმე, რომელთა შეერთების ცდა ხდება არა მხოლოდ ისტორიული სინამდვილის დამახინჯების, არამედ შინაგანი შინაარსობლივ-ლოგიკური შეუთანხმებლობის ხარჯზე; უძველესი ტრადიცია, რომელიც მისი შინაარსის მიხედვით (პირველი წარმოშობის მხრივ) მხოლოდ წარმართობის პერიოდს შეიძლება ეკუთვნოდეს, აქ გადმოტანილია მისთვის სრულებით უცხო ქრონოლოგიურ და სოციალურ ჩარჩოებში და მისი გადმოცემის ცდა არის მოცემული განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ კატეგორიებში; ამიტომ სავესებით ბუნებრივია შინაგანი შეუთანხმებლობა ისტორიულ-სოციალურად ჰეტეროგენულ ცნებებს შორის. მართლაც, თუ ჩვენ იმ პერიოდის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების თვალსაზრისზე დავდგებით, რომელსაც ძველი მიეკუთვნება, გაუგებარია, თუ რა კავშირი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ საფლავზე უფლების, ხოლო მეორე მხრივ დამკვიდრების და საერისთავო ხელისუფლების მიღების შორის, და ეს იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ დასაჯერებლად მივიჩნევთ ფაბულურ თხრობას, თითქოს „სოფელის ესე... იუსტინიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ“ ყოფილიყვნენ ლარგვისის მონასტრისათვის; ვინაიდან მაშინაც-კი მთლიანად უაზროა პირველი ამ უფლებისაგან (უფლება სასაფლაოზე) მონასტრისა და მისდამი კუთვნილი ქონების გამგებლობის უფლების და მით უმეტეს საერისთავო ხელისუფლების დამოკიდებულების პოსტულირება; სავესებით აშკარაა, რომ უფლება სასაფლაოზე, რომელიც ფეოდალური პერიოდის სხვა წყაროებითაც არის ცნობილი, დამოუკიდებელ შინაარსს-კი არ ატარებდა, არამედ გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის რეფლექსი იყო; ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ძველის ავტორისათვისაც შეუძლებელია უცნობი ყოფილიყო. გარდა ამისა, ამ გაგებით (ე. ი. ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი შინაარსით) ეს უფლება ფეოდალიზმის სოციალური და პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარეობდა და, გულისხმობდა რა თავის უკან საკმაოდ ხანგრძლივ სოციალურ ევოლუციას, არაფერი ჰქონდა საერთო საკულტო ადგილების (კერძოდ, სამარხი ადგილების) მნიშვნელობასთან პირველყოფილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევის პროცესში. რადგანაც ძველის ავტორი საკულტო ადგილის მნიშვნელობას პოლიტიკური ძალაუფლების წარმოშობის ახსნის და დასაბუთების მიზნით იყენებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ამ შემთხვევაში ძველი ტრადიციით სარგებლობს; მაგრამ ავტორისათვის, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდს მიეკუთვნება და რომლის აზროვნება ამიტომ ეპოქისათვის დამახასია-



თებელი პოლიტიკური იდეოლოგიის ხაზებით მიმდინარეობს, ბუნებრივია აღნიშნული უძველესი ტრადიციის სტილიზაცია ეპოქისათვის გასაგებ ცნებებთან და სოციალურ კატეგორიებთან შეთანხმებით, ბუნებრივია ძველი ტრადიციის ცალკეული ელემენტების სუბსტიტუცია ძველის ავტორის თანადროული სინამდვილიდან გარეგნული ანალოგიის შემცველი, მაგრამ შინაგანი ბუნების მხრივ არსებითად განსხვავებული მოვლენებით.

ასეთი დასკვნის სასარგებლოდ ლაპარაკობს ერთი არსებითი გარემოება: იმ დროს, როდესაც განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებაში უფლება კარის ეკლესიაზე და საკუთარ სასაფლაოზე ფეოდალური განკერძოებულობის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა და ფეოდალს განცალკევებით ეკუთვნოდა, ძველში ასახული უძველესი ტრადიცია, პირიქით, უთითებს, რომ „ყოველთა აზნაურთა საფლავი აქა არს“ (ე. ი., ლარგვისის მონასტერშიაო), ე. ი. ეკონომიურად და სოციალური მდგომარეობის მხრივ დაწინაურებული საზოგადოებრივი ფენი აქ წარმოდგენილია არა ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ განკერძოებულობაში, არამედ ტერიტორიულადაც ერთად შეკავშირებული კოლექტივის სახით, რის ერთ-ერთი მაჩვენებელი საერთო სასაფლაო არის. რომ ეს უკანასკნელი აქ დაწინაურებული კლასის ორგანიზაციის ისეთი ფორმის მაჩვენებელია, რომელიც აშკარად უპირისპირდება ფეოდალურ კარჩაკეტილობას და განცალკევებულობას სენიორალური ციხე-სიმაგრეებითა და გარსშემორტყმული ზღუდეებით, დასტურდება ძველის სხვა მითითებებითაც. მაგალითად, როდესაც „ყოველმან ერმან რქუა როსტომს: რა გნებაეს რათა ვჰყოთ შენთვის?“, „მან მოითხოვა საფლავი ლავისსა და საჯდომად სახლი შუა საყდრის-შვილთა, და ცხრა-ძმის ციხის-თავის ნაქონები მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრა-ძმის ხვევლთა: შუა ცხრა-ძმის ციხის-თავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუშყანანი, საფლავი ლარგვისსა და საჯდომი ქვენიფენეს“.

მოყვანილი ტექსტი უჩვენებს, რომ როსტომმა მიიღო არა მხოლოდ საფლავი იქ, სადაც „ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი... არს“ არამედ „საჯდომად სახლი შუა-საყდრის შვილთა“. ის, რომ „საყდრის შვილი“ აქ იმასვე ნიშნავს, რასაც ლარგვისის მამასახლისის სტყევებში „დიდებულნი აზნაურნი“, ე. ი. დაწინაურებულ საზოგადოებრივ ფენს, მოყვანილი ტექსტიდან საკმაოდ თვალსაჩინოა. უკანასკნელიდან ამიტომ ირკვევა, რომ ეს სოციალური ფენი, ტერიტორიულადაც სხვებისაგან გამოყოფილი, ერთად ყოფილა დასახლებული და რომ როსტომსაც აქ მიუღია „საჯდომად სახლი“. ის, ვისაც მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი მიწათმფლობელობის მანორიალური ფორმა, რომელშიაც მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი და რომელიც თითოეულ მანორს სხვისაგან განცალკევებულად და ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხურ მეურნეობებით გარშემორტყმულს წარმოგვიდგენს, ადვილად მიხედება, რომ სოციალურად და ეკონომიურად აღმაავალი საზოგადოებრივი ფენის ტერიტორიულ-ორგანიზაციული განლაგება, რომელიც ძველის მოყვანილი ტექსტით იგულისხმება, მთლიანად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს; ეს უკანასკნელი გარემოება კი უდავოდ საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის სხვაობას უთითებს.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ძველით ასახულია და ამ უკანასკნელ დასკვნას ადასტურებს. ძველის ზოგიერთი გამოთქმების მიხედვით გარკვეული ალბათობით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ყოველ შემთხვევაში, დაწინაურებულ საზოგადოებრივ ფენს იმ პერიოდში, რომელსაც ძველის დასაწყისი ნაწილი ასახავს, კიდევ შენარჩუნებული ჰქონია გვარებად დაყოფის ორგანიზაციულ-სოციალური ფორმა. მაგ., ზევით ციტირებული ტექსტის თანახმად, როსტომმა ცხრა-ძმისხვევლთაგან მოითხოვა „საჯდომად სახლი შუა საყდრის-შვილთა და ცხრა-ძმის ციხის-თავის ნაქონები მამული“; ტერმინი „სახლი“ მოყვანილ წინადადებაში შესაძლებელია ტერიტორიულ შინაარსაც გამოხატავდეს, მით უმეტეს, თუ უშუალოდ მომდევნო სიტყვებს („და ცხრა-ძმის ციხის-თავის ნაქონები მამული“) წინადადების პირველი ნაწილის („საჯდომად სახლი შუა საყდრის-შვილთა“)

შემდგომი დეტერმინაციის ხასიათს მიეცემთ; მაგრამ ასეთი ინტერპრეტაცია კი არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, ნაგულისხმევია საზოგადოებრივი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც გვარი, არა მის პირვანდელ ფორმაში, არამედ გადასხვაფერებული, ავნატური გვარის სახით, როგორც არისტოკრატიული კარჩაკეტილობისა და უფლებრივ-კულტურული განცალკევებულობის გამომხატველი, განაგრძობს არსებობას. საზოგადოებრივი ინსტიტუტების ევოლუციის შედარებითი ისტორიიდან ეს ფაქტი საკმაოდ დადასტურებულია როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე საბერძნეთის და რომის, ე. ი. იმ ხალხთა სოციალურ არსებობაში, რომელნიც ქართველური ტომების განვითარების ისტორიულ-კულტურულ milieu-ს ჰქმნიდნენ; ამიტომ, სხვა ინდიციებიც რომ არ გვექონდეს, ჩვენ უფლება გვაქვს გარკვეული ალბათობით აღნიშნული ინსტიტუტის არსებობის შესახებ დავასკვნათ ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდში. მაგრამ ცალკეული გამოთქმები, ისე როგორც სოციალური სტრუქტურის საერთო სურათი, რომელიც ძველის პირველი ნაწილის მიხედვით შეიძლება აღდგენილი იქნეს, უფლებას იძლევიან ვიფიქროთ, რომ ტერმინი „სახლი“ ტერიტორიული მნიშვნელობის (სამფლობელო) გვერდით, სამფლობელოს სუბიექტის სახით არა ინდივიდუალურ მესაკუთრეს (როსტომს), არამედ, ავნატური გვარის ორგანიზაციულ-სოციალურ პრინციპზე გამოყოფილ პირთა გარკვეულ კოლექტივს გულისხმობს (როსტომ, ბიბილა, წითლოსან და ძენი მათნი); ეს გარემოება, სხვათა შორის, ჩანს მრავლობითი რიცხვიდან, რომელიც კოლექტივის აღსანიშნავად არის გამოყენებული თხრობის შემდგომ მიმდინარეობაში: „და მისცეს ესე ყოველი ცხრა-ძმის ხეველთა: შუა ცხრა-ძმის ციხის-თავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუშქანანი, საფლავი ლარგვისსა და საჯღომი ქვენიფნევს და უწოდნეს ქვენიფნეველნი, რამეთუ სხუა სახელი არა ინებეს. მასინ იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა“... რომ მთელ ამ ეპიზოდში როსტომი მხოლოდ უფროსი წარმომადგენელია გარკვეული კოლექტივისა და რომ ამ უკანასკნელს თანამონაწილეობის უფლება აქვს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, მკაფიოდ ჩანს მოყვანილი წინადადების სიტყვებიდან: „და უწოდეს ქვენიფნეველნი, რამეთუ სხუა სახელი არა ინებეს“. ამ სიტყვებით ნაგულისხმევი სოციალური აზრი უდავოდ გამორიცხავს ამ კოლექტივის ინტერპრეტაციას ოჯახის (თუნდაც პატრიარქალური ოჯახის) მნიშვნელობით, ვინაიდან ეს უკანასკნელი, კლასობრივი საზოგადოების პირველი ჩასახვის პერიოდიდანვე, მთლიანად იფარება ყველა მის გადაწყვეტილებაში მეთაურის (pater familias) ნებისყოფით და, ყოველ შემთხვევაში, გარეშე პირთათვის მხოლოდ ეს უკანასკნელი არსებობს; ზევით მოყვანილ გამოთქმას-კი („რამეთუ სხუა სახელი არა ინებეს“) ჩვენ შევყავართ აღნიშნული კოლექტივის ნებისყოფის გამომუშავების შინაგან მხარეში, რომელიც მისი შემადგენელი წევრების საერთო გადაწყვეტილების შედეგის სახით არის აქ წარმოდგენილი. ვინაიდან ძველის მიხედვით ცნობილია, რომ ინდივიდთა ეს გაერთიანება როსტომის მეთაურობით ძირითადად სისხლითი კავშირს ემყარებოდა, შეუძლებელია მასში სხვა რამე დავინახოთ, თუ არა ავნატური გვარი, რომელიც დაწინაურებული სოციალური ერთეულის სახით საერთოდ დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს საგვარეულო წყობილების რღვევისა და კლასობრივ-პოლიტიკური საზოგადოების ქმნალობის პერიოდში. ამას უნდა მოწმობდეს აგრეთვე სახელწოდება „ქვენიფნეველნი“, რომელიც სემასიოლოგიურად გვარის აღსანიშნავად უფრო ჩანს მომარჯვებული, ვიდრე ცალკეული ოჯახის; ეს მით უმეტეს, რომ ანალოგიური მოვლენა, როდესაც გვარის სახელწოდება გეოგრაფიული წარმოშობის არის, გვაროვნული საზოგადოების რღვევის პერიოდში, საკმაოდ გავრცელებულ ხასიათს ატარებს. დაბოლოს ფიცი, რომელსაც ლარგვისის მამასახლისის ხუციან-დაბისძეს აძლევს როსტომი, უკანასკნელს გვარის უფროსად უნდა გულისხმობდეს; სახელდობრ, წინადადებაში—„და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა და შუა ნათესავისა შენისა და ჩემისა, რომელი პატივი და ხელი შენი... არა შეეცვალოს ნათესავსა შენსა უკუნისამდე“—სიტყვა

„ნათესავი“ არა მხოლოდ პირდაპირი სახით შთამომავალს, არამედ საერთოდ გვარის წევრებს უნდა გულისხმობდეს.

მოყვანილი მოსახრებების მიხედვით შესაძლებელია გარკვეული ალბათობით იმ დასკვნის გაკეთება, რომ როსტომის და მასთან ერთად გადმოხვეწილთა ინკორპორაცია ცხრა-მისხვევლებისაგან აგნატური გვარის ორგანიზაციულ-სოციალურ ფორმაში მომხდარა. ეს დასკვნა დასტურდება აგრეთვე ძეგლის იმ ნაწილიდან, რომელიც ქვენიფნველთა შემდგომ ისტორიასა და ბედს ეხება. ამ უკანასკნელის უფრო დაკვირვებული შესწავლით ირკვევა, რომ სიტყვა „ქვენიფნველნი“, როგორც გვარის აღმნიშვნელი ტერმინი, არ ემთხვევა ცალკე ოჯახის ცნებას; სახელდობრ, როდესაც ძეგლი მოგვითხრობს, რომ ქვენიფნველებმა მათი ინკორპორაციის შემდეგ „იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა“, ტერმინი „სახლი“ მრავლობით რიცხვში აქ გვარის შიგნით ცალკე ოჯახების არსებობას უნდა უთითებდეს. დამახასიათებელია, რომ ამისაგან განსხვავებით, ტერმინი „ციხე“ მხოლოდობით რიცხვში არის ნახმარი („იწყეს შენებად ციხისა“); ეს ალბათ იმიტომ, რომ იგი არა ცალკე ოჯახის, არამედ მთელი აღზეებული გვარის დაწინაურებული სოციალური მდგომარეობის ატრიბუტი და ობიექტურ-ნაყოფიერი გამოვლინება იყო, ხოლო ამის გარდა მისი მთლიანობის მაჩვენებელიც.

ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ არ შეიძლება აღნიშნული გვარის შედარებითი მცირერიცხოვანობა იქნეს მოყვანილი (სამი ძმა მათი ოჯახებითურთ), ვინაიდან აგნატური გვარისათვის, მისი ფილიაციისას უფრო მოზრდილი გვარიდან, ეს რიცხვი არა ნორმალურად ვერ ჩაითვლება. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ქვენიფნველთა შეკედლება ცხრა-მისხვევლთაგან აგნატური გვარის ფორმაში ხდება; ვინაიდან საერთოდ ინკორპორაცია უცხო სოციალური ერთეულის ათვისებას იმ სოციალურ-მორფოლოგიურ კატეგორიებში გულისხმობს, რომელნიც მიძღები საზოგადოების სტრუქტურისათვის არის არსებითად დამახასიათებელი, ჩვენ საფუძველი გვაქვს ცხრა-მისხვევლთა საზოგადოებაში სოციალურად დაწინაურებული, აგნატური გვარების (ძეგლის ტერმინოლოგიით — „დიდებულთა აზნაურთა“ გვარების) არსებობა ვიგულისხმობ.

რადგანაც ეს, აგნატური გვარების სახით წარმოდგენილი დაწინაურებული სოციალური ფენი, ფეოდალური განცალკევებულობას და დაქსაქსულობას-კი არ გვიჩვენებს, არამედ, პირიქით, ტერიტორიულად და კულტიურად დანარჩენი მოსახლეობიდან გამოყოფილ კოლექტივს; რადგანაც, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრისას „ყოველნი ცხრა-მის ხვევლნი“, „ყოველი ერი“ იღებს მონაწილეობას; დაბოლოს, რადგანაც დაბეჩავებული სოციალური ფენის სახით ძეგლის პირველ ნაწილში მხოლოდ მონიჭება დასახლებული, შეიძლება დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელნიც ძეგლში მოცემული ტრადიციით არიან ასახული, არა საბოლოოდ ჩამოყალიბებული და განვითარებული კლასობრივი საზოგადოების სურათს, არამედ პირველადი სოციალური დიფერენციაციის, გვაროვნული საზოგადოების რღვევის და კლასთა ჩამოყალიბების პირველ პერიოდს შეეფერებიან. როგორც დავინახეთ, აქ უკვე გამოყოფილია დაწინაურებული სოციალური ფენი („დიდებულნი აზნაურნი“), მაგრამ ერთი მხრივ მას შენარჩუნებული აქვს (თუცა არსებითად მოდიფიცირებულ ფორმაში) წინაკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციულ-სოციალური ფორმა-გვარებად დაყოფა. ხოლო, მეორე მხრივ, ძველ დროთა გადმონაშთის სახით, „ყოველი ერის“ მონაწილეობა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში კიდევ განაგრძობს არსებობას.

თუ ამ დეტალებებს ავიღებთ ამოსავალ წერტილად აღნიშნული ტრადიციით გათვალისწინებულ სოციალურ ურთიერთობების დაპერიოდებისას, მაშინ საკულტო ადგილის (სამარხის) მნიშვნელობას სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის თვალსაზრისით, რომელიც ძეგლში არის ასახული და რომელსაც ზევით ვუთითებდით, სხვა გაშუქება უნდა მი-

ეცეს; მაშინ მისი გაიგივება ძნელ გახდება ფეოდალურ საზოგადოებაში დიდი ფეოდალების საგვარეულო მონასტრებთან, რომელნიც, სხვა ისტორიულ ნიადაგზე წარმოშობილი, ფეოდალური კარნაკტილობისა და განცალკევების ერთ-ერთი მაჩვენებელი იყვნენ. პირიქით, უფრო სწორი უნდა იყოს ამ მიკლენაში (საკულტო ადგილის მნიშვნელობაში) დაეინახოთ საგვარეულო წყობილების რელიგიურ-კულტიური ტრადიციების გადმონაშთი კლასობრივი საზოგადოების ქმნადობის პერიოდში, მოდიფიცირებული ამ უკანასკნელის თავისებურობებთან შეფარდებით.

ასეთი ინტერპრეტაციის შედეგად ეს ფაქტი (ძველი ნაგულისხმევი საკულტო ადგილის მნიშვნელობა) ადვილად და ბუნებრივად ლაგდება საგვარეულო წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის იმ ორგანიზაციულ ფორმებში, რომელნიც საზოგადოებრივი ინსტიტუტების ისტორიული ევოლუციის შედარებით შესწავლით საკმაოდ დადასტურებული არიან. ცნობილია, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში, როგორც გვარის, ისე ფრატრიისა და ტომისათვის, სხვა ნიშნების გვერდით საერთო რელიგიური წარმოდგენებისა და კულტის არსებობა არის დამახასიათებელი. აღმოცენებული ტოტემური წარმოდგენებიდან, რომელნიც გენტილურ საზოგადოებაში ცალკე გვარების (resp. ტომების) განსაკუთრებულობის სიმბოლოს და ამავე დროს განმამტკიცებელ იდეოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენდნენ, და რომელნიც შემდეგში, ინდივიდუალიზაციის პროცესის შედეგად წინაპართა კულტის სახით გვევლინებიან<sup>1</sup>, ეს რელიგიური იდეები და საკულტო მსახურების ფორმები გვარო ვნული საზოგადოების არსებობის უფრო მოგვიანო საფეხურებზედაც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებენ; მაგრამ ამავე დროს აქ ახალი ზომენტებიც გვხვდება. რადგანაც ამ პერიოდში რელიგია სოციალური იდეოლოგიის ძირითადი ფორმაა, რომელშიაც აისახება არა მხოლოდ გარეშე ბუნება, არამედ საზოგადოების არსებობაში მომხდარი ცვლილებები, გასაგებია, რომ ამ პერიოდისათვის არსებობდა დამახასიათებელი ფაქტები—მიწაზე დამკვიდრება და სოციალური უთანასწორობა—რელიგიურ-იდეოლოგიურ ფორმებში პოულობენ თავის გამოხატულებას. საჯარო ხელისუფლების ინდივიდუალიზაცია, მისი მატარებლის როლის მთელი საზოგადოებიდან ცალკე პიროვნების, ან პიროვნებათა ვიწრო ჯგუფის ხელში გადასვლა, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის, იდეოლოგიურად, აღნიშნული პირებას რელიგიურ-კულტიური განსაკუთრებული მდგომარეობიდან და ფუნქციებიდან არის გამოყვანილი; მეორე მხრივ, გარკვეული სოციალური ერთეულისაგან (გვარი, ტომი) დამკვიდრებული ტერიტორია გაგებულია რიგორც, მთავარი ლოკალური ღვთაების საკუთრება, მისი „სახლი“ და აქედან მიწაზე სარკებლობის უფლებაც დიფერენცირებულად არის განსაზღვრული ღვთაებასთან რელიგიურ-კულტიური „სიახლოვის“ თვალსაზრისით. ყველა ეს მოვლენა ცალკე მაგალითებია რელიგიურ-იდეოლოგიური წარმოდგენებისა და იმ ორგანიზაციული ფუნქციისა, რომელსაც ისინი პოლიტიკური საზოგადოების ცალკე ელემენტების წარმოშობის პროცესში ასრულებენ. სამარხი ადგილი და მასთან დაკავშირებული კულტი, რომელნიც მთლიან რელიგიურ-კულტიურ წარმოდგენების აუცილებელ ინგრედიენტს შეადგენენ, ამავე წყების მოვლენებს მიეკუთვნებიან და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პერიოდში იმავე არათანასწორობის პრინციპს არიან დაქვემდებარებული. ევალიტარული პრინციპის უარყოფა და დაწინაურებული საზოგადოებრივი ელემენტებისათვის როგორც ცალკე სამარხის გამოყოფა, ისე კულტმომსახურების სპეციფიკური ფორმების შემოღება, ობიექტურად აღმავალი სოციალური მდგომარეობის რეფლექსი, ამ შემთხვევაშიც იდეოლოგიურად გაგებული იყო როგორც შედეგი განსაკუთრებული რელიგიურ-კულტიური სიტუაციისა; მეორე მხრივ, იმავე იდეოლოგიური აბერაციის შედეგად, აღზევებული სოციალური სტრატეგია-

<sup>1</sup> იხ. მითითება ასეთი კულტის არსებობაზე ძველ ქართველურ ტომებში, ჭართ. ცხოვრება, ნაწილი პირველი, 1923 წ., გვ. 21.

როგობაც-კი წარმოდგენილია როგორც გამომდინარე იმავე წყაროსაგან—მთავარ ღვთაებასთან მეტი სიახლოვესაგან. ეს უკანასკნელი დასკვნა საკმაოდ დადასტურებულია სხვადასხვა ხალხის ადრინდელი ისტორიის ცალკე ფაქტებით<sup>1</sup>, მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესოა სათანადო პირდაპირი თუ არაპირდაპირი მითითებები ქართულ ისტორიულ წყაროებში. ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში—როგორც ნინოს ცხოვრების შატბერდისეული და ჭელიშური ვარიანტები, ისე ლეონტი მროველის თხზულებაში—„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“—შემონახული ცნობები, მათი ლაკონიურობის მიუხედავად, მნიშვნელოვანი დასკვნებისათვის იძლევიან საფუძველს წარმართული პერიოდის რელიგიურ-იდეოლოგიური წარმოდგენების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ როგორც თეოკრატიული იდეების გავრცელების, ისე მეფეების ხელისუფლების ძლიერი რელიგიურ-კულტურული ატრიბუტების შესახებ. წარმართული პანთეონის ღმერთები აქ წარმოდგენილი არიან როგორც „მპყრობელნი ქართლისანი“<sup>2</sup>, ე. ი. როგორც ქართლის მიწა-წყლის და მოსახლეობის მესაკუთრე და უზენაესი გამგებელნი. რომ აზრთა ასეთი წყობიდან ლოგიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს მეფის მდგომარეობის გაგება, როგორც შუამავლისა ხალხსა და ღმერთებს შორის, როგორც მთავარი ქურუმის, ხოლო მისი ხელისუფლების ასახვა პირველ რიგში და არსებითად რელიგიურ-თეოკრატიულ ასპექტში—თავისდათავად იგულისხმება. მაგრამ ასეთი დასკვნა გამართლებულია ისტორიული წყაროების ცალკეული მითითებებით. მაგ., საკმარისია აღვადგინოთ დღეობის სურათი, რომელიც ნინოს ცხოვრებაშია აღწერილი, რომ მკაფიოდ წარმოვიდგინოთ რელიგიურ-მისტიკური ორეოლი, რომლითაც არა მარტო მეფე, არამედ სამეფო სახლის წევრები იყვნენ აღჭურვილი, ხოლო მეორე მხრივ განსაკუთრებული როლი, რომელიც მთელ რელიგიურ ცერემონიალში მეფეს ჰქონდა მინიჭებული: „და ვა ჟამსა ჟამმან სივლტოლად, და მიდამომალგად იყო ყოვლისა კაცისად და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშე, რ გამოსადმევიდოდა ნანა დედოფალი; და ვა განვლო ნანა დედოფალმან, მაშინდა ნელიად ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი... და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა; და მაშინ გამოვიდა მირიან მეფე თუალთ შეუღამითა ხილვითა“<sup>3</sup>. მთელი ამ, იშვიათი სიცხველით გაღმოცემული, ეპიზოდისგან მკაფიოდ ჩანს სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული სიძლიერე<sup>4</sup>, რომელიც შეუძლებელია აიხსნას ხელისუფლების დიდი ეკონომიური რესურსებით, ან ფართოდ განშტოებული ბიუროკრატიული აპარატის არსებობით, არამედ სამეფო სახლის და თვით მეფის უმაღლესი მდგომარეობით რელიგიურ-კულტურული იერარქიის თვალსაზრისით, სხვანაირად—სარწმუნოებრივი შინაარსით, რომელიც მიცემული ჰქონდა სახელმწიფოს უზენაესი მეთაურის ხელისუფლებას. ასეთი დასკვნა, სხვათა შორის, გამომდინარეობს სიყვებოდან—„და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა“—გინაიდან აშკარაა, რომ სიტყვა „ქება“ აქ შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ მეფისადმი, როგორც რელიგიური კულტის უზენაესი მეთაურისადმი მიძღვნილი სარწმუნოებრივი ჰიმნის გალობას (შეფარდებით დღეობის ხასიათთან). მაგრამ რელიგიური ნიშნისი არა მხოლოდ მეფის სოციალური და პოლიტიკური უზენაესობის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა, არამედ იგი, ალბათ, აუცილებლად იგულისხმებოდა როგორც საერთოდ სოციალური უპირატესობის ძირითადი და არსებითი წყარო. ასეთი დასკვნის სასარგებლოდ, სხვათა შორის, ის გარემოება ლაპარაკობს, რომ ციტირებულ ძეგლში სარწმუნოებრივი კულტის შემსრულებლებად არა სპეციალურად გამოყოფილ ქურუმთა კორპორაცია არის ნაჩვენები (რომელიც საერთოდ

<sup>1</sup> იხ., მაგ., P. Stengel, Die griechischen Kultusaltertümer, 1920, s. 32 f.f.; G. Wissowa, Religion und Kultus der Römer, 1912, s. 404, 481, 503 f.

<sup>2</sup> იხ. ქართ. ცხოვ. მარამ დედოფლისეული, გვ. 26.

<sup>3</sup> Опис. руюн., т. II, стр. 751.

<sup>4</sup> იხ. გვ. 753: „ვხედვედნი მეფეთა მათ ძალ დიდთა“...

სოციალური განვითარების შედარებით უფრო მოგვიანო საფეხურზე ჩნდება), არამედ, მეფის გვერდით მხოლოდ „ყოველნი მთავარნი“, ე. ი. დაწინაურებული ფენი, რომელნიც (ცხადია, სარწმუნოებრივ-კულტურული მოქმედების სახით) „იტყოდეს დამბადებლად ქვათა და ძელთა და სპილენძსა და რკინასა და რვალსა გამობერვით განჭედილსა ღმერთად, თაყუანისცემდეს“<sup>1</sup>. ტექსტის სხვა ადგილებიდან ისიც ირკვევა, რომ განსაკუთრებული სოციალური მდგომარეობა და კულტმსახურების პრივილეგია მკვიდროდ ყოფილან მაშინ ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ნათლად ჩანს მეფე მირიანის დაპირების სიტყვებიდან: „აწ უკეთუ განჭკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკვიდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა“<sup>2</sup>.

საერთო სურათი, რომელიც ზევით ციტირებული წყაროებიდან გამომდინარეობს წარმართული პერიოდის შესახებ, ეჭვს არ სტოვებს იმ არსებით და განმსაზღვრელ მნიშვნელობაში, რომელიც რელიგიურ-კულტურ მდგომარეობას ჰქონდა პიროვნების თუ საზოგადოებრივი ჯგუფის ხელისუფლებითი და სოციალური სტატუსისათვის. მაგრამ აქ უკვე წარმოშობილი სამეფოს (სახელმწიფოს) პირობებში, სარწმუნოებრივი წარმოდგენები მხოლოდ აგრძელებენ სოციალური უთანასწორობის ფიქსირების და ამავე დროს იდეოლოგიურად მათი გაპირობების ფუნქციას, რომლის პირველი გამოვლინება კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის პერიოდიდან იწყება. სწორედ ამიტომ ეს სურათი შესატყვის ისტორიულ-სოციალურ პერსპექტივას ჰქმნის ჩვენი ძეგლის იმ ადგილების სწორი განმარტებისათვის, რომელნიც საკულტო ადგილების მნიშვნელობასა და როლზე მიუთითებენ. თუ განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდისათვის მთლიანად შეუფერებელია საკულტო (სამარხ) ადგილზე უფლების ისეთი გაზვიადებული და განმსაზღვრელი მნიშვნელობა, როდესაც როგორც დამკვიდრება ცხრა-ძმისხვევლთა ქვეყანაში, ისე ეკლესიის „ყოველი გასაგებელის“ მიკუთვნება და „მთავრობა შვიდთა მათ ხევთა“ ამ უფლებიდან გამომდინარე შედეგის სახით არიან წარმოდგენილი (ვიწინიდან ამ პერიოდში ეს უფლება არა მიზეზს, არამედ ფეოდალის სოციალური მდგომარეობის უბრალო რეფლექსს წარმოადგენდა), იგი, პირიქით, საესებით შეესატყვისება პოლიტიკური საზოგადოების ქმნალობის პერიოდს, როდესაც რელიგიურ-კულტურული უფლებები, რომელნიც, რეალურად, საზოგადოებაში მომხდარი ეკონომიური და სოციალური ცვლილებებით იყვნენ გაპირობებული; იდეოლოგიურად მართლაც აისახებოდა რეალურად პიროვნების თუ პიროვნებათა ჯგუფის სოციალური მდგომარეობის *causa efficiens*<sup>3</sup>.

ამგვარად, „ძველი ერისთავთა“ სამ ძირითად მომენტს შეიცავს, რომელნიც ყურადღებას მოითხოვენ სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემის გაშუქების თვალსაზრისით:

1. დახასიათება საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რომელიც თუმცა რღვევის პროცესს გვიჩვენებს, მაგრამ პოლიტიკურ ფორმას ჯერ კიდევ არ იცნობს.
2. ამ საზოგადოების თავისებური სტრუქტურა, სახელდობრ, სოციალურად აღმავალი საზოგადოებრივი ფენის არსებობა აქ ანატურის, არისტოკრატიული გვარების სახით.
3. რელიგიურ-კულტურული მდგომარეობის (რომელიც, საბოლოო ანგარიშში, თვით ეკონომიური პირობების შედეგი იყო) განმსაზღვრელი როლი გარკვეული პირის თუ პირთა ჯგუფის სოციალური აღმავლობის პროცესისათვის.

<sup>1</sup> ib. გვ. 753.

<sup>2</sup> ib. გვ. 769. იხ. აკად. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 82.

<sup>3</sup> ასეთი ინტერპრეტაციის შედეგად ძველში დაცული უძველესი ტრადიცია საკულტო ადგილების მნიშვნელობის შესახებ ადასტურებს ჩვენს საისტორიო მწერლობაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობა პირველად კულტის მსახურთა გამოცალკევების და მათი კონცენტრირების და უფლებბრივი დაწინაურების გზით მიმდინარეობდა. იხ. აკად. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 23, 25, 31, 35—36, 37—38.

## ხონთქარის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი

დიდი მოურავის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გარკვეული ეტაპის შესასწავლად, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ. დოკუმენტის მნიშვნელობა უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქვემომოყვანილ დოკუმენტს შეუძლია ოდნავად მაინც შეაღწიროს ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ის ხარვეზი, რომელიც ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ცხოვრებისა და მოქალაქეობის შესახებ უცხოურ წყაროებში დაცული, ზოგჯერ ფრიად საყურადღებო, ცნობების უქონლობით არის გამოწვეული. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ფირმანს, რომელიც დიდი მოურავისათვის გამოუგზავნია ოსმალეთის ხონთქარს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მურად IV-ს. ჩვენი გამოცემის თურქული ტექსტი და თარგმანი დამზადებულია ახმედ ფერიდუნ-ბეგის მიერ შედგენილი და ოსმალთა სულთნების ბრძანებულებათა, გარეშე სახელმწიფოებთან მიმოწერათა და სხვადასხვა ხასიათის სიგელთა შემცველი კრებულიდან. ოსმალეთის სასახლის შინასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკის ამსახველი ამ ვეებერთელა მასალის შეგროვებითა და ქრონოლოგიურ სისტემაში მოყვანით თურქული წყაროთმცოდნეობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგისათვის ახმედ ფერიდუნს ფასდაუდებელი სამსახური აქვს გაწეული.

ახმედ ფერიდუნ-ბეგი XVI საუკუნის ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც 1583 წელს გარდაიცვალა. სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში ყოფნის შემდეგ, მან 1570 წელს მიადწია რაინ ალ-ქუთთან-ის (საგარეო საქმეთა სამდივანმწიფონობროს მეთაურის) თანამდებობას, ხოლო 1573 წელს დანიშნულ იქნა სახელმწიფო ბეკდის მცველად (ნიშნაჯი). ასეთ თანამდებობებზე ყოფნისას მას ხელი მიუწვდებოდა ოსმალთა სახელმწიფო არქივებში დაცულ მთელი ოფიციალური მიწერ-მოწერის ძეგლებზე, რომელთაგან მან გადაიღო პირები და თავი მოუყარა თავის მთავარსა და საფუძვლიან ნაშრომში, რომელიც منشآت السلاطين محمود-ის („სულთანთა ეპისტოლეების კრებულის“) სახელითაა ცნობილი. ამ კრებულში მოთავსებულია ოსმალეთის სასახლის მიმოწერა სახელმწიფოს დაარსებიდან (1299 წ.) დაწყებული, ვიდრე სულთან მურად III-ის ტახტზე ასვლამდე (1574 წ.). ფერიდუნ-ბეგის ეს კრებული ორჯერ გამოიცა სტამბოლში ორ ტომად: 1848—49-სა და 1858 წლებში. პირველი გამოცემა 735 დოკუმენტს შეიცავს, ხოლო მეორე—100 დოკუმენტით მეტს. ისტორიკოსი სელანბეგის ცნობას თუ დაეჯერება, ფერიდუნ-ბეგის შრომის ორიგინალი დოკუმენტების გაცილებით მეტ რაოდენობას შეიცავდა. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ფერიდუნ-ბეგის კრებულში ჩვენ ვხვდებით მისი გარდაცვალების შემდეგდროინდელ, კერძოდ XVII საუკუნის დოკუმენტების მთელ რიგს. ჩვენი დოკუმენტიც, მოურავისადმი გამოგზავნილი ფირმანი, ფერიდუნის ეპოქას არ განეკუთვნე-

ბა, იგი უფრო გვიანდელია. როგორც ირკვევა, ფერნდუნის სიკვდილის შემდეგ მას აღმოჩენია გამგრძელებელი, რომელთაც კრებულში შემდეგი ხანის მასალებიც შეუტანიათ<sup>1</sup>.

ამრიგად, ფერნდუნ-ბეგის კრებულში გამოქვეყნებული მთელი მასალა დოკუმენტების პირებიდანაა გადმოღებული. ჩვენს მასალაზედაც ნათქვამია, რომ იგი „პირია“ (صوري). პირია, უნდა ვიფიქროთ, გადმოღებული იმ ფირმიანიდან, რომლის დედანიც მოურავს გამოეგზავნა საქართველოში. პირის ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ მას დედანთან შედარებით ზოგი რამ აკლია. მაგალითად, მოურავი მხოლოდ დოკუმენტის სათაურშია მოხსენებული, შიგ ტექსტში მისამართი ტიტულის შემდეგ მოსალოდნელი მოურავის სახელი გამოტოვებულია და დაბეჭდილში სათანადო ადგილი სახელისათვის დატოვებულია (იხ. აქვე გვ. 236, შენიშვნა 6). ასევე არ არის მოყვანილი ზოგიერთ მოქმედ პირთა სახელები, რაც ჩვენ თავ-თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს. ჩვენ არაფერი ვიცით აგრეთვე დოკუმენტის გარეგნული გაფორმების შესახებ. ჩვენ არა გვაქვს გამოირიცხული შესაძლებლობიდან, რომ სადმე საქართველოში ამ დოკუმენტის დედანი აღმოჩნდეს. ჩვენ ამჟამად ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებათა გამო არ გვქონდა შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის თურქულ ფირმიანთა კოლექცია გადაგვესინჯა.

ჩვენი დოკუმენტის პირს თარიღი არ უზის, მაგრამ მისი დათარიღება სიძნელეს არ წარმოადგენს. ამისათვის ჩვენ უნდა მოვიგონოთ მარტყოფთან მოურავის მიერ ყიზილბაშის ჯარის განადგურება, რის შემდეგაც მან განაგრძო მტერთან ბრძოლა, აიღო თბილისი, განჯა, დაეცა ყარაბაღს და განზრახვა ჰქონდა შაჰ-ყაბბანს ირანში შესეოდა ისე, რომ მტრისათვის ძალ-ღონის მოკრეფის საშუალება არ მიეცა<sup>2</sup>. ამავდროს მოურავს, როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს, კარგად ესმოდა ისიც, რომ ძლიერი ტირანის შაჰ-ყაბბანის წინააღმდეგ ამ გეგმის განსახორციელებლად მარტო საკუთარ ძალებზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა. ამიტომ მან ყარჩილაჟ-ხანზე გამარჯვებისთანავე იმ დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში მყოფ ოსმალეთის დიდ-ვეზირსა და მთავარსარდალს ჰნთეზ-ფაშას თავის ვაჟის ავთანდილისა და რამდენიმე წარჩინებულ პირთა შემადგენლობით დელეგაცია გაუგზავნა. გაგზავნილებმა დიდ-ვეზირს გადასცეს მოურავის წერილი, რომელშიაც ის მოუწოდებდა ოსმალთა ჯარის ხელმძღვანელობას ესარგებლა ამ ფრიად ხელსაყრელი მომენტით, გამოეგზავნათ ამიერ-კავკასიაში ჯარე და დადევნებოდნენ ყიზილბაშს<sup>3</sup>. როგორც ცნობილია, ოსმალთა ჯარის სარდლობამ ვერ შეაფასა ეს დიდად ხელსაყრელი მდგომარეობა და დელეგაცია უარით გამოისტუმრა. ამის შემდეგ ყისან-ხანის სარდლობით ყიზილბაშთა მიერ მარაბდასთან ქართველების დამარცხებამ მდგომარეობა უფრო გაართულა. ისტორიკოსი ფეჩევენს მოწმობით, მოურავის მიერ წარდგენილი პირები ოსმალთა ჯარის ბანაკში 1624 წლის 3 ივლისს ჩავიდნენ. ცხადია, დიდი ვეზირისაგან უარის მიღების შემდეგ არის, რომ მოურავი ხონთქარს აუწერს შექმნილ მდგომარეობას და უგზავნის მას იმ წერილებს, რომლის მიღებასაც ადასტურებს ხონთქარი ქვემოთ მოყვანილ

<sup>1</sup> ფერნდუნ ახმედის მოღვაწეობისა და შრომების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: J. H. Mor dt m a n n, Enz. d. Islam, ტ. II, გვ. 100; Fr. B a b i n g e r, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, გვ. 106; А. Крымский, История Турции и ее литературы, М., 1916, ტ. I, გვ. 349, შენიშვნა 2.

<sup>2</sup> იხ. პროფ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე, თბ. 1940 (ხელნაწერის უფლებით), გვ. 326.

<sup>3</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი „იბრანჰმე ფეჩევენი საქართველოს შესახებ“, ვენიკი-ს მოამბე ტ. V-VI, გვ. 384 და შემდ. ჩვენ აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით გავასწოროთ ფეჩევენის ისტორიიდან თარგმნილ მასალაში მოურავის შესახებ მოყვანილი ცნობის ერთი ადგილი, რომელიც, როგორც შემდგმვენი ვხედავთ, არაზუსტად არის გადმოცემული. მარტყოფთან ბრძოლის დამთავრებისთანავე ოსმალთა ჯარ-



ფირმანში. თუ კი 1624 წლის ივლისის დასაწყისში მოურავის დელეგაცია აღმოსავლეთ ანატოლიაში იყო, მისი დაბრუნებას საქართველოში, ხონტქრისთვის ფირმანში მოხსენებული მეჭმედ სანჯაყ-ბეგისა და ცალნი-ჩაუშის ხელით წერილების გაგზავნისა და მოგზაურობისათვის და ხონტქრის ფირმანში ჩამოთვლილ ღონისძიებათა მისაღებად უნდა ვივარაუდოთ დრო არა ნაკლები 2-3 თვისა. ამრიგად, მოურავისაგან მიღებული წერილების საპასუხო ჩვენი ფირმანი დაწერილი უნდა იყოს 1624 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფირმანის გამცემი ხონტქარი მურად IV-ა, რომელიც 1623-დან 1640 წლამდე მეფობდა.

ქვემოთყვანილი დოკუმენტი მოთავსებულია *مجموعه منشآت السلاطين افراسيدون بك*-ის II ტომში, გვ. 311—312<sup>1</sup>.

რის ბანაკში საზეიმო პირობებში ჩასულთა რიცხვში მოურავიც არის ნაჩვენები, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმე იმაშია, რომ სწორედ ამ ადგილას თურქული ტექსტი რამდენადმე ბუნდოვანი და ასეთი გაგების სასარგებლოდ ექვის აღმძვრელია. ამიტომ თარგმანში ოსმალთა მთავარსარდალთან საქართველოდან ჩასულ პირთა შორის, მართალია, არა როგორც უშუალოდ ტექსტიდან გაზომინარე, არამედ როგორც საგულისხმებელი რამ (კვადრატულ ფრჩხილებში), მოურავიც არის დასახელებული. შემდეგში ტექსტის სათანადო ადგილის შემოწმებამ (იხ. *تاریخ سلاجوق*, ტ. II, 403—404) და სხვა ისტორიული რეალიების გათვალისწინებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ყირჩილდა-ხანის დამარცხების პირველ ხანებში მოურავი ანატოლიაში არ გადასულა და ის ამ დროს საქართველოსა და მის გარეთაც წარმატებით განაგრძობდა ბრძოლას ერანელებთან. ამას, სხვაც რომ არაფერი იყოს, უდავოდ ხდის იმავე წყაროს შემდეგი ადგილი ცოტა ქვემოთ (იხ. დასაჯელ. ნაშრომის 385-ე გვ.); წარგზავნილებმა „მოურავის წერილობითი პატაკი მიაწოდეს“ ჰაფიზ-ფაშას „და მისი შინაარსი ვრცელი ახსნა-განმარტებებით მოახსენეს“. ცხადია, თუკი დელეგაციას მოურავის წერილობითი პატაკი მიჰქონდა, მოურავი იქ არ იქნებოდა. ამრიგად, ჩვენი თარგმანის 385-ე გვერდის მე-7 და მე-10 სტრიქონში კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულა სიტყვები—„მოურავი“ და „მოურავმა“ უნდა მოიხსნას.

<sup>1</sup> პროფ. ნ. ბერძენიშვილს, რომელმაც დოკუმენტის ჩვენი თარგმანი წაიკითხა ხელნაწერში და სასარგებლო შენიშვნები მოგვცა, ვუცხადებთ გულითად მადლობას.



بد معاشك اولجانبلره مضرت قصدى اولوب  
 عيادا بالله تعالى شاه كمرهك كيجه و كوندوز  
 فكر فاسدى و خيالى كاسدى كرجستان  
 ديارلرينى قبضه تصرفارينه كتورمك و اولوطرفده  
 ممالك محروسه محدودينه ضرر و كزند  
 ايرشديرمك اولديغن اعلام ايدوب وقتيله  
 دشمن بي دين و رفضه ضلالت قربنك دفع  
 مضرتلرى تداركى لازمدر ديو بو جانبدن عسكر  
 و امداد طلب ايلمش سن و بالجمله دشمن  
 احوالنه متعلق هر نه تحرير و بيان ايلمش  
 ايسك جملهسى على وجه الكمال معلوم علم  
 شاهانه اولمشدر عرض و اعلام ايلديكك اوزره  
 اعداى دينك فكرلرى كرجستان ايدوكى  
 محقق و سرحد مزبوره امداد اولتمقى اهم  
 امور دين و دولتمدن اولديغى معلوم همايونم  
 اولمغله حاليا باتوم بكربكيسى امير الامراء  
 الكرام عمر دام اقباله ابالتى عسكريله و  
 چالدر كويريسى بكى مرتضى و بروجه  
 اربىلق سنجاغنه متصرف اولان سفر دام  
 اقبالها و كرجستان طرفنده واقع اولان  
 حكام و امرا حكومتلرند اولان عسكر  
 لريله جمله امدادكه تعيين اولتوب و مشاراليه  
 عمر دام اقباله اول سرحدلرك اهل وقوفى و

სათვის<sup>9</sup> დაწვრილებითი და ვრცელწ წვრი-  
 ლები გამოგიგზავნია. [წერილების] შინაარ-  
 სით მაცნობებ, რომ უბედურ ყიზილბაშს  
 სწადია მავ მხარეები დააზარალოს და, მა-  
 ლაღმა ალღჰჰმა დაგვიფაროს, გზადანებული  
 შჰჰჰის დღისა და ღამის უწმინდურ განზრახ-  
 ვასა და ფუჰ ოცნებას შეადგენს საქართვე-  
 ლოს ქვეყნების დაპყრობა და მავ მხარეში  
 ჩემი ღვთივდაცულ ქვეყანათა<sup>10</sup> საზღვრებისა-  
 თვის ზიანის მიყენება. [იწერები აგრეთვე],  
 რომ საქიროა დროულად ღონისძიებათა მი-  
 ლება ურჯულო მტერთა და უკუღმართ გზაზე  
 შემდგარ რწფიზრებისაგან<sup>11</sup> [მოსალოდნელ]  
 სიავეთა თავიდან აცილებათ და ითხოვ აქე-  
 დან ჯარსა და შველას. ყველაფერი ის, რაც  
 შენ მტრის მღვგომარეობის შესახებ დაგწერა  
 და მოგიხსენებია, ჩემს სამეფო დიდებას სრუ-  
 ლად ეცნობა. ვინაიდან, როგორც შენ მომახ-  
 სენებ და მაუწყებ, ჩემი უდიდებულესობისა-  
 თვის ცხადი შეიქნა, რომ სარწმუნოების  
 მტერთა მიზანს უეჭველად საქართველო შე-  
 ადგენს და ვინაიდან ხსენებული საზღვრისა-  
 თვის დახმარების აღმოჩენა ჩემს რელიგიურ  
 და სახელმწიფო საქმეებში ყველაზე უფრო  
 მნიშვნელოვანია, ამიტომ შენს მეშველად და-  
 ინიშონ ყველა [ქვემოხსენებულნი]: აწ ბათუ-  
 მის ბეგლარბეგი წარჩინებული ემირთა-

კერძოდ სამეფო კარის, ე. ი. სასახლის სამსახურში მყოფ ჩაუშებს ვვალდებოდათ ხონტქრისა და დიდი-ვეზირის ბრძანებულებათა გამოცხადება დაინტერესებულ პირთათვის და ამ ბრძანებულებათა სისრულეში მოყვანა. ჩაუშების, უფრო ჩაუშ-ბაშიების, მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლების შეხვედრა და მათი წარდგენა სულთნისათვის. ჩაუშები იგზავნებოდნენ უცხო სახელმწიფოებში საგანგებო მონდობილობით. ჩაუშების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. Enzykl. d. Islam-ში Cl. Huart-ის სტატია (ტ. I, გვ. 864).

აქ მოხსენებულ მგჰმდ სანჯაყ-ბეგისა და ყალნ-ჩაუშის შესახებ სათანადო ლიტერატურაში სხვაცნობა არ მოიპოვება.

<sup>9</sup> سادات — სიტყვისიტყვით: 'ბედნიერების ზღურბლი', ე. ი. (აქ) ხონტქრის სასახლე.

<sup>10</sup> ტექსტის محروسه ممالك სიტყვისიტყვით 'დაცულ, ღვთივდაცულ ქვეყნებს' ნიშნავს. ასე იხსენიება ზოგ ოფიციალურ დოკუმენტში ოსმალეთის სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია.

<sup>11</sup> რწფიზრ (رافضى) — არაბ. رفضه ნიშნავს საერთოდ მართლმორწმუნე მოძღვრისაგან განდგომას, მწვალებლობას; აქედან რწფიზრ — სარწმუნოების სწორი გზიდან გადაცდენილი, მწვალებელი. კერძოდ, ისლამის შიიტური სექტის მიმდევარი. ოსმალები შიიტებსა და საერთოდ ვრანელებს რწფიზრებს უწოდებდნენ (იხ. Bianchi et Kieffer. Dictionnaire turc-français. Paris, 1801 ტ. I, გვ. 913; აგრეთვე, Redhouse, Turkish and english lexicon. Constantinople, 1921. გვ. 957).

اموردیده و نامداری اولمغله ذکر اولنان  
طوایف عسکره سرعسکر نصب اولنوب  
جملهسی بلاتوقف یرلرندن قالقوب واروب سکا  
ملاقی و ملحف اولوب وجه مناسب کورلدوکی  
اوزره اغور همايونمه خدمت و دفع  
مضرت خصوصه بذل همت ایدلدیر دیو مؤکد  
اوامر شریفه ایله فرمان همايونم صادر اولمشدر  
و بوناردن ماعدا سده سعامتارمدن دخی  
یکیکچری قوللرم تعیین اولنوب کمی ایله  
طریزونه چیقوب ائدن سرعسکر مشارالیه ایله

ემირი<sup>12</sup> ყო მე რ ი<sup>13</sup>—ხანგრძლივი იყოს მისი კეთილდღეობა — მის[დამი რწმუნებული] ეი-ლნაფეთის ჯარით, ჩალდირის-ხიდის<sup>14</sup> ბეგი მურთაზ<sup>15</sup>, არფალიკის<sup>16</sup> წესით თავისი სანჯაყის მფლობელი საფარ<sup>17</sup> — ხანგრძლივი იყოს ორთავეს კეთილდღეობა—და საქართველოს მხარეების [სხვა] მმართველები და ემირები მათ განკარგულებაში მყოფი ლაშქართურთ. ვინაიდან ზემოხსენებული ყო მე რ ი — ხანგრძლივი იყოს მისი კეთილდღეობა — მავ სანჯაყების კარგი მცოდნე, გამოცდილი და სახელმოხვეჭილია, ამიტომ ზემოხსენებუ-

<sup>12</sup> არაბ. أمير الامرا — ემირ ულ-უმერან 'ემირთა ემირი' (იხ. ზემოთ, შენიშვნა 5), საპატიო ტიტული პროვინციის (ეილნაფეთის) მმართველი ბეგლარბეგისა; ზოგჯერ ემირ ულ-უმერან ბეგლარბეგისა და მირმირანის მნიშვნელობითაც იხმარება (Bianchi და Kieffer-ის ზემოთ დასახელებული ლექსიკონი, გვ. 202).

<sup>13</sup> ცომერ-ფაშახე მ. ს. მიერ შედგენილ ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეების ბიოგრაფიულ კრებულში, *سجل عثمانی*, ში, შემდეგი ცნობაა მოცემული: 1602 წელს მას ებოძა ფეჩენის სანჯაყი, 1617 წელს მან მიიღო ბათუმის ბეგლარბეგობა და 1631 წლის შემდგომ ხანებში ბათუმშივე გარდაიცვალა. მამაკი, ერთგული და მართალი კაცი იყო (იხ. დასახელებული თხზულების III ტომი).

<sup>14</sup> სხვა წყაროებში ეს ადგილი ჩაღლირად იხსენიება და არა ჩაღლირისხი და დ. ისტორიკოსი ნაენმა, მაგალითად, ასე წერს *سفر بکریسی* — ჩაღლირის ბეგლარბეგი საფარ-ფაშა (იხ. *تاریخ نعیم*, ტ. III, გვ. 242).

<sup>15</sup> მურთაზ-ფაშა, M. Süreyya-ს მოწმობით, ახალციხის ათაბაგების გვარეულობიდან იყო. 1617 წ. ის გახდა ჩალდირის ბეგი, ამ თანამდებობაზე დიდ ხანს იყო და დიდად გაითქვა სახელი. 1635 წელს ერანელებს ტყვედ ჩაუვარდა, ხოლო დახვედრის შემდეგ განთავისუფლდა. გარდაიცვალა, წერს Süreyya, იბრაჰიმის სულთნობის უკანასკნელ წლებში (იხ. *سجل عثمانی*, ტ. IV, გვ. 360). სულთან იბრაჰიმი 1648 წელს გარდაიცვალა.

<sup>16</sup> არფალიკი (თურქ. arpa 'ქერი' + ფიქსი lik, arpalık — 'ქერისა, საქერო') აქ ნიშნავს 'ქერის ფულს'. არფალიკი ფეოდალური სისტემის დროინდელი ტერიმინა და ეწოდება იმ ადგილ-მამულს, რომელიც ებოძებოდათ ლაშქრობაში ცხენოსანი ჯარით მონაწილე სიფაჰებსა და სხვა დიდ მოხელეებს, როგორც დამატებითი შემოსავლის წყარო ცხენების გამოსაკვები ქერის საფასურის სახით. შემდეგში საარფალიკო მამულის შემოსავალი ნაღდად თუ ნატურით ეძლეოდათ აგრეთვე დამსახურებულ სახელმწიფო მოღვაწეებსა და მაჰმადიანთა მეცნიერებს—უღლებებს, უკვე როგორც საცხოვრებელი სარჩო, უღუფა. ქართულ წყაროებში არფალიკის შესატყვისი „სარჩო“ უნდა უყოს. ეგნატაშვილი ბერის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“, მაგალითად, ნათქვამია „და მაშინ გაუფხავნა ბატონმა თეიმურაზ ხონთქარსა კაცი, შეეხეწა და სთხოვა სარჩო. ხ' ხონთქარმა სხვა ვეღარა გააწყურა და მისცა გონიასა და ახალციხესა და გარეშემო რისა მამული სარჩო და (ჯახი ჩვენია. იხ. „ახალი ქართლის ცხოვრება“ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, გვ. 145 11-12), ან კიდევ ხონთქარმა იბრაჰიმმა „მოსცა სარჩო და სანჯაბები“ (იქვე, გვ. 147 14-15). ი. ტ უ ი ლ ე ლ ს ა ც აქეს ამის შესახებ: „სხვაც გვიბოძა მამულები, სარჩო კარგი სანჯაბები“ (დიდმოურავიანი, გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს რედაქციით, გვ. 58, 429 i) და სხვაგან. არფალიკზე უფრო დაწვრილებით იხ. *Enz. d. Islam*-ში F. Giese-ს წერილი, ტ. I, გვ. 477.

<sup>17</sup> საფარი, ცნობილი საფარ-ფაშა ათაბაგი, ქრისტიანობაში ბეჟა III. M. Süreyya საფარ-ფაშაზე ასეთ ცნობას იძლევა: „საფარ-ფაშა სულთან მურად-ხან IV-ის დროს (1623—1640 ს. ჯ.) ემირთაგანი იყო და ყარსის ციხისთავი გახდა. 1628 წელს ერანელებზე გაიმარჯვა და ახალციხისა და ჩალდირის ბეგლარბეგი გახდა. შემდეგში ყარსის ციხისთავის თანამდებობაც დაემატა. ამ თანამდებობაზე დიდხანს იყო და გარდაიცვალა 1651 წელს. თუმცა მისი ადგილი მისმა ძმამ დაიკავა, მაგრამ 1652 წელს გადაყენებულ იქნა. მისი [საფარის] შვილი არსლან მეჰმედ-ფაშა“ (იხ. *سجل عثمانی*, ტ. III, გვ. 51). ვ. ა. ხ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი თავის „საქართველოს ცხოვრებაში“ საფარს ასე იხსენიებს „ბეჟე განუ საფარ-ფაშა. ი წ ლ ი ი ფ ა შ ა“ (ზ. ქ ი ნ ი ა ძ ი ს მეორე გამოცემა, თბ. 1913, გვ. 255). ქართული და თურქული წყაროების ცნობები საფარის გაუაფებისა და სიკვდილის შესახებ ერთიმეორეს არ ემთხვევა. ამ თვალსაზრისით თურქული წყაროების მონაცემები ნაკლებად სანდო უნდა იყოს.

معا سکا واروب ملاقی و ملحق اولمق اوزره  
 درلر و ایالت اناطولیدن دخی زعما و ارباب  
 تیمار ایله عموما ارضروم و ایالت طربزونده  
 اولان یکچیریاری ضابطلریله امدادکه مأمورلر  
 اولوب معجلا اخراج و محل ماهوره ارساللر  
 یچون حکام طاغستانه خلع فاخرمه ایله اوامر  
 شریفه کوندربلوب سز یریکردن حرکت  
 ایندوکنز کبی انلر دخی عسکرلریله حرکت  
 ایلیوب امداد ایلملری فرمانم اولوب و کورل و  
 دادیان و اجف باش ملکری دخی آستان  
 مخلد الارکان و دودمان مشید البینانمه اولان  
 عبودیت و اتقیدلری اوزره سزکله یکدیل و  
 یکجهت اولوب ادای خدمته سعی و دقت  
 ایلملریچون اوامر شریفه ارسال اولنمشدر و  
 ایالت اناطولینک معتبر و نامدار سنجاقلرندن  
 کنزی سنجاغی سکا آرپدلق صدقه و عنایت  
 اولنوب جانبدکن ضبط اولنمق اوزره در ایمدی  
 سندخی جبلتکنده مرکوز و نهادکنده مرموز  
 اولان وفور غیرت و فرط شجاعت و حمیت  
 موجنبجه وار قوتی بازوی همته کنوروب  
 تحت حکومتنکده اولان کرجستان عسکرندن  
 ماعدا ممکن اولدقجه سائر کرجستان بکلرندن  
 و یرار نامدارلرندن ترغیب ایله مستوفی آدم  
 جمع ایدوب و ذکر اولنان بکلریکلرله  
 خیرلشوب قنغی محلده مناسب کوریلور ایسه  
 درنک و جمعیت ایدوب دقتضای وقته انب و  
 دولت علیه مه اولی و اتق اولان وجه اوزره  
 ادای خدمته صرف غیرت اولنوب اعدای

ლი ჯარების მთავარსარდალად დანიშნოს  
 იგი. ყველა ესენი დაუყოვნებლივ დაიძრან თა-  
 ვიანთი ადგილებიდან, გაემართონ და შენ  
 შეგვიერთდნენ და ჩემი უდიდებულესობისა-  
 თვის სამსახურის გაწვევისა და დაზარალების  
 თავიდან აცილების საქმეში იხმარონ ყოველ-  
 გვარი ღონე, როგორც კი შესაფერისად იქ-  
 ნება ცნობილი, რაშიაც გაიცა ჩემი მტკიცე  
 და დიდებული ბრძანების [შემოცველი] უზენა-  
 ესი ფირმანი ჩემი. ამათ გარდა, ჩემი ბედნი-  
 ერების საყრდენ ზღურბლიდანაც<sup>18</sup> გამოიყო  
 ჩემი დანიშნულნი<sup>19</sup> ნაწილები, რომელნიც ემ-  
 ზალებიან გემით ჩავიდნენ ტრაპიზონს და  
 იქიდან ზემოსხენებულ მთავარსარდალთან  
 ერთად მივიდნენ შენტან და შემოვიერთდნენ.  
 შენტონის დახმარების გაწვევა ებრძანა აგრეთ-  
 ვე ანატოლიის ვილადეთების ზაყნმებსა და  
 თნმარის პატრონებს<sup>20</sup> და სრულიად არზრუ-  
 მისა და ტრაპიზონის ვილადეთში მყოფ დანი-  
 ჩარებს თავიანთი მეთაურებითურთ. ჩემ საპა-  
 ტიო სამოსლებთან ერთად ჩემი დიდებული  
 ბრძანებები გაეგზავნა [აგრეთვე] დალისტნის  
 მმართველებს, რათა მათ სასწრაფოდ გამო-  
 იყვანონ [ჯარი] და გამოაგზავნონ დანიშნულ  
 ადგილას. ჩემი მათდამი ბრძანებაა რათა,  
 როგორც კი თქვენ თქვენი ადგილიდან და-  
 იძვრებით, ისინიც თავიანთი ლაშქრით წა-  
 მოვიდნენ და მოგეშველონ. დიდებული ბრძა-  
 ნებები დაეგზავნა აგრეთვე გურიის, სამეგ-  
 რელოსა და იმერეთის<sup>21</sup> მეფეებს მასში, რომ,  
 ჩემი სამარადისო ტახტისა და შეურყეველი  
 ჩემი დინასტიისადმი მათი ერთგულებისა და  
 მორჩილების შესაბამისად, თქვენთან ერთსუ-

<sup>18</sup> سده سعادتمدار — ბედნიერების საყრდენი ზღურბლი, ამ შემთხვევაში — ქალაქ სტამბოლი.

<sup>19</sup> თურქ. yeniceri ქართულში იანიჩარად, ან, უფრო ძველი თურქული ფორმის დაცვით, ენიჩარად (იანგიჩარად) არის გადმოსული. იანიჩარი სიტყვისიტყვით 'ახალ ჯარს' ნიშნავს. იანიჩარი — ოსმალეთის სა-  
 ხელმწიფოს რეგულარული ჯარია, სულთან ორხანის მიერ ორგანიზებული 1330 წელს და სულთან მაჰმუ-  
 დის მიერ გაუქმებული 1826 წელს.

<sup>20</sup> ზაყნი (არაბ. زعيم, ტექსტში მრავლობითის ფორმითაა მოცემული زعماء — ზუყემან) — ად-  
 დებული მამულის მფლობელი ფეოდალი. ზიყნმეთის წლიური შემოსავალი 20.000 ახაზუ მეტი უნდა ყო-  
 ფილიყო. მამული, რომელსაც 20.000 ახაზუ ნაკლები შემოსავალი ჰქონდა, იწოდებოდა تیمار — თიმარად.  
 ზაყნმები და თნმარის პატრონები მოვალენი იყვნენ სამეფო ლაშქრობაში მიეღოთ მონაწილეობა გარკვეული  
 რაოდენობის ჯარით.

<sup>21</sup> „გურია“ ტექსტში كورل — გურ[ი]ელადაა გადმოცემული, ისევე როგორც სამეგრელოც მისი  
 მთავრის دادیان — დადიანის სახელით იხსენიება. იმერეთს, როგორც ცნობილია, თურქები აჩი-  
 ბაშ ეძახდნენ.

دينك حرکت پرنكبتلری نه یوزدن اولورسه  
 بعون الله تعالى حسن تدبير دليذير ايله دفع  
 مضرتلرنده فرصت ال ويردكجه قزلباش بد  
 معاشك پنجه تغلبلرینه كرفتار اولان قلاع و  
 بقاعك فتح و تسخيرى بابنده جان و دلدن  
 بذل مقدور ايليوب كمافى الاول بلطف الله  
 تعالى قزلباشه وجود ويرميوب اول سرحدلر  
 كر كى كىي محافظه اولنديغندن غيرى بو  
 سنه دخى اولطرفدن دشمنه كوشمال ويريلوب  
 دين و دولتمه لايق و رضاي همايونمه موافق  
 و صلاح حال عباد و انتظام بلاده مطابق  
 انواع خدمات جميله وجوده كتورمك بابنده  
 فرمانم اولمشدر آستان سعادت آشيانمه اولان  
 صداقت و اخلاص و عبوديت و اختصاصك  
 مستوجب رافت واقع اولمغين حقهكده مزيد  
 عنایت خسروانهم ظوره كتوريلوب خاصه خلج  
 فاخرمدن بر ثوب خلعت مورث الیهجت  
 عنایت و احسان اولنوب فلان ايله ارسال  
 اولمشدر بيوردمكه حكم شريفم وصول  
 بولدقده انعام و ارسال اولنان خلعت فاخره و  
 كسوت باهرمهى انواع تعظيم و اكرام و  
 اصناف توقير و احترام ايله استقبال ايدوب  
 الوب كيوب دخى حقهكده صدور بولان  
 احسان فراوانم مقابلهسنده غيرت كمرين ايكي  
 يردن قوشانوب تحت حكومتكده اولان كرجهستان  
 عسكرندن ماعدا ممكن اولدقجه حسن استمالتله  
 اطراف و اكنافده اولان كرجهستان بگيرين و  
 نامدارلرين يانكه كتوروب يوهافيوما درنك و  
 جمعيتك ازدياد بولمغه و اعدا اوزريشه غالب  
 اولمغه سعي ايدوب و امدادكه مأمور اولان  
 مشاراليه طربزون بگريكيسى عمر دام اقباليه  
 ايله ذكر اولنان طوايف عسكر ايله مناسب  
 كوريلان محله جمعيت و درنك ايدوب  
 عيادا بالله تعالى اعدا طرفندن اوزريكزه هجوم  
 و حرکت و كرجهستان مملكترلرینه قصد مضرت

ლოვანნი იყვნენ და სამსახურის შესრულებას  
 გულმოდგინებითა და ყურადღებით მოეკი-  
 ლონ. ანატოლიის ვილანეთის პატივდებული  
 და სახელოვანი სანჯაყთაგანი, სან-  
 სან<sup>22</sup>-ს-კნი, შენ გებოდა არფალიკის<sup>23</sup> წესით და  
 შენ მიერ დასაკავებლად მზადაა. ახლა შენც,  
 შენს ბუნებაში თანდაყოლილი დიდი თავგა-  
 მოდების, განუზომელი მამაცობისა და გმი-  
 რობის შესაბამისად, მოიკრიბე რაც ძალი და  
 ღონე გაქვს და შენი მმართველობის ქვეშ  
 მყოფი საქართველოს ჯარის გარდა, შესაძ-  
 ლებლობის ფარგლებში, საქართველოს სხვა  
 ბეგები და გულადი წარჩინებულები წაახა-  
 ლისე და საქმარისი ხალხი შეკრიბე და ზე-  
 მოხსენებულ ბეგლარბეგებს დაუკავშირდი.  
 შეიკრიბენით იმ ადგილას, რომელიც მოხერ-  
 ხებულად იქნეს ცნობილი და მალალი ჩემი  
 სახელმწიფოსათვის, დროის საჭიროებათა მი-  
 ხედვით, სამჯობინო და მეტად სასარგებლო  
 სამსახურის გასაწევად დიდი მუყაითობა გა-  
 მოიჩინეთ. სარწმუნოების მტერთა ბოროტე-  
 ბით აღსაყვ მოქმედებათაგან მარცხის თავი-  
 დან ასაცილებლად, რა მიზეზითაც არ უნდა  
 იყოს ეს [მარცხი] გამოწვეული — მალალი  
 ალლაჰის შემწევობით — კეთილგონიერული ღო-  
 ნისძიებები იხმარეთ [და], როგორც კი შე-  
 მთხვევა მოგეცემათ, უბედურ ყიზილბაშთა  
 მტაცებლურ კლანჭებში ჩავარდნილ ციხე-  
 სიმაგრეთა და ადგილთა დაპყრობისათვის  
 სულითა და გულით მთელი თქვენი ძალ-ღო-  
 ნე არ დაზოგოთ და წინანდებურად, მალალი  
 ალლაჰის წყალობით, ყიზილბაშს სიცოცხლე  
 არ შეარჩინოთ. გარდა იმისა რომ მაგ სა-  
 ზღვრები ჯეროვნად უნდა იქნეს დაცული,  
 ამ წელსაც მაგ ადგილებში მტერი უნდა და-  
 ისაჯოს. გასწიეთ მრავალგვარი კეთილი სამ-  
 სახური, რომელიც სარწმუნოებისა და ჩემი  
 სახელმწიფოსათვის ღირსეული, ჩემი უდიდე-  
 ბულესობის ნების შესაფერი, ქვეშევრდომთა  
 მდგომარეობის გამაუმჯობესებელი და ქალა-  
 ქებში წეს-რიგის [დამამყარებელი] იყოს, რა-

<sup>22</sup> სან-სანჯაყის ადგილმდებარეობა ჩვენ ამჟამად ვერ დავადგინეთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენს ხელში მყოფი ლიტერატურის მიხედვით ეს ვერ მოხერხდა. ვფიქრობთ, რომ ეს სახელი დამახინჯებულად უნდა იყოს დაბეჭდილი და დოკუმენტის დედნის გარეშე, ან ვიდრე ამ საკითხზე სხვა წყარო არ აღმოჩნდება, მისი გამორკვევა ვაჭირდება.

<sup>23</sup> იხ. ზემოთ შენიშვნა 16.

اولورسه حسن تدبير و تداركه دفع مضرت  
 اولنوب ممالك محروسه مدن بر محله ضرر و  
 كرتد ايرشدرمامكه و فرصت ال ويرد كجه  
 اولطر فرلده كرجستان قلاعندن و غيريدن  
 قزلباش كفر فاشك اللرنده اولان قلاع و بقاعك  
 انتزاعي بابنده بذل همت ايدوب اغور همايونمه  
 انواع يوزاقلقلى وجوده .كتورمكه اقدام  
 تام و اهتمام مالاكلام ايليه سز و بالجملة سنك  
 امور جنك و حربده و دفع و رفع اعداده  
 تيفظ و اتنباه و حسن تدبير و تداركه  
 اعتماد همايونم مقرر در ايمدى اعداى دينك مكر  
 و حيله لرندن غافل اولميوب دائما بصيرت  
 اوزره اوله سن كرجستان طرفى ايله تقيد  
 همايونم كلئ اولمغه حاليا وزير اعظم و سردار  
 اكرم فلان ادام الله تعالى اجلاله يه دخى  
 خبير كوندربايوب مشاراليه دخى كرجستان احوالنه  
 تقيد تام ايله ديو فرمان عاليشانم اولديغندن غيرى  
 بو سنه سفر همايونم سائر سنه لرذن زياده اقدام  
 اوزره اولمغين عامه جنود مسلمين و كافة عساكر  
 دوحدن سفر ظفر اثرمه مأمور اولوب سردار  
 ظفر شعارم انشاء الله الملك المتعال عن قريب عساكر  
 دريا مثال ايله سرحد منصوره وارمق اوزردر  
 عون خدای متعال ايله بو سال فرخنده فالحه اعداى  
 ديندن كما هو المرام اخذ انتقام مسر اولمق حضرت  
 واهب الامالدين رجا اولنور اميدهر كه مقدا ديار  
 شرقك فتوحاتى كرجستان ديار لرندن ظهور  
 ايتدوكى كئى كبرو ابواب فتح و ظفر  
 اول ديار لرذن كشاد بولوب رعايا و برايا ملاحظه  
 دوزخقربنك شور و شر لرندن امين اولدر ايمدى  
 كورده يم سنى بو سنه دخى نوجه ارك و دلاورلك  
 اظهار ايليوب خدمت دين و دولتم ميدانده نه  
 طريقاه نصب رايت غيرت و حيمت ايدرسن

შიაც გარცა ბრძანება [ესე] ჩემი. ვინაიდან  
 შენი ერთგულება, გულწრფელობა, მორჩილე-  
 ბა და გულმოდრინეობა ჩემი ბედნიერების  
 ბუდე ტახტისადმი იმსახურებს მოწყალებას,  
 შენდამი გამოჩენილ იქნა ჩემი მომეტებული  
 სამეფო მზრუნველობა: შენ გებოდა და გე-  
 წყალობა ჩემი სამეფო საპატიო სამოსელთა-  
 გან ერთი სიხარულის მომნიჭებელი ჩემი ხალათი  
 და მავანის<sup>24</sup> ხელით გამოგვგზავნა. ებრძანე  
 რომ, როგორც კი ჩემი დიდებული ბრძანებუ-  
 ლება მიადწევს [შენთან], ნაბოძებსა და გამო-  
 გზავნილ ჩემს საპატიო ხალათსა და ბრწყინვა-  
 ლე სამოსელს მრავალგვარი დიდებით, პატივი-  
 თა და მოწიწებით შეეგებე, მიიღე და ჩაიცვი.  
 [ამის გარდა] კიდევ შენთვის გაცემულ ჩემ  
 უხვ წყალობათა საპასუხოდ გულმოდრინეო-  
 ბით მოემზადე, რომ ორი სამსახური გამი-  
 წიო<sup>25</sup>. შენს განკარგულებაში მყოფი საქართ-  
 ველოს ჯარის გარდა, შეძლებისდაგვარად,  
 [სხვადასხვა] კუთხეებში მყოფი საქართველოს  
 ბეგები და წარჩინებულები კეთილი გულით  
 მიიმხრე, მოიხმე შენთან და ყოველი ღონე  
 იძიე, რათა შენმა [ჯარის] შენაერთებმა  
 დღითი დღე იმატოს და მტერზე გაიმარჯვო.  
 შენს მამველად დანიშნული ზემოხსენებული  
 ტრაპიზონის ბეგლარბეგი ყო მერის —ხან-  
 გრძლივი იყოს მისი კეთილდღეობა—ზემო-  
 აღნიშნულ ლაშქართან ერთად შესაფერი-  
 სად მიჩნეულ ადგილას შეიკრიბებით და, მა-  
 ლალმა ალლჰამა გვაშოროს, უკეთუ მტერი  
 თქვენზე წამოვიდა, თავს დაგესხათ და მოი-  
 დომა საქართველოს ქვეყნების დაზიანება,  
 კეთილგონიერულ ღონისძიებათა მიღებით  
 მარცხი თავიდან აიცილეთ. გამოიჩინეთ სრუ-  
 ლი შეუპოვრობა და მომეტებული გულმოდ-  
 რინეობა, რათა ღვთივდაცულ ჩემს სახელ-  
 მწიფოს არც ერთ ადგილს ზიანი არ მიადგეს

<sup>24</sup> იხ. ზემოთ შენიშვნა 6.

<sup>25</sup> ეს ფრაზა დედანში ასეა: غيرت كمرين ايكى يردن قوشانوب. თურქულში ქამრის შემორტყმა სამსახურისათვის ნიშნავდა, ხოლო ქამარშემორტყმული (კმრბسته) საპასუხოდ მომზადებულს, ან ვისიმე სამსახურისათვის თავის შეწირვას ნიშნავს (იხ. სამი. ნა-შ. სამი, გვ. 1182). ამისდა მიხედვით, ზემოთხსენი-  
 ლი თურქული ფრაზა, ე. ი. „გულმოდრინეობის ქამრის ორ ადგილას შემორტყმა“ ჩვენ ვთარგმნეთ „გულ-  
 მოდრინეობით მოემზადე, რომ ორი სამსახური გამიწიო“. ტექსტის ასეთი გაგება მითაც დასტურდება, რომ  
 ხონთქარი მოურავისაგან მოითხოვს ორგვარ სამსახურს: 1. მოამზადოს სალაშქროდ მიაი (მოურავის) ხელ-  
 ქვეითი ჯარი და 2. საქართველოს სხვა ერისთავები და მმართველებიც მიიმხროს და ჯარი გამოაყვანინოს.





**ადმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უკველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის \***

ძველი ქართლი, პოლიტიკურად და გეოგრაფიულად ფართოდ გაგებული, იყოფოდა რამდენიმე ნაწილად. ასე, ქართლი, როდესაც ის ეგრისსაც (ლაზიკას) შეიცავდა, იყოფოდა ადმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილებად; ამავე დროს, უკანასკნელს მიეკუთვნებოდა მთელი სამხრეთი საქართველოც (რაც თავისთავად მეტად საყურადღებოა).

მეთვრამეტე მეფე ამაზასპის შესახებ,—რომელიც „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ—ლეონტი მროველის, ძირითადი კონცეფციის თანახმად (ქართლი და ეგრისი ერთი სამეფოა უკვე ფარნავაზის დროიდან!) ჰელოზს არა მარტო ქართლს, არამედ ეგრისსაც,—მოთხოვნილია რომ ოვსთა თავდასხმის გამო:

...„მოუწოდა ამაზასპ ყოველთა ერისთავთა<sup>1</sup> ქართლისათა. და მოვიდეს ერისთავნი ადმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, და — ხუნანისა, და — სამშვილდისა, და შემოკრბეს მგედარნი სპასპეტისანი. ვიდრე მოსულადმდე დასავლეთისა ერისთავთა<sup>2</sup>, მოვიდეს ოვსნი ჩრდილოს კართა ქალაქისათა, რომელ არს მუხრანი“<sup>3</sup>.

ამავე ავტორის მტკიცებით, უკვე მცხეთის პირველმა მეფემ ფარნავაზმა მისცა ქართლს სათანადო ადმინისტრაციული წყობა—მან განაწესა რვა ერისთავი და ერთი სპასპეტი; საერისთავოებად გამოიყო: 1) კახეთი, 2) გარდაბანი (ერისთავის რეზიდენციით ხუნანში), 3) ტაშირი და აბოცი (ცენტრი სამშვილდეს იყო), 4) ჯავახეთი, კოლა და არტანი (ცენტრი წუნდას იყო), 5) სამცხე და აქარა (ცენტრი ოძრჯეს), 6) კლარჯეთი, 7) არგვეთი და 8) ეგრისი<sup>4</sup>. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ ამაზასპ მეფის მოწოდებაზე თავის დრო-

\* წერილის ძირითადი დებულება გამოქვეყნებული იყო ავტორის მოხსენებაში „მცხეთა—საქართველოს ძველი დედაქალაქი“ საქ. მეცნ. აკადემიის საიუბილეო სესიაზე 1941 წ. 2 მარტს, ხოლო მთლიანი სახით მოხსენება მოხმენილ იქნა საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების სხდომაზე 1942 წ. 22 დეკემბერს.

<sup>1</sup> ხელნაწერში ეს სიტყვა მუდამ ქარაგმითა დაწერილი.

<sup>2</sup> ხელნაწერში ქარაგმით „ევისა“ = ერისთავისა, რაც უბრალო lapsus calami უნდა იყოს.

<sup>3</sup> ქცბ. მარ., 40.—ანასეულ ნუსხაში (პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით) საკითხავი დაზიანებულია, იხ. გვ. 34.

<sup>4</sup> „განაწესნა“ ერისთავნი რვანი და სპასპეტი. ერთი გაგზავნა არგვეთს (მარგუს) ერისთავად და მისცა მცირით მითითან (მათვან), რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუამდე რიონს ზემოთ; და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა; და გაგზავნა ერთი კახეთისა ერისთავად, მისცა არაგვეთვან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი; ერთი გაგზავნა ხუნანისა ერისთავად და მისცა ბერდუჯის მდინარითვან ვიდრე ტჰილისამდე და გაჩინათამდის, რომელ არს გარდაბანი (გარბნი); ერთი გაგზავნა სამშვილდეს ერისთავად და მისცა სკორეთისა მდინარითვან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი (ხაშირი) და აბოცი (გოცი); ერთი გაგზავნა ერისთავად და მისცა ფანავართვან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და

ზე ვერ გამოცხადდნენ ხუთი ერისთავი სამხრეთ და დასავლეთ საქართველოდან, და მართლაც: ამაზასპის მეფობის სხვა პერიოდების შესახებ თხრობაში მროველი გვამცნობს რომ... „აღდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი, ორნი ერისთავნი ეგრი[სი]სანი, ერთი ოძრკისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“, გააბეს კავშირი სომხეთის მეფესთან და ამ უკანასკნელის ძის მეფედ მოწვევის შემდეგ, ეს „განდგომილნი ერისთავნი ქართლისანი“ თავს დაესხნენ ამაზასპს სომეხთა, ბერძენთა და ოგსთა მოკავშირე რაზმებთან ერთად<sup>1</sup>.

თუ ამ ცნობებში ბევრი რამაა ხელოვნური და მწიგნობრული წარმოშობისა, უფრო რეალურია ის დაყოფა, რომელიც საკუთრივ ქართლს ჰქონდა, მაგრამ ეს დაყოფა სხვა პრინციპზე იყო აგებული. თუმცა ამ დაყოფის შესახებაც ჩვენ სრული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართლის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი სავსებით მკაფიოდ არის წარმოდგენილი. ეს არის „შიდა (შინა, შიგა) ქართლი“. მოგვითხრობს რა ქართლის ადმინისტრაციული წყობის შესახებ, რომელიც ფარნავაზმა დააწესა, მროველი აღნიშნავს, რომ სპასპეტის ნაწილად ფარნავაზმა გამოჰყო „შიდა ქართლი“. ამ წილს პირზელი ადგილი უნდა დაეჭირა ქართლის ადმინისტრაციულ წყობაში. მროველი წერს:

„ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასის-კარადმდე და ფანავარადმდე, რომელ არს შიგა ქართლი“<sup>2</sup>.

აქ ჩრდილოეთის საზღვარი იმიტომ არა აქვს აღნიშნული ავტორს, რომ ის გულისხმობს ერთიანი ქართლის ჩრდილოეთის საზღვარს—კავკასიონს. დასავლეთის საზღვრის ხაზად აქ სურამის ქედია ნაგულისხმევი, რომელსაც მაშინ, სხვადასხვა ნაწილში, ლადო და ლიხი ეწოდებოდა; ამ დასავლეთის ხაზზე მიუთითებს ტასისკარი, ბორჯომის ხეობაში მდებარე პუნქტი. სამხრეთის საზღვრად ნაჩვენებია ფარანის ტბა (ეხლა რომ სრულიად დამახინჯებული სახელითაა ზოგჯერ წარმოდგენილი—თოფარავანი); აღმოსავლეთით სასაზღვრო ხაზი მდინარე არაგვზე და თბილისზე გადიოდა.

მეორე შემთხვევაში პროვინციის აღმოსავლეთის საზღვარს მროველი არმაზზე დასდებს და არა თბილისზე, მაგრამ ეს ადგილი სპეციალურ განხილვას მოითხოვს. ცნობა შეეხება ეთნარქი ქართლოსის უფროსი შვილის, მცხეთოსის, წილს. მცხეთოსი თავის სამფლობელოს, რომელიც „თბილისითგან და არაგვითგან სპერის ზღვამდე“<sup>3</sup> (ე. ი. ლაზისტანის სანაპირომდე შავ ზღვაზე და მდ. ჭოროხის შესართავის რაიონამდე) იყო გადაჭიმული, უყოფს სამ შვილს: უფლოსს, ოძრკოსს და ჯავახოსს:

... (მცხეთოსმა) „ოძრკოსს მისცა ტასისკართგან ვიდრე ზღვამდე სპერისა, ქუყყანა კლდოვანი. ამან ოძრკოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, ოძრკე და თუხარისი. ჯავახოსს (ხელნაწერში დამახასიათებელი: ჯაოხოს) მისცა ფანავართგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. ამან ჯავახოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქავჯთა-ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური<sup>4</sup>, ხოლო

კოლა-არტანი; ერთი გაგზავნა ოძრკის ერისთავად და მისცა ტასისკართგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა; ერთი გაგზავნა კლარჯეთს, მისცა არსიანითგან ზღუამდე; და მერვე, ქუჯი, ერისთავობა ეგრიის (ხელნაწერში დამახინჯებულია: ... ქუჯოს ერისთავები და ეგრიისი). ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე (თასისკარამდე) და ფანავარადმდე, რომელ არს შიგა ქართლი“... ქცხ. მარ., 20—21. შდრ. ანას. გვ. 17.

<sup>1</sup> ოგსნი „მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრი[სი]სათა“. ეგრიისის ორი ერისთავი არიან საკუთრივ ეგრიისისა და არგვეთის ერისთავები. ქცხ. მარ., 42, ანას. 35—36.

<sup>2</sup> ქცხ., მარ. 21; ანას. 17—18; მეორე ადგილას „შიგას“ მაგივრად სწერია „შინა“, იქვე, გვ. 7; ეს ფორმები (შინა, შიდა, შიგა) ხშირად სცვლიან ერთმანეთს ძველ ქართულში; უძველესი მათ შორის არის „შინა“.

<sup>3</sup> „დაიპყრა ქუყყანა ტფილისითგან და არაგვითგან დასავლით ვიდრე ზღუამდე სპერისა“, ქცხ. მარ., 6.

<sup>4</sup> ძველად ქართველები არტანის ოლქს ეძახდნენ და არა ქალაქს. ქალაქმა ეს სახელწოდება გაცილებით უფრო გვიან მიიღო. მოყვანილ ადგილას, მაშასადამე, საუბარია არტანის ქალაქზე და არა ქალაქზე არტანის სახელწოდებით.

უფლოს დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოს[ი]სა მცხეთას, და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასის-კარამდე და თანვარადმდენ და ამან აღაშენა უფლისციხე [და] კასპი“<sup>1</sup>.

უფლოსის სამფლობელოსათვის აქ იგივე ნაპირებია აღნიშნული, რომელნიც წინა ნაწყვეტში იყვნენ დასახელებული, როგორც შიდა ქართლის საზღვრები. მაგრამ ჩვენს უკანასკნელ ციტატაში ფრაზას, რომელიც უშუალოდ მოსდევს სიტყვას „კასპი“, თითქოს შეაქვს ცოტაოდენი ცვლილება „შიდა ქართლის“ საზღვრების განმარტებაში და, ამას გარდა, შემოაქვს ერთი ახალი ცნობაც. იქ ნათქვამია:

„... არაგვითგან და არმაზითგან (არმაზისგან) ვიდრე ტასის-კართამდე, უწოდა ამას ქუეყანასა ზენა სოფელი (ხელნაწერში დამახინჯებულია: ზენას სოფლისა), რომელსა აწ ჰქვან შინა ქართლი“<sup>2</sup>.

შიდა ქართლის ყველაზე უფრო შორეულ აღმოსავლეთ პუნქტად აქ აღნიშნულია, თბილისის ნაცვლად, არმაზი; სამხრეთის სანაპირო ხაზზე სრულიად არ არის აღნიშნული „თანვარი“ (ფარავნის ტბა). უკანასკნელი ფაქტი შეიძლება შემთხვევითი გარემოებითაც აიხსნას: ან ტექსტის სათანადო ადგილის მექანიკური გამოვარდნით, ანდა მოკლედ თქმის სურვილით. მაგრამ თბილისის არმაზით შეცვლა, ალბათ, შემთხვევითი არ არის და, შესაძლებელია, მოწმობს იმას, რომ ძველი დაყოფა, პირველად აქ აღნიშნული, თავის აღმოსავლეთის საზღვრებში არ ემთხვეოდა სავსებით ავტორის თანადროულ საზღვრებს.

„ზენა სოფლი“-ს დასახელებას ჩვენ ჯუანშერთანაც ვხვდებით, მეფე არჩილის მიერ ერისთავთა შორის ქართლის დანაწილების შესახებ ამბავში. ქართლის ერისთავები ღებულობენ თავის წილს, როგორც ცოლის მზითვეს, რომელიც არჩილის ძმისშვილებს თან გამოჰყვია. ამ უკანასკნელთა მამა, არჩილის უფროსი ძმა, მეფე მირი სიკვდილის ჟამს თავისი სამეფოს მემკვიდრედ ნიშნავს არჩილს, რადგანაც მირს ვაჟი არ ჰყავდა. მაგრამ მირს შვიდი ქალიშვილი ჰყავს და არც ისინი უნდა დასტოვოს გულნაკლულად. და აი მომაკვდავი, ჩვეულების წინააღმდეგ, ავალებს თავის ძმას, არჩილს, მიათხოვოს ქალიშვილები საკუთარ ერისთავებს და შემდეგნაირად გაჰყოს „ქუეყანანი ქართლისანი“: ნახევარი გაუყოს თანაბრად მირის ქალიშვილებს და მეორე ნახევარი კი თვითონ დაიტოვოს. „საუზუტესოდ“

<sup>1</sup> ქ.ც. მარ. 7; ანას. 6.—ნაწყვეტის ბოლოს ტექსტი დამახინჯებულია გადამწერთაგან: სიტყვა „კასპი“ შეერთებულია მომდევნო სიტყვასთან „არაგვითგან“. ჩვენ გაეთიშეთ ეს ზელოვნური კომპოზიტი, ისევე, როგორც გამოცემელიც მოქვეუღა, და გადავიტანეთ, ვაჟირ „და“-ს ჩანსით, სიტყვა კასპი წინა ფრაზაში. და მართლაც, ავტორი მცხეთოსის სხვა შვილებზე მოგვითხრობს, რომ თითოეულმა მათგანმა ააშენა ორორი ქალაქი, ნიშნულთაგანი მათ სამფლობელო პროვინციაში. ამასვე ველოდით ჩვენ უფლოსის შესახებ თხრობაში, რაც ამართლებს ჩვენს კონიექტურას. სავროდ შესაძლებელსა და დასაშვებს: ასეთი შესწორების გარეშე ტექსტს ეკარგება აზრი.

<sup>2</sup> ქ.ც. მარ. 7; ანას. 6.—ნაყლებ ბუნებრივია ასეთი აღდგენა: „... უწოდა ამას ქუეყანასა ქუეყანა ზენა სოფლისა“... აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება ამ ადგილს („მასადაამე, შიდა ქართლი XI ს. იწყებოდა არაგვითგან და არმაზითგან და ტასის კარამდის მდინიდა. ამას წინათ თურმე „ზენა სოფელი“ რქმევია. „მატიანე ქ—“—თგან კი ისე გამოდის, თითქოს „ზემო ქუეყანა“ ქართლს გარეშე ყოფილიყოს... ქართვ. ერის ისტორია, II, 284). მაგრამ, როგორც ეტყობა, აკად. ჯავახიშვილმა დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა მროველის ამ ცნობას, და შემდგომ ის მცდარადაც მიიჩნია, იმიტომ რომ მისივე რედაქციით 1923 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ სახელწოდება „ზენა სოფელი“ მიკუთვნებულია სამხრეთ საქართველოსათვის (ამ დასახელებით მოხაზული ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები, ძველი სამცხე და ჯავახეთი); „შიდა ქართლი“ აქ აღნიშნულია, როგორც „შიდა სოფელი“ („შიდა ქუეყანა“), ხოლო უფრო გვიანდელი „ქვემო ქართლი“ (აღგეთისა და ქცია—ბრამის ხეობა) აღნიშნულია, როგორც „ქვენა სოფელი“ (ამ დასახელებით მოხაზული აგრეთვე თრიალეთისა და წალკის რაიონები). „შიდა სოფელი“ და „ქვენა სოფელი“ შექმნილია, უნდა ვითვქროთ, ზელოვნურად „ზენა სოფლის“ ანალოგიით. ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება რიგი წყაროების ცნობები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

მირი უტოვებს არჩილს მთელ „დასავლეთ“ (მროველის ტერმინოლოგიით) ნაწილს ქართლისას „ეგრისს, სუანეთს, არგვეთს და გურიას“.

მთელ ამ თხრობაში, რომელიც შეთხზულია ავტორის მიერ, რათა ახსნას მის დროს არსებული ვითარება, ბევრი რამ არის საინტერესო, თუმცა სურათის ცალკეული ნაწილები ცუდად არის ურთიერთშეწყობილი<sup>1</sup>. საგულისხმოა, მაგალითად, ფეოდალური გაყოფის აღწერა („საუხუცესო“) და დახასიათება საადგილმამულო დამოკიდებულებისა მეფესა და ფეოდალებს შორის: გაყოფა ორ (საუხუცესოს გარეშე) თანაბარ ნაწილად წარმოებს იმგვარად, რომ მეფე თითოეულ სენიორიაში, რომელიც მისს სიძე-ფეოდალებს ეკუთვნის, თავის წილად ამ ფეოდალურ სამფლობელოს ნახევარს იტოვებს, — „ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ გვეთაგან“<sup>2</sup>. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ამ კონტექსტში „ზენა სოფლის“ მოხსენიება. ამ გეოგრაფიული ცნების რეალური შინაარსის გაგებისათვის საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ მთელი თხრობა, რომელიც საზღვრავს თითოეული ნაწილის ტერიტორიას: პირველი ქალიშვილის ქმარი, გუარამ კურაპალატი, ჰფლობს კლარჯეთსა და ჯავახეთს, მეორის ქმარი — ბიტიანში, ფეოდალის ჩამომავალი, თრიალეთის, ტაშირისა და აბოცის მფლობელია, მესამე და მეოთხე ქალიშვილების ქმრები „ზენა სოფელს“ მიიღებენ, „ე. ი. — ქართლს“ („ორთა ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“), მეხუთის ქმარი ვარაზმანი ღებულობს ტერიტორიას კოტმანიდან ქურდისხევამდე, მეექვსის ქმარი ჯუანშერი ჯუარს, ხერკს, მთიულეთს (მთა-ნაწილს), მანგლისისხევს მთლიანად და თბილისს. მეშვიდე ქალიშვილი, სრულიად აუცილებელი არა მარტო ავტორის წინასწარი განცხადების გამო, არამედ მთელი კონცეფციის<sup>3</sup> მთლიანობის თვალსაზრისით, თავისი ქმრითა და მზითევით სრულიად ამოვარდნილია ავტორის თხრობიდან, არ ვიცით ვადამწერთა წყალობით თუ ავტორის დაუდევრობის გამო. მირის მეშვიდე ქალიშვილის წილი რჩება გაურკვეველი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს კახეთი არ არის: ცოტა ქვევით ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ უბოძა არჩილმა კახეთი თავის „ტაძრეულებს“ და თან აზნაურობაც მიანიჭა მათ: „... ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი; აზნაურ ყუნა იგინი“<sup>4</sup>.

ამრიგად, „ზენა სოფლის, ე. ი. ქართლის“, საზღვრები, ჯუანშერის მიხედვით, ჩვენთვის დაახლოებით გამორკვეულია. ეს მროველის იგივე „შინა ქართლია“, მაგრამ ცოტაოდენ შემცირებული სახით: მასში არ შედის, ყოველ შემთხვევაში, თრიალეთი, მანგლისისხევი და თბილისი თავისი რაიონით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „კოტმანის“ დასახელება. თუ ეს იგივე „კოდმანია“, ისტორიულად ცნობილი სოფელი მცხეთასთან, რაც შეუძლებელი არ არის, მაშინ გამოდის რომ ზენა სოფლის ფარგლებიდან ჯუანშერი გამოორციხავს მცხეთასა და მის მიდამოებს. კოდმანი ნაჩვენებია ვახუშტის მიერ, როგორც

<sup>1</sup> ასე, მაგალითად, ავტორის აზრით, ეს ნაწილები მხოლოდ ამ შემთხვევაში დაურვიდათ ერისთავებს. ნამდვილად კი: ამ ამბების (ქორწინება და დაყოფა) თხრობისას ავტორს არ ძალუძს დაფაროს, რომ ზოგიერთი მაგნატი, მეფის ახალი სიძეები უკვე ფლობდნენ აღნიშნულ ტერიტორიებს.

<sup>2</sup> ძველი ქართული „განზოგება“ ნიშნავს შუაში გაყოფას, რაც, ჩანს, გაუგებარი აღმოჩნდა ვადამწერთა ზოგიერთი შემდგომი თაობისათვის და ამის გამო შეცვლილ იქნა სიტყვით „განზაადებით“, რაც სრულიად ამაზინჯებს აზრს, იხ. ქ. ცხ. მარ. 208, მაგრამ ანასეულმა ნუსხამ შეინარჩუნა თავდაპირველი საკითხავი; გვ. 154.

<sup>3</sup> ჯუანშერის ეს კონცეფცია სრულიად ვთანხმება მროველის ზემოთ განხილულ კონცეფციას, რომლის მიხედვით ქართლი ცხრა ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა: რვას მეთაურობდნენ ერისთავები, ხოლო მეცხრეს სპასპეტი მართავდა. ჯუანშერის მიხედვით, ეგრისისა და არგვეთის საერისთავონი „საუხუცესოს“ წარმოადგენენ, რომელიც არჩილს დარჩა, ხოლო დანარჩენი შვიდი ნაწილი მირის შვიდ ქალიშვილს უნდა მისცემოდა.

<sup>4</sup> ქ. ცხ. მარ., 207—208; ანას. 153—154.

მცხეთის რაიონის სოფელი<sup>1</sup>. (ზედმეტია შეჩერება იმაზე რომ „ზენა სოფლის“ ფარგლებიდან აქ გამოირიცხებოდა კლარჯეთი, ჯავახეთი, ტაშირი, აბოცი, ხერკი და ზოგი სხვა რაიონიც). საფიქრებელია, რომ გამოთქმაში „ზენა სოფელი რომელ არს ქართლი“ მექანიკურად არის ამოვარდნილი განსაზღვრება „შინა“, რადგანაც ნაკლებ მოსალოდნელია აქ ქართლის მერმინდელი, დავიწროებული, მნიშვნელობით ხმარება.

„ზენა სოფელი“ იხსენიება ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიაც. ხშირად ვხვდებით ამ სახელწოდებას ასურელ მამათა ცხოვრებებში, რომელნიც ჩვენამდის გვიანდელი რედაქციების სახით არიან მოღწეულნი, მაგრამ, უეჭველია, ეყრდნობიან უფრო ძველ ცნობებს. კერძოდ, ეს შეიძლება ითქვას ამ ძეგლებში დაცული ისტორიული რეალიების მიმართ, რომლებიც ჩვენ გვინტერესებს ამჟამად<sup>2</sup>. ასე, ასურელ მამათა (რომელნიც საქართველოში მოღვაწეობდნენ VI საუკუნეში) მეთაურის, იოანეს, ცხოვრებაში, თბრობაში იმის შესახებ, თუ როგორ წარავლინა ზედაზენის დამკვიდრებულმა იოანემ თავისი მოწაფეები ქართლის სხვადასხვა რაიონში სათანადო საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის, ნათქვამია:

... „წარავლინა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით და სხუანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით—გარეჯისა უდაბნოსა და სხუანი გარემო ქალაქისა ჩუენისა, ხოლო ივინი წარვიდეს და დამეკდრნეს რომელნიმე ქალაკთა და რომელნიმე ქუაბთა... ხოლო ეზდერიოს—ქალაკსა სამთავისისასა!“<sup>3</sup>.

აქედან ცხადია, რომ ავტორისათვის ზენა სოფლის ცნება ყოველ შემთხვევაში და უეჭველად გამორიცხავს კუხეთს (სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია თანამედროვე კახეთისა, — ტერიტორია, რომელიც გომბორის უღელტეხილის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს) და კახეთს, ხოლო სავარაუდოდ—გარეჯის უდაბნოსაც და, იქნებ, სამთავისსა და მცხეთის მიდამოებსაც (თუ გამოთქმაში „ქალაქისა ჩუენისა“ ავტორი მცხეთას ჰგულისხმობს). მოცემული ადგილის მიხედვით გარეჯის, სამთავისისა და მცხეთის რაიონის შესახებ კატეგორიული მსჯელობა ძნელია იმიტომ რომ შეიძლებოდა ნაწყვეტის მეორე ნაწილი („ხოლო...“) გაგებული ყოფილიყო როგორც კონკრეტიზაცია პირველი ნაწილისა. იმ პუნქტებიდან, რომლებიც შემდეგ ამ ცნობის განსაზღვრებადა დასახელებული და სადაც იოანეს მოწაფეები დამკვიდრდნენ, ამ ნაწყვეტში სახელდებით აღნიშნულია მხოლოდ სოფელი სამთავისი, რომელიც მდინარე რეხულას ხეობაში მდებარეობს.

დანარჩენი პუნქტები მოხსენებულია ამავე ძეგლის ბოლოს:

„... ამის. ნეტარისა იოანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა ალავერდი..., სხუამან—ქუაბი იულთისაჲ და სხუათა აღაშენნეს კახეთს მონასტერნი, ხოლო დავით აღაშენა უდაბნოდ იგი გარეჯისაჲ... ხოლო ერთმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი,

<sup>1</sup> „მცხეთას“ მიაკუთვნებს ვახუშტი აგრეთვე ორ წინდისს, მუხად-გვერდს, კარსანს, საკუთრივ მცხეთას, არმაზს, ციხე-დიდს, ძეგვს, ხუკორდს, სასხორს, ნიჩბისს, ოხერას, თელად გორს, გომიჯვარსა და ლავრას. გეოგრაფია, ბ რ ო ს ე ს გამოც., გვ. 471; თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., გვ. 197.

<sup>2</sup> ამ ძეგლთა სხვანაირი ხასიათი სათანადო სამეცნიერო მწერლობაში უკვე აღნიშნულია. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქ ა რ თ. სა ის ტ. მწერლობა, გამოც. I, 5—10; გამოც. II, 5—12; მისივე, ქართვ. ერის ისტორ., I, 332 შემდ.—აქად. კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტერატურის ისტ., I, 153—8, 134—140, 283—5, 343—5, 580—3; მისივე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, „ტფ. უნ. მოამბე“, VI; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 82—86; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ტფ. 1928. კაკაბაძის მიერ გამოცემული ტექსტები, რასაკვირველია, არქეტიპები კი არ არის, არამედ მერმინდელი შემოკლებები (სვინაქსარული მიდრეკილებისა). სიმოკლე არ არის ერთადერთი და აუცილებელი ნიშანი ამგვარი ძეგლების სიძველისა.

<sup>3</sup> ასურელ მამათა ცხოვრ. არქეტიპები, გვ. 21; საბინინის გამოცემაში, საქართველოს სამოთხე, გვ. 200 ეს ადგილი სხვა რედაქციითაა მოცემული, იქ ამოღებულია ჩვენთვის საინტერესო ტერმინი.

რომელსა შინა დედალი ვერა რად შევალს და ვერცა რად მფრინველი იბუღებს...<sup>1</sup>

სამწუხაროდ, აგიოგრაფი არ აღნიშნავს, რომელია ეს პუნქტი ზენა სოფელში, სადაც აშენდა მონასტერი. არაპირდაპირ მაინც ის იძლევა საკმაო მითითებებს როგორც ჩვენთვის საინტერესო პროვინციის საზღვრების, ისევე ამ პროვინციის იმ პუნქტების შესახებ, სადაც მიმდინარეობდა იოანეს მოწაფეების მოღვაწეობა. უკვე ასურელ მამათა მეტასხელები, მათი მოღვაწეობის ადგილის მიხედვით შერქმეული, იძლევა ამ მხრივ გარკვეულ მასალას. ტრადიციული რწმენით, რომელიც უკვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკაშია მოცემული, იოანეს სულ 12 მოწაფე ჰყავდა<sup>2</sup>. შიო მღვიმელის ცხოვრებაში აღნიშნულია ამ პირთა სახელები: 1) შიო, 2) დავით, 3) იოსებ, 4) ანტონი, 5) თეოდოსიოს, 6) თათაჲ, 7) პიროს, 8) ელია, 9) პიმენ, 10) ნათან, 11) აბიბოს, 12) იოანე<sup>3</sup>. იოანე ზედაზნელის ცხოვრება იძლევა რამდენადმე განსხვავებულ ნუსხას და ამას თან მამათა ზედწოდებებსაც დასძენს. იქ ნათქვამია: „სახელები წმიდათა მოწაფეთა იოანე ზედაძნელისათა: 1) დავით გარეჯელი, 2) სტეფანე ქისიუელი, 3) იოსებ ალავერდელი, 4) ზენონ იყალთოელი, 5) ანტონ მარტომყოფელი, 6) ისე წილკნელი, 7) თათა სტეფანწმინდელი, 8) ელია დიაკონი, 9) შიო მღვმელი, 10) ისიდორე სამთავნელი, 11) მიქაელ ულუმბოელი, 12) პიროს ბრეთელი, 13) აბიბოს ნეკრესელი“<sup>4</sup>.

მეორე ნუსხას გარკვეული უპირატესობა აქვს პირველთან შედარებით, მაგრამ საერთოდ, ცხადია, ცნობები ასურელ მამათა შესახებ მეტად ნაკლულსა და ფრაგმენტარულ ხასიათს ატარებს. ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში ამ საქმით დაინტერესებული ჰაგიოგრაფები ჩიოდნენ: „ხოლო ყოველთა ვერ ძალ-გვც მოვსენებაჲ“<sup>5</sup>. ყოველ შემთხვევაში, შემონახულია სხვადასხვა დროს შედგენილი ცხოვრებანი შემდეგ მამათა (თუ მამათა სიაზე მეორე ნუსხის მიხედვით ვიმსჯელებთ): 1) იოანე ზედაზნელის, 2) შიო მღვიმელის, 3) აბიბო ნეკრესელის, 4) დავით გარეჯელის, 5) ანტონი მარტომყოფელის, 6) ისე წილკნელისა და 7) იოსებ ალავერდელისა. ამათ გარდა ამ ცხოვრებებში მოხსენებული არიან: 8) ილია დიაკონი და 9) თათა<sup>6</sup> და აგრეთვე 10) ეზდერიოს სამთავნელი, იდენტური იმ ისიდორესთან, ნუსხებში რომ არის მოხსენებული. ამრიგად, თითქოს უცნობია ჰაგიოგრაფებისათვის სახელები: 11) იულთელი მოღვაწისა (იულთა, აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებით, შერყენილი იყალთოა; მაშინ იულთელი მამა ზენონი იქნება) და 12) ზენა-სოფლის ერთი მონასტრის მშენებელისა.

როგორც ზემომოტანილი ციტატიდან ჩანს, იოანეს ეს მოწაფეები, ჰაგიოგრაფის წარმოდგენით, მოღვაწეობენ (ქვეყნის სხვადასხვა ოლქებად დაყოფის თვალსაზრისით) კახეთში, კუხეთში და ზენა სოფელში; საექვოდ რჩება, როგორც განკერძოებული რაიონები, გარესჯის რაიონი<sup>7</sup> და მცხეთის სანახები. იოსებ ალავერდელის ნაგვიანევი ცხოვრების მი-

<sup>1</sup> ასურ. მამ. ცხ. არქეტიპები, 35, საქ. სამოთხე, 207.

ამ უკანასკნელ გამოცემაში ეს ცნობა მეორდება,—ისეთი რედაქციით, რომელიც საერთოდ უფრო ახლოა კაკაბაძის გამოცემასთან,—აგრეთვე აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში, გვ. 216; უკანასკნელი ფრაზა აქ ცოტა სხვანაირად არის გადმოცემული: „... ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რათა არა რა დედათავანი შევიდეს მას შინა, რომელმან ფრინველი ცისანი და ქუეწარმავალი თჳსად დაამორჩილნა, ვერ იკადრებდეს დაბუღებად მას შინა, რომელსა ესე თჳსანი ჩუენნი ზედვიდეს დღეს“.

<sup>2</sup> Описание, II, 723.

<sup>3</sup> საქ. სამოთხე, 224.

<sup>4</sup> კ. კ ე ლ ი ძ ე, ტფ. უნ. მოამბე, VI, 87—88.

<sup>5</sup> იქვე, 87.

<sup>6</sup> საქ. სამ., 206, 210.

<sup>7</sup> გარესჯის რაიონი უპირისპირდება, ყოველ შემთხვევაში, კახეთს დავით გარეჯელის ცხოვრებაში

ხედვით, ექვსნი იოანეს მოწაფეთაგან დამკვიდრდნენ კახეთს, ექვსნი კი—ქართლს<sup>1</sup>; აქვე კახეთისადმი მიეკუთვნებულა კონკრეტულად ალავერდი. ამ დაყოფით, კახეთსავე, რასაკვირველია, უნდა მიეკუთვნოს: 2) იყალთო (=იულთა?), 3) ქისიყი (სახელდობრ—ხირსა, თუ გარდმოცემას დავუჯერებთ)<sup>2</sup>, 4) გარეჯა, 5) ნეკრესი და 6) მარტყოფი, —უფრო გვიანდელი ნომენკლატურით, —ანტონის სამოღვაწეო ასპარეზი. „კახელბსავე“ უნდა მიეკუთვნოს 7) ელია დეკანოზი, რომელმაც ცხოვრების გზა დაასრულა როგორც იმ მონასტრის მამათმთავარმა, იოანემ რომ ზედანის მთის ძირას ააგო<sup>3</sup>. გამოდის რომ „კახელი“ შეიძლება და არა ექვსი. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ამ საეკლესიო მოღვაწეთა სიები არ იყო ზუსტად დადგენილი.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ „ქართლის“ გეოგრაფიული შინაარსი, რომელსაც, ამ შემთხვევაში, მიეკუთვნება დანარჩენი ექვსი პუნქტი, სახელდობრ: 1) წილკანი, 2) სტეფანწმინდა<sup>4</sup>, 3) მღვიმე-სარკინე, შიოს მოღვაწეობის ადგილი, 4) სამთავისი, 5) ულუმბა და 6) ბრეთი.

თუ ასურელი მამების უფრო აღრინდელ ცხოვრებათა ავტორების (და, რათქმუნდა, ნაწილობრივ აგრეთვე რედაქტორების) გეოგრაფიულ წარმოდგენებს დავუბრუნდებით, ჩვენ დავადგენთ, რომ იქ „ზენა სოფელი“ იოსებ ალავერდელის უფრო გვიანდელ ცხოვრებაში მოხსენებულ „ქართლს“ შეესატყვისება აგრეთვე. თუ ზენა სოფლიდან უნდა გამოირიცხოს, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვექნა, „ქალაქისა ჩუენისა“, ე. ი. მცხეთის, მიდამოები, —ქართლის იმ პუნქტებიდან, სადაც იოანეს მოწაფეები მოღვაწეობდნენ, „მცხეთის მიდამოებს“ შეიძლება განეკუთვნოს მხოლოდ წილკანი და მღვიმე-სარკინე. მაშასადამე, დანარჩენი ოთხი პუნქტი, უკვე უპირობოდ და უთუშცაოდ, მიეკუთვნება „ზენა სოფელს“. ესენი არიან: ორი პუნქტი რეხულას ხეობაში— 1) სამთავისი<sup>5</sup> და 2) სტეფან-წმინდა—წლევნი<sup>6</sup>, 3) ულუმბა, მდ. აღის-წყლის ხეობაში<sup>7</sup> და 4) ბრეთი, მდ. დვანის-წყალზე, მაშასადამე, ჩვენ მიერ გარჩეულ ძეგლთა მიხედვით უკვე რეხულას ხეობიდან (სადგურ კასპიდან დაახლოებით), ყოველ შემთხვევაში, თვით სურამის ქედამდე მთელი ქართლი „ზენა სოფელს“ მიეკუთვნება.

მაგრამ ამავე ძეგლებში არის სხვა ცნობებიც, რომლებიც ახუსტებენ და შუქსა ჰფენენ ჰაგიოგრაფის წარმოდგენას ზენა სოფელზე. ასე, შიო მღვიმელის ცხოვრებაში იოანესა და მისი მოწაფეების ქართლში მესვლის შესახებ მოთხრობილია შემდეგი: „ზეგარდამო ბრძანებით“ მამები... „წარემართნეს გზასა, ქართლად მიმყუანებელსა“... და... „მიიწივნეს... ქალაქად ქართლისა“. თუ აქ რამე შერყენილი არ არის, —რის შესაძლებლობა არ არის გამორიცხული, საბინიის გამოცემის საერთო ხასიათს თუ მივიღებთ მხედველობაში, —მაშინ ჰაგიოგრაფი ალბათ გულისხმობს „დედა-ქალაქს ქართლისას“, ე. ი. მცხეთას<sup>8</sup>. ყოველ შემთხვევაში, შემდგომი თხრობა მცხეთასთან ახლო მდებარე პუნქტზე მიუთითებს, იმიტომ რომ ქართლის კათალიკოსი, აგრეთვე წინასწარ სათანადოდ გაფრთხი-

სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ „მიიწივნეს მუნ კაცნი მონადირენი კერძოთაგან კახეთისათა“, საქ. სამ., 275; არქიტაბები, 39.

<sup>1</sup> საქ. სამ., 217.

<sup>2</sup> იქვე, 301.

<sup>3</sup> საქ. სამთხე, 301—302.

<sup>4</sup> გარდმოცემით, იხ. საქ. სამ., 302, წმინდა სტეფანეს სახელობის მონასტერი აუგია თათას მდ. რეხულას ხეობაში, წლევის მთაზე.

<sup>5</sup> ვახუშტი, გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა, გვ. 242.

<sup>6</sup> იქვე, 240—242. ვახუშტის ცნობით, თვით პუნქტს მამება ჰქვია.

<sup>7</sup> იქვე, 266.

<sup>8</sup> ამ შემთხვევაში ფრაზა „შემდგენიარად უნდა იქნეს აღდგენილი: „ხოლო მიიწივნეს დედა-ქალაქად ქართლისას“...

ლებული სირიელ მამათა ჩამოსვლისა და მათი მისიის შესახებ, ხედება მათ მთელი თავისი კრებულთა ზენა სოფლის საზღვრებთან: „აღდგა უკუ ღირსი ევლავიოზ ყოველთა თანა ეკლესიისა შვილთა და განვიდა ზენა სოფლამდე“. არა გვეგონია რომ ჰაგიოგრაფს განზრახული ჰქონოდა ცხენზე შეესვა კათალიკოსი და მთელი მისი ამაღა და შორეულ ქვეყნებში გაემგზავრებინა ისინი: უნდა ვიფიქროთ რომ შეხვედრა მოხდა სადაც მცხეთის ახლოს<sup>1</sup>.

კიდევ უფრო საგულისხმოა რომ ტერმინი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, შემონახულია აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაშიც, უეჭველად უძველეს ძეგლში ასურელ მამათა ცხოვრების აღწერილობათა შორის. ცნობილია რომ აბიბოსის ცხოვრებამ საერთოდ ბევრი საინტერესო ისტორიული რეალია დაიცვა<sup>2</sup>. მოქმედება წარმოებს იმ დროს, როდესაც ... „დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ჯელშიფე იყენეს ჩუენსა ამას სოფელსა“<sup>3</sup>, ე. ი. VI საუკუნეში.

აბიბოსი არის ქალაქ ნეკრესის ეპისკოპოსი, კახეთში („ხოლო აბიბოს, ნეკრეს-ქალაქისა ეპისკოპოსი, ჯევისა კახეთისა“)<sup>4</sup>. აბიბოსი შეურაცხყოფს ცეცხლისთაყვანისმცემელთა სალოცავს და მას ამისათვის აპატიმრებენ, მაგრამ ვინაიდან მაშინ ქართლის, და, მაშასადამე, აგრეთვე კახეთის მოსახლეობის უზენაესი მსაჯულის ფუნქცია ქართლის მარზპანს ეკუთვნოდა<sup>5</sup>, რომლის მუდმივი რეზიდენცია თბილისს იყო, ამიტომ „მისწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად მარზპანისა საქმე ესე“...<sup>6</sup> მარზპანის ბრძანებით, აბიბოსი მასთან წაიყვანეს. ბუნებრივია ვიფიქროთ რომ აქ ზენა სოფლად ქართლის გარკვეული (ცენტრალური) ნაწილი იწოდება და ზენა სოფელს განეკუთვნება ალბათ თბილისიც! მგზავრები ქართლ-კახეთის უძველესი მაგისტრალით წამოვიდნენ, გომბორზე (დაასლოებით, თანამედროვე გზატკეცილის მიმართულებით), რადგან პირველად მგზავრებმა იაღდოს (უძველესი ფორმა უნდა იყოს თანამედროვე „იყალო“-სი) შეისვენეს<sup>7</sup>. შემდგომ მოთხოვნილია, თუ როგორ მიადწიეს მათ „სამეფოსა ქალაქსა მცხეთას“<sup>8</sup>. აქ აბიბოსს ვითომ უფლებას აძლევენ ინახულოს თავისი ამხანაგი შიო, მღვიმე-სარკინეში, და მხოლოდ ამის შემდეგ „მიიყვანეს იგი მარზპანისა მის ზენა სოფლად, სოფელსა, რომელსა ჰრქუიან რევი“<sup>9</sup>. ამ ნაწყვეტიდან კარგად არა ჩანს, მიაკუთვნებს თუ არა ავტორი მცხეთასა და მღვიმე-სარკინესაც ზენა სოფელს, თუ მას ჰსურს მხოლოდ რევის ადგილმდებარეობა განსაზღვროს ამ ცნობილი, ზოგადი გეოგრაფიული ცნების საშუალებით. სად მდებარეობდა ეს რევი? აქ ყველაზე მეტი დამაჯერებლობით არჩევანი შეიძლება შეჩერდეს ამ სახელწოდების მქონე და ისტორიულად ცნობილ ორ პუნქტზე: 1) ერთი იქ მდებარეობდა, სადაც ლიახვი მტკვარს ერთვის და სადაც (ცოცხა უფრო სამხრეთით) შემდეგში წარმოიშვა ქ. გორი; 2) მეორე — ქცია-ხრამის სათავეებთან, სადაც დღევანდლამდე არსებობს დიდი სოფელი ამავე სახელწოდებით. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვივარაუდებდით რომ აქ ნაგულისხმევია პირველი პუნქტი, რადგან ის ქართლის ცენტრში მდებარეობდა და რადგანაც იქ სამსახურებრივ მოვალეობათა გამო ადვილად შესაძლებელია ყოფილიყო იმ მომენტში მარზპანი. მე-

<sup>1</sup> საქ. სამ., 224—225. შეხვედრის შემდეგ, როგორც ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს, ყველანი წარემართნენ და მიადწიეს მცხეთის კათედრალს, იქვე, 226.

<sup>2</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართვ. ერის ისტ. I<sup>2</sup>, 332—335.

<sup>3</sup> საქ. სამ., 213; შდრ. არქეტიპები, 42.

<sup>4</sup> იქვე, 214, საბინინის გამოცემაში—„ნეკრესელ-ქალაქის“; აღსანიშნავია, რომ არქეტიპები, გვ. 48, „გვეს“ სცვლიან „სამკრო“-თი.

<sup>5</sup> ეცხტათი მცხეთელის ცხოვრება, VI საუკ. შუაწლებში დაწერილი, საქ. სამოთხე, 314.

<sup>6</sup> იქვე, 214.

<sup>7</sup> იქვე, 214. არქეტიპები, 43.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> საქ. სამ., 215; არქეტიპები, 44.



ორე პუნქტი კი, რომელიც მაღლა მთაში მდებარეობს, უფრო მეტს ექვს იწვევს. მაგრამ თრიალეთის რეხას სასარგებლოდ მეტყველებს ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ამ დიდი სოფლის მახლობლად დღევანდლამდე შემონახულია მონასტერი, აწ უკვე დანგრეული, რომელიც წმინდა აბიბოსის სახელს ატარებდა (ბატონიშვილი ვახუშტის რუკით — „აბიბოს მონასტერი“)<sup>1</sup>. ჩვენ კი ვიცით რომ აბიბოსი, წამებული რეხას, იქვე იყო დამარხული ქალაქ გარეთ (რეხა ამ ადგილას ქალაქად არის წოდებული). აბიბოსი დამარხეს განდევლებმა, რომელნიც რეხას მიდამოებში ცხოვრობდნენ, იმ მონასტერში, რომელიც ავტორის რწმუნებით, აუშენებია ერთ პირს, როგორც დაკავშირებულს აგრეთვე სირიელ მამებთან<sup>2</sup>.

უნებლიეთ იბადება აზრი, უკვე არსებული ეს გარდმოცემა ხომ არ განდა იმის მიზეზი, რომ შემდეგში ამ ადგილებში აშენებული მონასტერი აბიბოსის სახელით მონათლეს? მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ რეხასა და აბიბოსის მონასტრის შორი-ახლოს ბატონიშვილი ვახუშტი უჩვენებს სოფ. საპიტახშოს (ეხლა რომ შერყენილად ზაბიტახჩად არის რუკებზე აღნიშნული). ეს გარემოება ჰბადებს კითხვას: ხომ არ იყო აქ ქართლის პიტიახშების საზაფხულო რეზიდენცია? ქციას სათავეები ხომ პიტიახშების სამფლობელოში შედიოდა გარკვეულ პერიოდში. ასეთი განმარტებისას მარზპანის რეხას ყოფნაც, ჰაგიოგრაფის მიერ აღნიშნულ მომენტში, სათანადოდ იქნებოდა ახსნილი (საზაფხულოდ გამგზავრება)<sup>3</sup>.

მაშასადამე, თუ მეორე ლოკალიზაციას მივიჩნევთ სწორად, მაშინ მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ ზენა სოფლის ფარგლებში წალკაცა და თრიალეთიც შედიოდა, ახალ დასაბუთებას ჰპოვებს. როგორც არ უნდა იყოს, აბიბოსის ცხოვრების ზენა სოფელი აგრეთვე მეტნაკლებად ემთხვევა ლეონტი მროველის ზენა სოფელს.

ამრიგად, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ცნობების განხილვის საფუძველზე ჩვენ ექვს გარეშე ვადგენთ ზენა სოფლისა და შიდა ქართლის ცნებების თითქმის სრულს გეოგრაფიულ-ტერიტორიულ იგივეობას. ოღონდ ეგაა რომ ზენა სოფლის აღმო-

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე თანამედროვე რუკები, მაგ. თბილისში 1927 წ. გამოც. ყოფ. თბილისის მარზის რუკა 3. ინგოროყვას რუდაქციით.

<sup>2</sup> საქ. სამოთხე, 215; არქეტები, 45.—ეს ცნობა აქ რამდენადმე ბუნდოვანად არის გამოთქმული. მეორე გარდმოცემით შემდეგში აბიბოსის ნეშტი მცხეთას იყო გადმოტანილი, საქ. სამ., შენიშვნა 215 გვერდზე.

<sup>3</sup> აზრი იმის შესახებ, რომ აბიბოსის ცხოვრება გულისხმობს წალკის რეხას, გამოთქმული აქვს აგრეთვე პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს; მანვე ყურადღება მიაქცია იმ მნიშვნელობასაც, რომელიც ამ ლოკალიზაციისათვის აქვს აბიბოსის მონასტრის და საპიტახშოს არსებობას წალკის რეხის მახლობლად, იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, საიუბილეო კრებული: „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, გვ. 35—37. მაგრამ პროფ. ზელიქსეთ-ბეგი გაკვირვებით კითხულობს: „რაფერ არის მოხსენებული მარზპანი, მაშინ, როდესაც თრიალეთ-წალკა იმ ხანებში (V—VI სს.) გუგარქოგარენეს (გუგარეთის) საპიტახშოს ტერიტორიის შემცველ (კალმის შეცდომაა.—ს. ჯ.) ნაწილს შეადგენდა“, და დასძენს, რომ „ჰაგიოგრაფს რასაკვირველია მხედველობაში ჰყავს გუგარეთის პიტიახში, რომელიც მას მარზპანად მიაჩნია, ვინაიდან ტერმინი „პიტიახში“ (პიტაქსი) ეუცხოვა“, იქვე, გვ. 37. ეს მსჯელობა მცთობია: ჰაგიოგრაფს მხედველობაში ჰყავს სწორედ მარზპანი, ორივე ტერმინი მისთვის სავსებით ცნობილი იყო, მარზპანიც აღწერილია შესაფერო როლში, იმდენად, რამდენადაც ქართლის პიტიახშიც, ქართლის იმდროინდელი (VI საუკუნის შუა წლები და მომდევნო ორი ათეული წელი) სხვა მსგავს მაგნატებთან ერთად სავსებით ემორჩილებოდა მარზპანს, როგორც ქართლის უზენაეს მმართველს. საქ. მარისია<sup>2</sup> გავიხსენოთ ცნობები, რომლებიც მოიპოვება ძველში: „წამება წმ. მოწამისა ვესტათი მცხეთელისა“. გარდა ამისა, პროფ. მელიქსეთ-ბეგის თვალსაზრისით სრულიად გაუგებარი რჩება: რატომ მოხდა, რომ შიგნით კახეთის მოღვაწე აბიბოსი ვასასამართლებლად „გუგარეთის“ პიტიახში მიჰყვარეს, როდის და რაწარად შეიძინა<sup>2</sup> ამ უკანასკნელმა უზენაესი უფლებები მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე (ცხოვრების მტკიცებით ხომ ნეკრესში<sup>2</sup> მომხდარი ამბების შესახებ ადგილობრივმა ხელისუფლებმა მარზპანს აცნობეს, ხოლო მარზპანმა უბრძანა მათ აბიბოსი მათთან მხარგავრული მიეყვანათ).

სავლეთის საზღვარი ძველებში ერთგვარი სხვაობით არის გაგებული: ზოგჯერ იგი თბილისთან არის გატარებული (თუ თვით თბილისზე არა), ხან—მდ. არაგვზე და არმაზზე, ზოგჯერ კიდევ თითქოს მცხეთიდან რამდენადმე დასავლეთითაც. ეს მერყეობა აღმოსავლეთის საზღვრის განმარტებაში არ უნდა იყოს შემთხვევითი (ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ზენა სოფლის ხსენება ჩვენ გვხვდება სხვა ძველ ქართულ ძეგლებშიაც. ასე, კონსტანტი (თუ: კონსტანტინე)—კახას მარტილობაში ნათქვამია რომ „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა, ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა კაცი, რომელსა სახელი ერქუა კონსტანტინე, რომელსა ეწოდა კახი (გამოცემაში შეცდომით—„კაცი“) მამულისა მის ქუეყანისა. კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა“...<sup>1</sup>.

აქ საყურადღებოა განმარტება რომ „ზენა სოფელი“ „ქართლის ქვეყნის“ ერთი სანახებია, ე. ი. ერთი კანტონი, თემი. მაგრამ, სამწუხაროდ, ძველში არავითარი მითითება არ მოიპოვება იმის შესახებ თუ სად უნდა ვეძიოთ ეს სანახები. აკად. კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება რომ კონსტანტინე კახეთის ერისთავი იყო და ზენა სოფელში იგი მხოლოდ შეპყრობილ იქნაო. ეს მოსაზრება დამყარებულია კონსტანტის მეტსახელზე, რომლის მიხედვითაც იგი „კახი“ უნდა ყოფილიყო წარმოშობით<sup>2</sup>. კონსტანტი კახა შეეწირა, როგორც ჩანს, თბილისის გამდგარ ამირა საპაკთან მოკავშირეობის საქმეს. და ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ,—კახა მონაწილეობას იღებდა საპაკის ბრძოლებში უკვე მოჰმედ ხალიდის ძის წინააღმდეგო, მაშინ ზოგი ისტორიული ცნობა ჩვენ შეიძლებოდა კონსტანტის „კახელობის“ სასარგებლოდ გაგვეგო. სახელდობრ, „მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს რომ მოჰმედ ხალიდის ძის წინააღმდეგ „მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საპაკისა“-ო. საინტერესოა რომ ძლიერი ბრძოლა, რომელიც, ქართული ცნობით, უშედეგო ყოფილა, მომხდარა „რეკს“. არაბული მოწმობით, ხალიფას ემისარმა თითქოს გაიმარჯვა, სანარიელების (ე. ი. სწორედ კახელების) წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, საპაკი გააძევა ქვეყნიდან და სანარიელებიც გააქცია<sup>3</sup>. შეიძლებოდა ამიტომ გვეფიქრა-მეთქი რომ კონსტანტი სწორედ ამ „კახი გარდაბანელების“ მეთაური იყო. ამას მხარს დაუჭერდა კახას მარტილობის ცნობა რომ კახა დასჯილ იქნა 849 წელს<sup>4</sup>, რაც უახლოვდება უფრო მოჰმედის ლაშქრობის თარიღს, ვიდრე ბულან თურქისას<sup>5</sup>. ამ შემთხვევაში, „ზენა სოფლის“ ცნება კახეთსაც დაჰფარავდა. მაგრამ ყველა ცნობა, მათ შორის ისეთი დოკუმენტური ხასიათისა, როგორიცაა ატენის სიონის კედლის წარწერა<sup>6</sup>, ამტკიცებს რომ კახა შეპყრობილ იქნა ბულა თურქის მიერ, რომლის წარმატებით დაგვირგვინებული ლაშქრობა საპაკის წინააღმდეგ 853 წელს ეკუთვნის. გარდა ამისა, ზოგიერთი არაპირდაპირი მითითება გვაფიქრებინებს რომ კახა არის ერთი, ყველაზე ადრე ცნობილი, წარმომადგენელთაგანი თორელების (შემდეგ—ჯავახიშვილების) მომდევნო საუკუნეებში განთქმული საგვარეულოსი. ამას გვაგულვებინებს, კერძოდ, სახელი „კახა“, რომელიც საყვარელი საგვარეულო სახელი ჩანს ამ გვარში. ხოლო კახასა და

<sup>1</sup> საქ. სამოთხე, 364. მეტსახელი კახისათვის ხელნაწერები იძლევიან საკითხავს: „რომელსა ეწოდა კახი სახელად მამულისა მის ქუეყანისა“, იხ. აკად. კ. კეკელიძე, კონსტანტი კახის მარტილობა და ვინაობა, ტფ. უნ. მოამბე, VII, 163.

<sup>2</sup> დასახელ. თხზ., 163—4.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ. 63.

საქ. სამოთხე, 368.

<sup>5</sup> თუ კონსტანტი 849 წელს დაისაჯა, შეპყრობილი იქნებოდა იგი უფრო ადრე. ამავე დროს, ხალიდის უკანასკნელი ლაშქრობა ქართლში საპაკის წინააღმდეგ, რაც წინ უსწრებდა მისი შვილის მოჰმედის მომდევნო, ზემოთ ნაგულისხმევს, ლაშქრობას, მომხდარა 841—2 წელს, იხ. ს. ჯანაშია, არაბობა, 63, 95შ. 4.

<sup>6</sup> ეს წარწერა იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, 376.

მისი შეიღის მოხსენიება ატენის წარწერაში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი მოწმობა იმისა რომ კახა ამ მხარეების მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელია,—წარწერა ხომ არ იხსენიებს არც ერთს სხვა ადგილობრივს (ქართველს) პოლიტიკურ მოღვაწეს! როგორც არ უნდა გადაწყდეს კახას ვინაობის საკითხი, ერთი რამ მინც მეტნაკლებად უეჭველია: ზენა სოფელი აქ ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს მერმინდელს „ზემო ქართლს“, ე. ი. სამცხე-ჯავახეთსა და მათს სამხრეთით მდებარე თემებს. ეს ცხადია საერთო სიტუაციიდან. ხალიფასგან დამოუკიდებლობისათვის გამართულ ბრძოლაში თბილისის ამირას ბულა თურქის წინააღმდეგ ეხმარება აფხაზთა მეფე, სამაგიეროდ ბულასა და, საერთოდ, ხალიფას აგენტების მოკავშირე არის სამხრეთ საქართველოს სამთავროს მეთაური, ბაგრატი, ანუ კურაპალატის ძე, რომელმაც თავისი ასეთი პოზიციისათვის უკვე ბულას წინამორბედი სარდლისაგან, მოჰმედ ხალიდის ძისაგან, საზღაურად მიიღო ქართლი<sup>1</sup>, რათქმუნდა—ვიწროდ გაგებული, ე. ი. სხვანაირად რომ ეთქვათ—შიდა ქართლი. იქნებ სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ განსაზღვრა კახას საწინააღმდეგო პოზიციაც: შიდა ქართლი, იგივე ზენა სოფელი, რომელიც ლეონტი მროველისეული განმარტების თანახმად დასავლეთით ტასისკარს უწყვედა, ხოლო სამხრეთით—ფარავნის ტბას, შეიცავდა ატენის ხეობასაც და მის გარშემო, კერძოდ—სამხრეთისაკენ, მდებარე ვრცელ რაიონსაც: ამრიგად, ბაგრატი კურაპალატის მიერ შიდა ქართლის მიღება პირდაპირ სჩაგრადა კახას ინტერესებს.

კახას წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით საბაბი გვეძლევა ვუჩვენოთ რომ „ზენა სოფლის“ ზემოთ აღნიშნული გაგება შენახულია უტხოურს, კერძოდ—სომხურ მწერლობაში. თომა არწრუნი, მაგ., ამავე კახას სწორედ „კახა ზენა სოფელს“, *ყაჩყაყ ქსრქს აუქსარჩხქს*, უწოდებს<sup>2</sup>. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, თომას ეს ცნობა ქართული წყაროდან მომდინარეობსო. მაგრამ რომ ამგვარი ნომენკლატურა საერთოდ კარგად ყოფილა ცნობილი სომხურ მწერლობაში, დასტურდება ძველი სომხური ანონიმური გეოგრაფიითაც. ამ გეოგრაფიის ვენეციურ რედაქციაში ნათქვამია: „ქართლის კანტონებია:... კლარჯეთი..., შავშეთი, არტაჰანის კანტონი..., რომელსაც ჩაუდის დიდი (ძლიერი) მდინარე მტკვარი, რომელიც გამოდის ტაოდან, კოლას კანტონიდან, დის ჯავახეთის ძირიდან, ჩადის სამცხეში, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და დის ქართლის (ქართველთა) ზემო ქვეყანაზე, შუაში ჰყოფს რა კანტონებს გოროთისხევს, ტუნისხევს, რომლის თავშია სიმაგრე დეკიცხე, და მანგლისხევს და ბოლნისისხევს ვიდრე პარუარის კანტონამდე, რომელიც გარს აკრავს ქალაქ თბილისს“... *Աղխար Վրաց... և դասուք են այս, սկսեսլ յ Վր գետի և 'ի հիւսիսից Տայից. Կլարճ, զոր 'ի Հայոց հանսլ է, և Շաւղէթ. Արտահան գաւառ, զոր անսլ է 'ր հայոց, ընդ որ անցանէ գետն հզօր Կուր, որ 'ի Տայոց գաւով, 'ի Կու գաւառէ ընդ ասորითու Զաստաց, ի լանէ 'ի Սամցխէ և դաւնույ յարևելս անցանսլ ընդ լերն ալխարն Վրաց, բաժանելով զգաւաւան գօրուի խիսխէ. դասնխիս, որով 'ի գլուխն Իեկիցէ բերդ, և զՄանգլեսցիօր, և զԻդրուիօր. մինչև ց'արուստր գաւառ, որ պատէ զՎրացիս քաղաքս.*

შემდეგ კიდევ მდინარე არაგვევ ნათქვამია რომ იგი გამოდის კავკასიონიდან, ჩაიღლის, სხვათა შორის, მცხეთასა და წმინდა ჯვრის ბორცვის შორის, ჩადის მტკვარში დე (ამრიგად) თავდება ქართლის (ქართველთა) ზემო ქვეყანაში“... *յկրագ գետ, որ հոսի 'ի Կաւկասայ, և դնալով ընդ հարաւ ընդ Ախալցխէ բերդ, և անցանէ ընդ մէջ Մցխի լիս քաղաքի և քլույ Սուրբ խաչն ի լանէ 'ի Կուր, և զլուսնգակ 'ի Վերն ալխար Վրաց. յորմէ կասալ խաղացեսլ Կուր գայ 'ի Տիւրխիս մայրաքաղաք*<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, არაბობა, 63.

<sup>2</sup> *Պատմութիւնն Տանն Արծրունաց*; პატკ. გამოც. 1887 წ., გვ. 187; თბ. გამოც. 1917 წ., გვ. 304.

<sup>3</sup> *Ալխարայոց Մովսէսի Անդրեասայ, Վեն. 1881*, სუკრის გამოცემა, გვ. 38—9. პატკანოვის მიერ გამოცემული რედაქცია მეტად მოკლეა და ამ ნაწილში შეიცავს მარტოოდენ კანტონების ჩამოთვლას. იხ. *Армянская география VII в. ио Р. X. 1887 г.*, გვ. 39—40.

ამ აღწერილობიდან საკმაო გარკვეულობით ცხადი ხდება რომ სომეხი გეოგრაფის წარმოდგენით ქართლის „ზემო ქვეყანა“, ე. ი. იგივე „ზენა სოფელი“ იწყებოდა მაშინვე სამცხის შემდგომ, შეიცავდა კანტონებს მტკვრის ორსავე ნაპირას (მათ შორის მანგლისისა და ბოლნისის ხევისაც კი!), ხოლო თავდებოდა თბილისის კანტონთან (შესაძლოა, ამ უკანასკნელის ჩართვითაც), — ამას გვაფიქრებინებს გამოთქმა „ვიდრე“: ხომ არ შეიძლება ტექსტი ისე გაეიგოთ რომ მტკვარი დიოდა ვიდრე თბილისამდე! ან რომ მტკვარი ბოლნისის ხევს განჰყოფდა ვიდრე თბილისამდე! ერთიცა და მეორეც უაზრობაა. — არავის შესართავი ხომ ამ „ზემო ქვეყანაშია“ უეჭველობით ნაჩვენები.

ამრიგად, „ზენა სოფლის“ ძველი ცნების გეოგრაფიული მნიშვნელობა დადგენილად უნდა ჩაითვალოს — იგი მეტნაკლებად საშუალო საუკუნეების „შიდა (შინა)“ ქართლს ემთხვევა. ამას მოწმობენ ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ასურელ მამათა ჰაგიოგრაფები, კახას ცხოვრების აღმწერი და სომხური წყაროები. ასევე გაიგო ძველი ცნობები ვახუშტიმაც: „ხოლო ტაშისკარსა და ლიხის მთას ქვეითი არაგვ-ტფილისამდე სამნი ესე სასპასვეტონი: მემარცხენ მუხრანისა, მემარჯვენე ქართლისა, მეფის თანა მყოფი, ტფილის ზეით, მტკვრის სამჯრეთისა და თრიალეთი ფანავრამდე, — არიან წილი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა; და უფლოსისაგან ეწოდა ზენა სოფლები შიდა ქართლს“<sup>1</sup>. გეოგრაფიული წარმოდგენების ცვლილება, რომელიც ნომენკლატურის აღნიშნულ ცვლილებას უძევს საფუძვლად, კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გაეითვალისწინებთ რომ იგივე სახელწოდება „ზენა სოფელი“, მხოლოდ უფრო ახალ ტერმინებში გამოთქმული, სახელდობრ — „ზემო ქვეყანა“, იხმარებოდა ქართული ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაშიაც, ოღონდ ეხლა უკვე იგი სულ სხვა მხარეს განეკუთვნებოდა: „ზემო ქვეყანა“ შიდა ქართლის სამხრეთით იგულისხმება, იგი სამხრეთ საქართველოს სახელწოდებაა. ასე, „მატიანე ქართლისაი“ (XI ს.) მოგვითხრობს რომ კლდე-კარის ერისთავთ-ერისთავმა ლიპარიტმა, თრიალეთისა და მანგლისის ხევის მფლობელმა, ბაგრატ IV-ის დაუძინებელმა მტერმა, გამოიყვანა ბატონიშვილი დემეტრე ბიზანტიელთა ლაშქრით, მიიმხრო სხვა დიდებულებიცა და აზნაურებიც, „მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენსა და მოწვეს არე-არე ქართლი“<sup>2</sup>. შემდგომში ატენის ციხე ვერ აიღეს, ზამთარიც მოახლოვდა და, ჩანს, ამიტომ „ენება ბერძენთა შეღმართ (ე. ი. სწორედ ზევით! მაშასადამე, უკან, ს. ჯ.) წასვლა“<sup>3</sup>. აქ ქართლის ცნებიდან თრიალეთი და მანგლისის ხევიცაა გამორიცხული, მაშასადამე, საქმე ენება საკუთრივ ქართლს. „ზემო ქვეყანა“ მის სამხრეთითაა.

„ზემო ქუეყანა“ გულისხმობდა „შიდა“ და „ქვემო ქვეყანასაც“ და შეესაბამებოდა „ზემო“, „შიდა“ და „ქვემო ქართლს“. ეს უკანასკნელი ნომენკლატურა უფრო ხშირად იხმარებოდა, ჩანს, და ამიტომ უფრო სრულადაც არის შენახული. „ზემო ქართლი“-სა და „ქვემო ქართლის“ მნიშვნელობა და ხმარების შემთხვევები უფრო ახალ დროებში კარგად არის ცნობილი და ამიტომ ჩვენ აქ მათზე აღარ შეეჩერდებით. გაკვრით ვიტყვით რომ „შიდა (შინა) ქართლი“ ბუნებრივად გულისხმობდა „გარე ქართლს“, ისე როგორც „შიგნით კახეთს“ შეეფარდება „გარე კახეთი“. მაგრამ, თუ არ ვცდებით, „გარე ქართლი“ არსად გვხვდება. აღრვევ, ჩანს, „შიდა ქართლი“ გაგებულ იქნა როგორც „შუა ქართლი“<sup>4</sup>, რომლის კომპონენტებად ბუნებრივად გამოვიდნენ „ზემო ქართლი“ და „ქვემო ქართლი“.

<sup>1</sup> გეორ., ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამ., 84.

<sup>2</sup> ქცხ., მარ. 260; ანას. 185—6.

<sup>3</sup> ლეონტი მროველთან გვხვდება „შუა ქართლ“, ქცხ. მარ., 124, მაგრამ არ შეიძლება დარწმუნებულად ვიყოთ, რომ ეს ტექნიკური ტერმინია და არა აღწერილობითი გამონათქვამი.

საგანგებო დასაბუთებას არ მოითხოვს მოსაზრება რომ ამ დაყოფას, ისევე როგორც ჩვეულებრივად სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, საფუძვლად დაედო მთავარი მდინარის (აქ — მტკვრის!) დენა. თვით დანაყოფთა მიჯნები ძირითადად განსაზღვრულია სახელისმდებელი საზოგადოებრივი კოლექტივის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების მიხედვით, რომელიც ამ შემთხვევაში ორიენტაციის ამოსავალ პუნქტს შეადგენენ. „შიდა ქართლი“, ე. ი. ცენტრალური ქართლი, ქართლის სამეფოს ის ნაწილია, რომლის ტერიტორიაზედაც ძვეს მისი ძველი და ახალი დედაქალაქები — მცხეთა და თბილისი (მცხეთა ამ შემთხვევაში აშკარად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება).

სულ სხვა ორიენტაციისა და სხვა დაყოფის შედეგია „ზენა სოფელი“, რომელიც საშუალო საუკუნეების ქართლის ცენტრალურ პროვინციას ჰფარავს. ცხადია რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ-კულტურული კოლექტივის ამოსავალი საორიენტაციო პუნქტი, ე. ი., სხვა სიტყვით, მისი სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრები, მცხეთა-სა და თბილისზე სამხრეთით იმყოფება. თუ — სად ან რა შეადგენს ამ შემთხვევაში დაყოფის საფუძველს (იგივე მტკვარი თუ სხვა ობიექტი), ეს ცალკე საკითხია და მას ჩვენ აქ არ ვეხებით. ჩვენთვის ამჯერად საკმარისია იმისი დადგენა რომ არც თბილისი და არც მცხეთა ამ ძველი დაყოფის ამოსავალ საორიენტაციო პუნქტებად არ გამოდგება.

მართლაც, რა მივიღეთ? საშუალო საუკუნეებში გაბატონებულ სახელწოდებას „შიდა ქართლი“ უფრო აღრინდელი ხანისათვის სცვლის „ზენა სოფელი“. რომ „ზენა სოფელი“ უფრო ძველი სახელწოდებაა, ამას მოწმობს: 1) ლეონტი მროველის პირდაპირი განცხადება („აწ“!), 2) ის ფაქტი რომ ზენა სოფლის ხსენება ჩვენ გვხვდება მხოლოდ ძველ ძეგლებში, ხოლო ქართული ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაში იგი სრულიად ქრება, 3) თვით ტერმინოლოგია: „ქვეყნის“ ცნება აქ აღნიშნულია სიტყვა „სოფლით“, მაშინ როცა შემდეგში, უკვე XI საუკუნეში, მას სცვლის, როგორც ვნახეთ, უფრო ახალი ტერმინი „ქვეყანა“ („ზემო ქვეყანა“). რომ ამგვარ სიტყვახმარებაში ტერმინი „სოფელი“ ძველის სიძველეს მოწმობს, ეს დამაჯერებლად ნაჩვენებია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ და აშკარაა ყველასათვის, ვინც ძველ-ქართულ მწერლობას იცნობს. — შესაძლოა ასეთივე ურთიერთობა არსებობდეს „ზენა“-სა და „ზემოს“ შორისაც. — დასასრულ, სიძველის მაჩვენებელია თვით რეალური ურთიერთობა: ქვეყნის ოდინდელი უკიდურესი ნაწილის მოქცევა, მომდევნო ხანისათვის, ქვეყნის ცენტრში.

ჩავუკვირდეთ ეხლა „ზენა სოფლის“ ფარგლებს. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ამ მხრივ ცვალებადი ჩანს პროვინციის აღმოსავლეთის საზღვარი; იგი გადის ან თბილისზე, ან არაგვის შესართავზე, ან (მიახლოებით) მდ. რეხულაზე (კასპზე). აქ გარკვეული ტენდენცია ჩანს: პროვინცია იკვეცება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. უეჭველია ამ ტენდენციის განვითარება (მტკვრის დენის მიმართულებით, ეხლა უკვე სამხრეთისაკენ) იყო ისიც რომ ბოლოს „ზენა სოფლის“ ხმარება შიდა ქართლის აღსანიშნავად აუტანელი გახდა და ეს სახელწოდება, ახალი ტერმინებით გამოთქმული („ზემო ქვეყანა“), უკვე ძველი „ზენა სოფლის“ გარეშე, მის ზემოთ მდებარე ქვეყანას (სამხრეთ საქართველოს) მიეკუთვნა.

ცხადია, ეს ტენდენცია გამოიწვია კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების დამკვიდრებამ გარკვეულ რაიონში და სამეფოს ტერიტორიულმა ზრდამ გარკვეული მიმართულებით. სახელდობრ, როცა ასეთი ცენტრის როლი მცხეთას დაეკისრა, ზენა სოფლის ძველებური გაგება, რომელიც შიგ იყოლებდა მცხეთასაც, შეუფერებელი და მიუღებელი აღმოჩნდა. ამით აიხსნება, რომ „სამეფო ქალაქის“ რაიონს ასეთი დაბეჯითებით გამოირიცხავენ რიგი ძველი ძეგლები „ზენა სოფლის“ ფარგლებიდან.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი გაგება (ზენა სოფელი — რეხულას დასავლეთით!) არის უძველესი და რომ სათანადო წარმოდგენა შემდეგში ფართოვდება

აღმოსავლეთისაკენ, ჯერ არაგვამდე, ხოლო შემდეგ თბილისამდე, ე. ი., ხომ არ შეიძლება დაეუშვათ ზემოთნაგულისხმევის საწინააღმდეგო ტენდენცია? მაშინ შეიძლება ორიენტაციისა და სახელდების ამოსავალ პუნქტად იგივე მცხეთა მიგვეჩნია (თუმცა დაყოფის პროპორციები მაინც გამოიწვევდა ექვს). მაგრამ ასეთი ტენდენციის ვარაუდისათვის საქართველოს ძველი ისტორია არავითარს დასაყრდენ მასალას, შეიძლება პირდაპირ ითქვას — არც ერთ ფაქტს, არ იძლევა.

განვიხილოთ ისეთი შესაძლებელი უკუთქმაც რომ ლეონტი მროველმა ხელოვნურად შეუფარდა „ზენა სოფლის“ ცნება თავისი დროის ცოცხალ ცნებას „შიდა ქართლს“ და ამისათვის პირველის ფარგლები გაზიდა აღმოსავლეთისაკენ თბილისამდე, როგორც ამას მოითხოვდა ლეონტის გეოგრაფიული წარმოდგენა შიდა ქართლზე. მაგრამ ჩვენ ვნახეთ რომ სომხური გეოგრაფიაც „ქართლის ზემო ქვეყანას“ წარმოიდგენს არა მარტო ასეთს ვრცელ ფარგლებში, არამედ კიდევ უფრო ფართოდაც — ბოლნისისხევის ჩართვით. გადავიკითხოთ კიდევ ერთხელ ეს ადგილი: მტკვარი „ჩადის სამცხეში, მოუხვევს აღმოსავლეთისაკენ და დის ქართლის ზემო ქვეყანაზე, შუაში ჰყოფს რა კანტონებს გოროთისხევს, ტუნისხევს... და მანგლისისხევს და ბოლნისისხევს ვიდრე პარუარის კანტონამდე, რომელიც გარს აკრავს ქალაქ თბილისს“. რომ აქ სიტყვა „ვიდრე“ განსაზღვრავს „ზემო ქვეყანას“, ეს მტკიცდება არა მარტო ლოგიკურად, არამედ ტექსტუალურადაც: ამ ადგილას წყდება აღწერილობა არა ქართლისა საერთოდ, არამედ მისი ერთი ნაწილისა მხოლოდ; შემდეგ ავტორი კვლავ განაგრძობს აღწერას ქართლის კანტონებისას. ფრანსა თბილისის კანტონის შესახებ მოსდევს შემდეგი ტექსტი: „ხოლო ეს სამი პატარა ხეობა (*ქორასიქი*) სომხებისაგან არის წართმეული (ქართველების მიერ, ს. ჯ.), დიდი მდინარის მტკვრის ჩრდილოეთით კი, თარის კანტონის პირისპირ, არგვეთის მთებია, და იმავე ხეობის (*ჯაჯაჩხი*) ადგილიდან დვანი, და აჩევეტისხევი, და ქორდითირიკოსხევი, ვიდრე საცხუმეთამდე, რომელიც კავკასიის ძირიბაზეა, საიდანაც გამოდის მდინარე ლეხი (ცხადია, ლიახვი, ს. ჯ.), რომელიც დის რა სამხრეთისაკენ, ჩადის მტკვარში; და იქვეა (*აუნიოქა*) ხარნისხევი ცხრასძმიაიდან ვიდრე მდინარე არაგვამდე“<sup>1</sup>. ამას მოსდევს ზემოთ მოტანილი, თავის ადგილას, აღწერილობა არაგვის მიმდინარეობისა, რომელსაც კვლავ მოსდევს ქართლის აღწერა: „საიდანაც („ზენა სოფლიდან“? არაგვის შესართავიდან? მთლად ნათელი არ არის, ს. ჯ.) მტკვარი წინ დის, მიდის დედაქალაქ თბილისამდე, სტოვებს მას პარუართან ერთად (*აუნიოქა* და (*გასდის*) წოროფორს და კოლბოფორს და ძოროფორს თანამოსახელე მდინარეებითურთ, ვიდრე ქალაქ ჰნარაკრტამდე, რომელიც წართმეულია სომხებისაგან“. შემდეგ აღწერილია ამ ადგილების სამხრეთით მდებარე ჯაგახეთი, თრელნი, ტაშირი, განკარქი, „ყველა წართმეული სომხებისაგან“; ხოლო ამათ ჩრდილოეთით — კანტონები ხვეთი, ხერკი, ერწვო, თიანეთი, წოხენორი<sup>2</sup>. ამკარაა რომ პირველ ნაწილში (სამცხესა და თბილისს შორის) „გეოგრაფია“ აღწერს მტკვრის მიერ შუაში გაყოფილს (მტკვრის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე) კანტონებს ზენა სოფლისას. ამრიგად „სომხური გეოგრაფია“ ამტკიცებს რწმენას, რომ „ზენა სოფელი“ შორს ჩადიოდა სამხრეთისაკენ, შესაძლოა უფრო შორსაც, როგორც ამას საერთო ისტორიული მოსაზრებები გვაგულისხმებინებს ჩვენ პირადად და რაც, ბუნებრივია, არ არის ისტორიული მწერლობის მიერ დაჭერილი.

მაგრამ, ესეც არ იყოს, ჩვენ ისიც ვნახეთ რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყაროები არაგვის შესართავს და, მაშასადამე, თვით მცხეთას ზენა სოფელში გულისხმობენ. მაშასადამე, მცხეთა გამოირიცხულია როგორც ორიენტაციის ამოსავალი პუნქტი. თბი-

<sup>1</sup> ს უ კ რ ი, გვ. 38—39.

<sup>2</sup> იქვე.

ლისზე საუბარი ზედმეტია, რადგანაც იგი, როგორც ცენტრი, ბევრად ახალგაზრდაა მცხეთაზე.

ამრიგად, ჩვენი დასკვნა, ყოველივე ზემოთქმულის ნიადაგზე, შემდეგი იქნება: აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ის დაყოფა, რომლის მიხედვითაც ფეოდალური ხანის „შიდა ქართლი“ „ზენა სოფელს“ წარმოადგენს და ეს ზენა სოფელი, ზემო ქვეყანა, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება ვიდრე (ყოველ შემთხვევაში) თბილისამდე, წინ უსწრებს მცხეთის სატახტო ქალაქად გადაქცევის მომენტს. I საუკუნის დამდეგისათვის, ძვ. წელთაღრ., მცხეთა უკვე არის იბერიის (ქართლის) დედაქალაქი. ეს დადასტურებულია დოკუმენტალურად. ეროვნული ტრადიცია მცხეთაში სამეფო ტახტის გადმოტანას ადრინდელ-ელისინიტური ხანით ათარიღებს. ეს დაახლოებით მართალი უნდა იყოს, როგორც ჩვენ ამის შესახებ სხვაგან ვმსჯელობდით<sup>1</sup>. ამით განისაზღვრება ჩვენთვის საინტერესო ძველი ნომენკლატურის წარმოშობის terminus post quem non.

ამავე ხანაში იბერიის (ქართლის) სამეფო უთუოდ სწვდება სამხრეთისაკენ ქოროხის ხეობის ქვემო წელსა და ქანეთის (მოსხურ) მთებს, ე. ი. უკვე შეიცავს საშუალო საუკუნეების „ზემო ქართლსაც“<sup>2</sup>. ესეც მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწვევი: მცხეთის დედაქალაქობის ხანაში ქვეყნის დაყოფიდან გამორიცხვა ასეთი დიდი ტერიტორიისა (ბორჯომის ხეობიდან ქოროხამდე) აგრეთვე დაუჯერებელი და შეუძლებელი გარემოებაა.

ჩვენ არ ვტოვებთ ყურადღების გარეშე იმ ფაქტსაც რომ საშუალო საუკუნეების ნომენკლატურის „ქართლს“ („შიდა ქართლი“) ძველ ნომენკლატურაში შეესატყვისება არა ასევე კონკრეტული ქვეყნის (თუ: სახელმწიფოს) სახელი, არამედ ზოგადი ტერმინი „სოფელი“—ქვეყანა. ეს ფაქტიც შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს, არამედ სათანადო პოლიტიკური ცვლილებების ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენდეს...

რაც შეეხება თვით ამ უძველესი ნომენკლატურის დაცვისა და ისტორიულ მწერლობაში შესვლის გზებს, აქ ორი წყაროა საგულისხმებელი: 1. გარდმონაშთული სიტყვაზმარება ცოცხალ მეტყველებაში და 2. ტრადიცია, ზეპირი თუ წერილობითი. უკანასკნელი შესაძლოა უფრო ისტორიკოსებთან და გეოგრაფებთან იყოს შენახული, პირველი კი — უფრო ჰაგიოგრაფებთან.

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, საქართველო-ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ. 1937—უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, ენიშკი-ს მოამბე, ტ. V—VI, 1940.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველესი პერიოდში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 7, 1942.

17. ენიშკი-ს მოამბე, ტ. XIII.

М. М. ИВАЩЕНКО

## ОТЧЕТ ОБ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ РАЗВЕДКЕ В СЕЛ. МАЛХАЗОВКЕ САГАРЕДЖИНСКОГО РАЙОНА (ЯНВАРЬ, 1938 г.)

Селение Малхазовка находится в 40 км к востоку от Тбилиси по старому Кахетинскому шоссе и в 8 км от ст. Иори Кахетинской жел. дороги. Расположено оно в холмистой местности, лежащей по правому берегу р. Иоры, в 3—4 км от этой последней.

Из археологических исследований в этой местности известно исследование Ж. де Моргана и Д. Б. Шульца в Мариенфельде-Сартачала, где был обнаружен могильник с каменными ящиками, разрушенный мариенфельдскими немцами, которые, повидимому, и до сих пор берут камни из этого могильника.

Первые сведения о находках бронзовых предметов в Малхазовке были получены от местного жителя Ю. Г. Сердюка. 26 января 1938 года я был послан Отделом по охране памятников культуры для осмотра этих находок.

Село Малхазовка, населенное русскими (молоканами), тянется длиной улицей на протяжении 2-х км по обоим сторонам шоссе с северо-запада на юго-восток. Приблизительно в центре селения, к юго-западу от шоссе, находится могильник, где были находимы бронзовые предметы.

Расположен он позади усадьбы А. Н. Сотина. Здесь уже давно местные жители добывают глину и при этом находят различные предметы. Место это мною было осмотрено 26—27 января 1938 года. Это покатый склон, спускающийся к югу. Весь он изрыт довольно большими ямами глубиной до 2 м, образовавшимися при добывании глины. Однако, есть и нетронутые участки, где можно найти непо потревоженные погребения. По описанию крестьян-находчиков, захоронения грунтовые без каменных ящиков. В головах костяков находятся сосуды из черной глины—кувшины без ручек и блюда. Находили так же бронзовые кинжалы, бусы, повидимому, из пасты и человеческие кости. При осмотре мною была найдена только часть черепной коробки, каменных плит от ящиков и черепков глиняных сосудов не обнаружено.

В семье крестьянина Леона Аришина хранились 2 бронзовых кинжала из этого могильника, которые и были мною приобретены.

1. Бронзовый кинжал с рукоятью, кончик отломан в древности. Общая длина 32 см, длина лезвия 22,5 см, наибольшая ширина лезвия 6,5 см.<sup>4</sup> Весь



кинжал орнаментирован. Верхушка рукоятки резная с треугольными и полукруглыми вырезами, середина рукоятки орнаментирована рисунком из выпуклых точек, плечики углами из двух тонких врезных параллельных линий со штриховкой.



Рис. 1. Два бронзовых кинжала из могильника в сел. Малхазовке.

Лезвие украшено тонкими двойными спиралями и рисунком из прямых и волнистых линий. Посередине лезвия выпуклое ребро. Весь кинжал покрыт темно-зеленой патиной.

2. Бронзовый кинжал небольшого размера с недостающим кончиком лезвия и верхней части рукоятки.

Общая длина 18 см, сохранившейся части лезвия 15,5 см. Наибольшая ширина лезвия у рукоятки 5,7 см. Рукоять была украшена орнаментом из точек и других фигур, а лезвие тонкими врезными параллельными линиями. Патина более светлая чем у первого кинжала.

Другая находка была сделана летом 1937 года в 3-х км к юго-востоку от селения на склоне горы Наомари, известной у местных жителей под именем „Компанской“, где находятся покосы крестьян. Здесь колхозным чабаном Мих. Алекс. Ремизовым в размытой водой промоине был найден какой-то бронзовый предмет, принятый им за золото. На месте находки стал рыться чуть не весь колхоз.

Путем опроса ряда лиц, принимавших участие в этих „раскопках“ мне удалось выяснить, что здесь были найдены: человеческие кости и зубы, 2 бронзовых браслета, 2 бусы крупные и мелкие, 5 бронзовых подвесок в форме рыбок, маленькое бронзовое колечко и много мелких обломков листовой бронзы. Из этих предметов в настоящее время на руках у крестьян находятся 3 бронзовых подвески в форме рыбок, 1 браслет, 1 колечко, одна крупная буса и мелкие обломки листовой бронзы.

Бронзовые подвески в форме рыбок имеют в длину 8—9 см. Фигурки рыбок естественные, одни имеют широкую плоскую головку, другие острую, вытянутую, обозначены плавники и другие детали.

В верхней части головки имеется круглое отверстие для подвешивания. Две рыбки сломаны находчиками, у одной отломана головка, у другой—хвост.

Бронзовый браслет небольшого размера совершенно гладкий, концы не сходятся сантиметра на  $1\frac{1}{2}$ . Наружная сторона выпуклая, внутренняя—плоская.

Колечко гладкое из круглой бронзовой проволоки. Крупная буса-подвеска из бело-розовой пасты. Нижняя часть ее шарообразная, верхняя яйцевидная. Отверстие находится в верхней части бусы и проделано в перпендикулярном направлении к вертикальной оси бусы.

Обломки листовой бронзы настолько мелки, что судить по ним о форме предмета не представляется возможным. Скорее всего был небольшой сосуд.

Из перечисленных предметов, вследствие преувеличенного мнения находчиков об их стоимости, удалось получить только одну подвеску в форме рыбки. Длина ее 8,1 см. Рыбка имеет широкую плоскую головку, раздвоенный хвост, спинной плавник, брюшной плавник и 2 боковых. Отверстие в верхней части головки затянато окисью.

Судя по инвентарю, погребение это должно быть женским. Местность где оно обнаружено представляет целину. Никаких земляных работ, в том числе и пахоты, там не производилось. Можно ожидать, что могильник окажется в хорошей сохранности. Следует также отметить, что вследствие характера почвы (глины) сохранность бронзовых предметов хорошая, покрыты они благородной патиной.

Могильник в селении надо датировать началом 1-го тыс. до н. э. Датировка погребения у горы Наомари несколько затруднительна, но, по всей вероятности, оно близко к тому же времени, что и первый могильник.

Ю. Г. Сердюком передана мне найденная им в окрестностях Малхазовки кремневая пилочка (вкладыш от серпа), покрытая беловатой патиной. Пилочка по времени должна быть близка к могильнику.

На юго-восточной окраине Малхазовки мне было показано 2 кургана: один высотой в  $1\frac{1}{3}$ —2 м недалеко от соленого озера близ усадьбы Рябихина, а другой высотой не более 1 м и сильно распаханный метрах в 200 дальше к востоку. На поверхности этого 2-го кургана видно много камней известняка. По словам крестьян, они брали из кургана камень и при этом находили „мослы“, т. е. крупные кости животных.

По дороге из Малхазовки в Сартачала, приблизительно посредине между этими двумя селениями, мною обнаружена еще группа из 5 курганов, расположенных по обеим сторонам шоссе. Два из них находятся к сев.-востоку от шоссе, в нескольких десятках метров от него. 1-й большой курган имеет в высоту не менее  $2\frac{1}{2}$  м. Форма его удлиненная. На вершине ровная площадка длиной 12 м и шириной 8 м. Склоны круты, не менее  $45^\circ$ . Верхняя площадка и часть склонов распахана. В непосредственной близости от этого кургана находится второй узкий и длинный высотой не более 1 м. Весь сильно распахан.


Три остальных кургана находятся в непосредственной близости от шоссе, вытянуты вдоль шоссе в одну линию и частично срезаны дорогой. Курганы невелики, высота их от  $1\frac{1}{2}$  до  $1\frac{1}{2}$  м.



Рис. 2. Бронзовая подвеска в форме рыбки из погребения на горе Наомари.

Найденные в Малхазовке бронзовые кинжалы, по форме и орнаменту, близки к кинжалам из других могильников той же эпохи в Восточной Грузии, в частности, из древнейших грунтовых погребений в Самтавро.

Бронзовые подвески в форме рыбок не находят себе аналогий в Грузии. В атласе Э. Шантра имеются сходные подвески, несколько меньшего размера, хранящиеся в Венском и С.-Жерменском музеях и происходящие из Верх. Кобани<sup>1</sup>. Подвески эти Э. Шантр относит ко времени появления железа, что подтверждает мое предположение о хронологической близости погребения на горе Наомари и могильника в Малхазовке.



<sup>1</sup> E. Chantre. Recherches anthropologique dans le Caucase, t. II. Période protohistorique. Atlas, pl. XX bis, 6, 7; pl. XXIV, 15. Paris. Lyon. 1886.

# აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის

1941 წლის 18 ნოემბერს აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავზე საქ. მეცნ. აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ მოეწყო საჯარო სხდომა-საღამო განსვენებული აკადემიკოსის ხსოვნის აღსანიშნავად.

საღამოს დაესწრო როგორც აკადემიის თანამშრომლები, აგრეთვე ვარეშე საზოგადოებაც. სხდომა გახსნა აკად. ს. ჯანაშიამ განსვენებულ ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე დახასიათებით, რის შემდეგ სიტყვებით და მოგონებებით განსვენებულის შესახებ გამოვიდნენ: ნ. ბერძენიშვილი, ა. შანიძე, ბ. ჩუბინაშვილი, ს. ქაუხჩიშვილი და ბ. ჩიტაია.

ნ. ბერძენიშვილი. დღეს, როცა მძინვარე მტერმა ჩვენი სამშობლოს ქიშკარი ვერაგულად შემოარღვია და გახელებული ის საბჭოეთის დედაციხეს ეხეთქება, უეჭველად, არახელსაყრელი დროა განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის პიროვნებისა თუ მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენადმე სრული შეფასებისათვის. გვწამს, ქარიშხალი გადაივლის, სიმართლის მზე კვლავინდებურად ინათებს და დროც დადგება, როცა ეროვნული კულტურის ამ დიდ მოღვაწეს შესაფერისად და ღირსეულად შეაფასებენ მისი დაზრდილები. მაგრამ ეს საღამო, როგორი მკრთალიც არ უნდა იყოს, არც ზედმეტია და საჭიროცაა. იმ დროს, როცა ჩვენს ეროვნულ არსებობას, ჩვენს კულტურულ მომავალს კვლავ განსაცდელი ემუქრება, იმ ადამიანის მოგონება, რომელმაც მთელი თავისი დიდი ძალ-ღონე ჩვენი ეროვნული კულტურისათვის ბრძოლას და ამ კულტურის ამსახურს პატიოსნად შეაღია, — სასარგებლო საქმეა: ივ. ჯავახიშვილის ხსოვნის საღამო ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას ემსახურება.

დღევანდელს ჩვენს მცირე სიტყვაში განსვენებული მეცნიერის შეფასება, რა თქმა უნდა, არ გვიკადნიერება. ჩვენი მიზანია აღვნიშნოთ სულ მოკლედ და ზოგადად მისი სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან მხოლოდ ორიოდ მომენტი.

XIX საუკუნის მიწურულს, როცა ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოვიდა, საქართველოს თავისი ახალი ისტორიის კრიტიკული ხანა უკვე განვლილი ჰქონდა. სიცოცხლისუნარიან ქართველ ხალხს ბრძოლის სწორი გზა უკვე ეპოვნა. საუკეთესო შვილების სახით ის რუსეთის რევოლუციური კლასის მეწინავე მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყო და თავისი ეროვნული მომავალიც ამ დიადი ბრძოლისათვის დაეკავშირებია. მაგრამ ეს პროცესი იმ დროს ჯერ კიდევ მთელი სისავსით გაშლილი არ იყო და არც ამ ბრძოლის პერსპექტივი იყო ყველასათვის ნათელი.

ქართველ ხალხში ამ დროს ჯერ კიდევ ბევრი იყო დაგვიანებული მოტირალი, გადასულ დიდებზე უიმედოდ რომ მოსთქვამდნენ; მრავლად იყვნენ „алаверди-ს პატრიოტიზმი“, უფრო სუფრაზე რომ ემარჯვებოდათ ხოლმე „предания Иверской земли“-ს მოგონება. ქართველი ხალხისაგან მოწყვეტილს და წოდებრივად მომაკვდავს ქართველ თავდაზნაურობას საქართველოც მომაკვდავი ეჩვენებოდა. ცარიზმის პენსიონერად ქცეულმა ქართველმა თავდაზნაურობამ 1901 წელს საკუთარ პანაშვილში ცხოველი მონაწილეობა მიიღო: საქართველოს პატივყრილობის ასი წლის თავი „კეთილშობილთა“ წოდებამ საქართველოს მესაფლავე ცარიზმსა და მის მოხელეებთან ერთად ილღესასწაულა.

ქართველი საზოგადოების ამ ფენასთან განსვენებულ მეცნიერს, რასაკვირველია, საერთო არა ჰქონდა რა. ძირძველი თავადის სახლის შვილი, ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ინტელიგენციის იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც ქართველი ხალხის საღამო მჯიშის ცხოველად გრძნობდა და ჩვენს ეროვნულ მომავალს იმედიანად შესცქეროდა. ქართველი ერის ბრწყინვალე მომავალის ურყევი რწმენით შეუდგა განსვენებული მოღვაწე ხალხის სამსახურს და ასეთივე რწმენით დასტოვა მან თავისი ნაჭირნახულები სამშობლო.

იმ დროს ქართველ ისტორიკოსს განსაკუთრებული პასუხსაგები მოვალეობა აწვა. ბრძოლად ამდგარ ქართველ ხალხს საკუთარი ისტორია სჭიროდა, ისტორია თანამედროვე მეცნიერების მონაპოვართა სიმალღეზე მდგომი, ისტორია არა გადასულ ამბავთა მოსაგონარი, ისტორია არა საპანაშვილო განწყობილებით დაწერილი, არა მიცვალებულის ისტორია, არამედ ისტორია ცოცხალის, მებრძოლის და მომავალის მქონე ხალხისა, ისტორია ამ ხალხის სიყვარულით გამთბარი, ისტორია მკაცრი, ჭეშმარიტი და სასარგებლო.

ქართველ ერს დიდი ისტორიული წარსული აქვს. კულტურულ ხალხს შესაფერისი ისტორიოგრაფიაც გააჩნია. ქართული ისტორიოგრაფია უძველესი დროიდან მოდის. მისი დასაწყისი ქრისტიანობის იქით ხანაწი იმალება. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება ჩვენი ხალხის ისტორიული ბედის შესაბამისია. საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობისას მისი ისტორიოგრაფიაც იზრდება და მეცნიერულად ვაჟკაცდება (IX—XIV სს.), ხოლო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დაცემისა და კულტურული დაქვეითების დროს ქართული ისტორიოგრაფიაც ქვეითდება, მარტივდება, ქრონიკულ წელთაღრიცხვად იქცევა (XV—XVI სს.) და ზოგჯერ სავესებით ქრება (XVI ს-ის მიწურულიდან—XVII ს-ის მეორე ნახევრამდე). ქართული ისტორიოგრაფიის ეს თავგადასავალი განსვენებულმა ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეამჩნია და თავის კაპიტალურ შრომაში—„ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“—ხაზგასმით აღნიშნა ის.

XVIII ს-ის ქართული ისტორიოგრაფია ქართლის კულტურული აღორძინების შესაფერისი იყო. ვახუშტი და პაპუნა ორბელიანი ქართული ისტორიული აზროვნების ბრწყინვალე გამოშუქებაა.

სამწუხაროდ, ქართული აღორძინების ოაზისი კიდევ ერთხელ წალეკა (დავინ უწყის, მერამდენეჯერ!...) ანლო-აღმოსავლეთის ველურობის ტალღამ. ვერ იხსნა საქართველო დიდი ერეკლეს ხმალმაც და დამოუკიდებლობის პატივყარილი შევიდა დიდჭირნახული ქვეყანა XIX ს-ში.

დაცემას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია XIX ს-ში. ბატონიშვილები, ო. ხერხეულიძე, ნ. დადიანი, ალ. ქავჭავაძე, ალ. ორბელიანი, პლ. იოსელიანი და მორუსულე სულხან ბარათოვი დიდად ჩამოუვარდებოდნენ ვახუშტის, ხოლო კულტურულ ხალხთა თანამედროვე ისტორიოგრაფიის სინათლეზე ისინი განსაკუთრებით ჩამორჩენილად გამოიციქირებოდნენ.

XIX ს-ის დიდ მანძილზე ქართული ისტორიოგრაფია მეტად არახელსაყრელ პირობებში მოექცა. გადაგვარების გზაზე შემდგარი თავად-აზნაურობისათვის საქართველოს ისტორია წარსული დროის რომანტიკული მოგონება და იყო მხოლოდ. საიქიოსაკენ პირმიქტეულს, მომაკვდავ წოდებას ისტორია პრაქტიკულად აღარ სჭიროდა. ქართველი ხალხი (დემოკრატია) კი ჯერ კიდევ არ ამდგარიყო და პოლიტიკურ სარბიელზე აქტიურად არ გამოსულიყო. რა თქმა უნდა, ქართული ისტორიული აზროვნების ზრდა-განვითარება არც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ანგარიშებში შედიოდა.

ასეთ პირობებში ვასაგებია, თუ საქართველოს ისტორიის დამუშავების საქმე უცხოელთა ხელში გადავიდა. მარი ბროსე, რომელმაც ჩვენი ისტორიის დამუშავების საქმეს ეგოდენი ღვაწლი დასდო, ქართული ისტორიოგრაფიის გარეშე დგას (ამდენადვე ადვილად ვასაგებია, რომ ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობის ამთვისებელი საქართველოს ისტორიის დარგში და მის წამოწყებათა გამგრძელებელი დიდხანს არავინ იყო ჩვენში).

რასაკვირველია, არაფერი აქვთ საერთო ქართულ ისტორიოგრაფიასთან ბუტკოვსკი, დუბროვინს და სხვა მათ ძმებს (როგორც ფორმალურად, ისე არსებითადაც მათი შრომარუსულ ისტორიოგრაფიას ეკუთვნის), რომელნიც საქართველოს და მის ისტორიას რუსეთის იმპერიის საშენ მასალად უყურებდნენ (ჩვენი ქვეყნის წარსულის ასეთი „მოამაგენი“

XIX საუკუნეში და შემდეგაც ბევრი იყენენ, „მომავგენი“, რომელთაც საქართველო მხოლოდ დამონებული და პოლიტიკურად მკვდარი უყვარდათ. კლასიკურია ერთი მათგანის: „люблю Грузию, только под властью России“).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ისტორიოგრაფიას გამოცოცხლება დაეცყო. ნიჭიერი მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძე ქართული ისტორიული აზროვნების ახალი ხანის პირველი წარმომადგენელია. ამავე ხანებში პეტერბურგის უნივერსიტეტში თანდათან გაძლიერდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, რომლის სამუშაო გეგმაში, სხვათა შორის, ქართული ენისა და საქართველოს წარსულის შესწავლაც იყო გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლით ქართველი ხალხის სამსახურს არ აპირებდა, ისე როგორც არ აპირებდა ის სამსახურს არა ერთი მკვდარი თუ ცოცხალი ხალხისას, რომლის ენასა და წარსულს ასეთივე ხალხით და წარმატებით სწავლობდა.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ახალმა სიომ დაჰქროლა. ქართველმა ხალხმა თავის ახალ ისტორიაში გადასვლის კრიტიკული პერიოდი გადალახა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზზე გამოსულ ერს საკუთარი ძველი კულტურის ცოდნის ძლიერი მოთხოვნილება გაუჩნდა. და პეტერბურგის ქართული ფილოლოგიის სკოლასაც წილად ხვდა სულ სხვა საპატიო ამოცანის შესრულება.

თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის წყურვილით გატაცებული არა ერთი ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდა დაეწაფა ამ ხანებში მეცნიერების სხვადასხვა დარგს, რათა თანამედროვე იარაღით აღქურვილიყო და მშობელი ხალხის ღირსეული სამსახური შესძლებოდა.

80-ანი წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის შესწავლას სათავეში ქართველები უდგანან. ჯერ ნიჭიერი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, შემდეგ ღიდი მეცნიერი აკად. ნიკო მარი. ქართველი ერის კულტურისა და ისტორიის შესწავლის საქმე მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დადგა.

ამ სკოლაში გაიარა მეცნიერული წრთობა ივანე ჯავახიშვილმა. შრომისა და ცოდნის უსახდრო წყურვილით შეუდგა ის მეცნიერების მძიმე ტვირთს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სასახლოდ ატარა, ისე რომ სულიერი მოღლა არ უგრძნია, შრომისა და ცოდნის წყურვილი არ შენელებია.

ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის ქართველოლოგიის სამეცნიერო სახლი საქმიან მოთავედ გამოვიდა. მას არ აკმაყოფილებს რუსული მეცნიერების წარმატება საქართველოს შესწავლის საქმეში და, როგორც მშობელი ხალხის ჭეშმარიტი მსახური, ის ქართული მეცნიერების შექმნისათვის იბრძვის. მისი იმდროინდელი სამეცნიერო მოღვაწეობა ამის სანიშნო მაგალითი იყო. 1899 წლიდან 1917 წლამდე ივანე ჯავახიშვილმა 40 სხვადასხვა სახელწოდების სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა. აქედან 23—რუსულ ენაზე, 16—ქართულზე, ერთი—გერმანულზე. ახლა, თუ ამ სიას ნაშრომთა მნიშვნელობა მოცულობის თვალსაზრისით განვიხილავთ, სულ სხვა სურათს მივიღებთ. გარდა ერთი ნაშრომისა (Государственный строй древней Грузии и древней Армении), სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად რომ იყო დაწერილი, განსვენებულ მოღვაწეს რუსულ ენაზე მხოლოდ მცირე წერილები უწერია. ამავე დროს, ყველა კაპიტალური ნაშრომი („საქართველოს ეკონომიური ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ქართველი ერის ისტორია“, „ისტორიის მიზანი, წყაროები, მეთოდები წინა და ეხლა“) მან ქართულად გამოაქვეყნა. ამავე ხანებში გატაცებული მეცნიერი ხშირად, ზაფხულობით, თითქო მშობელ ხალხს საკუთარი მუშაობის ანგარიშს აბარებსო, მთელი რიგი მოხსენებით გამოდიოდა თბილისში და ქართველ საზოგადოებას მის ნამდვილ წარსულს მეცნიერული სიტყვით აცნობდა.

ასეთი საქმისათვის იმ დროს მშობელი ხალხის სამსახურით გატაცება და ძლიერ ნებისყოფა იყო საჭირო. ოფიციალური ხელისუფლება ასეთი შრომისათვის წარჩინებას არ იძლეოდა, ხოლო დაბრკოლებას კი ყოველგვარს უქმნიდა პატრიოტ-მოღვაწეს. სამისოდ დამახასიათებელია, რომ ზემოდასახელებული შრომებიდან ყველა, რუსულ ენაზე დაწერილი, პეტერბურგში დაუბეჭდავთ, ხოლო ქართულად დაწერილი ნაშრომები—ყველა თბილისში.

მაგრამ ეს გარემოება თუ ერთი მხრით იმას მოწმობს, რომ ქართულ მეცნიერებას პეტერბურგში არ სწყალობდნენ, მეორე მხრით იმის მაჩვენებელიცაა, რომ აქ, საქართველოში, ქართული მეცნიერების საჭიროება უკვე შექმნილიყო. და ეს სავესებით გასაგები და ბუნებრივია: ეს დრო ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის ეპოქა იყო.

ასეთ პირობებში ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ფიქრი არაფერს თანტასტიკურს არ შეიცავდა. და როცა განსვენებული მეცნიერი, სტოლიპინის რეაქციის დროს, ქართველ მეცნიერ მუშაკთა აღრიცხვას თავის უბის წიგნაკში აწარმოებდა, აქ საკვირველი არაფერია. ეს სრულიად ბუნებრივი საქმიანობაა იმ ადამიანისა, რომელიც ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებლად გამოვიდა. ქართული მეცნიერება რუსულ უნივერსიტეტში ვერ აყვავდებოდა და ვინც ქართული მეცნიერების სამსახურს აპირებდა და ამ საქმის მომავალი სწამდა, მას უნდა ქართული უნივერსიტეტის შექმნის ფიქრიც ჰქონოდა. ეს იმ დროს უნიადაგო ოცნება სრულიადაც არ იყო: ვისაც ქართველი ერის მომავალი სწამდა, ვისაც რუსეთის რევოლუციური აზვირთება სიხარულს ჰგვრიდა და აიმედებდა, მას ისიც სწამდა, რომ რეაქცია, სტოლიპინის თუ სხვების, განწირულია, რომ მომავალი რევოლუციისა და თავისუფლებისაა. ამიტომაც ქართული უნივერსიტეტის თადარიგი რეალური, მეცნიერულ-რევოლუციური მოღვაწეობა იყო.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივანე ჯავახიშვილი ახალი ეტაპის შემქმნელია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სულიერი კულტურა... დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღჭურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივი, ბასრი კრიტიკული ალღო, სანიმუშო და მისაბაძი მეცნიერული სინიღისი, მუშაობით შეუწელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშობელი ხალხის კეთილშობილი სიყვარული,—ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაეხნა.

დიდი შემოქმედის სიმკაცრით გაწმინდა განსვენებულმა მეცნიერმა ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალა (ისტორიის წყაროების კრიტიკა ჩვენში აქამდის სრულიად არ არსებობდა და მეცნიერების ეს დარგი ქართულ ისტორიოგრაფიაში განსვენებულმა ჯავახიშვილმა შემოიტანა). არა ერთი საისტორიო წყარო, რომლის სანდოობაში აქამდის ეპიკე არავის შესდიოდა, უღმობელი კრიტიკის სინათლეზე გამოიტანა და უკუაგლო, არა ერთი პატრიოტული გადმოცემა, ხალხური შემოქმედების ლამაზი ნაყოფი, როგორც ისტორიისათვის უვარგისი წყარო, შეუბრალებლად გასწირა; უზარმაზარი შრომის შედეგად სავესებით დაამსხვრია მის დრომდის არსებული შეხედულება ქართულ ისტორიოგრაფიაზე და სრულიად ახალი შეხედულება დაასაფუძვლა. ამავე დროს მან შემოკრიბა უცხოური წყაროები ქართველი ხალხის წარსულის შესახებ. ყველაფერი ეს შედარებითი შესწავლის მკაცრი კრიტიკით გაცხრილა და აგრე დამზადებული სანდო საშენი მასალით ქართველი ერის ისტორიის წერას შეუდგა.

მრავალი რამ გასწორდება განსვენებული მეცნიერის ნაშრომებში, მის ნამუშავეის საფუძველზე თანდათან ახალი მეცნიერული ნაგებობანი გაჩნდება, ქართული ისტორიო-

გრაფია განვითარების შემდეგ საფეხურებს მიიღწევს, მაგრამ სამუდამოდ დარჩება ეტაპი, ივანე ჯავახიშვილმა რომ შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში, — დარჩება და იარსებებს ისევე, როგორც არსებობს ქართული ისტორიული აზროვნების ეტაპები ქამთააღმწერლის, დიდი ვახუშტის...

1917 წელს, როდესაც რევოლუციამ მეფის რუსეთი დაამხსვრია და ხალხთა საპრობილის კარები გაიხსნა, ქართული უნივერსიტეტის შექმნის საკითხი სადღეისო ამოცანად იქცა. პეტროგრადში ივანე ჯავახიშვილის მოთავეობით ახალი ქართული მეცნიერების შტაბი ჩამოყალიბდა. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს დაზრდილი ქართველი „შეგარდნები გადაუფრინდა“. გატაცებული მოღვაწის დიდი ხნის ოცნებამ ხორცი შეისხა. პატრიოტებმა სამშობლოს მოაშურეს და აქ ქართულ უნივერსიტეტს საძირკველი ჩაუყარეს. ამიერიდან ივანე ჯავახიშვილი ქართულ მეცნიერებას სათავეში ედგა.

ჩქარა საქართველო ოქტომბრის რევოლუციის მზემ გაანათა და საბჭოთა წყობილებით გააოხიერებულ ნიადაგზე თბილისის უნივერსიტეტმა მთელი რიგი უმძლესი სასწავლებლები იბარტყა. ქართულ მეცნიერებას უსაზღვრო პერსპექტივები გადაეშალა.

ფიზიკურად დასუსტებული მხცოვანი მეცნიერი სულიერად განქაბუკდა: ამ წლებზე მოდის მისი სამეცნიერო მუშაობის უნაყოფიერესი პერიოდი.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ხალხის მსახური.

20 წლის მანძილზე ქართული მეცნიერება მომწიფდა, დავაჟაკდა. მეცნიერთა ათეული ბევრეულად იქცა. ქართული მეცნიერების დიდი შენობისათვის თავის მოდგმა შესაძლებელი გახდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება დღის წესრიგში დადგა. ქართული მეცნიერების პატრიარქი პირადად ვერ მოესწრო ჩვენი კულტურის ამ ზეიმს, მაგრამ ის მშვიდი და დაჯერებული დაგვმორდა: სწამდა, რომ ამ დიდ საქმეს, ყოველი მხრით დროულსა და შემზადებულს, ბრწყინვალე მომავალი უზრუნველყოფილი აქვს.

ა. შანიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი და დიდი ადამიანი იყო. ასეთი პიროვნების შესახებ უნდა ვიცოდეთ ყოველი დეტალი მისი ცხოვრებისა და მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით, რომ აქ დამსწრეთა ყურადღება მისი ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან მხარეზე შევაჩერო.

ბევრმა იცის, რომ განსვენებულ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს კუჭ-ნაწლავების ქრონიკული დაავადება ჰქონდა, მაგრამ არ იცის, თუ როგორ დაეწყო ეს დაავადება და როგორ მიმდინარეობდა იგი.

1899 წელს, როდესაც ივ. ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი გაათავა, საზაფხულოდ თბილისს დაბრუნდა. ივანეს მამას, ალექსანდრეს, რომელიც საქალაქო სკოლების ინსპექტორად იყო, იმ დროს ბინა ავლაბარში ჰქონდა.

ზაფხული იყო, ივლისი თუ აგვისტო, ხალხი გაკრებილი იყო ქალაქიდან აგარაკებზე. შინ არავინ იყო, მამის გარდა.

ივანე ჯავახიშვილს სთხოვეს, დასწრებოდა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სხდომას. ის დასთანხმდა და გასწია სხდომაზე. სხდომის დაწყებამდე შეიარა სააკიანცის საკანდიტროში, რომელიც სოლოლაკის კუთხეში იყო მოთავსებული, და 2 ფუნთუშა („პონჩიკი“) შეჭამა.

სხდომაზე 1 საათის შემდეგ ცუდად იგრძნო თავი, ბოდიში მოიხადა და დასტოვა დარბაზი. ძლივს მოახერხა ეტლამდი მისვლა, ჩაჯდა და სასწრაფოდ ტემგზავრა შინ. მივიდა თუ არა, მაშინვე ლოგინში ჩაწვა, საშინელი ტკივილებისაგან შეწუხებული, მამა კი,



რომელიც ამ დროს შინ დახვდა, ექიმის მოსაყვანად გაეშურა. ექიმთა უმრავლესობა წასული იყო აგარაკებზე და ვერაინ იპოვა. შემთხვევით შეხვდა ერთ ახალგაზრდა ექიმს და ის წაიყვანა. ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და წამალი გამოუწერა. მაგრამ წამლისაგან ავადმყოფი კიდევ უარესად გახდა: პირიდან სისხლი ამოუვიდა და ყოველ 5 წუთში პირის ღებინება ჰქონდა, კუჭი მოეშალა, სისხლის ღინება დაეწყო, გრძობა თანდათანობით ეკარგებოდა, მაჯისცემა ძლივს ეტყობოდა.

მამამ რომ უარესობა შეატყო შეიღს, არჩია სხვა ექიმის დაძახება. გაექანა თავდაზნაურთა ქარვასლისაკენ, სადაც ეზოში რესტორანი იყო და სადაც იმედი ჰქონდა იპოვიდა ნაცნობ ექიმს. მართლაც, რესტორანში დახვდა ნაცნობი ექიმი—ტიტე სიმონის ძე ქიქოძე, რომელიც მაშინვე წაჰყვა შინ. მივიდნენ შინ თუ არა, ექიმმა გასინჯა ავადმყოფი, რომელსაც მაჯისცემა ოდნავ ეტყობოდა. თვალები გაახელინა, ასანთზე გასინჯა. შემდეგ გავიდა მეორე ოთახში და საყვედურით მიჰმართა ახალგაზრდა ექიმს: საექიმო უბის წიგნი მაინც არა გქონდა, რომ გაეგეო საქმის ნამდვილი ვითარება და სათანადო წამალი გამოგეწერაო?

ავადმყოფს გული უსუსტდებოდა, პირიდან სისხლი ამოსდიოდა. ექიმმა ქიქოძემ გამოუწერა წამალი, რომელსაც ყოველ 5 წუთში ასმევდნენ.

პირის ღებინება არ შეუწყდა, რაც ერთი მხრით კარგი იყო, რადგანაც თან ამოჰქონდა საწამლავი, მაგრამ ექიმმა შენიშნა: ტანი ცოტას მაინც შეიწოვს და საწამლავის რაიმე ნაშთი მაინც დარჩებაო. ექიმი ტ. ქიქოძე 2 საათიდან 5 საათამდე დარჩა ავადმყოფთან.

შემდეგ გამოირკვა, რომ ნამცხვარი, რომლისაგან ავად გახდა ივ. ჯავახიშვილი, მოუკალავ სპილენძის ჭურჭელში გაეკეთებინათ, იმ დღეს იმავე საკანდიტროდან ისეთივე ნამცხვრების წყალობით რამდენიმე კაცი მოწამულდა, მათ შორის ჯავახიშვილიც.

სალამო ხანს ავადმყოფს მოკეთება დაეტყო და ექიმმა ქიქოძემ უთხრა: ახლა კი გადარჩენილი ხართ და 3 დღის შემდეგ ჩემთან გელითო, თან დასძინა: 3 თვის განმავლობაში ერიდეთ ყოველგვარ გამალიზიანებელ საჭმელსაო.

ამის შემდეგ ავადმყოფი ერთი კვირის განმავლობაში საერთოდ მოკეთდა და აგვისტოს ბოლო რიცხვებში პეტერბურგს გაემგზავრა კიდევ. იქ სამი თვის განმავლობაში ზედმიწევნით ასრულებდა ექიმ ქიქოძის დარიგებას. შემდეგ კი დიეტის დაცვაზე ხელი აიღო.

ამის შემდეგ ხშირად ხდებოდა ავად, მაგრამ არ ფიქრობდა, რომ ამას კავშირი ჰქონოდა მოწამულასთან. ექიმები ეუბნებოდნენ: მწვავე გალიზიანება გაქვს, მიზეზი ახალი რამ არისო. მისცემდნენ წამალს, მოკეთდებოდა.

მერმე ავადმყოფობამ თანდათან უმატა, ხშირად ხდებოდა ავად. შემდეგ დაეწყო საშინელი ტკივილები ნაწლავებისა, კუჭის მოშლილობა. ვისთანაც მიდიოდა, ეუბნებოდნენ: არაფერიაო, კუჭის ნევროზიაო.

სხვათა შორის, სპილენძის სუნი აღლოთი მეჯავრებოდაო. კარების თითბრის სახელურებს რომ ხელს ვახლებდი, ტანში უსიამოვნებას ვიგრძნობდი, რადგანაც, ალბათ, შეერთება ხდებოდა ტანში დარჩენილ საწამლავთანაო.

ერთხელ ჩვენებმა ოჯახში მოინდომეს ღვეზილების გამოცხობა და ცომში შაქარი უნდა გაერიათო. ოჯახში ყველამ იცოდა და მზარეული ქალიც გაფრთხილებული გვყავდა, რომ შაქრის დანაყვა არ შეიძლებოდა სპილენძის ავანდასტაში, მაგრამ მზარეულს,—არ ვიცი, დაეზარა შაქრის ფხვნილზე დუქანში წასვლა და ყიდვა, თუ რა,—შაქარი სპილენძის ავანდასტაში დაენაყა და იმით გაეკეთებინა ღვეზილიო. ღვეზილი რომ გქამე, ამის შემდეგ ორი საათი არ იყო გასული, რომ ტკივილები დამეწყო და ცუდად გავხდიო. თავს სისუსტე შევატყე, გული მიმდიოდა, დამეწყო პირიდან ღებინება (ამომდიოდა მომწვანო-მოლურჯო სითხე). უთუოდ ყველაფერი სპილენძის ავანდასტაში დანაყილი შაქრის მიზე

ზით იყო, მაგრამ რაკი ნამდვილი მიზეზი არ ვიცოდი, მე ბადრიჯნის მურაბას ვაბრალებდო. ძმებს—გიორგისა და დათას—ვეუბნებოდი: მურაბა არ სჭამოთ, გადაღვარეთ-მეთქი, ისინი კი მიირთმევდნენ და თან ილიმებოდნენ, რადგანაც სკოდნოდათ, თურა იყო ნამდვილი მიზეზი ჩემი ავადმყოფობისაო (მზარეული ქალი გამომტყდარიყო, რომ სპილენძის ავანდასტაში დანაყა შაქარი). ეს მე მათ შემდეგ მიამბესო.

ეს ამბავი პეტერბურგში მომხდარა.

გადიოდა დრო. ავადმყოფობა თანდათან უფრო და უფრო მატულობდა. ექიმები, ვისთანაც კი მივიდოდა, ეუბნებოდნენ: არაფერიაო, კუჭის ნევროზია, მადა უნდა მოგივადესო და დარიშხანას აძლევდნენ. ამით პაციენტი უფრო უარესად ხდებოდა: დარიშხანა კიდევ უფრო აძლიერებდა წყლულიანი ნაწლავების დაავადებას.

ერთხელ პეტერბურგში იყო ერთი ქართველი ექიმი. მას გაუხიზჯავს და უთქვამს: ისე დამწეული ხართ და დასუსტებული გაქვთ სხეული, რომ სრულიად შეუძლებელია თქვენ ასეთ მდგომარეობაში დარჩენაო, რადგანაც გულისა და კუჭის ნევროზი გაქვთო, საჭიროა ტონუსის აწევად და სხვა. გამოუწერია წამალი, რომელშიც თურმე დარიშხანა შედიოდა დიდი რაოდენობით და, აფთიაქიდან რომ ასეთი წამალი გამოეშვით, ექიმს რეცეპტზე გვერდით მოუწერია: sic!!! (სამი ძახილის ნიშნით) იმისთვის, რომ არ ეფიქრათ ასეთი დიდი დოზა თითქო რაიმე შეცდომის შედეგიაო და თანაც ავადმყოფისთვის უთქვამს: მე თქვენ ცხენის დოზა გამოგიწერეთ, მაგრამ ეს საჭიროაო.

უახლოესი აფთიაქის გამეგ, ფარმაციის მაგისტრი, კარგი ნაცნობი ყოფილა ივ. ჯავახიშვილისა, რომელსაც გადაუცია მისთვის რეცეპტი. გამეგს უთქვამს: „მე უფლება არა მაქვს არ მოგცეთ წამალი, წამალს მოგცემთ, მაგრამ გეხვეწებით, არ დალიოთო, რადგანაც ისეთი დოზაა, რომ პირდაპირ საშიშია. თუ არ დაიშლით და დალევთ, ერთ მესამედზე მეტი მინც არ დალიოთო“.

ივ. ჯავახიშვილს ეს წამალი აფთიაქიდან გამოუტანია, მაგრამ სრულიადაც არ დაუღვია, რამდენიმე დღის შემდეგ იმ ექიმს უკითხავს: ახლა ხომ კარგად ხართო?—ახლა კარგად ვარო, უპასუხნია პაციენტს.

ამასობაში ავადმყოფობა თავისი გზით მიდიოდა. საჭირო იყო ნამდვილი წამლობა. ურჩიეს ერთ ნევრო-პათოლოგთან მისვლა. მან უთხრა: თქვენ ნაწლავებში არაფერი სერიოზული არა გაქვთ, გაქვთ მხოლოდ დუღილი და ამის წინააღმდეგ ახალი საშუალება მოიპოვებო და იმას გამოგიწერთო. აი მე თვითონაც ესეამ ამ წამალსო. „ეფიქრე: ეს კაცი არ იქნება თავის მტერი-მეთქი, იქნება არ მარგოს, მაგრამ მინც ესინჯავ-მეთქი“. ასე უფიქრია ივ. ჯავახიშვილს და გამოუწერია 20 ბოთლი წამალი, რომელიც ბურახს ჰგავდაო (წამალს მოსკოვიდან იბარებდნენ პეტერბურგში). დაუწყო ახალ წამალს სმა, მაგრამ თავს უარესობა შეატყო და თავი დაანება.

გადიოდა დრო. ავადმყოფობამ უფრო და უფრო დაიგდო ლოგინად, მარტო ლექციებისათვის დგებოდა და ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე, რომ ერთი ამბავი არ მომხდარიყო.

1908—9 წელს ივ. ჯავახიშვილის უმცროსი ძმა, დათა, ფინანსისტი, რომელიც საპროფესოროდ ემზადებოდა საფინანსო მეცნიერებათა დარგში პროფ. ოზეროვთან პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიკულ ფაკულტეტზე, ავად შეიქნა ნაღველას ბუშტის ანთებით. ავადმყოფობასთან ვერავენ ვერას გახდა, გარდა გრანსტრემისა, რომელიც მაშინ პრივატდოცენტად იყო სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. გრანსტრემმა დათა ჯავახიშვილის ავადმყოფობის მიზეზი გამოარკვია და ურჩია მას, კარლსბადს გამგზავრებულიყო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დათა ჯავახიშვილი შემდეგ გარდაიცვალა (1911 წ. ნოემბერში).

ამ გზით იცნობდა ივ. ჯავახიშვილი ექიმ გრანსტრემს და მას მიმართა სამკურნალოდ, როდესაც უკვე 10 წელიწადი იყო გასული მოწამელის დროდან. გრანსტრემმა: გარეგნული გასინჯვით არაფერი გეტყობათო—უთხრა—და საქირბოა ქიმიური და მიკროსკოპიული ანალიზით. კუჭის წვენი თვითონ ამოულღო და ანალიზის შემდეგ: კუჭის მჟავა დაკლებული გაქვთ 25<sup>0</sup>/<sub>6</sub>-ითო, უთხრა. მიკროსკოპიული ანალიზის შედეგი რომ უნახავს, ექიმს უთქვამს: მდგომარეობა შეტისმეტად ცუდია: დაზიანებულია მთელი ტრაქტი, მოიპოვება სისხლი, ჩირქი, ლორწო. თავის დროზე შეიძლებოდა სრულიად მორჩენა, ახლა-კი, ვერ დაგიმალავთ, შეიძლება იცოცხლოთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სასტიკად დაიცავთ დიეტასო. არავითარი ნევროზი თქვენ არა გაქვთ, ორგანული გაღიზიანებაა მოწამელის შედეგად და ვერ გაუფიქრებთ ექიმებსაო.

გრანსტრემმა დაარიგა: არ შეიძლება სკამოთ: მსუქანი, მჟავე, ძალიან ტკბილი, მლაშე, შემწვარი; საქმელი ყველაფერი გახეხილი ან დაკეპილი უნდა იყოსო. სასაქმებელი არ დალიოთ არას დროს და ყოველთვის, როცა ექიმს ეჩვენოთ და შეჰნიშნოთ, რომ დარიშხანას გიწერთ, გააფრთხილეთ, რომ, დარიშხანა თუ აუცილებელია, კანქვეშ უნდა იქნეს შესაბუნებელი, დაღვევა კი არ შეიძლებაო. საქმელად შეიძლებაო: თოხლო კვერცხი, ცოტა კარაქი, ცოტა ჰური, დაკეპილი ქათმის ხორცი, თევზი (მხოლოდ მოხარშული და ზრა მსუქანი), კომპოტი და კისელიო.

გრანსტრემის დარიგებას ივ. ჯავახიშვილი სასტიკად იცავდა და რიგიანად გრძნობდა თავს, თანდათან უფრო კარგადაც ვახდა. თუ წინათ საშინელი გულისფრიალი (ტახიკარდია) ჰქონდა და მაჯისცემა 120-მდე აუდიოდა, დიეტის შემდეგ ამ სენმა სრულიად გაუარა. სიფრთხილე მაინც დიდი სჭირდებოდა საქმელების შერჩევაში. სამწუხაროდ, დიეტის ზედმიწევნილობით დაცვა ყოველთვის არ ხერხდებოდა, განსაკუთრებით მოგზაურობის დროს, როგორც შემდეგი ეპიზოდებიც ამტკიცებს:

1910 წელს, ზაფხულის დამლევს, ივ. ჯავახიშვილი ცოლშვილითურთ პეტერბურგს მიემგზავრებოდა. გზაში, ბაქო-დარუბანდის გადასარბენზე, ვაგონ-რესტორანში ზუთხი ჰამა. თევზი ახალი ყოფილა, არავისთვის არაფერი უენია, ივ. ჯავახიშვილი კი იმ ღამეს ცუდად გამხდარა: მოჰსვლია გულის რევა, დასწყება კრუნჩხვა, გალურჯებულა და სხვა, ერთი სიტყვით აშკარა ნიშნები ყოფილა მოწამელისა. რადგანაც ამ დროს ხოლერობა ყოფილა, მგზავრები შიშის ზარს აუტანია და სწრაფად დაუცლიათ ის ვაგონი, რომელშიც ივ. ჯავახიშვილი ყოფილა ოჯახის წევრებითურთ. მატარებლის ადმინისტრაციას მოუწოდებია ვაგონის მოხსნა მინერალურ წყლებში სადენინფექციოდ და ბარაკში გაგზავნა. რის ვაი-ვაგლახით ივ. ჯავახიშვილის მეუღლეს მოუხერხებია ექიმის დარწმუნება, რომ აქ მოწამელა იყო თევზისაგან და არა ხოლერა. ვაგონი არ მოუხსნიათ და ნება დაურთავთ განეგრძო გზა, მაგრამ ავადმყოფი ისე ცუდად გრძნობდა თავს, რომ იძულებული გამხდარა ჩამომხდარიყო კურსკში, სადაც ეგულებოდა და და სიძე. იქ მოკეთებულა ერთი კვირის განმავლობაში და შემდეგ გამგზავრებულა პეტერბურგს.

გადიოდა ხანი. ამასობაში მსოფლიო ომი ატყდა. ქალაქებში იკლო სურსათ-სანოვა-გემ. გაჭირდა დიეტის დაცვა.

1915—16 წწ., როდესაც ივ. ჯავახიშვილს ცოლშვილი თბილისში ჰყავდა, მას ძალიან უჭირდა პეტროგრადში ექიმის მიერ გამოწერილი შერჩეული საქმელების შოვნა, ამის გამო გასაკვირველი არ არის, რომ მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა.

1917 წ., საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილს ისევ დაუწყო ნევროზი, გულის ფრიალი. ხშირად მოსდიოდა მწვავე შეტევები, უნივერსიტეტში ბევრჯელ ვყოფილვართ მოწამე მისი ცუდად გახდომისა. ასეთი მდგომარეობის გამო ის ძალიან ერიდებოდა მგზავრობას, რადგანაც გზაში ძნელია დიეტის დაცვა. მწვავე შეტევების შემთხვევებში ავადმყოფს ექიმები ნახულობდნენ, ეუბნებოდნენ: მსხვილი ნაწლავების რეაქ-

ცია გაქვსო, ეგ არაფერია, ნევროზის ნიადაგზე იქნებაო. სწამლობდნენ. ზოგ ექიმს ემადლიერებოდა, მაგრამ საერთოდ მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. ბოლოს ისევ ძველ წესს მიმართა: პროფ. ვლ. ვორონინის სთხოვა კუქის წვენი ანალიზის გაკეთება. ანალიზმა იგივე უჩვენა, რაც გრანსტრემის დროს იყო. პაციენტმა მაშინვე დაანება თავი ექიმების რჩევას და მკურნალობას და დიეტას მიჰყო ხელი.

მაგრამ მეორედ დიეტის დაცვა უკვე იმდენად დავგიანებული იყო, რომ განსვენებული დღე-ღამეზე მოელოდა უბედურებას. მიუხედავად მძიმე ქრონიკული დაავადებისა, ივ. ჯავახიშვილი ერთი წუთითაც არ ისვენებდა და განუწყვეტლივ მუშაობდა. ის ცდილობდა დაუცხრომელი სამეცნიერო მუშაობით და ფართო საზოგადოებრივი მუშაობით დაედუმებინა საშინელი ფიზიკური ტკივილები.

უნდა აღინიშნოს მაინც, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის კუჭ-ნაწლავების დაავადება არ ყოფილა მისი სიკვდილის უშუალო მიზეზი, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ დაავადებამ მოამზადა ნიადაგი საშინელი კატასტროფისთვის, რომლის მოწამე მთელი აუდიტორია გახდა აკადემიკოსის უკანასკნელ სამეცნიერო მოხსენებაზე შარშან ამ დროს.

ოჯახის წევრების გადმოცემის თანახმად, იმ საბედისწერო დღეს ივ. ჯავახიშვილი საშინელ ტკივილებს გრძნობდა და ფეხზე ძლივს იდგა თურმე. მაგრამ მას დიდი ჰქონდა მოვალეობის გრძნობა, რომელიც მას ამ ტკივილებს ავიწყებინებდა.

ივ. ჯავახიშვილი დაიღუპა მოვალეობის შესრულების დროს.

P. S. აკად. ივ. ჯავახიშვილი 1939 წ. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის თებერვლის სესიას დაესწრო მოსკოვში. მეც ვიყავ იმავე სესიაზე. მოსკოვიდან რომ ვბრუნდებოდით მატარებლით, მე ესთხოვე ივ. ჯავახიშვილს, ეამზნა ჩემთვის მისი ხანგრძლივი ავადმყოფობის ამბავი. მან მიაბო და მისი ნაამბობი იქვე, ვაგონის კუბეში, მოკლე შენიშვნების სახით, ჩავიწერე უბის წიგნაკში. ეს იყო 3.III.1939 წ. გროზნასა და მახაჩკალას გადასარბენზე.

აქ მოთავსებული ამბები თვით აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაამბობის მიხედვით არის მოთხრობილი, გარდა „ხოლერის“ შემთხვევისა, რომელიც მისი მეუღლისაგან მაქვს გაგონილი.

**გ. ჩუბინაშვილი.** წარსულს რომ მივუბრუნდები ხოლმე, ბატონ ივანეს ვხედავ ჯერ მაშინ, როცა ის სტუდენტი თუ ახლად უნივერსიტეტ დამთავრებული იყო (მე კიდევ ყრმა 12—15 წლისა), მერმე—მაშინ, როცა ის იოსებ ყიფშიძის დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტად გამოვიდა, და ბოლოს—მაშინ, როცა გარემოებამ მასთან უკანასკნელ 25 წელს პეტერბურგსა და თბილისში დამაკავშირა. შთაბეჭდილება, რომელიც მან ამ სამივე ხანს ჩემში გამოიწვია, მუდამ ერთია. ეს შთაბეჭდილება, უცვლელი და თანაბარი აღნიშნულ დროთა მთელ მანძილზე, შთაბეჭდილებაა, რომელიც შეიძლება მიიღო მუდამ სწორის, მშვიდის, ყურადღებიანისა და მიზანთმიმართულის, უნისლოსა და აღსწრაფებელის, დამოკიდებულებათა არეში გადაუნაცვლებელის ადამიანის გარეგანი და შინაგანი აღნაგობისაგან. მისი დამოკიდებულება ყოველი საკითხისადმი მუდამ გამოდიოდა საქმის შინაარსიდანა და ინტერესებიდან და არასოდეს პირთა კერძო სურვილების მიხედვით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა, მისთვის სრულიად უცნობიც კი, თავისი კერძო საქმის მიმართ აუცილებლად პოულობდა მის მხრით გულითადასა და მზრუნველობით აღსავსე ყურადღებას; ბატონი ივანე მუდამ მზად იყო დახმარება აღმოეჩინა მისთვის სიტყვითა და საქმით. ყველაფერს ამას ის აკეთებდა საცესებით დამშვიდებული და სადად, ძალდაუტანებლად. შეიძლება ითქვას, ბუნებრივად. რა საკითხის განხილვისას, მუშაკთა შორის რა ურთიერთობათა განხილვისას არ მაგონდება ბატონი ივანე! იგი ყოველთვის ინარჩუნებდა სიმშვი-

დესა და სიღინჯეს, რაც ასე მოქმედებდა ყველაზე. ივანე ჯავახიშვილი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა შესახებ რომენ როლანმა სთქვა: ესენი მუდამ თავის სიმაღლეზე დგანანო; ეს ადამიანები უფრო ფაქიზი ინსტინქტების პატრონები არიან, ვიდრე დანარჩენებიო. მათ იციან ესა და აქვთ თავის ღირსებათა შეგნებაო... თუნდაც განზე იდგნენ ესენი, ყველამ იცის, რომ ამათ პირველი ადგილი ეკუთვნით, მარტო ამათი არსებობაც კი ლაგმად ევლინება დანარჩენებსა და თავს აკავებინებსო. ყველანი იძულებულნი არიან ამათი მწკრივის მიხედვით დალაგდნენო.

ქართული კულტურა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, — აი რა საზღვრავდა და გზას აძლევდა სულ მუდამ ივანე ჯავახიშვილის მთელ მოქმედებას. ეს იყო დედაძარღვი მთელი მისი ინტერესებისა, მთელი მისი მზრუნველობისა, მისი ცხოვრების ზრახვათა. ამიტომაც იყო, რომ მან თავის სპეციალობად ქართველი ერის ისტორიის შესწავლა აირჩია, და ისიც ამ ისტორიის არა ერთი რომელიმე მხარისა, არამედ ყველა მისი გამოვლინებისა. აქედანვე გამომდინარეობდა მისი მონაწილეობა, დაუღალავი თანამშრომლობა ყველა ცალკეულ დისციპლინაში. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილი პირველ რიგში აქვეყნებს საქართველოს ისტორიისათვის, ნამდვილად რომ ითქვას, მარქაფად მდგარს გამოკვლევებს, როგორც, მაგალითად, პატრისტკული ლიტერატურის ქართული თარგმანების შესახებ არსებული ცნობების შეჯამებას, ან კიდევ ქართული ენათმეცნიერების საკითხების მიმოხილვას და სხვა<sup>1</sup>. შემდეგ კი, როცა ქართლის-მცოდნეობის ცალკეული დარგების განვითარებას აღმოაჩნდა საკუთარი სპეციალისტები, ჩვენ ვხედავთ, რომ ივანე ჯავახიშვილი თავს იზღუდავს მეცნიერული საკითხების გარჩევაში საკუთრივ „ისტორიის“ კვლევით. მაგრამ ამ თავისი კვლევა-ძიებითი სამუშაოსათვის იგი არამც თუ თვალყურს ადევნებს მხოლოდ იმას, რაც სხვა, მოსაზღვრე დარგებში ხდება, არამედ, როგორც ეს ცხადად ჩანს, იგი, საცა და როდესაც საჭიროა, წინანდებურად თვითვე ატარებს აქტიურად გამოკვლევებს. კიდევ მეტი, ივანე ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელია, რომ მთელი თავისი კვლევა-ძიებითი ცხოვრების განმავლობაში იგი ყოველთვის საზოგადოდ ყველა ჰუმანიტარულ (და ნაწილობრივ სხვათა) მეცნიერებათა უახლესი მიღწევებისა და მონაპოვრების სიმაღლეზე იდგა. ის იყო au courant ყველაფრისა, რაც კი კეთდებოდა მეცნიერებაში როგორც ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. იგი იცნობდა აგრეთვე ხელოვნების ახალ მიმდინარეობებსაც. მით ის შესაძლებელს ხდიდა თავისთვის წარსულისა და ახლანდელი ქართული კულტურის მოვლენათა შეფასებასა და მომავალი მუშაობისათვის კადრების მომზადებაში თავისი წვლილის შეტანასა. ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა მკაფიო და მთლიანი პირადი დამოკიდებულება, მიღგომა როგორც ყველა მოვლენისა და მეცნიერული თეორიისადმი, ისე ხელოვნებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა მიმართ. მახსენდება, თუ როგორ დაჰგმო ივანე ჯავახიშვილმა არქიტექტურაში კონსტრუქტივიზმი მაშინ, როცა უკანასკნელი ჯერ კიდევ არ გაშლილიყო და ის-ის იყო თავის გამოსვლას იწყებდა; როგორ დაჰგმო მან მხატვრობაში შიშველი სიუჟეტურობა და მისი მღვრიე ფერები და, პირიქით, რა სიხარულსა და სიბოზს გრძნობდა იგი ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებთა წაკითხვისას.

სავსებით ბუნებრივია, რომ ქართული ხელოვნების საკითხებიც, ქართული ხელოვნების წარსულის შესწავლაც, ხელის შეწყობა დღევანდელი აღმავლობისათვის და მისი მომავალი ბედი (მეტადრე, ცხადია, კადრების მომზადების მხრივ) ივანე ჯავახიშვილისთვის ისევე ძვირფასნი და ახლონი იყვნენ, როგორც ქართული კულტურის სხვა საკითხებიც.

<sup>1</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ შრომასთან („ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, 1934) დაკავშირებით ბატ-მა ივანემ როგორღაც მითხრა: ჩემს ახალგაზრდობაში ისე ვიყავი გატაცებული მუსიკის მეცნიერული საკითხებით, რომ თავდაპირველად ვფიქრობდი სწორედ ამ საკითხების შესწავლას შედეგომოდით.

და მართლაც, „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემაში (ტ. I, 1913, წინასიტყვაობა) ივანე ჯავახიშვილი იხსენიებს ქართული ხელოვნების ისტორიას, როგორც თავის ცალკე მონოგრაფიულ გამოკვლევას. უკანასკნელის ნაწილი დაიბეჭდა მაშინვე გამოცემაში „Христианский Восток“ (ტ. III, ნაკვ. I, 1914, გვ. 17—31) სათაურით: „Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древне-грузинской литературе“. აქ მოცემულია არქიტექტურის 10 ტერმინის ანალიზი. ივანე ჯავახიშვილმა თავისი გამოკვლევების შედეგები მთლიანად, როგორც ჩანს, საზოგადოებას გააცნო თბილისში 1913 წ. წაქითხული საჯარო ლექციით თემაზე: „ქართული ძველი ხელოვნება“. ამ ლექციის ვრცელი შინაარსი დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ ოთხ ნომერში (1913 წელი, № 797, 800, 801 და 802)<sup>1</sup>. გამოკვლევაში „Термины искусства“ ასახულია მკვლევარის ნაბეჭდი შრომებისათვის საერთო ხასიათი; ეს არის: მეტისმეტი თავდაჭერილობა, თვითშეზღუდვა გადმოცემასა და გამოთქმაში. იგი ლაპარაკობს მხოლოდ და განსაკუთრებით იმაზე, რაც ფაქტიურად არის დადგენილი. ფაქტები და მათი მკაფიო და მტკიცე დადგენა — აი ესაა მუდამ ბატონ ივანეს პირველი და ძირითადი ამოცანა, გადაწყვეტილი გამოკვლევითა და გაშუქებული თხრობით. ზოგადს, ფართო გაშლას, ან ისტორიულ მოვლენათა და ეპოქების სურათებზე დამთავრებულ წარმოდგენას ბატონი ივანე იძლეოდა მხოლოდ საჯარო გამოსვლებსა თუ კერძო საუბარში. თვითშეზღუდვის ეს თვისება განსვენებულს სიკვდილის კარამდე შერჩა. გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მის „ქართველი ერის ისტორიის“ III ტომში ლაშა-გიორგის შეფუძნის ყველა ამბავსა და თვით ლაშას დახასიათებას დათმობილი აქვს რვა გვერდი, მაშინ როდესაც, ქართველი ერის ისტორიის ამ ნაწილის ლექციურ თხრობას პეტერბურგის უნივერსიტეტში, ე. ი. ჯერ კიდევ 25 წლის წინათ, მან ნახევარი სემესტრი მოაწოდო.

ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებიდანვე ივანე ჯავახიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა სხვა დისციპლინათა კათედრების დაარსებასთან ერთად ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრის შექმნისათვისაც. ბუნებრივია, რომ საჭირო ეფექტის მისაღებად ამ დისციპლინის სწავლება მოითხოვდა საგრძნობსა და სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებათა გატარებას; საჭირო გახდა თვალსაზრისი მოწყობილობისა და სახელმძღვანელოების შექმნა-მონახვა, შეკრება, დამზადება და მიღება. ძეგლების შესწავლის მიზნით საჭირო გახდა კვლევა-ძიებითი სამუშაოების მოწყობა და ჩატარება, რაც დაკავშირებული იყო ადგილებზე წასვლამოსვლასთან და მუშაკების მოწვევასთან. ყველა ეს, ისე როგორც სხვა საკითხებიც, ივანე ჯავახიშვილის მხრით ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა, არასდროს არ საჭიროებდა რაიმე ვრცელ დასაბუთებას. ივანე ჯავახიშვილს საქმის ყველა ასეთი რეალური მოთხოვნილება, შეიძლება ითქვას, სიტყვის უთქმელად ესმოდა; არც თვითონ ხარჯავდა სიტყვებს, ყველა ღონისძიებას ლეზულობდა და მათი სისრულეში მოსაყვანად შესაფერვან-კარგულელებს იძლეოდა. ამგვარად, გასაგები ხდება ის სიადვილე, რომელიც ახასიათებდა მის მუშაობას უნივერსიტეტში. სწორედ ამიტომ გადაჭრა ისე უბრალოდ და ბუნებრივად ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის საკითხი. ასევე უბრალოდ და ბუნებრივად მტკიცდებოდა წარდგენილი კურსები და მეცადინეობანი, რომლებიც არ იზღუდებოდნენ მხოლოდ-დამხოლოდ ქართული ხელოვნების ისტორიით, არამედ შეიცავდნენ ცალკეულ საკითხებსაც დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიიდან. ეს ღონისძიება მიღებული იყო ქართული ხელოვნების მომავალ მკვლევართათვის მეცნიერული მეთოდების აუცილებელი ფუ-

<sup>1</sup> ეს რეზუმე გამოტოვებულია განსვენებულის ნაბეჭდი შრომების ნუსხეში; იგი შეიცავს მეცნიერულსა და, განსაკუთრებით ტერმინოლოგიურ, მდიდარ მასალას.

ძის შექმნის მიზნით. ასევე უბრალოდ და ბუნებრივად გაფართოვდა კაბინეტი ორი წლის შემდეგ (1921) მომუშავე არქიტექტორების შტატის შექმნით.

ქართული ხელოვნების შესწავლის საქმის გზაზე დასაყენებლად ივანე ჯავახიშვილის მიერ მიღებულ ზომებს შორის განსაკუთრებით შემდეგი უნდა გამოიყოს. როცა 1923—24 წლებში ანტირელიგიური მოძრაობის ტალღების ძლიერ ზრდასთან ერთად პროვინციის სხვადასხვა ადგილიდან მოვიდა ცნობები სიძველეთა და ხელოვნების ცალკეული იმ ძეგლების განადგურების შემთხვევების შესახებ, რომლებიც ეკლესიებში იყო დაცული, განათლების სახალხო კომისარიატის მეცნიერებათა მთავარმა სამმართველომ მხატვრული და ისტორიული ძეგლების გადასარჩევად სასწრაფოდ შეადგინა ბრიგადები და ისინი რაიონებში დაგზავნა. ამასთან მთელ რიგ ადგილებიდან, გადაარჩევასთან ერთად, აღნიშნული ძეგლები თბილისში იქნა ჩამოტანილი. ამრიგად, 1924 წლის დამდეგს თბილისში მეცნიერებათა მთავარ სამმართველოს განკარგულებაში აღმოჩნდა ყუთები საგრძნობი სამუზეუმო ქონებით. მეცნიერებათა მთავარ სამმართველოს წინაშე წამოიჭრა საკითხი, თუ რა უნდა ექნა ამ პირველხარისხოვანი მხატვრული მნიშვნელობის მასალისათვის. მანამდე არა ერთხელ წამოჭრილი საკითხი, თბილისში ძველი ხელოვნების სპეციალური მუზეუმის შექმნის შესახებ, რასაც პრაქტიკულად, პირველ რიგში, ბინის უქონლობა ეღობებოდა წინ, ისევ დღის წესრიგში დადგა. მასხოვს, ამასთან დაკავშირებით, 1924 წლის აპრილში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა, როგორც საზოგადოების თავმჯდომარემ და ამასთანავე უნივერსიტეტის რექტორმა, მიიღო შემოტანილი წინადადება, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის შენობის შუაგულში მოთავსებული და საწყობად ქცეული ეკლესია სხვადასხვა სახის სამეურნეო ქონებისაგან უნდა გაეთავისუფლებიათ და გადაეცათ იგი ხელოვნების მეცნიერების კაბინეტისათვის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის შესაქმნელად. ეს წინადადება იმდენად სადად, სწრაფად და უსიტყვოდ იყო მიღებული, რომ სხდომის ოქმშიაც კი არ შეუტანიათ. ამ აზრს მხარი დაუჭირა მეცნიერებათა მთავარმა სამმართველომაც, რომელმაც თბილისში ჩამოტანილი და ჩამოსატანი სიძველენი გააწესა ივანე ჯავახიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯით საძირკველ-ჩაყრილი მუზეუმისათვის. სადგომის გასუფთავება, მისი მცირე რემონტი, დარბაზის სამუზეუმო ექსპოზიციისათვის მოწყობა, ფონდების შესანახად პატრონიკენის მოგვარება, სადენინფექციო სამუშაოები და, დასასრულს, რაც უფრო დიდ ხარჯებს მოითხოვდა,—ფარების აღმართვა ქედური ძეგლების გამოსაკიდად, ივანე ჯავახიშვილის სახით სრულ ხელშეწყობას პოულობდა. ასე აღმოცენდა ივანე ჯავახიშვილის დახმარებით უნივერსიტეტის ორგანიზმში კაბინეტის საკვლევადიებო მუშაობასთან დაკავშირებული ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელიც, გადაკეთდა თუ არა პედაგოგიურ ინსტიტუტად უნივერსიტეტი, იძულებული გახდა აგრეთვე, როგორც ყოფილი უნივერსიტეტის შენობაში არსებული სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებიც, მიეტოვებინა თავისი, მის წასვლისთანავე შრავალნირი მიმართულების გადატიხვრის მსხვერპლად ქცეული ბინა და მისი ბედის მქონე სხვა მუზეუმის ქონებასთან ერთად, საქართველოს მუზეუმს მიჰკედლებოდა თითქმის ორნახევარ წელიწადს. ამ ხნის შემდეგ ამ მუზეუმმა, სხვა სამუზეუმო ქონებასთან ერთად, შექმნა ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“, და უკანასკნელად კიდევ, სახელდობრ 1941 წელს, წარმოშვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილისაგან გზაზედ დაყენებული ამ მუზეუმის საგამოფენო-საექსპოზიციო დამხმარე მასალა, რომელიც უნივერსიტეტში მისი რექტორობისას იქნა შექმნილი, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მუზეუმის შენობაში გამართული ქედური ხელოვნების გამოფენის ექსპოზიციისათვისაც კი იქნა გამოყენებული უკლებლივ.

ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის შექმნის საკითხს მკიდროდ დაუკავშირდა გამოკვლევათა და ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებიც. ივანე ჯავახიშვილი, ბუნებრივია, ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლასთან ერთად ნაკლებ ყურადღებას როდი აქცევდა მათი დაცვის საკითხსაც. ქართული კულტურის ამ დიდ საქმეში მისი უმეწეო მონაწილეობის მრავალი შემთხვევიდან შეეჩერდები ორზე, რომლებიც, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო დამახასიათებელია ბატონ ივანეს პიროვნებისა და იმისათვის, თუ როგორი ჩვეულება ჰქონდა განსვენებულს საკითხებზე პასუხის გაცემის დროს.

როცა სარგის კაკაბაძემ, გაითვალისწინა რა ბატონ ივანეს ავტორიტეტი და ყოველთვის გულისხმიერი დამოკიდებულება მისი სიტყვებისადმი, მიმართა თხოვნით, ერთად ენახულათ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე (თუ შინაგან საქმეთა სახ. კომისარი) სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის ორგანიზაციის მთავარი საკითხების მოწესრიგების მიზნით, ბატონმა ივანემ თანხმობა განაცხადა. ყველას მოეხსენება სარგის კაკაბაძის გამოსვლები ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ, მაგრამ მან არ გაუწია ანგარიში ასეთს პირადულ გამოსვლებს საერთო საქმის საზიანოდ.

ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული ეფექტური მონაწილეობის მეორე შემთხვევა დაკავშირებულია შუამდგომლობასთან, რომლითაც სრულიად საქართველოს ცაკთან მაშინ არსებულმა ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა, სრ. საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის მითითებით, სრულიად საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. მოლოტოვის მიმართა. ივანე ჯავახიშვილმა პირველმა მოაწერა ხელი ამ მოხსენებების ბარათს, თუმცა თავისი ყოველდღიური მუშაობით იგი უშუალოდ კომიტეტთან არ იყო დაკავშირებული. სსრკ სახკომსაბჭომ აღნიშნული მოხსენებითი ბარათის განხილვის შემდეგ, საქართველოს ძველი ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოთა მოწყობის მიზნით ხუთი მილიონი მანეთი გადასდო. როგორც კარგადაა ცნობილი, სწორედ ეს ასიგნობა იყო, რომ არამტელ მონუმენტალური კულტურული მემკვიდრეობის თვითდაცვის საქმე წასწია წინ, არამედ მისცა აგრეთვე საქართველოს საშუალება ამ მიმართულებაში თითქმის ყოველი მხრით პირველი ადგილი დაეჭირა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებს შორის.

ივანე ჯავახიშვილი ერთი მხრივ ყოველნაირად ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ქართული ხელოვნების შესწავლას, ხოლო მეორე მხრივ ისტორიული ძეგლების პრაქტიკულ დაცვას, და ამასთანავე იგი არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა ფართო ჩვენებას გამოფენებზე და სამუზეუმო ექსპოზიციაში. მაგონდება ქართული ხუროთმოძღვრული ისტორიული მასალების მოკლევადიანი გამოფენები. პირველი მათგანი 1923 წელს საქართველოს მუზეუმის შენობის მაშინ ახლად დამთავრებულ კორპუსში, ხოლო მეორე—1925 წელს მაშინდელი საქართველოს სამხატვრო აკადემიის ორსინათლიან უზარმაზარ საკლუბო დარბაზში. ივანე ჯავახიშვილმა ინახულა პირველი და მეორე გამოფენაც. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი არ თებოდა და იქ სცივე იყო, იანვრის არდადეგების დროს, ბატონი ივანე ეცნობოდა ყოველივე წვრილმანს, ათვალეირების და და მსჯელობდა. ასეთივე ზნეობრივი დასაყრდენი ჰქოვა მისი სახით განსახკომის მიერ 1930 წელს მოწყობილმა საშუალო საუკუნეების ქართული ხელოვნების საზღვარგარეთ მოწყობილმა გამოფენამ. ივანე ჯავახიშვილმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინა როგორც ამ გამოფენის მომზადების პერიოდში, ისე მისი დაბრუნების შემდეგაც. უნდა გენახათ როგორი ყურადღებითა და რა ზნეობრივი კმაყოფილებით ისმენდა ამბავს იგი იმ დიდი ინტერესისა და აღფრთოვანების შესახებ, რომელიც გამოიწვია გამოფენამ და მასთან ერთად ჩატარებულმა მოხსენებებმა არა მხოლოდ დღიურ პრესასა და ჩვეულებრივ მნახველებში, არამედ ხელოვნების ისტორიის სპეციალისტებს შორის, რომლებმაც ეს გამოფენა ინახულეს. დასასრულ, აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელი მონაწილეობა სამუზეუმო



მუშაობაში. მხედველობაში მაქვს გამოფენა, რომელიც შოთა რუსთაველის პოემის 750 წლისთავზე მოეწყო. ეს მონაწილეობა აღინიშნა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბატონი ივანე თავდამოდებით იცავდა სპეციალური ძიებებით გაძლიერებულ ქართული ხელოვნების, როგორც მთელი გამოფენის დამოუკიდებელი განყოფილების, ფართოდ ჩვენების აუცილებლობას, და მეორე მით, რომ ივანე ჯავახიშვილმა უშუალო პირადი ხელმძღვანელობა გაუწვია შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილების ორგანიზაციას. აქ შექმნილი თვალყური ედევნებია კაცს, თუ როგორი გარკვეულობით ამუშავებდა იგი განყოფილების შინაარსის მთელს გეგმას, მისი აგების რამდენიმე ვარიანტს შორის თუ როგორი გეგმაშეწონილობით შეჩერდა განხორციელებულზე და როგორ მისცა მას ის მხატვრული გაფორმება, რომელიც შოთა რუსთაველის ეპოქის გამოფენის ამ განყოფილებამ მიიღო. იგი ნათლად ხელმძღვანელობდა, მიმართავდა ან უარყოფდა მისთვის მიუღებელ წინადადებებს ავადმყოფობის დროსაც კი, როცა ლოგინში იწვა. და ეს შეეხება როგორც დარბაზების დაგეგმვას, ფარების დადგმას, ისე სავამოფენო ავეჯის ფორმას, ეტიკეტაჟსა და სხვ. მე ვიგოვებ ამ სამუშაოს იმიტომ, რომ ამ კერძო შემთხვევაშიც მთელი სისრულით თავი იჩინა ადამიანმა, რომელსაც სამუშეუშო ექსპოზიციის შინაარსზე და მოთხოვნაზე თავისი გარკვეული, მკაფიო და სწორი შეხედულება ჰქონდა. შოთა რუსთაველის ეპოქის გამოფენის ამ განყოფილებას ნაკლად—შმთავრესად მხატვრები—უთვლიან იმას, რომ ეკლესიათა კედლის მხატვრობის ისტორიული პირების რეპროდუქციები შესრულებულია ორიგინალების გადმოცემის ფაქსიმილური სიზუსტის დაუცველად, რომ ეს რეპროდუქციები არ გადმოსცემენ არც წერის ტექნიკას, არც ცხოველმსახველობის დაცულობას და არც დაზიანებულ ადგილებს. უკიფინებენ აგრეთვე სურათის დაზიანებული ნაწილების აღდგენას, ან მთელის კოლორიტობის აღდგენის ცდას. ამასთან ისინი თითქოს განგებ უგულვებელყოფენ იმ მთავარ მიზანს, რომელიც დასახული ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული პირების მოცემისას—დაეგროვებია მასალები ისტორიული ტანსაცმლის გარშემო. ეს კი, ცხადია, სწორედ შემჩნეულ კვალთა მიხედვით, ტანსაცმლის სურათისა და მათი შეფერადების შევსებას მოითხოვს. სულ სხვაა, რომ შესრულებულთა დიდი უმრავლესობა ამ ამოცანის სიმაღლეზე არ აღმოჩნდა. ამ თვალსაზრისით თვითონ ბატონი ივანეც არ იყო კმაყოფილი ჩატარებული მუშაობით. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა რომ შესაძლებელია ისე, რომ თანამედროვე მხატვარმა არ მისცეს ძველი ხელოვანისაგან შექმნილ სახესა და პოზას რეალისტური აგებულება, ე. ი. დაიცვას უსწორო სახეები ტანსაცმელში, ეს გვიჩვენა რაჭის ერისთავთა ფრესკული პორტრეტების პირებმა. უკანასკნელნი შესრულებულია ტანსაცმელთა მოხდენილი განზოგადებით და გამოსახულთა პირისახეზე ექსპრესიონისტულად ხაზგასმულია მხეცური გამომეტყველება. ისტორიული ტანსაცმელის შესწავლის მიზნისათვის პირების შესრულების ასეთი ხერხით შეიძლება თავიდან აცილებული იქნეს ყველა ის სიძნელე, რომლებიც ძველი მხატვრობის თანამედროვე კომპოზიციის გადმოტანასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ფრესკის პირობითი ტანსაცმელის დეტალების განმარტებას მოითხოვს, რაც სხვადასხვაანაირ ახსნასა და შევსებას იწვევს. ამასთან ერთად შესრულების ამგვარი წესით თავს ვაღწევთ იმ უსიამოვნო შთაბეჭდილებას, რომელსაც იწვევს თანამედროვე მხატვრული ტექნიკის ფანდებისა და მასალების შეუფუებლობა ძველი კედლის მხატვრობის გარეგნობასთან.

ივანე ჯავახიშვილი რომ იმ მხრივ დავახსიათოთ, თუ როგორ ეპყრობოდა ის ერთ-ერთ რომელიმე საკითხს, ვთქვათ, მაგალითად, ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეს, ეს იმას ნიშნავს, თუ როგორ ეპყრობოდა ის ყოველ საკითხს. მარტო ერთ ასეთ საქმეში მკვლავნდება მთლიანად მისი სახე, ზნეობრივი სახე იმ ადამიანისა, რომელიც სახეებით და მთლიანად ეძლეოდა საქმეს, საქმის ინტერესს—მარტოდენ თვითონ საქმისათვის; შეგნებული ცხოვრების დაწყებიდანვე უკანასკნელ წუთამდე მხოლოდ ერთი გარკვეული მიმარ-

თულებით მიდიოდა და რომელმაც არ იცოდა პირადი ინტერესებით გამოწვეული არავითარი გადახრა. მისთვის სრულიად უცნობი იყო პირადული მიდგომა რომელიმე საზოგადო საკითხისადმი და მასში ყოველთვის უსიამოვნო გაცეხას იწვევდა ასეთი მიდგომა, როცა სხვა მუშაკს შეამჩნევდა (თუმცა ამის შესახებ იგი მხოლოდ გაკვირით და იშვიათ შემთხვევაში თუ იტყოდა რამეს). ზნეობრივ მოთხოვნათა სიმალღე და სიმტკიცე, რომელსაც იგი აღამიანს და მეტადრე მეცნიერს უყენებდა—აი რა ასხევეებდა მას და სხვებისთვის მაგალითად ხდიდა. აი რატომბა ბოლოს საკირო შევჩერდეთ იმ ზნეობრივ ორიენტირზე, მისი მსოფლმხედველობის იმ ძირითად მომენტზე, რომელიც საზღვრავდა, აჯამებდა და თითქოს მისი პიროვნების ყველა მრავალნიარ ინტერესს აშუქებდა: ესაა ბატონ ივანეს პატრიოტიზმი.

იყო პერიოდი მის ცხოვრებაში, როცა ჩვენს უნივერსიტეტში ფეხმოკიდებულმა ხალხის მტრებმა მისი ზნეობრივი გავლენისა და მნიშვნელობის წინააღმდეგ იარაღად ბატონ ივანეს ეს ცნობილი პატრიოტიზმი გამოიყენეს. მოვიგონებ ერთ შემთხვევას მენშევიკურ პერიოდიდან, როცა ეროვნული შეხლა-შემოხლა გამწვავდა. ეს იყო „ამიერ-კავკასიის სიემის“ ცალკე ნაციონალურ რესპუბლიკებად დანაწილების შემდეგ. მაშინ სომხეთიც მოწადინებული იყო შემოეკრიბა საკუთარი კულტურული ძალები და მისი საზღვრების გარეშე არსებული დაწესებულებები. მისი სურვილი იყო გაეტანა თბილისიდან სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების კოლექციები და მასალები. მაშინ კულტურის ასპარეზზე მომუშავეთა შორის გაისმა ხმები, რომლებიც სომხეთის ამ სურვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს მუშაკები ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ აღნიშნულ კოლექციებსა და მასალებს და უკანასკნელნი ქართულ დაწესებულებებისათვის გადაეცათ. ივანე ჯავახიშვილმა საესებით ნათლად და გადაჭრით გაილაშქრა ამ პირების წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა, რომ ყოველ ერს უფლება აქვს მიიღოს თავისი ეროვნული ავლა-დიდება, თუნდაც იგი თავმოყრილი იყოს სხვა ქვეყანაში და რომ სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების ძვირფასი ისტორიული, და არქეოლოგიური მასალები სომხეთს უნდა დაუბრუნდესო. მისი განცხადება ფაქტად იქცა და დასახელებული კოლექციები ღვსაც ერეგნის მუზეუმს აშუქვინებენ. მახსენდება მეორე ფაქტიც, რომელიც ბატონ ივანეს მკვეთრად ახასიათებს: ეს არის მისი დამოკიდებულება საქართველოს ოკუპაციისადმი, რომელიც მენშევიკური მთავრობის დროს გერმანიის ჯარებმა განახორციელეს. ივანე ჯავახიშვილი გარკვევით მიუთითებდა მაშინ ქართული ინტელიგენციის შორის საკმაოდ გავრცელებულ მცდარ აზრზე, თითქოს გერმანიის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა ჩვენს ხალხს აღმავლობისა და თავისუფალი ეროვნული განვითარების პერსპექტივს უშლიდა. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, თუ როგორ იყენებდნენ დასახელებული სახელმწიფოები კოლონიებს და მათში ეროვნულ კულტურას კიდევ უფრო ავიწროვებდნენ, ვიდრე ეს ცარიზმის რუსეთში ხდებოდა. მოყვანილი ეს ორი შემთხვევაც კი გადაწყვეტით უარყოფს იმ გავრცელებულ ცრუ აზრს, რომელიც ივანე ჯავახიშვილს შოვინიზმს სწამებდა, და კარგად აშუქებს ზნეობრივად დიდ სიმალღეზე მდგარს მის პატრიოტიზმსა და მის მზრუნველობას თავისი ხალხის კულტურის სიმალღეზე. როცა საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ ღღის წესრიგში კულტურის გაღრმავებისათვის. როცა საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ ღღის წესრიგში კულტურის გაღრმავებისათვის. როცა საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ ღღის წესრიგში კულტურის გაღრმავებისათვის. როცა საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ ღღის წესრიგში კულტურის გაღრმავებისათვის.

ს. ყავახიშვილი. შარშან, დღევანდელ დღეს, ივანე ჯავახიშვილი ჰკითხულობდა მოხსენებას თემაზე „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“. ეს იყო მისი უკანასკნელი მოხსენება, მისი უკანასკნელი საუბარი მეცნიერულ წრეებთან. თითქოს იგრძნო—რომ ეს მისი უკანასკნელი მოხსენება იქნებოდა და გამოგვემზიდოდა საპროგრამო მოხსენებით იმ თემაზე, რომელიც მას გარდამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მიაჩნდა ისტორიის საკითხების კვლევა-ძიებისათვის.

ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსის პირველ მოვალეობად სთვლიდა წინასწარ ღრმა ფილოლოგიური მუშაობის წარმოებას ტექსტებზე, მათ ამოკითხვასა და დადგენას, სხვადასხვა წარმოშობის ტექსტების შედარებით შესწავლას. იგი თავის დროზე მწუხარებით აღნიშნავდა—ჩვენი ისტორიკოსები წაროების არსებითსა და ყოველმხრივ შესწავლას კი არ ეწყვიან, ისინი დაინტერესებული არიან მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ საკითხით, თუ როდის არის ის შედგენილი და ვინ შეადგინაო („საისტორიო მწერლობა“, გვ. XI—XII); საქართველოს ისტორიის მკვლევარი ქართული საბუთებით სარგებლობენ წინასწარ შეუსწავლელად, მათი ტექსტუალური აღნაგობის გამოურკვევლად, და ხშირად ამის გამო საქართველოს ისტორიული ცხოვრების სრულიად დამახინჯებულ სურათს იძლევიანო („ქართული დიპლომატიკა“, გვ. III).

ამიტომაც იყო, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი ხანებიდანვე ხელი მიჰყო ფილოლოგიური დისციპლინების დარგში საფუძვლიან მუშაობას. როგორც პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტში მუშაობის დროს (1903—1917 წლებში), ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰკითხულობდა სპეციალურ ფილოლოგიურ კურსებს (ქართული ეპიგრაფიკა, ქართული პალეოგრაფია, ქართული ნუმისმატიკა, კრიტიკა და ინტერპრეტაცია ტექსტისა), და ეს მუშაობა დააგვირგვინა ჩვენი მეცნიერებისათვის ფუძემდებელი ნაშრომების გამოქვეყნებით: „ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“, „ქართულ საბუთთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. სამივე მონოგრაფია წმინდა ფილოლოგიური ხასიათისაა.

ქართული დამწერლობის ძეგლთა საფუძვლიანმა კვლევა-ძიებამ<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილს შეაძლებინა დამტკიცებინა, რომ სამუდამოდ უკუგდებულნი უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში (ახ. წ.) გამოგონების შესახებ და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია; ხოლო ამ ძეგლების შესწავლამ უძველეს ქართულ ტომთა მეზობლების, ფინიკიურ-სემური მოდგმის ხალხთა, ისევე როგორც ბერძნების, დამწერლობის ძეგლთა პარალელურ გათვალისწინებასთან დაკავშირებით, მიიყვანა ივანე ჯავახიშვილი უარესად მნიშვნელოვან აღმოჩენამდე, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა საგულისხმებელია სულ ცოტა 7—8 საუკუნით უწინარეს იმ დროისა, რომლისთვისაც ჯერხანად ცნობილია ქართული დამწერლობის ძეგლები (ე. ი. IV საუკ. ახ. წ.), და წამოაყენებია მას სრულიად სალი ჰიპოთეზა: რომ ქართული ანბანი უნდა იყოს შექმნილი არა უგვიანეს VII საუკუნისა (ძვ. წ.).

„ქართულს სიგელთა-მცოდნეობაში“ ივანე ჯავახიშვილმა პირველმა ქართველოლოგთა შორის გამოიკვლია ქართული საბუთების ერთი ნაწილის აგებულება, მათი შედგენა-დაწერისა და დაცულობის ტექნიკა, ისევე როგორც მათი შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრობის საკითხი შინაარსობლივი თვალსაზრისით, და ასეთ კვლევას, სხვა შედეგთა შორის, ისიც მოჰყვა შედეგად, რომ გამოქმნილ იქნა მკვეთრი კრიტერიუმი ნამდვილი საბუთის გასარჩევად ნატყუარისაგან.

<sup>1</sup> ქართული დამწერლობის საკითხებზე მუშაობამ აღმოაჩენინა ივანე ჯავახიშვილს პალიმფსტებში შემონახული ხანძერი ტექსტები, რომლებმაც ქართული ენის შესწავლაში ეგოდენ დიდი როლი შეასრულეს.

მართალია, საბუთების კვლევა უხდებოდა ივანე ჯავახიშვილს გამოცემული ტექსტების მიხედვით, მაგრამ ის კარგად ხედავდა ჩვენი ტექსტების გამოცემათა ნაკულუფევან მხარეს და მუდამ იმის ცდაში იყო, რომ წინასწარ დაედგინა ტექსტი, და, რამდენადაც დრო ეყო, თვითონ ამზადებდა ძველ ქართულ ტექსტებს გამოსაცემად, როგორც საბუთებს, ისე ისტორიკოსთა თხზულებებს და სხვა საისტორიო მნიშვნელობის ტექსტებს. ასე, მაგალითად, მან დაბეჭდა ხალხის აღწერის დავთრები საქართველოში (დაიბეჭდა 1914—15 წ., არ გამოსულა), ლაშა-გიორგის დროინდელი მემატთანე (1927), ბასილი ეზოსმოდგარი—თამარ მეფის ისტორია (იბეჭდება ამჟამად), ახალი ქართლის ცხოვრება—ეგნატაშვილი ბერისა (1940 წ.), ქართული ხანმეტი ტექსტები (1923 წ.), და რამდენიმე ისტორიკოსის თხზულება გამზადებული დარჩა განსვენებულს.

ივანე ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ქართველი ისტორიკოსის მდგომარეობა; საისტორიო წყაროები სათანადოდ გამოცემული არ იყო, საისტორიო ფაქტები საბოლოოდ დადგენილი არ იყო. „საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, კრიტიკულ შესწავლას—წერდა ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ წინასიტყვაობაში—ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთი ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილობლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად სწეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს ვატაცებული“. ამიტომ ის მოითხოვდა ქართველი ისტორიკოსისაგან—პირველ ყოვლისა ფილოლოგოსი ყოფილიყო. თვითონ კი ამ მიმართულებით მაგალითს აძლევდა სხვებს თავისი ნაშრომებით ფოლოლოგიის დარგიდან და ამ ფილოლოგიურ ნაშრომებზე დამყარებული ზოგადი „ისტორიებით“ (ქართველი ერის ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, საქართველოს ეკონომიური ისტორია და სხვ.).

განსვენებულს ხშირად უყვარდა არსენი ამარტოლის სიტყვების მოყვანა: „ყოველი წერილი ძველი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომლისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვა განქიქებად“. ივანე ჯავახიშვილის «წერილები» ქების ღირსი იყო მუდამ, და იქნება მარადის.

გ. ჩიტაია. უაღრესად მრავალმხრივი და შინაარსიანი იყო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა. სტუდენტობის ხანიდან—სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მან თავისი ძლიერი ნებისყოფა, უშრეტეი ენერჯია, მაღალი ნიჭი და ენთუზიაზმი მრავალფეროვანი ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლის საქმეს შეაღია.

ამ დიდ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოგონების სახით აქ რამდენიმე ფაქტი იქნება დასახელებული.

საქართველოს ისტორიის ბედის კარნახი იყო, რომ მისი სამეცნიერო-სამწერლობო ცენტრები სხვადასხვა დროს, საუკუნეების მანძილზე, მის გარეთ, მშობლიურ მიწებს იქით ეწყობოდა. ამ ცენტრებში მყოფი ქართველი მოღვაწეებისაგან გამონატყორცილი სამეცნიერო ძიებისა და მიღწევების უხვი სხივი—მშობლიურ კულტურას თავს შარავანდედად ედგა და ეროვნული ცხოვრების წარმატებისა და წინსვლის საწინდარა იყო. ამ ცენტრებში სამეცნიერო კვლევა-ძიებასთან ერთად აზრის ბრძმედში იწრთობოდა და იკედებოდა ეროვნული შეგნება და ქართული მსოფლმხედველობა.

ძველად ასეთი ცენტრები იყო იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონს, ულუმბოსა და პეტრიწონში. საქართველოს ისტორიის უიღბლო ბედისტრიალმა XIX საუკუნეშიც ამგვარივე ცენტრის არსებობა კვლავ უცხოეთში მოითხოვა. ეს იყო პეტერბურგის სამეცნიერო კერა, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოდან გადახვეწილი ბატონისშვილების მიერ დანთებული, თანდათან გაძლიერდა საუკუნის ბოლოს ნ. პარის მიერ, ხოლო შემდეგ—ში ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით მძლავრ სამეცნიერო სკოლად გადაიქცა, სადაც ქართ-

ველოლოგიური სამეცნიერო კვლევა-ძიება წარმოებდა და ახალი სამეცნიერო კადრები მზადდებოდა.

დაუღალავად და თავგანწირვით უძღვებოდა ამ დიდ საქმეს განსვენებული. „მოსწრაფებით, წადიერებით და გულს-მოდინებით“ ქვას-ქვაზე სდებდა ქართული სამეცნიერო ტაძრის ასაგებად. ძნელი იყო ამ მიმართულებით მუშაობა ცარიზმის ხანაში. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი დაბრკოლებებს არ უშინდებოდა და დასახული მიზნის მისაღწევად თავგამეტებით იღწოდა. ამ მიზნით ის ფართოდ იყენებდა როგორც უნივერსიტეტის კათედრას, ისე ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე ივ. ჯავახიშვილის მიერ იყო დაარსებული და თვითვე იყო მისი უცვლელი ხელმძღვანელი. ეს წრე მეთაურობდა ყველა სხვა უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების სამეცნიერო წრეებს რუსეთში და საზღვარგარეთ. სამეცნიერო მოხსენებები ქართულ ენაზე, საბიბლიოგრაფიო მუშაობა, სალექსიკონო მასალის შეგროვება, ტერმინების ამოკრება, სიძველეების რეგისტრაცია, ძველი ხელნაწერების ჩხრეკა—წრის მუშაობის საგანს შეადგენდა. ამის შედეგად წრის წევრებიდან არა ერთი და ორი მოღვაწე შეემატა ქართულ მეცნიერებას.

იმ დროს რუსეთის უნივერსიტეტებში ლექციები მხოლოდ რუსულ ენაზე იკითხებოდა. აკრძალვის მიუხედავად ივ. ჯავახიშვილი რიგ კურსებს უნივერსიტეტში ქართულად კითხულობდა, რითაც მშობლიური მეცნიერების განვითარებას ხელს უწყობდა და მსმენელებში ამ მეცნიერებისადმი სიყვარულს აღვივებდა.

თუ რა ნაყოფი გამოიღო ივ. ჯავახიშვილის ამ პერიოდის მუშაობამ,—ყველასათვის ცხადი შეიქნა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისას.

მაგრამ განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი დაინტერესებული იყო არა მარტო ქართული მეცნიერების აღორძინებით, არამედ ქართველი ხალხის კეთილდღეობითაც. მას არ წარმოედგინა ქართული მეცნიერება ქართველი ხალხის გარეშე. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ერთი შემთხვევა გვაგონდება.

პეტროგრადის სუსხიანი, ნოტიო საღამო იყო. სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის წევრები ივ. ჯავახიშვილის ბინაზე ვიყავით შეკრებილი. ბაასი იმ დროს მიმდინარე იმპერიალისტურ ომს შეეხო. ჩვენი ხელმძღვანელი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ომში მრავალი ქართველი იხოცება, საავადმყოფოებში მრავალი დაჭრილი ქართველია და რომ ჩვენ გემართებს ამ უკანასკნელებზე მზრუნველობაო. ამ თათბირის შემდეგ არ გაუფლია ბევრ ხანს, რომ პეტროგრადისა და სხვა უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტების სამეცნიერო წრის წევრები დაუკავშირდნენ ქართველ დაჭრილებს, მრავალ მათგანს შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქეს საავადმყოფოს მიძიმე პირობები და მათ დაბრუნებას სამშობლოში ხელი შეუწყეს.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: ქართველი ხალხის, ისევე როგორც სხვა კავკასიელი ხალხების ყოფაში უხვადაა შემონახული მრავალი საუკუნის გადანაცხოვრები, დიდი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშთები; ხალხში წარსული კულტურის მრავალი მარგალიტია გაბნეული, რომელთა შემწეობით მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პრობლემების გადაჭრა და ისტორიული წარსულის მრავალი საკითხის გარკვევა შეიძლება.

საყურადღებოა, რომ აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრი ამ საკითხზე საცხებით ემთხვეოდა საქართველოს მეორე დიდი მოამაგის ილია ქავჭავაძის შეხედულებას. ილია წერდა: „სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცივენ და გამოუკვლევლად არაფერს სტოვენენ“. მხოლოდ ამგვარი შესწავლითა და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, მისი ავი და კარგო.

ცნობილია, თუ როგორი ოსტატობით გამოიყენა ივ. ჯავახიშვილმა ხალხში შემონახული თეთრი გიორგობის კულტი ქართველების უძველესი რელიგიის, მნათობთა თაყვანისცემის, დასადგენად. მანვე ხალხში დაცული იარაღების ძველი ფორმების საფუძველზე თავისებურად გაარკვია ქართული სახენელი იარაღების განვითარების საფეხურები. იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შრომის იარაღების ძველი ფორმები უხვად და მრავალი სახითაა მოცემული—განსვენებული მეცნიერი საქართველოს შრომის იარაღების ცოცხალ მუზეუმს უწოდებდა.

უნდა ისიც ითქვას, რომ ხალხის ყოფის ასეთი შეფასება განსვენებული აკადემიკოსის მიერ ბოლო ხანებში შემუშავებული შეხედულება კი არ იყო, არამედ ეს აზრი მას სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან ჰქონდა გამომუშავებული.

ჯერ კიდევ 1904 წელს ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი, პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, კ. ინოსტრანცევთან ერთად მონაწილეობას იღებდა რუსული ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელიც დაღისტანში მუშაობდა. მან მოვლო ხუნძახი, დიდოეთი და სხვა მხარეები და შესანიშნავი ეთნოგრაფიული კოლექციები შეაგროვა. ამ იშვიათი კოლექციების კომპლექსში შედიოდა: ტაგრუცები, ჩხუტები, ჩამები, სკივრები, კიღობნები და სხვა. ეს, თავისი ფორმითა და ორნამენტით მდიდარი კოლექცია, ამჟამად ამკობს რუსულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს ლენინგრადში. მისი ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია კიდევ (А. Миллер, Древние формы в материальной культуре современного населения Дагестана. *Материалы по этнографии*, т. IV, I, Ленинград 1927).

ამ ექსპედიციიდან განვლო ოცდათხუთმეტმა წელმა და 1939 წლის ზაფხულში განსვენებული სიამოვნებით იგონებდა თავის მუშაობას დაღისტანში და გულისტკივლით ამბობდა, რომ მას დაღისტანში რამდენიმე იშვიათი კოლექცია დარჩა, რომელთა შექმნა ვერ მოახერხა. თუ ეს კოლექცია ჯერ კიდევ არ გამქრალა და აღმოაჩინოთ,—ჩვენ გვავალდება,—საქართველოს მუზეუმისათვის უსათუოდ შეიძინეთო. სწორედ 1940 წელს დაღისტანში (დიდოეთში) სამუშაოდ გაემგზავრა პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია საქართველოდან. ამ ექსპედიციის მოწყობაში განსვენებულმა მისთვის ჩვეული გულისხმიერებით მხურვალე მონაწილეობა მიიღო და ექსპედიციას რიგი დავალება მისცა.

ასევე განსაკუთრებულად ზრუნავდა განსვენებული კოლექციების დაცვაზე. თითოეულ სამუზეუმო საგანს განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით ეპყრობოდა. მისთვის მუზეუმში ისეთი სამეცნიერო ლაბორატორია იყო, რომელიც მოწოდებულია ზუსტი მეცნიერული კვლევის შედეგები გამოფენის მეშვეობით ხალხში, ფართო მასებში გაავრცელოს. მაგრამ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს მუზეუმთან აკავშირებდა არა მარტო ამგვარი ინტერესები.

საქართველოს მუზეუმს ის უდიდეს როლს აკისრებდა ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი ფართოდ სახავდა მუზეუმის ამოცანებს და ამ ამოცანების შესასრულებლად იღწოდა.

მისი შეხედულება საქართველოს მუზეუმის ამოცანებზე სცილდებოდა ჩვეულებრივ ტრაფარეტებს. მისი აზრით საქართველოს მუზეუმი უნდა გადაქცეულიყო ისეთ დაწესებულებად, სადაც საქართველოს მრავალსაუკუნოანი კულტურის ისტორია იქნებოდა ასახული. ამ ამოცანის განხორციელება განსვენებულს საცხებით ორიგინალურ ფორმებში ჰქონდა წარმოდგენილი. მას არა ერთხელ უთქვამს ჩვენთვის, რომ კულტურის ისტორიის ექსპოზიცია საქართველოს მუზეუმმა უნდა განახორციელოს ყოველგვარი შაბლონის გარეშე და არა ისე, როგორც ამას ჩვეულებრივად ბევრ მუზეუმში აკეთებენ ხოლმე, არამედ თავისებურად. აქ ასახული უნდა იყოს შრომისა და კულტურის ისტორია შერწყმით და, როდესაც საქართველოს მუზეუმის მთავარ გამოფენაში ეს ქსე განხორციელდება, მაშინ

გამოჩნდება, თუ რამდენად მდიდარია, იშვიათი და თვალწარმტაცი საქართველოს კულტურის ისტორიაო.

ამ შესანიშნავ იდეას განსვენებული საჯაროდ იშვიათად თუ გამოსთქვამდა. ისე კი ამ აზრს ელოლიავებოდა და მის განსახორციელებლად ყოველგვარ წინაპირობებს ჰქმნიდა. ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი მისი მოქმედება, მთლიანად მისი სამუზეუმო საქმიანობა ამ იდეიდან გამომდინარეობდა და ამ იდეას ემსახურებოდა. ოფიციალური გამოსვლების დროს მოკლედ მოკრიბილი სიტყვით კმაყოფილდებოდა: საქართველოს მუზეუმს დიდი ამოცანები აქვს შესასრულებელი და დაუღალავი მუშაობა გეშარბთესო.

ამ დიდი ამოცანების შესასრულებლად განსვენებული დროს არ ზოგავდა, შეუსვენებლად მუშაობდა და დიდსა და პატარა საქმეს ერთგვარი წადიერებით აკეთებდა. ამით იყო გამოწვეული ის, რომ განსვენებული მუზეუმის მთლიანი სახის შენარჩუნებას მოითხოვდა და მის დანაწილებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა. ამით იყო გამოწვეული აგრეთვე მოთხოვნილება, რომლის მიხედვით მუზეუმის სტრუქტურაში ნავარაუდევი უნდა ყოფილიყო პალეო-ზოოლოგიური და შინაური ცხოველების ქვე-განყოფილებები, პალეობოტანიკური და შინაური მცენარეების ქვე-განყოფილებები. ამითვე იყო გამოწვეული ის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა განსვენებული მუზეუმის პროფანატორებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მეტად შორს იდგნენ მუზეუმის დანიშნულებისაგან, რომელთაც სამუზეუმო საქმეების არაფერი გაეგებოდათ, იყო ეს ასე საქართველოს მუზეუმში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, თუ მუზეუმის მუშაკთა ყრილობაზე.

მაგონდება ერთი ყრილობა, სადაც ამ ჯურის მუშაკების გამოსვლების გამო, განსვენებულმა განაცხადა: „მე არ მგონია, რომ მავანმა სამუზეუმო საქმე გვასწავლოს, თუ ის ამის შემძლებელია, მოხარული ვიქნებიო“.

იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რომელთაც განსვენებული მუზეუმს უსახავდა—საჭირო იყო მუზეუმის მუშაკთა კვალიფიციური კადრი. განსვენებული გულმოდგინებით იკრებდა ახალგაზრდობას, ატარებდა მათთან სემინარებს, ზრუნავდა მათზე სიყვარულით, შეტრფოდა იმათ ზრდას. განსვენებულს მრავალ სხვა დადებით მხარეებთან ერთად ერთი იშვიათი თვისება ახასიათებდა. ის ნაკლოვან ადამიანში ადვილად მიაგნებდა კარვს და ამ კარვის გაზრდასა და გაღვივებას ხელს უწყობდა.

განსვენებულმა ღრმა კვალი გაავლო ქართული მეცნიერების ყამირს და საქართველოსა და მებზომელი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის მრავალი პრობლემა გაარკვია. მან ისტორიოგრაფიული ხასიათის კლასიკური ნაშრომები შექმნა, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად და იმ სახითაა გაკეთებული, რომ ამ საკითხზე წერა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ნიშნავს, როგორც იტყვიან ხოლმე, ილიადის წერას ჰომეროსის შემდეგ. განსვენებულს კიდევ მეტის გაკეთება სურდა, კიდევ მეტის მოსწრება.

მაგრამ გადაშლილი ხელნაწერის ფურცელზე მოწაფეებისა და საზოგადოების თანდასწრებით მოულოდნელად შესწყდა ამ დიდბუნებოვანი ადამიანის სიცოცხლე. მას შემდეგ, რაც ჩვენ ვეღარ ვხედავთ სევდის იერით გადაკრულ ბატონი ივანეს მოლიმარ სახეს, მას შემდეგ, რაც ჩვენ მას უღმობელმა სიკვდილმა ჩამოგვაცილა—დღითი-დღე უფრო და უფრო მწვავედ ვგრძნობთ ამ მწარე დანაკლისს.

განსვენებული ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ არაფერი არ ამშვენებს ადამიანს ისე, როგორც შრომა. შრომა იყო მისი ესოდენ ნაყოფიერი ცხოვრების მოტი.

კარგად დავიმახსოვროთ ჩვენი საყვარელი მასწავლებლის ეს მცნება. შრომაში მას მივბაძოთ და მისი ხსოვნა ჩვენს გულში სამუდამოდ დავიმარხოთ.

## ლევან მუსხელიშვილი

გასული 1942 წლის ივლისში ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ისტორიკოსი და არქეოლოგი ლევან ვახტანგის ძე მუსხელიშვილი.

განსვენებული დაიბადა 1900 წელს, ხარკოვში, ექიმის ოჯახში. საშუალო განათლება თბილისში მიიღო, გიმნაზია დაასრულა 1917 წელს. 1918-ში ლ. მუსხელიშვილი მიემგზავრება საზღვარგარეთ, უმაღლესი განათლების მისაღებად. იქ იგი ჯერ ფილოსოფიას სწავლობდა, შემდეგ კი ისტორიას (ბერლინი, ფრაიბურგი, გეტინგენი, ჰალლე, მიუნქენი), მაგრამ 1923 წელს, ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა საუნივერსიტეტო კურსის დაუსრულებლად დაბრუნებულიყო სამშობლოში. 1924 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე შედის და 1927-ში ამთავრებს მას. მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 1930-მდე ლ. მუსხელიშვილი ასპირანტად მუშაობს საქართველოს ისტორიის კათედრასთან, შემდეგ კი იწყებს სამსახურს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქ მას ჯერ ასისტენტის თანამდებობა ეჭირა, მერმე არქეოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკისა, დასასრულ, 1941 წლის მარტამდე, ისტორიული განყოფილების გამგისა.

1936 წელს, რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დაარსებისთანავე, ლ. მუსხელიშვილი მიწვეულ იქნა მის თანამშრომლად. 1937-დან იგი ამ მუზეუმის სწავლული მდივნის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ მას დირექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა.

1941 წლის აპრილში საქ. მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი შეიქმნა. რუსთაველის მუზეუმი გადაიქცა სექტორის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებად და ლ. მუსხელიშვილი გადაყვანილ იქნა მის გამგედ. ამ თანამდებობას ასრულებდა იგი გარდაცვალებამდე.

ასეთია სამსახურებრივი მხარე ლ. მუსხელიშვილის მოღვაწეობისა. ამ ხნის განმავლობაში, იგი, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მრავალმხრივსა და ფრიად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ბოლნისსა, დმანისსა, გუდარეხსა და გვეჯთში. ამ გათხრათა ბრწყინვალე შედეგები (შუასაუკუნეებრივი ქალაქისა და დიდი მონასტრის გამოვლინება დმანისსა და გუდარეხში, ქართული ხუროთმოძღვრების პირველხარისხოვანი ძეგლის თავდაპირველი სახის გარკვევა ბოლნისში და სხვ.) უკვე კარგად არის ცნობილი ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის. ეს შედეგები დაწვრილებითაა გაშუქებული განსვენებულის ვრცელ შრომებში, რომლებიც 1937—1938 წლებში გამოქვეყნდა („დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერილობა“ — იხ. კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“; „ბოლნისი“, ენიშვილი-ს მოამბე, ტ. III). ლ. მუსხელიშვილის ორგანიზატორულ ნიჭს, მეცნიერ მუშაკთა მჭიდრო და შეთანხმებული კოლექტივის შექმნის უნარს, რა თქმა უნდა, არა მცირე მნიშვნელობა ჰქონდა ამ დიდი, ფართო მასშტაბით გაშლილი, ექსპედიციების წარმატებისათვის.



არქეოლოგიურ გათხრათა პარალელურად ლ. მუსხელიშვილი ისტორიის დარგშიაც განაგრძობდა კვლევა-ძიებას. ერთი მხრივ იგი სოციალური ისტორიის საკითხებს იკვლევდა („დასავლ. საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII საუკუნეებში“, შრომა, რომელიც მან ჯერ კიდევ 1928 წელს დაიწყო ივ. ჯავახიშვილის დავალებით), მეორე მხრივ—ისტორიულ წყაროთა მეცნიერულ გამოცემაზე მუშაობდა. მან მხოლოდ ორი ძეგლის გამოქვეყნება მოასწრო: 1939 წელს—„ვაჰანის ქუბთა განგება“ გამოვიდა, 1941-ს კი აბუსერიძე ტბელის თხზულება—„ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუა-რტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატინაე“. როგორც ტექსტთა გამოკვლევა, ისე მათი რედაქცია და კომენტარები სანიმუშოდ არის შესრულებული.

არა მცირე ადგილს უთმობდა ლ. მუსხელიშვილი თავის მუშაობაში იმ საკითხებს, რომლებიც ქართული ხელოვნების, კერძოდ ძველი ხუროთმოძღვრების, ძეგლებთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ უთუოდ საყურადღებოა მისი წიგნი „არქეოლოგიური ექსკურსიები მამაგის ხეობაში“, რომელშიაც, სხვათა შორის, რამდენიმე, დღემდე სრულებით უცნობი, ძეგლია წარმოდგენილი. თუმცა ლ. მუსხელიშვილი განათლებით ხელოვნებათმცოდნე არ ყოფილა, მაგრამ ძეგლთა შესწავლისას, წარწერათა და მათთან დაკავშირებულ ისტორიულ საკითხთა გაშუქებასთან ერთად, იგი წმინდა ხუროთმოძღვრულ მონაცემებსაც ითვალისწინებდა და სათანადოდ იყენებდა კიდევ საბოლოო დასკვნათა გამოსატანად. ქართული ხელოვნების ისტორიკოსი ვერავეთარ შემთხვევაში ვერ აუვლის გვერდს განსვენებულის შრომებს სამშვილდის სიონისა და მცხეთის „სვეტიცხოვლის“ წარწერათა შესახებ: პირველში დადგენილია ამ დიდდამნიშვნელოვანი, მაგრამ დღემდე სათანადოდ შეუსწავლელი, ძეგლის თარიღი, მეორეში დაზუსტებულია წარწერათა წაკითხვა და, სხვათა შორის, ფრიად საინტერესო მოსაზრებებია წამოყენებული ძეგლის მშენებლობისათვის.

ეს შრომა („მცხეთის სვეტიცხოვლის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან“) ლ. მუსხელიშვილმა მოხსენებად წაიკითხა მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების სესიაზე 1941 წლის დეკემბერში. ეს იყო განსვენებულის უკანასკნელი საჯარო გამოსვლა, იგივე შრომა იყო უკანასკნელი გამოკვლევა, რომელიც მის სიცოცხლეში დაიბეჭდა (*Ars Georgica*, ტ. I).

ლ. მუსხელიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა. ბოლო ხანებში, როდესაც მას ავადმყოფობა მოერია, იგი უკვე ვეღარ ახერხებდა უწინდელი ენერგიით მუშაობას, მაგრამ ცხოველი ინტერესი ჩვენი ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი მას ბოლომდე არ შენელებია. მას დაუშთავერებელი დარჩა რამდენიმე დაწყებული შრომა (მაგ., გუდარების გათხრათა დროს აღმოჩენილ კერამიკულ ძეგლთა შესახებ) და ძალიან ბევრი განზრახული გამოკვლევის დაწყებაც არ დასცალდა. მისი გარდაცვალება მეტად სავარძნობი და ნანაკლისია ჩვენი ისტორიული მეცნიერებისა და კიდევ უფრო მეტად ქართული მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ლ. მუსხელიშვილი ფართო განათლების მქონე მკვლევარი იყო. ღრმა ცოდნასა და დიდ მეცნიერულ კეთილსინდისიერებასთან ერთად, მას თავისი საქმის არაჩვეულებრივი, გატაცებული სიყვარული და დაუცხრომელი ენერჯია ახასიათებდა. სწორედ ამგვარად—დაუღალავ, პატიოსან და ნიჭიერ მუშაკად, კარგ და გულსხმიერ ამხანაგად დარჩება იგი მის თანამშრომელთა და მახლობელთა ხსოვნაში, ხოლო ის, რის გაკეთებაც მან მცირე ხნის განმავლობაში მოასწრო, მუდამ საგულისხმო და ანგარიშგასაწევი იქნება მომავალ მკვლევართათვის.

Н. Б. МАХАРАДЗЕ, ВОССТАНИЕ В ИМЕРЕТИИ 1819—20 гг.

(რეცენზია)

ამ დღეებში დაიბეჭდა ამხ. ნ. მახარაძის გამოკვლევა—*Восстание в Имеретии 1819—1820 гг.*\* ამ სასიამოვნო მოვლენაში ხსენებული სამეცნიერო ნაშრომის დადებითი შეფასება იგულისხმება. თუმცა, რა თქმა უნდა, რედაქციის (ენიშვილის ისტორიის განყოფილება) ასეთი აზრი კერძო ხასიათის გარემოებაა და ეს ნაშრომი ამით შესაძლებელი დაწუნებისაგან დაზღვეული ვერ იქნება.

1819—1820 წლის აჯანყება იმერეთში (თუ „იმერეთის აჯანყება“?) საბჭოთა ისტორიკოსების კვლევის სპეციალური თემა დღემდის არ ყოფილა (რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში კი მას მეტის თუ ნაკლების სისრულით არაერთი ისტორიკოსი შეხებია). შეიძლება ეს მოვლენა რამდენადმე იმ გარემოებით აიხსნებოდეს, რომ იმერეთის აჯანყება (მე მაინც ამ ტერმინს ვირჩევდი, შეიძლება არც ამხ. ნ. მახარაძეა ქართულად აგრე დასახელების წინააღმდეგი?) ისე მიმზიდველად არ ეჩვენებოდათ აჯანყებათა კვლევის მოტრფიალე ჩვენს ისტორიკოსებს, როგორც, ვთქვათ, კახეთის აჯანყება, აჯანყება გურიაში, აჯანყება სამეგრელოში და სხვ.; ვერ იზიდავდა, ჩანს, ჩვენს ისტორიკოსებს ამ აჯანყების ოდიოზური სახელიც „Церковный бунт“. ამხ. ნ. მახარაძეს უქველ ღვაწლად ჩათვლება, რომ მან პირველმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი და ამ დაწუნებული აჯანყების მეცნიერული რეაბილიტაცია სცადა.

და მუშაკს შრომა დაჰფასებია: ისტორიული მოვლენის სერიოზული შესწავლის შედეგად ავტორს არა ერთი ახალი და მეტად მნიშვნელოვანი გარემოება შეუნიშნავს და გამოუმჟღავნებია. ასეთი შესწავლის შედეგად ამხ. ნ. მახარაძეს თავისებურად შეუფასებია ისტორიული ფაქტი და თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის დიად ბრძოლაში მისთვის სრულიად გარკვეული ადგილი მიუჩენია.

ნაშრომი შესავალისა და შვიდი თავისაგან შედგება. შესავალში (1—11) ავტორი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თავგადასავალს ეხება. აღნიშნავს საქართველოს განვითარების ნელ ტემპს გვიანფეოდალურ ხანაში, ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას, უკიდურესად არახელსაყრელ საგარეო პირობებს, ერან-რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლას ა/კავკასიის დაუფლებისათვის და ამ ბრძოლაში რუსეთის გამარჯვებას. მის დამკვიდრებას ა/კავკასიაში და ამ მოვლენის მნიშვნელობას ქართველი ხალხისათვის.

გამოკვლევის პირველ თავში (12—21)—*Имеретинское восстание в исторической литературе*—ავტორი მიმოიხილავს საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას და აღნიშნავს ამ ლიტერატურის უდიდესი ნაწილის იდეოლოგიურ მიუღებლობას; აქვე ასახელებს ავტორი წყაროებს, დაბეჭდილს თუ დაუბეჭდავს, რაც მას თავისი შრომის დაწერისას გამოუყენებია.

\* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი III.

შრომის მეორე თავი (22—53)—Имеретия перед восстанием—შეეხება ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მიმოხილვას 1804—1818 წლებში. ავტორი მოკლედ მოგვითხრობს, თუ მეფის რუსეთის პოლიტიკის შედეგად იმერეთის მეფე სოლომონი როგორ იყო იძულებული ხელმწიფის „მფარველობა“ ეთხოვა. სწორად აღნიშნავს ხერხებს, სოლომონის დასუსტება-წამოჩოქების მიზნით მეფის რუსეთი რომ მიჰმართავდა (დადიანისა და გურიელის წაქეზება მეფის წინააღმდეგ, ინტრიგები მეფის კარზე, გავლენიანი თავადების მოსყიდვა), ასწერს იმერეთის მეფის ამაო ბრძოლას სამეფო ტახტის შენარჩუნებისათვის. შემდეგ აშხ. მახარაძე ახასიათებს იმერეთის ახალ (რუსულ) მმართველობას 1809—1819 წლებში. აღნიშნავს იმერეთის საგარეო და საშინაო პირობების სიმძიმეებს და ამასთან დაკავშირებით მთავრობის გაუბედავ ნაბიჯებს მმართველობის რუსული სისტემის შემოღების საქმეში. ამას მიჰყვება იმერეთის სოციალური ურთიერთობის სურათი. ავტორი აღნიშნავს არამწარმოებელი კლასის შედარებით სიმრავლეს, სათავადო აზნაურების წვრილმამულიანობას და საარქივო (საილუსტრაციო) მასალის მოშველიებით გვისურათებს უმსხვილესი თავადების დიდ ყმათაშენიანობას და გლეხების წელში-გაწყვეტილობას უზომო საბატონეო ვალდებულებებით. თავისი ამ კვლევის შედეგს აქ ავტორი ხუთი დასკვნითი დებულების სახით იძლევა (39—40). ამის შემდეგ ავტორი არკვევს გლეხთა სხვა ვალდებულებებს სახელმწიფოსა თუ მებატონეების მიმართ და სახელდახელოდ ცდილობს შეავსოს ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზი: საკუთარი დამოუკიდებელი დაკვირვებით ის იმერელი გლეხობის სოციალური კატეგორიების სურათის დადგენას ლამობს (41—46).

რუსული ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით ავტორი საბუთიერად აღნიშნავს საგლეხო მოვალეობათა დამძიმებას იმერეთში (რუსთა ჯარის საპირობათა მომსახურება, საგზაო ბეგარა, სახაზინო-დაბალფასებში პურის იძულებითი გასყიდვა...). აქვე საინტერესო საბუთები მოაქვს ჩვენს ავტორს იმისა, თუ როგორ უკმაყოფილებას იწვევდა ფართო ხალხში „რუსობა“ (ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე მმართველობა, რუსული ბიუროკრატიული სამართალი, რუსი მოხელეების შედიღურობა, მექრთამეობა-მტაცებლობა, გაუკითხაეობა...).

ნაშრომის მომდევნო (III) თავში—Церковная реформа (54—68)—ავტორი აღნიშნავს ეგზარხოს რუსანოვის უხეშ რუსიფიკატორულ პოლიტიკას. მისი საეკლესიო „რეფორმის“ პროექტის ანალიზით აშხ. მახარაძე სწორად დაადგენს ამ რეფორმის მთავარ მიზანს: ქართული ეკლესიის რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში შეყვანას (56). აქვე ავტორი აღნიშნავს, თუ როგორ უკმაყოფილებას (და რატომ) იწვევდა ეს „რეფორმა“ იმერეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენში. აშხ. მახარაძე სამართლიანად მიუთითებს „რეფორმის“ ფისკალურ ხასიათს, განსაკუთრებით ჩერდება საეკლესიო გლეხთა მდგომარეობაზე და საარქივო მასალის გამოყენებით საბუთიერად ამტკიცებს „რეფორმის“ შედეგად ამ გლეხთა საგადასახადო ტვირთის მეტისმეტ დამძიმებას.

ნაშრომის IV თავში—Подготовка и начало восстания (69—92)—აღწერილია „რეფორმის“ გატარების წინააღმდეგ მოძრაობის დაწყება, მისი სწრაფი ზრდა და აშკარა აჯანყებად გაშლა; ხელისუფლების მოუშხადებლობა და მარცხი: „რეფორმის“ გატარების შეჩერება (რუსანოვის გასვლა იმერეთიდან) და აჯანყების შენელება. შემდეგ ავტორი ცდილობს გვიჩვენოს აჯანყების ახალი ძალით ავარდნის მიზეზი (75), აღნიშნავს აჯანყების საყოველთაო ხასიათს და მის ახალ ლოზუნგს—„სამშობლოს განთავისუფლება“; აკვიწრს გასაჭირში ჩავარდნილი მთავრობის მანევრებს და მის ენერგიულ სამხედრო მზადებას აჯანყების ჩასაქრობად, აჯანყებულთა საპასუხო მზადებას (შეიარაღებას, გაფიცვას) და აჯანყების გაფართოების ცდას გურიაში, სამეგრელოში და ქართლ-კახეთში. აქ აშხ. მახარაძეს გამოაქვს და ცდილობს დაამტკიცოს თავისი შრომის მთავარი თეზისი, რომ საეკ-

კლესიო რეფორმების გატარების ცდით გამოწვეული ეს აჯანყება „в своем развитии... переросло в борьбу против крепостничества“ (82), რომ აჯანყებამ მიიღო „ярко выраженный антикрепостнический характер“ (80). ამის შემდეგ ავტორი მართებული ანალიზით აღნიშნავს, თუ რა მიზნები ამოძრავებდა აჯანყებაში მონაწილე სხვადასხვა წრეს, ახასიათებს ამ მოძრაობის მონაწილე სხვადასხვა პირს (ივანე აბაშიძე, ზურაბ წერეთელი), ცდილობს შეაფასოს იმერეთის უმაღლესი სამღვდლოების (დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გენათლის) როლი ამ აჯანყებაში (91).

ნაშრომის მეხუთე თავში—Отголоски Имеретинского восстания в Гурии и Мингрелии (93—107)—პირველად მოცემულია გურიის მოკლე პოლიტიკური მიმოხილვა (უთანხმოება გურიელის სახლში), შემდეგ აღნიშნულია იმერელ აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაურის (ივანე აბაშიძე) შეხიზნვა გურიელის ბიძა ქაიხოსროსთან, პოლკოვნიკ პუზირევსკის შესვლა ჯარით გურიაში, მისი მოკლა და გურულების საყოველთაო აჯანყება. იმერეთის აჯანყებისაგან განსხვავებით ამხ. მახარაძე გურიაში მხოლოდ რუს კოლონიზატორთა წინააღმდეგ აჯანყებას ჰხედავს (114). შემდეგ ავტორი ეხება აჯანყების გავრცელებას სამეგრელოში, სადაც ის, ამხ. ნ. მახარაძის განცხადებით, ყველაზედ სუსტი აღმოჩენილა და ლევან დადიანსა და მის ძმას გიორგის შორის სადადიანო ტახტისათვის ცილობაში მოთავსებულა. აქვე, ქვემოთ, ავტორი აღნიშნავს მეზობელ ოსმალთა ფაშების ყურადღების გამახვილებას გურია-იმერეთის აჯანყებისადმი და სვამს საკითხს, თუ ვისი ორიენტაციისა იყო რუს კოლონიზატორთა ჩაგვრის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი ხალხი. ამ საკითხზე ამხ. მახარაძე საესებით სწორ პასუხს იძლევა, რომ „народные массы боролись за свободу“ (105), ე. ი. თავისი ქვეყნის დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობისათვის (თუ სწორად მესმის ამ ადგილას ამხ. მახარაძის რამდენადმე ბუნდოვანი აზრთა წყობა). აქვე, ბოლოს, ავტორს მოჰყავს ახალციხის ფაშის ფრიად საინტერესო აზრი ზემორე თქმულის დასამტკიცებლად: „Они (იმერლებიო, ნ. ბ.) хитры чрезвычайно и вероломны также, теперь не хотят повиноваться русским и предаются им, туркам, но после не упустят стараться сбыть их с рук“ (105).

ნაშრომის მეექვსე თავში—Новый подъем восстания и его поражение (107—120)—აღნიშნულია აჯანყების გაძლიერება 1820 წლის აპრილში, სამეფო პრეტენდენტების (ივანე აბაშიძის და ვახტანგ ბატონიშვილის) გამოჩენა, აღწერილია ამ მოვლენებით შემოფოთებული მთავრობის პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებანი, თადარიგი აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელი აჯანყების წინააღმდეგ, დიპლომატიური მიმოწერა მეზობელ ოსმალთა ფაშებთან, აჯანყების მოლაღატე შამია გურიელის, ლევან დადიანის, როსტომ ერისთავის და სხვა მოლაღატე თავადების და აზნაურების გამხნევა; დიდი სამხედრო ძალის მობილიზაცია და კორპუსის შტაბის უფროსის ველიამინოვის გალაშქრება აჯანყებულთა წინააღმდეგ. დამსჯელი ჯარის ოპერაციები (ხანის წყლის ხეობაში, რაჭაში, გურიაში), სისხლიანი შეტაკებანი და უმჯობესი რეპრესიები შაჰაბაზ-თემურლენგის მეთოდებით (ციხეების დათხრა, სოფლების დაბუგვა, ვენახებისა და ხეხილის აკაფვა, ნათესების გადათელვა), აჯანყების მონაწილეთა მრავლად დასჯა სიკვდილით, გაციმბირებით, ქონების კონფისკაციით, აჯანყების მოლაღატეთა უხვი დაჯილდოება.

ნაშრომის უკანასკნელ (VII) თავში—Причины поражения и результаты восстания (120—128)—ავტორი ამ აჯანყების დამარცხების მთელ რიგ მიზეზებს ასახელებს: 1. მთავრობა წარმატებით ახორციელებდა ძვირფასი საჩუქრებით და ხელმწიფისაგან ჯილდოს დაპირებით გავლენიანი თავადების შესყიდვას; 2. ყმა-მამულის ჩამორთმევის მუქარით მთავრობა აიძულებდა მებატონეებს აჯანყებაში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მიეცათ საკუთარი ყმებისათვის, ხოლო აჯანყების მონაწილე გლეხები დაეტუქსათ და

დაესაჯათ; 3. აჯანყების მონაწილე თავად-აზნაურთ ერთმეოდა ყმა-მამული, 4. მთავრობა არ ერიდებოდა აჯანყებულ მებატონეთა გლეხების გადაბირებას (იმ პირობით, რომ ეს გლეხები უნდა ყოფილიყვნენ „непоколебимы в верности к великому государю“), ასეთი გლეხები სასაზიზო ყმებად ჩაერიცხებოდნენ; 5. სწორად აღნიშნავს ჩვენი ავტორი, რომ აჯანყების სიმტკიცეს ხელს ვერ შეუწყობდა აგრეთვე მის ხელმძღვანელ თავად-აზნაურობის ვიწრო წოდებრივი პოზიცია,—ყოვლად შეურიგებელი აჯანყების მონაწილე გლეხობის ინტერესთან; 6. და აქვე ამხ. ნ. მახარაძე გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ აჯანყების მონაწილე გლეხობა, თუ, ერთი მხრით, „რუსული ცარიზმის მიერ იმერეთში შემოღებულ სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმისა და კოლონიური ექსპლოატაციის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა, მეორე მხრით იგი არა ნაკლები ენერგიით გამოდიოდა ბატონყმური ჩაგვრისა და მისი (ე. ი. ამ ჩაგვრის, ბ. ბ.) გაძლიერების წინააღმდეგ“ (123). აჯანყების მონაწილე თავად-აზნაურობა კი, ავტორის გამოთქმით „... сомкнулось с реакционным духовенством Имеретии. Ограничиваясь требованием, хотя глухо и в туманной форме выраженным, восстановления Имеретинского царства, оно (ე. ი. дворянство; აქ შეცდომით სწერია „она“, ბ. ბ.) не могло пользоваться симпатиями и поддержкой крестьянских масс“ (123) და აქვე ამხ. ნ. მახარაძე ავითარებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას აჯანყებაში მონაწილე სოციალური წრეების ინტერესთა ასეთი შეურიგებლობის შესახებ და ასრულებს მას აჯანყების დამარცხების ერთი მთავარი მიზეზის აღმოჩენით, რომ 7. „Как только обнаружился анти-крепостнический характер движения и крестьяне начинают выходить из повиновения помещиков, последние спешат под крылышко царских войск, поощряя их на кровавую расправу с повстанцами, оказывают царским войскам вооруженную помощь и содействуют поражению восстания“ (124).

დაბოლოს, ამხ. ნ. მახარაძე შეაფასებს ამ აჯანყებას, როგორც ძლიერ პროტესტს კოლონიური და ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ და საპატიო ადგილს მიაკუთვნებს მას იმ ბრძოლაში, რომელსაც მეფის რუსეთის დამონებული ხალხები თავისუფლების მოპოვების მიზნით აწარმოებდნენ (127).

ასეთია მოკლე გადმოცემით ამხ. ნ. მახარაძის შრომის შინაარსი. როგორც ვხედავთ, ნაშრომი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა მრავალი დასაბუთებული მოსაზრებით (ასეთებს ჩვენ ზემოთ გზადაგზა მიუყვითებდით), მოვლენათა მართებული ანალიზით, მათი სწორი მეცნიერული შეფასების ცდით, საკმაოდ ფართო ისტორიული პერსპექტივით.

ამხ. ნ. მახარაძის ნაშრომი რომ საუკეთესო სამეცნიერო გამოკვლევა იმერეთის 1819—20 წლის აჯანყების შესახებ, ეს მაინცდამაინც დიდ მიღწევად ვერ ჩათვლება ავტორს. უფრო თვალსაზიზი ისაა, რომ საქართველოში აჯანყებათა შესახებ არსებულ ლიტერატურაში ეს ნაშრომი თუ ყველაზე წინ არ დგას, არც არავის ჩამოუვარდება.

ტექნიკურადაც ამხ. ნ. მახარაძის ნაშრომი საკმაოდ სწორადაა შესრულებული. ენა, სტილი, ტონი აგრეთვე მეცნიერულ-დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ ნაშრომს ნაკლიც გააჩნია. ზოგიერთი მათგანი არსებითი ხასიათისაა, ზოგი კიდევ მცირე მნიშვნელობისაა. ნაშრომის ამ დევექტებზე მითითება ჩვენი მოვალეობაა და ეს არა მარტო ამ ნაშრომის შეფასების თვალსაზრისით. ასეთი კრიტიკა ხელს შეუწყობს ახლად დამწყები მუშაკის მეცნიერულ ზრდას და წინ წასწევს აღებული საკითხის უფრო ღრმად და სრულად შესწავლის საქმეს.

ნაშრომის ერთი ძირითადი ნაკლი, ჩვენი აზრით, ის გახლავთ, რომ ავტორი არ ცდილა იმერეთის აჯანყების დეტალური სურათი მოეცა. ამხ. მახარაძე თითქო ჰგულისხმობს, რომ მისი შრომის მკითხველს იმერეთის აჯანყების „ამბავი“ სადღაც სხვაგან აქვს გაცნობილი და აქ კი მხოლოდ ამ მოვლენის ისტორიულ მიმოხილვა-ანალიზს იპოვის... ამ ნაკლის გამო მკითხველი იძულებულაა მრავალ რამეში ავტორს უსაბუთოდ ენდოს, რად-



აქ ორიოდ მაგალითს მოვიყვანდი. ამხ. მახარაძე ცარიზმის მიერ იმერეთის შეერთებაზე საუბრისას გაგვაცნობს სოლომონ II ბრძოლას მეფის რუსეთთან და მის ფრთხილ ქვეშეფარებულ დადიანთან, გურიელთან და ავტორი არ აღნიშნავს (უეჭველია, შეუსწავლელია გამო), რომ იმერეთის მეფე დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და აქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის იბრძოდა (ხოლო, ცარიზმი კი დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას და აქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებას ისახავდა მიზნად), რომ სოლომონ მეფის ეს ბრძოლა, მასსადამე, პროგრესიული ხასიათისა იყო, ასეთ დებულების მიღებას, ავტორი დამეთანხმება, ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა 1819—20 წლის აჯანყების გაგება-შეფასებისთვის. (სოლომონის ბრძოლის ასეთ ხასიათს განზრახ ჩქმალადენენ ცარიზმის ისტორიკოსები და „ოსმალეთის“ მიჩემებით მკითხველი საზოგადოების თვალში მის გაშვებას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, არა ერთი ჩვენი დროის ისტორიკოსიც უკრიტიკოდ მოჰყოლია ცარიზმის მოხელეთა ამ ნაყალბევის გავლენის ქვეშე და „ქართველობისათვის“ იმერეთის მეფის ბრძოლას რეაქციულ მოვლენად აცხადებს).

ამხ. ნ. მახარაძე სავსებით მართალია, რომ იმერეთის შეერთება და იქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმება მეფის რუსეთისათვის აუცილებელი იყო მას შემდეგ, რაც მან აღმოსავლეთ-საქართველო შეიერთა და იქ „რუსობა“ შემოიღო; იმერეთი საქართველოს საკითხის ერთი უბანი იყო. ამდენადვე სოლომონის ბრძოლა იმერეთში „რუსობის“ დამყარების წინააღმდეგ ეს იყო ქართველი ხალხის ბუნებრივი პასუხი მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმტაცებლისადმი. რა თქმა უნდა, ეს იმას ოდნავადაც არ ნიშნავს, თითქო ამით ქართველი ხალხი რუსეთთან კავშირს უარყოფდა და ერანს თუ ოსმალეთს ირჩევდა. არჩევანი რუსეთთან კავშირის სასარგებლოდ ქართველი ხალხისათვის ისევე გარდუვალი იყო, როგორც თვით „ქართველობის“ დაცვა (და სწორედ ამ „ქართველობის“ დაცვის მიზნით იმეორებდნენ ამ არჩევანს აგრე დაჟინებით უდიდესი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ორი საუკუნის მანძილზე).

ამ საკითხზე აქ არც ამდენს ვისაუბრებდით, რომ მის გაუთვალისწინებლობას თავი არ ეჩინა ამხ. მახარაძის მიერ 1819—20 წლის აჯანყების შეფასებაში.

მეორე რამ, რაც განსაკუთრებით აკლია ნაშრომის ამ თავს, არის აზნაურთა წოდების შეუსწავლელია. ამხ. მახარაძე ყურადღებას აქცევს გლეხებს, სამღვდლოებას, დიდ თავადებს და სრულიად გაურკვეველ სტოვებს აზნაურებს, მაშინ როცა აზნაურთა ფენი მეტად მნიშვნელოვანი სოციალური კატეგორია იყო იმერულ ფეოდალურ საზოგადოებაში და მისი მონაწილეობა 1819—20 წლის აჯანყებაში ასევე აქტიური და მნიშვნელოვანი იყო. კიდევ უარესი: 'ამხ. მახარაძე საერთო სახელ *азнаурь*-ში ათავსებს მთელ თავად-აზნაურობას და მისი პოლიტიკური და სოციალური ინტერესების შესახებ ისე მსჯელობს, თითქო ეს *азнаурь* ერთფეროვანი სოციალურ-ეკონომიური კატეგორია ყოფილიყოს. რა თქმა უნდა, ასეთი მასალით აჯანყების მონაწილე ძალებზე, აჯანყების იდეებზე ან მის ძლიერსა თუ სუსტ მხარეებზე სწორი წარმოდგენის შექმნა ძნელია (აბა ბევრი რამ საერთო ინტერესები შეიძლება განაჰქონოდა. ზურაბ წერეთელს, —6 ათასი სული ყმის პატრონს, და რომელიმე ცალ-მოგვ ლეჟავას, რომელიც, შესაძლებელია, ნახევარი კომლი ყმით, ან მთლად უყმოდ აზნაურობდა?.. და ზურაბსა და ლეჟავას შორის რამდენი გარდაუვალი კატეგორია იყო აზნაურებისა თუ თავადების?..).

უფრო მკირე მნიშვნელობის შეცდომიდან ნაშრომის ამ თავში უნდა დავასახელოთ: ამხ. მახარაძე ბევრის რაოდენობის მიხედვით დაასკვნის გლეხთა ქონებრივ მდგომარეობის შესახებ „Размеры повинностей в пределах округа у большинства крестьян были одинаковыми. Это говорит о том, что имущественное неравенство среди крестьян вы-





თელის გავლენისა და როლის შესახებ ამ აჯანყებაში. პატივცემული ავტორის მოსაზრებას ამ საკითხში ჩვენ ვერ დავეთანხმებით).

სათქმელი დაგვრჩა ნაშრომის მთავარი თეზის შესახებ. ჩვენი ავტორი ამხ. ლენინის სახელმძღვანელო პრინციპს იმარჯვებს: *Понятие „общенациональная революция“ должно указывать марксисту на необходимость точного анализа тех различных интересов различных классов, которые сходятся на известных определенных ограниченных общих задачах. Ни в коем случае не может служить это понятие для того, чтобы затушевать, заслонить изучение классовой борьбы в ходе той или иной революции“* (სტრ. 11) და ამხ. მახარაძე შეეცადა შეესწავლა კლასთა ბრძოლა იმერეთის აჯანყებაში. აქ მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ავტორმა უდავოდ ცხადჰყო, რომ იმერეთის აჯანყებაში გლეხთა მასები ანტიბატონყმური განწყობილებით მოვიდნენ, ხოლო თავადები ძველი ქართული თავადობის შენარჩუნებისათვის იღვწოდნენ (სამწუხაროდ, ამხ. მახარაძემ უყურადღებოდ დასტოვა, თუ რა ინტერესებით მოვიდა ამ აჯანყებაში წვრილ აზნაურთა მასა). ყველაფერი ეს მკვლევარის უეჭველი მიღწევაა, მაგრამ აქაც, ვფიქრობთ, საკითხი უნაკლოდ გადაწყვეტილი არაა. ამხ. მახარაძე აპარბებს, როცა აცხადებს, თითქო აჯანყება „в своем развитии... переросло в борьбу против крепостничества“ და თითქო აჯანყებამ მიიღო „ярковыраженный антикрепостнический характер“. ყველა საამისო მოწმობა (აჯანყების მონაწილე საბატონო თუ სახაზინო გლეხთა მოქმედება, აჯანყების მოლაღატე თავადების თუ აზნაურების მოქმედება, აჯანყების ხელმძღვანელთა თუ მთავრობის ღონისძიებები გლეხთა გადაბირების მიზნით) იმის უდავო დადასტურებაა მხოლოდ, რომ გლეხებში ძლიერი იყო ბატონყმობის სიძულვილი და სათანადო პირობებში ეს სიძულვილი თავს მოქმედებაშიც იჩენდა. მაგრამ როგორც ამ საბუთების, ისე აჯანყების ყველა სხვა მომენტის გათვალისწინებით, ჩვენ გვგონია, უცილობლად მტკიცდება, რომ ამ აჯანყების მთავარ ღოზუნგად თავიდანვე იყო და ბოლომდის დარჩა სამშობლოს განთავისუფლება. სულ სხვა საქმეა აჯანყებაში მონაწილე ესა თუ ის კლასი რა მოტივებით მიდიოდა ამ საერთო ღოზუნგთან, როგორ ესმოდა ეს ღოზუნგი, ან რას მოელოდა მისი განხორციელებისაგან. ამხ. მახარაძის მოტანილი ყველა საბუთი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თითოეულ კლასს ამ აჯანყებაში თავისი ინტერესი ჰქონდა და სწორედ ამ ინტერესთა რეალიზაციისათვის ყველა ეს კლასები შეთანხმებულყვენ („сходятся“) „на известных, определенных, ограниченных общих задачах“, ეს „общие задачи“ იმერეთის აჯანყებაში „ქართველობის“ აღდგენა ანუ „სამშობლოს განთავისუფლება“ იყო.

სამწუხაროდ, ამხ. მახარაძეს ამ მიმართულებით არ განუვითარებია თავისი კვლევა.

ნაშრომს სხვა ნაკლიც გააჩნია. ამათგან აღსანიშნავია: 1. ავტორი მეტისმეტად უხვად სარგებლობს ანალოგიის მეთოდით (ქართლ-კახეთის მაგალითებით იმერეთზე მსჯელობს); 2. რამდენადაც კრიტიკულად ეპყრობა ისტორიკოსებს, იმდენად უკრიტიკოდ ენდობა დოკუმენტალურ მასალას (წერილებს, მოხსენებებს), რის გამო არაერთი შეცდომა მოსდის.

ჩემი მთავარი შენიშვნები ამოეწურე. ასეთია ამ ნაშრომის ნაკლი და ღირსება და მე ერთხელ კიდევ გავიმეორებ: ამ ნაშრომის სახით ჩვენს ისტორიოგრაფიას სერიოზული ნარკვევი შეეძინა.